მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი

მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი



2020

სამუსიკო ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოცემულია სტატიები მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეებზე, კომპოზიტორებზე, შემსრულებლებზე, მუსიკისმცოდნეებზე და სხვ.

სტატიების სპეციალური ციკლები მიძღვნილია მუსიკის ისტორიის, თეორიის ძირითადი ცნებებისა და ტერმინებისადმი, სამუსიკო საკრავებისადმი. გამოცემა განკუთვნილია მუსიკის მოყვარულთა ფართო წრისათვის.

პროექტის ავტორი:

ანზორ თამარაშვილი

შემდგენელი: *ანზორ თამარაშვილი*

ხელოვნებათმცოდნე, მუსიკოსი

სარედაქციო კოლეგია

მანანა ახმეტელი

ვაჟა აზარაშვილი

ანზორ ერქომაიშვილი

ელდარ გეწაძე

ნოდარ ჟვანია

გამოცემის რედაქტორები: *მარინე მურჯიკნელი*

დავით ჭელიძე

მარინა ოსაძე

ნათელა მუზაშვილი

რეცენზენტი: *რუსუდან წურწუმია*

წიგნი გამოიცა ახალციხის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით

მესამე შევსებული და შესწორებული გამოცემა

© ანზორ თამარაშვილი

რედაქციისაგან

წინამდებარე ***„მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი"*** პირველი ცდაა ქართული საენციკლოპედიო-ლექსიკოგრაფიული მუშაობის პრაქტიკაში. ლექსიკონი მოიცავს ცნობებს მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების: კომპოზიტორების, შემსრულებლების, მუსიკისმცოდნეების შესახებ. ამასთანავე, გარკვეული სტატიები ეძღვნება მსოფლიო მუსიკის ისტორიას, მუსიკის თეორიის ძირითად ცნებებს, ტერმინებს და სამუსიკო საკრავებს. ცხადია, რომ სათანადო ადგილი ეთმობა ქართული მუსიკალური ხელოვნების საკითხებს უძველესი დროიდან დღემდე. ლექსიკონში ქართველ მუსიკოსთა შერჩევისას გათვალისწინებულია, პირველ რიგში, მათი დამსახურება მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში და ნაწილობრივ, ის საპატიო წოდებებიც (სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი), რომლებსაც ათეული წლების მანძილზე ანიჭებდნენ მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. პერსონალური ნომინაციითაა წარმოდგენილი ის ახალგაზრდა მუსიკოსები - სხვადასხვა პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები,რომელთაც აღიარება მოიპოვეს არა მარტო ჩვენ ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულია სხვადასხვა დროს გამოცემული შრომები, როგორებიცაა: ი. კარგარეთელის „მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია" (თბ., 1933), თ. დაფქვიაშვილის „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი" (თბ., 1971), ა. ყიფშიძის და გრ. ჩხიკვაძის „მუსიკალური ლექსიკონი" (თბ., 1971), რ. ქუთათელაძის და მ. ჯაფარიძის „ქართული

მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (თბ. 2015), ა. ყიფშიძის „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი” (თბ. 1985), მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" (თბ. 1989), თბილისი, ენციკლოპედია (2002), „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის” მრავალტომეული (1975-1984), რომელშიც თავმოყრილია დიდძალი მასალა მუსიკალური ხელოვნების შესახებ, გამოყენებულია ასევე უცხოურ ენებზე არსებული სხვადასხვა სამუსიკო ლექსიკონისა თუ ენციკლოპედიის, პრაქტიკული გამოცდილებაც. „***მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი***” განკუთვნილია როგორც პროფესიონალი მუსიკოსებისათვის, ასევე მუსიკის მოყვარულთა ფართო წრეებისათვის. მკითხველთა შენიშვნები მადლიერების გრძნობით იქნება მიღებული.

მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის ძირითადი შემოკლებანი

ავსტრ. – ავსტრიელი, ავსტრიული

აკად. – აკადემიის, აკადემიური

ამერ. – ამერიკული

ანტ. – ანტიკური

აღმ. –აღმოსავლეთი, აღმოსავლური

ახ. – ახალი

ახლანდ. – ახლანდელი

ბერძ.– ბერძნული

განყ. – განყოფილება

გერმ. – გერმანული, გერმანიის

დაამთ. –დაამთავრა

დამს. – დამსახურებული

დას. – დასავლეთი

დრამ. –დრამატული

ევრ. – ევროპული, ევროპის

ეროვნ. – ეროვნული

ესპ. – ესპანური

თავ-რე – თავმჯდომარე

თბ. – თბილისის

თეატრ. – თეატრალური

თსუ - თბ. სახელმწ. უნ-ტი

ინგლ. – ინგლისური

ინსტრუმ. – ინსტრუმენტული

ინ-ტი – ინსტიტუტი

ისტ. – ისტორიული

იტალ. –იტალიის, იტალიური

იხ. – იხილე

კლ. – კლასი

კომ. –კომიკური

კომპ. – კომპოზიტორი

კონს. – კონსერვატორია

კფ. – კინოფილმი

ლათ. – ლათინური

ლირ. – ლირიკული

ლიტ. – ლიტერატურული

მაგ. – მაგალითად

მეცნ. – მეცნიერებათა

მთ. – მთავარი

მნ. – მნიშვნელოვანი

მნ-ბა – მნიშვნელობა

მონუმ. – მონუმენტური

მოსკ. – მოსკოვის

მუს. – მუსიკალური

მ. შ. – მათ შორის

მხატვ. – მხატვრული

ნაწ. – ნაწარმოები

ორიგინ. – ორიგინალური

ორკ. – ორკესტრი

ოქტ. – ოქტავა, ოქტავის

პედ. – პედაგოგიური

პოლიფ. – პოლიფონიური

პოლ. – პოლონური

პროფ. – პროფესორი

პროფეს. – პროფესიული

რელიგ. – რელიგიური

რ-იც – რომელიც

რომანტ. – რომანტიკული

რ-ნი – რაიონი

რუს. – რუსული

ს. – საუკუნე

საეკლ. – საეკლესიო

საერთაშ. – საერთაშორისო

საზ. – საზოგადო

საზ-ბა – საზოგადოება

საკომპ. – საკომპოზიციო

სამეცნ. – სამეცნიერო

სამხ.–სამხატვრო

სას. – სასულიერო

საფ.–საფორტეპიანო

საფრ. – საფრანგეთის

საქ.– საქართველოს

სახ. – სახალხო, სახელობის

სახელმწ .– სახელმწიფო

სიმფ. – სიმფონიური

სპეც. – სპეციალური

სს. – საუკუნეები

სოფ. – სოფელი

უნგრ. – უნგრული

უნ-ტი – უნივერსიტეტი

ფაკ-ტი – ფაკულტეტი

ფილოს. – ფილოსოფიური

ფ-ნო – ფორტეპიანო

ფრანგ. – ფრანგული

ქართ. – ქართული

ქრისტ. – ქრისტიანული

შემ. – შემოქმედება

შემს.–შემსრულებელი

ცენტრ.–ცენტრალური

ჩრდ. – ჩრდილოეთი

ძვ.–ძველი

ხალხ.–ხალხური

ხე-ლი–ხელმძღვანელი

ხელოვნ.–ხელოვნების

ჰარმ.–ჰარმონიული

ა



აბადო (Abbado) კლაუდიო [26. VII. 1933, მილანი,–20. I. 2014, ბოლონია], იტალიელი დირიჟორი და პიანისტი. დაამთ. მილანის კონს. 1969-იდან თეატრ „ლა სკალას“ დირიჟორი, შემდეგ კი სამხ. ხე-ლი (1986-მდე). ერთდროულად-1971-იდან ვენის ფილარმონიის, ხოლო 1979-88 ლონდონის სამეფო ორკესტრის მთ. დირიჟორი. 1986-91 ვენის სახელმწ. ოპერის სამხ. ხე-ლი. 1989-2002 ბერლინის ფილარმონიული ორკესტრის მთ. დირიჟორი და სამხ. ხე-ლი. 1991 ვენაში დააარსა კომპოზიტორების საერთაშორისო კონკურსი, 1994-იდან „ზალცბურგის საადღვომო ფესტივალის სამხ. ხე-ლი, გამოირჩევა ფართო რეპერტუარით, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა XX ს-ის მუსიკას. მას მიენიჭა I პრემია დ. მიტროპულოსის საერთაშორისო კონკურსზე (ნიუ-იორკი, 1963).

აბენდროთი (Abendroth) ჰერმან [19. I. 1883, მაინის ფრანკფურტი, – 29. V. 1956, იენა], გერმანელი დირიჟორი. 1903-იდან მიუნხენის, ლიუბეკის, ესენის, კიოლნის, ბერლინის ორკესტრების დირიჟორი. 1919-იდან კიოლნის კონს-ის პროფესორი და დირექტორი. 1934-45 ლაიფციგის კონს-ის რექტორი და „გევანდჰაუსის“ ორკესტრის ხე-ლი. 1945-იდან ვაიმარში „გენერალ-მუზიკ-დირექტორი“, მოგვიანებით ლაიფციგისა და ბერლინის რადიოს–ორკესტრების მთ. დირიჟორი. ცნობილი იყო როგორც ბეთჰოვენის, ბრამსის, ბრუკნერის და სხვათა ნაწარმოებების ინტერპრეტატორი. ხელოვნებათა გერმანული აკადემიის (გდრ) წევრი. გასტროლებს მართავდა მრავალ ქვეყანაში.

აბრევიატურა (იტალ.,abbreviatura- შეკვეცა, შემოკლება), 1. მუსიკაში-ნიშნები, რომლებსაც იყენებენ სანოტო დამწერლობაში, მუსიკის ჩაწერისა და წაკითხვის გასაადვილებლად. 2. სანოტო დამწერლობაში მიღებული შემოკლება.

აბსოლუტური სმენა, სმენით ცალკეული ბგერის სიმაღლის გამოცნობის ან წარმოთქმის უნარი.

აგოგიკა (ბერძნ. agoge -წაყვანა, წაღება), მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას მხატვრული გამომსახველობის გასაძლიერებლად ტემპის ან მეტრის უმნიშვნელო შეცვლა (აჩქარება ან შენელება).

ადამ დე ლა ჰალი (Adam de la Halle) [დაახლ. 1240-1285-88 შორის], ფრანგი პოეტი, დრამატურგი, კომპოზიტორი. XIII ს-ის ქალაქური მუსიკალური კულტურის გამოჩენილი

წარმომადგენელი, ერთ-ერთი უკანასკნელი ტრუვერი. ავტორია საერო თეატრალიზებული წარმოდგენისა-„თამაში რობენსა და მარიონზე“ (დაახლ. 1283), რომელიც გაჯერებული იყო მუსიკით (სიმღერებით, ცეკვებით). პირველმა დაიწყო მრავალხმიანი საერო ვოკალური ნაწარმოებების წერა.

ᲐᲓᲐᲜᲘ (Adam) ადოლფ შარლ [24. II. 1803, პარიზი,–3. V. 1856, იქვე], ფრანგი კომპოზიტორი. ა. ბუალდიეს მოწაფე. მან მიიღო რომის პრემია (1825, დაამკვიდრა რომანტიკული მიმდინარეობა ფრანგულ ბალეტში: „ჟიზელი, ანუ ვილისები“(1841), „კორსარი“ (1856, ორივე პარიზში) და სხვ. ავტორია 40-ზე მეტი ოპერისა, რომელთა შორისაა „ფოსტალიონი ლონჟიუმოდან“ (1836, პარიზი). 1839-40 ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც დაწერა ბალეტი „მეკობრე“. 1849-იდან პარიზის კონს-ის პროფესორი იყო.

ᲐᲓᲐᲯᲔᲢᲝ (იტალ. Adagietto), ადაჯოზე უფრო ნელი ტემპი.

ᲐᲓᲐᲯᲝ (იტალ. adagio-ნელა, დინჯად), 1. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი. 2. ასეთი ტემპით შესასრულებელი მუს. ნაწარმოები ან მისი ნაწილი (ჩვეულებრივ, ერთ-ერთი შუა ნაწილი სიმფონიისა, კვარტეტისა, სონატისა და სხვ.) 3. ბალეტში ნელი, ლირიკული ცეკვა.

ᲐᲓᲝᲠᲜᲝ (Adorno. ვიზენგრუნდი) თეოდორ [11. IX. 1903, მაინის ფრანკფურტი,-6. VIII. 1969, ბრიგი, შვეიცარია], გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, მუსიკისმცოდნე, კომპოზიტორი. ა. ბერგის მოწაფე (კომპოზიცია). 1931-33 ფრანკფურტის უნ-ტის დოცენტი. 1934-იდან ცხოვრობდა ინგლისში, 1938-იდან აშშ-ში. 1949 დაბრუნდა მაინის ფრანკფურტში (გფრ), მუშაობდა უნ-ტში (1956-იდან პროფ.) კონსულტაციებს უწევდა თ. მანს რომან „დოქტორ ფაუსტუსზე“ მუშაობის დროს. მისი კულტურის ფილოსოფია უკავშირდება ფ. ნიცშესა და ო. შპენგლერის ფილოსოფიას. „ახალი მუსიკის“ ფილოსოფიურ-ესთეტიკური კონცეფცია, რომელშიც ა. ორიენტირებულია ძირითადად „ვენის ახალი სკოლის“ კომპოზიტორების შემოქმედებაზე, დაკავშირებულია მასობრივი სტანდარტიზებული მუს. კულტურის კრიტიკასთან. ა-ს კრიტიკა მიმართულია როგორც ავანგარდიზმისა და კომერციული „მასობრივი“ ხელოვნების, ისე იმ კომპოზიტორების წინააღმდეგ, რომლებიც უარს არ ამბობენ ტონალურ აზროვნებაზე (პროკოფიევი, ჰინდემითი, სტრავინსკი). ა-ს შრომებმა გავლენა მოახდინეს თანამედროვე სოციოლოგიაზე, ესთეტიკაზე, მუსიკისმცოდნეობაზე. ავტორია მთელი რიგი შრომებისა („ახალი მუსიკის ფილოსოფია“ გერმ. ენაზე 1949) და მუს. ნაწარმოებებისა.

ᲐᲔᲓᲝᲡᲘ (ბერძ. aoidos -მომღერალი), სახალხო მთქმელი ძვ. საბერძნეთში. ა-ბი ქმნიდნენ და თვითონვე ასრულებდნენ ეპიკურ სიმღერებს ფორმინგის ან კითარის თანხლებით. თემათა ოსტატურად გამეორება, სპეც. ეპიკური ენის და ფორმირების ცოდნა ა-ებს იმპროვიზაციას უადვილებდა. ა. დაგვიხატა ჰომეროსმა „ოდისეაში” ფემიოსისა და უსინათლო დემოდოკეს სახით.

ავანგარდიზმი–XX ს-ის II ნახევრის სხვადასხვა მუსიკალურ-შემოქმედებითი მიმდინარეობის პირობითი სახელწოდება. ავანგარდიზმის მიმდევრები მკვეთრად უპირისპირდებიან მუსიკალური ხელოვნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნორმებს, ისწრაფვიან მისი საფუძვლების რადიკალური შეცვლისაკენ.

ა. ისტორიულად მომზადებულია XX ს-ის I ნახევრის ზოგიერთი მიმდინარეობით (ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი, აბსტრაქციონიზმი, სიურრეალიზმი). ვენის ახალი სკოლის კომპოზიტორებმა კავშირი გაწყვიტეს ტონალურ ლოგიკასთან და მისდევდნენ ა. შონბერგის მიერ შემუშავებულ კომპოზიციის ე.წ. სერიულ სისტემას. ა-ის ამოსავალ პუნქტად 1950-იან წლებში გადაიქცა ამავე სისტემის ნაირსახეობა-პუანტილიზმი, რომელიც დაამკვიდრა ა. ვებერნმა. ამ გზას გაჰყვნენ ა-ის თვალსაჩინო წარმომადგენლები: კ.შტოკჰაუზენი, პ. ბულეზი, ი. ქსენაკისი და სხვ. სერიულობის რეგლამენტიზებულობას უპირისპირდება შემთხვევითობის პრინციპი (იხ. ალეატორიკა).

ა-ის სხვა ნაირსახეობები მომდინარეობს ფუტურიზმიდან (ლ. რუსოლო, ფ. პრატელა). მის განვითარებას ხელი შეუწყო მაგნიტური ჩაწერის გამოგონებამ და ელექტრონიკის ახალმა შესაძლებლობებმა. ამ სახის ექსპერიმენტების მასალად იქცა გარემომცველი სინამდვილის ხელოვნურად დეფორმირებული ბგერები (შ. შეფერი, პ. ანრი; იხ. კონკრეტული მუსიკა), ცნობილი საკრავების სპეციალურად შეცვლილი ბგერები (ჯ. კეიჯი), ელექტრონული სინთეზატორების შემწეობით შექმნილი ახალი ტემბრები და ტემბრული შეხამებები (კ. შტოკჰაუზენი, ჰ. ეიმერტი, ლ. ბერიო და სხვ. იხ. ელექტრონული მუსიკა). ა-ის ერთ-ერთი უმთავრესი საერთო ტენდენციაა მუსიკის ინტონაციურ-აზრობრივი ბუნების შენაცვლება ცალკეულ ხმოვანებათა თვითკმარი ეფექტებით.

ა. არაერთგვაროვანია როგორც ფორმალურ-ტექნოლოგიური, ისე იდეური თვალსაზრისით (მაგ. ლ. ნონო-იტალიური კომპარტიის წევრი თავის შემ-ში გამოკვეთს თანამედროვეობის მძაფრ პოლიტიკურ პრობლემებს). მთელი თავისი უკიდურესობებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ავანგარდული ექსპერიმენტების პროცესში მოპოვებული ცალკეული ხერხები შევიდა თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკის არსენალში და განსხვავებულ კონტექსტში (მაგ. კინომუსიკაში) ჩართვისას მხატვრულად გამართლებულია.

ა-ის გავლენა მეტ-ნაკლებად განიცადა თანამედროვეობის მრავალმა კომპოზიტორმა. თანმიმდევრულად ავანგარდულია ზემოხსენებული კომპოზიტორების გარდა, რუსი კომპოზიტორების ე. დენისოვისა და ს. გუბაიდულინას, ნაწილობრივ, ა. შნიტკეს შემოქმედება.

ქართულ მუსიკაში ა-ის გავლენამ თავი იჩინა 70-იანი წლებიდან ნ.სვანიძისა და ნ. მამისაშვილის, ხოლო ყველაზე მკაფიოდ და თანმიმდევრულად–თ. ბაკურაძისა და მ. შულლიაშვილის, აგრეთვე, ნაწილობრივ, ახალგაზრდა კომპოზიტორების მ. ადამიას, ე. ჭაბაშვილის, მ. ვირსალაძის შემ-ში. საქ-ში ავანგარდისტი კომპოზიტორების მუსიკის ცნობილი შემსრულებლები არიან პროფ. ნ. ხუბუტია და პიანისტი და მუსიკისმცოდნე ნ. ჟვანია.

ავანსცენა (ფრანგ. avant-scene), სათეატრო სცენის ნაწილი ორკესტრსა და ფარდას შორის

ავე მარია (ლათ. Ave-Maria-გიხაროდენ, მარიამ), კათოლიკური ლოცვა „იხარე მარია“. პოპულარულია ფ. შუბერტის „ავე მარია".

ავლოსი (ბერძ. avlos), უძველესი ჩასაბერი მუსიკალური საკრავი ძვ. საბერძნეთსა და წინა აზიაში.

აზარაშვილი ვაჟა შალვას ძე [13. VII. 1936, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1988), საქ. სახელმწიფო (2003), ი. გოგებაშვილის სახ. (1998), ზ. ფალიაშვილის სახ. (2006), შ. რუსთაველის სახ. (2013) პრემიების ლაურეატი, სანკტ-პეტერბურგის საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (2003). ა-ის ვარსკვლავი გაიხსნა თბ. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (2011). თბილისის (1999), ბორჯომის (1996) და ახალციხის (2013) საპატიო მოქალაქე.

1961 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ი.ტუსკიას საკომპ. კლ.), 1964 ასპირანტურა (ი. ტუსკიას და ა. ბალანჩივაძის საკომპ. კლ.), 1971 -დან თბ. კონს-ის პედაგოგია (1983 -იდან პროფ.), 1997-2008 საქ. კომპ. კავშირის თავმჯდომარე.

ძირითადი ნაწარმოებებია: ბალეტი „ხევისბერი“ (1982), 7 ოპერეტა: „მეცხრე ტალღა”, „შვიდნი ძმანი გურჯანელნი”, „ბიჭუნა”, „ცეკვის მასწავლებელი”, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი”, „კახელები ბამზე”, „მეჩექმე გაბო”, ყველა დაიდგა. 3 სიმფონია (1964, 1986, 2006). კონცერტები: 3 კონცერტი ვიოლინოსათვის, საფ. კონცერტები ფლეიტის, ჩელოსათვის, ალტისათვის და საყვირისათვის, დიდი სიმფ. ორკესტრისათვის, საორკესტრო პიესები მ.შ. „ნოქტიურნი” და სხვ. ვოკალური ციკლები შ. ნიშნიანიძის, ი. გრიშაშვილის, თ. ტიუჩევის, მ. ფოცხიშვილის, ნიზამის, მ. დანგაძის, ტ. ჭანტურიას, ა. კალანდაძის ლექსებზე. საფ. კვინტეტი, 2 სიმებიანი კვარტეტი, კვინტეტი სასულე საკრავებისათვის, საფ. ტრიო, სონატა ვიოლინოსა და ფ-ნოსათვის, 2 სონატა ჩელოსა და ფ-ნოსათვის, სონატა ჩელოსათვის-სოლო, 2 ვიოლინოსა და ფ-ნოსათვის, ვიოლინოსათვის-სოლო, 2 ალტისათვის, ფ-ნოსათვის 4 ხელში, კლარნეტისა და ფ-ნოსათვის, ფლეიტისა და ფ-ნოსათვის, სონატინა ფ-ნოსათვის, ძველი თბილისის სურათები სიმებიანი კვარტეტისათვის, მუსიკა თეატრებისა და კინოფილმებისათვის. სიმღერები: „დაუბერებელი ტანგო”, „ისევ წვიმს“, „მზე ჩემი მეგობარია“, „დინამო, დინამო“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, „დღეები მიდიან“, „პატარა გოგო“, „საქართველო”, „ხევსურული ბალადა“, „დრო სათაყვანო“, „ძმაო, გაშალე მარჯვენა“, „ქსოვრელები მღერიან”, „არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე”, „მაშ გამარჯობა”, „მუსიკა” და სხვ.



აზმაიფარაშვილი გივი ვასილის ძე [1. IX. 1930, თბილისი, –27. IV. 2003, იქვე], ქართველი დირიჟორი, საქ. სახ. არტისტი (1983), პროფესორი (1976). დაამთ. თბ. კონს. როგორც პიანისტმა (1955) და პეტერბურგის კონს-ის სადირიჟორო განყოფილება (პროფ. ნ. რაბინოვიჩის ხელმძღვანელობით 1960). 1960-იდან მუშაობს დირიჟორად, 1974-81–მთ. დირიჟორად თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. განახორციელა მრავალი დადგმა. იყო საქ. სახელმწ. კამერული ორკესტრის პირველი სამხ. ხე-ლი და დირიჟორი (1963), თბ. კონს-ის პედაგოგი (1968-დან), 1982-იდან საქ. ტელერადიოკორპორაციის სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი. გასტროლებს მართავდა საქ. და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

თ. კვირიკაძე

აზმაიფარაშვილი ზაზა გივის ძე [16.VI.1962, თბილისი], ქართველი დირიჟორი. 1985 დაამთ. თბ. კონს-ის საგუნდო–სადირიჟორო განყოფილება. 1991 ს. –პეტერბურგის კონს-ის საოპერო–სიმფონიური დირიჟორობის განყოფილება პროფ. ი. ტემირკანოვის ხე-ლით. 1985-2004 ა. მუშაობდა საქ. ტელერადიო კორპორაციის სიმფ. ორკესტრის დირიჟორად, 1991-იდან თბ. კონს-ის საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგია, 2004-2009 იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორი. ა. ს.–პეტერბურგის ს. პროკოფიევის სახ. დირიჟორთა საერთაშ. კონკურსის ლაურეატია (II პრემია 1995). 1997-იდან პერიოდულად დირიჟორობს საქართველოს, ს.– პეტერბურგისა და მოსკოვის დიდი სიმფ. ორკესტრების კონცერტებს. უკანასკნელ ხანებში თბილისის საოპერო თეატრში განხორციელებული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ვერდის ოპერები: „მაკბეტი“, „აიდა“, „ტრუბადური“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და სხვ.

აზმაიფარაშვილი შალვა ილიას ძე [25. XII. 1902 (7.I.1903), თბილისი,–17.V. 1957, იქვე], ქართველი დირიჟორი და კომპოზიტორი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1930 დაამთ. თბ. კონს. საორკესტრო (პროფ. ა. ილინსკის კლ.), საკომპოზიციო (პროფ. ს. ბარხუდარიანის კლ.) და სადირიჟორო (პროფ. მ. ბაგრინოვსკის კლ.) განხრით, 1933-ასპირანტურა (სადირიჟორო) პროფ. ა. გაუკისა და ე. მიქელაძის ხელმძღვანელობით. 1923-28 უკრავდა სასულე და სიმფ. ორკესტრებში. 1932-იდან იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, ხოლო 1938-52 მთ. დირიჟორი. 1943-53 ხელმძღვანელობდა საქ. რადიოს სიმფ. ორკესტრს. ა-ის ხელმძღვანელობით დაიდგა მრავალი ქართული ოპერა.

ა-ის ნაწარმოებებია: სიმფ. პოემა „ყვარლის მთებს“ (1939), საორკესტრო სიუიტა „ძველი თბილისის სურათები“ (1941), სიმფონია (1945), ვოკალურ-სიმფ. პოემა „ქართლი“ (1946), ოპერა „ხევისბერი გოჩა“ (1951), მუს. კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (1952) და სხვ.

თ. კვირიკაძე



აზნავური (Aznavour) შარლ (ნამდვილი სახელი და გვარი ვაღინაგ აზნავურიანი) [22. V. 1924, პარიზი,-01. X. 2018, პარიზი], ფრანგი შანსონიე, კომპოზიტორი, კინომსახიობი. დაიბადა საქართველოდან (ახალციხე) წასული სომეხი ემიგრანტების ოჯახში. გამოსვლები დაიწყო 40-იანი წლებიდან, ავტორია სიმღერებისა და მუსიკისა კინოფილმებისათვის. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილია ფრანგული დოკუმენტური ფილმი „მღერის აზნავური“ (1973). მართავდა გასტროლებს. უკანასკნელი წლები ცხოვრობდა შვეიცარიაში. ა-ს ვარსკვლავი გაიხსნა ახალციხის ციხის ტერიტორიაზე 2012.

ათანელი (ათანელიშვილი)ვლადიმერ (ლადო) ირეოდის ძე [9.IX.1964, დედოფლისწყარო],

ქართველი მომღერალი (ბარიტონი), ფ. ვინიასის სახ. ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (1991, ბარსელონა, I პრემია და გრან პრი). 1989 დაამთ. თბ. კონს. (ჯ. ლორთქიფანიძის კლ.). 1989-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. აქვს ძლიერი, ლამაზი ტემბრის, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა. შეასრულა რენატოს, ჟერმონისა და მონტანოს (ვერდის „ბალ-მასკარადი“, „ტრავიატა“, „ოტელო“), ფიგაროს (როსინის „სევილიელი დალაქი“), მურმანის (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“) პარტიები (კონსულტანტი პროფ. ნ. ანდღულაძე), რეპერტუარში აქვს მრავალი კლასიკური საოპერო პარტია, აგრეთვე პ. ჩაიკოვსკის, ს. პროკოფიევის, ს. რახმანინოვის, ფ. შუბერტის, რ. შუმანის, ი. ბრამსის, მ. რაველისა და თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა კამერული ვოკალური ლირიკის ნიმუშები. 1993-იდან ცხოვრობს და წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ (გერმანია), გამოდის ათანელის ფსევდონიმით მსოფლიოს ცნობილი საოპერო თეატრების სცენაზე.(„ლა სკალა“–1997 -იდან, ვენის „შტატსოპერა“–1998, პარიზის ბასტილიის თეატრი–2000, ლონდონის სამეფო თეატრი–2003, „მეტროპოლიტენ-ოპერა“ –2003, ვაშინგტონის საოპერო თეატრი-2005 და სხვ). გარდა ფ. ვინიასის კონკურსისა არის კიოლნის, ვენის საერთაშ. კონკურსების გამარჯვებული. თანამშრომლობს გამოჩენილ დირიჟორებთან (რ. მუტი, ჯ. ლევაინი, ს. ოძავა, კ. ტილემანი და სხვ.) და მომღერლებთან (პ. დომინგო და სხვ.). შესრულებული აქვს 35 საოპერო პარტია.2011 მიენიჭა შ. რუსთაველის სახ. პრემია. 2017 თბ. ოპერის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახ. ვარსკვლავი.

გ. ტორაძე

აივზი (Ivez) ჩარლზ [20. X. 1874, დანბერი, კონექტიკუტის შტატი,–19.V.1954, ნიუ-იორკი], ამერიკელი კომპოზიტორი. 1889-1902 მუშაობდა ორგანისტად სხვადასხვა ეკლესიაში. 1907-29 ხელმძღვანელობდა სადაზღვეო სააგენტოს ნიუ-იორკში, თავისუფალ დროს კომპოზიციას უთმობდა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (1927) მუსიკას აღარ წერდა. ფართო აღიარება სიკვდილის შედეგ მოიპოვა. ევროპული ტრადიციებისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავა თავისებური საკომპოზიტორო სტილი. ამერიკული სიმღერებისა და ჰიმნებისადმი მიმართვით შექმნა პოპულარული და პროფესიული მუსიკის ორიგინალური სინთეზი. იყენებდა ნოვატორულ ხერხებს, რომლებიც ხშირად წინ უსწრებდა დას. ევროპის კომპოზიტორთა ძიებებს, მათ შორის–მეოთხედტონიან სისტემას, სერიულ ტექნიკას, პოლიტონალობას, პოლირიტმიას, ალეატორიკას, კოლაჟს და სხვ.

აითიში, აკინთა პოეტური შეჯიბრება ყირგიზეთსა და ყაზახეთში, ხალხური პოეტური და მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი სახეობა. დამკვიდრდა XIX ს-ში, წააგავს ქართულ კაფიაობას.

აკაპელა (იტალ. a cappella), მრავალხმიანი საგუნდო ნაწარმოები, რომელიც სრულდება მუსიკალურ საკრავთა თანხლების გარეშე. ა. ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების მიწურულს საკულტო პოლიფონიაში. ქართული ხალხური საგუნდო სიმღერა უპირატესად ა-ით სრულდება. ქართულ პროფესიულ მუსიკაში იგი XX ს. 10-იან წლებში მკვიდრდება (ნ. სულხანიშვილის

საგუნდო ნაწარმოებები).

აკინი, სახალხო მგოსანი, მომღერალ-იმპროვიზატორი ყაზახეთსა და ყირგიზეთში. ხალხური სიმღერების შემსრულებლი ჟირშისგან განსხვავებით. ა. თვითონ თხზავს ლექსებს, უწყობს ჰანგს და ამღერებს დომბრაზე. ა-ები დადიოდნენ აულიდან აულში, სიმღერებში ამხელდნენ ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს, უმღეროდნენ ხალხის საყვარელ გმირებს.ა-ებს შორის ხშირად იმართებოდა პოეტრი შეჯიბრება-აითიში. ჩვენ დროში ა-თა შემოქმედება დაიხვეწა ფორმითაც და შინაარსითაც.

აკოლადა (ფრანგ. accolade), ფრჩხილი (კავი), რომელიც აერთიანებს რამდენიმე სანოტო სისტემას (საფორტეპიანო, კამერულ ნაწარმოებებსა და პარტიტურას).

აკომპანემენტი (ფრანგ. accompagnement), მუსიკა, რომელიც თან ახლავს და ჰარმონიულად ავსებს სოლო პარტიას; ძირითადი თემის, მუსიკალური ნაწარმოების მელოდიის თანმხლები მუსიკა.



აკორდეონი (ფრანგ. accordeon), გარმონისა და ბაიანის ტიპის ენაკიანი საკრავი, რომელსაც მარჯვენა ხელისათვის საორგანო კლავიატურა აქვს დატანებული, მარცხენა ხელის საშუალებით იძლევა მზად შეწყობილ სამხმოვანებასა და დომინანტსეპტაკორდს. იგი ხმას გამოსცემს საკრავის გაწელვით. ა. შექმნა 1829 წელს ავსტრიელმა კ. დემიანმა.

აკორდი (იტალ. accordo –შეთანხმება), სხვადასხვა სიმაღლის სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული, შეხმატკბილებული ჟღერადობა. აკორდებს განასხვავებენ იმის მიხედვით, თუ რამდენ ბგერას შეიცავენ ისინი და რა ინტერვალებით არიან ეს ბგერები დაშორებული ერთმანეთს. აკორდი განლაგებულია ტერციებად, მის ბგერებს ეწოდება: პრიმა, ტერცია, კვინტა, სეპტიმა და ა.შ. აკორდის ძირითადი სახეობებია: სამხმოვანება (3 სხვადასხვა ბგერისაგან შემდგარი აკორდი), სეპტაკორდი (ოთხბგეროვანი), ნონაკორდი (ხუთბგეროვანი), უნდეციმაკორდი (ექვსბგეროვანი). სამხმოვანება შეიძლება იყოს მაჟორული (დ. 3 + პ. 3), მინორული (პ. 3 + დ. 3), შემცირებული (პ. 3 + პ. 3) და გადიდებული (დ. 3 + დ. 3). სამხმოვანებაზე ზემოდან პატარა ან დიდი ტერციის დამატება ქმნის სეპტაკორდს.

აკორდის ბგერების გადანაცვლებას, რომელიც ძირითადი ტონის ერთ-ერთ მაღალ ხმად გადასვლას იწვევს, შებრუნება ეწოდება. სამხმოვანებას 2 შებრუნება აქვს (სექსტაკორდი და კვარტსექსტაკორდი). სეპტაკორდს–3 (კვინტსექსტაკორდი, ტერცკვარტაკორდი, სეკუნდაკორდი). ნონაკორდისა და უნდეციმაკორდის შებრუნებებს დამოუკიდებელი სახელწოდებები არა აქვთ.

აკუსტიკა (ბერძ. akustikos-სმენისა), 1. სმენადობის ხარისხი ამა თუ იმ შენობაში. 2. მუს.-მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მუსიკის ობიექტურ და ფიზიკურ კანონზომიერებებს, მის შესრულებასა და აღქმასთან მიმართებას. იგი იკვლევს მუს. ბგერათა სიმაღლეს, სიმღერის ტემბრსა და გრძლიობას, კონსონანსსა და დისონანსს, მუს. თეორიაში ა. ჩაისახა ანტიკურ ხანაში და დღემდე ვითარდება, როგორც მეცნიერება.

ალბა (პროვანსული Alba –განთიადი), ტრუბადურების პოეზიაში დილის სიმღერა.

ალბენისი (Albeniz) ისააკ მანუელ ფრანსისკო [29. V. 1860, კამპროდინი, კატალონია, –18.V.1909, კამბო-ლე-ბენი, საფრ.], ესპანელი კომპოზიტორი და პიანისტი, ახალი ესპ. მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. კონცერტებს მართავდა ევრ. ქვეყნებში, ამერიკაში. სწავლობდა ა. მარმონტელთან, ფ. ლისტთან (ფ-ნო), ფ. გევარტთან, ფ. პედრელთან (კომპ.). 1894-იდან ცხოვრობდა პარიზში, დაახლოებული იყო კ. დებიუსისთან, კომპოზიციაში მეცადინეობდა პ. დიუკასთან და ვ. დ' ენდისთან.

ერთ-ერთმა პირველმა თავის შემოქმედებას საფუძვლად დაუდო ესპ. ხალხ. მუსიკა, მისი საცეკვაო და სასიმღერო ინტონაციები. ცენტრალური ადგილი უკავია საფ. ნაწარმოებებს (300-მდე): „ესპანური სიუიტა“ (1886), „ესპანეთი“ (1890), 2 ესპ. ცეკვა, „ესპანური ჰანგები“ (5 პიესა), „იბერია“ (12 პიესა 1905-1909). სხვა ნაწარმოებებია: 4 ოპერა („პეპიტა ხიმენესი“, 1889 წ. და სხვ.), სარსუელა „ანტონიუს ფლორიდელი“ (1894), საორკესტრო რაფსოდია „კატალონია“ (1899).

ალეატორიკა, (ლათ. alea, სათამაშო კოჭი, შემთხვევითობა), XX ს-ის მუსიკალური კომპოზიციის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მუსიკალური ტექსტის მობილურობას (დაუფიქსირებულობას). მისი საფუძველია შემთხვევითობის პრინციპი შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესში. ა. თითქმის ერთდროულად (1950) წარმოიშვა გფრ-სა (კ. შტოკჰაუზენი) და საფრანგეთში (პ. ბულეზი). ალეატორიკულ ტექნიკას მრავალი თანამედროვე კომპოზიტორი იყენებს.

ალეგრეტო (იტალ. allegretto–ცოცხლად), 1. მუსიკალური ნაწარმოების ზომიერად ჩქარი (ალეგროზე უფრო ნელი) ტემპით შესრულება. 2. ამ ტემპით შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი.

ალეგრო (იტალ. allegro–მხიარული, მკვირცხლი), 1. მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი ტემპით შესრულება. 2. ამ ტემპით შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი (ჩვეულებრივ, სიმფონიის, სონატის პირველი ნაწილი).

ალექსანდროვი ალექსანდრე ვასილის ძე [1. IV. 1883, სოფ. პლახინო, რიაზანის გუბერნია,–8.VII. 1946, ბერლინი], რუსი კომპოზიტორი და საგუნდო დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი (1937), სსრკ სახელმწ. პრემია (1942, 1946). ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. მოსკოვის კონს-ის პროფესორი, გენერალ-მაიორი; საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ორგანიზატორი (1928) და ხე-ლი (შემდგომ მისი სახელი ეწოდა). მისი ნაწარმოებებიდან გამოირჩევა საგუნდო სიმღერა „საღვთო ომი“ (1941), რომელიც დიდი

სამამულო ომის მუსიკალურ ემბლემად იქცა, სსრკ ჰიმნი (1943)-2000-იდან რუსეთის ჰიმნი და სხვ.



ალექსიძე დიმიტრი (დოდო) ალექსანდრეს ძე [23.II. 1910, თბილისი,–4. XII. 1984, იქვე], დრამატული და საოპერო რეჟისორი, პედაგოგი, თეატრ. მოღვაწე. საქ. (1955), უკრაინის (1969) და სსრკ (1978) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1985) და ტ. შევჩენკოს სახ. (1970) პრემიების ლაურეატი. 1934 დაამთ. მოსკოვის ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნ. ინ-ტი. 1935-იდან იყო შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1959-64 მთ. რეჟისორი). 1964-70 მოღვაწეობდა კიევში ი. ფრანკოს სახ. აკად. თეატრში. 1970-იდან კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში დამდგმელ რეჟისორად. თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგა: გ. კილაძის „ბახტრიონი“ (1936), ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ (1961), ჯ. ვერდის „ოტელო“ (1979). 1939-64 და 1970-84 იყო თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის რეჟისურისა და აქტიორული ოსტატობის კათედრის გამგე, 1950-51 ინ-ტის დირექტორი. 1973-84 საქ. თეატრ. საზ-ბის თავმჯდომარე.

ალიაბიევი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე [4. VIII. 1787, ტობოლსკი, –22. II. 1851, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი. რუსული ლირ. რომანსის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ამ ჟანრში იგი გლინკას წინამორბედია. ა. ავტორია ოპერების, ბალეტის, ვოდევილის, 200-ზე მეტი სიმღერისა და რომანსის, რომელთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია „ბულბული“. ა. 1812 წლის ომის მონაწილეა. ერთხანს ცხოვრობდა კავკასიაში (30-იან წლებში). მას ეკუთვნის ნაწარმოებები კავკასიურ თემატიკაზე (ოპერა „ამალათ-ბეკი“, რომანსები „ქართული სიმღერა“, „ყაბარდოული სიმღერა“ და სხვ.).

ალიბეგაშვილი იანო (იანო თამარ) შოთას ასული [15. X. 1963, ყაზბეგი], ქართველი მომღერალი (სოპრანო). მუს. განათლება მიიღო თბ. კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში (ლ. ჭყონიას კლ.), სადაც 1980-იდან სწავლობდა თეორიულ, ხოლო 1982-იდან ვოკალურ განყოფილებებზე. 1984-იდან ეუფლება ვოკალურ ხელოვნებას თბ. კონს-ში (პროფ. იულია ფალიაშვილის კლ.). 1989-იდან თბ. საოპერო თეატრის სოლისტია (ამელია–ვერდის „ბალ-მასკარადში“, ტოსკა პუჩინის „ტოსკაში“), ამავე წელს პრემია მოიპოვა ფ. ვინიასის სახ. საერთაშ. კონკურსზე ბარსელონაში (ესპანეთი). 1991-იდან ცხოვრობს იტალიაში, ქ. ოზიმოში, სადაც გაიარა ვოკალური დაოსტატების კურსი ადგილობრივ ვოკალურ აკადემიაში (პროფ. მელანი). ფლობს იშვიათი სილამაზის ტემბრის ხმას. კონტრაქტებით მღერის ევროპის უდიდესი თეატრების სცენებზე მრავალფეროვანი რეპერტუარით (ძირითადად, ვერდის და პუჩინის, აგრეთვე ჰენდელის, მოცარტის, როსინის, ბელინის და სხვ. ოპერები). დებიუტი შედგა „ლა სკალაში“–1993(ვერდის „ფალსტაფი“

ალისას პარტია). თანამშრომლობს მსოფლიოს განთქმულ დირიჟორებთან და მომღერლებთან.

ალილო, ქართული საწესო სიმღერა, სრულდებოდა შობის წინა ღამეს. შეიკრიბებოდა რამდენიმე კაცი(სულ მცირე 3, რადგან სიმღერა სამხმიანია), ჩამოუვლიდა ყოველ ოჯახს და სიმღერით დღესასწაულს მიულოცავდა. მასპინძელი მომღერლებს სანოვაგით ასაჩუქრებდა(აუცილებლად უნდა გაეტანებინათ კვერცხი–სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლო). ა-ს ტექსტებში („ოცდახუთსა დეკემბერსა“, „ჩიტი ღობეზე შემოჯდა“, „წისქვილს პური დავარიგე“, და სხვ.) გამოთქმული იყო ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბარაქიანობის სურვილი. ა. მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ყველა კუთხეში თავისებურად ასრულებდნენ. სიმღერას წარმართული ჰანგი უდევს საფუძვლად; „ა.“, როგორც ჩანს, მოგვიანებით დაერქვა (ალილუისაგან). ვარაუდობენ, რომ საშობაო და სააღდგომო სიმღერების საერთო სახელწოდება უნდა ყოფილიყო ჭონა. [ლიტ: ქართ. ხალხ. სიტყვიერება (ქრესტომათია), შედგ. და გამოც. ქს. სიხარულიძის მიერ თბ. 1970].

ალილუია, ალელუია (ძვ.ებრ. ჰალელუია – აქებდეთ უფალს), იუდაიმზში უფლის სახოტბო შეძახილი, ქრისტიანულ ღვთის მსახურებაში საზეიმო საგალობელი ან მისი მისამღერი; სხვადასხვა ლოცვის ბოლოს დასართავი სიტყვა (ზოგ ლოცვას დაერთვის სამჯერ, ზოგ შვიჯერ და მეტჯერ). ქართულ ეკლესიაში იხმარება ძვ. დროიდან. როგორც სასიმღერო ტიპი გავრცელებულია პროფესიულ (კლასიკურ და თანამედროვე) მუსიკაში.

„ალი-ფაშა“, ქართული ხალხური (გურული) სიმღერა. იგი პოლიფონიური საგუნდო შემოქმედების კლასიკური ნიმუშია, ფართოდ განვითარებული მელოდიით, მდიდარი რიტმით, სამივე ხმის კონტრაპუნქტული მოძრაობის რთული ტექნიკით. სიმღერაში ასახულია ალი-ფაშას (თავდგირიძის) ღალატის ამბავი, 1877-78 რუსეთ-ოსმალეთის ომის ერთი ეპიზოდი. ა-ფ. რეალური პიროვნება იყო. ყირიმის ომის შემდეგ ქობულეთის ფაშობა მიიღო და ოსმალეთის მხარეს იბრძოდა. სიმღერის ტექსტს ერთი ვარიანტი არ გააჩნია, ზოგიერთ ტექსტში შეცვლილია ისტორიული ფაქტები.

ალტერაცია (ლათ. alteratio), მუსიკალური ბგერის ნახევარტონით ან მთელი ტონით ამაღლება ან დადაბლება. ალტერაციის ნიშნებია: დიეზი, ბემოლი, დუბლდიეზი, დუბლბემოლი, ბეკარი.

ალტი (იტალ. alto–მაღალი), 1. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა (მეცო-სოპრანო, კონტრალტო). 2. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი, ვიოლინოზე დიდი და მასზე დაბალი დიაპაზონისა. 3. სასულე ორკესტრის თითბრის ჩასაბერი საკრავი.

ალტის ჰობოი, ინგლისური ქარახსა, ჰობოის ჯგუფის ხის ჩასაბერი საკრავი, რომელიც ზომით ჰობოიზე დიდია, აქვს კონუსური ჭრილი, ორმაგი ენაკისა და ლერწმის ფირფიტების მოსათავსებელი მოღუნული მილი და გრძელი ნისკარტი. მსხლის



ფორმის ფართო ბოლო აყურსებს და თავისებურ, ცხვირისმიერ ხმოვანებას აძლევს საკრავს. ქარახსის ბგერები წმინდა კვინტით დაბლა ხმოვანებს. მისი დიაპაზონია მცირე ოქტ. მი-დან მეორე ოქტ. დო-მდე. ა.ჰ. წარმომდგარია მწყემსური საკრავებიდან, წაგავს სტვირს, ჭიბონს, დუდუკსა და უენო სალამურს.

ამატები (Amati), ხემიანი საკრავების ოსტატთა იტალიური ოჯახი (ქ. კრემონა, ჩრდ. იტალია). ანდრეა ამატი [დაახ. 1520-1580], კლასიკური ტიპის ვიოლინოს ერთ-ერთი შემქმნელია. მისმა შვილებმა ანდრეა ანტონიო [1540-1600 შემდეგ] და ჯიროლამო [1561-1630] ამატებმა განაგრძეს და განავითარეს მამის ხელობა. ჯიროლამოს ძე ნიკოლო [1596-1684], ამატების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ა. გვარნერისა და ა. სტრადივარის მასწავლებელი იყო. ამატების ვიოლინო კამერული ტიპისაა, გამოირჩევა დახვეწილი ფორმითა და ნაზი ჟღერადობით.

ამირანაშვილი მედეა პეტრეს ასული [10. IX.1930, თბილისი], ქართველი მომღერალი (სოპრანო). საქ. (1965) და სსრკ (1976) სახ. არტისტი. მ. გლინკას სახ. კონკურსის (1962, მოსკოვი), „მადამ ბატერფლაის“ საერთაშ. კონკურსის (1970, ოსაკა) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების ლაურეატი. ხელოვნების ქურუმი (2015). 1954 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ს. ინაშვილის კლ.). იმავე წელს შედგა მისი დებიუტი თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე (მარგარიტა, გუნოს „ფაუსტი“). ამის შემდეგ იგი ამ თეატრის წამყვანი სოლისტია, ფლობს ძლიერ, ლამაზი ტემბრის ხმას, ასრულებს სოპრანოს მთავარ პარტიებს: მარო, ეთერი, მარიხი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ლელა (რ. ლაღიძის „ლელა“), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ბატერფლაი, მიმი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“, „ბოჰემა“), ლეონორა, ვიოლეტა (ვერდის „ტრუბადური“, „ტრავიატა“), ელზა (ვაგნერის „ლოენგრინი“ და სხვ.) ფილმებში „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ჭრიჭინა“ ახმოვანებს ეთერს, მაროს და ჭრიჭინას პარტიებს. თბ. კონს-ის პედაგოგი, პროფესორი (1981), ქუთაისის საოპერო თეატრის სამხ. ხელი (1991-2007), გასტროლებს მართავდა მრავალ ქვეყანაში. ა-ის ხელოვნებამ ფართო აღიარება მოიპოვა. ა-ის მოწაფეებია: მისი შვილი მარინა ფარულავა(სოპრანო), მ. მაჩიტაძე, და ირინა რატიანი (სოპრანო)—საერთაშ. კონკურსის ლაურეატი და სხვ.

ა.-ზე გადაღებულია დოკ. კ/ფ „მღერის მედეა ამირანაშვილი“ (1985). 2016 თბილისის ოპერის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახ. ვარსკვლავი.

ამირანაშვილი პეტრე ვარლამის ძე [16.XI. 1907, სოფ. ნიგოითი, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი,–26. XI. 1976, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბარიტონი), საქ. (1943), სსრკ (1950) და სომხეთის (1974) სახ. არტისტი. სსრკ სახელმწ. (1947) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების ლაურეატი. 1930 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლ.). იმავე წლიდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საოპერო ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მის შემოქმედებას ახასიათებს ეროვნული თვითმყოფადობა,

მგზნებარე ტემპერამენტი და ვოკალურ-დრამატული განსახიერების სანიმუშო მთლიანობა.

აღსანიშნავია მისი პარტიები: ევგენი ონეგინი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ამონასრო, რიგოლეტო, დი-ლუნა, იაგო (ვერდის „აიდა“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ოტელო“), ესკამილიო (ბიზეს „კარმენი“), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი“), ტონიო (ლეონკავალოს „ჯაბაზები“), სკარპია (პუჩინის „ტოსკა“), კიაზო, მურმანი (ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ჩალხია (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“), გადაღებულია კინოფილმში „ქეთო და კოტე“ (თავადი ლევანი).

ა. წულუკიძე



ამირეჯიბი თენგიზ კონსტანტინეს ძე [30.IX.1927, თბილისი-9.III.2013, თბილისი], ქართველი პიანისტი. საქ. სახ. არტისტი(1982). პროფ. (1977). 1945 დაამთ. თბ. „ნიჭიერთა ათწლედი“ (პროფ. ა. თულაშვილის კლ.). 1950 დაამთ. მოსკოვის კონს. (კ. იგუმნოვისა და ლ. ობორინის კლასები). 1951 ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-3 მსოფლიო ფესტივალზე (ბერლინში) ა. საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. ა. თბ. კონს-ის ასპირანტურის (ხელმ. ა. თულაშვილი) დამთავრების შემდეგ ეწევა საშემსრულებლო და პედაგოგიურ (1951-იდან) მოღვაწეობას. ა. ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მუსიკოსი და პედაგოგია (1972-იდან კონს-ის საფ. კათედრის გამგეა). მისი აღზრდილები არიან ე. ბოლქვაძე, მ. დოიჯაშვილი, ა. კორსანტია, მ. ნადირაძე, თ. ლიჩელი, ნ. ასტახიშვილი, თ. გურევიჩი. ა-ის პიანისტური ხელოვნება გამოირჩევა არტისტიზმით, რომანტ. სულისკვეთებით. ფ. შოპენის ნაწარმოებთა ცნობილი შემსრულებელია. წარმატებით ეწევა ქართული მუსიკის პროპაგანდას (ს. ნასიძის I და II საფ. კონცერტების, რ. ლაღიძის „ტოკატის“ და სხვ. პირველი შემსრულებელია). საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1992).

გ. ტორაძე

ამფითეატრი (ბერძ. Amphitheatrion),1 ძვ. საბერძნეთსა და რომში: წრიული ან ნახევარწრიული უსახურავო ნაგებობა თანდათანობით ამაღლებული ადგილებით, სადაც იმართებოდა სხვადასხვა სანახაობა. 2 პარტერის უკან თანდათან ამაღლებული ადგილი.

ანანიაშვილი ნინო ვახტანგის ასული [28.VIII. 1963, თბილისი], ქართველი ბალერინა. საქ. (1983) და რუსეთის ფედერაციის (1995) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1992). ბალეტის-მსახიობთა ბულგარეთის (ვარნა, 1980, I პრემია, ოქროს მედალი), მოსკოვის IV საერთაშ. (1981, გრან-პრი) და V საერთაშ. (1985, I პრემია ოქროს მედალი), აშშ(ჯეკსონი, მისისიპის შტატი, 1986, გრან-პრი და ოქროს მედალი) კონკურსების ლაურეატი. რუსეთის დამოუკიდებელი პრემიის „ტრიუმფის“ მფლობელი (1993), იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის ორდენი (2011) და სხვ. 1973-77 სწავლობდა თბ. ვ. ჭაბუკიანის სახ. სახელმწ. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში (პედ. თ. ვიხოდცევა),

1981 დაამთ. მოსკოვის სახელმწ. ქორეოგრაფიული აკადემია (პედ. ნ. ზოლოტოვა). 1980-85 მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტია. 1985-2004 ამავე თეატრის პრიმა-ბალერინა, აგრეთვე ამერიკის საბალეტო თეატრის („ნიუ-იორკ –სიტი ბალე", ჯ. ბალანჩინის თეატრი), ინგლ. („კოვენტ-გარდენი"), დანიის სამეფო თეატრის და სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის მიწვეული პრიმა ბალერინაა.

ა-ის ცეკვისათვის დამახასიათებლია მომხიბვლელი უშუალობა, ჰაეროვნება, სინატიფე და ლამაზი დახვეწილი ფორმა. მაღალი ოსტატობით ასრულებს ოდეტა-ოდილიას, მაშას (პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა", „მაკნატუნა"), ფრიგიას (ა. ხაჩატურიანის „სპარტაკი"), ჩელიტას (ლ. მინკუსის „დონ კიხოტი"), ჟიზელის (ა. ადანის „ჟიზელი"), კონკიას, ჯულიეტას (ს. პროკოფიევის „კონკია", „რომეო და ჯულიეტა") და სხვა პარტიებს. გასტროლებს მართვას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2004-იდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი და სამხატვრო ხელმძღვანელია.

ანგემიტონიკა-ბგერათრიგი ნახევარი ტონის გარეშე, მაგ. (ანგემიტონური ტრიქორდი), (ტეტრაქორდი).

ანდანტე (იტალ. andante), ზომიერად ნელი ტემპი მუსიკაში; ამ ტემპით შესასრულებელი მუს. პიესა ან მისი ნაწილი. ა. სონატურ-სიმფონიური ციკლის II (ან სხვა) ნაწილის გავრცელებული ტემპია.

ანდანტინო (იტალ. andantino), მუსიკაში ზომიერი, ანდანტეზე რამდენადმე უფრო ჩქარი ტემპი; აგრეთვე ამ ტემპით შესასრულებელი მუს. პიესა ან მისი ნაწილი.

ანდერსონი (Anderson) მარიან [17, II, 1902, ფილადელფია,–8. IV.1993, პორტლენდი, ორეგონი], ამერიკელი მომღერალი (კონტრალტო). საკონცერტო ესტრადაზე მღერის 1925-იდან, საოპერო სცენაზე–1955-იდან. ა. პირველი ზანგი ქალია, რომელიც გამოვიდა „მეტროპოლიტენ-ოპერის" სცენაზე. XX ს.-ის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კამერული მომღერალი. გასტროლებს მართავდა მრავალ ქვეყანაში. მისი რეპერტუარი გამოირჩეოდა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით (მათ შორის იყო სოპრანოსათვის შექმნილი ნაწარმოებებიც). მოღვაწეობა შეწყვიტა 1965. „ასეთი მომღერლები იბადებიან 100 წელიწადში ერთხელ" (ა. ტოსკანინი).

ანდრიაშვილი აკაკი კირილეს ძე [4.XI. 1904, სოფ. ძველი გავაზი, ახლანდ. ახალსოფელი, ყვარლის რ-ნი,–27.V. 1992, თბილისი], ქართველი კოპოზიტორი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1933 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი). გაიარა ასპირანტურის კურსი პროფ. პ. რიაზანოვის ხელმძღვანელობით. დაწერილი აქვს ორი სიმფონია, საფ. კონცერტი, კვარტეტი, ოპერები: „კაკო ყაჩაღი" (1939), „ზვავი" (1960),

„ნანა“, „ოთარაანთ ქვრივი“, „მეგობრობა“, კომიკური ოპერა „ლაშქარა“ (1946), საბავშვო ოპერა „ჩხიკვთა ქორწილი“ (1953), სიმღერები, მუსიკა თეატრისათვის და სხვ. ა-ის ოპერებიდან განსაკუთრებული წარმატება ხვდა „კაკო ყაჩაღს“, რომელიც 6 წლის მანძილზე იდგმებოდა სცენაზე. დაიდგა ქუთაისშიც. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბ. და სიღნაღის მუს. სასწავლებლებში (იყო ამ უკანასკნელის დირექტორი).

ანდღულაძე დავით იასონის ძე [3.X.1895, სოფ. ბახვი. ოზურგეთის რ-ნი, –29. XI. 1973, თბილისი], ქართველი მომღერალი (დრამ. ტენორი), საქ. (1941) და სსრკ (1950) სახ. არტისტი, სსრკ სახელმწ. (1947) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1973) პრემიების ლაურეატი. 1925 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ე. ვრონსკის კლ.). 1926-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. 1927-29 მოსკოვის კ. სტანისლავსკის და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუს. თეატრის სოლისტი. 1933-35 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი იყო. 1935-იდან კი კვლავ თბ. დაუბრუნდა. პარტიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აბესალომი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), ტარიელი (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), რადამესი (ვერდის „აიდა“), კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“), დონ ხოზე (ბიზეს „კარმენი“), გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), ოტელო (ვერდის „ოტელო“), მანრიკო (ვერდის „ტრუბადური“) და სხვა პარტიები.

ა. ფლობდა ძლიერ, მდიდარი ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ხმას, დაჯილდოებული იყო სამსახიობო ნიჭით. გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებში.

1946-იდან ა. თბ. კონს. -ის პედაგოგი იყო (1958-იდან პროფ.), სოლო სიმღერის კათედრის გამგე (1967-1973). ა-ის მოწაფეები არიან ზ. ანჯაფარიძე, ზ. სოტკილავა, ნ. ანდღულაძე, ე. გეწაძე, ა. ფირცხალავა და სხვ.

ა-ის მოღვაწეობამ ღრმა კვალი დაამჩნია ქართული საშემსრულებლო ხელოვნებისა და ვოკალური პედაგოგიკის განვითარებას.

მ. ახმეტელი

ანდღულაძე ნოდარ დავითის ძე [13.XII. 1927, თბილისი,–30.I.2013, იქვე], ქართველი მომღერალი (დრამ. ტენორი) და პედაგოგი. დ. ანდღულაძის შვილი. საქ. სახ. არტისტი (1965). ზ. ფალიაშვილის სახ. (1977) და საქ. სახელმწ. (2000) პრემიების ლაურეატი, საქ. პედ. მეცნ. აკად. (1995) და ჰუმანიტარულ მეცნ. აკად. (1998) ნამდვ. წევრი, დავით ანდღულაძის სახ. ქართ. ვოკალური კულტურის ფონდის პრეზიდენტი (1997), ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი (1954). 1950 დაამთ. თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი, 1963 თბ. კონს. 1956-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. 1961-62 სტაჟირება გაიარა მილანის საოპერო თეატრ–„ლა სკალაში“ (პედაგოგი ჯ. ბარა). ა-ს ჰქონდა ძლიერი, ლამაზი, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა. მისი პარტიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აბესალომი, მალხაზი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ტარიელი (მშველიძის „ამბავი ტარიელისა“),

მინდია, არზაყანი (თაქთაქიშვილის „მინდია“, „მთვარის მოტაცება“), გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), რადამესი, მანრიკო, ჰერცოგი, ოტელო (ვერდის „აიდა“, „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, „ოტელო“), ედგარი (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“), კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ტურიდუ (მასკანის „სოფლის ღირსება“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), ჰეროდე (შტრაუსის „სალომე“) და სხვ. ა. გამოდის კამერული რეპერტუარითაც. გასტროლები გამართა საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1968-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია, 1981-იდან–პროფ. 1974-იდან–სოლო სიმღერის კათედრის გამგე, მისი მოწაფეები არიან: ნ. გამგებელი, თ. გუგუშვილი, გ. კარიაული, მ. სილაგაძე, მ. ქობალიანი, ა. ჭურღულია, გ. ონიანი და სხვ. ა. ავტორია გამოკვლევებისა ვოკალური ხელოვნ. თეორიისა და მეთოდიკის დარგში (წიგნი „Homo cantor“, თბ. 1997). 2009 თბილისის ოპერის წინ გაიხსნა მისი სახ. ვარსკვლავი.

მ. ახმეტელი

ანონსი (ფრანგ Annonce-საჯარო განცხადება), 1.XVII-XVIII სს. ფრანგულ თეატრში – მოკლე სარეკლამო ინფორმაცია მოქმედი პირების, შემსრულებლების, აგრეთვე თეატრის სხვა სპექტაკლების შესახებ, რომელსაც სპექტაკლის დაწყების წინ სცენიდან მოახსენებდნენ საზოგადოებას. 2. თანამედროვე მნიშვნელობით- სპექტაკლის კონცერტის თუ სანახაობის წინასწარი აფიშა.

ანსამბლი (ფრანგ. ensemble–ერთად), რამდენიმე შემსრულებლის მიერ მუსიკალური ნაწარმოების ერთობლივი შესრულება. იგი შეიძლება იყოს კამერული, საოპერო, საოპერეტო. გვხვდება აგრეთვე ორატორიებსა და კანტატებში. გავრცელებული ანსამბლებია: დუეტი, ტრიო ან ტერცეტი, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი, სეპტეტი, ოქტეტი, ნონეტი და სხვ;

ანტიფონი (ბერძ. antiphonos-საპასუხო ჟღერა), საეკლესიო საგალობელი, რომელიც სრულდება ორი გუნდის, ან სოლისტისა და გუნდის მონაცვლეობით.

ანტრაქტი (ფრანგ. entracte–მოქმედებათა შორის), 1. შესვენება სპექტაკლის მოქმედებებს, კონცერტის ან საცირკო წარმოდგენის განყოფილებებს შორის. 2. მუსიკალური პიესა, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საოპერო ან დრამატული სპექტაკლის ერთ-ერთი მოქმედების შესავალს, გარდა პირველისა.

ანჯაფარიძე ეთერ ზურაბის ასული [15.IX.1956, თბილისი], ქართველი პიანისტი, საქ. სახ. არტისტი (1989). 1974 დაამთ. თბ. ცენტრალური სამუსიკო სკოლა (მ. ჭავჭანიძის კლ.), 1979-მოსკ. კონს-ის საფ. ფაკულტეტი (პროფ. ვ. გორნოსტაევას კლ.). ამასთანვე გაიარა ასპირანტურის კურსი. 1982-იდან თბ. კონს. პედაგოგი და სახელმწ. ფილარმონიის სოლისტია. ა-ის დაკვრა გამოირჩევა მხატვრული სიმწიფით, ტექნიკური სრულყოფილებით, არტისტიზმით. ასრულებს მსოფლიო პიანისტური რეპერტუარის საუკეთესო ნიმუშებს. პროპაგანდას უწევს ქართ. კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. გასტროლებს მართავს საზღვარგარეთ. პ. ჩაიკოვსკის სახ. V საერთაშ. კონკურსისა (1974, IV პრემია) და მონრეალის (კანადა) საერთაშ. კონკურსის (1976, I პრემია) ლაურეატია. 1992-იდან მოღვაწეობს აშშ-ში, ნიუ-იორკის სახელმწ. უნ-ტის

პროფესორია. პერიოდულად ჩამოდის საქ-ში, მართავს კონცერტებს და ატარებს საჩვენებელ გაკვეთილებს („მასტერკლასებს“).

ანჯაფარიძე ზურაბ ივანეს ძე [12.IV.1928, ქუთაისი,–12.IV. 1997, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ.-დრამ. ტენორი) საქ. (1961) და სსრკ (1966) სახ. არტისტი. ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1971). 1952 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. დ. ანდღულაძის კლ.). 1952-59 და 1970-იდან სიცოცხლის ბოლომდე თბ. საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი იყო (1979-82–თეატრის დირექტორი). 1959-70 წარმატებით გამოდიოდა სსრკ დიდი თეატრის სცენაზე. 1972-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1976-იდან თბ. შ. რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის მუს. დისციპლინების კათედრის გამგე, პროფ. (1983). იგი გამოირჩეოდა ლამაზი ტემბრის ხმით, უშუალობით, მაღალი არტისტიზმით, ვოკალურ-სცენური ოსტატობითა და ეროვნ. ინტონაციის უტყუარი გრძნობით. იგი ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალია. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე შეასრულა ლირ. დრამ. ტენორის პარტიები ქართული და უცხოური რეპერტუარიდან: აბესალომი, მალხაზი, რატი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“), მინდია (თაქთაქიშვილის „მინდია“), ბაში-აჩუკი (კერესელიძის „ბაში-აჩუკი“), ბერდო (ლაღიძის „ლელა“), მოხუცი (ყანჩელის „და არს მუსიკა“), გერმანი, ვოდემონი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, „იოლანტა“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“), რადამესი, დონ-კარლოსი, ჰერცოგი, ოტელო (ვერდის „აიდა“, „დონ-კარლოსი“, „რიგოლეტო“, „ოტელო“), კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი“) და სხვ. ვრცელი კამერული და საოპერო რეპერტუარით შემოვლილი აქვს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა. 1964 წარმატებით შეასრულა გერმანის პარტია (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“) მილანის თეატრის „ლა სკალას“ სცენაზე, სსრკ დიდი თეატრის გასტროლების დროს. არაერთი ქართ. ოპერა დადგა თბ. და ქუთაისის ოპერის თეატრებში. ა–მ სანიმუშოდ გაახმოვანა გერმანისა და ვოდემონის პარტიები კფ-ში „პიკის ქალი“ და „იოლანტა“ (მიენიჭა სპეც. პრემია). დაკრძალულია თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში.

ა. წულუკიძე

ანშლაგი (გერმ. Anschlag-აფიშა, განცხადება), განცხადება იმის შესახებ, რომ ყველა ბილეთი სანახაობაზე გაყიდულია.

აპლიკატურა (გერმ. Applikatur<ლათ. applico –მივწევ), თითების განლაგებისა და მონაცვლეობის წესი მუს. საკრავზე დაკვრის დროს, ავრეთვე ამ წესის აღნიშვნა ნოტებში (იწერება არაბული ციფრებით შესაბამისი ნოტის ზემოთ ან ქვემოთ). ა. საშემსრულებლო ოსტატობის მნ. მხარეა. ექვემდებარება მხატვრული გამომსახველობის მიზნებს, დამოკიდებულია საკრავის ტექნიკურ თავისებურებებსა და შემსრულებლის შესაძლებლობაზე.

აპოთეოზი (ბერძ. apotheosis –გაღმერთება), სპექტაკლის ან საზეიმო კონცერტის დასკვნითი, საზეიმო სცენა; განადიდებს ხალხს, გმირს, რაიმე საზ. მოვლენას, პატრიოტულ იდეას და სხვ.

არააკორდული ბგერები–ბგერები, რომლებიც არ შედის აკორდის შემადგენლობაში, მაგრამ დაკავშირებულია მასთან სეკუნდური სვლით. ასეთებია: 1. შეკავება, 2. აპოჯიატურა, 3. თავისუფალი ანუ ნახტომისეული (იშვიათია), 4. გამავალი, 5. დამხმარე, 6. კამბიატა ანუ „გადაგდებული“ დამხმარე, 7. ე.წ. წინბგერა ანუ მომდევნო აკორდიდან ნასესხები ბგერა.

არანჟირება (ფრანგ. arranger–გადაკეთება), ერთი საკრავის ან ხმისათვის დაწერილი ნაწარმოების გადაკეთება სხვა საკრავის ან ხმისათვის. არანჟირებას ორკესტრისათვის ეწოდება გაორკესტრება.

არაუ კლაუდიო [6. II. 1903, ჩილიანი, – 9.VI.1991, მიურცცუშლაგი], ჩილელი პიანისტი და პედაგოგი. 1937-მდე ცხოვრობდა და სწავლობდა ბერლინში, 1941-იდან– ნიუ-იორკშია. სადაც დააარსა საკუთარი სამუსიკო სკოლა. გამოდიოდა როგორც სოლისტი და ანსამბლისტი (ი. სიგეტისთან და პ. კასალსთან ერთად) მრავალ ქვეყანაში. XX ს-ის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელოვანია. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ბეთჰოვენის ყველა საფ. სონატისა და კონცერტის შესრულებით. დაიმსახურა I პრემია ჟენევის საერთაშ. კონკურსზე (1927). იუნესკოს მუს. პრემია (1983).



არაყიშვილი დიმიტრი ეგნატეს ძე [11. II. 1873, ვლადიკავკაზი,–13. VIII. 1953, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი(თბ. კონს-ის პროფ. 1924) და საზ. მოღვაწე. ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კომპოზიტორ-კლასიკოსი. საქ. სახ. არტისტი(1929). საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი(1950). დაამთ. მოსკ. ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სასწავლებელი კომპოზიციისა და თეორიის განხრით (1901) და მოსკ. არქეოლოგიური ინ-ტი. მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და შემოქმედებით მოღვაწეობას, ურთიერთობდა გამოჩენილ რუს მუსიკოსებთან. ამავე წლებში ა-მა ოთხი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქ. სხვადასხვა რ-ში (1901, 1902, 1904, 1908), სადაც ჩაწერა 500-ზე მეტი სიმღერა, რომლებიც შემდეგ სამ დიდ კრებულად გამოსცა. ა-ის თაოსნობით 1908 მოსკოვში გამოვიდა ჟურნალი „მუზიკა ი ჟიზნ“, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თვითონ რედაქტორობდა. 1918-იდან საქართველოშია. მისი თაოსნობით 1921 თბ-ში დაარსდა მეორე კონს. (1924 შეუერთდა სახელმწ. კონს.), 1926-29 ა. იყო თბ. კონს. დირექტორი, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე. 1932–34–ახლად დაარსებული კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე. 1919 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა ა-ის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ოპერის ცალკეულმა ნაწყვეტებმა (შესავალი, თამარის კავატინა, შოთას არია, მგოსნის სიმღერა, ურმული, აბდულ-არაბისა და რუსუდანის დუეტი) საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მას ეკუთვნის აგრეთვე კომიკური ოპერა: „სიცოცხლე სიხარულია“(„დინარა“, 1926), სიმფ. სურათი „ჰიმნი ორმუზდს“(1911), 3 სიმფ. (30-40-იანი წლები), 80-ზე მეტი რომანსი და სხვ. ა-ის ყველაზე მნ. სფერო რომანსია, სადაც მან ჟანრის კლასიკური ნიმუშები შექმნა, რომლებზეც ქართველი მომღერლების არაერთი თაობა აღიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ივერიის მთებზე“, „ნუ მღერი, ლამაზო“, „აღსდექ, შეინავარდე“, „ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“, „სიოვ ნაზო“, „ვარსკვლავიანსა

ღამეს“, „მე შენ გელი“, „ღამეა ბნელი“, „შემოღამება“, „ურმული“, რომლებიც ფართოდ გავრცელდა ხალხში, დამკვიდრდა საკონცერტო და პედაგოგიურ რეპერტუარში. 1943 მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1950 სსრკ სახელმწ. პრემია (ფილმ „ჯურღაის ფარის“ მუსიკისათვის, 1944).

ა-ის სახელი მიენიჭა თბ. I სამუსიკო სასწავლებელს, ქუჩას თბილისში.

ლ. დონაძე

არენსკი ანტონ სტეფანეს ძე [30. VI. 1861, ნოვგოროდი,–12. II. 1906, ტერიოკი], რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, პედაგოგი. ნ. რიმსკი-კორსაკოვის მოწაფე (კომპოზიცია). 1901-იდან გამოდიოდა როგორც პიანისტი და დირიჟორი რუსეთსა და უცხოეთში. 1882-იდან მოღვაწეობდა მოსკოვის კონს-ში. მოწაფეები: ს. რახმანინოვი, აგოლდენვეიზერი და სხვ. ნაწარმოებები: ოპერები „სიზმარი ვოლგაზე“(1890), „რაფაელი“(1894), „ნალი და დამაიანტი“ (1904). ბალეტი „ეგვიპტის ღამეები“ (1908), 2 სიმფონია, ფანტაზია ი. რიაბინინის თემებზე ფ-ნოსათვის ორკესტრთან ერთად, საფ. კვინტეტი, 2 სიმებიანი კვარტეტი, 2 საფ. ტრიო და სხვ.

არია (იტალ. aria), ოპერის, ორატორიის, კანტატის დასრულებული ვოკალური ნომერი. ა-თვის დამახასიათებელია ფართო მღერადობა. მას ხშირად წინ უძღვის რეჩიტატივი. არიის ნაირსახეობებია არიეტა, არიოზო, კავატინა და სხვ. ა-ს უწოდებენ აგრეთვე მღერადი ხასიათის მქონე ზოგიერთ ინსტრუმ. პიესას.

არიეტა (იტალ. arietta), მცირე ზომის არია, რომლისთვისაც დამახასიათებელია გამომსახველობის სისადავე და სასიმღერო ხასიათის მელოდია.

არიერსცენა (ფრანგ arriere შედგენილ სიტყვებში–უკანა), სცენის უკანა ნაწილი, წარმოადგენს ძირითადი სცენის გაგრძელებას და სათადარიგო ნაგებობაა დეკორაციების გასამართავად.

არიოზო (იტალ. arioso), მცირე არია, რომელიც ჩვეულებრივ, რეჩიტატივს ენაცვლება.

არმსტრონგი (Armstrong) ლუი (სეჩმო)[4. VIII. 1900,- ნიუ-ორლეანი, –6. VIII. 1971, ნიუ-იორკი], ზანგური წარმოშობის ამერიკელი, საყვირზე შემსრულებელი და მომღერალი. პირველი ზანგური ჯაზ-ბანდების (ნიუ-ორლეანი) ორგანიზატორი და მონაწილე. უკრავდა ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის სხვადასხვა ჯაზურ ორკესტრში. 1947 შექმნა სექსტეტი „ლუი არმსტრონგის ყველა ვარსკვლავი“. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ა. XX ს-ის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ჯაზური მუსიკოსია, შექმნა თავისი საშემსრულებლო სტილი. ბლიუზებისა და ჯაზური სიმღერების ავტორია. 1938-იდან იღებდნენ კინოში, დაჯილდოებული იყო სცენური ნიჭით.

არპეჯიო (იტალ. arpeggio–როგორც არფაზე), აკორდის ბგერები, რომლებიც სრულდება

ერთიმეორის მიყოლებით.

არტიკულაცია (გერმ. Articulatio < ლათ. articulo),ბგერების შესრულების ხერხი სამუსიკო საკრავზე ან ხმით ბგერების გადაბმისა და დანაწევრების ხარისხი, ა. მოიცავს ბგერის მიღების მრავალ ხერხს; მათ შორის ძირითადია: „ლეგატო“, „სტაკატო“, „ნონლეგატო“. არტიკულაციას მიაკუთვნებენ აგრეთვე ერთი ბგერიდან მეორემდე დაცურების ხერხებს–„პორტამენტო“, „გლისანდო“. სწორი არტიკულაცია აუცილებელია მუს. ტექსტის უშეცდომოდ გადმოცემისა და შესრულების მხატვრული გამომსახველობისათვის.



არფა (იტალ. arpa, გერ. Harfe), ქნარი, ერთ-ერთი უძველესი სიმებიანი საკრავი. თანამედროვე ა. 46 სიმიანია. სიმები ვერტიკალურადაა გაბმული რეზონატორიან სამკუთხა ჩარჩოზე. ა-ს აწყობენ დიატონური წესით; ძირითადი წყობაა დო-ბემოლ მაჟორი. საკრავის საყრდენზე სიმების შესაბამისად შვიდი სამკუთხა კბილანაა, რომლებშიც პედლებია ჩადგმული. პედლის ერთი მოძრაობა ა-ის მთელი დიაპაზონის მანძილზე ნახევარტონით ან ერთი ტონით ცვლის თითოეულ ბგერას. ა-ის დო-სიმები წითელია, ფა-სიმები ლურჯი, დანარჩენები კი თეთრი ფერისაა. დიდი ოქტავის ფა-მდე სიმებს აბრეშუმის ძაფი და ლითონის სირმა აქვს შემოხვეული, დანარჩენი სიმები ნაწლავებისაგან მზადდება. ა. ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, აფრიკის ქვეყნებში, ეგვიპტესა და საბერძნეთში. თანამედროვე ა. ფრანგი ოსტატის სებასტიან ერარის შექმნილია (1801).

არტისტი (ფრანგ. artiste < ლათ. ars-ხელოვნება), მსახიობი, მუსიკოს-შემსრულებელი, ფართო გაგებით – ადამიანი, რომელიც ხელოვნების ამა თუ იმ დარგში ეწევა შემოქმედებით საქმიანობას.

არღანი მექანიკური საკრავი. უკლავიშო ორგანის ნაირსახეობა; შეიქმნა ევროპაში XVIII ს-ში, საქ-ში გავრცელდა XIX ს. დასაწყისიდან, უმთავრესად–ქალაქებში. ა. მოზრდილი ყუთია, შიგ ხმოვანი მილები, საბერველი და მუთაქისებრი ლილვაკებია ჩაწყობილი. თითო ლილვაკზე თითო მუს. პიესაა მოთავსებული. ლილვაკების ასამოძრავებლად საკრავს გვერდზე სატრიალებელი სახელური აქვს. აქვეა ლილვაკების გადამრთველი მექანიზმიც. ტრიალისას ლილვაკის ამობურცული ნაწილები სათანადო მილაკებში ჰაერს უშვებენ, რითაც ხდება ბგერების წარმოშობა. რუსეთსა და ევრ. ზოგ ქვეყანაში ა-ს „შარმანკას“ ან „კატარინკას“ უწოდებენ. სახელწოდება წარმოდგება ფრანგ. ხალხური სიმღერისაგან „მშვენიერი კატარინა“, რომელიც პირველად ამ საკრავზე აჟღერდა.

არხიპოვა ირინა კონსტანტინეს ასული [2. XII. 1925, მოსკოვი], რუსი მომღერალი

(მეცო-სოპრანო), სსრკ სახ. არტისტი (1966), ლენინის პრემიის ლაურეატი. დაამთ. მოსკ. არქიტექტურული ინ-ტი (1948) და მოსკ. კონს. (1953). ა-ს დებიუტი შედგა სვერდლოვსკის ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1956-88 სსრკ დიდ თეატრის სოლისტია. აქვს ძლიერი ხმა, გამოირჩევა დახვეწილი ოსტატობითა და არტისტიზმით. ა-ს რეპერტუარიდან აღსანიშნავია: მარინა მნიშეკი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), ამნერისი (ვერდის „აიდა“), კარმენი (ბიზეს „კარმენი“) და სხვა პარტიები.

არჯევნიშვილი მარიამ ალექსის ასული [11. III. 1918, სოფ. ენისელი, ახლანდ. ყვარლის რ-ნი, –25. XII. 1958, თბილისი], ქართველი მომღერალი, ხალხ. სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი და ფანდურზე დაკვრის ვირტუოზი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ გუნდებსა და ხალხურ საკრავთა ანსამბლებს.



ასაფიევი ბორის ვლადიმერის ძე (ლიტ. ფსევდონიმი იგორ გლებოვი) [17. VII. 1884, პეტერბურგი, – 27.I.1949, მოსკოვი], რუსი მუსიკისმცოდნე და კომპოზიტორი. სსრკ სახ. არტისტი (1946), აკადემიკოსი (1943), სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1943, 1948). 1908 დაამთ. პეტერბ. უნ-ტის ისტ–ფილოლოგიური ფაკ-ტი, 1910–კონს. (ა. ლიადოვის კლ.). 1925-იდან ლენინგრ. კონ-ის პროფესორია. 1948 აირჩიეს სსრკ კომპოზიტორთა კავშირის თავ-რედ. ა. თანამედროვე რუსული მუსიკისმცოდნეობის ფუძემდებელია. ა-ის სამეცნ. მემკვიდრეობაში ცენტრალურია ინტონაციის თეორია, რასაც ფუძემდებლური მნ-ბა ენიჭება მუს. ხელოვნების სპეციფიკის გაგებისათვის. ა-მა მნ. წვლილი შეიტანა მუსიკის ისტორიაში, თეორიასა და ესთეტიკაში. მუსიკას განიხილავდა როგორც სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, უკავშირებდა მას ზოგადკულტურულ, სოციალურ მოვლენებს. ა. ავტორია კლასიკური შრომებისა რუსული მუსიკის შესახებ, მონოგრაფიებისა და წერილებისა, რომლებიც მიძღვნილია მ. გლინკას, მ. მუსორგსკის, პ. ჩაიკოვსკის, ი. სტრავინსკის, ე. გრიგის, დ. შოსტაკოვიჩის, ა. ხაჩატურიანის, ა. ბერგის, პ. ჰინდემითის, ე. კშენეკისადმი. იყო ახალგაზრდა ს. პროკოფიევის შემ-ის პროპაგანდისტი, დაინტერესებული იყო ქართ. ხალხ. მუს. კულტურის საკითხებით, ზ. ფალიაშვილისა და სხვ. შემოქმედებით (იხ. გ. ტორაძე, „ბორის ასაფიევი და ქართ. მუსიკა“, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1984 №9). ა-ის საკომპ. შემ-ში გამოირჩევა ბალეტები: „პარიზის ცეცხლი“ (1932), „ბახჩისარაის შადრევანი“ (1934. თბილისში დაიდგა 1939). ავტორია ოპერების, 4 სიმფონიისა და სხვ.

ასლანიშვილი შალვა სოლომონის ძე [10. III. 1896 დ. არტანუჯი, ართვინის მაზრა (ახლა თურქეთშია),–13. XII. 1981, თბილისი], მუსიკისმცოდნე. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1964), პროფესორი, (1966) საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1943). 1930-იდან პედაგოგი, 1937-73 თბ. კონს. მუს. თეორიის კათედრის გამგე. 1945-50 სათავეში ედგა საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტის მუს. ფოლკლორის განყოფილებას. 1927-50 მან აღმ. და დას. საქ. მთის რაიონებში მრავალი სიმღერა ჩაიწერა. ამ მოღვაწეობის შედეგად შექმნილი ნაშრომები საფუძვლად დაედო

ქართული ჰარმონიის კურსს, რომელიც კონს-ში იკითხება. ა. მუშაობდა მუს. თეორიის, განსაკუთრებით ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის თეორიის საკითხებზე, ძირითადი შრომებია–„ქართლურ-კახური ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია“ (I გამ. 1950, II-1970) და „ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ“ (ნაწ.1-2,1954-56). ა-მა აღზარდა მრავალი მუსიკისმცოდნე. დიდი გავლენა მოახდინა ქართ. მუსიკისმცოდნეობის განვითარებაზე.

ა. ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატია (1973).

ქ. თუმანიშვილი

ა ტემპო (ფრანგ. a tempo), ძველ ტემპში; მუსიკალურ ნაწარმოებში აღნიშნავს პირველი ტემპის დაბრუნებას გადახრის (აჩქარების ან შენელების) შემდეგ.

ატონალობა (ატონალური, არატონალური მუსიკა), ტერმინი დაამკვიდრა ი. ჰაუერმა. ბგერათა ტონალურ ორგანიზაციას მოკლებული მუსიკა. აღმოცენდა 900-იან წლებში ვენის ახალი სკოლის კომპოზიტორთა შემოქმედებაში (ა. შონბერგი, ა. ბერგი, ა. ვებერნი). ა-ლურ მუს-ში დარღვეულია თანაფარდობა ტონებსა და კილოს მთავარ ცენტრს–ტონიკას შორის, რაც იწვევს ჰარმონიის სტრუქტურული ფუნქციების რღვევას, დისონანსურ ჟღერადობას. ცალკეული არატონალური ეპიზოდები გვხვდება გვიანდელ–რომანტიკულ და იმპრესიონისტულ მუს-ში. არატონ. მუს. ზოგჯერ მიაკუთვნებენ ა. სკრიაბინის გვიანდელ ნაწ-ებს და ჩ. აივზის შემ-ს. თანმიმდევრულად არატონალურია (ე. წ. „მოწესრიგებული ა“.) შონბერგის მიერ შემუშავებული დოდეკაფონიისა და სერიულობის პრინციპის საფუძველზე შექმნილი ნაწ-ები. მას ემყარება „ავანგარდისტი“ კომპოზიტორების შემოქმედება. ამავე დროს, XX ს-ის მრავალი გამოჩენილი კომპოზიტორი (ა. ონეგერი, კ. ორფი, პ. ჰინდემითი, ს. პროკოფიევი, დ. შოსტაკოვიჩი და სხვ.) თავის შემ-ში ემყარებოდა ტონალურ პრინციპებს. თანამედროვე მუსიკაში ვხვდებით ტონალური და არატონალური ეპიზოდების კონტრასტს.

აუერი ლეოპოლდ სიმონის ძე [7. VI. 1845, ვესპრემი, უნგრეთი,–15. VII. 1930, ლოშვიცი, დრეზდენის მახლობლად], მევიოლინე, პედაგოგი, დირიჟორი. (1868-1917 ცხოვრობდა რუსეთში, 1918-იდან აშშ-ში), ვირტუოზი მევიოლინე, გამოდიოდა მრავალ ქვეყანაში, როგორც სოლისტი, ანსამბლისტი და დირიჟორი. მას ეკუთვნის მთელი რიგი სავიოლინო ნაწარმოებების რედაქციები და კადენციები (მათ შორის, ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტისა). იყო თავისი დროის უდიდესი პედაგოგი, ძირითადად მოღვაწეობდა პეტერბურგის კონს-ში, შემდეგ კი ნიუ-იორკსა და ფილადელფიაში. მისი მოწაფეები იყვნენ ი. ჰეიფეცი, ე. ციმბალისტი, მ. პოლიაკინი, ლ. ცეიტლინი და სხვ. მას მიუძღვნეს ნაწარმოებები ჩაიკოვსკიმ („მელანქოლიური სერენადა“), გლაზუნოვმა, ტანეევმა და სხვ.

აფონია (ბერძ. aphonia < ა-უარყ. ნაწ. და phone–ბგერა, ხმა), ხმის დაკარგვა სახმო სიმების ან ნერვულ სისტემის დაავადების შედეგად.

აქტი (ლათ. actus მოქმედება), თეატრალური სპექტაკლის (ოპერის, ბალეტის და ა.შ.) შედარებით დასრულებული ნაწილი. აქტი ზოგჯერ სურათებად იყოფა.

აქცენტი (ლათ. accentus–მახვილი), რომელიმე ბგერის, აკორდის ან ტაქტის ნაწილის მძლავრად, ხაზგასმით გამოყოფა. აღინიშნება ნიშნებით >, v, sf, და სხვ. ნიშნები დაისმება ნოტის ან აკორდის ზევით ან ქვევით. მეტრული აქცენტი განსაკუთრებული ნიშნით არ აღინიშნება.

ალნიაშვილი ვლადიმერ (ლადო) დიმიტრის ძე [7. II. 1860, ს. შილდა, ახლანდელი ყვარლის რ-ნი,–23. IV. 1904, თბილისი], ქართველი საზ. მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი. დაამთ. თელავის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ გორის სემინარია. ასწავლიდა თბ. სათავადაზნაურო სასწავლებელსა და თბ. ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში. ა-მა ჩამოაყალიბა ქართველ მომღერალთა გუნდი („ქართული ხორო", ი. რატილის ლოტბარობით, 1885-86), რ-მაც დიდი ისტორიული როლი ითამაშა საქ. კულტურულ ცხოვრებაში, საფუძველი ჩაუყარა ქართ. ეროვნული სასიმღერო შემოქმედების აღორძინებას, მის პროპაგანდასა და შემდგომ განვითარებას. გუნდის რეპერტუარში იყო საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები. ამ გუნდში მღეროდნენ: ია კარგარეთელი, ზაქარია და ივანე ფალიაშვილები და სხვ. გუნდის კონცერტს „ევერიაში" გამოეხმაურა ი. ჭავჭავაძე.

ალსაბაძე შოთა ილიას ძე [10. (22). XII. 1896, თბილისი,–6.VII. 1966, იქვე], ქართველი დრამატული და საოპერო რეჟისორი, საქართველოს სახ. არტისტი (1965). 1928-1938 და 1941-1943 მუშაობდა შ. რუსთაველის სახ. თეატრში, ხოლო 1938-1941 და 1943-1949 თბ. საოპერო თეატრში. მისი დადგმებიდან დრამატულ თეტრში განსაკუთრებით ცნობილია შექსპირის „ოტელო"(1937), საოპერო თეატრში –ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"(1937), რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე" (1939), შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი" (1940), გ. კილაძის „ლადო კეცხოველი" (1941), ვ. გოკიელის „პატარა კახი" (1943), ჟ. ბიზეს „კარმენი" (1949), შ. აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩა" (1951), ა. კერესელიძის „ბერუჩა"(1956). 1943-1966 მუშაობდა თბ. კონს-ში საოპერო მომზადების კათედრის გამგედ და საოპერო სტუდიის მთავარ რეჟისორად (პროფ. 1943). დადგა რამდენიმე ოპერა. ა. ავტორია გ. კილაძისა („ლადო კეცხოველი") და ვ. გოკიელის („პატარა კახის") ოპერების ლიბრეტოებისა.

მ. ქავთარაძე

აშკენაზი ვლადიმერ დავითის ძე [6.VII.1937, ნიჟნი-ნოვგოროდი], პიანისტი და დირიჟორი, ლ. ობორინის მოწაფე. 1963-იდან უცხოეთშია, სადაც იწყებს დირიჟორობას. 1987-იდან სათავეში უდგას ლონდონის სამეფო ფილარმონიულ ორკესტრს. პიანისტთა საერთაშ. კონკურსების ლაურეატი (მათ შორის–პ. ჩაიკოვსკის სახელობისა, მოსკოვი 1962, I პრემია) ჯ. ოგდონთან (ინგლ.) ერთად.

აშული (არაბ., თურქ.–აშიყი, მიჯნური), სახალხო მგოსანი და მომღერალი კავკასიის ქვეყნებში (აზერბ., სომხ., საქ., დაღესტ.), ახლო აღმ-ში (თურქეთი, ირანი), შუა აზიაში (სადაც

ეწოდება–„ბახში“). ა. თხზავს სასიმღერო ტექსტს, უწყობს ჰანგებს და მღერის რომელიმე სიმებიანი საკრავის (საზი, თარი, ქამანჩა, ჭიანური) თანხლებით. საქ-ში (ძირითადად თბილისში) აშულობა განსაკუთრებით განვითარდა XVIII ს. მეორე ნახევრიდან. ყველაზე ცნობილია საიათნოვა, XIX ს-ში ჩამჩი მელქო, სათარა, ჰაზირა და სხვ. სომხეთში განსაკუთრებით ცნობილია შირინი, აზერბ.–ალესკერი, აშულთა შემ–ის სტილისტური თავისებურებები აისახა ა. სპენდიარიანის, რ. გლიერის, უ. ჰაჯიბეკოვის, ა. არუთინიანის ნაწარმოებებში.

აჩელერანდო (იტალ. accelerando-აჩქარება), მუსიკალური ნაწარმოების ტემპის თანდათან აჩქარება.

ახმეტელი ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე [1 (13). IV - 1886, სოფ. ანაგა, სიღნაღის რ-ნი, –29. VI. 1937], გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქ. სახ. არტისტი (1933). დაამთ. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1906). 1923-იდან თბილისის რუსთაველის სახ. თეატრის რეჟისორი, 1924-1926 მთ. რეჟისორი, 1926-1935 სამხ. ხე-ლი. დადგა მთელი რიგი ნოვატორული სპექტაკლები (შილერის „ყაჩაღები“, გ. რობაქიძის „ლამარა“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“ და სხვ.). ა. გატაცებული იყო მუსიკალური თეატრით. 1919 თბ. სახალხო თეატრის სცენაზე დადგა დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1924-25 ასწავლიდა სასცენო ოსტატობას თბილისის კონს-ში. თბ. კონს-ის საოპერო სტუდიის სცენაზე სტუდენტური ძალებით დადგა როსინის „სევილიელი დალაქისა“ და გუნოს „ფაუსტის“ ნაწყვეტები, ლეონკავალოს „ჯამბაზები“(1926), თბილისის საოპერო თეატრში განახორციელა იურასოვსკის „ტრილბი“ (1925), ზ. ფალიაშვილის „ლატავრა“ (პრემიერა, 1928), ვ. ფემელიდის „რღვევა“ (1932), დაუმთავრებელი დარჩა ა. ბოროდინის „თავადი იგორის“ დადგმა ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში (1936). რეპრესირებულ იქნა 1937.

მ. ახმეტელი

ახმეტელი მანანა შალვას ასეული [7.IV.1937, თბილისი], მუსიკისმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2009), ღირსების ორდენის კავალერი (1997), სიღნაღის საპატიო მოქალაქე (2017), „ხელოვნების ქურუმი" (2018). დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის შვილიშვილი. 1962 დაამთ. თბ. სახელმწ. კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი. 1965-2003 ხელმძღვანელობდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების” მუსიკისა და ქორეოგრაფიის განყოფილებას. 1985-1990 იყო. საქ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი. 2000-იდან საქართველოს მუსიკალური საზ-ბის თავმჯდომარეა. ავტორია წიგნისა „ცხოვრება ხელოვნებაში“(2008), მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების, ტელე-რადიო გადაცემებისა და პროექტებისა. მისი თაოსნობით დაარსდა თბილისის სულხან ცინცაძის სახ. კამერული ანსამბლების

კონკურსი (2000, 2003). საფუძველი ჩაეყარა თბილისის კამერული მუსიკის ყოველწლიურ ფესტივალს (2006-იდან დღემდე), საქ. სამუსიკო სკოლების რეგიონალური კონკურსი (2015-იდან), რუბრიკით „უნიკალური ჩანაწერები“ გამოიცა კომპაქტდისკები: „თენგიზ ამირეჯიბი“(2003), „დავით გამრეკელი”(2005), „მერი ნაკაშიძე” (2005), „მარინე იაშვილი“(2008), „მედეა ამირანაშვილი“(2008), „იოსებ კეჭაყმაძე“ (2010) და „XX ს-ის ქართველი ტენორები”(2012), ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“ (2017).

ა-ის ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო“, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ და ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში“.

ბ

ბაბაჯანიანი არნო არუთინის ძე [22. I. 1921, ერევანი,–15.XI.1983, მოსკოვი], სომეხი კომპოზიტორი და პიანისტი. სსრკ სახ. არტისტი (1971). დაამთ. ერევნისა და მოსკოვის კონსერვატორიები. ბ-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: „გმირული ბალადა“ (1950) ფ-ნოსა და ორკესტრისათვის, საფ. ტრიო (1952), „ექვსი სურათი ფ-ნოსათვის“(1965), პოემა–რაფსოდია სიმფ. ორკესტრისათვის, კონცერტები ვიოლინოსა და ჩელოსათვის, 2 სიმებიანი კვარტეტი, სავიოლინო სონატა, მრავალი პოპულარული სიმღერა („პირველი სიყვარული“, „ნუ ჩქარობ“ და სხვ.), მუსიკა კფ-სათვის და სხვ.

ბაგატელი (ფრანგ. bagatelle–სამშვენისი), მცირე ზომის ინსტრუმენტული პიესა, უპირატესად ფ-ნოსათვის, სახელწოდება „ბ.“ პირველად ფ. კუპერენმა გამოიყენა (1717 „ბ-ები“ კლავესინისათვის). ბ-ს წერდნენ: ბეთჰოვენი, ლისტი, დვორჟაკი, ლიადოვი, ბარტოკი, ვებერნი და სხვ.

ბაგრატიონი ირაკლი (ჯანო), კონსტანტინეს ძე [15. IX. 1909, სოფ. აბანო, ახლანდ. ქარელის რ-ნი,–15. V. 1979, თბილისი], ქართველი მოცეკვავე, ქორეოგრაფი და საესტრადო მომღერალი, საქ. სახ. არტისტი (1967). 1933-46 იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. საოპერო სპექტაკლებში ასრულებდა ქართულ ცეკვებს („აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ქეთო და კოტე“ და სხვ.). გამოდიოდა საბალეტო სპექტაკლებშიც: ზაალი (ა. ბალანჩივაძის „მთების გული“), დიტო (შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“). 1938-45 და 1956-70 იყო საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლის მთ. ქორეოგრაფი. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. ბ-მა დააარსა საქ-ში ერთ-ერთი პირველი ჯაზური კოლექტივი (1945-50), აფხაზეთის ფილარმონიის საესტრადო ანსამბლი (1950-53), საქ. ფილარმონიის საესტრადო კოლექტივი (1953-56). ამ კოლექტივებში გამოდიოდა როგორც საესტრადო მომღერალი. მაღალი გემოვნებით ასრულებდა ქართულ ქალაქურ სიმღერებს, განსაკუთრებით პოპულარული იყო სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“.

ბადრიძე დავით გიორგის ძე [23. III. 1899, ქუთაისი,–26. I. 1987, მოსკოვი], ქართველი მომღერალი (ლირ. ტენორი) და პედაგოგი-ვოკალისტი. საქ. სახ. არტისტი (1943). თბ.

კონს-ის პროფესორი. დაამთ. თსუ-ს სამედიცინო ფაკ-ტი (1924) და თბ. კონს. (1926, პროფ. ე. ვრონსკის კლ.). ამავე წელს შედგა მისი დებიუტი თბ. საოპერო თეატრის სცენაზე (ჰერცოგი–ვერდის „რიგოლეტო“), სადაც მღეროდა 1934-მდე. 1934-36 იყო სვერდლოვსკის, 1936-44 კვლავ თბ. 1944-48 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი. 1952-იდან იწყებს პედ. მოღვაწეობას მოსკოვის გნესინების სახ. მუს. პედ. ინ-ტში. 1957-58 როგორც პედაგოგ-ვოკალისტი და კონსულტანტი მივლინებული იყო კორეის სახ. დემოკ. რესპუბლიკაში (ქ. ფხენიანი) და ვიეტნამის დემოკრ. რესპუბლიკაში (ჰანოი). 1962-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია. 1967-70 მოღვაწეობდა კაიროს კონს-ში. მიღებული აქვს სსრკ სახელმწიფო პრემია (1950).

შესრულებული აქვს მრავალი მთავარი პარტია: ჰერცოგი და ალფრედი (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“), მალხაზი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“), მეურმე (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), ერეკლე (ვ. გოკიელის „პატარა კახი“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ჰოფმანი (ჟ. ოფენბახის „ჰოფმანის ზღაპრები“) და სხვ. გადაღებულია კფ-ში „ჯურღაის ფარი“(1944, სსრკ სახელმწიფო პრემია, 1950).

ა. წულუკიძე.

ბათიაშვილი თამაზ ალექსის ძე [18.III.1941, თბილისი], ქართველი მევიოლინე და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1980), შ. რუსთაველის სახ. პრემიის (1992), ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიისა (1975) და ლ. ვაინერის სახ. საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (1973, ბუდაპეშტი, კვარტეტის სხვა წევრებთან ერთად), ღირსების ორდენის კავალერი (2001).

1963 დაამთ. თბ. კონ., 1966 ასპირანტურა (პროფ. შ. შანიძის ვიოლინოს კლ.). 1963-იდან მუშაობა დაიწყო საქ. კამერულ ორკესტრში (რომლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილეცაა) კონცერტმაისტერად, ხოლო 1966-იდან საქ. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში მევიოლინედ. კვარტეტთან ერთად კონცერტებს მართავდა ყოფილ სსრკ ქალაქებში და საზღვარგარეთ. 1967-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1986-იდან პროფ.). 1993-2005 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში, ამჟამად თბილისშია, დაჯილდოებულია საქ. ეროვნ. პრემიით (2010).

ლ. საყვარელიძე

ბათიაშვილი ლიზა თამაზის ასული [7.III. 1979, თბილისი], ქართველი მევიოლინე. ბ-ის პირველი პედაგოგი იყო მისი მამა ცნობილი მევიოლინე თამაზ ბათიაშვილი, რომელიც შვილს 4 წლის ასაკიდან ამეცადინებდა. 1991 მისი ოჯახი გერმანიაში გადასახლდა. სწავლობდა ჰამბურგის მუსიკალურ სკოლაში. 1995 გაიმარჯვა სიბელიუსის სახ. მევიოლინეთა საერთაშ. კონკურსზე.

ბ. არის ბეთჰოვენის ფესტივალის ლაურეატი -ბეთჰოვენის

ბეჭდის მფლობელი, BBC-ის პროგრამის „New Generation Artists" გამარჯვებული, ნიუ-იორკის და ისრაელის ფილარმონიულ ორკესტრებთან. უკრავს კელნის, ლოს-ანჯელესის, ბოსტონის, სანკტ-პეტერბურგის, პარიზის, ლონდონის, ფილადელფიისა და ჩიკაგოს სიმფ. ორკესტრებთან.

ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში, მისი მეუღლეა ცნობილი ჰობოისტი ფრანსუა ლელუ. ბათიაშვილ-ლელუს დუეტს თანამედროვე კომპოზიტორებმა მიუძღვნეს კონცერტები: გ. ყანჩელი (2007), ფრანგი კომპოზიტორი ტ. ესკაიჰა (2014) და სხვ.

რეპერტუარში აქვს: ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, შუმანი, ბრამსი, ჩაიკოვსკი, სიბელიუსი, ცინცაძე და სხვ. პერიოდულად კონცერტებს მართავს თბილისში.

თ. თამარაშვილი

ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. 1921-26 წლებში ბათუმში ფუნქციონირებდა საოპერო თეატრი. აქ შედგა მომავალში გამოჩენილი მომღერლის დავით ანდღულაძის დებიუტი.

1993 3 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის" დადგმით ბ-ში გაიხსნა ოპერისა და ბალეტის თეატრი. შემ-თი კოლექტივის შექმნასა და დაკომპლექტებაში დიდი როლი მიუძღოდა თეატრის სამხ. ხელმძღვანელს, მომღერალ ალექსანდრე ხომერიკს. თეატრი წარმოდგენებს მართავდა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო თეატრის შენობაში. დაარსების დღიდან „აბესალომ და ეთერის" გარდა აქ დაიდგა ვერდის „აიდა" და „ოტელო", რ. ლაღიძის „ლელა" და საბალეტო წარმოდგენა „ქორეოგრაფიული ნოველები"(1993-1998).

თეატრის წარმატებებში დიდი როლი მიუძღვის მთ. დირიჟორს დ. მუქერიას, მთ. რეჟისორს გ. ჟორდანიას, რეჟისორს გ. ლორთქიფანიძეს, ქორმაისტერს ა. ჩხენკელს, ბალეტმაისტერს ბ. მონავარდისაშვილს, მთ. კონცერტმაისტერს მ. დარჯანია-ხომერიკს, მხატვრებს: მ. შველიძეს, უ. იმერლიშვილსა და მ. მალაზონიას.

1995 რ. ლაღიძის ოპ. „ლელას" დადგმისთვის სადადგმო ჯგუფსა და მთ. პარტიის შემსრულებელს ა. ხომერიკს მიენიჭათ შ. რუსთაველის სახ. პრემია. ამ წლებში თეატრის წამყვანი სოლისტები იყვნენ: ა. ხომერიკი, მ. ჯახუტაშვილი, თ. ჯავახიშვილი, ხ. მიქაბერიძე, მ. ზვიადაძე, მ. თომაძე, ტ. ჭიჭინაძე, ზ. ბუხრაძე, ო. ხოფერია, ე. გეგელაშვილი, ზ. ხამათაშვილი.

თეატრმა გასტროლები გამართა თბილისში (3-ჯერ) და ანტალიაში (თურქეთი, 1998), თეატრის სოლისტებმა, ორკ-მა და გუნდმა მონაწილეობა მიიღეს „აჭარის დღეებში", რომელიც გაიმართა მოსკოვში 2001 მაისში.

2004 ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი გაერთიანდა ბათუმის მუსიკალურ ცენტრში საოპერო სტუდიის სახით. (სამხ. ხე-ლი მ. ჯახუტაშვილი).

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, 2004 ბათუმში შეიქმნა სახელმწ. მუსიკალური ცენტრი, სადაც გაერთიანდნენ ბათუმის სახელმწ. სიმფონიური ორკესტრი, სახელმწ. კაპელა, საოპერო სტუდია, კვარტეტი „ნოტა" და „ახალგაზრდული მუს. თეატრი".

მუსიკალური ცენტრში დაიდგა საოპერო სპექტაკლები: ვ. დოლიძის „ქეთო და

კოტე“ (2005), ჯ. ვერდის „ტრავიატა“ (2007), ვ. ბელინის „კაპულეტი და მონტეკი“ (2007), პ. მასკანის „სოფლის ღირსება“ (2008), გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“ (2010), ჟ. ბიზეს „კარმენი“, ჯ. პუჩინის „ტოსკა“ და სხვ.

მუს. თეატრის წარმატებაში დიდი როლი მიუძღვით დირიჟორებს: დ. მუქერიას, ზ. აზმაიფარაშვილს; რეჟისორებს: დ. საყვარელიძეს, გ. თავაძეს, ზ. სიხარულიძეს; მხატვრებს: გ. გოგიბერიძეს, პ. რუდჩიკს, თ. მურვანიძეს; ქორმაისტერს ქ. მანელიშვილს, ახალგაზრდული თეატრის სამხ. ხელმძღვანელს თ. შამილაძეს; მომღერლებს: ი. კახიძეს, მ. ჯახუტაშვილს, ი. ჯახუტაშვილს, ზ. ხამათაშვილს, ს. ჯაიანს, ბ. ნაკაშიძეს და სხვ.

ბაიათი (ირან. აზერბ. შეყვარებული), ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული რომანსი–სიმღერა. ბაიათს, როგორც წესი, საფუძვლად უდევს რვა ტაეპისაგან შემდგარი შვიდმარცვლიანი ლექსი. გარითმულია ააბა სქემით. ბ-ს მღერიან ხმის მაღალ რეგისტრში, აქვს ფართო დიაპაზონის მელოდიური ქარგა, ელეგიური, სევდიანი, მღერადი ჰანგი. მდიდარია მელიზმებით. ბ-ს უპირატესად აშუღები ასრულებენ მუს. საკრავების (საზი, თარი, ქამანჩა) თანხლებით.

ბ. XVIII-XIX სს-ში აღმ. საქ-ში, განსაკუთრებით კი თბილისში გავრცელდა. აქ მან ქართული ქალაქური სასიმღერო ლირიკის ზემოქმედება განიცადა. ქართული ბ-ის ტიპური ნიმუშია „ორთავ თვალის სინათლევ“. საქ-ში ბ-ს ასრულებდნენ თბილისელი აშუღები: ჰაზირა, საგინაშვილი, მაჩაბელი და სხვ.



ბაიანი (რუს. Баян, ლეგენდარული რუსი მომღერალ-მთქმელის ბაიანის ან ბოიანის სახელის მიხედვით), ენაკიანი პნევმატური მუს. საკრავი, ხელის ღილაკებიანი გარმონი, რომლის მარჯვენა კლავიატურაზე სრული ქრომატული ბგერების რიგია განლაგებული (დიაპაზონი–დიდი ოქტ. სი ბემოლი–მეოთხე ოქტ. დო დიეზი), ხოლო მარცხენაზე–ბანები და მზა აკორდული აკომპანემენტი. ბ-ს აქვს მზა აკორდები ყველა ტონალობაში–მაჟორული და მინორული სამხმოვანებები და მათი შებრუნებები, სეპტაკორდები (ზოგჯერ შემცირებულიც). ბ. პირველად უწოდეს (1907) მისმა კონსტრუქტორებმა პ. სტერლიგოვმა და ი. ორლოვსკიმ. საზღვარგარეთ იყო ცნობილი კნოპიანი (ან ქრომატული) აკორდეონის სახელით.

ბაიროითის თეატრი, რ. ვაგნერის ოპერების შესრულებისათვის განკუთვნილი გერმ. საოპერო თეატრი ქ. ბაიროითში. გაიხსნა 1876. 1882-იდან აქ ყოველწლიურად ტარდება ფესტივალები (იდგმება ვაგნერის ოპერები). წარმოდგენებს სხვადასხვა დროს დირიჟორობდნენ: ჰ. რიხტერი, ფ. მოტლი, რ. შტრაუსი, ა. ტოსკანინი, ჰ. აბენდროთი, ჰ. კარაიანი და სხვ. ბაიროითში არიან დაკრძალულნი რ. ვაგნერი და მისი სიმამრი ფ. ლისტი.

ბაკურაძე თეიმურაზ თედორეს ძე [17. IV. 1943, ქუთაისი], ქართველი კომპოზიტორი, 1967 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. ბალანჩივაძის კლ.). თავიდანვე მიიქცია ყურადღება აზროვნების

სიახლითა და სითამამით (კანტატა „ლირიკული სტროფები“ 1963). ცნობილი გახდა სიმებიანი კვარტეტით „ფშაური ნატირლები“ (1970), რომელიც შეფასდა როგორც კომპ-ის შემ-თი მიღწევა და ახალი სიტყვა ქართულ კამერულ-ინსტრუმ. მუსიკაში. ბ-ის მომდევნო ნაწარმოებებმა, პირველ რიგში, „პრელუდიუმმა“ სოლისტებისა და სიმფ. ორკ-თვის (1974, შესრ. 1977) არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვიეს უჩვეულო, გამომწვევი ჩანაფიქრითა და სტილისტიკით. წარმატება ხვდათ მოგვიანებით შექმნილ ნაწარმოებებს: „2 წიგნი კვინტეტისათვის“ „კოლაელ ყრმათა წამების“ მიხედვით (1992, შესრ. 1995) და სხვ., რომლებმაც დაუმკვიდრეს ბ-ს ავანგარდული მიმდინარეობის ლიდერის სახელი თანამედროვე ქართულ მუსიკაში. ბ. არის მთელი რიგი სხვადასხვა ჟანრის (სიმფ., საგუნდო, კამერული და ა. შ.) ნაწ-ების ავტორი. მას ეკუთვნის კინოფილმების „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“ და სხვათა მუსიკა. არაერთგზის იყო რესპუბლიკური და საკავშირო (1968) პრემიების ლაურეატი, საერთაშ. კინოფესტივალის „ოქროს არწივის“ ლაურეატი მუსიკის ნომინაციით.

გ.ტორაძე

ბალადა (ფრანგ. ballade), თხრობითი ხასიათის ვოკალური ან ინსტრუმენტული ნაწარმოები.

პროფესიულ მუსიკაში ვოკალური ბ-ის განვითარება უკავშირდება (XVIII ს.) ლიტ. ბ-ის გავრცელებას. იგი ძირითადად გერმანულ და ავსტრიულ რომანტ. მუსიკაში ჩამოყალიბდა (ფ. შუბერტი, რ. შუმანი, ი. ბრამსი, ჰ. ვოლფი). ინსტრუმ. ბ-ის ჟანრისათვის დამახასიათებელია ეპიკური, დრამ. და ლირ. მომენტების შერწყმა. მისი ფუძემდებელია ფ. შოპენი (XIX ს. 30-იანი წწ.). ბ-ებს თხზავდნენ აგრეთვე ე. გრიგი, ფ. ლისტი და სხვ. XIX ს. ვხვდებით საოპერო არია–ბ-საც.

ქართული ხალხ. მუს. ბ-ის ნიმუშები არქ. ხასიათისაა (მაგ. „ვეფხვი და მოყმე“). ხალხური ვოკალური ხელოვნების ეს სახეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ფოლკლორული ბ-ის ტრადიციულ სასიმღერო შესრულებასთან.

ქართულ მუსიკაში საფ. ბ-ბი შექმნილი აქვთ ა. ბალანჩივაძეს, ა. მაჭავარიანს („ბაზალეთის ტბა“), ბ. კვერნაძეს და სხვებს.

ბალადური ოპერა, კომიკური ოპერის ინგლისური სახესხვაობა (XVIII ს.). ბ.ო-ში ფართოდ იყო გამოყენებული ხალხური და პოპულარული საოპერო მელოდიები, განსაკუთრებით კი ინგლისური, შოტლანდიური და ირლანდიური ბალადები. პირველი ნიმუშია დრამატურგ ჯ. გეისა და კომპოზიტორ ი. კ. პეპუშის მიერ შექმნილი „ღატაკის ოპერა“ (1728), რომელშიც დასცინიან მთავრობას, არისტოკრატიასა და აგრეთვე იტალიურ ოპერას. განახლებული სახით „ღატაკის ოპერა“ აღადგინეს ბ. ბრეხტმა და კ. ვაილმა („სამგროშიანი ოპერა“, 1928).

ბალაკირევი მილი ალექსის ძე [21.XII. 1836, ნიჟნი ნოვგოროდი, 16. V. 1910, პეტერბურგი], რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, საზ. მოღვაწე. 1856 პეტერბურგში შედგა მისი, როგორც პიანისტისა და დირიჟორის დებიუტი. მისი ინიციატივით 60-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა მუსიკოსების ჯგუფი („მძლავრი ჯგუფი“). 1850-60 შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. ამ პერი-

ოდს მიეკუთვნება „უვერტიურა სამ რუსულ თემაზე“, სიმფ. პოემა „რუსეთი“ და სხვ. 1866 გამოაქვეყნა კრებული „40 რუსული ხალხური სიმღერა ფ-ნოსა და ხმისათვის“. მისი უმთავრესი ნაწარმოებებია სიმფ. პოემა „თამარი“ (1882) და საფ. ფანტაზია „ისლამეი“ (1869), რომელიც დამკვიდრდა მრავალი პიანისტის რეპერტუარში. ბ-მა გზა გაუკაფა რუსულ მუსიკაში პროგრამულ სიმფ. ჟანრებს.

ბ-მა იმოგზაურა საქართველოში (1862), ჩაწერა ხალხური სიმღერები.

ბალალაიკა, რუსული სამსიმიანი (ძველად ორსიმიანი) სამკუთხედის ფორმის მუს. საკრავი. უკრავენ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ყველა სიმზე ჩამოკვრითა და ცალკეული სიმის მოზიდვით. ფართოდ იყო გავრცელებული XVIII–XIX სს-ში. 1880-იან წლებში ბ. გაუმჯობესეს ვ. ანდრეევმა, მუს. ინსტრუმენტების ოსტატებმა ფ. პასერბსკიმ და ს. ნალიმოვმა. ბ. რუსული ხალხ. საკრავიერი ორკესტრის ძირითადი ინსტრუმენტია.

ბალანჩივაძე ანდრია მელიტონის ძე [19. V. 1906, პეტერბურგი,–28. IV. 1992, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, საქ. (1957) და სსრკ (1968) სახ. არტისტი. 1927 დაამთ. თბ. კონს. ფ-ნოსა (ი. აისბერგის კლ.) და კომპოზიციის (მ. იპოლიტოვ-ივანოვის კლ.) განხრით. 1927-31 სწავლობდა ლენინგრადის კონს-ში ა. ჟიტომირსკის (კომპოზიცია) და მ. იუდინას (ფ–ნო) ხელმძღვანელობით.

1931-იდან ბ. ინტენსიურ შემოქმედებით, პედ. და საზ. მოღვაწეობას ეწევა. 1931-34 კ. მარჯანიშვილის სახ. და მუშა-ახალგაზრდობის თეატრების სამუსიკო ნაწილის გამგე და კომპოზიტორია; 1937-იდან თბ. კონს-ის საკომპ. კლასის ხე-ლი (1940-იდან პროფ.). 1941-49 საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის სამხ. ხე-ლი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქ. კომპოზიტორთა კავშირს. ბ. ეროვნ. საკომპ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი მოწაფეები იყვნენ: რ. ლაღიძე, ა. ჩიმაკაძე, ა. შავერზაშვილი, შ. მილორავა, ბ. კვერნაძე, ო. თევდორაძე, მ. დავითაშვილი, ნ. სვანიძე და სხვ. ბ. ავტორია პირველი ქართ. ბალეტისა „მთების გული“ (1936 რომელიც დაიდგა სსრკ მრავალი თეატრის სცენაზე). მასვე ეკუთვნის ბალეტები: „ცხოვრების ფურცლები“ (1961 დაიდგა სსრკ დიდ თეატრში) და „მწირი“ (1964). ოპერები „მზია“ და „ოქროს ქორწილი“. ბ-ეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სიმფონიური (5 სიმფ.) და საფ. მუსიკის განვითარებაში. ფართოდ აღიარებულია მისი პირველი სიმფონია (1944), პოპულარულია III საფ. კონცერტი (1952). აღსანიშნავია აგრეთვე ბ-ის საფ. პიესები: „ცეკვა“, „ხორუმი“, „ბალადა“, „ნოქტიურნი“, „სამაია“, სიმფ. სურათები „რიწის ტბა“, „კრწანისის ბრძოლა“. კომპოზიტორმა მუსიკალურად გააფორმა რუსთაველის სახ. თეატრში 30-ზე მეტი სპექტაკლი, მუსიკა კინოფილმებისათვის: „გიორგი სააკაძე“, „მამლუქი“ და სხვ.

ბ. ორგზის იყო სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946, 1947), ხოლო რუსთაველის სახ. პრემია მას მიენიჭა IV საფ. კონცერტისათვის (1969).

ა. წულუკიძე.

ბალანჩივაძე მელიტონ ანტონის ძე [24. XII. 1862, სოფ. ბანოჯა, ახლანდ. წყალტუბოს რ-ნი,–21. XI. 1937, ქუთაისი], ქართველი კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე. საქ. სახ.

არტისტი (1933). 1880-იდან ფ. ქორიძის მოწვევით თბ. ოპერის გუნდშია. აქვე იმღერა სოლო პარტიებიც (ვალენტინი „ფაუსტში“, ზარეცკი „ევგენი ონეგინში“). 1882 ჩამოაყალიბა ქართული ხალხური სიმღერის გუნდი. 1883 გაიმართა კონცერტი, რაც იყო ქართული ხალხური სიმღერების საჯარო შესრულების პირველი შემთხვევა. 1883-86 ფ. ქორიძესთან ერთად მთელი საქართველო მოიარა ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლისა და ჩაწერის მიზნით.

1889-95 ბ. პეტერბურგის კონს-ში ჯერ ვოკალს ეუფლებოდა, შემდეგ კი კონს-ის დირექტორის ა. რუბინშტეინის რჩევით კომპოზიციის კლასში გადავიდა ნ. რიმსკი-კორსაკოვთან. მან დასაბამი მისცა ქართული მუსიკის ორ უმთავრეს ჟანრს–რომანსსა და ოპერას. მის მიერ 1888 შექმნილი სამი რომანსი „ოდესაც გიცქერ“, „შენ გეტრფი მარად“ და „ნანა შვილო“ ქართული კამერული ვოკალური ლირიკის პირველი კლასიკური ნიმუშებია. იგი 28 წელი რუსეთში მოღვაწეობდა, რითაც ხელი შეუწყო ქართული მუსიკის გავრცელებასა და პროპაგანდას. ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა გუნდი, რომელიც ასრულებდა ქართ. ხალხ. სიმღერებს. 1917 ბ. ბრუნდება საქ-ში. აქ იგი აარსებს ქუთაისისა და ბათუმის სამუსიკო სასწავლებლებს. უკანასკნელ წლებში ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის (შემდგომში მისი სახელობის) დირექტორად მუშაობდა. 1926 თბ. საოპერო თეატრში დაიდგა ბ-ის ოპერა „თამარ ცბიერი“ (ლიბრეტო კ. ფოცხვერაშვილის). ოპერის ნაწყვეტები შესრულდა პეტერბურგში (1897). განმეორებით–1912 რუსი მსახიობების მონაწილეობით. 1937 ეს ოპერა „დარეჯან ცბიერის“ სახელწოდებით მოსკოვში ქართ. ხელოვნ. დეკადაზე შესრულდა და მაღალი შეფასება დაიმსახურა. ბ-ის სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია კანტატა „დიდება ზაჰესს“, „სტუდენტების სიმღერა“ ქალ-ვაჟთა გუნდისათვის, „ქართული ეროვნული მარში“ სიმფ. ორკესტრისათვის და სხვ. მისი შვილებია ანდრია ბალანჩივაძე და გამოჩენილი ამერიკელი ბალეტმაისტერი ჯორჯ (გიორგი) ბალანჩინი.

ა. წულუკიძე



ბალანჩინი (Balancin) ჯორჯ (ბალანჩივაძე გიორგი მელიტონის ძე) [9(22)I. 1904, პეტერბურგი,–30.IV.1983, ნიუ-იორკი], ამერიკელი ბალეტმაისტერი, ამერიკული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1914-21 სწავლობდა პეტროგრადის მარიას თეატრთან არსებულ თეატრალურ სასწავლებელში. მომდევნო წლებში მონაწილეობდა სპექტაკლებში, დგამდა ცეკვებს. 1924-იდან საზღვარგარეთ ცხოვრობს. 1925-1929 იყო პარიზის „ს. დიაგილევის რუსული საბალეტო დასის“ მთ. ბალეტმაისტერი, მუშაობდა ფრანგულ დასებშიც. 1933 მიიწვიეს აშშ-ში, სადაც შექმნა საბალეტო სკოლა და დასი (1948-იდან „ნიუ-იორკ სიტი ბალე“). დადგმული აქვს საბალეტო სპექტაკლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სარგებლობდა უდიდესი შემოქმედებითი ავტორიტეტით. მან შექმნა უსიუჟეტო ე.წ. აბსტრაქტული ბალეტი, რომელშიც განხორციელებული იყო მისი შემოქმედების ძირითადი პრინციპი, რომ ქორეოგრაფიული საშუალებებით მუსიკა გახდეს ხილვადი. თავის დასთან ერთად ორჯერ იყო სსრკ-ში (1962, 1972). დაუვიწყარი სპექტაკლები გაიმართა თბილისშიც.

გამოჩენილმა ხელოვანმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაზე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დადგმულია ბ-ის მიერ ბალეტები: ჩაიკოვსკის „სერენადა“ და სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი“.

ბალეტი (ფრანგ. ballet<იტალ. balletto<გვიანდ. ლათ. ballo-ვცეკვავ), საბალეტო მუსიკა, სასცენო ხელოვნების სახეობა, სპექტაკლი, რომლის შინაარსი გადმოიცემა საცეკვაო-მუს. სახეებით. ბ-ის მუსიკა, რომელიც საბალეტო ლიბრეტოს მიხედვით იქმნება, ქორეოგრაფიის მხატვრულ-ემოციურ და მეტრულ-რიტმულ საფუძველს წარმოადგენს. ზოგჯერ-ქორეოგრაფიული ინტერპრეტაციები ადრე შექმნილ მუსიკას ემყარება.

ტერმინი „ბ.“ შეიქმნა იტალიაში XVI ს-ის ბოლოს ოპერაში საცეკვაო ეპიზოდის აღსანიშნავად. ბალეტის გამოყოფა დამოუკიდებელ ხელოვნებად უფრო გვიან მოხდა. საბალეტო მუსიკას მნ. ადგილი ეკავა XVII–XVIII ს. გამოჩენილი კომპოზიტორების ჟ.ბ. ლიულის, ჰ. პერსელის, გ.ფ. ჰენდელის, ჟ.ფ. რამოს და სხვათა ოპერებში. ბალეტმაისტერ ჟ. ჟ. ნოვერის მიერ განხორციელებულმა რეფორმამ განამტკიცა მუსიკის აქტიური როლი საბალეტო სპექტაკლში. ჟანრის განვითარებაში მნ. ადგილი დაიკავა ქ.ვ. გლიუკის ბალეტმა „დონ ჟუანმა“ (1761). საბალეტო მუსიკის სიმფონიზაციის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა ბეთჰოვენის „პრომეთეოსის ქმნილებანი“ (1801). რომანტიკული მიმართულება დაამკვიდრეს ბ-ში ადანის „ჟიზელმა“(1841), დელიბის „კოპელიამ“(1870) და სხვ. თვისებრივად ახალი ეტაპი საბალეტო მუსიკის განვითარებაში შექმნეს პ. ჩაიკოვსკის ბალეტებმა: „გედების ტბა“ (1877), „მძინარე მზეთუნახავი“(1890), „მაკნატუნა“ (1892). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. სტრავინსკის ბალეტებს –„ფასკუნჯი“ (1910), „პეტრუშკა“ (1911), „საღვთო გაზაფხული“ (1913), რომლებიც დაკავშირებულია ბალეტმაისტერ მ. ფოკინის ნოვატორულ ძიებებთან. XX ს-ის მრავალმა კომპოზიტორმა მიმართა ბალეტის ჟანრს (მ. რაველი, ა. ონეგერი, ბ. ბარტოკი, პ. ჰინდემითი, მ. დე ფალია, რ. გლიერი, დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ა. ხაჩატურიანი, რ. შჩედრინი და სხვ.). საეტაპოდ იქცა ს. პროკოფიევის ბალეტები („რომეო და ჯულიეტა“, 1938 და სხვ.), რომელთაც განსაზღვრეს სიმფონიზაციისა და კონფლიქტური დრამატურგიის პრინციპების განმტკიცება საბალეტო მუსიკაში. XX ს-ის დასაწყისიდან მკვიდრდება აგრეთვე სიმფონიური (და სხვ.) მუსიკის ნიმუშების ქორეოგრაფიული ინტერპრეტაციის პრაქტიკა ბ-ის ჟანრში, რაც მნიშვნელოვან წილად დაკავშირებულია ამერიკელი ბალეტმაისტერის–ჯ. ბალანჩინის (გ. ბალანჩივაძის 1904-83) ნოვატორულ მოღვაწეობასთან.

საქართველოში პირველი საბალეტო სპექტაკლი დაიდგა 1854 წარმოდგენილი იქნა კომპოზიტორ შმიდტის „გიეტანა“. 80-90-იან წლებში თბილისში გასტროლებს მართავდნენ გამოჩენილი რუსი მოცეკვავეები და საბალეტო დასები. ეროვნული ბ-ის ფორმირება დაიწყო XX ს. 10-იანი წლებიდან. საბალეტო პანტომიმების შექმნის პირველი ცდები ეკუთვნის თ. ვახვახიშვილს („ირანული პანტომიმა“, 1914, „ბახუსის დღესასწაული“ 1919, ერთაქტიანი ბ-ები–„მზეთამზე“ და „ხანძარი“ 1926-30). დიდი როლი შეასრულეს მ. პერინის სტუდიამ (1916-34), სახელმწ. ქორეოგრაფიულმა სტუდიამ (1934-იდან) და სასწავლებელმა (1951-

იდან) დ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით. პირველი და ფუძემდებლური ქართული ბალეტია ა. ბალანჩივაძის „მთების გული“ („მზეჭაბუკი“), რომელიც 1936 დადგა გამოჩენილმა მოცეკვავემ და ბალეტმაისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა. მანვე დადგა შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“ (1938), გ. კილაძის „სინათლე“ (1947), დ. თორაძის „გორდა“(1949), ა. მაჭავარიანის „ოტელო“ (1957), ს. ცინცაძის „დემონი“ (1961). „გორდა“ ყველაზე სარეპერტუარო ბალეტია, „ოტელომ“ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ა. მაჭავარიანს ეკუთვნის აგრეთვე ბ. „ვეფხისტყაოსანი“ (1974), რომელიც დაიდგა ლენინგრადში. ცინცაძის ბ. „რივარესი“ (1982) დაიდგა მოსკოვში. საბალეტო ჟანრს მიმართავდნენ აგრეთვე რ. გაბიჩვაძე („ჰამლეტი“, 1971, „მედეა“, 1978), ბ. კვერნაძე („ქორეოგრაფიული ნოველები“, 1964, „ბერიკაობა“, 1973), ს. ნასიძე, ფ. ღლონტი, ვ. აზარაშვილი, შ. დავითაშვილი, ვ. კახიძე და სხვ.

გ. ტორაძე

ბალეტმაისტერი (გერმ. Balletmeister), საბალეტო სპექტაკლების, აგრეთვე საოპერო, საოპერეტო, დრამ. წარმოდგენების ქორეოგრაფიული ნაწილის ავტორი და დამდგმელი. ბალეტმაისტერი ქმნის ქორეოგრაფიულ მოძრაობათა ისეთ სისტემას, რომელიც მკაფიოდ ხსნის მხატვრულ სახეებსა და სპექტაკლის იდეას.

ბალკონი (იტალ. balcone), მაყურებელთა ადგილები თეატრის ზედა იარუსებზე, იგივეა რაც აივანი.

ბალ-მასკარადი, დიდი კოსტუმირებული საცეკვაო საღამო, რომლის მონაწილეებს ნიღაბი უკეთიათ.

ბანდურა (პოლ. bandura< ბერძ. pandura-სიმებიანი მუსიკალური საკრავი), უკრაინული საბრწკენი მრავალსიმიანი საკრავი, ცნობილია XVI ს-დან. ბ-ს აქვს მრგვალი ან მსხლისებრი ფორმის ტანი და მოკლე ყელი, რ-ზეც დაჭიმულია ბანის (სააკომპანემენტო) სიმები, ხოლო ტანის გვერდით დეკაზე სიმები, რომლებითაც ასრულებენ მელოდიას. დაკვრისას სიმებს არ ამოკლებენ. ჟღერადობის გასაძლიერებლად ხშირად ხმარობენ სპეც. პლექტრს. ბ-ის აკომპანემენტზე მღეროდნენ ბანდურისტები, კობზარები. თანამედროვე ბ. გაუმჯობესებულია. შექმნილია ბ-ის საორკესტრო ნაირსახეობანი. ჩამოყალიბდა ბანდურისტთა კაპელები (მაგ. უკრ. ბანდურისტთა სახ. კაპელა).

ბანი (იტალ. basso, დაბალი), 1. მამაკაცის დაბალი რეგისტრის ხმა. 2. მრავალხმიან საგუნდო ნაწარმოებში ყველაზე დაბალი ხმა. 3. აკორდის ქვედა ბგერა. 4. დაბალი რეგისტრის სიმებიანი ან სასულე მუს. საკრავი. 5. მუს. საკრავის კლავიშები ან სიმები, რომელბიც გამოსცემენ დაბალ ხმას.

ქართულ ხალხურ მუსიკაში არსებობს ბანის შემდეგი სახეობანი: მაღალი, დაბალი, შემდეგი, ბოხი, დვრინი (დვინი), დუმბო.

ბანის გასაღები, იწერება სანოტო სისტემის მეოთხე ხაზზე და გვაძლევს მცირე

ოქტავის ფა-ს ხმოვანებას. ბ. გ. გამოიყენება დაბალი რეგისტრის ნოტების ჩასაწერად.



ბანჯო (ინგლ. banjo), გიტარის მსგავსი სიმებიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი. ამერიკელი ზანგების საკრავის–ბონჯას რეკონსტრუქციით (დაახლ. 1830) შეიქმნა. (თანამედროვე ბანჯო აშშ-ში შემოვიდა XVII ს-ში დას. აფრიკიდან). მას აქვს 5 სიმი; ყველაზე აღნიშნულია კილოები.

ბარბერი (Barber) სემიუელ [9. III. 1910, უესტ-ჩესტერი, პენსილვანია,–1981, აშშ], ამერიკელი კომპოზიტორი. დაამთ. კიორტისის მუსიკალური ინ-ტი ფილადელფიაში (1928), სადაც შემდეგ თვითონ ასწავლიდა (1939-42). მის ადრინდელ ნაწარმოებებში იგრძნობა რომანტიკოსთა, ხოლო გვიანდელებში– ბ. ბარტოკის, ი. სტრავინსკის, ს. პროკოფიევის გავლენა. გამოდიოდა როგორც მომღერალი და დირიჟორი. უმთავრესი ნაწარმოებებია: ოპერები „ვანესსა“(1958), „ანტონიუსი და კლეოპატრა“, 2 სიმფონია, ადაჟიო სიმებიანი ორკესტრისათვის (1936), საფ. (1962), სავიოლინო (1939) და სავიოლონჩელო (1945) კონცერტები, საფ. სონატა, გუნდები და სხვ.

ბარდანაშვილი იოსებ (სოსო) იუზას ძე [23. XI. 1948, ბათუმი], კომპოზიტორი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1986), ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1987). დაამთ. თბ. კონს-ის საკომპოზიციო ფაკ-ტი 1985 (ხე-ლი ა. შავერზაშვილი). 1986-91 მუშაობდა ბათუმის მუსიკალერი სასწავლებლის დირექტორად, შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილედ. 1995-იდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ისრაელში, თელ-ავივის რუბინის სახ. მუს. აკადემიაში კითხულობს კომპოზიციის კურსს. 1998 ბ-ს მიენიჭა წლის საუკეთესო კომპ-ის წოდება, 2000–ისრაელის პრემიერ-მინისტრის პრიზი. 2000 დეკემბერში საავტორო კონცერტი გამართა თბილისში. 2002 იყო თანამედროვე მუსიკის ფესტივალის სამხ. ხელმძღვ. (თელ-ავივი).

ბ-ს ეკუთვნის 2 სიმფონია, 3 ოპერა (როკ-ოპერა „ალტერნატივა“ 1976, „მოხეტიალე ვარსკვლავები“ 1981, მონო-ოპერა –„ევა“ 1999), 3 ბალეტი, ტრილოგია ვიოლინოს, გუნდისა და ორკ-თვის, კონცერტი ვიოლინოს, ფ-ნოსა და ჩელოსათვის, კონცერტი გიტარისათვის, 2 სიმებიანი კვარტეტი, საფ. ტრიო, საგუნდო მუს., ვოკალური ციკლები, მუს. კფ-სა და სპექტაკლებისათვის და სხვ. მისი ნაწ-ები სრულდება მსოფლ. სხვადასხვა ქვეყანაში.

გ. ტორაძე

ბარდი (კელ. bard), კელტური ტომების სახალხო მგოსან-მომღერალი (განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და შოტლანდიაში).



ბარიტონი (იტალ. Baritono დაბალხმოვანება), 1. მამაკაცის ხმა, შუალედური ტენორსა და ბანს შორის. განასხვავებენ ლირიკულ ბ-ს (ჟღერადობით უახლოვდება დრამ. ტენორს) და უფრო ვაჟკაცურ, ძლიერ, დრამატულს (დაბალ რეგისტრში უახლოვდება ბანს). ბ-ის დიაპაზონია დიდი ოქტ. ლა-დან პირველი ოქტ. ლა-მდე.

2. ბანის ხემიან-სიმებიანი სამუსიკო საკრავი. გავრცელებული იყო XVIII ს.

3. სასულე ორკესტრის საშუალო ზომის სპილენძის ჩასაბერი საკრავი.

ბარკაროლა (იტალ. Barcarola<barca- ნავი), თავდაპირველად იტალიელი მენავეების (გონდოლიერების) სიმღერების სახელწოდება, შემდგომში ყოველგვარი მუსიკალური ნაწარმოები (სიმღერა, პიესა ფ-ნოსათვის, გუნდი და სხვ.), რომელშიც ასახულია ნავით სეირნობა. ზოგჯერ ბ-ს გონდოლიერას უწოდებენ. მუსიკალური ხასიათი ჩვეულებრივ ლირიკული, ნათელი და მეოცნებეა. ტემპი–ზომიერი. მნ. ვოკალური ბ. შექმნეს შუბერტმა, გლინკამ, საფორტეპიანო–მენდელსონმა, შოპენმა, ჩაიკოვსკიმ, რახმანინოვმა და სხვ. ვოკალური ბ. გვხვდება ზოგიერთ იტალ. და ფრანგ. ოპერაში.

ბარნაბიშვილი გიორგი კირილეს ძე [12. I. 1917, ოდესა,–23. III. 1982, თბილისი], ქართველი ვიოლონჩელისტი და პედაგოგი. საქ. დამს. არტისტი, პროფ. (1968). სსრკ სახელმწ. პრემიისა (1952) და სიმებიანი კვარტეტების საერთაშ. კონკურსის (პრაღა, 1950) ლაურეატი. დაამთ. თბ. კონს. (ხე-ლი პროფ. კ. მინიარი, 1939). საქ. ფილარმონიის სოლისტი (1935-იდან). მართავდა კონცერტებს (სოლო და სიმფ. ორკ.–თან). კონს-ის ჩელოსა და კონტრაბასის კათედრის გამგე (1965-82). 1946-67 უკრავდა საქ. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში. 1967 ჩამოაყალიბა ახალგაზრდული სიმებიანი კვარტეტი (1973-იდან საქ. სახელმწ. კვარტეტი), რომელშიც ერთხანს თვითონაც უკრავდა (შემდგომ იყო კონსულტანტი).

ბარსოვა ვალერია ვლადიმერის ასული (ნამდვ. გვარი–ვლადიმიროვა) [1(13). VI. 1892, ასტრახანი,–13. XII. 1967, სოჭი], რუსი მომღერალი (ლირ.-კოლორატურული სოპრანო), სსრკ სახ. არტისტი (1937). 1920-48 იყო მოსკ. დიდი თეატრის სოლისტი. საუკეთესო პარტიებია: ლიუდმილა და ანტონიდა (გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“ და „სიცოცხლე მეფისათვის“), მოსკ. კონს-ის პროფესორი (1950-53).

ბარტოკი (Bartok) ბელა [25. III. 1881, ნადსენტმიკლოში, ტრანსილვანია,–26. IX. 1945, ნიუ-იორკი], უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი, მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტი, პედაგოგი. 1899-1903 სწავლობდა ბუდაპეშტის მუსიკალურ აკადემიაში ფ-ნოსა და კომპოზიციის სპეციალობით. 1907-იდან თვითონ იყო მისი პროფესორი (ფ-ნოს კლ.). 1919-იდან საავტორო კონცერტებს მართავდა ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში. 1940-იდან ბ. ნიუ-იორკში ცხოვრობდა. თავის მეგობარ ზ. კოდაისთან ერთად ბ. უნგრ. მეცნ. მუს. ფოლკლორისტიკის ფუძემდებელია. დიდი მნ-ბა ენიჭება მის მიერ ჩაწერილ და გამოქვეყნებულ უნგრ. ხალხ. სიმღერათა კრებულებს. მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ბ-ს საოპერო, საბალეტო,

საორკესტრო და კამერულმა ნაწარმოებებმა, საფ. კონცერტებმა. ბ. ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა XX ს-ის მუსიკის ისტორიაში, მან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მრავალი კომპოზიტორის შემოქმედებაზე.

ბ-ის უმთავრესი ნაწარმოებებია: ერთმოქმედებიანი ოპერა „ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე“ (1918), ბალეტი „ხის პრინცი“ (1917), ბალეტი-პანტომიმა „სასწაულებრივი მანდარინი“ (1926), საცეკვაო სიუიტა (1923), „მუსიკა სიმებიანთა, დასარტყმელთა და ჩელესტისათვის“ (1936), კონცერტი ორკესტრისათვის (1943), 3 საფ. კონცერტი (1926-31-45), 2 კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, საფ. კვარტეტი, 6 სიმებიანი კვარტეტი (1908-39), სონატა 2 ფ-ნოსა და დასარტყმელთათვის (1937), გუნდები, ვოკალური ციკლები და სხვ.

ბარშაი რუდოლფ ბორისის ძე [28. IX. 1924,-კრასნოდარის მხარე], ალტისტი და დირიჟორი. გამოდიოდა როგორც სოლისტი და ანსამბლისტი. 1956-77 ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ კამერულ ორკესტრს. 1977-იდან უცხოეთშია, სადაც განაგრძო საშემსრულებლო მოღვაწეობა.

ბარძიმაშვილი რობერტ გიორგის ძე [21. XII.1934, თბილისი, -5.VII, 2003, თბილისი], საესტრადო მომღერალი. საქართველოს სახ. არტისტი. ვოკალურ--ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ (1958-75) და „ვია-75“-ის დამაარსებელი და სამხ. ხელმძღვანელი. აგრეთვე ჯგუფ „ჯორჯიას“ ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ლახტის“ ხელმძღვანელი.

ანსამბლმა „ორერამ“ დიდი წარმატებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მასზე გადაღებულია ფილმი „ორერა სრული სვლით“ (1970).

ბარხუდარიანი სერგეი (სარქის) ვასილის ძე [26.VIII (7.IX). 1887, თბილისი, -1973, იქვე], საქართველოში მოღვაწე სომეხი კომპოზიტორი და მუს. პედაგოგი. სომხეთის სახ. არტისტი (1960). საქ. ხელოვნ. დამსხ. მოღვაწე (1936). 1907 დაამთ. თბ. მუს. სასწავლებელი. 1907-09 სწავლობდა ბერლინის კონს-ში (საფ.კლ.). 1915 დაამთ. პეტროგრ. კონს. (კომპოზიციის კლ.). 1923-55 თბ. კონს. პედაგოგია (1941-დან პროფესორი). მისი მოწაფეები იყვნენ: ო. თაქთაქიშვილი, შ. თაქთაქიშვილი, გ. კილაძე, გ. ჩხიკვაძე, შ. აზმაიფარაშვილი, ა. ანდრიაშვილი, ა. ბაბაჯანიანი, ა. არუთუნიანი, ო. ბარამიშვილი, ნ. გუდიაშვილი და სხვ.

ბ. დაწერა: სიმფ. პოემა „ანუში” (1917), ბალეტი „ნარინე” (1938), უვერტიურა, რომანსები, საფ. პიესები თეატრისა და კონოს მუსიკა და სხვ.

ბასილაია ალექსანდრე ალექსანდრეს ძე [11.III, 1942, თბილისი, – 3.X. 2009, გერმანია, დაკრძალულია თბილისში], კომპოზიტორი და პიანისტი. საქ. სახ. არტისტი (1987). 1967 დაამთ. თბილისის სახელმწ. კონს. კონტრაბასის სპეციალობით (ხე-ლი ნ. სავჩენკო). ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიას“ დამაარსებელი და სამხ. ხელმძღვანელი (1968-2009). 1990-იდან საქ. ფილარმონიის დარბაზის სამხ. ხელმძღვანელი და დირექტორი. ანს. „ივერიამ“ წარმატებით

მოაირა 50-მდე ქვეყანა. ბ. ქართული მუსიკის პოპულარიზაციას ეწეოდა საქართველოში და უცხოეთში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ ესტრადაზე მიუზიკლის ჟანრის განვითარებაში. როგორც კომპოზიტორი ძირითადად საესტრადო ჟანრში მუშაობდა. მას ეკუთვნის მრავალი საესტრადო სიმღერა მ.შ. „თეთრი ფიფქები“, „მოგონებანი“, „სიყვრულის ზღაპარი“, „გულო ჩადექ საგულესა“ და სხვ. ანსამბლ ივერიისათვის დაწერა მიუზიკლები : „ჩხიკვთა ქორწილი“ (1979), „არგონავტები“ (1983), „თოვლის ბებოს ზღაპარი“ (1986), „ფიროსმანი“ (1996) და სხვ.

ბასო ოსტინატო (იტალ. basso ostinato-უწყვეტი ბანი), ერთ-ერთი სავარიაციო ფორმა მუსიკაში, რომელიც ემყარება უცვლელი თემის მრავალგზის გამეორებას დაბალ ხმებში (ბანებში). მაღალი ხმის აკომპანემენტი ცვალებადია, რის შედეგადაც თემატიკური მთლიანობის შენარჩუნებასთან ერთად ხდება მრავალხმიანი მუს. ქსოვილის განუწყვეტელი განახლება. XVII–XVIII ს-ში ბასო ოსტინატო თანმხლებ დაბალ ხმად გამოიყენებოდა არიებსა და გუნდებში (ჰ. პერსელი, ი. ბახი-Grucitixus- მესიდან სი მინორი); პასაკალიისა და ჩაკონის ტიპის ინსტრუმენტულ ფორმებში (დ. შოსტაკოვიჩი, პ.ჰინდემითი და სხვა).

ბატისტინი (Battistini) მატია [27. II. 1856, რომი,–7. XI. 1928, კონტილიანო (რიეტი)], იტალიელი მომღერალი (ბარიტონი). ბელკანტოს ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი. სიმღერას სწავლობდა ე. ტერციანისა და ვ. პერსიკინის ხელმძღვანელობით. 1878 რომში შედგა ბ-ის დებიუტი დონიცეტის ოპერაში „ფავორიტი ქალი“ (ალფონსი), მღეროდა იტალიის სხვადასხვა თეატრებში, რუსეთში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, არგენტინაში, ბრაზილიაში და სხვ. მნიშვნელოვანი პარტიებია: დონ ჯოვანი (მოცარტის „დონ ჯოვანი“), ესკამილიო (ბიზეს „კარმენი“), რიგოლეტო, იაგო (ვერდის „რიგოლეტო“ და „ოტელო“), ონეგინი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), დემონი (რუბინშტეინის „დემონი“), რუსლანი (გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“) და სხვ.

„ბატონებო”, წარმართული ხანის ქართული რელიგიურ- საწესჩვეულებო ორნაწილიანი პოლიფონიური (სამხმიანი) საგუნდო სიმღერა – ვედრება. ინფექციური სენით (ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა) დაავადებულ ბავშვებს უმღეროდნენ საწოლთან, ზეარსებათა სახით წარმოდგენილ „ყოვლისშემძლე” ბატონებს შესთხოვდნენ ავადმყოფის განკურნებას. „ბატონებო” მიჩნეული იყო განმკურნებელ სიმღერად. მას სხვანაირად საბოდიშოსაც ეძახიან.

გ.ჩხიკვაძე

ბაღდადური, ქართული ქალაქური ცეკვა, აღმოცენდა XIX ს. II ნახევარში. ბ-ს საფუძვლად დაედო ძველებური ქართული გლეხური ცეკვა ბუქნა, ხტომითი მოძრაობები, პანტომიმის ელემენტები. ბ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეატრალიზებული დადგმაა „ძველი თბილისის სურათები“ (ქორეოგრაფი ი. ბაგრატიონი). ბ. გამოიყენა

კომპოზიტორმა ვიქტორ დოლიძემ ოპერაში „ქეთო და კოტე“.

ბაშკიროვი დიმიტრი ალექსანდრეს ძე [1. XI. 1931, თბილისი], პიანისტი და პედაგოგი, რსფსრ სახ. არტისტი. დაამთ. თბილისის სამუსიკო სკოლა–ათწლედი პროფ. ა. ვირსალაძის ხელმძღვანელობით (1949). დაამთ. მოსკოვის კონს. პროფ. ა. გოლდენვეიზერის ხელმძღვანელობით (1954). 1957-იდან მოსკოვის კონს-ის პედაგოგია (1977-იდან პროფ.). მ. ლონგის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (I პრემია, პარიზი, 1955). უკანასკნელი წლების მანძილზე მუშაობს აგრეთვე მადრიდის (ესპანეთი) კონს-ში. მრავალი წლის მანძილზე გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებში და უცხოეთში. პერიოდულად ჩამოდიოდა თბილისში (კონცერტები და კონსულტაციები).

ბაშმეტი იური აბრამის ძე [24. I. 1953, როსტოვი-დონზე], ალტისტი, პედაგოგი, რსფსრ სახ. არტისტი (1989). 1978-იდან მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი და კონს-ის პედაგოგი. საერთაშ. კონკურსების პრემიების ლაურეატი. ბ. თანამედროვეობის თვალსაჩინო მუსიკოსია. მდიდარი რეპერტუარით გამოდის როგორც სოლისტი და ანსამბლისტი. თანამშრომლობდა ჯ. კახიძესთან და გ. ყანჩელთან.

ბახები, გერმანელ მუსიკოსთა ოჯახი. 1. ვილჰელმ ფრიდემან [22. XI. 1710, ვაიმარი,–1. VII. 1784, ბერლინი], კომპოზიტორი და ორგანისტი. ი.ს. ბახის უფროსი ვაჟი. ყველაზე ახლოა მამასთან შემოქმედებითად. 1733-64 მუშაობდა დრეზდენსა და ჰალეში (აქედან–„ჰალელი“ ბახი). ავტორია 21 კანტატის, სიმფონიების, კონცერტების, საორგანო, საკლავირო და სხვ. ნაწ-ის. 2. იოჰან ქრისტიან [5. XI. 1735, ლაიფციგი,–1. I. 1782, ლონდონი], კომპოზიტორი და პიანისტი. ი.ს. ბახის უმცროსი ვაჟი. დიდხანს ცხოვრობდა მილანსა და ლონდონში (აქედან–„მილანელი“ და „ლონდონელი“ ბახი). განავითარა ე.წ. გალანტური, ანუ დახვეწილი სტილი. სახელი მოიპოვა როგორც ოპერების (12) ავტორმა. საფ. მუსიკაში გადმოიტანა იტალ. საოპერო მელოდიკის მღერადობა. გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მოცარტზე. 3. იოჰან ქრისტოფ ფრიდრიხ [21. VI. 1732, ლაიფციგი,–26. I. 1795, ბიუკებურგი], კომპოზიტორი, კლავესინისტი და კაპელმაისტერი („ბიუკებურგელი“ ბახი) 4. კარლ ფილიპ ემანუილ [8. III. 1714, ვაიმარი,–14. XII. 1788, ჰამბურგი], კომპოზიტორი და კლავესინისტი, ი.ს. ბახის მეორე ვაჟი, ყველაზე ცნობილი მის ვაჟთაგან. დიდხანს მუშაობდა ბერლინში (1740-67 სამეფო კარის მუსიკოსად), შემდეგ ჰამბურგში-„მუსიკის დირექტორად“ (აქედან–„ბერლინელი“ ან „ჰამბურგელი“ ბახი). სხვადასხვა ჟანრის მრავალი ნაწარმოების ავტორია. განსაკუთრებით მნ-ია სონატები კლავირისათვის (200-მდე), რომლებმაც ამ ახალი ჟანრის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს.

ბახი (Bach) იოჰან სებასტიან [21. III. 1685, აიზენახი, თიურინგია,–28. VII. 1750, ლაიფციგი], გერმანელი კომპოზიტორი და ორგანისტი. ათი წლისა დაობლდა. მისი აღზრდა ითავა უფროსმა ძმამ იოჰან კრისტოფმა, რომლის ხელმძღვანელობით ბ. დაეუფლა ორგანზე და ვიოლინოზე დაკვრის ტექნიკას. 1700 წელს იგი მიიღეს ლიუნებურგის წმ. მიხეილის ეკლესიის გუნდში, ლიუნებურგშივე დაამთავრა ლიცეუმი. 1703 ვაიმარის ჰერცოგმა იოჰან ერნესტმა ბ. თავის კარზე მიიწვია სამუშაოდ. მაგრამ იმავე წელს იგი ვაიმარიდან არნშტადტში გადავიდა ერთ-ერთი ახ. ეკლესიის ორგანისტად. აქ იგი უფრო ღრმად დაეუფლა ორგანისტის ხელოვნებას. გატაცებული იყო ბუქსტეჰუდეს საორგანო მუსიკით. აქვე შექმნა თავისი



პირველი თხზულებები, რომელთა შორის საინტერესოა იუმორით აღსავსე „კაპრიჩო საყვარელი ძმის გამგზავრების გამო“ (1704). არნშტადტის შემდეგ ბ. მცირე ხანს მუშაობდა მიულჰაუზენში, სადაც 1708 შექმნა „არჩევნების კანტატა“. იმავე წელს ბ. კვლავ ვაიმარში დაბრუნდა ჰერცოგ ვილჰელმ ერნესტის კარზე. აქ მას შესაძლებლობა მიეცა ღრმად გასცნობოდა ევრ. ქვეყნების მუს. კულტურას, მათ მიღწევებსა და სიახლეს. მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იტალ. ინსტრუმენტულმა მუსიკამ, განსაკუთრებით მისმა ბრწყინვალე საკონცერტო სტილმა (ა. ვივალდისა და ა. კორელის შემოქმედება). იტალ. მუს. თემები ბ-მა კლავესინსა და ორგანზე გადაიტანა და მათ ახ. ინტერპრეტაცია შესძინა. ვაიმარში შექმნა უკვე ბახისეული გენიით აღბეჭდილი სრულყოფილი ნაწარმოებები: ტოკატა და ფუგა რე-მინორი (1709), პრელუდია და ფუგა რე-მაჟორი (1709), საერო კანტატა „მამშვიდებს მხოლოდ მხიარული ნადირობა“ (1716) და მრავალი სხვ. 1717 ბ. ვაიმარიდან კეთენში გადავიდა, სადაც ხელმძღვანელობდა პატარა კამერულ ორკესტრს და უკრავდა კლავესინზე. ამ პერიოდში ბ. ძირითადად ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრში მუშაობდა. კეთენში შეიქმნა „კარგად ტემპერირებული კლავირის“ I ტომი (1722), ექვსი „ინგლისური“ (1720-22) და ექვსი „ფრანგული სიუიტა“, ორ და სამხმიანი ინვენციები (1720), ექვსი „ბრანდენბურგული კონცერტი“ (1719), ექვსი სონატა ვიოლინოსათვის (1720). 1723-იდან გადავიდა ლაიფციგში წმ. თომას ეკლესიისა და ამავე ეკლესიის სკოლის კანტორად (ეკლესიის მგალობელი, საეკლ. მუს. მასწავლებელი). ლაიფციგში ბ. გარდაცვალებამდე დარჩა. ლაიფციგის პერიოდი ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანია ბ-ის შემოქმედებაში. მის ნაწარმოებებში დამკვიდრდა სასულიერო თემატიკა, შეიქმნა პასიონები („ქრისტეს ვნებანი“)–იოანეს (1723), მათეს (1728) სახარებათა მიხედვით, მესა სი-მინორი (1733-38), „საადგომო ორატორია“ (1736), „მაგნიფიკატი“ (1723). პარალელურად შექმნა საუკეთესო საერო ნაწარმოებები: „ყავის კანტატა“ (1732), „თესევსი და პანი“ (1732), კანტატები ლაიფციგელი პოეტი ქალის მარიანა ფონ ციგლერის ტექსტებზე (1735), „მწყემსური კანტატა“ (1725), „ღამის მუსიკა“ (1738) და სხვ. აგრეთვე, ინსტრუმ. ნაწარმოებები: „კარგად ტემპერირებული კლავირის“ II ტომი, „გოლდბერგის ვარიაციები“ (1742), „ფუგის ხელოვნება“ (1749-50), საორგანო პრელუდიები, ტოკატები, ფანტაზიები, ფუგები, ინსტრუმ. კონცერტები, „იტალიური კონცერტი“ (1734). ბ-ის შემოქმედება აგვირგვინებს მთელი შუა სს-ის შემდეგდროინდელი მსოფლიოს მუს. ხელოვნებას და ამავე დროს დასაბამს აძლევს ახ. მიმართულებას. ბ. პოლიფონიური მუსიკის მწვერვალია. მისი მუს. თემები თუ ლიტ. წყაროები გერმანული ხალხური შემოქმედებიდან და პროტესტანტული ქორალიდან მომდინარეობს. ბ-მა განაზოგადა და თავისებურად გადაამუშავა ფრანგ. კლავესინიზმი, იტალ. სავიოლინო ხელოვნება, აკაპელას კლასიკური საგუნდო სტილი, გერმ. საორგანო ოსტატობა. ყოველივე ამან ბ-ს მსოფლიო მუსიკის უდიდესი კლასიკოსის სახელი მოუტანა. ბ-ის შემოქმედება ფილოს. ლირიკის სფეროში ვითარდება და გიგანტურ მასშტაბებს აღწევს. ეს ფილოს. მჭვრეტელობა ნათლად შეიგრძნობა მის როგორც საერო, ისე სას. მუსიკაში. ბ-ის საეკლ. მუსიკა გასცდა რელიგ. დოგმატიზმის ჩარჩოებს. ბ-ის საეკლ. მუსიკა გამორიცხავს ყოველგვარ ასკეტიზმს. იგი ერთდროულად გვევლინება ბრწყინვალე, შთაგონებულ იმპროვიზატორად და ღრმა რაციონალისტად; მისი შემოქმედებითი დიაპაზონი ძალიან ფართოა–თავისუფალი „ქრომატული ფანტაზიიდან“ რამდენადმე განყენებული „ფუგის

ხელოვნებამდე“, ჟანრულ-სახუმარო „კაპრიჩოდან“–დრამატულ პასიონებამდე. გამონაკლისს წარმოადგენს ოპერა. ამ ჟანრისათვის ბ-ს არცერთხელ არ მიუმართავს.

ბ-ის შემოქმდება მთელი სისრულით მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ შეისწავლეს და ღირსეული ადგილი მიუჩინეს მსოფლიო მუსიკის საგანძურში. 1950-იდან ლაიფციგში ყოველ ოთხ წელიწადში იმართება ბ-ის სახელობის საერთაშ. მუსიკალური კონკურსები.

მ. კორძაია



ბახუტაშვილი-შულგინა ოლღა ალექსანდრეს ასული [13. II. 1879, ქუთაისი,–28. V. 1950, თბილისი], ქართველი მომღერალი (სოპრანო). საქ. სახ. არტისტი (1941), თბ. კონს-ის პროფესორი. ვოკალის ხელოვნებას ეუფლებოდა ე. რიადნოვთან. მისი დებიუტი შედგა თბ-ის საოპერო თეატრის სცენაზე (1901). წლების მანძილზე მოღვაწეობდა მოსკოვში, კიევში, ოდესაში. 1917-27 ბ. კვლავ თბ. საოპერო სცენაზეა. იყო ეთერისა (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“) და გულჩინას (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“) პარტიების პირველი შემსრულებელი. თბ. საოპერო თეატრის სცენაზე შეასრულა სოპრანოს მრავალი პარტია: ტატიანა, ლიზა, იოლანტა, მარია (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“, „იოლანტა“, „მაზეპა“), თამარი (რუბინშტეინის „დემონი“), აიდა (ვერდის „აიდა“), ბატერფლაი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“) და სხვ. პირველი ქართველი მომღერალი ქალია, რომელსაც მიენიჭა საქ. სახ. არტისტის წოდება. იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი პროფესორია ვოკალის დარგში. ავტორია რიგი მეთოდიკური შრომებისა. მისი მოწაფეები იყვნენ: ე. სოხაძე, ნ. ცომაია, პ. ამირანაშვილი, მ. ნაკაშიძე, გ. გოგიჩაძე, მ. ყვარელაშვილი, ლ. გოცირიძე, პ. თომაძე და სხვ.

მ. გედევანიშვილი

ბგერათა რიგი–მუსიკალური ბგერების რიგი სიმაღლის მიხედვით. მუს. სისტემის ბგერათა რიგში გამოყოფენ 7 ძირითად საფეხურს, ესენია: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი.

ყველა მუს. სისტემაში ბგერათა რაოდენობა განსაზღვრულია ერთი ოქტავის ბგერათა ინტერვალური შეფარდებით და მათი დიაპაზონით. ბგერათა რიგი ერთმანეთთან დაკავშირებული და სიმაღლის მიხედვით დალაგებული მუს. ბგერების თანამიმდევრობაა. მუს. ბგერები რთულ სისტემას ქმნიან. ბგერათა რიგი მოიცავს 88 განსხვავებულ ბგერას.

ბეგალიშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე [15. I. 1923, თბილისი,–26. XI. 1989, იქვე], ქართველი ალტისტი და პედაგოგი, საქ. დამს. არტისტი (1952), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952), თბ. კონს-ის დოცენტი (1968), 1944-1967 უკრავდა საქ. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში. სიმებიანი კვარტეტის საერთაშ. კონკურსის ლაურეატია (პრაღა, 1950). ბ-მა პირველმა შეასრულა ქართველ კომპ-თა ალტისათვის დაწერილი მრავალი ნაწარმოები.

ბეთჰოვენი (Beethoven) ლუდვიგ ვან [მოუნათლავთ 17. XII. 1770, ბონი,–26. III. 1827, ვენა], გერმანელი კომპოზიტორი, დაიბადა ფლამანდური წარმოშობის

კარის მუსიკოსის (მომღერლის) ოჯახში. ადრე ისწავლა კლავესინზე, ორგანზე, ვიოლინოსა და სხვა საკრავებზე დაკვრა. 1781-იდან მუსიკაში მეცადინეობდა კ. ნეეფეს ხელმძღვანელობით. პირველი ნაწარმოები შექმნა 1782. 1787 ბ. ეწვია ვენას, სადაც ცოტა ხანს მოცარტთან მეცადინეობდა. 1789 ისმენდა ფილოს. ლექციებს ბონის უნ-ტში. 1792-იდან კი სამუდამოდ დასახლდა ვენაში. აქ კომპოზიციის ოსტატობას სრულყოფდა ი. ჰაიდნის ხელმძღვანელობით. მისი მასწავლებლები იყვნენ აგრეთვე ი. ალბრეხტსბერგერი და ა. სალიერი. ბ-მა მალე მოიპოვა აღიარება როგორც ვენის საუკეთესო პიანისტმა და კომპოზიტორმა. 27 წლისას დაეტყო სიყრუის ნიშნები, დაავადება სწრაფად ვითარდებოდა, რაც კომპოზიტორისათვის მძიმე სულიერ ტრავმად იქცა. ბ-ის შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველი პერიოდი მთავრდება 1802. ამ დროისათვის შექმნილი ჰქონდა I (დო მაჟორი, 1800) და II (რე მაჟორი, 1802) სიმფონიები, 17 საფ. სონატა, მ. შ.: „პათეტიკური“ (№8, 1799), „სამგლოვიარო მარშით“ (№12, 1801), „მთვარის“ (№14, 1801), პირველი სამი საფ. კონცერტი (I-1795, II–1798, III-1800), სავიოლინო და სავიოლონჩელო სონატებისა და სიმებიანი კვარტეტების ნაწილი, ბალეტი „პრომეთეოსის ქმნილებანი“ (1801). მეტად ნაყოფიერი გამოდგა ბ-ის მოღვაწეობის შუა პერიოდი (1803-1812). ამ წლებში დაწერა ისეთი გენიალური ქმნილებები, როგორებიცაა: მე-3 („გმირული“, მი ბემოლ მაჟორი, 1803), მე-4 („რომანტიკული“, სი ბემოლ მაჟორი, 1806), მე-5 („ტრაგიკული“, დო მინორი, 1808), მე-6 („პასტორალური“, ფა მაჟორი 1808), მე-7 (ლა მაჟორი, 1812) და მე-8 (ფა მაჟორი, 1812) სიმფონიები, მუსიკა გოეთეს ტრაგედიისათვის „ეგმონტი“ (1810), ოპერა „ფიდელიო“ (1805); უვერტიურები: „კორიოლანი“ (1807), „ლეონორა“–№1, №2, №3 (1805-06), ფანტაზია ფ-ნოს, გუნდისა და ორკესტრისათვის (1808); საფ. კონცერტები: №4 (1806), №5 (1809) სავიოლინო კონცერტი (1806) და სხვ. ახ. აღმავლობა იწყება 1818-იდან და გრძელდება თითქმის გარდაცვალებამდე. ამ დროსაა შექმნილი მისი უკანასკნელი 5 საფ. სონატა (1816-22), 5 სიმებიანი კვარტეტი (1823-26), „საზეიმო მესა“ (1823) და მისი შემოქმედების მწვერვალი მე-9 სიმფონია (1824). ცხოვრების უკანასკნელი წლები ბ-მა თითქმის სრულ სიმარტოვეში გაატარა.

ბ-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ამოძრავებდა გენიალური შემოქმედებითი ნიჭი, მგზნებარე მეამბოხე ტემპერამენტი და უდრეკი ნებისყოფა. ბ-ის ქმნილებებში სრულყოფილად გამოიხატა 1789 საფრ. რევოლუციის იდეური და ემოციური სულისკვეთება და მისწრაფება. ბ. ძირითადად სიმფ. მუსიკის სფეროში მოღვაწეობდა. მის ცხრა სიმფონიაში ნათლად აისახა კომპოზიტორის შემოქმედებითი ევოლუციის სრული სურათი. ბ-ის სიმფ. შემოქმედების პირველი მწვერვალია მე-3 („გმირული“) სიმფ., მეორე მწვერვალია მე-5 სიმფ., რომელსაც ზოგჯერ „ტრაგიკულს“ უწოდებენ და რომლის ფინალიც ჟღერს როგორც რევოლუციური ჰიმნი–მარში. ბ-ის სიმფონიზმის გმირული ხაზი გრძელდება მე-7 სიმფონიაში. მე-4 და მე-6 („პასტორალურ“) სიმფონიებში მკაფიოდ გამოჩნდა ბ-ის შემოქმედების რომანტ. ხასიათი. მე-9 სიმფ. ყველაზე რთული, ღრმა და გრანდიოზულია მის სიმფონიებს შორის. გმირის ტრაგედია (I ნახ.) გადაიზრდება ბედნიერებისაკენ მიმავალი კაცობრიობის კოსმოსურ სიხარულში (ფინალი). აქ კომპოზიტორს გამოყენებული აქვს ფ. შილერის „ოდა სიხარულისადმი“ და ფინალი გადაწყვეტილია როგორც ვოკალურ-სიმფ. ჟანრის კომპოზიცია (კანტატა), რაც პირველი შემთხვევაა სიმფ. მუსიკის ისტორიაში. დიდია ბ-ის უვერტიურების, პირველ რიგში–„ეგმონტის“,

„კორიოლანისა“ და „ლეონორას“ მნიშვნელობა პროგრამული სიმფ. მუსიკის ისტორიაში. ისტ. როლი შეასრულა ბ-ის ინსტრუმენტულმა კონცერტებმა, რომლებიც შინაარსის სიღრმითა და მასშტაბებით წარმოადგენს სიმფ. და საკონცერტო ჟანრების სინთეზს. დიდ ფორმის სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია გრანდიოზული „საზეიმო მესა“(1823), რ-იც თავისი ჩანაფიქრით უახლოვდება მე-9 სიმფონიას. ბ-ის ერთადერთი ოპერის „ფიდელიოს“ (დაიდგა 1805, ვენა, მე-2 რედაქცია–1806, მე-3–1814) თემაა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა. გმირულ თემას ეძღვნება ბ-ის ბალეტი „პრომეთეოსის ქმნილებანი“ (1801).

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბ-ის კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკას (32 საფ. და 10 სავიოლინო სონატა, 16 სიმებიანი კვარტეტი, 5 საფ. ტრიო და სხვ.). საფ. სონატები– „პათეტიკური“, „მთვარის“, „აპასიონატა“, 29-ე, 32-ე, „33 ვარიაცია“, სავიოლინო –„კროიცერის სონატა“ ჩანაფიქრის მასშტაბურობით, გამომსახველ ხერხთა ნოვატორული სითამამით ამ ჟანრის მწვერვალებს წარმოადგენს. №28-32 სონატებითა და მე-12-16 კვარტეტებით ბ. გზას უკაფავს მუს. რომანტიზმს. ბ-ის ვოკალური მემკვიდრეობა მოიცავს 91 სიმღერას, 70-ზე მეტ გუნდს, ვოკალურ ანსამბლებს, მის მიერ დამუშავებულ სხვადასხვა ხალხთა სიმღერებს და სხვ.

დიდი ტრადიცია აქვს ბ-ის ნაწარმოებთა შესრულებას საქართველოში. მისი საფ. კონცერტები და სონატები პირველი ქართველი პიანისტის, ა. მიზანდარის რეპერტუარში შედიოდა. 1927 4 აპრილს თბილისში ბ-ის გარდაცვალების 100 წლისთავზე გამართულ კონცერტზე „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ სიმფ. ორკესტრმა ი. ფალიაშვილის დირიჟორობით საქართველოში პირველად შეასრულა ბ-ის მე-9 სიმფონია. პიანისტმა ანასტასია ვირსალაძემ – მე-5 საფ. კონცერტი. 1970 პიანისტმა ნ. გაბუნიამ პირველად ქართულ საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში შეასრულა ბ-ის 32-ვე სონატა, ხოლო ე. ვირსალაძემ–კომპოზიტორის ხუთივე საფ. კონცერტი.

გ. ტორაძე

ბემკარი (ფრანგ. becarre), ძირითადი საფეხურის სიმაღლის აღმდგენი ნიშანი სანოტო სისტემაში, რომელიც დიეზს ან ბემოლს აუქმებს.

ბელეტაჟი (ფრანგ. bel კარგი, ლამაზი და etage სართული), თეატრში პირველი იარუსი ამფითეატრსა და ბენუარს ზემოთ.

ბელინი (Bellini) ვინჩენცო [3. XI. 1801, კატანია, სიცილია,–23. IX. 1835, პიუტო, პარიზის მახლობლად], იტალიელი კომპოზიტორი, მამამისი დირიჟორი იყო, პაპა–ორგანისტი და კომპოზიტორი. ბ. სწავლობდა ნეაპოლის კონს-ში. დაწერა 11 ოპერა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია განთქმული „ნორმა“ (1831, „ლა სკალას“ თეატრი, მილანი). ეროვნ.–განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პირობებში ბ-ის ოპერები ხშირად აქტუალურ პოლიტიკურ შინაარსს ატარებდა.

ცნობილი ოპერებია „პირატი“, „კაპულეტი და მონტეკი“, „სომნამბულა“, „პურიტანები“. ბ. ბელკანტოს უდიდესი ოსტატი, ამ სტილის ოპერის ერთ-ერთი კლასიკოსია. მისი მუსიკის საფუძველს წარმოადგენს მოქნილი, პლასტიკური მელოდია.

გამოჩენილი იტალიელი მომღერლები ბ-ის ნაწარმოებებზე სრულყოფენ საშემსრულებლო

ხელოვნებას.

ბელკანტო (იტალ. bel canto,–მშვენიერი სიმღერა), XVII ს. შუა წლებში იტალიაში ჩამოყალიბებული ვოკალურ-საშემსრულებლო სტილი. ბ. წარმოადგენს იტალ. ვოკალური სკოლის საფუძველს. ბ-სათვის დამახასიათებელია ვოკალიზაციის სილამაზე და პლასტიკურობა, უაღრესი სიმსუბუქე და მოქნილობა, ბგერიდან ბგერაზე გადასვლის სინარნარე. ეს სპეციფიკური ნიშნები თან სდევს იტალ. ვოკალურ სკოლას მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ყოველივე ეს კი შეპირობებულია იტალ. ენის სტრუქტურული თავისებურებითა და ხალხური სასიმღერო ტრადიციებით. ბ. ინარჩუნებს თავის მხატვრულ-ესთეტიკურ საფუძვლებს და ამავე დროს ახალი საშემსრულებლო ხერხებითაც მდიდრდება. მისი განვითარების ეტაპებია: იტალ. ოპერის ჩასახვა, კ. მონტევერდის შემოქმედება, „ნეაპოლური სკოლის“ აყვავება (ა. სკარლატი), ჯ. როსინის, ვ. ბელინისა და გ. დონიცეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდი (ე.წ. კლასიკური ბ.), ჯ. ვერდის შემოქმედება, ვერისტული სკოლა. ზოგჯერ ბ. გულისხმობს მთლიანად იტალ. ვოკალურ კულტურას.

ბემოლი (იტალ. bemolle<ფრანგ, bemol), ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი. იწერება გასაღებში ან უშუალოდ დასადაბლებელი ნოტის წინ.

ბენდა (Benda) ირჟი (გეორგ), [30. VI. 1722, სტარე ბენატკი,–6. XI. 1795, კესტრიცი], ჩეხი კომპოზიტორი, მევიოლინე და დირიჟორი. სამეფო კარის მევიოლინე ბერლინში, კაპელმაისტერი გოთაში. მან განავითარა მუს. მელოდრამის ჟანრი. ავტორია ერთმოქმედებიანი ტრაგიკული დუოდრამებისა (მუს. სცენური ნაწარმოები 2 მოქმედი პირისათვის): „არიადნე ნაქსოსზე“, „მედეა“, „პიგმალიონი“ და ზინგშპილების: „სოფლის ბაზრობა“, „ტყისმჭრელი ანუ სამი სურვილი“(ყველა XVIII ს. 70-იან წლებში), რომელთაც მნ. როლი შეასრულეს მუს. კომედიის ჟანრის ფორმირებაში. ბ. წერდა მესებს, სიმფონიებს, კონცერტებს, სონატებს და სხვ.



ბენედეტი მიქელანჯელი (Benedetti Michelangeli) არტურო [5. I. 1920, ბრეშა,–12.VI. 1995, ლუგანო, შვეიცარია], იტალიელი პიანისტი და პედაგოგი. ბოლონიისა და ვენეციის კონსერვატორიების პროფესორი. თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პიანისტი. პირველად ცნობილი გახდა 1939 ჟენევის კონკურსში გამარჯვების შემდეგ. მსოფლიო აღიარება მოუტანეს მას აგრეთვე მრავალრიცხოვანმა გრამჩანაწერებმა.

ბენედიქტუს (ლათ. benedictus), ლოცვა, კურთხევა-კათოლიკური მესის ნაწილი.

ბენეფისი (ფრანგ. benefice-მოგება), წარმოდგენა, ერთ-ერთი მონაწილე მსახიობის პატივსაცემად.

ბენუარი (ფრანგ. beignoire), თეატრში ქვედა იარუსის ლოჟები პარტერის დონეზე.

ბერგი (Berg) ალბან [9. II. 1885,ვენა,–24. XII. 1935,იქვე],ავსტრიელი კომპოზიტორი, ექსპრესიონისტული მუსიკის, „ვენის ახალი სკოლის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი. ა. შონბერგის მოწაფე და მიმდევარი. ადრინდელ პერიოდში განიცდიდა რ. ვაგნერის, რ. შტრაუსის, გ. მალერის გავლენას. მისმა შემოქმედებამ მნ. სტილისტური ევოლუცია განიცადა. ფართო აღიარება მოუტანა ოპერა „ვოცეკმა“ (1917-21, რომელიც დაიდგა ბერლინში 1925, ლენინგრადში–1927), მას საფუძვლად დაედო XIX ს. გერმ. მწერლის, გ. ბიუხნერის დრამა. თემაა „პატარა ადამიანის“ ტრაგედია. „ვოცეკი“ XX ს. საოპერო დრამატურგიის ერთ-ერთი მწვერვალია. მუს. ენა დისონანსური, ატონალურია, ზოგი ეპიზოდი აგებულია დოდეკაფონიის პრინციპზე. ფართოდ არის გამოყენებული ლაიტმოტივების სისტემა. მეორე ოპერა „ლულუ“ [ფ. ვედეკინდის პიესების მიხედვით (დაუმთავრებელი) დაიდგა 1937, ციურიხში] მთლიანად დოდეკაფონიური ტექნიკითაა დაწერილი. მასში შეთავსებულია ექსცენტრიკულ-გროტესკული და ნატიფი ლირიკული სახეები. ბ-ის ერთ-ერთი საუკეთესო ბოლო ნაწარმოებია სავიოლიონო კონცერტი (1935). იგი არის აგრეთვე ავტორი რიგი სხვა ნაწ-ისა, რომელთა შორისაა: კამერული კონცერტი (1925), სიმებიანი კვარტეტი (1910), ლირიკული სიუიტა სიმებიანი კვარტეტისათვის (1926), სიმღერები ხმისა და ფ-ნოსათვის და სხვ.

ბ. სერიული ტექნიკის ერთ-ერთი შემქმნელია. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ულტრათანამედროვე ხერხების, მათ შორის–კოლაჟის გამოყენება, შექმნა კამერული ანსამბლის ახალი ტიპები.

ბერიკაობა, ქართული ხალხური იმპროვიზაციული სანახაობა, მიმდინარეობდა საკრავიერი მუსიკისა და სიმღერის თანხლებით. სიმღერებსა და მელოდიებს, რომლებიც სანახაობის დროს სრულდებოდა, ეწოდებოდა „ბერიკული“. ბ. კვერნაძეს ეკუთვნის ბალეტი „ბერიკაობა“ (1973).



ბერლიოზი (Berlioz) ჰექტორ [11. XII. 1803, კოტ-სენტ-ანდრე, საფრანგეთი,–8. III. 1869, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკალური კრიტიკოსი, მწერალი. 1826-30 სწავლობდა პარიზის კონს-ში ჟ. ლესიუერთან (კომპოზიცია) და ა. რეიხასთან (პოლიფონია). 1830-32 ბ. იტალიაში გაემგზავრა მუსიკალური განათლების სრულყოფის მიზნით. 1832 პარიზში დაბრუნდა. შეუდგა საკომპოზიტორო, სადირიჟორო და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1842 გამართა პირველი გასტროლები საზღვარგარეთ. 1847-48 თავის ნაწარმოებებს დირიჟორობდა ბელგიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, რუსეთში. 1867-68 ხელმეორედ ესტუმრა რუსეთს, დაუახლოვდა „ძლავრი ჯგუფის“ კომპოზიტორებს. ბ. ნეორომანტიკოსია. ბ-ის სტილი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ „ფანტასტიკურ სიმფ-ში“ (1830), რომელიც მსოფლიო სიმფ. შემ-ის ერთ-ერთი შედევრია. ბ-ის სიმფ. შემოქმედება ახალი ეტაპია საორკესტრო ხელოვნების განვითარების ისტორიაში. ბ-მა რომანტიკულ სიმფ. მუსიკაში შემოიტანა კლასიკური ლიტერატურის სახეები. ასეთია ბაირონის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი სიმფ. ალტისა და ორკესტრისათვის „ჰაროლდი იტალიაში“ (1834), სიმფ. შექსპირის მიხედვით „რომეო და ჯულიეტა“ (1839) და კომ. ოპერა „ბეატრიჩე და ბენედიქტი“(1862), გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვით დრამ. ლეგენდა (ორატორია) „ფაუსტის განკიცხვა“(1846). ამ ნაწარმოებში აშკარად ჩანს ბ-ის მისწრაფება გრანდიოზული

მასშტაბებისაკენ, თვალსაჩინოა პროგრამული სიმფონიზმის პრინციპების შერწყმა საოპერო-ორატორიულ ჟანრებთან. 1830 ივლისის რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნას მიუძღვნა ბ-მა გრანდიოზული „რეკვიემი“ და „სამგლოვიარო-ტრიუმფული სიმფონია“(1840). ბ-ს ეკუთვნის აგრეთვე: ორატორია „ქრისტეს ბავშვობა“, ოპერა „ბენვენუტო ჩელინი“(1838), ოპერა-დილოგია „ტროელები“–ვერგილიუსის მიხედვით(1859), 6 კანტატა, საორკესტრო უვერტიურები, რომანსები და სხვ. ბ. გამოჩენილი დირიჟორი იყო, მან ვაგნერთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სადირიჟორო ხელოვნების ახალ რომანტიკულ სტილს. თითქმის 30 წელი ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპული მუს. კრიტიკის განვითარებაში.

გ. ტორაძე

ბერნსტაინი (Bernstein) ლეონარდ [25. VIII. 1918, ლორენს, მასაჩუსეტსის შტ., აშშ,–14. X. 1990, ნიუ-იორკი], ამერიკელი დირიჟორი, კომპოზიტორი, პიანისტი, მუსიკალური მწერალი, პედაგოგი. უ. პისტონის (კომპოზიცია), ფ. რეინერის და ს. კუსევიცკის (დირიჟორობა) მოწაფე. ნიუ-იორკის ფილარმონიული ორკესტრის მთ. დირიჟორი (1958-69). 1944-იდან გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. XX ს. II ნახ. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დირიჟორი, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის შესანიშნავი ინტერპრეტატორია. ერთდროულად გამოდოდა როგორც საფ. პარტიის შემსრულებელი საკუთარ და კლასიკურ საორკესტრო ნაწ-ებში. საკომპ. მოღვაწეობას იწყებს 1942-იდან. ფართოდ ცნობილია მისი მიუზიკლები, განსაკუთრებით „ვესტსაიდის ისტორია“ (1957, ნიუ-იორკი, გადაღებულია ფილმი). მის მუსიკაში ოსტატურად არის შერწყმული ჯაზის, ზანგური, მექსიკური და ა.შ. ხალხური სიმღერების ჰარმონიული, რიტმული და სხვ. თავისებურებები. იყენებს ქუჩურ სიმღერებს, როკ-ნ-როლს. სხვა მნ. ნაწ-ია: ოპერები „მღელვარება ტაიტიზე“ (1952), „წყნარი ადგილი“ (1986), ოპერეტა „კანდიდი“ (1956), ბალეტები, 3 სიმფონია და სხვ. ავტორია წიგნისა –„მუსიკა-ყველას“ (ითარგმნა რუსულად 1978).



ბერძენიშვილი ვლადიმერ [1885, სოფ. გოგლესუბანი, ჩოხატარურის რ-ნი, -1977, იქვე], ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი და ლოტბარი. 1911-18 ირიცხებოდა სამუელ ჩავლეიშვილის გუნდში, რომელსაც სამუელ ჩავლეიშვილი და ვარლამ სიმონიშვილი ხელმძღვანელობდნენ. 1937 ბ. თავის ანსამბლთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში, სადაც შეასრულა გურული სიმღერების უცნობი ვარიანტები, რამაც მთელი საზ-ბა არაფრთოვანა. ბ. ცხოვრების ბოლომდე აქტიურად იღვწოდა გურული ხალხური სიმღერების პოპულარიზაციისათვის. მან აღადგინა და დაამუშავა უამრავი გურული ხალხ. სიმღერა, რასაც მისი ხელწერა აშკარად ეტყობა.

ბიგ-ბენდი (ინგლ. bigband დიდი ორკესტრი), ჯაზური ორკესტრის ნაირსახეობა, რომელიც 10-12 ადამიანისაგან შედგება. XX ს-ის 30-იან წლებში აშშ-ს ბიგ-ბენდებმა შეიმუშავეს საორკესტრო ჯაზის ერთ- ერთი ძირითადი სტილი – სვინგი.

ბიზე (Bizet) ჟორჟ (ალექსანდრ სეზარ ლეოპოლდ, ნათლობის სახელია ჟორჟი) [25. X. 1838, პარიზი,–3. VI. 1875, ბუჟივალი, პარიზის მახლობლად], ფრანგი კომპოზიტორი.

დაიბადა სიმღერის მასწავლებლის ოჯახში. 10 წლისა შევიდა პარიზის კონს-ში, რომელიც 1857 დაამთავრა. 17 წლის სტუდენტმა შექმნა I სიმფონია, რომელიც დღესაც სრულდება.

1857 ბ-ს მიენიჭა რომის დიდი პრემია, რამაც საშუალება მისცა სამი წლით იტალიაში გამგზავრებულიყო. 1860-იდან ბ. კვლავ პარიზშია. ბ-ს მხატვრული ინტერესების ცენტრში თეატრი იდგა. მას 20-ზე მეტი ოპერა აქვს დაწერილი (ბევრი დაუმთავრებელია). აღსანიშნავია „დონ პროკოპიო", „ივანე მრისხანე", „მარგალიტის მაძიებელნი" (1863), „პერტის მზეთუნახავი" (1867), ერთმოქმედებიანი ოპერა „ჯამილე" (1871), მუსიკა ა. დოდეს პიესისათვის „არლელი ქალი" (2 საორკესტრო სიუიტა) (1872), რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ბ-ს შემოქმედების მწვერვალი და მსოფლიო მუსიკის შედევრია ოპერა „კარმენი" (პ. მერიმეს ნოველის მიხედვით 1875). იგი გამოირჩევა ძლიერი დრამატიზმით, მელოდიური გამომსახველობით, მჩქეფარე დინამიზმით, ელვარე საორკესტრო კოლორიტითა და თეატრალურობით. „კარმენის" პრემიერამ (1875, „ოპერა კომიკი" პარიზი) მარცხი განიცადა, რამაც სიცოცხლე მოუსწრაფა კომპოზიტორს. ოპერის პრემიერიდან სამი თვის შემდეგ, 37 წლის ასაკში ბ. გულის დამბლით გარდაიცვალა.

ვენაში (1875) ტრიუმფული წარმატების შემდეგ „კარმენი" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოპერა გახდა მსოფლიოში. „კარმენი" სისტემატურად იდგმება თბილისში.

ბ-ს შექმნილი აქვს აგრეთვე სიმფონია-კანტატა „ვასკო და გამა", სიმფონია „რომი", საფ. პიესები, რომანსები, სიმღერები.

„ბითლზები"–ინგლისური ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი. შეიქმნა 1956 ლივერპულში, გამოდიოდა 1970-მდე. მასში შედიოდნენ პ. მაკარტნი, ჯ. ლენონი, ჯ. ჰარისონი (ელექტროგიტარები), რინგო სტარი (1962-იდან, ნამდვ. სახელი და გვარი რიჩარდ სტარკი; დასარტყმელები). პოპულარობა მოიპოვა სიმღერების „ბიგ-ბიტის" (როკ-მუსიკის ადრინდელ ფორმები) სტილით შესრულებით. გამოუჩნდა მრავალი მიმბაძველი სხვადასხვა ქვეყანაში. 60-იანი წლების შუა ხანიდან ბ-ს კომპ.–საშემსრულებლო სტილი უფრო თვითმყოფი და რთული გახდა, გააერთიანა თანამედროვე ტემბრულ-რიტმული და აკუსტიკური ხერხები ძველებური კელტური ფოლკლორისა და XVII-XVIIIს. ინგლისური ბალადური სტილის მოტივებთან.

ბის (ლათ. bis-ორჯერ), მოწონების ნიშნად მაყურებელთა შეძახილი; ნომრის გამეორების მოთხოვნა.

ბიტ- მუსიკა (ინგლ. beat -musik რიტმული მუსიკა), რიტმული მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც ასრულებდნენ ანსამბლები რიტმ-სექციის მკვეთრი მუშაობით და ელექტროგიტარათა გამოყენებით; გაჩნდა აშშ-ში XX ს-ის 40 – იანი წლების ბოლოს, 50-იანი წლების დასაწყისში მისი ადგილი როკ და პოპ მუსიკამ დაიკავა.

ბიულოვი (Bülow) ჰანს გვიდო ფონ [8. I. 1830, დრეზდენი,–12. II. 1894, კაირო], გერმანელი პიანისტი, დირიჟორი, კომპოზიტორი. ფ. ვიკისა და ფ. ლისტის (ფ-ნო) და მ.

ჰაუპტმანის (კომპოზიცია) მოწაფე. სადირიჟორო მოღვაწეობას ეწეოდა 1850-იდან. 1864-69 ცხოვრობდა მიუნხენში. დირიჟორობდა რ. ვაგნერის ოპერების „ტრისტან და იზოლდას“ (1865) და „ნიურნბერგელი მაისტერზინგერების“ (1868) პრემიერებს მიუნხენში. 1874-76 გასტროლები გამართა, როგორც პიანისტმა და დირიჟორმა, ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში. 1877-93 მუშაობდა ჰანოვერის, მაინინგენის, ჰამბურგის, ბერლინის სიმფ. ორკესტრებთან. ბ-ის ხელოვნება მაღალი მხატვ. კულტურითა და ოსტატობით გამოირჩევა. იგი თანამედროვე სადირიჟორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია (ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ზეპირად დირიჟორობა). მის ვრცელ რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ი. ბრამსის ნაწარმოებებს. ფართო აღიარება მოიპოვა მისმა პიანისტურმა მოღვაწეობამაც (განსაკუთრებით ლ. ბეთჰოვენის გვიანდელი სონატების შესრულებამ). ბ-ს ეძღვნება პ. ჩაიკოვსკის I საფ. კონცერტი.

ბლანტერი მატვეი ისაკის ძე [28. I. 1903,–პოჩეპი, ჩერნიგოვის გუბ.,–24. IX. 1990, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი. სსრკ სახ. არტისტი. დიდი ღვაწლი მიუძღვის მასობრივი სიმღერის განვითარებაში. მას ეკუთვნის პოპულარული სიმღერები: „კატიუშა“, „პარტიზანი ჟელეზნიაკი“, „სიმღერა შჩორსზე“, „მშვიდობით ქალაქებო და ქოხებო“, „ფრონტისპირა ტყეში“ და სხვ. ავტორია ოპერეტისა „ამურის ნაპირებზე“, კინოს მუსიკისა და სხვ. მასვე ეკუთვნის ცნობილი საფეხბურთო მარში.

ბლუზი (ინგლ. Blues, სევდა), ზანგების ლირიკული სიმღერა, სრულდება ნელი ტემპით. ბლუზი შეიქმნა XIX ს-ის მიწურულს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: სინკოპირებული რიტმი, ინტონაციის „სრიალი“, პოლირიტმია და იმპროვიზება შესრულების დროს. ბ-ს საფუძვლად უდევს 12-ტაქტიანი პერიოდი სამი ოთხტაქტიანი ფრაზით. ბ-მა დიდი გავლენა მოახდინა ჯაზური მუსიკის ფორმირებაზე.

ბოიტო (Boito) არიგო [24. II. 1842, პადუა,–10. VI. 1918, მილანი], იტალიელი კომპოზიტორი, პოეტი. სწავლობდა მილანის კონს-ში. ავტორია ორი ოპერისა: „მეფისტოფელი“ (გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვით 1868, საბოლოო რედ. 1886, მილანი), „ნერონი“ (ა. ტოსკანინის რედ-ით დაიდგა 1884, მილანში). იზიარებდა რ. ვაგნერის მუს. დრამის ზოგიერთ პრინციპს. 60-იან წლებში გაიცნო და შემდეგ დაუახლოვდა ჯ. ვერდის, გახდა მისი უახლოესი თანამშრომელი. მას ეკუთვნის ვერდის ოპერების: „სიმონ ბოკანეგრა“, „ოტელო“, „ფალსტაფი“, აგრეთვე ჯ. პონკიელის „ჯოკონდას“ ლიბრეტოები და სხვ.

ბოკერინი (Boccherini) ლუიჯი [19. II. 1743, ლუკა,–28. V. 1805, მადრიდი], იტალიელი კომპოზიტორი და ვიოლონჩელისტი. 1757-იდან ცხოვრობდა რომში, გასტროლებს მართავდა ევრ. ქვეყნებში. 1768 ბოლოს დასახლდა მადრიდში. ბ-ის შემ-ში აისახა კლასიკური მუს. სტილის ფორმირების პროცესი. ყველაზე დიდი მნ-ბა აქვთ მის ნაწ-ებს ჩელოსათვის (მათ შორის–კონცერტებს). ავტორია აგრეთვე 30-მდე სიმფ-ის, ინსტრუმ. სონატების, სასულიერო მუსიკის, ბ-ის ნაწ-ში იგრძნობა იტალ. და ესპ. ხალხური მუსიკის გავლენა. მისი მთელი რიგი ნაწარმოებები (სავიოლონჩელო სონატები, კონცერტები და სხვ.) დღემდე დამკვიდრებულია

რეპერტუარში.

ბოლერო (ესპ. bolero), ესპანური ხალხური ცეკვა. ტემპი–ზომიერი, ზომა 3/4. შეიქმნა დაახლ. 1780. XIX ს-იდან სრულდება სცენაზე. ბ. შეიძლება იყოს სოლო ან წყვილთა ცეკვა. ბ-ს დამახასიათებელი მუს. ფიგურები ხაზგასმულია კასტანიეტების კაკუნით ან თითების ტკაცუნით. სრულდება გიტარის ხმოვანების, ზოგჯერ კი სიმღერის თანხლებით. XIX ს-ის დასაწყისიდან ცნობილია საბალეტო სცენაზე. ბ-ს ფორმით დაწერილია მრავალი ინსტრუმ. პიესა და ვოკალური ნაწარმოები. რაველს ეკუთვნის განთქმული „ბოლერო“ სიმფ. ორკესტრისათვის (1928).

ბოლქვაძე ელისო ზაურის ასული [2. I. 1967, თბილისი], ქართველი პიანისტი. საქ. სახელმწ. პრემიის (1993), მუსიკოს-შემსრულებელთა ბახის (ლაიფციგი 1984), ვიანა და მოტას (ლისაბონი, 1987), ვან კლაიბერნის (აშშ, 1989), მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. (პარიზი, 1995) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი, იუნესკოს მშვიდობის არტისტი. 1989 დაამთ. თბ. კონს., 1992–იქვე ასპირანტურა (ორივე თ. ამირეჯიბის ხელმძღვანელობით). მისი შესრულებისათვის ნიშანდობლივია არტისტიზმი, მაღალი პროფესიული კულტურა, რეპერტუარში აქვს მსოფლიოს საფ. მუს. მრავალი ნიმუში. 1996-იდან ბ. მოღვაწეობს ევროპაში.

მას რეგულარულად იწვევენ მსოფლიოს პრესტიჟულ დარბაზებში, როგორც სოლო კონცერტებით, ასევე ორკესტრთან ერთად. ბ. ჩაწერა ალბომი Sony BMG-სათვის, ბეთჰოვენის, რახმანინოვის და ლისტის ნაწარმოებებით. შვეიცარული კომპანიის Cascavelle-ის მიერ გამოცემულ კომპაქტდისკს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშ. პრესაში. 2015 ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ Audite-მ გამოსცა მისი ალბომი შუბერტისა და პროკოფიევის ნაწარმოებებით, რომელმაც მას „მაესტრო პიანისტის“ სტატუსი შესძინა. ფრანგულმა ნაციონალურმა არხმა LCI-მ გადაიღო სრულმეტრაჟიანი დოკუენტური ფილმი მის შემოქმედებაზე საქართველოსა და საფრანგეთში. მისი კონცერტები რეგულარულად გადმოიცემა ცნობილ მუსიკალურ ფრანგულ არხზე MEZZO. 2015 საფრანგეთის რესპუბლიკამ მას ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კავალერის ორდენი მიანიჭა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში- chevalier des arts et des Lettres. 2013 ბ. დაარსა საქველმოქმედო ფონდი „ლირა“, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი პიანისტების წარმოჩენას, ამავე წელს მან დააფუძნა ბათუმის საერთაშ. მუსიკალური ფესტივალი Batumi Musicfest, რომელიც 2016-იდან იმართება. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში, პერიოდულად ჩამოდის თბილისში.

ბოროდინი ალექსანდრე პორფირის ძე [31. X. 1833, პეტერბურგი, –15. II. 1887, იქვე], რუსი კომპოზიტორი და ქიმიკოსი. ქართველი თავადის ლუკა გედევანიშვილის (გედეონოვის) შვილი (ჩაწერილი იყო როგორც თავადის მსახურის–პორფირი ბოროდინის შვილი). 1856 დაამთ. სამედიცინო–ქირურგიული აკადემია. 1858-იდან მედიცინის მეცნ. დოქტორია, 1877-



იდან აკადემიკოსი.

XIX ს. 50-იან წლებში დაიწყო რომანსების, საფ. პიესების, კამერულ-საკრავიერი ანსამბლის შექმნა. 1862 გაეცნო მ. ბალაკირევს და შევიდა მის წრეში („მძლავრი ჯგუფი"). აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი, როგორც მ. გლინკას მიმდევრის მუს.–ესთეტიკური შეხედულებანი.

ბ-ის შემოქმედებითი მემკვიდრეობა საკმაოდ მცირეა, მაგრამ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს კლასიკური მუსიკის საგანძურში. გამოირჩევა ეპიკური სიდიადითა და ღრმა ლირიზმით. ბ-ის მთავარი ნაწარმოებია ოპერა „თავადი იგორი", რომელიც 18 წლის განმავლობაში იქმნებოდა და დაუმთავრებელი დარჩა (ბ-ის სიკვდილის შემდეგ დაამთავრეს ნ. რიმსკი–კორსაკოვმა და ა. გლაზუნოვმა. დაიდგა 1890 მარიას თეატრში, პეტერბურგში). ოპერა გამოირჩევა სახეების მონუმენტური მთლიანობით, ძლიერი ხალხური საგუნდო სცენებითა და ეროვნული კოლორიტით. ბ. რუსული კლასიკური სიმფონიისა და კვარტეტის ერთ-ერთი შემქმნელია. მსოფლიო ეპიკური სიმფონიზმის ერთ-ერთი მწვერვალია II (ე.წ. „გოლიათური") სიმფონია (1876). კამერულ-საკრავიერი ჟანრის საუკეთესო ქმნილებებია 2 კვარტეტი. მისი ვოკალური ლირიკის ნიმუშია ელეგია „შორეული სამშობლოს ნაპირებისათვის" (პუშკინის სიტყვებზე), „უღრანი ტყის სიმღერა" და სხვ.

ბ-ის თვითმყოფმა შემოქმედებამ გავლენა მოახდინა რუს და საზღვარგარეთელ კომპოზიტორებზე. მის ტრადიციებს დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიისა და შუა აზიის ხალხთა ეროვნულ მუსიკალური კულტურის განვითარებაში. ბ-ს აგრეთვე ეკუთვნის სიმფ. სურათი „შუა აზიაში", კვინტეტი სიმებიანი საკრავებისათვის ფ-ნოსთან ერთად, ორი კვარტეტი, „პატარა სიუიტა" ფ-ნოსათვის, 16 რომანსი, ოპერეტა „გოლიათები".

ბოშური რომანსი, რუსული რომანსის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც XIX ს-ის შუა პერიოდში ჩამოყალიბდა პეტერბურგისა და მოსკოვის ბოშური გუნდების სოლისტების მიერ, რუსული სიმღერების და რომანსების შესრულების განსაკუთრებული მანერის გავლენით.

ბოჰემა (ფრანგ. boheme), მუსიკოსები, მხატვრები, ლიტერატორები, ხელმოკლე მსახიობები, შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომლებიც უწესრიგო ცხოვრებას ეწეოდნენ.

ბრავისიმო (იტალ. bravissimo), შეძახილი, რომელიც მოწონების უმაღლესი ხარისხს გამოხატავს წარმოდგენაზე-ოპერაში, ბალეტზე, კონცერტზე და ა.შ.

ბრავო (იტალ. bravo-შესანიშნავია), მოწონების, აღტაცების გამომხატველი შეძახილი.

ბრამსი, (Brahms) იოჰანეს [7. V. 1833, ჰამბურგი,–3. IV. 1897, ვენა], გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი. დაიბადა მუსიკოსის ოჯახში. 50-იანი წწ. დამლევს გამოდიოდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში როგორც პიანისტი, მონაწილეობდა ლაიფციგის „გევანდჰაუზის" კონცერტებში. მასთან ერთად გამოდიოდნენ რ. შუმანი და ი. იოახიმი.

1862-იდან დამკვიდრდა როგორც პიანისტი და საგუნდო დირიჟორი. 70-იანი წლებიდან დაიწყო ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა. იგი აირჩიეს ბერლინის ხელოვნებათა აკად. წევრად, ჰამბურგის „საპატიო მოქალაქედ“. ბ-ს მიენიჭა კემბრიჯისა და ბრესლავლის უნ-ტების მუსიკის დოქტორის ხარისხი.

ბ-ის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მოიცავს ინსტრუმ. და ვოკალური მუსიკის მრავალ ჟანრს. მას შექმნილი აქვს 4 სიმფონია (1876, 1877, 1883 და 1885). განსაკუთრებით აღსანიშნავია IV სიმფონია, რ-იც XIX ს. II ნახევრის ევრ. სიმფონიზმის უდიდეს მონაპოვრადაა აღიარებული. ბ-ის ინსტრუმ. კონცერტები უახლოვდება სიმფონიებს. მისი სავიოლინო კონცერტი (1878) ამ ჟანრის ერთ-ერთი მწვერვალია. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება ბ-ის ორივე საფ. კონცერტს (1858,1881). ვოკალურ-სიმფ. ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია „გერმანული რეკვიემი“ (1868). მრავალფეროვანია ბ-ის ვოკალური მუსიკა. მან შექმნა 200-მდე სიმღერა, გადაამუშავა 100-ზე მეტი ხალხ. სიმღერა.

ჯერ კიდევ შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში ბ. მუშაობდა კამერულ-ინსტრუმ. მუსიკის ჟანრებში (I საფ. ტრიო, საფ. კვინტეტი და სხვ.). განსაკუთრებულ წარმატებას ამ ჟანრში მან მიაღწია ცხოვრების ბოლო პერიოდში (II და III საფ. ტრიოები, ინტერმეცოები, სონატები ვიოლინოსა და ჩელოსათვის ფ-ნოსთან ერთად და სხვ.).

ბ. ავტორია საფ. სონატების, მინიატიურების. ამ უკანსკნელთა შორის აღსანიშნავია „უნგრული ცეკვები“, რომლებშიც ოსტატურადაა გამოყენებული უნგრ. მუს. ფოლკლორი. სიცოცხლის ბოლო წლებში ბ. ქმნის კამერულ საფ. ნაწარმოებებს. ბ-ის საფ. სტილისათვის დამახასიათებელია კონტრაპუნქტულად განვითარებული ფაქტურა, მასალის ფაქიზი დამუშავება, ვირტუოზულობა, რ-იც შეესატყვისება ნაწარმოების შინაარსს. ბ. ეკუთვნის აგრეთვე საორკესტრო ნაწარმოებები: 2 სერენადა, ვარიაციები ჰაიდნის თემაზე, 2 საორკესტრო უვერტიურა, ვოკალური ანსამბლები, გუნდები და სხვ.

ბ. გვიანდელი რომანტიზმის წარმომადგენელია. ამავე დროს, თანმიმდევრობით ავითარებდა კლასიკური მუსიკის მაღალ ტრადიციებს. კლასიკური მუსიკის ფორმებს მან ახ. რომანტ. შინაარსი შესძინა. იგი უმღერის პიროვნების თავისუფლებას, ზნეობრივ სიწმინდეს, ვაჟკაცურ შემართებას. მისი მუსიკა მსმენელს ხიბლავს მთრთოლვარე ლირიზმითა და ეპიკური სიდიადით. ბ. მუს. აზროვნების მკაცრ ლოგიკას უთავსებს მუს. მასალის განვითარების თავისუფალ-იმპროვიზაციულ მანერას.

ბრეგვაძე ნანი გიორგის ასული [21.VII. 1936, თბილისი], ქართველი საესტრადო მომღერალი, საქ. (1974)და სსრკ (1983) სახ არტისტი. სიმღერის საერთაშ. ფესტივალების ლაურეატი, საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994). თბ. საპატიო მოქალაქე (1995). 1961 დაამთ. თბ. კონს. (ფ-ნოს სპეციალობით). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1956 საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის საესტრადო ორკესტრში. 1959-64 საქ. სახელმწ. საესტრადო ორკესტრის „რეროს“, ხოლო 1964-იდან ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ორერას“ სოლისტია. 1980-იდან

გამოდის სოლო კონცერტებით (კონცერტმაისტერი მ. გონგლიაშვილი). წარმატებით გამოდიოდა სსრკ ქალაქებსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ბ-ის საშემსრულებლო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ლირიზმი, ემოციურობა, იგი ქართველი კომპოზიტორების მრავალი საესტრადო ნაწარმოების პირველი შემსრულებელია: ასრულებს ქართულ, ძველებურ რუსულ, საზღვარგარეთის ქვეყნების სიმღერებს. გახმოვანებული აქვს ფილმ-მიუზიკლები („ვერის უბნის მელოდიები" და სხვ.), ჩაწერილი აქვს მრავალი ფირფიტა. აღიარებულია XX ს-ის საუკეთესო ქართველ საესტრადო მომღერალ-ქალად, მისი სახ. ვარსკვლავი გაიხსნა თბ. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (2000).

ა. გელოვანი

ბრინდიზი–სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერებში, ეწოდა ქალაქ ბრინდიზის მიხედვით.

ბრუკნერი (Bruckner) ანტონ [4. IX 1824, სოფ. ანსფელდენი, ლინცის მახლობლად,–11. X. 1896, ვენა], ავსტრიელი კომპოზიტორი, ორგანისტი და პედაგოგი. ორგანს უკრავდა ავსტრიის მონასტრებში, შემდეგ ქ. ლინცის ტაძარში. 1868-იდან ვენაში ცხოვრობდა. ასწავლიდა მუს.–თეორიულ დისციპლინებს და ორგანის დაკვრას უნ-ტსა და კონს-ში. მისი მოწაფეები იყვნენ გ. მალერი, ა. ნიკიში და სხვ. წერდა უმთავრესად სიმფ. მუსიკას. სიცოცხლეში გაითქვა სახელი როგორც გამოჩენილმა ორგანისტ-იმპროვიზატორმა. გატაცებული იყო ი. ს. ბახისა და რ. ვაგნერის შემ-ით, მიისწრაფოდა გვიანდელი რომანტიზმის სტილისტიკისა და ფორმისქმნადობის კლასიკური პრინციპების შერწყმისაკენ. ბ-ის სიმფ. სტილი ძირითადად ავითარებს ლ. ბეთჰოვენის, რ. შუმანისა და ფ. შუბერტის („დიდი სიმფონია") სიმფონიების ტრადიციებს. ბ-ის შემ-ის მკაფიოდ გამოხატულმა ეთიკურმა საწყისმა, პანთეისტურმა მსოფლაღქმამ განსაზღვრეს მისი მუსიკის ამაღლებული და დიდებული ხასიათი. ავტორია 9 სიმფონიისა. მთელი მისი მუსიკა პოლიფონიურობითაა გამსჭვალული. აღიარება გვიან მოიპოვა–მე-7 სიმფონიის შესრულების შემდეგ (1884). დაწერილი აქვს აგრეთვე სასულიერო ნაწარმოებები (საორგანო მესები) და სხვ.

ბუზონი (Busoni) ფერუჩო ბენვენუტო [1. IV. 1866 ემპოლი, ფლორენციის მახლობლად, –27. VII. 1924, ბერლინი], იტალიელი პიანისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. დაიბადა მუსიკოსთა ოჯახში. 15 წლისა ბოლონიის ფილარმონიული აკად. წევრი გახდა, 1890–ა. რუბინშტეინის სახ. I საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (პეტერბურგი, პრემია კომპოზიციაში). მუშაობდა ჰელსინკის, მოსკოვის და ბერლინის (1920-იდან) კონსერვატორიებში. თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი პიანისტია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა პიანისტური ხელოვნების განვითარებაზე. ბ-ის მთ. ნაწარმოებებია: ოპერა „ტურანდოტი" (1917), საფ. კონცერტი (1908), კამერულ-ინსტრ. ანსამბლები. პოპულარობა მოიპოვა ი. ს. ბახისა

და ფ. ლისტის ნაწ-ების ბუზონისეულმა ტრანსკრიფციებმა. თავის ესთეტიკურ ნაშრომებში წამოსწია ნეოკლასიციზმის პრინციპები.

1949-იდან ბოლცანოში (იტალია) ყოველწლიურად ტარდება ბ-ის სახელობის პიანისტთა საერთაშ. კონკურსები.



ბუკი (ქართული), ლითონის ჩასაბერი საკრავი. დიდი ზომისაა. აქვს მკვეთრი და ძლიერი ხმა. ქართ. წერილობით წყაროებში პირველად IX ს-ში მოიხსენიება. ბ-ს უკრავდნენ აღლუმებზე, ლაშქრობისას, სამეფო კარისა და საკულტო ცერემონიალზე. ბ-ს ხმა იყო თავდასხმის საშიშროების ან ომის დაწყების ნიშანი.

ბუკი შემონახულია რაჭასა და სვანეთში.

გ. ჩხიკვაძე

ბუკია ალექსანდრე იონას ძე [17. V. 1906, ქუთაისი,–15. XI. 1976, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი საქ. სახ. არტისტი(1966). 1932 დაამთ. თბ. კონს. (კომპოზიციის კლასი, პროფესორები–ს. ბარხუდარიანი, მ. ბაგრინოვსკი, ი. ტუსკია). ამავე წლიდან მუშაობა დაიწყო საქ. რადიოკომიტეტში სამუსიკო განყოფილების უფროსად, 1972-იდან საქ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტში.

ბ-ს მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: საბავშვო ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (1949)– ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუში ქართულ მუსიკაში. ლიბრეტო ლ. ესაკიასი და დ. გაჩეჩილაძისა, დაიდგა თბილისში (1950); ახ. რედაქციით „ყვავილთა სამყაროში“ (1969), დაიდგა აგრეთვე გდრ-ში (1961). ბ-ს ეკუთვნის აგრეთვე ჰეროიკულ-დრამ. ოპერა „არსენა“(დაიდგა 1958), საბავშვო ოპერა ზღაპარი „სამი მჭედელი“, სიმფონია, სიმღერები, რომანსები და სხვ.



ბულეზი (Boulez) პიერ [26. III. 1925, მონბრიზონი, ლუარის დეპარტამენტი], ფრანგი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი, ო. მესიანისა და რ. ლეიბოვიცის მოწაფე. ა. ვებერნის მიმდევარი. 1950-იანი წლების ავანგარდიზმის ერთ-ერთი ლიდერი. აწარმოებდა ექსპერიმენტებს კონკრეტული მუსიკის სფეროში. ბ-ის რიგი ნაწარმოებები პუანტილიზმის ტექნიკის, ტოტალური სერიალიზმის ნიმუშია. მის ნაწ-ში ვხვდებით აგრეთვე სონორისტიკისა და ალეატორიკის ელემენტებს. ბ-ის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: მუს. პიესა კონტრალტოსა და ექვსი საკრავისათვის „ჩაქუჩი უოსტატოდ“ (1954, მე-2 რედ. 1957, პოეტ-სიურრეალისტ რ. შარას ტექსტზე), „სტრუქტურები“ 2 ფ-ნოსათვის (1-2 წიგნი, 1952-61).

ახალი მუსიკის კონცერტების „Domaine musical“ (1954-67) ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. 1975-იდან ხელმძღვანელობს პარიზში მის მიერ შექმნილ „მუსიკალურ-აკუსტიკურ პრობლემათა კვლევისა და კოორდინაციის ინსტიტუტს“ (IRCAM). 60-იანი წლებიდან ძირითადად გამოდის როგორც დირიჟორი ბი-ბი-სისა და ნიუ-იორკის ფილარმონიულ

და სხვა ორკესტრებთან ერთად.

ბუნიათიშვილი ხატია გიორგის ასული [21.VI. 1987, ბათუმი], ქართველი პიანისტი. შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (2012). 2004 ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბ. სახელმწ. კონს. საფორტეპიანო განყოფილებაზე (პედ. თ. ამირეჯიბი). 2006-2008 სწავლობდა ვენის საშემს. ხელოვნ. უნ-ტში პედ. ო. მაიზენბერგი (ფ-ნო). ბ. მრავალი საერთაშ. კონკურსის ლაურეატია მ.შ. სპეც. პრიზი (ჰოროვიცის სახ. ახალგაზრდა შემსრ. კიევი 2003); პიანისტთა III საერთაშ. კონკურსი (II პრემია სპეც. პრიზი „არტისტიზმისათვის“ 2005, თბილისი); ა. რუბენშტეინის სახ. საერთაშ. საფორტეპიანო კონკურსი (III პრემია და სპეც. პრიზები: „შოპენის ნაწ. საუკეთესო შესრულებისათვის“ და „მსმენელთა სიმპატია“, 2008 თელ-ავივი და სხვ. აღიარებულია ლისტის ნაწარმოებთა საუკეთესო შემსრულებლად. მას რეგულარულად იწვევენ მსოფლიოს პრესტიჟულ დარბაზებში, როგორც სოლო კონცერტებით, ასევე ორკესტრთან ერთად.

2011 გაიმარჯვა ნომინაციაში და დასახელდა „ამომავალ ვარსკვლავად“ ვენის „კონცერტჰაუსისა“ და მიუზიკ-ფერაიენის მიერ. მისი შესრულება გამოირჩევა დინამიზმით, ტექნიკური სრულყოფილებით, არტისტიზმით და ვირტუოზულობით.

ბურდონული ბანი (ფრანგ. bourdon-მსუყე ბანი), გაბმული და უცვლელი, უწყვეტად ხმოვანი ხმა მუს. ნაწარმოების ბანში. გაბმული ბანი, ქართული მრავალხმიანობის (სამხმიანობის) ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება.

ბურჭულაძე პაატა შალვას ძე [12. II. 1955, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბანი). საქ. სახ. არტისტი (1985). თბილისის საპატიო მოქალაქე (2001). 1978 დაამთ. თბ. კონს-ის ვოკალური ფაკ-ტი (პროფ. დ. ხელაშვილის კლ.), პარალელურად–საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი. 1978-81 სტაჟირება გაიარა იტალიაში, მილანის თეატრ „ლა სკალაში“. 1981-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. აქ და უცხოეთში შესრულებული აქვს მთავარი პარტიები ქართველ, დასავლეთევროპელ და რუს კომპოზიტორთა ოპერებში. ეწევა ნაყოფიერ საკონცერტო მოღვაწეობას საზღვარგარეთ (იტალია, ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი, პორტუგალია, ესპანეთი, შვეცია, აშშ, ინდოეთი, იაპონია და სხვ.). ბ. თანამშრომლობს მსოფლიოს უდიდეს დირიჟორებთან (ჰ. ფონ კარაიანი, კ. აბადო,

ლ. მაზელი, ზ. მეტა, რ. მუტი, კ. მ. ჯულინი და სხვ.). გამოდის მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში (მილანის „ლა სკალა“, ლონდონის „კოვენტ გარდენი“, მოსკ. დიდი თეატრი და სხვ.). მდიდარია ბ-ის კამერული რეპერტუარიც (მ. მუსორგსკის, ს. რახმანინოვის და სხვ. რომანსები).

ბ. თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მომღერალია. იგი ფლობს უნიკალური ტემბრის ხმას, აქვს მდიდარი ვოკალურ-არტისტული დიაპაზონი, მაღალი საშემსრულებლო კულტურა, ორიგინ. სცენური ინტერპრეტაციის უნარი. მის მიერ შესრულებულ პარტიათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ტარიელი (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), მაკარი (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), მარკიზი (გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“), მეფისტოფელი (შ. გუნოს „ფაუსტი“), ბორისი, დოსიფეი(მ. მუსორგსკის „ბორის გუდუნოვი“, „ხოვანშჩინა“), ლეპორელო (ვ. მოცარტის „დონ ჯოვანი“), რამფისი, ფარაონი, ბანკო (ჯ. ვერდის „აიდა“, „მაკბეტი“, „ნაბუქო“), დონ ბაზილიო (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“) და სხვ. 1984-იდან პედ. მოღვაწეობას ეწევა თბ. კონს-ში. 1987-იდან უცხოეთშია (ძირითადად–ავსტრიაში). ბ. საქ. სახელმწ. (1982), ი. გოგებაშვილის სახ. (1991), ზ. ფალიაშვილის სახ. (1991) და შოთა რუსთაველის სახ. (1992) პრემიების, აგრეთვე მრავალი საერთაშ. კონკურსის ლაურეატია, მ.შ. აღსანიშნავია საერთაშ. კონკურსი „ვერდის ხმები“ (1981, იტალია, ქ. ბუსეტო, II პრემია, პირველი არავისთვის მიუნიჭებიათ), მუსიკოს-შემსრულებელთა პ. ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. კონკურსი (მოსკოვი, 1982, I პრემია), ფილადელფიის (აშშ) ლ. პავაროტის სახ. საერთაშ. კონკურსი (1985), მარია კალასის სახ. საერთაშ. კონკურსი (1986, გფრ, მაინის ფრანკფურტი, I პრემია); 1986 ქ. ვენაში (ავსტრია) შეიქმნა ბ-ს სახ. კლუბი, რ-იც აერთიანებს მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს (100-მდე წევრი). 1987 ბ-ს მიენიჭა ფილადელფიის საპატიო მოქალაქის წოდება და გადაეცა ქალაქის სიმბოლური გასაღები „თავისუფლების ზარი“. პერიოდულად ჩამოდის საქართველოში. 1998 თბილისში გამართა საოპერო მუსიკის საერთაშ. ფესტივალი „ბრავო“. ეწევა ფართო საქველმოქმედო საქმიანობას (საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“). 2008 თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახ. ვარსკვლავი.

ბუხბინდერი მიხაილ ალექსანდრეს ძე [10.V. 1911, ქუთაისი, –26.III.1970, თბილისი], დირიჟორი. რსფსრ სახ. არტისტი (1961), საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1968). 1932 დაამთ. თბ. სახელმწ. კონ. ფორტეპიანოს სპეციალობით (პედ. ლ. ქუთათელაძე), 1937 ლენინგრადის კონს. დირიჟორობის სპეციალობით (პედ. ი.ა. მუსინი), 1937-46 და 1967 თბილისის, 1946-50 ქ. ულან-უდეს (ბურიატია)1950-67 ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი. 1967-იდან თბ. სახელმწ. კონს. პედაგოგი.

ბუტაფორია (იტალ. buttafuiri), თეატრალური წარმოდგენისათვის განკუთვნილი არანამდვილი საგნები.

ბ

ბაბარაშვილი თამარ ბორისის ასული [22. VII. 1937, თბილისი], ქართველი ვიოლონჩელისტი. საქ. სახ. არტისტი (1981). ა. ჩიჯავაძის, ს. კოზოლუპოვისა და მ. როსტროპოვიჩის მოწაფე. საქ. სახელმწ. პრემიისა (1995) და არაერთი საერთაშ. ფესტივალისა (1962, ჰელსინკი, ოქროს მედალი) და კონკურსის (პაბლო კაზალსის სახ. კონკურსი, ბუდაპეშტი, 1963 და პ. ჩაიკოვსკის სახ. კონკურსი, მოსკოვი, 1966) ლაურეატი.

1954-56 სწავლობდა თბ. კონს-ში ჩელოს სპეციალობაზე. 1962 დაამთ. მოსკოვის კონს., იქვე – ასპირანტურა (1966). 1966-იდან „მოსკონცერტის“ სოლისტია, 1986-იდან თბ. კონს-ის პედაგოგი, 1987-იდან სიმებიან საკრავთა კათედრის გამგე, პროფესორი. გ. გამოჩენილი მუსიკოსი, მაღალი კლასის შემსრულებელია. რეპერტუარში აქვს ი. ს. ბახის, ლ. ვან ბეთჰოვენის, ფ. ი. ჰაიდნის, ლ. ბოკერინის, ს. პროკოფიევის, ა. შნიტკეს, ს. ცინცაძის, ს. ნასიძის, ვ. აზარაშვილის და სხვა ნაწარმოებები. კონცერტებს მართავს საზღვარგარეთის ქვეყნებში (აშშ, კანადა, ფინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და სხვ.).



ბაბიჩვაძე რევაზ კონდრატეს ძე [29. V. 1913, თბილისი-9.VI.1999, მოსკოვი], ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახ. არტისტი (1967). 1935 დაამთ. თბ. კონს. (ი. ტუსკიას საკომპ. კლ.), 1938-ასპირანტურა (პროფ. ბ. არაპოვისა და პ. რიაზანოვის ხელმძღვანელობით). 1938-იდან კონს-ის პედაგოგია (1964-იდან პროფ.), კითხულობდა საკრავთმცოდნეობის კურსს. გ. საქ. სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის დამაარსებელი და მისი ხე-ლი იყო (1941-43), 1948-52 საქ. კომპოზიტორთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი. 1980-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში. გ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თანამედროვე მუსიკალური ტექნოლოგიის ძიება და მისი შერწყმა ეროვნულ ელემენტებთან, მაღალი პროფესიული კულტურა.

მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: ოპერა „ნანა“ (1957), ბალეტები „ჰამლეტი“ (1971) და „მედეა“ (1975), ოპერეტა „ჭრიჭინა“ (1952) (ყველა დაიდგა), 2 ორატორია, 9 სიმფონია სხვადასხვა შემადგენლობისათვის (1963-84), 4 სიმებიანი კვარტეტი, რამდენიმე ინსტრუმ. კონცერტი, მრავალი ინსტრუმ. ნაწ. სხვადასხვა საკრავისათვის, საგუნდო ნაწ., საესტრადო სიმღერები („მომე ხელი“ და სხვ.).

ბაბუნია ნოდარ კალისტრატეს ძე [9.VII.1933, თბილისი, – 31.VIII.2000, იქვე], ქართველი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1982), ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1985), საქ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1973-79) და თავ-

რე (1996-97). დაამთ. მოსკ. კონს. (1957) და ასპირანტურა (1961) ფორტეპიანოს განხრით (ხე-ლი ა. გოლდენვეიზერი), ხოლო 1962 კომპოზიციის განხრით (ხე-ლი ა. ხაჩატურიანი). 1962-იდან მოღვაწეობდა თბილისში (კონს-ის პროფ., საფ. კათედრის გამგე – 1965-იდან, რექტორი – 1984-2000), გამოდიოდა კონცერტებით როგორც პიანისტი (პირველმა საქ-ში შეასრულა ბეთჰოვენის ყველა საფ. სონატა, 1970, ბარტოკის საფ. შემოქმედების პროპაგანდისტი იყო), გ. ავტორია 2 მუს. კომედიისა: „ყვარყვარე თუთაბერი“ (1973) და „ხე ჭრიალებს“ (1979), დაიდგა თბ. მუს. კომედიის თეატრში (1974, 1979), 2 სიმფონიისა (1972, 1984), 3 საფ. კონცერტისა (1961, 1976, 1986), სავიოლინო კოცერტისა (1981); მასვე ეკუთვნის სონატა საყვირის, ფ-ნოსა და დასარტყმელი საკრავებისათვის (1980). სონატები და პიესები ფ-ნოსათვის, ორგანისათვის, 2 სიმებიანი კვარტეტი, შესანიშნავი საფ. ტრიო (1999), კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები, მ. შ. ფართოდ ცნობილი „ივავი“ (ს.ს. ორბელიანის მიხედვით, 1964, იუნესკოს საერთაშ. პრემია, 1965), მუსიკა თეატრისა და კფ-თვის („ვედრება“, „ნერგები“, „აურზაური სალხინეთში“) და სხვ. გ-მ აღზარდა ნიჭიერ პიანისტთა პლეადა.

გ. ტორაძე

გაბუნია ნუნუ ნიკოლოზის ასული [18. VII, 1941, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი. საქ. დამს. არტისტი (1977). ღირსების ორდენის კავალერი (1998), თბილისის საპატიო მოქალაქე (2011). 1966 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. საკომპოზიციო (პედ. ი. ტუსკია, ა. შავერზაშვილი) და 1970 ვოკალური (პედ. ვ. დავიდოვა) განყოფილებები. 1961-იდან მუშაობდა საქ. ტელერადიო კომიტეტში მუს. გადაცემების რედაქტორად. 1992-96 და 1997-2000 საქ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანია. 1968-იდან საქ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტია. 1971-72 სტაჟირებას გადიოდა მოსკოვის დიდ თეატრში (მოსკოვსა და თბილისში შეასრულა თამარის პარტია ო. თაქთაქიშვილის ოპერაში „მთვარის მოტაცება“). სხვა რეპერტუარი: ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ზემფირა (რახმანინოვის „ალეკო“), დეზდემონა (ვერდის „ოტელო“) რომანსები, საესტრადო სიმღერები.

ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ოპერეტები: „გაყრა“ (1980), „პროვინციელი ქალიშვილები“ (1983), „კინტო“ (1995), „აბლაბუდა“ (1997), „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ (1998) და სხვ. საესტრადო სიმღერები (400-მდე)მ.შ. „მეორე ლეგენდა“, „მიყვარხარ თბილისო“, „გაზაფხული, გაზაფხული“, „გამახარე“, „ქვეყანა ჩემი მგონია“, „ბედის ვარსკვლავი“, „ყველაფერს ნუ ამისრულებ ღმერთო“ და სხვ. კომიკური ოპერა „იმპრესარიო კანარის კუნძულებიდან“(1988); ბალეტები: „ქალიშვილი შავებში“ (1993), „სიყვარულის ტაძარი“ (1990), სიმფ. სურათი „თბილისელობა“ (1995); მუსიკა დრამ. სპექტაკლებისა და კონოფილმებისათვის.

მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა თბილსიის დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (2012).

გაგნიძე გიორგი სულიკოს ძე [9. VIII. 1970, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბარიტონი). 1996 დაამთ. თბ. კონს. (თ. ლაფერაშვილის კლ.). მას აქვს ძლიერი ლამაზი ტემბრის, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა. 1994 შედგა მისი დებიუტი თბ. საოპერო თეატრის სცენაზე (მურმანი, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), სადაც ათი წლის მანძილზე ასრულებდა წამყვან პარტიებს. 2003-2005 წამყვან პარტიებს ასრულებდა გერმანიის სხვადასხვა საოპერო თეატრებში. საერთაშ. აღიარება მოუტანა იტალიაში ქ. ბუსეტოში გამართულმა „ვერდის ხმების“ ფესტივალმა, სადაც პირველი ადგილი აიღო. ჟიურის თავმჯდომარე იყო ხოსე კარერასი, რომელიც აღაფრთოვანა მისმა ვოკალურმა მონაცემებმა. გამარჯვებულის პრიზი აიღო „ტოსკასა“ და „ტრავიატას“ გასტროლებით ტოკიოში. გ. კარიერაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ჯ. კახიძემ, ხ. კარერასმა და ლ. მააზელმა, რომელმაც გზა გაუკაფა მეტროპოლიტენ, ლა სკალასა და მსოფლიოს წამყვან საოპერო სცენებისაკენ. პარტიები: მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), თავადი ლევანი (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ჟერმონი, იაგო, რიგოლეტო, ამონარსო (ვერდის „ტრავიატა“, „ოტელო“, „რიგოლეტო“, „აიდა“), ტონიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), სკარპია (პუჩინის „ტოსკა“) და სხვ.

2003 -იდან ცხოვრობს გერმანიაში.

გავოტი (ფრანგ. gavotte), ძველებური ფრანგული საფერხულო ცეკვა, ზომიერი, დინჯი მოძრაობით. სრულდება 4/4 და 2/4 ზომით, იწყება გარეტაქტით. ცნობილია XVI ს-იდან. გ. XVII-XVIII ს-ში იქცა სასახლის კარზე გავრცელებულ ერთ-ერთ სამეჯლისო ცეკვად.

გალი–კურჩი (Galli Curci), ამელიტა [18. XI. 1889, მილანი,- 26. XI. 1963, ლა-ჰოლია, კალიფორნია], იტალიელი მომღერალი (კოლორატურული სოპრანო). 1903 დაამთ. მილანის კონს. ფ-ნოს კლასი. პ. მასკანის რჩევით დამოუკიდებლად დაიწყო სიმღერის შესწავლა. 1906-30 გამოდიოდა იტალიისა და სხვა ქვეყნების საოპერო სცენაზე (1916-იდან აშშ-ში ცხოვრობდა), 1930-38 ძირითადად მღეროდა კონცერტებში. XX ს-ის I ნახევრის ერთ-ერთი უდიდესი მომღერალია. სახელი გაითქვა ჯ. როსინის, გ. დონიცეტის, ჯ. ვერდის, შ. გუნოს ოპერებში მონაწილეობით.

გალა (ფრანგ. gala), 1. საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში დიდი საზეიმო სანახაობა (გალა-კონცერტი, საღამო-გალა და მისთ). 2. XVII – XVIII სს-ში: დიდი ზეიმი მეფის სასახლეში.

გამა (ბერძ. gamma), ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანამიმდევრობა, ერთი ან რამდენიმე ოქტავის ფარგლებში. გ. იწყება და მთავრდება ერთი და იმავე სახელწოდების ბგერებით შემდეგ ოქტავაში, ატარებს იმ ნოტის სახელწოდებას, რომლითაც იგი იწყება.

გამგებელი ნუგზარ ვალერიანის ძე (ფსევდ. ვალერიანო) [5. IX. 1959, სოფ. ჭორვილა,

საჩხერის რაიონი], ქართველი მომღერალი (ტენორი). ფ. ვინიასის (ბარსელონა, 1990, I პრემია და გრან-პრი), ვ. ალონსოს (მადრიდი, 1993, I პრემია) სახ. და პამპლონის (ესპანეთი, 1994, II პრემია, ხ. კარერასის სპეც. პრიზი) ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. 1987 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ნ. ანდღულაძის კლ.). 1990-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტია, ფლობს ლამაზი ტემბრის ხმას. გ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელია გამომსახველობა, ექსპრესია. პარტიები: აბესალომი, მალხაზი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ალფრედი, რიჩარდი, რადამესი (ჯ. ვერდის „ტრავიატა“, „ბალ-მასკარადი“, „აიდა“), ანტონიო და მეფისტოფელი (ს. პროკოფიევის „დუენია“ და „ცეცხლოვანი ანგელოზი“) და სხვ. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობასაც. 1996-იდან უცხოეთშია (ესპანეთი).პერიოდულად მღერის თბილისში.

გ. ტორაძე



გამრეკელი დავით ალექსანდრეს ძე [27.VII.1911, ჭიათურა, –29.XI.1977, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში], ქართველი მომღერალი (ბარიტონი). საქ. სახ. არტისტი (1943), რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1951). 1935 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ე. ვრონსკის კლ.). იმავე წელს თბ. ოპერის თეატრის სცენაზე იმღერა ელეცკის პარტია (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“). 1937 ქართ. ლიტერატურისა და ხელოვნ. პირველ დეკადაზე მოსკოვში წარმატებით შეასრულა კიაზოს პარტია (ზ. ფალიაშვილის „დაისი), 1938 II პრემიით დაჯილდოვდა ვოკალისტთა პირველ საკავშირო კონკურსზე მოსკოვში. 1944-52 გ. მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი იყო. 1952-იდან გამოდიოდა როგორც საკონცერტო მომღერალი. გამოირჩეოდა ულამაზესი ტემბრის ხავერდოვანი ხმით, სცენური მიმზიდველობით. შესრულებული აქვს 30-მდე საოპერო პარტია: მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), აბდულ-არაბი (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), ევგენი ონეგინი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ჟერმონი და რიგოლეტო (ვერდის „ტრავიატა“, „რიგოლეტო“), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი“), ვალენტინი (გუნოს „ფაუსტი“), ესკამილიო (ბიზეს „კარმენი“) და სხვ. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მოსკოვის კონს-ში (1967-იდან). გადაღებულია ფილმში „ჯურღაის ფარი“ (1944). გამოშვებულია გ-ს კომპაქტ-დისკი (თბ. 2005).

მ. ახმეტელი

გაორკესტრება, 1. ნაწარმოების (მაგ. საფორტეპიანო) გადატანა ორკესტრისათვის. 2. საორკესტრო ნაწარმოების (ან საორკესტრო თხზულების ესკიზის) გადმოცემა პარტიტურის სახით. მნიშვნელოვანია ქართველ კომპოზიტორთა ნაშრომები ორკესტრობის ხელოვნებაში. შ. მშველიძე „საკრავთმცოდნეობა“ (1965), ს. ცინცაძე „გაორკესტრების ტექნიკა“ (2003).

გარაყანიძე ედიშერ გიორგის ძე [25. II. 1957, თბილისი, –5. IX. 1998, იქვე], მუსიკისმცოდნე, ფოლკლორისტი, პედაგოგი, შემსრულებელი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1997). დაამთ. თბ. კონს. თეორ. საკომპოზიციო ფაკულტეტი ხალხური შემოქმედების სპეციალობით (ხე-ლი გ. ჩხიკვაძე). 1987-იდან ამავე კონს-ის პედაგოგი იყო. ფართო



პლანის ფოლკლორისტი-მკვლევარი, ფოლკლორისტთა ახალი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი წარმატებით ათავსებდა პედ., სამეცნ., საველე-საექსპედიციო და საშემსრულებლო მოღვაწეობას. 1991-96 პერიოდულად კითხულობდა ლექციებს ჟენევაში, პარიზში, როტერდამში, ბერლინში, კიოლნში, რეგენსბურგში. 60-მდე ქართული სიმღერა შეასწავლა ინგლისელ მუსიკის მოყვარულებს ლონდონში, კარდიფში, კემბრიჯსა და ნორიჯში. გ. სამეცნ. ნაშრომების ავტორია. დაუცველი დარჩა გამზადებული სადოქტორო დისერტაცია, მიძღვნილი ქართ. ხალხ. სიმღერის შესრულების საკითხებისადმი. დააარსა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მთიები“, რომელთან ერთად ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას, როგორც მომღერალი. სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა თავისივე იდეით დაარსებულ ქალთა ფოლკლორულ ვოკალურ ანსამბლ „მზეთამზესთან“. სათავეში ედგა საყმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სტუდიას „ამერ-იმერი“. აქტიურად მოღვაწეობდა საქ. მუს. საზ-ბისა და კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორის სექციისა და საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდში.

თ. მესხი



გარმონი, გარმონიკა (რუს. гармонь, гармонишка <ბერძნ. harmonikos-ხმაშეწყობილი, ჰარმონიული), ენაკიანი მუსიკალური საკრავი, რომლის ლითონის ენაკების რხევას იწვევს გაწელვა-შეკუმშვის შედეგად წარმოქმნილი ჰაერის ჭავლი. ხელის პირველი გ. შექმნა გერმანელმა ოსტატმა ფ. ბუშმანმა 1822. გ-ის უამრავი ნაირსახეობა ძირითადად ორ ტიპად იყოფა. პირველი ტიპის საკრავთა გაწელვა-შეკუმშვის დროს ყოველი ღილაკი სხვადასხვა სიმაღლის ბგერას გამოსცემს. მეორე ტიპის გ-ების გაწელვა-შეკუმშვის დროს ბგერის სიმაღლე არ იცვლება. რუსეთში გ. ყველაზე მეტად გავრცელებული საკრავია. მისი წარმოება დაიწყო XIX ს. 30-40-იან წლებში (ტულა).

გასაღები, ნიშანი სანოტო სისტემაში, რომელიც ადგენს ბგერის სიმაღლესა და სახელწოდებას მის ერთ-ერთ ხაზზე. გ. განსაზღვრავს სანოტო სისტემაში ჩაწერილი ყველა ბგერის მნიშვნელობას. განარჩევენ გასაღებებს: ვიოლინოს (სოლ მე-2 ხაზზე), ბანის (ფა-მე-4 ხაზზე), ტენორის (დო მე-4 ხაზზე), ალტის (დო მე-3 ხაზზე); გასაღები იწერება სანოტო სისტემის დასაწყისში. ჟერადობის რეგისტრის შეცვლის დროს ახალი გასაღები შეიძლება დაიწეროს სანოტო სისტემის ნებისმიერ ადგილას. ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება შემდეგი გასაღებები: ვიოლინოს – მაღალი ხმებისა და საკრავების მაღალი რეგისტრის ჩასაწერად და ბანისა – დაბალი ხმების დაბალრეგისტრიანი საკრავების ჩასაწერად.

გასპარიანი (ქალიშვილობის გვარი ხაჩატრიანი) გოაჰრ მიქაელის ასული [14. XII. 1924, კაირო–17.V. 2007, ერევანი], სომეხი მომღერალი (სოპრანო), სსრკ სახ. არტისტი (1956), განათლება მიიღო კაიროში. 1948-იდან სსრკ-ში ცხოვრობს. 1949-იდან ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. ფლობდა იშვიათი სილამაზის ხმას და სრულყოფილ ვოკალურ ტექნიკას, ასრულებდა განსხვავებული სტილის პარტიებს, რომელთაგან აღსანიშნავია:

ანუში, შუშანი (ტიგრანიანის „ანუში“, „დავით-ბეგი“), ლუჩია (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“), ლაკმე (დელიბის „ლაკმე“), ვიოლეტა, დეზდემონა (ვერდის „ტრავიატა“, „ოტელო“), როზინა (როსინის „სევილიელი დალაქი“) და სხვ. გ. საკონცერტო მომღერალიც იყო, გასტროლებით ქონდა მოვლილი მრავალი ქვეყანა.

გასტროლი (გერმ. Gastrolle<Gast-სტუმარი და Rolle-როლი), მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის გამოსვლა სხვა ქალაქში ან ქვეყანაში.

გაუკი ალექსანდრე ვასილის ძე [3. VIII. 1893, ოდესა,–30. III. 1963, მოსკოვი], რუსი დირიჟორი და პედაგოგი, რსფსრ სახ. არტისტი. 1917 დაამთ. პეტროგრადის კონს. (ნ. ჩერეპნინის კლ.). სადირიჟორო მოღვაწეობა დაიწყო 1913-იდან. 1920-31 მუშაობდა ლენინგრადში ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1930-34 იყო ლენინგრადის ფილარმონიის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორი, 1936-41 საკავშირო რადიოს დიდი სიმფ. ორკესტრის დირიჟორი, 1953-62 მისი მთ. დირიჟორი და სამხ. ხე-ლი, 1927-33 ლენინგრადის, 1939-63 მოსკოვის კონს-ის პედაგოგი (1948-იდან პროფ.), 1941-43 იყო საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი და კონს-ის პედაგოგი. თბილისში ჩატარებული აქვს მრავალი კონცერტი. გ-ის მოწაფეები იყვნენ: ა. მელიქ-ფაშაევი, ე. მიქელაძე, ე. მრავინსკი, ე. სვეტლანოვი, ვ. ფალიაშვილი, ჯ. გოკიელი და სხვები.

გეგუჩაძე გრიგოლ ვარლამის ძე [29.XI. 1914, ბათუმი,-24.X. 1969, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ.-დრამ. ტენორი), საქ. დამს. არტისტი (1954). 1935-38 სწავლობდა თბ. სახელმწ. კონს, (პროფ. ო. ბახუტაშვილი-შულგინას კლ.). 1944-56 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. პარტიები: შოთა (არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“); მასხარა (ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“); მალხაზი (ფალიაშვილის „დაისი“); კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“); ხოზე (ბიზეს „კარმენი“); კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“); რადამესი (ვერდის „აიდა”); ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი“); გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“) და სხვ. 1956-იდან მუშაობდა მოსკოვის სტანისლავკის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუს. თეატრში. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას.

მ. გედევანიშვილი

გენერალბასი (გერმ. – Generalbaß საერთო, მთავარი ბანი), ციფრირებული ბანი, უწყვეტი ბანი (იტალ. basso continuo). მუსიკალური ნაწარმოების ქვედა ხმა და მისი თანმხლები ჰარმონია, რომელიც თითოეული ბგერის ქვეშ მიწერილი ციფრებით აღინიშნება. წარმოიშვა იტალიაში XVI ს-ის დასასრულს.

გენერალური პაუზა–ყველა ხმის ან საკრავის ხანგრძლივი (სულ მცირე ერთი ტაქტი) შესვენება საგუნდო, საორკესტრო ან საანსამბლო-კამერული ნაწარმოების შესრულებისას.

გენერალური რეპეტიცია, უკანასკნელი რეპეტიცია სპექტაკლის, კონცერტის წინ დეკორაციებითა და კოსტიუმებით.

გეპეის (სპი) ორკესტრი (ჯაზ-კვარტეტი). დიდი წვლილი მიუძღვის სტუდენტური თვითმოქმედებისა და საერთოდ ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში. 1932 ნ. თევზაძის ხე-ლით ჩამოყალიბდა პირველი სასულე ორკ. რ-მაც 10 წელი იარსება. მომდევნო წლებში განახლებულ ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ რ. შაჰნაზაროვი და კ. კარგარეთელი. 1948 დ. კიტიას თაოსნობით ორკ.-ის ხე-ლად დაინიშნა ი. ტულუში, რ-იც ორკ-ს 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით საჭირო გახდა კონცერტებში კონფერანსიეთა ჩართვა. პირველად მაშინ გამოჩდნენ ესტრადაზე პ. კახნიაშვილი და ბ. გელოვანი. შემდგომში მათ შეემატათ ნიჭიერი კონფერანსიები: ა. ლორია, ი. მამაცაშვილი, გ. ჭირაქაძე, ქ. კასრაძე, ო. წეროძე და სხვ. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა პირველი კვარტეტი დ. კიტიას, გ. მირიანაშვილის, ნ. ცაბაძისა და ნ. კალანდაძის შემადგენლობით. 1953-იდან ორკ-მა რესპუბლიკაში წამყვანი საესტრადო კოლექტივის სახელი დაიმკვიდრა. ამ დროს შეიქმნა ახალი კვარტეტი გ. ბზვანელის, შ. ხარაბაძის, თ. ცინცაძისა და გ. ბაკურაძის მონაწილეობით. კვარტეტი თავიდანვე გამოირჩეოდა საკუთარი შემოქმ. ხელწერით. ამ სტილისა და ფორმის ანს. პირველი იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში. ამ მხრივ დიდია ხე-ლის კომპ. გ. ბზვანელის დამსახურება. ორკ-ის წინსვლაში დიდი წვლილი შეიტანა კომპ. კ. პევზნერმა. დ. კიტიას, ი. ტულუშისა და კ. პევზნერის ერთობლივი მუშაობით ორკ. სსრკ და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი გახდა. ფაქტობრივად ინ-ტის თვითმოქმედი საესტრადო კოლექტივი პროფეს. კოლექტივად ჩამოყალიბდა, როდესაც მის ბაზაზე სახელმწ. ორკ. „რერო“ შეიქმნა (1956). 1962 ორკ. შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა, ჩამოყალიბდა ახ. კვარტეტი– გ. გაჩეიჩილაძე, ა. მამაცაშვილი, გ. გაბუნია, დ. ბალანჩივაძე. ამ დროს ასევე იწყებს მოღვაწეობას პირვ. ტრიო– ჯ. სუხიშვილი, მ. მახარაძე და ი. საყვარელიძე. ტრიო დიდი წარმატებით ასრულებდა, როგორც საესტრადო და გადამუშავებულ ქართ. ხალხ. სიმღერებს, ისე უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. აღსანიშნავია, აგრეთვე კვარტეტი რ. ახობაძის, თ. კლდიაშვილის, ზ. და მ. კაპანაძეების შემადგენლობით. 1970 ორკ-ს სათავეში ჩაუდგნენ გ. გაჩეჩილაძე და ვ. ენუქიძე. მათ ახალი, პერსპექტიული ძალები შემოიკრიბეს. შეიქმნა მორიგი კვარტეტი –ლ. მაღრაძე, ო. ბოლქვაძე, ს. გიორგაძე და ნ. გამყრელიძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართ. ესტრადაზე „ცისფერი ტრიოს“ (დ. აბესაძე, თ. სეფერთელაძე, მ. თავართქილაძე) გამოჩენა ქართ. ესტრადაზე, რომლის ვარსკვლავი თბ. დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა (2009). იმავე პერიოდში ორკ. კონც. მონაწილეობდა ცნობილი კვარტეტი „თბილისი“. 1974 სპი-ს თვითმოქმედი კოლექტივების სამხ. ხე-ლად დაინიშნა ი. ტულუში. ორკ. სათავეში გ. კალანდაძე და ლ. გოგიჩაიშვილი მოვიდნენ (1978). ამ პერიოდში ორკ. შემადგენლობა მთლიანად გადახალისდა. მაყურებელთა წინაშე წარსდგა ახალი, რიგით მესამე ტრიო (რ. გელაშვილი, ნ. აფხაიძე, თ. ორჯონიკიძე), რ-მაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ ტრიოს ბაზაზე შეიქმნა შემდეგში ორი ცნობილი ტრიო „თბილისი“ და „სიმი“. ორკ. მოღვაწეობდა აგრეთვე ქალთა შესანიშნავი კვარტეტი - მ. ებრალიძის, ლ.

ქალიაშვილის, მ. ხოშტარიასა და რ. რევაზიშვილის მონაწილეობით. 1981-89 ორკ. ხელმძღვანელობდნენ ზ. კობეშავიძე და ი. კალმახელიძე. ამ დროს შეიქმნა ქალთა ტრიო– ნ. კაპანაძის, მ. ბედოშვილისა და მ. ჩაჩიბაიას შემადგენლობით. საესტრადო ორკ. განვითარებაში უნდა აღინიშნოს კომპ. ს. მირიანაშვილის და ლოტბარ ი. კუბლაშვილის დამსახურება. 1990-იანი წლებიდან, ქვეყანაში არსებული საზოგ. -პოლიტ. ვითარების გამო, ორკ-მა არსებობა დროებით შეწყვიტა. ეს იყო პირველი ორკ., რ-მაც წინ წამოწია კონფერანსიეთა როლი, ჩამოაყალიბა ვოკ. კვარტეტი და ტრიო, დაამკვიდრა ახალი თემატიკა და ფორმები, ესტრადაზე გზა გაუკაფა იუმორს, სიმღერას, ცეკვას, ჯაზურ იმპროვიზაციებს, იგი საესტრადო ძალების ნამდვილი სამჭედლო იყო. ქართული ესტრადის გამოჩენილ წარმომადგენელთა დიდმა უმრავლესობამ სწორედ აქ აიდგა ფეხი: ნ. ბრეგვაძემ, ი. სოხაძემ, ჯ. დათუაშვილმა; ამ ორკესტრთანაა დაკავშირებული ისეთი მოღვაწეების შემოქმედება, როგორიცაა: ჯ. ბაგრატიონი, რ. ბარძიმაშვილი, ვ. კიკაბიძე, ჯ. ბალაშვილი, ნ. აბესაძე, მ. გონგლიაშვილი, ე. კაკულია, ჯ. ვაშაყმაძე, გ. ჩოხელი, დები ნ. და გ. ჩაფიჩაძეები, თ. ჩანტლაძე, ა. ვაშალომიძე, ბ. მახარაძე, ჯ. სეფიაშვილი, ა. მეფარიძე, ე. კვალიაშვილი, ნ. მეტონიძე, თ. თათარაშვილი და სხვ. 2011 რექტორის, ა. ფრანგიშვილის თაოსნობით მოხერხდა ორკ. აღდგენა. მას სათავეში ყოფილი ხე-ლი გ. კალანდაძე ჩაუდგა.

გერშვინი (Gershwin) ჯორჯ [26. IX, 1898, ბრუკლინი, ნიუ-იორკი,-11. VII. 1937, ბეევერლი-ჰილზი, კალიფორნია], ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტი. დაიბადა რუსეთიდან ემიგრირებული ებრაელის (გერშოვიჩის) ოჯახში. როგორც კომპოზიტორმა, სახელი გაითქვა ჯაზური სიმღერებითა და რევიუს ტიპის ოპერეტებით (მიუზიკლებით). 1924 მან დირიჟორ პ. უაიტმენის წინადადებით დაწერა განთქმული „რაფსოდია ბლუზის ტონებში“ ფ-ნოსა და ორკესტრისათვის („ცისფერი რაფსოდია“). მის შემოქმედებაში პირველად მოხდა ევროპული სიმფონიზმისა და ჯაზური მუსიკის შერწყმა. სამხრეთის შტატების ზანგებისა და აფრიკულ–ამერ. ფოლკლორის (ბლუზი, სპირიჩუელი) შესწავლის შედეგად კომპოზიტორმა შექმნა თავისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები–პირველი ამერიკული ეროვნული ოპერა „პორგი და ბესი“(1935), ოპერა გამოირჩევა მღერადობით, რიტმული სიმდიდრით, გამომსახველობით. იგი წარმატებით იდგმება მსოფლიოს მრავალ ქალაქში (დაიდგა აგრეთვე თბ. კონს-ის საოპერო სტუდიაში). გ-ს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ოპერეტა და მიუზიკლი, სიმფონიური სიუიტა „ამერიკელი პარიზში“(1928), საფ. კონცერტი (1925), 300-მდე სიმღერა და სხვა.

გეწაძე ელდარ შალვას ძე [27. IX. 1945, ზესტაფონი], ქართველი მომღერალი (ბარიტონი). საქ. სახ. არტისტი (1984), ვოკალისტთა მ. გლინკას სახ. (1975, თბილისი, II პრემია), ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა (1972, ბაქო, I პრემია) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971, თბილისი, I პრემია) კონკურსების ლაურეატი. ღირსების ორდენის კავალერი (1999), დაჯილდოებულია ზ. ანჯაფარიძის ფონდის ოქროს მედლით. 1971 დაამთ. თბ. კონს-ის ვოკალური ფაკ-ტი (პროფ. დ. ანდღულაძის კლ.). 1973-იდან თბ. საოპერო თეატრის სოლისტია, ფლობს ძლიერ, ლამაზი ტემბრის ხმას. შესრულებული აქვს ბარიტონის 45 საოპერო პარტია



ქართველ, დას. ევროპელ და რუს კომპოზიტორთა ოპერებში, რომელთაგან აღსანიშნავია: მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), გელა (რ. ლაღიძის „ლელა“), იაგო, ამონასრო, ჟერმონი, რიგოლეტო (ჯ. ვერდის „ოტელო“, „აიდა“, „ტრავიატა“, "რიგოლეტო"), დონ ჯოვანი (ვ.ა. მოცარტის „დონ ჯოვანი“), სილვიო (ჯ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“), სკარპია (ჯ. პუჩინის „ტოსკა“), ელეცკი (პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), ალეკო (ს. რახმანინოვის „ალეკო“) და სხვ. 1989 და 1990 ორჯერ მიენიჭა პრემია მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის (თარაშის პარტია ო. თაქთაქიშვილის ოპერიდან „მთვარის მოტაცება"). ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას მრავალფეროვანი რეპერტუარით. გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ. 1985 ო. ჩექიჯიანის მიერ განხორციელებულ პროექტში იმღერა „ნაბუქოს" პარტია ჯ. ვერდის ოპერაში „ნაბუქო". ამჟამად მოღვაწეობს თბ. საოპერო თეატრში და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის კონს-ში (სრული პროფესორი). 2017 მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია. მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ (2019).

გვარნერები, გუარნერები, (Guarneri), ვიოლინოს იტალიელ ოსტატთა ოჯახი.

ანდრეა [1622 ან 1626, კრემონა,–7. XII. 1698. იქვე], ოჯახის უხუცესი წარმომადგენელი, ნ. ამატის მოწაფე. მან პირველი ვიოლინოები ამატების საკრავთა სტილისა გააკეთა. შემდეგ კი შეცვალა მოდელი (მისი საკრავის დეკა უფრო ბრტყელია, გვერდები–დაბალი, ეფები უსწორო მოხაზულობისაა და სხვ.). ანდრეას ვიოლინოებს ნაზი, არც ისე ძლიერი ბგერა აქვს.

პიეტრო [18. II, 1655, კრემონა,–26. III. 1720, მანტუა], ანდრეას უფროსი შვილი. ვიოლინოებს ამზადებდა საკუთარი მოდელის მიხედვით (განიერი მკერდი, მომრგვალებული ფორმის ეფები და სხვ.) მის საკრავს ლამაზი ტემბრი, მაგრამ ბრწყინვალებას მოკლებული ხმოვანება აქვს.

ჯუზეპე [21. VIII. 1698, კრემონა,–7. X. 1744, იქვე], ანდრეას შვილიშვილი, დელ-ჯეზუდ წოდებული, ა. სტრადივარიუსთან ერთად ვიოლინოს იტალ. ოსტატთა უდიდესი წარმომადგენელი. შექმნა თავისი საკუთარი,ახ. ტიპის ვიოლინო,რომელიც ძლიერი და სავსე ტონით,ნაირფეროვანი და გამომსახველი ტემბრით გამოირჩევა. ვიოლინოს დიდოსტატებად ითვლებიან აგრეთვე ანდრეას შვილი ***ჯუზეპე*** [25. XI. 1666, კრემონა,–1739, იქვე], და შვილიშვილი ***პიეტრო*** [14. IV. 1695, კრემონა,–7. IV. 1762, ვენეცია].

გვასალია რუსუდან კირილეს ასული [27. IX. 1953, თბილისი], მევიოლინე, საქ. დამს. არტისტი (1972). მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს (1973, პარიზი, გრან-პრი), პ. ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. კონკურსების (1974, მოსკოვი, II პრემია) ლაურეატი. 1969 დაამთ. თბ. ცენტრ. სამუსიკო ათწლედი (პროფ. ლ. შიუკაშვილის კლ.), 1970-74 სწავლობდა მოსკოვის კონს-ში (პროფ. დ. ოისტრახის კლ.). ჯერ კიდევ სამუსიკო სკოლის მოსწავლემ 1969 ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში გაიმარჯვა და I პრემია მოიპოვა. 1975-იდან მართავს კონცერტებს. გასტროლებით მოვლილი აქვს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა. 1987-იდან ეწევა პედ. საქმიანობას ხელოვანთა საერთაშ. კურსებზე (გერმანია, ქ. ფრანკენთალი). მისი

დაკვრა გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო კულტურით, ინტერპრეტაციის სიღრმით, არტისტიზმით.

გ. ტორაძე

გვახარია ვაჟა ალექსანდრეს ძე [22. III. 1925, თბილისი,-25. VII. 1991, იქვე], მუსიკისმცოდნე, ფილოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე. ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969), ჰენდელის საერთაშ. პრემიის (გდრ) ლაურეატი (1967), ჰენდელის საერთაშ. საზოგადოების (ქ. ჰალე) გამგეობის წევრი (1967), თბ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ძვ. აღმ. ენების განყ-ის გამგე (1985-91). დაამთ. თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1947) და თბ. კონს-ის მუსიკისმცოდნეობის ფაკ-ტი (1949), 1952-იდან ეწეოდა პედ. და სამეცნ. მოღვაწეობას. ავტორია წიგნებისა: „ძველ ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება“ (1962), „რიხარდ ვაგნერი“(1966), „ჰენდელი, მოცარტი, ვაგნერი“ (1976), „მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები“ (1978), „ურარტული ენის ლექსიკონი-სიმფონია“ (მოსკ. 1963) და სხვა.

გვერდწითელი თამარ მიხეილის ასული[18. I. 1962, თბილისი], საესტრადო მომღერალი, კომპოზიტორი. საქ. დამს. არტისტი (1989), რუსეთის სახ. არტისტი (2004). სიმღერის საერთაშ. ფესტივალის [„სოჭი-81“, „შლაგერ ფესტივალი (დრეზდენი-82) და „ოქროს ორფეევსი-88“ (ბულგარეთი-1988)] ლაურეატი. 1984 დაამთ. თბ. კონს-ის საფორტეპიანო განყოფილება (ნ. გაჩეჩილაძის კლ.) და 1990 საკომპოზიციო (პროფ. ა. შავერზაშვილის კლ.). 1971-79 იყო თბ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებულ ვოკალურ საკრავიერი ანსამბლის „მზიურის“ სოლისტი. 1984-95 საქტელერადიოს სასტრადო სიმფ. ორკესტრის სოლისტი. წარმატებით ასრულებს როგორც საკუთარ ისე ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა სიმღერებს. 1995-იდან ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვში. გ. თავის ანსამბლ „მუსიკასთან“ ერთად კონცერტებს მართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პერიოდულად გამოდის თბილისში. მისი სახ. ვარსკვლავი გაიხსნა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზის ტერიტორიაზე (2013).

გვიდო დ'არეცო, (Guido d`Arezzo), გვიდო არეცოელი [990-იანი წწ. – 1050], იტალიელი მუსიკის თეორეტიკოსი, საგუნდო სიმღერების მასწავლებელი ტოსკანაში, მან მონასტერში შემოიღო 4-ხაზიანი სანოტო დგანი, რომლის ყოველ ხაზზე ხმის სიმაღლე ასოებით აღინიშნებოდა. ამ რეფორმამ ხელი შეუწყო მუს. ნაწარმოების ზუსტად ჩაწერას და საფუძვლად დაედო თანამედროვე ნოტაციას. გვიდო დ'არეცომ სიმღერის სწავლების გასაადვილებლად შეიმუშავა მუს. ბგერათა სახელწოდებების სისტემა, შემოიტანა 6-საფე-ხურიანი ბგერათა რიგი გარკვეული თანაფარდობის ინტერვალებით და აღნიშნა საფეხურები წმ. იოანეს ლათ. ჰიმნის პირველი ექვსი სტრიქონის საწყისი მარცვლებით – უტ, რე, მი, ფა, სოლ, ლა.

გიაუროვი ნიკოლაი [13. IX. 1929, ველინგრადი, –02.VI. 2004, მოდენა], ბულგარელი მომღერალი (ბანი) ბულგარეთის სრ-ის სახ. არტისტი. სწავლობდა სოფიის კონს-ში. 1955 დაამთ. მოსკოვის კონს. 1955-იდან იყო სოფიის ოპერის სოლისტი. 1955-57 მოსკოვის დიდი თეატრის სტაჟიორი, ხოლო 1957-58 მისი სოლისტი. 1960-იდან გ. „ლა სკალას" (მილანი) თეატრის სოლისტია. პარტიები: დონ ბაზილიო (როსინის „სევილიელი დალაქი"), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი"), პიმენი და ვარლაამი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი"), გალიცკი (ბოროდინის „თავადი იგორი"), დალანდი (ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი"), ფილიპი (ვერდის „დონ კარლოსი"). გასტროლებს მართავდა უცხოეთის ქვეყნებში.

გიზეკინგი (Gieseking) ვალტერ [5. XI. 1895, ლიონი, -26. X. 1956, ლონდონი], გერმანელი პიანისტი, პედაგოგი, კომპოზიტორი. 1947-იდან საარბრიუკენის კონს-ის პროფესორი. XX-ს. ერთ-ერთი გამოჩენილი პიანისტი-ვირტუოზი. სახელი გაითქვა როგორც ვ. ა. მოცარტის და იმპრესიონისტი კომპ-ების ნაწ-ების შემსრულებელმა. კ. ლაიმერთან ერთად შეიმუშავა პიანისტის ტექნიკური სრულყოფის მეთოდი.

გილელსი ემილ გრიგოლის ძე [6. X. 1916, ოდესა,–14. X. 1985, მოსკოვი], რუსი პიანისტი, სსრკ სახ. არტისტი (1954), ბ. რეინგბალდის მოწაფე (დაამთ. ოდესის კონს. 1935), უმაღლესი დაოსტატების სკოლა გაიარა მოს. კონს-ში (დაამთ. 1938) გ. ნეიგაუზთან. გ. XX ს. ერთ-ერთი გამოჩენილი პიანისტია. ბრწყინვალებით, სრულყოფილებით, სიღრმით გამოირჩეოდა მის მიერ ლ. ბეთჰოვენის, ფ. შუბერტის, რ. შუმანის, ი. ბრამსის, ფ. ლისტის, ს. რახმანინოვის, ს. პროკოფიევის ნაწ-ების შესრულება. კოცნერტებს მართავდა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. არაერთგზის იყო პიანისტთა საერთაშ. კონკურსების ლაურეატი (I პრემია ბრიუსელის ე. იზაის სახ. კონკურსზე, 1938 და სხვ.). 1938-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მოს. კონს-ში (მისი მოწაფეა მ. მდივანი). დაჯილდოებული იყო პრემიებით.

გიტარა (ესპ. guitarra), სიმებიან-ჩამოსაკრავი მუსიკალური საკრავი. შედგება წელში გამოყვანილი კორპუსისა და ბრტყელი დეკებისაგან. ზემო დეკას შუაში სარეზონატორო ღრუ აქვს, ყელზე-კილოებიანი გრიფი, საკრავის თავზე სიმების დამჭერი მოქლონებია. თავდაპირველად სიმებს ნაწლავებისაგან აკეთებდნენ, მოგვიანებით ლითონისა და ნეილონისაგან. XII ს. ესპანურ გ-ს ოთხი ორმაგი სიმი ჰქონდა. XVII ს. იტალიაში, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში გავრცელდა ე. წ. ესპანური გიტარები, რომლებსაც ხუთი ორმაგი სიმი ჰქონდა. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა გ-მ XVIII ს. შუა წლებში, ამ დროისათვის 5 ორმაგი სიმის ნაცვლად შემოიღეს 6 ცალფა სიმი. რუსეთში ძალზე გავრცელდა შვიდსიმიანი, ტერციული წყობის (ე. წ. რუსული). გ-ს იყენებდნენ ძირითადად სიმღერის აკომპანემენტისათვის, აგრეთვე კამერულ ანსამბლებში და სოლო საკრავადაც. ზოგ ქვეყანაში გ. ხალხურ საკრავად იქცა. გ-ისთვის ნაწარმოებები დაწერეს: ნ. პაგანინიმ, მ. დე ფალიამ, ე. ვილა ლობოსმა და სხვ. ცნობილი გიტარისტები არიან: მ. ჯულიანი (იტალია) ფ. სორი, ფ. ტარეგა, ა. სეგოვია (ესპანეთი), მ. ლ. ანიდო (არგენტინა), ა. სიხრა, მ. ვისოცკი, მ. სოკოლოვი, ა. ივანოვ-კრამსკოი. საქ-ში თ. ყვითელაშვილი და სხვ. XX ს-ში გავრცელდა გიტარის ნაირსახეობანი–ჰავაიური და ჯაზ-გიტარა.

გიჯაკი, ხემიან სიმებიანი მუსიკალური საკრავი, გავრცელებულია უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში და სხვ. აქვს 2-4 სიმი.

გლაზუნოვი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე [29. VII. 1865, პეტერბურგი, –21. III. 1936, პარიზი], რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, მუს. საზ. მოღვაწე, რესპ. სახ. არტისტი (1922). კომპოზიციაში მეცადინეობდა ნ. რიმსკი–კორსაკოვთან. დაუახლოვდა „მძლავრი ჯგუფის“ კომპოზიტორებს და პ. ჩაიკოვსკის. 16 წლისამ დაწერა პირველი სიმფონია. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას პეტერბურგის კონს-ში. 1888-იდან იწყებს სადირიჟორო მოღვაწეობას. 1928-იდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ. რუსული კლასიკური მუსიკის ტრადიციების გამგრძელებელია. გ-ის შემოქმედებაში აღსანიშნავია: 8 სიმფონია (IX დაუმთავრებელი), უვერტიურები, სიმფ. პოემები, სიმფ. სურათები, სიუიტები, სამი ბალეტი, (მ. შ. ცნობილი „რაიმონდა“ 1898). გ-ს შექმნილი აქვს საფ. კონცერტები, ცნობილი კონცერტი ვიოლინოსათვის (1904), აგრეთვე კონცერტები ჩელოს, ხმისა და საქსოფონისათვის; კამერულ-ინსტრუმენტული (7 სიმებიანი კვარტეტი) და საგუნდო ნაწარმოებები; 20-ზე მეტი რომანსი და სხვ. ნ. რიმსკი-კორსაკოვთან ერთად დაამთ. ა. ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი“, მეხსიერებით აღადგინა ამ ოპერის უვერტიურა და ბოროდინის მე-3 სიმფონიის ორი ნაწილი.

გლიერი რეინგოლდ მორიცის ძე [30. XII. 1874, კიევი,–23. VI. 1956, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი, პედაგოგი, დირიჟორი, საზ. მოღვაწე, სსრკ სახ. არტისტი(1934), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. 1900 დაამთ. მოსკ. კონს. 1900-იდან ეწევა პედ. მუშაობას: 1913-20 კიევის კონს-ის პროფესორი (კომპოზიცია და საორკესტრო კლასი), 1914-20 დირექტორი; 1920-41 მოსკოვის კონს-ის პროფესორი (კომპოზიცია), გ-ის მხატვრული მემკვიდრეობა გამოირჩევა ჟანრული ნაირფეროვნებით. ავტორია 5 ოპერისა: „შაჰსენემი“ (1927), „ლეილი და მაჯნუნი“ (1940), „გულსარა“ (1949) და სხვ.

დიდი წვლილი მიუძღვის აზერბ. და უზბ. ეროვ. მუს. თეატრების ჩამოყალიბებასა და ამ რესპუბლიკების კომპოზიტორთა დაოსტატებაში. 7 ბალეტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „წითელი ყაყაჩო“(1927), „ბრინჯაოს მხედარი“ (1949). მას ეკუთვნის აგრეთვე სიმფონია, სიმფ. პოემები, სიმფ. სურათი „ზაპოროჟიელები“, თეატრისა და კინოს მუსიკა და სხვ. აგრძელებს რუს კლასიკოს-კომპოზიტორთა ტრადიციებს. მისი მოწაფეები იყვნენ: ს. პროკოფიევი, ნ. მიასკოვსკი, ა. ალექსანდროვი, ა. დავიდენკო, დ. თორაძე და სხვ.

გლინკა მიხეილ ივანეს ძე [20. V. 1804, სოფ. ნოვოსპასკოე, ახლანდ. ელნის რ-ნი, სმოლენსკის ოლქი,–3. II. 1857, ბერლინი], რუსი კომპოზიტორი, რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი. სწავლობდა პეტერბურგის უმაღლეს პედ. სასწავლებელთან არსებულ კეთილშობილთა პანსიონში. ფ-ნოზე დაკვრას სწავლობდა ჯ. ფილდთან და შ. მაიერთან. XIX ს. 20-იან წლებში გამოდიოდა როგორც

მომღერალი და პიანისტი. ამავე წლებში შექმნა რომანსები: „ნუ მაცდუნებ,“ „საბრალო მომღერალი“, „ქართული სიმღერა“ (პუშკინის ლექსზე), რომელშიც აისახა 1823 კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. 1830-34 იმოგზაურა იტალიაში, ავსტრიასა და გერმანიაში. 1833-34 ზამთარში ბერლინში მეცადინეობდა კომპოზიციის თეორიაში ზ. დენთან, 1834 რუსეთში დაბრუნებისთანავე შეუდგა მუშაობას ოპერაზე „სიცოცხლე მეფისათვის“. პირველი წარმოდგენა (27. XI. 1836) იქცა რუსული კლასიკური ოპერის დაბადების დღედ (საბჭოთა პერიოდში ოპერას უწოდეს „ივან სუსანინი“). 1837-39 გ. მუშაობდა სამეფო კარის კაპელმაისტერად. ამ წლებში დაწერა ცნობილი რომანსები „ეჭვი“, „მე მახსოვს წუთი გასაოცარი“, რომანსების ციკლი „გამოთხოვება პეტერბურგთან“, „ვალსი-ფანტაზია“ ორკესტრისათვის და სხვ. მისი მეორე ოპერის, „რუსლან და ლიუდმილას“ პრემიერამ (1842) წარუმატებლად ჩაიარა. 1844-47 გ. საფრანგეთსა და ესპანეთში ცხოვრობდა. პარიზში (1845) გაიმართა მისი კონცერტი. ესპანეთში შექმნა 2 ესპანური უვერტიურა: „არაგონული ხოტა“ და „მადრიდის ზაფხულის ღამის მოგონება“ (პირველი რედაქციით –„ღამე მადრიდში“). 1848 დაწერა საორკესტრო სკერცო „კამარინსკაია“. 1856 გაზაფხულზე გაემგზავრა ბერლინში და კვლავ შეუდგა მეცადინეობას ზ. დენთან. იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში.

გ. რუსული კლასიკური ოპერის ორი უმთავრესი ჟანრის: გმირულ-პატრიოტულისა („სიცოცხლე მეფისათვის“) და ზღაპრულ-ეპიკურის („რუსლან და ლიუდმილა“) ფუძემდებელია. მან დიდი როლი ითამაშა აგრეთვე რუსული სიმფონიზმის (კერძოდ, მისი ჟანრულ-სახასიათო ნაკადის) განვითარებაში, რაც, პირველ რიგში, ეხება მის „კამარინსკაიას“. გ-ს რომანსებმა დასაბამი მისცა რუსეთში ამ ჟანრის კლასიკურ ეტაპს. მის შემოქმედებაში პირველად აისახა კავკ.–აღმოსავლური თემატიკა. გ-მ უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომი თაობის რუს კომპოზიტორებზე.

გ. ტორაძე

გლისანდო (იტალ glissando), მუსიკალური ნაწარმოების შესრულების განსაკუთრებული ხერხი; შემსრულებელი ასრიალებს თითს არფის, ფ-ნოს თეთრ კლავიშებზე ან ხემიანი საკრავის სიმებზე. ტრომბონზე გ. კულისის მოძრაობით სრულდება.

გლიუკი (Gluck) ქრისტოფ ვილიბალდ [2. VII. 1714, ერასბახი,- 15. XI. 1787, ვენა], ავსტრიელი კომპოზიტორი. სწავლობდა პრაღის უნტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. პარალელურად მეცადინეობდა ჩეხი კომპოზიტორისა და ორგანისტის ბ. ჩერნოგორსკის ხელმძღვანელობით. 1737-45 ცხოვრობდა იტალიაში, მეცადინეობდა ჯ. სამარტინისთან. აქვე დაიდგა გ-ის პირველი ოპერა „არტაქსერქსე“ (1741, ლიბრეტო პ. მეტასტაზიოსი). 1750 გ. დასახლდა ვენაში. 1758-60 ფრანგი დრამატურგი შ. ფავარის პიესების მიხედვით შექმნა კომიკური ოპერები და ვოდევილები, რომლებმაც ხელი შეუწყეს რეალისტური საოპერო სტილის ჩამოყალიბებას. 1762 ვენაში დაიდგა გ-ის პირველი იტალიური რეფორმატორული ოპერა „ორფეევსი და ევრიდიკე“ (ლიბრეტო რ. კალცაბიჯისა). შემდგომ ოპერებში გ. დროებით უბრუნდება ოპერა-სერიის ტრადიციულ ჟანრს, მაგრამ პარალელურად განაგრძობს რეფორმატორული ოპერების წერას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ალცესტე“ (1767) და „პარისი და ელენე“ (1770). 1773 გ. მიიწვიეს პარიზში, სადაც მომდევნო წელს დაიდგა „იფიგენიე ავლიდში“ და

„ორფევსი“ (ახ. რედაქცია), მათ მოჰყვა ოპერები: „ალცესტე“ (ახ. რედაქცია) (1779), „არმიდა“ (1777), „იფიგენიე ტავრიდში“ (1779) და ალეგორიული ოპერა „ექო და ნარცისი“ (1779). სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნა ოდები და სიმღერები, სამგლოვიარო მესა გუნდისა და ორკესტრისათვის. მასვე ეკუთვნის 4 ბალეტი: „დონ ჟუანი“ (1761), „სემირამიდა“ (1765), „ალესანდრო“ (1767), „ჩინელი ობოლი“ (1774).

გ. აღიარებულია საოპერო ჟანრის რეფომატორად. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი თაობების კომპოზიტორებზე. გ-ის „ორფევსის“ თემებზე ქართველმა კომპოზიტორმა ს. ნასიძემ შექმნა ბალეტი, რომელიც დაიდგა თბილისში (1973).

პ. ხუჭუა

გნესინები – მუსიკის მოღვაწეები. ***მიხეილ ფაბიანეს ძე*** [21. I. 1883, როსტოვი,–5. V. 1957, მოსკოვი], კომპოზიტორი, პედაგოგი, რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. 1901-09 სწავლობდა პეტერბურგის კონს-ში. 1925-36 მოსკოვის და 1935-44 ლენინგრადის კონს-ების პროფესორი იყო.

ელენე ფაბიანეს ასული [18. V. 1874, დონის როსტოვი,–4. VI. 1967, მოსკოვი], პიანისტი, პედაგოგი, რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1893 დაამთ. მოსკოვის კონს. იგი იყო მოსკოვის სამუსიკო სასწავლებლისა (1895-იდან) და გნესინების სახ. მუს. პედ. ინ-ტის (1944-იდან) პროფესორი, ერთ-ერთი დამაარსებელი, დირექტორი და სამხ. ხე-ლი.

გობი (Gobbi) ტიტო [24. X. 1913, ბასანო-დელ-გრაპო,–5. III. 1984, რომი], იტალიელი მომღერალი (ბარიტონი), ოპერის სცენაზე პირველად 1938 გამოვიდა რომში. 1942-იდან თეატრ „ლა სკალას“ (მილანი) სოლისტი იყო. 1947-იდან მღეროდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. გ. თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მომღერალი იყო. მისი შესრულება გამოირჩეოდა მაღალი ვოკალური ოსტატობითა და მუსიკალობით. გ. განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა ვერდის ოპერების გმირებს–რიგოლეტოს („რიგოლეტო“), ჟერმონის („ტრავიატა“), ამონასროს („აიდა“), იაგოს („ოტელო“), ფალსტაფის („ფალსტაფი“), რენატოს („ბალ-მასკარადი“), სკარპიას (პუჩინის „ტოსკა“) და სხვა პარტიებს. მონაწილეობდა მრავალ მუს. ფილმში.

გოგიჩაძე გიორგი მიხეილის ძე [9.VI. 1908, სოფ. ზოვრეთი, ზესტაფონის რ-ნი, -5.V. 1988, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბანი). საქ. სახ. არტისტი (1970). 1934 დაამთ. თბ. სახლმწ. კონს. (ო. ბახუტაშვილი-შულგინას კლ.). ამავე წლიდან მოსკ. რადიოკომიტეტის მხატვრ. დასის სოლისტი, პარალელურად მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი. 1936-39 მოსკოვის დიდი თატრის საოპერო სტუდიის სოლისტი, 1939-52 თბ. საოპერო თატრის სოლისტი. 1952-იდან სიცოცხლის ბოლომდე თბ. კონს. პედაგოგი (სოლო სიმღერის). მოწაფეები: ლ. ჭყონია, მ. მახარაძე, ა. ხომერიკი, ნ. მკერვალიძე, ლ. ასათიანი, ვ. კუბლაშვილი, ო. ფერშანგიშვილი, ა. გელაშვილი, თ. ჯაფარიძე და სხვ. პარტიები: ცანგალა (ზ. ფალიაშვილის „დაისი“), დონ ბაზილიო (როსინის „სევილიელი დალაქი“), სპარაფუჩილე (ვერდის „რიგოლეტო“), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), ბორისი, პიმენი, ვარლაამი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), მეწისქვილე (დარგომიჟსკის „ალი“) და სხვ.

გოგნიაშვილი რევაზ დიმიტრის ძე [26. X. 1893, ქვემო ხოდაშენი,–20. III. 1967, თბილისი], კომპოზიტორი და დირიჟორი. თბ. საოპერო სცენაზე დადგმული პირველი ქართული ოპერის „ქრისტინეს“ ავტორი. პირველდაწყებითი სამუსიკო განათლება მიიღო თბ. სამუსიკო სასწავლებელში. 1913 დაამთ. პარიზის კონს. საკომპოზიციო განხრით (პედაგოგები: პროფ. პენიო, გრავარე, ივადონი). აქვე გამოიცა გ-ის საფ. პიესა „სევდა“. 1914 დაბრუნდა საქართველოში. შეუდგა ქართ. ხალხ. სიმღერების შეკრებას და დამუშავებას, მუშაობას ოპერა „ქრისტინეზე“ (მისივე ლიბრეტო, ე. ნინოშვილის მოთხრობისა და პ. ირეთელის პიესის მიხედვით). 1918 წ. 21 მაისს „ქართველ მომღერალთა კავშირის“ თაოსნობით „ქართული კლუბის“ სცენაზე გაიმართა „ქრისტინეს“ პრემიერა (რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი, დირიჟორი ნ. ქართველიშვილი; იასონის პარტიას ასრულებდა ვ. სარაჯიშვილი), ხოლო 17 ივნისს წარმოდგენილ იქნა თბ. საოპერო თეატრის სცენაზე. გ-ის სხვა ნაწარმოებები: 2 ოპერა: „ჯადოსანი“ (ქართ. ხალხ. ზღაპრის მოტივებზე), რ-იც ნაწყვეტების სახით სრულდებოდა და საკულტო-რიტუალური ხასიათის „მზის ქურუმი“, აგრეთვე ვოკალურ-საკრავიერი და კამერული ნაწარმოებები. მის საკონცერტო მინიატიურებს ასრულებდა ვ. სარაჯიშვილი. გ-ს დაწერილი აქვს მუსიკა დრამ. თეატრებისათვის (სატირის, თოჯინების, მოზარდ მაყურებელთა და სხვ.). სულ 100-მდე სპექტაკლისათვის. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბ. სამუსიკო სკოლებში.

გოგუა ლიდია (დოდო) პანტელეიმონის ასული [08.IV.1935, თბილისი), მუსიკისმცოდნე-ისტორიკოსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1979). 1958 დაამთ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკის ისტორიის სპეციალობით (პედ. ლ. დონაძე), ამავე პედაგოგთან ასპირანტურა (1962). 1960 წლიდან თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი, 1992-98 მუს. ისტორიის კათედრის გამგე. 1999-2000 პრორექტორი სასწ. დარგში. დაწერილი აქვს ბროშურები, ნამუშევრები კრებულებად („რ. გაბიჩვაძის ადრეული კვარტეტები“(1975), „ა. შავერზაშვილის 50-იანი წლების კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლები“(1976), 60-70-იანი წლების ქართული ინსტრ. მუსიკის რამოდენიმე თავისებურება (1981), „პროგრამულობის პრინციპი ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“ (1985), „მეგრული ლირიკული სიმღერების კილო-ინტონაციური წყობის თავისებურებების შესახებ“(2000), 60-90-იანი წლების ქართული კამერულ-ინსტრუმენტული საანსამბლო მუსიკა“(2004), სტატიები პერიოდულ გამოცემებში და სხვ.

გოდება (გლოვა), განსაკუთრებული ძველი ქართული თეატრალური საშემსრულებლო ჟანრი, რომელშიც მონაწილეობდნენ სოლისტი მომღერალი-მგოსანი და გუნდი-ზრუნი. გოდებისათვის დამახასიათებელია მომღერალი-მგოსნისა და გუნდი-ზრუნის სიმღერის შესრულება მიმიკური მოძრაობებისა და ცეკვების თანხლებით.

გოლოვსკი ლეოპოლდ [13. II. 1870, სოშლი, ვილნოს მახლობლად,–21. XI. 1938, ნიუ-იორკი], პოლონელი პიანისტი, პედაგოგი, კომპოზიტორი. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ჩიკაგოს, ფილადელფიის, ბერლინის კონს-ებში, 1909-14 –ვენის მუსიკისა და ხელოვნების აკადემიაში. მოწაფეებს შორის – გ. ნეიგაუზი. 1914-იდან ცხოვრობდა აშშ-ში. გ. იყო ვირტუოზი პიანისტი, რომელიც იშვიათ ტექნიკურ ოსტატობას ფლობდა, დიდი გავლენა

მოახდინა საფ. შემსრულებლობაზე. სახელი გაითქვა მრავალრიცხოვანი ტრანსკრიფციებით.

გოკიელი ივანე (ვანო) რაფიელის ძე [9. X. 1899, თბილისი,-10. VII. 1972, იქვე], ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1966), 1931 დაამთ. ლენინგრადის კონს. (ვ. შჩერბაჩოვის საკომპ. კლ.). 1931-37 იყო საქ. რადიოკომიტეტის მუს. გადაცემათა მთ. რედაქტორი, 1938-42 საქ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავ-რე. 1942-45 თბ. კონს. დირექტორი, პედაგოგი, პროფესორი (1964). გ. თბილისში სიმფ. ორკესტრის ერთ-ერთი ფუძემდებელია (1924-25). დაწერილი აქვს ოპერები: „პატარა კახი“ (1943, დაიდგა თბილისში), „წითელქუდა“ (1960 წარმატებით დაიდგა თბილისში, ვილნიუსში, ხარკოვსა და დონეცკში) და „ბროლის ქოში“. ლირ. კომ. მუს. ზღაპარი შ. პეროს „ვერიას“ სიუჟეტზე (1965), საორკესტრო სიუიტა ქორეოგრაფიული პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“ (1933), სიმფონია (1948), რომანსები, მუსიკა, დრამ. სპექტაკლებისა და კფ-თვის.

გოკიელი ჯემალ ივანეს ძე [4. VIII, 1920, ქუთაისი,–13. IV. 1991, თბილისი], ქართველი დირიჟორი. პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1980). 1943 დაამთ. თბ. კონს. საოპერო-სიმფ. დირიჟორის სპეციალობით (ო. დიმიტრიადის, მ. სტოლიაროვისა და ა. გაუკის კლასები). 1944-48 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი იყო, 1948-იდან საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის დირიჟორი. 1956-იდან მუშაობდა კონს-ის პედაგოგად (საგუნდო-სადირიჟორო კათედრა). ეწეოდა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას. იგი იყო ქართველი კომპოზიტორების არაერთი ახალი ნაწარმოების პირველი შემსრულებელი.

გოლდენვეიზერი ალექსანდრე ბორისის ძე [26. II. 1875, კიშინიოვი, -26. XI. 1961, მოსკოვი], რუსი პიანისტი, პედაგოგი, კომპოზიტორი, საზ. მოღვაწე. სსრკ. სახ. არტისტი (1946), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1940). დაამთ. მოსკოვის კონს. (1895, პ. პაბსტის საფ. კლ.,1897 მ. იპოლიტოვ-ივანოვის საკომპ. კლ.). 1906-61 იყო მოსკ. კონს-ის პროფესორი, ხოლო 1922-24 და 1939-42 მისი დირექტორი. ცნობილი საფ. სკოლის შემქმნელია. მისი მოწაფეებია: დ. ბაშკიროვი, ლ. ბერმანი, გ. გინზბურგი, ს. ფეინბერგი, რ. ტამარკინა და სხვები; ქართველი პიანისტები ნ. გაბუნია, მ. ჩხეიძე, რ. ჩხეიძე (ასპირანტურა), ნ. ექსანიშვილი და სხვ. 40-50-იან წლებში ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, მართავდა კონცერტებს, ატარებდა ღია გაკვეთილებს და ა. შ. ავტორია მრავალი მუს. ნაწარმოებისა. დაწერილი აქვს მოგონებები ლ. ტოლსტოისა და ს. რახმანინოვის შესახებ.

გოლოვანოვი ნიკოლოზ სიმონის ძე [9. I. 1891, მოსკოვი,–28. VIII. 1953, იქვე], რუსი დირიჟორი, პიანისტი, პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1948), 1914 დაამთ. მოსკ. კონს. 1918-36 იყო დიდი თეატრის დირიჟორი, ხოლო 1948-53 –მთ. დირიჟორი. სხვადასხვა დროს პედ. მუშაობას ეწეოდა მოსკ. კონს-ში (პროფ.), ხელმძღვანელობდა საოპერო და საორკესტრო კლასებს. დირიჟორობდა უმთავრესად რუსულ კლასიკურ ოპერებს.

მისი მეუღლე იყო გამოჩენილი რუსი მომღერალი ანტონინა ნეჟდანოვა (17.VII. 1873-26.VI. 1950), რომელთან ერთადაც გამოდიოდა ანსამბლში (ასრულებდა ფ-ნოს პარტიას).



გონაშვილი ჰამლეტ დიმიტრის ძე [20.VI.1928, სოფ. ანაგა, სიღნაღის რაიონი – 25.VII. 1985, ანაგა, დაკრძ. თბილისში], ქართველი მომღერალი, საქ. სახ. არტისტი (1980). 1953-69 საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო. ჰქონდა განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, იშვიათი სილამაზის, რბილი ტემბრის ხმა, ვირტუოზული საშემსრულებლო ტექნიკა, დახვეწილი გემოვნება. 1969-85 მოღვაწეობდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლ „რუსთავში“. თანაბარი წარმატებით ასრულებდა როგორც ქართლ-კახურ, ისე იმერულ-გურულ სიმღერებსა და საგალობლებს, მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს (მთქმელის პარტიას). მისი რეპერტუარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „წინწყარო“, „წმინდაო ღმერთო“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და სხვ. წარმატებით ასრულებდა ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებსაც. მისი შემოქმედება, ერთი მხრივ, ხალხ. პირველწყაროსთან სიახლოვითაა აღბეჭდილი, მეორე მხრივ კი, ქართული და დას. ევრ. კლასიკური მუსიკის ესთეტიკური იდეალების ერთგვარი სინთეზია.

ე. გარაყანიძე

გონდოლიერა (იტალ. gondoliera), ვენეციელი გონდოლიერების სიმღერა, ბარკალორას ნაირსახეობა.

„გორდელა“, ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX საერთაშ. ფესტივალის ლაურიატი (სოფია, 1968). შეიქმნა თბილისის სახელმწ. კონსერვატორიასთან 60-იანი წლების დასაწყისში. ანსამბლის ორგანიზატორები იყვნენ კონს. სტუდენტები, შემდგომში ცნობილი მუსიკოსები ა. ერქომაიშვილი, თ. ქევხიშვილი, გ. სიხარულიძე, კ. ჭოხონელიძე და სხვ. ანსამბლს დიდი ღვაწლი მიუძღვის ძვ. ქართ. საგალობლების პოპულარიზაციაში.

გორდელი ოთარ მიხეილის ძე [18. XI. 1928, თბილისი, - 9. XII. 1994, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1951 დაამთ. თბ. კონს. საკომპოზიციო (პროფ. ი. ტუსკიას კლ.) და საფ. (პროფ. ა. ვირსალაძის კლ.) განხრით, 1955-მოსკოვის კონს-ის ასპირანტურა (კომპოზიცია, ხელი ს. ბოგატირიოვი). 1959-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (პოლიფონია), პროფესორი, 1967-87 იყო საქ. მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზ-ბის თავ-რე. 1968-73 კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი. მისი ნაწარმოებებიდან გამოირჩევა: საფ. კონცერტი (1952), კონცერტი ფლეიტისათვის (1958), ვოკალურ სიმფ. პოემა „რაზედ ბუტბუტებს მტკვარი“ (1964), „საზეიმო უვერტიურა“ სიმფ. ორკესტრისათვის, ოპერეტები „ნატვრისთვალი“ (1980), „ჩემი საყვარელი ბიძა“ (1983), მუსიკა კფ-თვის, საესტრადო სიმღერები და სხვ.

გ. ტორაძე

გოპაკი-უკრაინული ხალხური, ძირითადად მამაკაცების ცეკვა. ზოგჯერ ჰეროიკული ხასიათისაა. მისი დამახასიათებელი ელემენტებია: ხტომა, ბუქნი, ბრუნი. გ-ის სასიმღერო და ინსტრუმ. მელოდიები ხალხში დამოუკიდებელ მუს. პიესადაც სრულდება. ეს მელოდიები და გოპაკის ჟანრი ხშირად გამოყენებულია რუს. უკრ. და სხვა კომპოზიტორების ოპერებში. (რიმსკი-კორსაკოვის „მაისის ღამე", მუსორგსკის „სოროჩინცის ბაზრობა" , ჩაიკოვსკის „მაზეპა" და სხვ.). ბალეტებში (სოლოვიოვ-სედოის „ტარას ბულბა" და სხვ.).

გოსეკი (Gossec) ფრანსუა ჟოზეფი [17. I. 1734, სოფ. ვერნი, ბელგია,-16. II. 1829, პასი, პარიზის მახლობლად], ფრანგი კომპოზიტორი, წარმოშობით ბელგიელი. 1751-იდან ცხოვრობდა პარიზში. 1770-იდან ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ „მოყვარულთა კონცერტებს". 1784 დააარსა სიმღერისა და დეკლამაციის სამეფო სკოლა, რომლის საფუძველზეც (1793) შეიქმნა ეროვნ. მუს. ინ-ტი (1795-იდან კონსერვატორია). გ. ფრანგ. სიმფონიზმის ფუძემდებელი (29 სიმფ.) და საფრ. რევოლუციური პერიოდის გამოჩენილი მუს. მოღვაწეა. დირიჟორობდა ეროვნ. გვარდიის ორკესტრს, ქმნიდა სახალხო მსვლელობებისა და დღესასწაულებისათვის განკუთვნილ მასობრივ მუს. კომპოზიციებს, ჰიმნებს, პატრიოტულ რევოლუციურ სიმღერებს და სხვ. ავტორია ოცამდე ოპერისა მ. შ. „საბინი" (1773), „თეზევსი" (1782) და სხვ. აგრეთვე ორატორიებისა, მესებისა, კვარტეტებისა. აქვს მეთოდური ხასიათის ნაშრომები მუს. თეორიაში.

გოსტენინა ელისაბედ ანდრიას ასული [4. VIII. 1904, თბილისი,–13. IX. 1988, თბილისი], საოპერო მომღერალი (სოპრანო) და პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1947). 1929 დაამთ. თბ. კონს. 1929-59 იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1962-იდან თბ. მე-2 სამუსიკო სასწავლებლის ვოკალის პედაგოგია. ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე მან შეასრულა სოპრანოს თითქმის ყველა წამყვანი პარტია. მ.შ. მარო, ეთერი (ზ. ფალიაშვილის „დაისი", „აბესალომ და ეთერი"). გ-ს შესრულება გამოირჩეოდა სავსე ხმოვანებითა და ინტონირების სიფაქიზით.

მ. გედევანიშვილი

გოცირიძე ლეილა მიხეილის ასული [13. III. 1924, თბილისი,–30. XI. 1997, მოსკოვი], ქართველი მომღერალი (მეცო-სოპრანო). საქ. სახ. არტისტი (1947). 1947 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლ.). 1948-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. შექმნა მრავალი შთამბეჭდავი ვოკალურ-სცენური სახე: ნენო (ფალიაშვილის „ლატავრა"), დარეჯანი (ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი"), პოლინა (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი"), აზუჩენა (ვერდის „ტრუბადური"), ამნერისი (ვერდის „აიდა"), კარმენი (ბიზეს „კარმენი") და სხვ. გ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებლია მაღალი ვოკალური და სცენური კულტურა, დახვეწილი პროფესიონალიზმი. დიდ წარმატებას აღწევდა კამერულ კონცერტებშიც.

გრავე (იტალ. grave მძიმედ, მედიდურად), 1. ძალიან ნელი ტემპი, რაც დაკავშირებულია მუსიკალური შესრულების მკაცრ მედიდურ ხასიათთან. 2. ამ ტემპით შესასრულებელი მუს. პიესა ან მისი ნაწილი.

გრამოფონი (ბერძ. gramma-ასო, ჩაწერა და phone-ბგერა), აპარატი, რომელიც მექანიკური მოწყობილობით გადმოსცემს გრამოფონის ფირფიტაზე ჩაწერილ ბგერებს. გრამოფონის მუშაობის დროს მბრუნავი ფირფიტის სპეციალურ არხში მოძრავი გრამოფონის ნემსის წვერის მექან. რხევები გადაეცემა მემბრანას, რომელიც გამოასხივებს რუპორით გაძლიერებულ ბგერით რხევებს. გრამოფონი (განსაკუთრებით კი მისი პორტატიული სახეობა-პატეფონი) XXს-ის 40-იან წლებამდე იყო გავრცელებული, შემდეგ იგი შეცვალა უფრო სრულყოფილმა აპარატმა-ელექტროფირსაკრავმა და ელექტროფონმა.

გრანადოსი (Granados) ენრიკე [27. VII, 1867, ლერიდა, კატალონია,–24. III. 1916, ლა მანში], ესპანელი კომპოზიტორი, პიანისტი და პედაგოგი შ. ბერიოს (ფ-ნო), ფ. პედრელისა და ჟ. მასნეს (კომპოზიცია) მოწაფე. სახელი გაითქვა როგორც ფ. შოპენისა და ე. გრიგის ნაწ-ების შემსრულებელმა. 1900 დააარსა ბარსელონაში კლასიკური კონცერტების საზ-ბა, ხოლო 1901 – მუსიკის აკადემია, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა (ამჟამად მისი სახელობისაა). გ-ის შემ. დაკავშირებულია ესპანური ეროვნული მუსიკის აღორძინებასთან (ე. წ. რენასიმიენტო). ავტორია: 7 ოპერისა, სიმფონიის, კამერულ-ინსტრ. ნაწარმოებების. ცნობილია მისი საფ. ნაწ. („გოიესკები“ 1911), ესპანური ცეკვები და სხვ.

„გრანდ ოპერა“ (Grand opera. მუსიკისა და ცეკვის ეროვნული აკადემია), სახელმწიფო საოპერო თეატრი პარიზში. 1669 კომპოზიტორ რ. კამბერსა და პოეტ პ. პერენს მიეცათ სამეფო პატენტი მუდმივი საოპერო თეატრის ჩამოყალიბებისათვის. თეატრი გაიხსნა 1671 „მუსიკის სამეფო აკადემიის“ სახელწოდებით. 1875 აშენდა 2130 ადგილიანი შენობა (არქიტექტორი შ. გარნიე, რეკონსტრუირებულია 1936). ამავე წელს თეატრმა მიიღო „გრანდ ოპერის“ სახელწოდება. თეატრის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ეროვნ. ოპერისა და ბალეტის განვითარება. აქ იდგმებოდა ჟ. ბ. ლიულის (თეატრის ხე-ლი 1672-87), ჟ. რამოს, ა. კამპრას და სხვ. ნაწარმოებები, კ. ვ. გლიუკის რეფორმატორული ოპერები. XIX ს. I ნახევარში შეიქმნა ახ. ჟანრი ე. წ. დიდი ოპერა, დაიდგა ისტ. პატრიოტული და ჰეროიკული ოპერები: ობერის „პორტიჩიელი მუნჯი ქალი“ (1828), როსინის „ვილჰელმ ტელი“ (1829), ჯ. მეიერბერის „ჰუგენოტები“ (1836), ჰალევის „ებრაელი ქალი“ (1835) და სხვ. მაყურებელმა მოისმინა აგრეთვე ა. ტომას, შ. გუნოს, ლ. დელიბის, კ. სენ-სანსის, ჟ. მასნეს და სხვ. ოპერები. XX ს-ში თეატრის რეპერტუარში კლასიკასთან ერთად დიდი ადგილი დაეთმო თანამედროვე კომპოზიტორების–რ. შტრაუსის („სალომე“), ი. სტრავინსკის („ბულბული“),მ. რაველის („ბოლერო“), ჯ. ენესკუს („ოიდიპოსი“), ს. პროკოფიევის („რომეო და ჯულიეტა“) და სხვ. ნაწარმოებებს.

სხვადასხვა დროს „გ. ო-ში“ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი დირიჟორები, მომღერლები, მოცეკვავეები.

გრაციოზო (Grazioso-იტალ.), მუსიკალური ტერმინი, რომელიც მიუთითებს, რომ ნაწარმოები უნდა შესრულდეს მოხდენილად, ჰაეროვნად.

გრეტრი (Gretry) ანდრე ერნესტ მოდესტ [8 ან 11. II. 1741, ლიეჟი, -24. IX. 1813, მონმორანსი, პარიზის მახლობლად], ფრანგი კომპოზიტორი, წარმოშობით ბელგიელი. საფრ. ინ-ტის წევრი (1795). მუსიკას სწავლობდა ჯერ მამასთან, 1759-66 კი იტალიაში (1765 ჩაირიცხა ბოლონიის მუს. აკადემიაში). 1767-იდან ცხოვრობდა პარიზში. გ-მა დაწერა 60-მდე ოპერა, მ. შ. „გურონი“ (1768), „ლუსილი“ (1769), „რიჩარდ ლომგული“ (1784), „პეტრე დიდი“ (1790), „ვილჰელმ ტელი“ (1791) და სხვ. გ-ს შემოქმედება, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა ენციკლოპედისტების, განსაკუთრებით კი, ჟ. ჟ. რუსოს ესთეტიკამ, მნიშვნელოვანი ეტაპია XVIII ს. ფრანგ. ოპერის ისტორიაში. მან საფუძველი მოუმზადა XIX ს. ფრანგ. ლირ. ოპერას. გ. ინსტრუმენტული ნაწარმოებებისა (სიმფონია, კვარტეტები და სხვ.) და რამდენიმე ლიტ. ნაშრომის ავტორია. მისი „მემუარები“ ფრანგ. სენტიმენტალიზმის ესთეტიკის მკაფიო ნიმუშია.



გრიგი (Grieg) ედვარდ [15. VI. 1843, ქ. ბერგენი,–4. IX. 1907, იქვე], ნორვეგიელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, ფ-ნოზე დაკვრა შეასწავლა დედამ. 1863 გ. გაემგზავრა კოპენჰაგენში, სადაც დაუახლოვდა ახალგაზრდა ნორვეგიელ კომპოზიტორს რ. ნურდროკს. 1865 მათ დააარსეს საკონცერტო ორგანიზაცია „ევტერპე“, რომელიც პროპაგანდას უწევდა სკანდინავიელ კომპოზიტორთა შემოქმედებას. გ-ის პირველი ნაწარმოებები 1863-67 თარიღდება. ეს არის მცირე ფორმის საფ. პიესები, სონატა (op. 7), I სავიოლინო სონატა (op. 8), უვერტიურა „შემოდგომით“ (11). 1867-74 დირიჟორობდა ქრისტიანიის ფილარმონიული საზ-ბის სიმფ. კონცერტებს. კომპოზიტორ და მევიოლინე ი. სვენსენთან ერთად 1871 დააარსა „მუს. საზ-ბა“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ნორვეგიელი კომპოზიტორების ნაწარმოებთა პოპულარიზაციის საქმეში. 1868 შექმნა ცნობილი საფ. კონცერტი (ლა მინორი), ხოლო 1876 დაწერა მუსიკა (23 ნომერი) ჰ. იბსენის პიესა „პერ გიუნტისათვის“. 1880 გ. საბოლოოდ დასახლდა მშობლიურ ბერგენში, სადაც სათავეში ჩაუდგა მუსიკალურ საზოგადოება „ჰარმონიას“. როგორც პიანისტი და დირიჟორი ხშირად გამოდიოდა ევროპის ქვეყნებში. გ-მა საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც ნორვეგიული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელმა. გ-ის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა: „ლირიკული პიესების“ 10 რვეული, პიესების ციკლი „ხალხური ცხოვრების სურათები“, „ჩრდილოური საცეკვაო და ხალხური ჰანგები“, საფ. კონცერტი ორკესტრის თანხლებით, საორკესტრო სიუიტები „პერ გიუნტი“ და „სიგურდ ჯვაროსანი“ („სიგურდ იურსალფარი“), საკონცერტო უვერტიურა „შემოდგომით“, ლირ. პიესები და სხვ.

პ. ხუჭუა

გრიგოლისეული (გრიგორიანული) ქორალი, კათოლიკური საეკლესიო საგალობლების ზოგადი სახელწოდება. ლოცვანის ტექსტების დადგენა-მოწესრიგება დაიწყო პაპი გრიგოლ I (დიდად წოდებულის, გარდ. 604) დროს, ხოლო ტექსტებისა და გალობის კანონიზაცია და

მათი მიკუთვნება საეკლ. წლის ამა თუ იმ თარიღისადმი–VII ს. –დასასრულს. გრიგოლ I გარდაცვალებიდან 300 წლის შემდეგ კათოლიკურ ქორალებს მიეკუთვნა მისი სახელი (გრიგორიანული ანუ გრეგორიანული ქორალი). ტექსტები ძირითადად ბიბლიიდან ნასესხები, პროზაული ხასიათისაა. ცალხმიანი მელოდია ემყარება შუა საუკუნეების კილოებს. ჭარბობს თანაბარი გრძლიობის ბგერები (აქედან მომდინარეობს გ. ქ-ის გვიანდ. სახელწოდება –კანტუს პლანუსი). საეკლ. მუსიკაში მრავალხმიანობის გაჩენასთან დაკავშირებით გ. ქ. დარჩა როგორც პოლიფონიური საკულტო ნაწარმოებების თემატური საფუძველი (კანტუს ფირმუსი).

გრიგორაშვილი გრიგოლ მაქსიმეს ძე [18.VII. 1905, ქუთაისი,–12. VI. 1962, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბანი). საქ. სახ. არტისტი (1958), სსრკ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950). 1928 დაამთ. თსუ-ს აგრონომიული ფაკ-ტი, 1928-33 სწავლობდა თბ. კონს-ში (პროფ. ვ. ქაშაკაშვილის კლ.), 1936-62 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. გ-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის, ძლიერი, ყველა რეგისტრში თავისუფლად მჟღერი ხმა. შესრულებული აქვს 50-ზე მეტი პარტია, რომელთაგან აღსანიშნავია: მეფე გიორგი (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), ენგიჩარი, აბიო, ცანგალა, (ზ. ფალიაშვილის „ლატავრა“, „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), მეწისქვილე (ა. დარგომიჟსკის „ალი“), კოჩუბეი (პ. ჩაიკოვსკის „მაზეპა“), მეფე ბორისი (მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), მეფისტოფელი (შ. გუნოს „ფაუსტი“), დონ ბაზილიო (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“) და სხვ. გადაღებულია კინოფილმ „ჯურღაის ფარში“ (1944).

გრიფი (გერმ. Griff), სიმებიანი საკრავის ყელზე სიგრძივ დაკრული (დანაყოფებიანი) ფირფიტა, რომელზეც დაჭიმული სიმები თითების დაჭერით ხმის სიმაღლეს იცვლის.

გრუპეტო (იტალ. gruppetto), მელოდიური სამკაული, რომელიც ჩვეულებრივ შედგება 4 ან 5 ნოტისაგან.

გუგუშვილი თეიმურაზ აკაკის ძე [7. III.-1951, თბილისი], ქართველი მომღერალი (ტენორი). საქ. სახ. არტისტი (1989). საქ. სახელმწ., ზ. ფალიაშვილის, ზ. ანჯაფარიძის, ი. არხიპოვას სახ. პრემიების ლაურეატი. მენდელეევის ინსტ. საპატიო პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი. 1976 დაამთ. თბ. კონს. (ნ. ანდღულაძის კლ.). 1982-83 სტაჟირება გაიარა მილანის თეატრ „ლა სკალაში“, 1984-ასპირანტურა –სტაჟირება თბ. კონს-ში (ნ. ანდღულაძის ხელმძღვანელობით). 1977-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. აქვს ლამაზი ტემბრის, სრული დიაპაზონის ხმა, გამოირჩევა მაღალი ვოკალური კულტურით. პარტიები: აბესალომი, მალხაზი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ნაცარქექია (მ. დავითაშვილის „ნაცარქექია“), არზაყანი, ერთაოზი, მინდია (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“, „პირველი სიყვარული“, „მინდია“), ნემორინო (დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“), გრაფი ალმავივა (როსინის „სევილიელი დალაქი“), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი“), დონ კარლოსი, ჰერცოგი (ვერდის „დონ კარლოსი“, „რიგოლეტო“),

კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“), ლენსკი, გერმანი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“), თვითმარქვია (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“) და სხვ. გასტროლებს მართავს რუსეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრალიაში, მონღოლეთში, თურქეთში, იტალიაში, აშშ-ში (1988 აშშ-ის მენის შტატის ქ. საორის საოპერო კომპანიის გუნდს ქართულად შეასწავლა „აბესალომ და ეთერის“ საგუნდო პარტია). პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბ. კონს-ში (პროფესორი), 2014 -იდან ვოკალური კათედრის გამგე. 2018 თბილისის ოპერის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.



გუდასტვირი, ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავი. საქ-ში გავრცელებულია მისი რამდენიმე სახეობა: ქართლური და რაჭული გუდასტვირი, აჭარული და მესხური ჭიბონი (ჭიმონი) და ფშაური სტვირგუდა. გ. ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: თხის ან ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ჰაერის რეზერვუარის –გუდისა და სტვირისაგან. გუდას ქვემოთა მხრიდან მიმაგრებული აქვს სტვირი, ხოლო ზემოდან –ჰაერის ჩასაბერი მასრა. საკუთრივ სტვირი შედგება ნავის, დედნებისა და წივილებისაგან, ნავს რბილი ხისაგან თლიან და მასში დედნებს (მილებს) სვამენ, ბოლოზე კი ხარის ან ჯიხვის რქისაგან დამზადებულ სარეზონატორო ქარახსას ამაგრებენ. დედნები მზადდება დუდგულის ან ჭერმის ხისაგან. მასზე ამოჭრილია თვლები, თავში ჩასმული აქვს წივილები. მარჯვენა დედანს „მთქმელი“ ეწოდება, მარცხენას–ბანი. თვლების რაოდენობა დამოკიდებულია გ-ის სახეობაზე. მაგ. ქართლური და რაჭული გ-ის „მთქმელზე“ ამოჭრილია 6, „ბანზე“ კი 3 თვალი. აჭარულ ჭიბონზე 5 და 3, მესხურზე 5 და 5, ფშაურ სტვირგუდაზე 3 და 1. წივილებს ლერწმისაგან თლიან. ისინი გამოსცემენ საკრავის ხმას. სახალხო დღესასწაულებზე გ-ის თანხლებით სრულდება მრავალი ცეკვა და სიმღერა. აჭარაში ჭიბონს ნადის დროსაც უკრავდნენ.

კ. როსებაშვილი

გუდიაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე [19. V. 1913, თბილისი,–17. IV. 1998, იქვე], საქ. სახ. არტისტი (1983). 1937 დაამთ. თბ. კონს. (ს. ბარხუდარიანის საკომპ. კლ.), 1941 –ასპირანტურა (პ. რიაზანოვის ხელმძღვანელობით). 1937-იდან თბ. კონს-ის პედაგოგი იყო, 1981-იდან პროფესორი. გ. ძირითადად მუშაობდა სიმფ., კამერულ-საკრავიერი, კამერულ-ვოკალური, საგუნდო და საესტრადო მუსიკის სფეროში. მისი საფ. კვინტეტი (1948) ამ ჟანრის ერთ-ერთ პირველ და საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ქართულ მუსიკაში. გ-ს ეკუთვნის ოპერები: „ელისო“ (ა. ყაზბეგის მიხედვით, 1944), „ქეთევან წამებული“ (1960); ერთაქტიანი „სისხლიანი სუფრა“, „შურისძიება“ და „ვივა ივერია“ (სამივე 1971), ორი ბალეტი „დედის მანდილი“(1951) და „ნარიყალას ციხესთან“ (1958). ოპერეტები: „შეხვედრა აგარაკზე“ (1950), „საჩუქარი“ (1951), „სალხინობელი“ (1954), „ვახშამზე“ (1959, ოთხივე დაიდგა თბ. მუს. კომედიის თეატრში), 4 სიმფონია (1941, 1949, 1968, 1980), 5 საფ. კონცერტი (1941, 1946, 1948, 1961, 1980), 2 სავიოლინო კონცერტი (1955, 1965), 2 სიმებიანი კვარტეტი, საფ. კვინტეტი (1948), ცნობილი საფ. სონატინა (1950), 24 პრელუდია

და ფუგა (1975) (პირველად საქართველოში), რომანსები, ხალხ. თემებზე აგებული საორკესტრო საესტრადო ჟანრის „ქართული ფანტაზია“.

გ. ტორაძე

გუდმენი (Goodmen) ბენჯამენ დეივიდ (ბენი) [30. V. 1909, ჩიკაგო, – 13. VI. 1986, ნიუ-იორკი], ამერიკელი კლარნეტისტი. 1924-იდან სხვადასხვა ორკესტრისა და ანსამბლის სოლისტი. 1934-იდან ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ ჯაზურ ორკესტრს, რომელიც უკრავდა „სუინგ“-ის სტილით, ზანგური საცეკვაო მუსიკის ფორმების გამოყენებით. ცნობილია აგრეთვე როგორც კლასიკური მუსიკის შემსრულებელი (კერძოდ, მოცარტის კონცერტისა). მისთვის ნაწარმოებები აქვთ შექმნილი პ. ჰინდემითს, ბ. ბარტოკს, ა. კოპლენდს. გასტროლები გამართა სსრკ-ში (მათ შორის, თბილისში)-1962. გ-ს ეკუთვნის კამერულ-ჯაზური ნაწ-ები. გადაღებულია კინოში.

გულდი (Gould) გლენ [25. IX. 1932, ტორონტო,–4.VII.1982, იქვე], კანადელი პიანისტი, ორგანისტი, კომპოზიტორი. ა. გერეროსა (ფ-ნო) და ფ. სილვესტრის (ორგანი) მოწაფე. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი, ძალზე თვითმყოფი პიანისტი, რომლის შესრულებაც წარმოადგენდა რაციონალური და ნებისყოფითი საწყისებისა და ექსპრესიის ორგანულ შენადნობს. მიდრეკილებას იჩენდა დიდი ფორმებისადმი. სახელი გაითქვა როგორც ი. ს. ბახის (განსაკუთრებით), ლ. ბეთჰოვენის და XX ს. კომპ. ნაწარმოებების შესანიშნავმა შემსრულებელმა. მისი დებიუტი შედგა 1955 ვაშინგტონში, 1957-იდან გასტროლებს მართავდა მრავალ ქვეყანაში. 1960-ის მეორე ნახევრიდან ფაქტობრივად შეწყვიტა საკონცერტო გამოსვლები და შემოიფარგლა გრამჩანაწერებით, რომლებმაც კიდევ უფრო განამტკიცეს მისი არტისტული რენომე. ზოგჯერ გამოირჩეოდა ქცევის ექსტრავაგანტურობით, რის გამოც მას ჟურნალისტებმა „მუსიკალური ფიშერი“(მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში) შეარქვეს. გ. კამერულ –ინსტრუმ. ნაწ-ების ავტორია. კანადაში დაწესებულია მისი სახელობის პრემია (1982).

გ. ტორაძე

გუნდი, მომღერალთა, მგალობელთა, მომღერალ-მლოცველთა კრებული, ჯგუფი; გ. ხმათა რაოდენობის მიხედვით შეიძლება იყოს ერთხმიანი, მრავალხმიანი (ვაჟთა, ქალთა, ბავშვთა, ბიჭებისა და გოგონებისა) და შერეული (ქალ-ვაჟთა, იშვიათად ბავშვთა მონაწილეობით); არსებობს: ხალხური, თვითმოქმედი, მოყვარულთა, ეთნოგრაფიული, პროფესიული, აკადემიური გუნდები. მონაწილეთა მინიმუმია 12, მაქსიმუმი-120 კაცი, ქალ-ვაჟთა გ-ს შეადგენს ოთხი ხმა: სოპრანო, ალტი (ქალთა ხმები), ტენორი, ბანი (ვაჟთა ხმები). შეიძლება გ-ის უფრო გამრავალხმიანებაც ყოველი ხმის დაყოფით ან ხმების დამატებით. სახალხო დღესასწაულებზე რამდენიმე გუნდს აერთიანებენ და მომღერალთა რიცხვი ხანდახან რამდენიმე ათასსაც აღწევს. ქართ. ხალხ. სიმღერებისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი გუნდები: ვაჟთა 2-3, იშვიათად 4-ხმიანი და ქალთა 2 და იშვიათად 3-ხმიანი. ფუნქციის მიხედვით სხვადასხვა სიმღერებში შემდეგი ხმები მონაწილეობს: მთქმელი-დამწყები, მოძახილი, კრინი, გამყივანი, კრიმანჭული, შემხმობარი („ნადურებში“), მაღალი ბანი.სასულიერო საგალობელს ასრულებს 3-ხმიანი გ. მთქმელი, მოძახილი, ბანი.

წერილობითი ცნობებით არსებობდა 5 და 6 ხმიანი გალობაც (მთქმელი, მოძახილი ანუ მაღალი ბანი, ბანი, დვრინი, ზილი, კრინი).

საგუნდო ნაწარმოები სრულდება დამოუკიდებლივ (აკაპელა), ფ-ნოს (უმთავრესად) ან საკრავთა ანსამბლისა და ორკესტრის თანხლებით. გ. შეიძლება იყოს დიდი ფორმის ნაწარმოებების ნაწილი (ოპერა, ოპერეტა, ორატორია, კანტატა, მესა). როგორც გამონაკლისი, გვხვდება სიმფონიაში (პირველად ბეთჰოვენის IX სიმფ-ში), ბალეტში.

მ. ჟორდანია



გუნო (Gounod) შარლ [17. VI. 1818, პარიზი, – 18. X. 1893, სენ-კლუ, პარიზის გარეუბანი], ფრანგი კომპოზიტორი, საფრ. ინ-ტის წევრი (1866). 1836-38 პარიზის კონს-ში სწავლობდა, ჟ. ფ. ჰალევისთან (კონტრაპუნქტი და ფუგა), ფ. პაერთან და ჟ. ფ. ლესიუერთან (კომპოზიცია). 1839 მისმა კანტატა „ფერნანმა“ რომის დიდი პრემია დაიმსახურა. 1845-52 მუშაობდა პარიზის ერთ-ერთ ეკლესიაში ორგანისტად და კაპელმაისტერად. 1852-60 სათავეში ჩაუდგა პარიზის „ორფეონს“(საგუნდო საზ-ბათა გაერთიანება). 1870-75 ცხოვრობდა ლონდონში, სადაც დააარსა საზ-ბა „გუნოს გუნდი“ (ამჟამად „სამეფო საგუნდო საზოგადოება“). 1850 გ-მ დაწერა პირველი ოპერა „საფო“. სხვა ოპერებია: „ძალად ექიმი“ (1857), „ფილემონი და ბავკიდე“ (1859), „საბის დედოფალი“ (1861), „რომეო და ჯულიეტა“ (1865), განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა ლირ. ოპერა „ფაუსტმა“ (გოეთეს ამავე სახელწ. ტრაგედიის მიხედვით, 1859, პარიზი). 1869 გ-მ შეცვალა „ფაუსტის“ დიალოგები რეჩიტატივებით და დაუმატა საბალეტო აქტი „ვალპურგიის ღამე“. „ფაუსტმა“ გ-ს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. ოპერებს გარდა გ-ს ეკუთვნის: სას. ნაწარმოებები (მესები, რეკვიემი), ი. ს. ბახის პირველი პრელუდიის (დო მაჟორი) მუსიკაზე აგებული ცნობილი „ავე მარია“ სოპრანოს, ვიოლინოს, ფ-ნოსა და ორგანისათვის, კანტატები, სიმფონიები, საფ. პიესები, რომანსები და სიმღერები.



გურილიოვი ალექსანდრე ლევის ძე [22. VIII. 1803, მოსკოვი,- 30. VII. 1858 იქვე], რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, მევიოლინე. ჯ. ფილდის მოწაფე (ფ-ნო). 1831 მამამისთან ერთად განთავისუფლდა ყმობისაგან. სახელი მოიპოვა როგორც რომანსების ავტორმა,პიანისტმა და პედაგოგმა. მთავარი ადგილი მის შემ-ში ვოკალურ ლირიკას უკავია. მისი მრავალი სიმღერა გახალხურდა. მათ ახასიათებთ გულითადობა, ლირიკული სითბო, ელეგიური ელფერი. მისი საუკეთესო რომანსებია: „Матушка-голубушка“, „Разлука“, „Вьется ласточка“, „Колокольчик“, გ. ავტორია საფ. ვარიაციებისა ხალხურ, საოპერო და სხვ. თემებზე. აგროვებდა ხალხურ სიმღერებს. ცხოვრების უკანასკნელ წლებში ფსიქიურად იყო დაავადებული.

გუსლი (რუს. русли),ძველებური რუსული მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი.

დ

დავიდოვა (ქორწინების გვარი მჭედლიძე) ვერა ალექსანდრეს ასული [17. IX. 1906, ნიჟნი-ნოვგოროდი,– 20. II. 1993, თბილისი], რუსი მომღერალი (მეცო-სოპრანო), რსფსრ (1951) და საქ. სახ. არტისტი (1981). 1930 დაამთ. ლენინგრადის კონს. (ე. დევოს-სობოლევას კლ.). 1929-32 იყო ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1932-56–სსრკ დიდი თეატრის სოლისტი. 1941-43 დიდი წარმატებით მღეროდა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1959-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1964-იდან პროფ.). მისი მოწაფეები იყვნენ: მ. ქასრაშვილი, თ. გურგენიძე და სხვ. დავიდოვას საუკეთესო პარტიებია: ლიუბავა (რიმსკი-კორსაკოვის „სადკო“), მარფა (მუსორგსკის „ხოვანშჩინა“), ლიუბაშა (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“), კარმენი (ბიზეს „კარმენი“), ამნერისი (ვერდის „აიდა“) და სხვ. კონცერტებით გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატია (1946, 1950, 1951).

დავითაშვილი მერი შალვას ასული [13. III. 1924, თბილისი, – 17. II. 2014, თბილისი], კომპოზიტორი და პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1979). შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1981). 1946 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. ბალანჩივაძის კლ.). 1968–1992 საქ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, 1973-იდან თბ. კონს-ის პედაგოგი (ინსტრუმენტობის კლ.), ნაყოფიერად მუშაობდა საბავშვო მუსიკის დარგში. დაწერილი აქვს 2 საბავშვო ოპერა–„ქაჯანა“ (1965) და „ნაცარქექია“ (1972), მრავალი საბავშვო სიმღერა. მუსიკა საბავშვო სრულმეტრაჟიანი და ნახატი ფილმებისათვის („მანანა“, „მტრობა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „სათაგური“ და სხვ.), ორი საორკესტრო სიუიტა ბალეტიდან „მზის ქორწილი“(1954), ფანტაზია ფ-ნოსა და სიმფ. ორკ-თვის (1956) და სხვ., კამერულ-საკრავიერი და საგუნდო ნაწარმოებები, რომანსები, სიმღერები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის და სხვ. ყოველწლიურად ატარებდა საბავშვო მუსიკის კვირეულებს.

გ. ტორაძე

დაირა, დასარტყმელი საკრავი, ხის ვიწრო რკალი, რომელსაც ცალ მხარეს თხის ტყავი, ან თევზის ბუშტის აპკი აქვს გადაკრული. დ. ცნობილია აგრეთვე დაფის სახელწოდებითაც, რკალის შიგა მხრიდან ზოგჯერ სპილენძის ან ვერცხლის ეჟვნებს, პატარა რგოლებს, მონეტებს ან ბალთებს ჩამოჰკიდებენ ხოლმე საკრავის ასაჟღერებლად. დ-ის რკალის სიმაღლე 40-60 მმ, დიამეტრი 350-490 მმ. სისქე 8-9 მმ. დაირაზე უკრავენ



სხვადასხვა ხალხ. ცეკვისა და ზოგჯერ სიმღერის რიტმებსაც. დიდი გამოყენება აქვს პროფესიულ ინსტრუმენტულ და ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლებში. დ. უმეტესად ორი ხელით უჭირავთ, დ-ზე უკრავენ თითებითა და ხელისგულით. სუფთა და მკაფიო ბგერების მისაღებად დაკვრის წინ მას შეათბობენ ხოლმე. დ. უძველესი საკრავია.

გ. ჩხიკვაძე

„დალაი“, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული გლოვის სიმღერა. სრულდება სოლისტისა და ერთხმიანი გუნდის მონაცვლეობით, მამაკაცების მიერ. ტემპი დინჯი, კილო მინორული.

დანიელიანი აიკანუშ ბაღდასარის ასული [3 (15). XII. 1893, თბილისი,–19. IV. 1958, ერევანი], სომეხი მომღერალი (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო), სსრკ. სახ. არტისტი (1939), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946). 1920 დაამთ. პეტროგრადის კონს. 1922-32 იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, 1933-48-ერევნისა. 1943-51 ერევნის კონს. პედაგოგი (1949-იდან პროფ.). პარტიები: ეთერი, ლატავრა (ზ. ფალიაშვილი „აბესალომ და ეთერი“ და „ლატავრა“), ამ უკანასკნელის პირველი შემსრულებელია (1928); ანუში (ტიგრანიანის „ანუში“), ოლიმპია (ჩუხაჯიანის „არშაკ II“), ანტონიდა (გლინკას „სიცოცხლე მეფისათვის“) და სხვ. გამოდიოდა აგრეთვე როგორც საკონცერტო მომღერალი. იყო დ. არაყიშვილის რომანსების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი.

დარგომიჟსკი ალექსანდრე სერგეის ძე [2. II. 1813, სოფ. ტროიცკოე, ტულის ოლქი,–5. I. 1869, პეტერბურგი], რუსი კომპოზიტორი. 1835 გაიცნო მ. გლინკა, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია მის შემოქმედებას. 1837-41 დაწერა პირველი ოპერა „ესმერალდა“ (ვ. ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ მიხედვით, დაიდგა 1847 მოსკოვში). 40-იან წლებში შექმნა მრავალი რომანსი, („მე თქვენ მიყვარდით“, „ქორწილი“, „ღამის ზეფირი“). დ-ის მთავარი ნაწარმოებია ოპერა „ალი“ (პუშკინის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით, დაიდგა 1856 პეტერბურგში). გლინკასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა რუსულ კლასიკურ სამუსიკო სკოლას. მის შემოქმედებაში აისახა XIX ს. 40-60 წწ-იანი კრიტიკული რეალიზმის ტრადიციები. მხატვრული სახის შექმნისას დ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვათა ინტონაციებს. ეს პრინციპი განსაკუთრებით გამოჩნდა პუშკინის პატარა ტრაგედიის უცვლელ ტექსტზე დაწერილ ოპერა „ქვის სტუმარში“ (დაამთავრეს ც. კიუიმ და ნ. რიმსკი-კორსაკოვმა, დაიდგა 1872), რომელიც თითქმის მთლიანად -მელოდიურ რეჩიტატივს ემყარება.

დასარტყამი საკრავები, მუსიკალური საკრავები, რომელთა ბგერა მიიღება დარტყმით. დასარტყამი საკრავები ორგვარია: 1. გარკვეული სიმაღლის ბგერებიანი–ლიტავრები, ზარები,

ზანზალაკები, ჩელესტა, ქსილოფონი; 2. გაურკვეველი სიმაღლის ბგერებიანი: ტამ-ტამი, დიდი და პატარა დოლი, დაირა, თეფშები, კასტანიეტები და სხვ.

ᲓᲐᲡᲢᲐ, აღმოსავლურ მუსიკალურ საკრავებზე დამკვრელთა მცირე ანსამბლი, შედგება ორი ზურნის, ან ორი დუდუკისა და დოლისაგან. მელოდიას ასრულებს ერთი მეზურნე „უსტა“ (ოსტატი). მეორე მეზურნე–„დამქაში“ მელოდიას ბურდონული (გაბმული) ბანით მიჰყვება. მედოლე დახელოვნებული მომღერალიცაა. რეპერტუარი მრავალფეროვანია (საყოფაცხოვრებო, ლირ.-სატრფიალო, სალაღობო, საცეკვაო). დ. საქართველოში XVI ს-ში შემოვიდა აღმ. ქვეყნებიდან. იგი მტკიცედ დამკვიდრდა ქალაქურ ყოფაში და თავადიშვილებისა და ყარაჩოხელების დროსტარების განუყრელი თანმხლები გახდა. რეპერტუარი თანდათან გამდიდრდა ქართ. სიმღერებით. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ანსამბლმა XX ს. 30-იან წლებში, როდესაც ცნობილმა მომღერალმა ანა ვარდიაშვილმა მას მესამე დუდუკი დაუმატა. ამიერიდან დ-მ დაიწყო სამხმიანი ქართ. სიმღერების შესრულება და დიდი პოპულარობა მოიპოვა თბილისსა და მთელ საქართველოში.

გ. ჩხიკვაძე



ᲓᲐᲤᲓᲐᲤᲘ, დაბდაბი, ორივე მხრიდან ტყავგადაკრული დასარტყმელი (საცემელი) საკრავი. (იხ. დოლი).

ᲓᲐᲤᲘ, დასარტყმელი (საცემელი) საკრავი. (იხ. დაირა).

ᲓᲐᲤᲥᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ თამარ ვლადიმერის ასული [21.XII.1908, თბილისი,–5.II.1992, იქვე], პიანისტი და პედაგოგი, ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1929 დაამთ. თბ. კონს. საფ. განყ. (ხე-ლი პროფ. ა. თულაშვილი). 1932-35 ოსტატობას სრულყოფდა ლენინგრ. კონს-ში ლ. ნიკოლაევისა(ფ-ნო) და ე. ბრიკ-ირადოვას (კამერული ანსამბლი) კლასებში. 1929-იდან მუშაობდა თბ. კონს-ში (პროფ. 1966), მისი მოწაფეებია: ვ. ჩაჩავა, ნ. კვირკველია, და სხვ. დ. ეწეოდა აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას. პირველმა ჩაატარა საქ-ში სონატური კონცერტების ციკლი (ვიოლინოსა და ფ-ნოსათვის), იგი ავტორია „უცხოურ-ქართული მუსიკალური ტერმინოლოგიისა“ (1948), „მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონისა“ (1955), მეთოდიკური და მემუარული ხასიათის ნაშრომებისა.

ᲓᲔᲑᲘᲣᲡᲘ (Debussy) კლოდ აშილ [22. VIII. 1862, სენ ჟერმენ-ან-ლე, პარიზის მახლობლად, –25. III. 1918, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი. მუს. განათლება მიიღო პარიზის კონს-ში (1872-84), სადაც სწავლობდა ა. მარმონტელთან (ფ-ნო) და ე. გიროსთან (კომპოზიცია). 1881 და 1882 იყო რუსეთში. 1885-86–რომში. 1887-იდან პარიზშია. დ. მუს. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი, ნოვატორი კომპოზიტორია, რომელმაც გადაახალისა მუს. გამომსახველობის ფორმები, გაამდიდრა ბგერითი საორკესტრო და საფ. პალიტრა, რითაც გავლენა მოახდინა მრავალ კომპ-ზე. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პროგრამულ-ინსტრუმ. მუსიკას. მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: ოპერა

„პელეასი და მელიზანდა“ (მ. მეტერლინკის დრამის მიხედვით. 1902 პარიზი), მისტერია „წმ. სებასტიანის წამება“ (1911), პრელუდია სიმფ. ორკესტრისათვის „ფავნის დასვენება ნაშუადღევს“ (ს. მალარმეს მიხედვით 1894), 3 ესკიზი „ზღვა“ (1903-05), ტრიპტიქი „ნოქტიურნები“ (1899), სიუიტა „იბერია“ (1908), მრავალი ნაწარმოები ფ-ნოსათვის: 24 პრელუდია (2 რვეული 1910-13), 12 ეტიუდი (2 რვეული 1915), ინსტრუმ. ანსამბლები, 50-ზე მეტი სიმღერა (რომანსი) და სხვ.

დებიუტი (ფრანგ. debut) მსახიობის, შემსრულებლის პირველი გამოსვლა სცენაზე.

დეგეიტერი (Degeyter) პიერი [8. X. 1848, გენტი, ბელგია, –27. IX. 1932, სენ-დენი, პარიზის მახლობლად], ფრანგი კომპოზიტორი. „ინტერნაციონალის“ ავტორი (ე. პოტიეს ლექსზე). „ინტერნაციონალი“ პირველად შესრულდა 1888, ტექსტი ქართულად თარგმნა აკაკი წერეთელმა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ „ინტერნაციონალი“ აღიარებულ იქნა სსრკ ჰიმნად. 1944-იდან „ი“. კომუნისტური პარტიის ჰიმნად იქცა.

დეკა-სიმებიანი საკრავების კორპუსის (სარეზონატორო ყუთის) ბრტყელი ან ოდნავ გამობურცული მხარე; დ. ირხევა მჟღერ სიმთან ერთად და აძლიერებს მის ბგერას. ბრტყელ კორპუსიან სიმებიან საკრავებს ორი დ. აქვს: ქვემო და ზემო, რომლებიც რკალებითაა შეერთებული.

დეკრეშენდო (იტალ. decrescendo), მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ხმის თანდათანობითი შესუსტებით, სულ უფრო და უფრო ხმადაბლა (საპირისპირო-კრეშენდო).

დელიბი (Delibes) კლემან ფილიბერ ლეო [21. II. 1836, სენ-ჟერმენ-დიუ-ვალი, სარტა, –16. I. 1891, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი. სწავლობდა პარიზის კონს-ში (ა. ადანის საკომპ. კლ.), 1853-იდან მუშაობდა საოპერო თეატრებში აკომპანიატორად, ეკლესიებში-ორგანისტად. 1881-იდან პარიზის კონს-ის პროფესორია. მისი ცნობილი ბალეტებია: „კოპელია“ (1870), „სილვია“ (1876). დაწერილი აქვს აგრეთვე ოპერები, ოპერეტები, რომანსები და სხვ. დ-ის საუკეთესო ოპერაა „ლაკმე“ (1883), დ. ფრანგ. ლირ. ოპერის ტრადიციების გამგრძელებელია. მისი მუსიკისათვის დამახასიათებელია მელოდიურობა, სიფაქიზე.

დელ მონაკო (Del Monaco) მარიო [27. VII. 1915, ფლორენცია,– 16.X.1982, მესტრე], იტალიელი მომღერალი (დრამ. ტენორი). 1941-იდან მღეროდა იტალიის საოპერო სცენებზე (1943-იდან „ლა სკალაში“). XX ს-ის შუა ხანის ერთ-ერთი უდიდესი მომღერალი, ბელკანტოს ხელოვნების ოსტატი. მის რეპერტუარში გამოირჩეოდა გმირულ-დრამ. და ტრაგიკული პარტიები ჯ. ვერდისა და ვერისტი კომპოზიტორების ოპერებში. გადაღებულია მუს. ფილმებში („ჯ. ვერდი“ და სხვ.).

დენისოვი ედისონ ვასილის ძე [6. IV. 1929, ტომსკი,-24.XI.1996, პარიზი], რუსი კომპოზიტორი, ვ. შებალინის მოწაფე. 1959-იდან ასწავლიდა (კომპოზიცია) მოსკოვის კონს-ში. ერთ-ერთმა პირველმა სსრკ-ში დაიწყო ავანგარდული საკომპოზიციო ტექნიკის (თავისუფალი სერიალობა, ალეატორიკა) გამოყენება, რის გამოც არაერთგზის გამხდარა კონსერვატიული საბჭოთა მუს. კრიტიკის „დამუშავების“ ობიექტი. ამჟამად აღიარებულია როგორც თვალსაჩინო შემოქმედი. ავტორია 2 ოპერის, ბალეტის, რეკვიემის (1980), 10 ინსტრუმ. კონცერტისა (1972-86) და სხვ. ცნობილია მისი „ინკების მზე“ (1964) და „ტირილები“ (1966. ორივე–ხმისა და ორკესტრისათვის) და სხვ. დ-ს ეკუთვნის წიგნები „დასარტყმელი საკრავები თანამედროვე ორკ-ში“ (1982) და „თანამედროვე მუს. და საკომპ. ტექნიკის ევოლუციის პრობლემები“ (1986).

დეტონირება (ფრანგ. detonner–არასწორად, ყალბად მღერა), მუსიკალური ბგერის არაზუსტი, მცდარი შესრულება, ნორმალური სიმაღლიდან გადახრა. დეტონაცია ძირითადად ვოკალურ ხელოვნებაში არსებობს და უმეტესად ხმის დადაბლებით გამოიხატება (ხმის ამაღლება შედარებით იშვიათია). დ-ას ზოგჯერ განიცდის სიმებიანი და სასულე საკრავები. მიზეზი დ-სა არასრულყოფილი მუსიკალური სმენაა.

დეციმა (ლათ. decima მეათედი)1. ათსაფეხურიანი ინტერვალი, აღინიშნება ციფრით 10. დ. არსებობს: დიდი (შემოკლებით დ. 10) და მცირე დ. (შემოკლებით მც. 10). იგი წარმოადგენს ოქტავისა და ტერციის ჯამს, შეიძლება მისი გაზრდა ან შემცირება ნახევარტონით. 2. ოროქტავიანი დიატონური ბგერათრიგის მეათე საფეხური.

დვორჟაკი (Dvorak) ანტონინ [8. IX. 1841, სოფ. ვლტავის ნელაჰოზევესი, პრაღის მახლობლად,–1. V. 1904, პრაღა], ჩეხი კომპოზიტორი. 1854-57 იყო ა. ლიმანის მოწაფე ზლონიცეში. 1857-58 იგი სწავლობდა ი.ფიორსტერთან პრაღის საორგანო სკოლაში. 1891-იდან დ. იყო პრაღის კონს-ის პროფესორი. 1901-იდან დირექტორი. 1892-95 (ხანგამოშვებით) ნიუ-იორკის ეროვნული კონს-ის დირექტორი. დ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ჩეხური ეროვნული ოპერისა და სიმფ. მუსიკის განვითარების საქმეში, იგი ჩეხური ეროვნული მუს. კლასიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია (ბ. სმეტანასთან ერთად). მის შემოქმედებაში აისახა ჩეხური ბუნებისა და ხალხური ყოფის სურათები, ხალხური ზღაპრების პოეტური მოტივები. დ-ის ნაწარმოებები გამოირჩევა დახვეწილი ფორმით, ეროვნული კოლორიტით, მელოდიურობით, რიტმის და ჰარმონიის მრავალფეროვნებით, დ-ს ეკუთვნის 10 ოპერა (მ. შ. „ჯიუტნი“-1874, „ეშმაკი გლეხი“-1877, ლირიკული ოპერა-ზღაპარი „ალი“-1901, „იაკობინელი“-1889 და სხვ.), 9 სიმფონია, რომელთა შორისაა განთქმული სიმფონია „ახალი სამყაროდან“-(1893), 5 სიმფ. პოემა, 3 ინსტრუმ. კონცერტი მ. შ. განთქმული ჩელოს კონცერტი (1895), ინსტრუმენტული და ვოკალური ანსამბლები, საფ. პიესები, გუნდები, სიმღერები. დიდი პოპულარობით სარგებლობენ მისი „სლავური ცეკვები“ (2 რვეული 1878-1887).

გ. ტორაძე

დიაგილევი სერგეი პავლეს ძე [19. III. 1872,-ნოვგოროდის გუბერნია,– 19. VIII. 1929, ვენეცია], რუსი თეატრალური მოღვაწე. შემ-თი გაერთიანების „ხელოვნების სამყარო“

(„Мир искусства", 1898) და ამავე სახელწოდების ჟურნალის დამაარსებელი. იგი იყო უცხოეთში „რუსული სეზონების“ (1907-13) და საბალეტო დასის „ს. დიაგილევის რუსული ბალეტი“ (1911-1929) ორგანიზატორი. ამ დასით გასტროლებს მართავდა მრავალ ქვეყანაში. დ-ის მოღვაწეობამ ღრმა კვალი გაავლო საბალეტო ხელოვნების ისტორიაში, გავლენა მოახდინა უცხოეთის ზოგი ქვეყნის ბალეტის განვითარებაზე. დ. განიხილავდა ბალეტს როგორც თანამედროვე მუსიკის, ფერწერის, ქორეოგრაფიის სინთეზს. მან მოიზიდა და დააწინაურა მრავალი გამოჩენილი ბალეტმაისტერი, მოცეკვავე, მხატვარი. მისი შეკვეთით დაიწერა მ. რაველის, ი. სტრავინსკის, ს. პროკოფიევის და სხვ. ზოგიერთი ბალეტი.

ᲓᲘᲐ�პᲐᲖᲝᲜᲘ (ბერძ. diapason ყველა სიმის იქით), მუსიკაში, სასიმღერო ხმის, მუსიკალური საკრავის, ბგერათრიგის, მელოდიისა და ა. შ. ბგერითი მოცულობა. განისაზღვრება უმაღლეს და უდაბლეს ბგერებს შორის არსებული ინტერვალით.

ᲓᲘᲐᲢᲝᲜᲘᲙᲐ (ბერძ. diatonikos ერთი ტონიდან მეორეში გარდამავალი), ბგერათა თანამიმდევრული შვიდსაფეხურიანი მწკრივი, რომელიც შედგება მთელი ტონებისა და ნახევარტონებისაგან.

„ᲓᲘᲓᲔᲑᲐ“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-21) სახელმწიფო ჰიმნი. მუსიკისა და ტექსტის ავტორია კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი. ჰიმნი პირველად აჟღერდა 1918 26 მაისს, საქ. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. ამის შემდეგ იგი ნაწილობრივ გადაამუშავა სპეც. კომისიამ და საბოლოო სახით დიდმა გუნდმა და ორკესტრმა შეასრულა 1919 26 მაისს რესპუბლიკის შექმნის წლისთავზე. „დ“ ოფიციალურ ჰიმნად გამოცხადდა სპეც. კონკურსის გარეშე. ჰიმნის მუს. ენაში (განსაკუთრებით კადანსებში) შეინიშნება ქართ. მუს. სისტემის კანონზომიერებანი. 1990-იდან, როდესაც აღდგა საქ. სახელმწიფოებრიობა, „დ“ კვლავ დამოუკიდებელი საქ. ჰიმნია 2004 წლამდე.

ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, მოსკოვის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. მისი შექმნა დაკავშირებულია რუსული ეროვნული კულტურის აყვავებასთან (XVIII ს.), მან დიდი როლი ითამაშა ეროვნული მუსიკალურ-სცენური საშემსრულებლო სკოლის ჩამოყალიბებაში. აქ პირველად დაიდგა რუსი კლასიკოსი კომპოზიტორების მრავალი ოპერა და ბალეტი. თეატრის მუდმივი დასი 1776 ჩამოყალიბდა, სპექტაკლები იდგმებოდა გრაფ რ. ვორონცოვის სახლში. 1780 თეატრი გადავიდა ახ. შენობაში. 1821-24 აიგო თეატრის ახალი შენობა-მონუმენტური ნაგებობა. ახლად აგებულმა თეატრმა მიიღო დიდი თეატრის სახელწოდება. თეატრი გაიხსნა 1825. 1853 თეატრი დაიწვა. 1856 გახსნილი თეატრის შენობა საგრძნობლად იყო გადაკეთებული.

მომდევნო პერიოდშიც (დღემდე) თეატრმა არაერთგზის განიცადა რეკონსტრუქცია. სხვადასხვა დროს დ. თ-ში გამოდიოდნენ და გამოდიან გამოჩენილი რუსი მომღერლების, დირიჟორების, მოცეკვავეების და ა. შ. მრავალრიცხოვანი თაობები, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოუპოვეს რუსულ მუსიკალურ საშემსრულებლო ხელოვნებას.

დ. თ-ის სცენაზე სხვადასხვა დროს დაიდგა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები: ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (1939-41 და 1946), ა. ბალანჩივაძის ბალეტი „სიცოცხლის ფურცლები“ (1961), ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება“ (1977). დ. თ-ში სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდნენ ქართველი მომღერლები: დ. ანდღულაძე, ზ. ანჯაფარიძე, დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, დ. მჭედლიძე, ბ. კრავეიშვილი, მ. ქასრაშვილი, ზ. სოტკილავა, ბ. მაისურაძე და სხვ. მოცეკვავეები: ე. ჩიკვაიძე, ნ. ანანიაშვილი, ნ. ცისკარიძე; რეჟისორები: ტ. შარაშიძე, მ. კვალიაშვილი; დირიჟორი ო. დიმიტრიადი; მხატვრები: ს. ვირსალაძე, ი. სუმბათაშვილი; საბალეტო დადგმები განახორციელეს ვ. ჭაბუკიანმა, დ. ჯავრიშვილმა.

დიდი ოპერა–გრანდ ოპერა (ფრ. Grand Opera), საოპერო ჟანრი, რომელიც აღმოცენდა XIX ს. I ნახ. საფრანგეთში. მისთვის დამახასიათებელია მონუმენტურობა, გმირულ-ისტ. სიუჟეტები, მძაფრად კონფლიქტური სიტუაციები, ფერადოვნება და დეკორაციულობა, მასობრივი სცენების (გუნდი, ბალეტი) სიმრავლე. საფუძველი ჩაუყარა გ. სპონტინიმ ოპერით –„ვესტალი“(1807). მნ. ნიმუშები იყო ობერის „მუნჯი ქალი პორტიჩიდან“ („ფენელა“, 1828)და როსინის „ვილჰელმ ტელი“ (1829), ჯ. მეიერბერის ოპერები, განსაკუთრებით „ჰუგენოტები“ (1835) და სხვ.

XIX ს. 50-იანი წლებისათვის, საოპერო ხელოვნებაში რეალისტური მიმართულების გაძლიერებასთან ერთად, დ. ო-მ თანდათან დაკარგა წამყვანი მდგომარეობა. მაგრამ ზოგი რამ მასში სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და შემადგენ. ელემენტების სახით შევიდა „ლირიკულ ოპერაში“ (რომელიც წარმოიშვა როგორც დ. ო–ის ანტითეზა) და მომდევნო პერიოდის მრავალი კომპ. ოპერებში (რ. ვაგნერი, ჯ. ვერდი, მ. გლინკა, პ. ჩაიკოვსკი).

დიეზი (ფრანგ. diese ბერძ. diesis-ნახევარტონი), ბგერათა რიგის რომელიმე საფეხურის ნახევარი ტონით ამაღლების ნიშანი.

„დიელო“, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი. შეიქმნა 1961, ჯერ როგორც ვოკალური კვარტეტი ა. და ს. ებრალიძეების, გ. ლეონიძისა და ვ. კიკაბიძის შემადგენლობით. 1966 კვარტეტი გადაკეთდა ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლად და შეივსო მუსიკოს-შემსრულებელთა ახ. ნაკადით (ც. მამაცაშვილი, გ. გაბუნია, გ. ჭირაქაძე, ა. რაქვიაშვილი, დ. ტურიაშვილი, ი. ფერაძე, ვ. კუცია და სხვ.). ანსამბლი მღეროდა პოლიფონიური ჯაზის სტილში. გასტროლებით შემოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. გამოშვებული აქვს ათი ფირფიტა. გადაღებულია კინოფილმებში „წარსული ზაფხული” და „შეხვედრა მთაში”. 1981 ანსამბლმა არსებობა შეწყვიტა.

დიეს ირე (ლათ. Dies irae, „რისხვის დღე“ – შუასაუკუნეების მელოდია (სეკვენცია). ტექსტის ავტორობა მიეწერება ტომაზო ჩელანოელს (გარდ. 1250). დ. ი. შედის რეკვიემის შემადგენლობაში იტალიაში (XIV ს-იდან) და საფრანგეთში (XV ს-იდან). XIX–XX ს-ების მუსიკაში დ. ი. ხშირად გვხვდება არალიტურგიკულ ნაწ-ში და როგორც წესი, ასახიერებს

ბედისწერას, სიკვდილს ან ჯოჯოხეთურ ძალას. ასეთი დანიშნულებით დ. ი-ს მოტივი პირველად გამოიყენა ჰ. ბერლიოზმა „ფანტასტიკურ სიმფ-ში“ (1830). შემდგომ არაერთგზის აქვთ გამოყენებული ფ. ლისტს, სენ-სანსს, პ. ჩაიკოვსკის, ს. რახმანინოვს (რამდენიმე ნაწ-ში) და სხვ.

დივერტისმენტი (ფრანგ. devertisment -მხიარულება, გართობა), თეატრში, XVII-XVIII სს-ში დრამატული (ზოგჯერ საოპერო ან საბალეტო) სპექტაკლის ჩართული ან დასკვნითი ნაწილი, რომელიც შედგება წარმოდგენის სიუჟეტთან დაკავშირებული სიმღერის, ცეკვებისა და კომიკური სცენების, პაროდიისა და სამხიარულო ხასიათის ნომრებისაგან.

დ. ყოფითი მუსიკის სახეობაა. იგი შედგებოდა რამდენიმე ნაწილისაგან (ჩვეულებრივ 4-10) და განკუთვნილი იყო სხვადასხვა საკრავიერი შემადგენლობისათვის (ერთი საკრავიდან-კამერულ ანსამბლსა და ორკესტრამდე), შეიცავდა სონატისა და სიუიტის ნიშნებს, ფართოდ იყენებდა საცეკვაო ჟანრებს, რითაც უახლოვდებოდა სერენადას, კასაციასა და ნოქტიურნს. დ. გვხვდება ი. ჰაიდნის, ვ. ა. მოცარტისა და სხვ. ნაწარმოებებში. XIX ს-ში დ., იშვიათი გამონაკლისის გარდა (შუბერტის „უნგრული დ.“), გადაიქცა სალონური მუსიკის ჟანრად. XX ს-ში ტერმინი დ. იხმარება საბალეტო სიუიტის აღსანიშნავად.

დიმინუენდო (იტალ. diminuendo), იგივეა, რაც დეკრეშენდო.

დითირამბი (ბერძ. dithyrambos), ანტიკური საზეიმო ლირიკის ჟანრი, ხალხური ორიგინალური ჰიმნი, რ-იც მიმიკური მოძრაობით, მუსიკის თანხლებით სრულდებოდა კორინთში, მეტწილად რთველის დროს, ნაყოფიერების ღმერთის დიონისეს პატივსაცემად. დ-ის შესრულებისას გუნდს გამოეყოფოდა წამომწყები. დ-ის ლიტ. გაფორმება ძვ. წ. VII ს. ბერძენ პოეტს არონს მიეწერება. შემდგომში დ. საფუძვლად დაედო ანტ. ტრაგედიას. მუსიკაში დ-ის ნიმუშებია მ. გნესისნის სიმფონიური დ. „ვრუბელი“(1911), მ. კასტელნუოვო-ტედესკოს კანტატა „ბახუსი ტოსკანაში“(1931). გდატანითი მნიშვნელობით დ. გაზვიადებულ აღფრთოვანებასა და ქებას ნიშნავს.

დილეტანტობა (იტალ. dilettante<ლათ. delecto–ვატკბობ, ვართობ), მეცნიერების ან ხელოვნების რომელიმე დარგში საქმიანობა სპეციალური მომზადების, სათანადო ცოდნის გარეშე; დილეტანტი – ზერალე მცოდნე, მოყვარული.

დიმიტრიადი ნანა ოდიესის ასული [15.VI, 1932, თბილისი], პიანისტი, კონცერტმაისტერი. საქ. დამს. არტისტი (1967), ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორ-ემერიტუსი. ღირსეულად აგრძელებს თავისი სახელოვანი მშობლების ნადეჟდა ხარაძისა და ოდისეი დიმიტრიადის შემოქმედებით ტრადიციებს. მის მუსიკალურ განვითარებას წარმართავდა გამოჩენილი პედაგოგი ანასტასია ვირსალაძე.

1956 თბ. კონს. დამთავრებისთანავე, შეუდგა საკონცერტმაისტერო მოღვაწეობას, დიდ წარმატებას მიაღწია კამერული მუსიკის სფეროში რასაც მოწმობს საქ-ში და საზღვარგარეთ ჩატარებული კონცერტები. მის პარტნიორებს შორის იყვნენ

გამოჩენილი მომღერლები და ინსტრუმენტალისტები: მარინე იაშვილი, თამარ გაბარაშვილი, ცისანა ტატიშვილი, ნოდარ ანდღულაძე, ლიანა და ელდარ ისაკაძეები, ელდარ გეწაძე და სხვ. ათეული წლების მანძილზე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბ. სახელმწ. კონს-ში. აღზარდა მრავალი მუსიკოსი. დიდი მოწონება დაიმსახურა 2003 გამოცემულმა მისმა კომპაქტდიეკებმა.

დიმიტრიადი ოდისეი აქილევსის ძე [24. VI. 1908, ბათუმი,–27. IV.2005, თბილისი], დირიჟორი, საქ. (1951) და სსრკ (1958) სახ. არტისტი. 1926-30 სწავლობდა თბ. კონს-ში საკომპოზიციო განხრით (მ. ბაგრინოვსკისა და ს. ბარხუდარიანის კლასები). 1933-36 დ. სწავლას განაგრძობს ლენინგრადის კონს-ში სადირიჟორო განყ-ბაზე (ა. გაუკისა და ი. მუსინის ხელმძღვანელობით). 1937-47 იგი თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორია, ხოლო 1947-52 –საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი. მისი ხელმძღვანელობით პირველად აჟღერდა ა. ბალანჩივაძის, შ. მშველიძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილისა და სხვათა ცნობილი ნაწარმოებები. ომის შემდგომ წლებში დ. იწყებს ფართო საგასტროლო მოღვაწეობას სსრკ-ში, წარმატებით ასრულებს კლასიკური რეპერტუარის მრავალ ნიმუშს. 1952-65 დ. თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. დირიჟორი იყო. ამ პერიოდში მან უხელმძღვანელა მრავალი კლასიკური და თანამედროვე ოპერის დადგმას, რომელთაგანაც აღსანიშნავია ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (1953), შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ (1961), ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ (1961), პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ (1953) და „ორლეანელი ქალწული“ (1957), ს. პროკოფიევის „სემიონ კოტკო“ (1964), და სხვ. საბალეტო სპექტაკლებიდან–ა. მაჭავარიანის „ოტელო“ (1958). 1965-75 დ. მუშაობდა სსრკ დიდი თეატრის დირიჟორად.

1958 თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასთან ერთად დ. გამოდიოდა ლათ. ამერიკის ქვეყნებში. მისი დირიჟორობით სოფიაში დაიდგა ვერდის „აიდა“ (1960), მეხიკოში–მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ (1960), ათენში–ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და „პიკის ქალი“ (1965). 1937-41 და 1957-1995 თბ. კონს-ის პედაგოგი იყო (სადირიჟორო კლასი). აღზარდა მრავალი თანამედროვე ქართველი დირიჟორი. 1995 -იდან ცხოვრობდა საბერძნეთში, ბოლო წლები საქართველოში. მისი შვილებია პიანისტები პარის დიმიტრიადი (1936-1960) და თბ. კონს-ის პროფესორი ნანა დიმიტრიადი.

გ. ტორაძე

დინამიკა (ბერძ. dynamikos-ძალა), ხმის სიძლიერესთან დაკავშირებულ მოვლენათა ერთობლიობა. ჟღერის სიძლიერის ძირითადი გრადაციებია: piano (ნოტებში შემოკლებით - p) ხმადაბლა და forte (f) ხმამაღლა, piano-ზე დაბალი ჟღერადობისა pianissimo (pp) ძალიან ხმადაბლა piano-pianissimo ppp მეტისმეტად ხმადაბლა და ა. შ. forte–ზე უფრო მაღალი ჟღერადობისა (ხმის გაძლიერებისაკენ), fortissimo (ff) ძალიან ხმამაღლა, მეტისმეტად ხმამაღლა და ა. შ. იხმარება აგრეთვე აღნიშვნები: mezzo piano (mp) ზომიერად ხმადაბლა და mezzo-forte (mf) ზომიერად ხმამაღლა. ბგერის თანდათანობით გაძლიერებას ეწოდება crescendo, თანდათანობით შესუსტებას diminuendo ან decrescendo.

დიპლიპიტრ, დასარტყმელი საკრავი, შედგება სხვადასხვა სიგანისა და ერთნაირი



სიმაღლის თიხის ორი პატარა ქილისაგან, რომლებზედაც გადაკრულია ციკნის ტყავი ან ხარის ბუშტი. ქილები ერთმანეთთან თასმითაა გადაბმული. ქილების სიმაღლეა 200-250 მმ, პატარა ქილის დიამეტრი 90 მმ, დიდისა 170 მმ. ქილები გარედან ნაირფერადაა მოხატული. დ-ს უკრავენ ორი პატარა ჯოხით. თუ ჟღერადობის გასაძლიერებლად ტყავის გადაჭიმვა უნდათ, ქილებს მაყალზე ათბობენ, მოსაშვებად კი ტყავებს ოდნავ ასველებენ. დ. უმთავრესად საანსამბლო საკრავია. ორკესტრში პირველად შეიტანა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა („კავკასიური ესკიზები“, 1894), შემდეგ დ. ოპერებში გამოიყენეს დ. არაყიშვილმა („თქმულება შოთა რუსთაველზე“), რ. გლიერმა („შაჰსენემი“) და სხვ.

გ. ჩხიკვაძე

ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ (ფრანგ. diriger – მართვა), პირი რომელიც ხელმძღვანელობს მუსიკალური ნაწარმოების კოლექტიურ შესრულებას (ორკესტრს, გუნდს და სხვ.), საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს.

ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲝᲑᲐ (ფრანგ. diriger ხელმძღვანელობა, წარმართვა), მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთი სახე, მუსიკოსთა კოლექტივის (ორკესტრის, გუნდის, ანსამბლის, საოპერო ან საბალეტო დასისა და სხვ.) ხელმძღვანელობა მუს. ნაწარმოების მომზადებისა და მისი საჯაროდ შესრულების დროს. მასზეა დამოკიდებული შესრულების ანსამბლურობა და ტექნიკური სრულყოფა. დ-ის ხელოვნება ემყარება ხელის მოძრაობათა საგანგებოდ დამუშავებულ სისტემას. დ-ის პროცესში დიდ როლს ასრულებს ასევე დირიჟორის სახე, გამოხედვა, მიმიკა. თანამედროვე დირიჟორს მაღალი მუს. თეორიული მომზადება, აბსოლუტური სმენა, კარგი მუს. მეხსიერება და დიდი ნებისყოფა მოეთხოვება. საგუნდო ხელოვნების განვითარების ადრეულ საფეხურზე დირიჟორის ფუნქციას ერთ-ერთი მომღერალი, სიმღერის წამომწყები ასრულებდა. შუა ს. საეკლესიო გუნდს ქეირონომიით–ხელების პირობითი მოძრაობათა სისტემის მეშვეობით ხელმძღვანელობდნენ. XV ს-ში მრავალხმიანობისა და საორკესტრო შესრულების განვითარებასთან ერთად, ანსამბლის უფრო ზუსტი რიტმული ორგანიზაციისათვის, შემოიღეს ჯოხი, ბატუტი (იტალ. სიტყვასიტყვით დარტყმა). გენერალბასის სისტემის დამკვიდრებასთან ერთად (XVII-XVIII სს.) მუსიკოსი, რომელიც გენერალბასის პარტიას ასრულებდა კლავესინზე ან ორგანზე (ჩვეულებრივ მუსიკის ავტორი), ანსამბლს დირიჟორობდა თავისი შესრულებით, თვალების, თავისა თუ თითების მოძრაობით. XVII ს-ში ანსამბლში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა პირველ ვიოლინოზე შემსრულებელს (კონცერტმაისტერი), რომელიც დაკვრით ეხმარებოდა დირიჟორს, ზოგჯერ კი წყვეტდა დაკვრას და ბატუტის მაგიერ ხემით ხელმძღვანელობდა ორკესტრს დირიჟორთან ერთად. ასე წარმოიშვა ორმაგი დირიჟორობა. XVIII ს. გენერალბასის გაქრობასთან ერთად მევიოლინე კონცერტმაისტერი ანსამბლის ერთპიროვნული ხე-ლი გახდა. XIX ს-ში სიმფ. მუსიკის განვითარებამ დირიჟორი გაათავისუფლა საერთო ანსამბლში მონაწილეობისაგან, ახლა მისი ფუნქცია მხოლოდ დირიჟორობა იყო, ხემიც სადირიჟორო ჯოხმა შეცვალა. იგი პირველად გამოიყენეს თ. მოზელმა (1812, ვენა), კ. ვებერმა (1817, დრეზდენი), ლ. შპორმა (1817, მაინის ფრანკფურტი). თანამედროვე დ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელია რ. ვაგნერი (ბეთჰოვენსა და ბერლიოზთან ერთად). თუ აქამდე დირიჟორი შემსრულებლისაგან ზურგშექცევით იდგა,

ვაგნერის დროიდან იგი აუდიტორიასთან დადგა ზურგით. პირველი დირიჟორი, რომელმაც საერთო აღიარება მოიპოვა,იყო ჰ. ფონ ბიულოვი. სხვადასხვა დროის განთქმული დირიჟორებია: ა. ნიკიში, გ. მალერი, ჰ. ფურტვენგლერი, ბ. ვალტერი, ო. კლემპერერი, ა. ტოსკანინი, ვ. ფერერო, ჰ. კარაიანი, რ. მუტი, შ. მიუნში, ნ. რუბინშტეინი, ს. რახმანინოვი, ლ. სტოკოვსკი, ლ. ბერნსტაინი, ე. მრავინსკი, ნ. რახლინი, ა. მელიქ-ფაშაევი, ი. ტემირკანოვი, ვ. გერგიევი და სხვ.

ქართული სადირიჟორო სკოლის წარმომადგენლები არიან: ი. ფალიაშვილი, ე. მიქელაძე, გ. კილაძე, შ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი, დ. მირცხულავა, ვ. ფალიაშვილი, ზ. ხუროძე, ლ. კილაძე, ჯ. გოკიელი, ჯ. და ვ. კახიძეები, გ. და ზ. აზმაიფარაშვილები, ვ. მაჭავარიანი, რ. ტაკიძე, დ. მუქერია და სხვ.

ᲓᲘᲡᲙᲝᲗᲔᲙᲐ (ფრანგ. discotheque< ბერძ. diskos მრგვალი ფირფიტა და theke საცავი), 1. მუსიკალური ფირფიტების, კომპაქტ-დისკების საცავი. 2. ახალგაზრდული კლუბი, სადაც საცეკვაო საღამოები იმართება.

ᲓᲘᲡᲙᲐᲜᲢᲘ (ლათ. discantus), 1. მაღალი ხმა ბავშვისა (ბიჭისა) 2. გუნდში პარტია, რომელიც სრულდება ბავშვის ან ქალის მაღალი (სოპრანო) ხმით.

ᲓᲘᲡᲝᲜᲐᲜᲡᲘ (ფრანგ. dissonance), კეთილხმოვანების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული შეხამება.

ᲓᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝ (Di Stefano) ჯუზეპე [24. VII. 1921–3.III. 1986,მილანი], იტალიელი მომღერალი (ტენორი). 1946-იდან მღეროდა იტალიის საოპერო თეატრებში („ლა სკალაში“) და სხვა ქვეყნებში. 1948-იდან მღეროდა „მეტროპოლიტენ ოპერაში“. შესრულებული აქვს ლირიკული და დრამატული ტენორების პარტიები. გადაღებულია კინოში. 40-60 წლების ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილი მომღერალია.

ᲓᲘᲡᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ (ბერძ. dys უარყოფის აღმნიშვნელი თავსართი და თანაბგერადობა), ჰარმონიის ბგერათა კეთილხმოვანების დარღვევა, შეუთანხმებელი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა.

ᲓᲘᲣᲙᲐ (Dukas)პოლ [1.X. 1865, პარიზი, –17. V. 1935, იქვე], ფრანგი კომპოზიტორი, პედაგოგი. ე. გიროს მოწაფე (კომპოზიცია), დ-ს შემ-ში მკაფიოდ იჩინა თავი იმპრესიონიზმის გავლენამ. მსოფლიო აღიარება მოუპოვა კომპოზიტორს სიმფონიურმა სკერცომ „ჯადოქრის მოწაფე“ (1897), რომელიც ორკესტრის ბრწყინვალებითა და ფერადოვნებით გამოირჩევა, აღსანიშნავია აგრეთვე ოპერა „არიანა და ლურჯწვერა“ (1907), ქორეოგრაფიული პოემა „პერი“ (1912). დ-მ დატოვა დიდი მუს. კრიტ. მემკვიდრეობა. იყო პარიზის კონს-ის პროფესორი 1909-იდან. მოწაფეებს შორის არის ო. მესიანი.

ᲓᲘᲥᲡᲘᲚᲔᲜᲓᲘ (ინგლ. dixieland ანუ „დიკსის ქვეყანა“ –აშშ-ის სამხრეთ შტატების ყოფაში მიღებული საერთო სახელწოდება), საესტრადო ორკესტრი, რომელიც შედგება ორი საქსოფონის, ორი საყვირის, ორი ტრომბონის, ერთი ტუბისა და დასარტყმელი საკრავებისაგან. წარმოიშვა აშშ-ს სამხრეთში. კლასიკური ჯაზის ერთ-ერთი სტილისტური ნაირსახეობა.

დო (იტალ. do), ერთ-ერთი მუსიკალური ბგერა, ძირითადი დიატონური (დო-მაჟორული) ბგერათრიგის პირველი საფეხური. ბგერა დო-ს ანბანური აღმნიშვნელია ლათ C.

დოდეკაფონია (ბერძ. dodeka-თორმეტი და phone-ბგერა, სიტყვასიტყვით თორმეტბგერიანობა), მუსიკის შეთხზვის მეთოდი, როცა ბგერათა შორის კილოური კავშირი ირღვევა (იხ. ატონალური მუს.) და ქრომატულ გამის თორმეტივე ბგერა თანასწორუფლებიანი ხდება. დ-ის მეთოდით მუსიკის შეთხზვა პირველად სცადა ავსტრიელმა კომპოზიტორმა ი. ჰაუერმა (1910-იანი წლები). არსებითად კი დ-ის მეთოდი დაამკვიდრა ა. შონბერგმა. (5 საფ. პიესა თხზ.23. 1923). დ-ის არსი ის არის, რომ მუს. ქსოვილის შემადგენელი მელოდიური ხმები და ბგერათა კომპლექსები იწარმოება ე.წ. სერიიდან (რიგიდან)-თორმეტი სხვადასხვა სიმაღლის ბგერის გარკვეული თანმიმდევრობიდან. სერია შეიცავს ქრომატული ბგერათარიგის ყველა ტონს, რომელთაგან არცერთი არ მეორდება. დ-ს ზოგჯერ იყენებენ ნაწარმოების მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში.

დოიჯაშვილი მანანა ლევანის ასული [5. XI. 1947, თბილისი], პიანისტი და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1989), ჯ. ენესკუს სახ. V საერთაშ. კონკურსის (ბუქარესტი 1970), ბ. სმეტანას სახ. საერთაშ. კონკურსის (ჰრადეც-კრალოვე 1974), ავსტრალიის I საერთაშ. კონკურსის (სიდნეი, 1977) ლაურეატი.

1971 დაამთ. თბ. კონს. 1973-ასპირანტურა (პროფ. თ. ამირეჯიბის ხელმძღვ.)– 1973-იდან კონს-ის პედაგოგია (1994-იდან პროფ.), 1965-იდან სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი. დ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელია მასშტაბურობა, ნატიფი მუს. გემოვნება, არტისტული ტემპერამენტი. მის რეპერტუარში წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქისა და განსხვავებული სტილის მუს. ნაწარმოებები. დ. ქართველ კომპოზიტორთა რიგი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია. 1997-იდან თბ. კონს-ის დიდი საკონცერტო დარბაზის გენერალური დირექტორი და სამხ. ხე-ლია, საქ. მუსიკოს-შემსრულებელთა და პიანისტთა საერთაშ. კონკურსების დამფუძნებელია. 2000-2012 თბილისის კონს-ის რექტორი. დაჯილდოებულია ზ. ფალიაშვილის სახ. (2003) და შ. რუსთაველის სახ. (2012) პრემიებით, ღირსების (1998) და ბრწყინვალების (2010) ორდენებით.

გ. ტორაძე



დოლი, დალაბანდი ცილინდრული ფორმის დასარტყმელი საკრავი, დ-ს ხის რკალზე, ორივე მხარეს, საგანგებოდ გამოყვანილი ტყავი ან აპკი აქვს გადაკრული. უკრავენ ორი ხელით ან ორი ჯოხით (წვრილი და მომსხო). ხელით მხოლოდ ზემოთა მხარეზე უკრავენ, ჯოხებით კი ორივე მხრიდან. წვრილ ჯოხს მარცხენა ხელით ქვემოდან სცემენ, მსხვილს კი მარჯვენა ხელით ზემოდან. დ. როგორც საანსამბლო, ისე სოლო საკრავია, ჟღერადობის გასაძლიერებლად დაკვრის წინ დ-ს შეათბობენ და ტყავს დაჭიმავენ.

გ. ჩხიკვაძე

ᲓᲝᲚᲘᲫᲔ გიორგი (გოგი) ლეონიდეს ძე [5. IX. 1954, თბილისი, –8. III. 1996, იქვე], ქართველი მომღერალი, ხალხური და საესტრადო სიმღერების შემსრულებელი. საქ. დამს. არტისტი, საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998, გარდაცვალების შემდეგ). 1976 დაამთ. თბ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი. მღეროდა სტუდენტთა თვითმოქმედ კოლექტივში. 1979-96 მუშაობდა საქ. ტელევიზიის ხალხ. შემოქმედების რედაქციაში, როგორც საესტრადო მომღერალი, პოპულარული გახდა 80-90-იან წწ. იყო შესანიშნავი სოლისტი და პარტნიორი (მღეროდა დუეტში ე. მამალაძესთან, მ. ძიძიგურთან, მ. ჯაბუასთან და სხვ. ერთად) მოღვაწეობდა 1976-83 ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისში“, 1986-იდან კი „ქართულ ხმებში“ (ადრე „ჟურნალისტი“, ხელმძღ. რ. გოგოლაშვილი). საგასტროლოდ იყო საზღვარგარეთ (გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ინგლისი, ესპანეთი, ბელგია, იტალია, შვეიცარია).

1999 დასახელებული იყო XX ს-ის საუკეთ. საესტრ. მომღერალ მამაკაცად საქ-ში (გარდაცვალების შემდეგ).

ᲓᲝᲚᲘᲫᲔ ვიქტორ ისიდორეს ძე [18. VII. 1890, ოზურგეთი, – 24. V. 1933, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელი. სწავლობდა თბ. კომერციულ სასწავლებელში, სადაც ჩამოაყალიბა მემანდოლინეებისა და გიტარისტების ორკესტრი. 1910 მანდოლინაზე დამკვრელთა კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა. 1917 დაამთ. კიევის კომერციული ინ-ტი. პარალელურად სწავლობდა კიევის სამუსიკო სასწავლებელში ვიოლინოსა და კომპოზიციის კლასში. აქვე მოისმინა მუს. თეორიის დისციპლინების კურსი. 1917 დ. საქ-ში დაბრუნდა და შეუდგა შემოქმედებით მოღვაწეობას. მისი ნაწარმოებებია: ოპერები „ქეთო და კოტე“ (ა. ცაგარელის „ხანუმას“ მიხედვით, პირველი წარმოდგენა 1919 წ. 11 დეკემბერი), „ლეილა“ (1922), „ცისანა“ (1929), „ზამირა“ (დაუმთავრებელი, 1931); სიმფ. ფანტაზია „ივერიადა“ (1925), სიმფონია „აზერბაიჯანი“ (1932), საფ. კონცერტი (1932), რამდენიმე რომანსი. მან დაამუშავა აგრეთვე ოსური ხალხ. სიმღერები (1926).

დ-ის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოპერა „ქეთო და კოტეს“. იგი ქართული კომიკური ოპერის კლასიკური ნიმუშია და დღემდე დიდი წარმატებით იდგმება. 1937 წარმოდგენილი იყო მოსკოვში საქ. ხელოვნ. და ლიტერატურის I დეკადაზე. სხვადასხვა დროს იდგმებოდა სსრკ არაერთი საოპერო თეატრის სცენაზე. საზღვარგარეთ დაიდგა: ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში. ოპერის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ნათელმა კომედიურმა სიუჟეტმა, სატირულმა სიმახვილემ და სახოვანებამ, ადვილად დასამახსოვრებელმა მელოდიურმა მუსიკამ. ოპერაში რეალისტურად გამოკვეთილი სახეები კომიკურ სიტუაციებშია წარმოდგენილი, პარალელურად ვითარდება ლირ. ხაზი. კომპოზიტორი ფართოდ იყენებს ძველი თბილისის ქალაქური ფოლკლორის ინტონაციებსა და ყოფით მუს. ფორმებს. ოპერის მუს. დრამ. კომპოზიციაში ერთმანეთს ენაცვლება დიალოგებით დაკავშირებული დამთავრებული მუს. ფორმები (არიები, რომანსები, კუპლეტური სიმღერები). ოპერის მიხედვით შექმნილია კინოფილმი „ქეთო და კოტე“ (1948 რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი).

ᲓᲝᲚᲩᲔ (იტალ. dolce), მუსიკალური ნაწარმოების ნაზად შესრულება.

დუმბრა, ყაზახური ხალხური ჩამოსაკრავი ორსიმიანი მუს. საკრავი, გვხვდება უზბეკეთსა (დუმბირა, დუმბრაკი) და ბაშკირეთში (დუმბირა).

დომინანტი (ლათ. dominans გაბატონებული), მაჟორული და მინორული გამის ჰარმონიული ფუნქცია, რომელსაც ტონიკისაკენ მკვეთრად გამოხატული მისწრაფება ახასიათებს. დ-ური აკორდის საფუძველია კილოს მეხუთე საფეხური, რომელსაც თვითონაც დ. ჰქვია. დ-ურ ფუნქციებს ასრულებს მე-7 და მე-3 საფეხურებზე აგებული აკორდებიც. დ-ური აკორდების მისწრაფება ტონიკისაკენ მაქსიმალური სიზუსტით ამყარებს ტონალობას.

დომინანტსეპტაკორდი, მაჟორის ან მინორის მე-5 საფეხურზე აგებული სეპტაკორდი, რომელსაც დომინანტური ფუნქცია აქვს. დ. წარმოადგენს ოთხი ბგერისაგან შემდგარ აკორდს და აღინიშნება ციფრით 7 (განაპირა ბგერები წარმოადგენს ინტერვალ სეპტიმას, სწორედ ამიტომ ჰქვია სეპტაკორდი).

დომინგო (Domingo) პლასიდო [21. I. 1941, მადრიდი], ესპანელი მომღერალი (ტენორი). სიმღერა ისწავლა თავისი მშობლებისაგან–სარსუელების (ესპ. ეროვნული მუს. თეატრ. ჟანრი) შემსრულებლებისაგან. 1966-იდან მღეროდა ნიუ-იორკში, შემდგომ ვენაში, ჰამბურგში, დას. ბერლინში. 1968-იდან „მეტროპოლიტენ-ოპერის“ სოლისტია, გამოდის აგრეთვე თეატრ „ლა-სკალაში“. ასრულებს ლირიკული და დრამატული ტენორის პარტიებს (ოტელო, რადამესი, ვერთერი და სხვ.) ზოგჯერ გამოდის როგორც საოპერო დირიჟორი (ი. მარკევიჩის მოწაფეა).

დ. XX ს. მეორე ნახევრის ერთ-ერთი უდიდესი მომღერალია. მისი შესრულება გამოირჩევა მრავალმხრივობით, ემოციურობით, ტემბრული ნიუანსების სიმდიდრით, დახვეწილი ფრაზირებით.

დომრა, რუსული ჩამოსაკრავი სიმებიანი მუს. საკრავი. დ. ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე რუსულ ხალხურ საკრავთა ორკესტრში.

დონაძე ვლადიმერ (ლადო) გრიგოლის ძე [18. III. 1905, თბილისი,- 9.XII, 1986, იქვე], მუსიკისმცოდნე და პედაგოგი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1956), პროფესორი (1956), საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958), ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1971). 1934 დაამთ. თბ. კონს. მუსიკისმცოდნეობის ფაკ-ტი, 1937 ლენინგრადის კონს-ის ასპირანტურა (ხე-ლი პროფ. რ. გრუბერი). 1937-1976 მუშაობდა თბ. კონს-ში მის მიერვე დაარსებულ მუსიკის ისტორიის კათედრის გამგედ. სიცოცხლის ბოლომდე იყო კათედრის პროფესორი. დ-მ პირველმა დაამუშავა და შემოიღო როგორც სასწავლო საგანი ქართ. მუს. ისტორიის სპეც. კურსი. ფართო აღიარება მოიპოვა მისმა გამოკვლევამ შუბერტის სიმფონიური შემოქმედების შესახებ (1938) და მონოგრაფიამ „ზ. ფალიაშვილი“(მოსკოვი 1957, II-1971), აგრეთვე ნარკვევებმა თანამედროვე ქართველი კიმპოზიტორების შესახებ. დ-ის შრომები გამოირჩევა პრობლემატიკის სიღრმით, ფართო მეთოდოლოგიური საფუძვლით.ქართული საისტორიო

მუსიკისმცოდნეობის ფუძემდებელმა ღრმა კვალი დაამჩნია ამ დარგის შემდგომ განვითარებას საქ-ში, აღზარდა მრავალი მოწაფე: ა. წულუკიძე, გ. ორჯონიკიძე, ვ. გვახარია, გ. ტორაძე, ლ. გოგუა, რ. წურწუმია, მ. ქავთარაძე, ლ. კაკაბაძე, რ. ქუთათელაძე, მ. ხვთისიაშვილი, ლ. კაკულია, ნ. ჟღენტი და სხვ.

გ. ტორაძე

დონიცეტი (Donizetti) გაეტანო [29. XI. 1797, ბერგამო,– 8. IV. 1848, იქვე], იტალიელი კომპოზიტორი. კომპოზიციას სწავლობდა ბერგამოში კომპოზიტორ ს. მაირთან, ხოლო 1815-17 ბოლონიის სამუსიკო ლიცეუმში ს. მატეისთან. 1818 ვენეციაში წარმატებით დაიდგა მისი პირველი ოპერა „ენრიკო, ბურგუნდიის გრაფი“, განსაკუთრებული აღიარება დ-ს მოუპოვა ოპერებმა (სულ 74): „სიყვარულის ნექტარი“ (1832), „ლუკრეცია ბორჯა“ (1833) და „ლუჩია დი ლამერმური“ (უ. სკოტის რომანის მიხედვით, 1835, ნეაპოლი), აგრეთვე „ფავორიტი ქალი“ (1840), „პოლკის ქალიშვილი“ (1840), „ლინდა დი შამუნი“ (1842), „დონ პასკუალე“ (1843) დაწერილი აქვს აგრეთვე კანტატები, მესები, საორკესტრო და კამერული ნაწარმოებები, გუნდები, დონიცეტის ოპერები გამოირჩევა მელოდიური სიმდიდრითა და გამომსახველობით, ჭეშმარიტი თეატრალურობით. იგი რთული ვოკალური ანსამბლების ოსტატია. 1835-39 დ. ნეაპოლის კონს-ის პროფესორია (1837-იდან დირექტორი). 1839-იდან იგი ცხოვრობდა პარიზში. 1844-იდან კი ავადმყოფობის გამო ჩამოშორდა საკომპოზიტორო მოღვაწეობას. ოპერა „ლუჩია დი ლამერმურის“ დადგმით გაიხსნა პირველი საოპერო სეზონი თბილისში (1851), დაიდგა აგრეთვე „ლუკრეცია ბორჯა“ (1851), „ლინდა დი შამუნი“ (1852), „დონ პასკუალე“ (1853; აგრეთვე 1931-32, 1968-69 და 2004-2005 სეზონებში), „სიყვარულის წამალი“ (1854), „პოლკის ქალიშვილი“ (1857), „ფავორიტი ქალი“ (1864).

დრამა მუსიკით (dramma per musica), ოპერის პირვანდელი სახელწოდება, რომელიც შემოიღეს XVII ს-ში იტალიაში. XVIII ს-ში დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მას შეენაცვლა ჟანრული განსაზღვრება (ოპერა-ბუფი, ოპერა-სერია და ა. შ.)

დუბლბემოლი (ფრანგ. double-bemol ორმაგი ბემოლი), ადაბლებს ნოტს ერთი ტონით.

დუბლდიეზი (ფრანგ. double-diese ორმაგი დიეზი), ამაღლებს ნოტს ერთი ტონით.



დუდუკი, ხის ჩასაბერი საკრავი, გავრცელებულია კავკასიაში. შედგება ლულის მილაკის, ხუფისა და რეგულატორისაგან. ღილაკს ამზადებენ უმთავრესად ჭერმის, ასევე თუთისა და ბზის ხისაგან. მის ლულაზე ამოჭრილია ზემოდან 8 და ქვემოდან 1 ნახვრეტი (თვალი). ლულაში ჩადგმულია ლელის ან ლელქაშის ბრტყელი, ორმაგი მილაკი. დ-ის ბგერათრიგი დიატონურია. ნახვრეტების ნაწილობრივი დახურვისას მიიღება ქრომატიული ბგერათრიგიც. დ. როგორც საანსამბლო, ისე სოლო საკრავია. აქვს ნაზი, რბილი ხმოვანება. უპირატესად გამოიყენება ანსამბლში, რომელშიც გაერთიანებულია ორი

მედუდუკე და ერთი მედოლე. ცნობილია ანა ვარდიაშვილის, ხ. ტალგაუკოვის, ქსოვრელების ანსამბლები.

გ. ჩხიკვაძე

დუეტი (იტალ. duetto < იტალ და ლათ. duo ორი), 1. ორი შემსრულებლისაგან შემდგარი ანსამბლი; 2. მუს. პიესა (უფრო ხშირად ვოკალური) ინსტრუმენტის თანხლებით ან თანხლების გარეშე; 3. წყვილთა ცეკვა, რომელიც გამოირჩევა პარტნიორთა მოძრაობის პლასტიკური შეთანხმებით. დუეტი კლასიკური ფორმაა ბალეტში.

დუმბული, ძველ საქართველოში გავრცელებული დასარტყამი საკრავი. საბას განმარტებით-მცირე ნაღარა. გამოიყენებოდა სამხედრო ორკესტრში.

დუნაევსკი ისააკ ოსიპის ძე [18. I. 1900, ლოხვიცა, ახლანდ. პოლტავის ოლქი, –25. VII. 1955, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი, რსფსრ სახ. არტისტი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი, 1919 დ-იმ დაამთ. ხარკოვის კონს. (ი. ახრონის ვიოლინოს კლასი; კომპოზიციას ასწავლიდა ს. ბოგატირევი). 1924-იდან მოსკოვის სატირის თეატრის მუს. ნაწილის გამგე იყო. 1929-34 ლენინგრადის მიუზიკჰოლის მთ. დირიჟორი. დ. ავტორია 12 ოპერეტისა, რომელთაგან აღსანიშნავია: „სასიძოები“ (1927), „ოქროს ველი“ (1937), „ლაღი ქარი“ (1947), „კლოუნის ვაჟი“ (1950), „თეთრი აკაცია“ (1955) და სხვ.

დ. რუსული მუს. კინოკომედიის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. განსაკუთრებით პოპულარულია მის მიერ შექმნილი მუსიკა კფ-თვის: „მხიარული ახალგაზრდობა“ (1934), „სამი მეგობარი“ (1935), „მეკარე“ (1936), „ცირკი“ (1936), „კაპიტან გრანტის შვილები“ (1936), „ვოლგა-ვოლგა“ (1938) და სხვ. დ-მ შექმნა მასობრივი სიმღერის ახალი ნაირსახეობა სიმღერა-მარში („მხიარული ახალგაზრდობის მარში“, „სიმღერა კახოვკაზე“, „სპორტული მარში“, „სიმღერა მხიარულ ქარზე“, „ენთუზიასტების მარში“ და სხვ.). დ-ს ეკუთვნის ლირიკული სიმღერები, სიმღერა-ვალსები („სასკოლო ვალსი“, „იფრინეთ მტრედებო“ და სხვ.). ძალზე პოპულარული იყო მისი „სიმღერა სამშობლოზე“. იგი ბალეტების, აგრეთვე დრამ. სპექტაკლების მუსიკის ავტორიცაა.

დუოდეციმა (ლათ. duodecima მეთორმეტე), 1. მუს. გამის მეთორმეტე საფეხური. 2. ინტერვალი პირველსა და მეთორმეტე საფეხურს შორის.

დუოლი (იტალ. duol), 2-წილადი რიტმული ფიგურა, რომელიც არღვევს 3-წილადი ტაქტის პერიოდულობას. აღინიშნება ციფრით 2.

დულაშვილი ნუნუ (ნინო) ირადიონის ასული [7. VI. 1934, თბილისი], კომპოზიტორი და მომღერალი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1959 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. (ა. ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლ.). 1959-62 მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მუს. რედაქტორად. 1962-78 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ. „ნიჭიერთა ათწლედში“. 1968-იდან საქ.

ტელევიზიის მუს. განყ. უფროსი იყო. დ. ძირითადად სიმღერის ჟანრში მუშაობს. მისი სიმღერებისათვის დამახასიათებლია ეროვნ. კოლორიტი, ხალხ. მელოდიასთან სიახლოვე. დ. თავისი სიმღერების საუკეთესო ინტერპრეტატორიცაა. აქვს სასიამოვნო ტემბრის ხმა, შესრულების ორიგინ. მანერა. განსაკუთრებით პოპულარულია სიმღერები: ,,სიმღერა ქუთაისზე'', ,,იმერეთის ნიავო'', ,,ღმერთი სიყვარულისა'', ,,კახეთი'', ,,გადამრიე, გადამრიე'', ,,ქართულო მიწავ'', ,,სამშობლო'', ,,გიყვარდეს საქართველო'', ,,თბილისო სიყვარულო'' და სხვ. დაწერილი აქვს აგრეთვე საფ. კონცერტი, საფ. სონატა, მუსიკა დოკუმენტური კინოფილმებისათვის, მუს. კომედია ,,თავქარიანები'', საცეკვაო სიმფ. ორკესტრისათვის და სხვ.დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). ვარსკვლავი გაიხსნა დიდ საკონცერტო დარბაზთან (2012).

ე

ეგანი, უძვ. მრავალხმიანი მუს. საკრავი. ცალკეული მოსაზრებით—დასარტყამი, ტყავგადაკრული საკრავი, მსგავსი დაფისა და დაირისა. ზოგიერთი მოსაზრებით, ფანდურის მსგავსი სიმებიანი საკრავია. მოიხსენიება მრავალ ქართულ წერილობით წყაროებში. არსებობს ამ ტერმინის განსხვავებული განმარტებაც.

ეკზერსისი (ფრანგ. exercice), სავარჯიშო; ვარჯიში (ჩვეულებრივ, მუსიკაში).

ეკოსეზი (ფრანგ. ecossaise შოტლანდიური),1. კადრილის ტიპის ძველებური შოტლანდიური ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის. 2. ამ ცეკვის სტილის მუსიკალური ინსტრუმენტული პიესა.
ცნობილია ლ. ბეთჰოვენის, ფ. შუბერტის, ფ. შოპენის საფ. „ეკოსეზები“.

ელეგია (ბერძ. elegeia), სევდიანი ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები.

ელექტრონული მუსიკა, ელექტროგენერირებული ბგერების კომპოზიციაზე დამყარებული მუსიკა. ე.მ. ჩაწერილია უშუალოდ მაგნიტოფონის ლენტაზე ან გრამფირფიტაზე მუს. საკრავების გამოყენების გარეშე. ჩაწერილი მუსიკის ხმოვანებისათვის აუცილებელია რეპროდუქტორი. ე.მ-ის ძირითადი საფუძველია ტონი, რ-საც, ჩვეულებრივი მუს. ბგერებისაგან განსხვავებით, არა აქვს ობერტონები და წარმოადგენს განსაზღვრული სიმაღლის, ყოველგვარი ტემბრული შეფერილობისაგან გაწმენდილ ე.წ. სინუსოიდურ ტონს. ვინაიდან ე.მ-ის ელემენტების ფორმის რაოდენობა აღემატება ჩვეულებრივი მუს. ნოტაციის საშუალებებს, შემუშავებულია მისი გრაფიკული ჩაწერის სპეც. სისტემა აკუსტიკური დიაგრამების სახით. ე.მ. გამოიგონა გერმ. ინჟინერმა გ. აიმერტმა. 1950-იანი წლებიდან გამოყენებულია მუს. შემ-ში (კ. შტოკჰაუზენი, ე. კშენეკი, ვ. დენისოვი, ა. შნიტკე და სხვ.).

ელინგტონი (Ellington) ედუარდ კენედი [29. IV. 1899, ვაშინგტონი,–24. V. 1974, ნიუ-იორკი], ამერიკელი პიანისტი, კომპოზიტორი და ჯაზბენდის ხე-ლი, ერთ-ერთი უდიდესი ჯაზური მუსიკოსი, ჯაზის რამდენიმე მიმართულების ფუძემდებელი. მთელი რიგი პოპულარული მელოდიის („ქარავანი“, „მარტოობა“ და სხვ.) ავტორი, მას ეკუთვნის აგრეთვე მუსიკა კინოფილმებისა და თეატრ. დადგმებისათვის, საორკესტრო სიუიტები. ნაკლებად ცნობილია მისი ოპერები და ბალეტები. თავისი ორკესტრით უდიდესი წარმატებით აქვს შემოვლილი მთელი მსოფლიო.

ენაკი 1. ლერწმის ვიწრო ფირფიტა, რომელიც მთელ რიგ ჩასაბერ საკრავებში ფარავს

ჰაერის ჩასაბერ ხვრელს. ე. არსებობს ერთმაგი (გამოიყენება კლარნეტზე და საქსოფონზე) და ორმაგი (გამოიყენება ჰობოიზე, ფაგოტზე, ინგლისურ ქარახსაზე). ხალხური ენაკიანი საკრავებია: ბალაბანი, დუდუკი, ზურნა და სხვ. 2. ენაკიანი საკრავების მჟღერი დეტალი, ჩარჩოზე დამაგრებული ფირფიტა, რომლის თავისუფალი ბოლო არ ეხება ჩარჩოს კედლებს.

ენესკუ (Enescu) ჯორჯე [19. VIII. 1881, ლივენია, ჩრდ. მოლდოვა, ამჟამად ჯორჯე ენესკუ,–4. V. 1955, პარიზი], რუმინელი კომპოზიტორი, მევიოლინე, დირიჟორი, პიანისტი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე, რუმინეთის აკადემიის აკადემიკოსი (1932), რუმინული ეროვნ. მუს. სკოლის ფუძემდებელი. განათლება მიიღო ვენისა და პარიზის კონს-ში. 1907-იდან ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას, უმთავრესად, როგორც მევიოლინე, აგრეთვე დირიჟორი და პიანისტი. ე. ერთ-ერთ პირველი რუმინელი კომპ-ია,რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მის შემ-ში შერწყმულია ეროვნულ-ხალხური სტილისტიკა და მუს. რომანტიზმისა და იმპრესიონიზმის ტრადიციები. ძირითადი ნაწ-ია: ოპერა „ოიდიპოსი“ (1932), 3 სიმფონია (1905-1919), 3 სიუიტა, 2 „რუმინული რაფსოდია“, კამერულ-ინსტრუმ. ნაწ-ები. გამოდიოდა მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოსებთან (ბ. ბარტოკი, ე. იზაი, პ. კასალსი, ა. კორტო) ანსამბლში. მისი მოწაფე იყო ი. მენუჰინი.

ენჰარმონიზმი (ბერძ. en-ში და harmonia კეთილხმოვანება), 1. სხვადასხვა სახელწოდების ერთნაირი სიმაღლის ბგერების გაიგივება და გათანაბრება (მაგ. დო დიეზი –რე ბემოლი). არსებობს ენჰარმონიულად თანასწორი ინტერვალები (მაგ., პატარა ტერცია და გადიდებული სეკუნდა), აკორდები, ტონალობები და ენჰარმონიული მოდულაციები. ბგერებისა და ინტერვალების ესა თუ ის აღნიშვნა განისაზღვრება ბგერითი სისტემით ან მოცემულ კილოზე მათი დანიშნულებით.

2. ძვ. საბერძნეთში–ბგერითი სისტემა, რომელიც შეიცავს დაახლოებით 1/4 ტონის ინტერვალებს (ენჰარმონიული გადახრა).

ეპიგრაფი (ბერძ. epigrapbe), მუსიკალური ფრაზის დასაწყისი.

ეპიზოდი (ბერძ. epeisodion), მუსიკალურ – თეატრალური მოქმედების პატარა ნაწილი.

ეპიკური ოპერა, კლასიკური ოპერის სახესხვაობა, რომელმაც განვითარება მიიღო რუსეთში; ახასიათებს სიუჟეტების გამოყენება ხალხური ეპოსიდან, თქმულებებიდან, ლეგენდებიდან და ხალხური სიმღერების შემოქმედების ნიმუშებიდან. ეპიკური ოპერის მუსიკას და სცენურ მოქმედებას დინჯი თხრობითი ხასიათი აქვს. ამ ჟანრს მიეკუთვნება აგრეთვე ოპერა – ზღაპარი.

ეპილოგი (ბერძ. დასკვნა), ნაწარმოების დამამათვარებელი ნაწილი, რომელიც აჯამებს შემთხვევებსა და მოვლენებს.

ეპოსი (ბერძ. epos–სიტყვა, მოთხრობა), ხალხური საგმირო სიმღერები, პოემები, ლექსები, თქმულებები.

ანანია, არტემი, ვლადიმერი

ერქომაიშვილები, ხალხურ მომღერალ-მგალობელთა ტრადიციული ოჯახი: თომა, ივანე, გიორგი, გიგო და მისი ათი ქალ-ვაჟი, მათი შვილები და შვილიშვილები. განსაკუთრებით გამოირჩევა გიგოს სამი ვაჟი–არტემი, ანანია, ვლადიმერი და არტემის შვილიშვილი ანზორი (დავითის ძე).

არტემი [26. X. 1887, სოფ. მაკვანეთი ოზურგეთის რ-ნი,-2. II. 1967, ოზურგეთი], თვითნასწავლი კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. არტემი ურთულესი გურული სიმღერების შესრულებას დაეუფლა ბავშვობიდანვე. 1911 დაიწყო პედ. მოღვაწეობა. 1924-იდან ხელმძღვანელობდა ხალხურ გუნდებს ბათუმში, ოზურგეთში, მაკვანეთში. მართავდა კონცერტებს საქ. და სსრკ ქალაქებში. 1929 მისმა გუნდმა კონცერტები გამართა მოსკოვსა და ლენინგრადში და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1950-იდან ოზურგეთის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ხელმძღვანელობდა. იგი ქართული სასულიერო გალობის უბადლო შემსრულებელი იყო. თბ. კონს-ის ფოლკლორისტიკის კათედრის ლაბორატორიაში ინახება მის მიერ შესრულებული 200-მდე საგალობლის ჩანაწერი.

ანანია [3. I. 1894, სოფ. მაკვანეთი ოზურგეთის რ-ნი,- 3. I. 1977, თბილისი], მომღერალ-მგალობელი. არტემის მოწაფე. 1934-იდან დას. საქ. ეთნოგრაფიული გუნდის სოლისტი. ანანიას ჰქონდა მოქნილი, ფართო დიაპაზონის ხმა, ოსტატურად ასრულებდა ტესიტურისა და ხასიათის მხრივ განსხვავებულ ხმებს [ბანი, წვრილი, კრიმანჭული].

ვლადიმერი [23. II. 1897, სოფ. მაკვანეთი ოზურგეთის რ-ნი,-1982], ხალხური მომღერალი, ლოტბარი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. მან მოღვაწეობა დაიწყო არტემის გუნდში. 1937-50 ვლადიმერი ხელმძღვანელობდა ოზურგეთის რ-ნის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, 1968-იდან კი ამავე რ-ნის ხალხ. სიმღერა-გალობის სკოლის პედაგოგი იყო.



ერქომაიშვილი ანზორ დავითის ძე [10. VIII. 1940, ბათუმი], მომღერალი, საგუნდო დირიჟორი, ხალხ. სიმღერების შემკრები. საქ. სახ. არტისტი (1980), შოთა რუსთაველის სახ. (1988), საქ. სახელმწ. (1996), ზ. ფალიაშვილისა (1981) და ი. გოგებაშვილის სახ. (1993) პრემიების ლაურეატი, აგრეთვე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX საერთაშ. ფესტივალისა (სოფია, 1968) და ალბერტ შვაიცერის სახ. პრემიის ლაურეატი (1983). 1969 დაამთ. თბ. კონს. საგუნდო დირიჟორობის სპეციალობით (ვ. ფალიაშვილის კლ.), 1976 ასპირანტურა ხალხ. მუს. შემოქმედების სპეციალობით (ხე-ლი შ. ასლანიშვილი). 1961 აქვე ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „გორდელა“ (თ. ქევხიშვილთან, ბ, თოიძესთან, თ. ანდღულაძესთან, ა. დანელიანთან, თ. პავლოვთან, გ. სიხარულიძესთან, კ. ჭოხონელიძესთან ერთად).

1968 დაარსა ანსამბლი „რუსთავი“, ხოლო 1976 ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. მათთან ერთად შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ე-მა

ჩაიწერა და ნოტებზე გადაიტანა ხალხ. სიმღერების იშვიათი ნიმუშები. გამოსცა „ქართული ხალხური სიმღერების“ 2 კრებული (1972, 1980), „100 ქართული ხალხური სიმღერა“ (1988). თბილისისა და უცხოეთის არქივებში მან მიაკვლია 500-ზე მეტ ქართ. ხალხ. სიმღერის ფონოჩანაწერს და გამოსცა თანდართული გამოკვლევებითურთ: „პირველი გრამფირფიტები საქ-ში 1907-14“. 1992 ლონდონის მუს. არქივში მიაკვლია 127 ქართ. ხალხ. სიმღერის 1902-14 წლების გრამფირფიტებს. აქვე აღმოაჩინა ვ. სარაჯიშვილის ჩანაწერების მატრიცები (დედნები), რომელთა მეშვეობით (ნ. ანდღულაძის მონაწილეობით) მოხერხდა მომღერლის ხმის პირვანდელი სრულყოფილი ხმოვანების აღდგენა. ავტორია წიგნებისა: „ბაბუა“ (1980, არტემ ერქომაიშვილზე), „ძველი სიმღერების კვალდაკვალ“ (1979), „შავი შაშვი ჩიოდა“ (1989) და სხვ. ამჟამად ხალხური სიმღერის საერთაშ. ცენტრის სამხ. ხელმძღვანელია(თბილისი).

ესთეტიკა (ბერძ. aisthetikos გრძნობადი), ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ მხატვრულ შემოქმედებაში, ბუნებასა და ცხოვრებაში.

ე. მუსიკალურ–სამუსიკისმცოდნეო დისციპლინაა,რომელიც შეისწავლის მუსიკას როგორც ხელოვნების სპეციფიკურ დარგს, რაც გულისხმობს მხატვრული შემოქმედების კანონებისა და მუს. ხელოვნების კონკრეტული კანონზომიერების ანალიზს. ანტ. ხანაში მუს. ესთეტიკა შეიცავდა მუსიკის თეორიის როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ პრობლემებს. აღორძინების ეპოქიდან მუს. ესთეტიკა გამოიყო როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, მაგრამ მხოლოდ XIX ს-ში ხდება მისი, როგორც მუს. მეცნიერების განსაკუთრებული სფეროს კანონიზაცია. საკუთრივ ტერმინი მუს. ესთეტიკა პირველად გამოიყენა კ. შუბარტმა (1784). მუს. ე-ის წინაშე, მისი ისტორიული ფორმირებისა და მეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესში დაისვა სხვადასხვა სახის პრობლემა, რაც ყალიბდებოდა გარკვეულ ტრადიციებში.

ესიპოვა ანა ნიკოლოზის ასული [31. I (12 II). 1851,პეტერბურგი, –5(18). VIII. 1914, იქვე], გამოჩენილი რუსი პიანისტი და პედაგოგი. თ. ლეშეტიცკის მოწაფე. კონცერტებს მართავდა რუსეთსა და საზღვარგარეთ. 1893-იდან მოღვაწეობას ეწეოდა პეტერბურგის კონს-ში, შექმნა განთქმული პიანისტური სკოლა. მისი მოწაფე იყო ქართული პიანისტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ანასტასია ვირსალაძე.

ესტრადა (ფრანგ. estrade <ლათ. stratum ფიცარნაგი), 1. მსახიობთა, მუსიკოსთა, თეატრალური კოლექტივების გამოსვლებისათვის განკუთვნილი ამაღლებული ადგილი საკონცერტო დარბაზში ან ღია ცის ქვეშ. სცენისაგან განსხვავებით ესტრადას არა აქვს წინა და უკანა ფარდა, კულისები,სასცენო მანქანები. 2. ფართო გაგებით იგივეა, რაც საესტრადო ხელოვნება.

ეტიუდი (ფრანგ. etude შესწავლა, ვარჯიში), ინსტრუმენტული პიესა, რომელიც გამიზნულია შესრულების ოსტატობის, ტექნიკის განვითარებისათვის, პედ. პრაქტიკაში გავრცელებულია კლემენტის, ჩერნის, კრამერის (საფ.), კრეიცერის და როდეს (სავიოლინო) ეტიუდები. დიდი მხატვრული ღირებულება აქვთ შოპენის, ლისტის („ტრანსცენდენტური

შესრულების ეტიუდები“), პაგანინის („დიდი ეტიუდები“), დებიუსის, რახმანინოვის, სკრიაბინის და სხვა ეტიუდებს.

ექო–მხატვრული ხერხი, რომელიც გულისხმობს საგუნდო, საოპერო, საორკესტრო მუსიკალური ფრაზის ან თანახმიერების გამეორებას შესუსტებული ჟღერადობით (ცნობილია ო. ლასოს საგუნდო „ექო“).

ექსპოზიცია (ლათ. expositio ჩვენება), მუსიკაში, –სონატური ფორმის ან ფუგის პირველი მონაკვეთი, რომელიც გადმოგვცემს ძირითად თემებს (მარტივ ფუგაში ერთ თემას, რომელიც თანმიმდევრობით გადაიცემა ყველა ხმაში).

ექსპრესია (ლათ. expressio–გამოხატვა), მუსიკაში ამაღლებული გამომსახველობა.

ექსპრესიონიზმი (ფრანგ. expression–გამოსახვა, გამოვლენა), ერთ-ერთი გავრცელებული მოდერნისტული მიმდინარეობა XX ს-ის აზროვნებაში, განსაკუთრებით ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ფართო გაგებით, ასახავს უკიდურეს დაძაბულობასა და ტრაგიზმს თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნებასა და მთელ მის ეგზისტენციალურ ცნობიერებაში. აღმოცენდა XX ს-ის პირველ მეოთხედში, როგორც ევროპული ინტელიგენციის ტრაგიკული განცდის გამოხატულება I მსოფლიო ომისა (1914-18) და მის მომდევნო წლებში. ე. თანამედროვე სამყაროს აბსურდულობის წინააღმდეგ ინდივიდუალისტური ბუნტის გამოხატულებად იქცა. ე-ული ხელოვნების ცენტრშია სულის ავადმყოფური, ირაციონალური მდგომარეობა, რომელიც შიშითა და სასოწარკვეთილებით არის გამოწვეული. ყველაზე მკაფიოდ ე. წარმოდგენილია ავსტრიისა და გერმანიის ხელოვნებასა და ლიტერატურაში (მხატვრები ო. კოკოშკა, მ. ბეკმანი, ჟ. გროსი, მწერლები–ი. ბეხერი, ლ. ფრანკი და სხვ.).

მუსიკაში ე-ის ნიშნებით არის აღბეჭდილი ზოგიერთი გვიანდელი რომანტიკული ნაწარმოები (გ. მალერის ბოლო სიმფონიები, რ. შტრაუსის ოპერები „სალომე“ და „ელექტრა“). მუსიკალური ე-ის მთავარი წარმომადგენლები არიან ა. შონბერგი და მისი სკოლა (ა. ბერგი, ა. ვებერნი). ექსპრესიონისტების ოპერები (ფ. შრეკერის „შორეული ზარები“, 1912; შონბერგის „მოლოდინი“, 1909, „ბედნიერი ხელი“, 1913, „მოსე და აარონი“, 1932, ბერგის „ვოცეკი“ 1921 და სხვ.) გამსჭვალულია პესიმისტური განწყობილებით, ზოგჯერ-გროტესკით და მისტიკით. მუს. ხელოვნების ობიექტური ნორმების უარყოფამ ექსპრესიონისტები მიიყვანა თემატიზმის, კილოს, მელოდიისა და ჰარმონიის ფაქტობრივ უარყოფამდე. ე-ის გავლენა განიცადეს მრავალი ქვეყნის სამუსიკო სკოლებმა და ცალკეულმა კომპოზიტორებმა.

ექსპრომტი (ლათ. expromptus მზა; სწრაფი), ყოველგვარი მომზადების გარეშე სახელდახელოდ შეთხზული მუსიკალური ნაწარმოები. მისთვის დამახასიათებელია უშუალო ლირიზმი, აღფრთოვანება. ცნობილია შუბერტის, შოპენის, სკრიაბინის, ქართულ მუსიკაში– ა. მაჭავარიანის, ბ. კვერნაძის ექსპრომტები.

ვ



ვაგნერი (Wagner) რიხარდ [22. V. 1813, ლაიფციგი, –13. II. 1883, ვენეცია], გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუს. მწერალი და თეატრალური მოღვაწე. ვ. XIX ს-ის მეორე ნახ-ის უდიდესი კომპოზიტორია. მის სახელთანაა დაკავშირებული რომანტიკული მიმართულების უმაღლესი ეტაპი. მისი ნოვატორობა უმთავრესად გამოვლინდა საოპერო ჟანრში.

იგი იყო გენიალური კომპოზიტორი, შესანიშნავი დირიჟორი, ბრწყინვალე ლიტერატორი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და დრამატურგი. ვ. თვითონ ქმნიდა ლიბრეტოებს თავისივე ოპერებისათვის. იგი საოპერო ჟანრის დიდი რეფორმატორია, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ორკესტრს. 15 წლისამ დაიწყო მუსიკის შესწავლა. 1831 წლიდან იგი ლაიფციგის უნ-ტის სტუდენტი იყო; მუშაობდა ქორმაისტერად, შემდეგ–დირიჟორად მაგდებურგში, კენიგსბერგში, რიგასა და დრეზდენში. 1830 -იან წლებში დაწერა ოპერები „ფერიები“(1888), „სიყვარულის აკრძალვა“(1836), „რიენცი“ (1842), 1839-42 წლებში ცხოვრობდა პარიზში, სადაც შექმნა უვერტიურა „ფაუსტი“ და პირველი მნ. ოპერა (მუსიკალური დრამა) „მფრინავი ჰოლანდიელი“ (1843). 1843-49 დრეზდენის ოპერის თეატრის დირიჟორია, აქ დაიწერა ოპერები „ტანჰოიზერი“ (1845) და „ლოენგრინი“ (1850). მონაწილეობდა დრეზდენის აჯანყებაში(1849). 1849-58 ცხოვრობდა შვეიცარიაში. მუშაობდა საოპერო ტეტრალოგიის „ნიბელუნგის ბეჭდის“ ლიტ. ტექსტსა და მუსიკაზე: 1852-59 დაწერა ტეტრალოგიის პირველი ორი ნაწილი – „რაინის ოქრო“ და „ვალკირია“, 1857–59 შექმნა ოპერა „ტრისტან და იზოლდა“, დაიდგა 1865 მიუნხენში, 1868 დაიდგა მისი ერთადერთი კომიკური ოპერა „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები“, 1871-74 დაასრულა ტეტრალოგიის უკანასკნელი ნაწილები: „ზიგფრიდი“ და „ღმერთების აღსასრული“. სრული სახით ტეტრალოგია დაიდგა ქ. ბაიროითში 1876 ბაიროითის თეატრში (აქ დღემდე ყოველწლიურად იმართება ვაგნერის საოპერო მუსიკის ფესტივალები). თავისი საკომპ. მოღვაწეობა დაამთავრა 1882 ოპერა-მისტერიით „პარსიფალი“. მერყევი იყო ვ-ის ესთეტიკური, საზოგადოებრივი და მსოფლმხედველობითი შეხედულებების ევოლუცია, სხვადასხვა დროს მასზე გავლენა მოახდინეს ლ. ფოიერბახის, ა. შოპენჰაუერისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიურმა მოძღვრებამ. ძალზე ვრცელია ვ-ის ლიტ. მემკვიდრეობა (ლიბრეტოები, დრამები, ესთეტიკური, პოლიტიკური და ფილოს. ნარკვევები, რეცენზიები, წერილები და ა. შ.). მის თეორიულ ნაშრომებს შორის მთავარია –„ოპერა და დრამა“ (1849-51), რომელშიც მკაცრადაა გაკრიტიკებული ძვ. ოპერა და ჩამოყალიბებულია საოპერო ჟანრის (მუს. დრამის) მისეული კონცეფცია.

ვ-მა უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე და მომდევნო ეპოქების მსოფლიო მუსიკაზე, შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედებიდან გამოიზარდა მომდევნო ეპოქის ორი უმთავრესი

მიმართულება მუს. ხელოვნებაში–იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი. განსაკუთრებით ძლიერი იყო ვ-ის მუსიკის ზემოქმედება საოპერო დრამატურგიის, საორკესტრო ხელოვნების, უწყვეტი სიმფონიური განვითარების („უსასრულო მელოდიის“) და მუსიკალური ენის (განსაკუთრებით ჰარმონიის) სფეროებში.

ვ-ის ოპერებიდან თბილისში დადგმულია „ტანჰოიზერი“ (1886), „ლოენგრინი“(1890, 1922, 1973) და „მფრინავი ჰოლანდიელი“ (1976).

ვალსი (ფრანგ. valse, გერმ. walzer), წყვილთა (ქალ-ვაჟთა) სამეჯლისო ცეკვა დაფუძნებულია წინსვლით მოძრაობასთან შერწყმულ ნარნარ ტრიალზე. მუს. ზომა 3/4, იშვიათად 3/8, 6/8. წარმოიშვა სამხრეთ გერმ., ავსტრ., ჩეხეთის, ხალხური ცეკვებიდან. XIX ს-ში ევროპის თითქმის ყველა ფენაში გავრცელდა. ვ. ძალზე პოპულარული ცეკვა და მუს. ჟანრი გახდა ი. ლანერის, ი. შტრაუსისა (მამა) და ი. შტრაუსის (შვილი) შემოქმედების წყალობით. ვ-ბი შექმნეს: კ. ვებერმა, ფ. შოპენმა, ჰ. ბერლიოზმა, ფ.ლისტმა, რ. შუმანმა, ი. ბრამსმა, ე. გრიგმა და ა.შ., რუსულ სიმფ. მუსიკაში– მ. გლინკამ, პ. ჩაიკოვსკიმ, ა. გლაზუნოვმა, ს. პროკოფიევმა. ვ-ის ჟანრი შეიძლება საფუძვლად დაედოს რომანსს, საოპერო არიას, სიმფონიის ნაწილს. ვ-ს ფართოდ იყენებენ ბალეტში, ოპერეტაში, დრამისა და კფ-თვის დაწერილ მუსიკაში.

ვალტერი (Walter) ბრუნო (ბრუნო ვალტერ შლეზინგერი) [15. IX. 1876,ბერლინი,–17. II. 1962,ბევერლი ჰილსი, აშშ], გერმანელი დირიჟორი. 1896-იდან იყო საოპერო დირიჟორი სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ბერლინში,1901-12 ვენის სახელმწ. ოპერაში (გ. მალერის ასისტენტი), 1913-22 მიუნხენის ეროვნული თეატრის, 1925-იდან ბერლინის სახელმწ. ოპერის „გენერალ-მუზიკ-დირექტორი“, 1929-33 ლაიფციგში „გევანდჰაუსის“ დირექტორი, 1936-38 ვენის სახელმწ. ოპერის დირიჟორი, 1939-იდან აშშ-ში ცხოვრობდა (1946 მიიღო ამერიკის მოქალაქეობა). კლასიკოსი კომპოზიტორების მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ინტერპრეტატორი. ზალცბურგის ფესტივალების ერთ-ერთი დამაარსებელი და მონაწილე.



ვალტორნა (გერმ. Waldhorn–ტყის რქა), უძველესი სასულე მუნდშტუკიანი საკრავი, ხასიათდება რბილი ბგერით. ვ. შედის სასულე ორკესტრისა და სიმფ. ორკესტრის შემადგენლობაში. თანამედროვე ვ. ფა წყობისაა (იშვიათად სი ბემოლისა). მის პარტიას წერენ ვიოლინოს გასაღებით, ჩვეულებრივ ხმოვანებაზე კვინტით მაღლა. ფა წყობის ვ-ის დიაპაზონია კონტროქტავის სი-დან მეორე ოქტავის ფა-მდე.

ვარდელი კონსტანტინე პეტრეს ძე[15.V. 1939, ლენინგრადი, –19.VI.2017, ინგოლშტადტი, გერმანია, დაკრძალულია თბილისში], მევიოლინე, საქ. სახ. არტისტი (1980), შოთა რუსთაველის (1992) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების ლაურეატი. საქ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის წევრი (1966-იდან). სიმებიანი კვარტეტების ლ. ვაინერის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1973, ბუდაპეშტი, კვარტეტის სხვა წევრებთან ერთად, ღირსების ორდენის კავალერი(2001)). 1963 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ლ. შიუკაშვილის კლ.). 1963-66 სწავლობდა ასპირანტურაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში



ეწეოდა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას. საქართველოს სიმებიან კვარტეტთან ერთად კონცერტებს მართავდა ყოფილ სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ასრულებდა ქართ. რუს და დას. ევრ. კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. 1966-90 და 2005-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ. კონს-ში (1984-იდან პროფ.). 1993-2005 მოღვაწეობდა გერმანიაში. 2005-2016 კონცერტებს მართავდა საქართველოს სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაში. დაჯილდოებულია საქართველოს ეროვნული პრემიით (2010).

ვარეზი (Varese) ედგარ [22. XII. 1885, პარიზი, -7. XI. 1965, ნიუ-იორკი], ამერიკელი კომპოზიტორი, დირიჟორი. ეროვნებით ფრანგი. სწავლობდა ა. რუსელთან, ვ. დ'ენდისთან და შ. ვიდორთან. დირიჟორობდა გუნდებსა და ორკესტრებს ბერლინში, პრაღაში, ნიუ-იორკში (1908-19). 1915-იდან ცხოვრობდა ნიუ-იორკში, იყო კომპოზიტორების პანამერიკული ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. ეძებდა ახალ მუსიკალურ ხმოვანებებს, ცდილობდა საკრავთა აკუსტიკური შესაძლებლობების გაფართოებას. მის ნაწ-თა შორის აღსანიშნავია პიესა „ჰიპერირიზმა" სასულე და დასარტყამი საკრავებისათვის (1923), „ინტეგრალები" კამერული ორკესტრისა და დასარტყამებისათვის (1925), „იონიზაცია" 13 დასარტყამი საკრავისათვის (1931), „ეკვატორიალი" ორგანის, დასარტყამების, საყვირების, ტრომბონების, 2 მარტენოს ტალღებისა და ბანისათვის (1934). ავტორია ნაშრომებისა ელექტრონული მუსიკის შესახებ და მუს. კრიტიკულ წერილებისა.

ვარიაციები (ლათ. variatio–ცვალებადობა), 1. მუსიკალური თემის (მუს. აზრის) გარდაქმნა ან განვითარება მელოდიური, ჰარმონიული, რიტმული, პოლიფონიური ან ინსტრუმენტულ-ტემბრული საშუალებებით. ვ. საკომპოზიციო სტრუქტურაში წარმოადგენს საწყისი თემის გამდიდრებასა და გაფართოებას, მუს. ნაწარმოების განვითარებას. გვხვდება როგორც ხალხურ, ისე პროფესიულ მუსიკაში. ამა თუ იმ თემაზე შეიძლება შეიქმნას მრავალი ვარიაცია.

2. ბალეტში-მცირე ზომის ტექნიკურად რთული კლასიკური სოლო-ცეკვა. სრულდება ცოცხლად, სწრაფი ტემპით.

ვარიაციული ფორმა, ვარიაციები, თემა ვარიაციებით, ვარიაციული ციკლი–მუს. ფორმა, რომელიც შედგება თემისა და მისი რამდენიმე შეცვლილი განმეორებისაგან (ვარიაციისაგან). თემა შეიძლება იყოს ორიგინალური ან ნასესხები. თემის ტიპური თვისებებია: სასიმღერო ხასიათი; ფორმა-პერიოდი ან მარტივი ორი, უფრო იშვიათად, სამნაწილიანი; ფაქტურისა და ჰარმონიის ეკონომიურობა, რაც მდიდრდება ვარიაციული განვითარების პროცესში. ცნობილია ვარიაციების შემდეგი ტიპები: მკაცრი (შენარჩუნებულია თემის ტონალობა, ჰარმონიული გეგმა და ფორმა) და თავისუფალი (ჰარმონიის, ფორმის, ჟანრული იერსახის შეცვლით), ხოლო ვარირების მეთოდის თვალსაზრისით: – ორნამენტული (ანუ ფიგურაციული), ჟანრულ-

სახასიათო და სხვ. ვარიაციები შეიძლება იყოს ოსტინატური (თემა უცვლელად მეორდება ერთ ხმაში) და არაოსტინატური, თემების რაოდენობის მხრივ – ერთთემიანი და ორმაგი (სამმაგი).

ვ. ფ. ჩაისახა ხალხურ მ-ში და ფართოდ გამოიყენება მასში. პროფეს. მუსიკაში სხვადასხვა ეპოქაში გავრცელებული იყო სხვადასხვა ტიპის ვ-ები:ძველებურ მუსიკაში ბასსო ოსტინატო (მუდმივ ბანზე), ვენის კლასიკოსებთან–მკაცრი ფიგურაციული ვ-ები, XIX ს-ში თავისუფალი ჟანრულ-სახასიათო (მაგ. შუმანის „სიმფ. ეტიუდები“), XX ს-ში ყველა ზემოჩამოთვლილთა მოდიფიკაციები. ვ. ფ-ის პროფეს. ნიმუშთაგან XIII ს-იდან გავრცელდა პოლიფონიური ვარიაციები კანტუს ფირმუსზე („მკვიდრი ჰანგი“, მთავარი მელოდია), XVI ს-იდან– პასაკალია და ჩაკონა. ფიგურაციული ვარირება დაკავშირებულია ევროპული ინსტრუმენტალიზმის განვითარებასთან ვ. ფ-ით იწერება მსხვილი დამოუკიდებელი ნაწ-ები (მაგ. ს. რახმანინოვის „ვარიაციები პაგანინის თემაზე“), ციკლების ნაწილები (უპირატესად –ნელი ნაწილები, მაგ. ბეთჰოვენის მე-7 სიმფ. მე-2 ნაწილი, ს. პროკოფიევის მე-3 საფ. კონცერტის მე-2 ნაწ.), დიდი ფორმის მონაკვეთები (მაგ. დ. შოსტაკოვიჩის მე-7 სიმფ. I ნაწ.), აგრეთვე არიები, გუნდები, სიმღერები და სხვ.

ვარიეტე (ფრანგ. variete), სახეობა თეატრისა, რ-ის წარმოდგენებში შერწმულია თეატრალური, მუსიკალური, საესტრადო და საცირკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრი. ვ-ს სპექტაკლები გასართობი ხასიათისაა და შეიცავს კომ. ელემენტებს, ირონიას, პაროდიას.

ვარლამოვი ალექსანდრე ეგორის ძე [15. XI. 1801, მოსკოვი,–15.X. 1848, პეტერბურგი], რუსი კომპოზიტორი. 1819-23 ჰაგაში რუსული საელჩოს ეკლესიაში ასწავლიდა გალობას. 1823 სამშობლოში დაბრუნდა. ასწავლიდა სიმღერას, გამოდიოდა როგორც მომღერალი და დირიჟორი. 1832-44 მუშაობდა მოსკოვის თეატრებში (კაპელმაისტერის თანაშემწე და „მუსიკის კომპოზიტორი“). 1840 გამოსცა „სიმღერის სრული სკოლა“– პირველი სახელმძღვანელო ვოკალურ მეთოდიკაში რუსულ ენაზე.

ვ-ის შემოქმედებაში გამორჩეულია სიმღერები და რომანსები (200-მდე). იგი XIX ს-ის I ნახ. ვოკალური ლირიკის ოსტატია. ვ-ს ზოგიერთი სიმღერა გახალხურდა. დაწერილი აქვს მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის, საგუნდო და კამერული ნაწარმოებები და სხვ.

ვაწაძე ნუგზარ მიხეილის ძე [10.VI. 1937, თბილისი,-09.06.2018, იქვე], ქართველი კომპოზიტორი. საქ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1983). 1961 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს-ის საკომპოზიციო განყოფილება (პედ. ა. ბალანჩივაძე).

ნაწარმოებები: ოპერეტა „ბერიკები“(1984), საფორტეპიანო კონცერტი, სიმებიანი კვარტეტი „E DUI“(1960. I პრემია ახალგაზრდა კომპოზიტორთა საკავშირო შემოქ. დათვალიერებაზე 1962), „იუმორესკა“ სიმფ. ორკესტრისათვის, საორკესტრო სიუიტა, გუნდები, საესტრადო სიმღერები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის მ.შ. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1962 ა. კერესელიძესთან ერთად), „პიერი მილიციის თანამშრომელი“ (1965), „ცისკრის ზარები“ (1967), „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „სოფლის აშიკი“ და სხვ. მოკლემეტრაჟიანი „სალამურა“

(1964); ანიმაციური „ნარცისი“ (1964), „ო, მოდა, მოდა“ (1968), „ბომბორა“ (1968), „ასე იბადებიან ვარსკვლავები“(1968), „ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ“ და სხვ.

ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული [23. XII. 1893. ვარშავა,–31.X.1976, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). მუს. განათლება მიიღო თბ. სამუსიკო სასწავლებელში. 1927 დაამთ. პარიზის კონს. (პ. ვიდალის საკომპ. კლ.). 1921-26 იყო თბ. სამუსიკო სკოლის დირექტორი, შ. რუსთაველის და კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრების მუს. ნაწილის გამგე. 1933-71 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში. ვ-ის ნაწარმოებებია: ერთაქტიანი ბალეტები „ბახუსის დღესასწაული“ (1919), „სიყვარულის ბანგი“ (1920), „სპარტაკი“ (1937– ქართული ბალეტის შექმნის პირველი ცდები), პანტომიმები „მზეთამზე“ (1929), „ხანძარი“ (1930), მუს. კომედია „დონ ჰილი–მწვანე შარვალი“, მუსიკა სპექტაკლებისათვის („ცხვრის წყარო“, „ურიელ აკოსტა“ კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში; „ვერაგობა და სიყვარული“, მოსკოვის მცირე თეატრში და სხვ.). ვ. ავტორია წიგნისა „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან“ (1976).

გ. ტორაძე

ვებერი (Weber) კარლ მარია ფონ [19. XI. 1786, ოიტინი,–5. VI. 1826, ლონდონი], გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი. გერმ. რომანტიკული ოპერის შემქმნელი. საერთო და მუს. სისტემატური განათლება არ მიუღია. იღებდა კერძო გაკვეთილებს ფ-ნოსა და კომპოზიციაში. 17 წლის ასაკში უკვე გამოჩენილი პიანისტი და მრავალი ნაწარმოების ავტორი იყო. 1804-იდან მუშაობდა საოპერო თეატრების დირიჟორად გერმ. სხვადასხვა ქალაქში. 1813-17 ხელმძღვანელობდა ოპერის თეატრს პრაღაში. 1817-იდან სიცოცხლის ბოლომდე დრეზდენის მუს. თეატრის ხე-ლი იყო. ამ პერიოდში შეიქმნა მისი შემოქმედების მწვერვალი–ოპერა „თავისუფალი მსროლელი“ („ფრაიშუტცი“, 1821), რომელიც 1821 დაიდგა ბერლინში ავტორის ხელმძღვანელობით, ამ ოპერაში ვ. ეყრდნობა ხალხურ მუს. შემოქმედებას, ფართოდ იყენებს ყოფით ჟანრებს (ვალსი, მარში, სიმღერა). ამ ოპერამ დიდი გავლენა მოახდინა რომანტ. ოპერის შემდგომ განვითარებაზე და კერძოდ, ნიადაგი შეამზადა რ. ვაგნერის მუს. დრამებისათვის. მას დაწერილი აქვს აგრეთვე ოპერები: „ობერონი“ (1826), „ევრიანტა“ (1823) და სხვ. სონატები, 2 სიმფონია, 2 უვერტიურა; საფ. კონცერტი, („კონცერტშტიუკი“, 1821), ცნობილი საფ. პიესა „ცეკვაზე მიპატიჟება“ (1819), კამერული ნაწარმოებები, სიმღერები და სხვ.

ვებერნი (Webern) ანტონ [3. XII, 1883, ვენა,–15. IX. 1945, მიტერზილი, ზალცბურგის მახლობლად], ავსტრიელი კომპოზიტორი და დირიჟორი, „ვენის ახალი სკოლის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, იყო ა. შონბერგის მოწაფე (1904-08), 1908-იდან მუშაობდა სიმფ. და საოპერო დირიჟორად ავსტრ. და გერმ. ქალაქებსა და პრაღაში, ხელმძღვანელობდა ვენის მუშათა სიმღერის საზოგადოებას. 1928-

38 იყო ავსტრიის რადიოს დირიჟორი. ა. შონბერგთან და ა. ბერგთან ერთად. ვ. „ვენის ახალი სკოლის“ მთავარი წარმომადგენელია და ითვლება ახალი მუს. მსოფლმხედველობის შემქმნელად. მისი შემოქმედება თანამედროვე დასავლური მუს-ის ერთ-ერთი სათავეა, რომელმაც განსაზღვრა „მუს. ავანგარდიზმის“ მიმდინარეობანი. ვ-ს ეკუთვნის საორკესტრო (სიმფონია 1928, კონცერტი 9 სოლო საკრავისათვის 1934), კამერულ-ინსტრუმ. (სიმებიანი კვარტეტი 1938) ნაწ-ები, კანტატები, გუნდური სიმღერები. მათთვის დამახასიათებელია უკიდურესი ლაკონიზმი, აფორისტულობა. ვ-ის უაღრესად გამჭვირვალე მუს. ქსოვილი თითქოსდა ცალკეული წერტილებისაგან შედგება. ამ მეთოდმა მიიღო პუანტილიზმის სახელწოდება. ვ-ის მთელი შემოქმედება ჩაწერილია 4 ხანგრძლივხმოვან ფირფიტაზე. გამოცემულია მისი საუბრების ციკლი „გზა ახალი მუსიკისაკენ“ (1960).

ვენიავსკი ჰენრიკ [10. VII. 1835, ლიუბლინი,–31. III. 1880, მოსკოვი], პოლონელი მევიოლინე და კომპოზიტორი. დაამთ. პარიზის კონს. ორივე სპეციალობით. 1848-იდან გასტროლებს მართავდა ევროპის ქვეყნებში, 1872-74 იყო აშშ-ში (ა. რუბინშტეინთან ერთად). 1860-72 პეტერბურგში სამეფო კარის სოლისტია. 1862-68-პეტერბურგის, ხოლო 1875-77 ბრიუსელის კონს-ის პროფესორი. ვ. რომანტ. საშემსრულებლო ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენელია. თავისი ნაწ-ებით (2 სავიოლინო კონცერტი, „ლეგენდა“, პოლონეზები და სხვ.) მან გაამდიდრა სავიოლინო რეპერტუარი. მის მუსიკას პოლონური საშემსრულებლო სტილის ეროვნული თვისებები ახასიათებს. ვ-ის სახელს ატარებს საერთაშორისო მუს. კონკურსები პოლონეთში.

ვენის ახალი სკოლა–ა. შონბერგისა და მისი ვენელი მოწაფეების შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომელიც 1900-იან წლებში ჩამოყალიბდა. მისი მამამთავრის გარდა უმთავრესი წარმომადგენლებია: ა. ბერგი, ა. ვებერნი, აგრეთვე ე. ველესი, ჰ. აისლერი (შემ-ის ადრინდ. პერიოდში). ვ. ა. ს-ის კომპ-ის მოღვაწეობა დაემთხვა სოციალური და კულტურული კრიზისის ეპოქას დას. ევროპაში, რამაც მნიშვნელოვან წილად განსაზღვრა მათი შემ-ის სირთულე და იდეური წინააღმდეგობები. მისთვის დამახასიათებელია ექსპრესიონისტული ტენდენციები (შონბერგის მონოდრამა „მოლოდინი“), „პატარა ადამიანის“ ტრაგედიისადმი სოციალური თანაგრძნობა (ბერგის ოპერა „ვოცეკი“), პროტესტი ძალადობის მიმართ (შონბერგის კანტატა „გადარჩენილი ვარშავიდან“). შონბერგისა და ბერგის შემ-ში ვითარდება ავსტრიულ-გერმანული გვიანდელი რომანტიზმის ტრადიცია, ხოლო ვებერნის მუსიკის ესთეტ. საფუძვლები–მუს. დროის ახლებური აღქმა–ორიენტირად იქცა ომის შემდგომი თაობის მთელ რიგ კომპ-თვის. ვ. ა. ს-ის კომპ-მა მოახდინეს მუს. ენისა და სტილის რადიკალური განახლება, რაც გამოიხატა ტონალურ (მაჟორ-მინორულ) სისტემაზე უარის თქმაში (იხ. ატონალობა), დოდეკაფონიის მეთოდის აღმოცენებაში და სხვ. ვ. ა. ს. „ახალი მუსიკის“–მოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ XX ს. მრავალი გამოჩენილი კომპოზიტორი არ იზიარებდა მის შემ-ით პრინციპებს.

ვენის კლასიკური სკოლა, XVIII ს. II ნახევარში ვენაში ჩამოყალიბებული მუსიკალური მიმართულება, რომლის მთავარი წარმომადგენლებია გენიალური კომპოზიტორები: ი. ჰაიდნი, ვ. მოცარტი და ლ. ბეთჰოვენი. ამ სკოლასთან იყო დაკავშირებული კ. გლიუკის

შემოქმედებაც, რომელმაც სწორედ ვენაში მისცა დასაბამი თავის საოპერო რეფორმას. ვ. კ. ს-ის უკანასკნელი და უმაღლესი ეტაპია ლ. ბეთჰოვენის შემოქმედება (XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწ.). სინამდვილის რეალისტურად ასახვა, ნათელი ოპტიმიზმი, ჰუმანიზმი და დემოკრატიულობა ის საერთო ნიშნებია, რომლებიც განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობის მიუხედავად, აერთიანებს ვენის კლასიკოსებს. ვ. კ. ს-ის ხელოვნებაში საბოლოოდ ყალიბდება კლასიკური სიმფონიის, სონატის, კონცერტის, კვარტეტის ჟანრები, კლასიკური სონატური და ვარიაციული ფორმები, საოპერო და სიმფონიური ორკესტრის ახალი ეტაპი. ხდება საოპერო ჟანრის რეფორმა. ვ. კ. ს-ამ მთელი ეპოქა შექმნა მუსიკის ისტორიაში.

ვენის სახელმწიფო ოპერა (1918-მდე ვენის სამეფო კარის ოპერა), ავსტრიის უდიდესი საოპერო თეატრი და მუსიკალური კულტურის ცენტრი. დაარსდა XVII ს-ის შუა წლებში. XVII-XVIII სს-ში საოპერო სპექტაკლები იდგმებოდა სხვადასხვა თეატრში. XVIII ს. შუა წლებიდან ვენის სახელმწ. ოპერაზე დიდი გავლენა იქონია კ. გლიუკის საოპერო რეფორმამ. ჩამოყალიბდა ეროვნული საოპერო სტილი. XIX ს-ში ოპერის სცენაზე დაიდგა ავსტრიელი, იტალიელი და ფრანგი კომპოზიტორების ნაწარმოებები. 1869 თეატრმა მიიღო საკუთარი შენობა, სადაც წლების განმავლობაში იდგმებოდა ვ. მოცარტის, ლ. ბეთჰოვენის, რ. ვაგნერის, ჯ. ვერდის, კ. დებიუსის, რ. შტრაუსის ოპერები. დას. ევროპაში პირველად ვენაში წარმოადგინეს პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“, „იოლანტა“. XX ს-ის დასაწყისში თეატრის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ა. შონბერგის, ე. ქშენეკის, ა. ბერგისა და სხვ. ოპერებს. 1945 ვენის დაბომბვის დროს თეატრის შენობა დაინგრა (აღადგინეს 1955). კლასიკასთან ერთად იდგმებოდა თანამედროვე კომპოზიტორთა (კ. ორფი, ვ. ეგკი, პ. ჰინდემითი, ფ. პულენკი, ი. პიცეტი) ნაწარმოებები. აქ გამოდიოდნენ საუკეთესო მომღერლები, უდიდესი დირიჟორები—კ. კრაუსი, რ. შტრაუსი, ბ. ვალტერი და სხვ. 1956-64 თეატრს ხელმძღვანელობდა ჰ. კარაიანი.



ვერდი (Verdi) ჯუზეპე [10. X. 1813, რონკოლე, პარმის პროვინცია,–27, I, 1901, მილანი], იტალიელი კომპოზიტორი. 7 წლიდან სწავლობდა ორგანზე დაკვრას, 12 წლისა ეკლესიის ორგანისტი იყო. პირველი ცდები კომპოზიციაში 1828 განეკუთვნება (უვერტიურები, მარშები სასულე ორკესტრისათვის, საფ. პიესები). 1831 ვ. გამოცდებს აბარებს მილანის კონს-ში, სადაც არ მიიღეს, როგორც პროფესიულად შეუფერებელი. ვ. მეცადინეობს „ლა სკალას“ თეატრის დირიჟორ ვ. ლავინიასთან, რომელმაც შეძლო ვ-ის ნიჭის დაფასება და მისთვის სწორი მიმართულების მიცემა. პირველმა ოპერებმა „ობერტო“, „ვრაფი ბონიფაჩო“ (1839), „ნაბუქო“(1842), „ერნანი“ (1844), „მაკბეტი“ (1847) ვ-ს ფართო აღიარება მოუტანა. მსოფლიო სახელი მოუხვეჭა 50-იან წლებში შექმნილმა ოპერებმა „რიგოლეტომ“ (1851), „ტრუბადურმა“ (1853), „ტრავიატამ“ (1853). ამ ოპერებში რომანტ. ტენდენციები ადგილს უთმობს მკაფიო რეალიზმს,

ღრმა ფსიქოლოგიზმს. კომპოზიტორის ყურადღების ცენტრშია უბრალო ადამიანების ბედი (ვიოლეტა, რიგოლეტო, აზუჩენა), სოციალური უთანასწორობა. 1871 დაიდგა ვ-ის ერთ-ერთი საუკეთესო ოპერა „აიდა“, რომელიც მიეძღვნა სუეცის არხის გახსნას. ოპერაში აღმოსავლური ეგზოტიკა, თეატრალური ბრწყინვალება და პომპეზურობა შერწყმულია ღრმა ფსიქოლოგიზმთან და დრამატიზმთან. რეალისტური ხელოვნების შედევრი და ფსიქოლოგიური მუს. დრამის ბრწყინვალე ნიმუშია ოპერა „ოტელო“ (1887). ვ-ის უკანასკნელი ოპერა „ფალსტაფი“ გონებამახვილური, კომიკური იტალიური ოპერა–ბუფის ჟანრის ნაწარმოებია განახლებულ მუს. დრამატულ საფუძველზე (1893). ვ. ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი უდიდესი საოპერო კომპოზიტორია. მუს. ისტორიაში ვ. შევიდა როგორც საოპერო ხელოვნების რეფორმატორი, სწორუპოვარი კომპოზიტორი–დრამატურგი. იდეურ-მხატვრულმა სიმდიდრემ, ჰუმანისტურმა სულმა, იტალიის ეროვნ.-დემოკრატიულ კულტურასთან კავშირმა განაპირობა ვ-ის ოპერების პოპულარობა მთელ მსოფლიოში. იტალიელი მწერლის ა. მანძონის ხსოვნის აღსანიშნავად ვ-მ შექმნა განთქმული რეკვიემი (1874). ვ-ის ეკუთვნის 26 ოპერა (დასახელებულის გარდა–„სიცილიური მწუხრი“(1855), „სიმონ ბოკანეგრა“(1857), „ბალ-მასკარადი“ (1859), „ბედისწერის ძალა“(1862), „დონ კარლოსი“(1867) და სხვ.), რეკვიემი, კანტატები, სიმებიანი კვარტეტი, ვოკალური ანსამბლები, რომანსები, სიმღერები და სხვ. თბილისის საოპერო თეატრში დადგმულია ვ-ის ყველა ცნობილი ოპერა.

ვერიზმი (იტალ. verismo,vero–ნამდვილი, მართალი), მიმართულება იტალიურ მუსიკაში ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში, რომელიც წარმოიშვა XIX ს. დასასრულს. ვერისტული ოპერის პირველი ნიმუშებია: პ. მასკანის ოპერა „სოფლის ღირსება“(1890) და რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“ (1892),რომლებმაც პოპულარობა მოიპოვეს მთელ მსოფლიოში; საოპერო ვერიზმის კლასიკური ნიმუშებია: ჯ. პუჩინის „მანონ ლესკო“ (1893), „ბოჰემა“ (1896), „ტოსკა“ (1900), „ჩიო-ჩიო-სანი“ (1904) და სხვ. ვ-ის სხვა წარმომადგენლებია: უ. ჯორდანო („ანდრე შენიე“), ფ. ჩილეა („არლელი ქალი“), ფ. ალფანო და სხვ. იტალ. ვ-ის გავლენა ჩანს ფრანგულ (ა. ბრიუნო, გ. შარპანტიე), გერმანულ (ე. დ’ალბერი) და სხვ. ოპერებში, მოგვიანებით თავს იჩენს ჯ. მენოტის ოპერებში.

ვერჯინელი (ინგლ. Virginal), კლავიშიანი მუსიკალური საკრავი, მცირე ზომის კლავესინის ნაირსახეობა. შედგება სწორკუთხა უფეხო ყუთისა და დიაგონალურად დაჭიმული სიმებისაგან (დიაპაზონი 4 ოქტავამდე). აქვს რბილი, ნაზი ხმა. დაკვრისას მაგიდაზე დებენ. ვ. გავრცელებული იყო XVI-XVII სს. ინგლისში. გამოჩენილი ვერჯინელისტები იყვნენ უ. ბერდი, ჟ. ბული, ჯ. ფარნაბი.

ვესტიბიული (ფრანგ. vestibule), თეატრში დიდი წინა ოთახი მთავარ შესასვლელთან.

ვიბრატო, ვიბრაცია (იტალ. vibrato, ლათ. vibratio–რხევა), სიმებიანი საკრავის დაკვრის ან სიმღერის შესრულების ხერხი–ხმის რხევა, ნარნარი.

ვიეტანი (Vieuxtemps) ანრი [17, II, 1820, ვერვიე,–6, VI, 1881, მუსტაფა, ალჟირი], ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი, პედაგოგი. შ. ბერიოს მოწაფე. 7 წლიდან მართავდა კონცერტებს 1838-40 და 1845-52 მუშაობდა რუსეთში. ვ. რომანტ. მიმდინარეობის ერთ-

ერთი უდიდესი მევიოლინეა, ავტორია 7 ვირტუოზული სავიოლინო კონცერტისა. 1871-73 ბრიუსელის კონს-ის პროფესორი იყო. მის მოწაფეებს შორის არის ე. იზაი.



ვივალდი (Vivaldi) ანტონიო [4.III.1678, ვენეცია,–28. VII. 1741, ვენა], იტალიელი კომპოზიტორი, მევიოლინე და პედაგოგი. სწავლობდა ჯ. ლეგრენცისთან (კომპოზიცია) და თავის მამასთან ჯოვანი ბატისტასთან (ვიოლინო). 1741-იდან ვენეციაში ხელმძღვანელობდა კონს. „დელა პიეტას“ ორკესტრსა და გუნდს. ვ. XVIII ს-ის გამოჩენილი კომპოზიტორი და იტალიური სავიოლინო სკოლის უდიდესი წარმომადგენელია. მან შექმნა საკრავიერი სოლო კონცერტის ჟანრი, გავლენა იქონია ვირტუოზული სავიოლინო ტექნიკის განვითარებაზე. ვ. საანსამბლო-საორკესტრო კონცერტის- „კონჩერტო გროსოს“ ოსტატია. დაწერილი აქვს ოპერები (40-მდე), კანტატები, სიმფონიები, 460-ზე მეტი კონცერტი, მ. შ. პროგრამულ-სიმფ. მუსიკის ადრეული კლასიკური ნიმუში „წელიწადის დრონი“, საეკლესიო ნაწარმოებები და სხვ.

ვივაჩე (იტალ. vivace), მუსიკალური ნაწარმოების სწრაფი ტემპი.

ვივო (vivo), იხ. ვივაჩე.

ვილა-ლობოსი (Villa-Lobos) ეიტორ [5. III. 1887, რიო-დე-ჟანეირო,–17.XI. 1959, იქვე], ბრაზილიელი კომპოზიტორი, დირიჟორი, ფოლკლორისტი, პედაგოგი. 1905-12 მოგზაურობდა ქვეყანაში, იწერდა ხალხურ მუსიკას. 1915 -იდან გამოდიოდა საავტორო კონცერტებით. 1923-30 უპირატესად ცხოვრობდა პარიზში, ურთიერთობა ჰქონდა მ. რაველთან და დე ფალიასთან. 30-იან წლებში ჩაატარა დიდი სამუშაო მუს. განათლების ერთიანი სისტემის ორგანიზაციისათვის ბრაზილიაში, დააარსა მუს. სკოლები და საგუნდო კოლექტივები, საგუნდო სიმღერის ეროვნული კონს. (1942), იყო ბრაზილიის სამუსიკო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1945) და პრეზიდენტი. გამოდიოდა როგორც დირიჟორი, პროპაგანდას უწევდა ბრაზილიურ მუსიკას. ვ. ლ-ის შემ. ღრმად ეროვნულია და ამავე დროს ორგანულად არის დაკავშირებული თანამედროვე ევრ. მუსიკის ზოგიერთ სტილისტურ ტენდენციასთან. ვ. ლ-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: 14 „შორო“-ორკესტრისა და ინსტრუმ. ანსამბლისათვის (1927-28), „ბრაზილიური ბახიანები“ (9 სიუიტა, 1930-44), ოპერები, ბალეტები, სიმფონიები, 17 კვარტეტი, კონცერტები სხვადასხვა საკრავისათვის, 3 საფ. სიუიტა–„ბავშვის სამყარო“ (1918, 1921, 1926) და სხვ. ვ. ლ-ის შემ. ლათინურ-ამერიკული მუსიკის ერთ-ერთი მწვერვალია. 1986 რიო დე-ჟანეიროში დაარსდა ვ. ლ-ის მუზეუმი.

ვიოლა, ვიოლები (იტალ. viola), ხემიან მუსიკალურ საკრავთა ოჯახი. ვ-ს ჰქონდა კვარტულ-ტერციული წყობის 5-7 სიმი. დაკვრის დროს მათ ვერტიკალურად იჭერდნენ. XVI ს-ში გავრცელდა დას. ევრ. ქვეყნებში. ჰქონდათ ნაზი ხმა. გავრცელებული იყო ძირითადად არისტოკრატულ საზოგადოებაში. XVII ს-ში განდევნა ვიოლინოს ოჯახის საკრავებმა.

ვიოლინო (იტალ. violino), სიმებიან-ხემიანი მუსიკალური საკრავი. ვიოლინოს ოჯახის

(ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი) ყველაზე მაღალრეგისტრიანი საკრავი. ვიოლინოს აქვს კვინტაზე აწყობილი 4 სიმი. დაკვრისას შემსრულებელს მხარზე უდევს. დიაპაზონია მცირე ოქტ. სოლ-იდან მეოთხე ოქტ. დო-მდე. სიგრძე 600 მმ. პედ. პრაქტიკაში იხმარება უფრო მცირე ზომის ვ-ბიც. ვ. ხმას გამოსცემს ხემის სიმზე გასმით (ზოგჯერ ფლაჟოლეტით და პიციკატოთი). ვ-ს კლასიკური ტიპი ჩამოყალიბდა XV-XVI სს-ში იტალიასა და საფრანგეთში. XVI–XVIII სს. იტალიაში შეიქმნა ვიოლინოს ოსტატთა უდიდესი სკოლა(გ. და სალო, ჯ. მაჯინი, ა. და ნ. ამატები, ჯ. გვარნერი, ა. სტრადივარიუსი და სხვა). იტალიელმა ოსტატებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბეს საკრავის კონსტრუქცია და გამოიმუშავეს ბგერის სპეციფიკური სავიოლინო ტემბრი. XVII–XVIII სს-ის იტალიური ვ. დღემდე საშემსრულებლო სრულყოფილების ნიმუშია. XVII-XVIII სს. საკრავიერი მუსიკის ახალი ჟანრები–სოლო სონატა და სოლო კონცერტი თავდაპირველად წარმოიშვა როგორც სავიოლინო მუსიკის ჟანრები. ვ-ს ოჯახის საკრავებმა XVIII ს-ში საფუძველი შეუქმნეს კლასიკურ სიმფონიურ ორკესტრსა და სიმებიან ანსამბლებს. ვ-თვის დაწერილია მრავალი კლასიკური ნაწარმოები, მათ შორის: მოცარტის, ბეთჰოვენის, მენდელსონის, ბრამსის, ჩაიკოვსკის, სიბელიუსის, გლაზუნოვის, შოსტაკოვიჩის, ხაჩატურიანის და სხვ. სავიოლინო კონცერტები. საქ-ში –ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძის, ფ. ღლონტის და სხვ. კონცერტები.

ვიოლონჩელი ანუ ჩელო (იტალ. violoncello), ხემიანი მუსიკალური საკრავი (ბან-ტენორის რეგისტრიანი) მიეკუთვნება ვიოლინოს ოჯახს. სიმები აიწყობა წმინდა კვინტებით (დიდი ოქტ. დო და სოლ, მცირე ოქტ. რე და პირველის ლა). იხმარება როგორც სოლო, საანსამბლო და საორკესტრო საკრავი. ვ. წარმოიშვა XV ს. დასასრულსა და XVI ს. დასაწყისში ხალხური ხემიანი საკრავების განვითარების შედეგად. ვ-ის კლასიკური ნიმუშები შექმნეს XVII–XVIIIსს. იტალიელმა ოსტატებმა (ა. და ნ. ამატები, ჯ. გვარნერი, ა. სტრადივარიუსი). ცნობილია რუსი ოსტატების ი. ბატოვის, ე. ვიტაჩეკის და ტ. პოდგორნის ვ-ბი. XVII–XVIII სს. ვ-მა თავისი სავსე, გამომსახველი ჟღერადობის წყალობით განდევნა ვიოლა და გამბა. ვ-თვის ნაწარმოებები დაწერეს: ი. ს. ბახმა, ლ. ბეთჰოვენმა, ფ. მენდელსონმა, ფ. შოპენმა, ი. ბრამსმა, რ.შუმანმა, ა. დვორჟაკმა, პ. ჩაიკოვსკიმ, ე. გრიგმა, ქართველებმა: შ. თაქთაქიშვილმა, ა. მაჭავარიანმა, ო. თაქთაქიშვილმა, ს. ცინცაძემ, ფ. ღლონტმა, დ. შავლოხაშვილმა, ვ. აზარაშვილმა, გ. ციციშვილმა და სხვ. ცნობილი ვიოლონჩელისტები არიან: ლ. ბოკერინი, ჟ. დიუპორი, ფ. სერვე, პ. კასალსი, ს. კნუშევიცკი, დ. შაფრანი, მ. როსტროპოვიჩი და სხვ. ქართველები ა. ჩიჯავაძე, გ. ბარნაბიშვილი, თ. გაბარაშვილი, ე. ისაკაძე, ო. ჩუბინიშვილი და სხვ.

ვიოტი (Viotti) ჯოვანი ბატისტა [12. V. 1755, ფონტანეტო-და-პო, იტალია, –3. III. 1824, ლონდონი], იტალიელი მევიოლინე, კომპ. და პედაგოგი, პუნიანის მოწაფე. ვ. 1775-იდან სამეფო კარის მუსიკოსი იყო ტურინში, 1782-92 პარიზში ცხოვრობდა, 1792-იდან ინგლისში

და სხვა ქვეყნებში. ვ-მა ძლიერი გავლენა იქონია ფრანგ. სავიოლინო სკოლის განვითარებაზე. მისი დაკვრა ვირტუოზულობითა და გამომსახველობით გამოირჩეოდა. ვ. სავიოლინო კონცერტების და კამერ.-ინსტრ. ანსამბლების ავტორია. ბევრი მათგანი (განს. კონცერტები) დღესაც სრულდება. მისი მოწაფეები იყვნენ პ. როდე, რ. კროიცერი და სხვ.

ვირტუოზი (იტალ. virtuoso ლათ. virtus –ძალა, ღირსება, ტალანტი), მუსიკოსი, არტისტი, მხატვარი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ხელოვნების ტექნიკას. ტერმინი „ვირტუოზი" ძირითადად ინსტრუმენტალისტებისა და ვოკალისტების მიმართ იხმარება. ვირტუოზული შესრულება საშუალებას იძლევა მუსიკალური ნაწარმოების შინარსი მაქსიმალური სისრულით გადასცეს მსმენელს, თუმცა შესრულების ცალმხრივი გატაცება ვირტუოზულობით ზოგჯერ შინარსის მეორე პლანზე გადასროლას იწვევს და ტექ. ხელოვნების დემონსტრაციამდე მიდის.

ვირსალაძე (აბდუშელიშვილი) ანასტასია დავითის ასული [29.X.1883, ქუთაისი, –5. IX. 1968, თბილისი], ქართველი პიანისტი და პედაგოგი, ქართული პიანისტური (საშემსრულებლო და პედაგოგიური) სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქ. სახ. არტისტი (1960). 1909 ვ-მ წარმატებით დაამთ. პეტერბურგის კონს. პროფ. ა. ესიპოვას ხელმძღვანელობით (პირველი ქართველი მუსიკოსი ქალი, რომელმაც მიიღო უმაღლესი მუს. განათლება). 1921-68 იგი პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბ. კონს-ში, 1932 -იდან პროფესორია. მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა კათედრის გამგედ. 1926 ვ. შემოქმედებითი მივლინებით იყო ბერლინში. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. იყო პიანისტების II (1935) და III (1937) საკავშირო კონკურსების ჟიურის წევრი. კონს-თან „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის" დაარსებიდან (1934, 1938-იდან ცენტრ. მუსიკალური ათწლედი) მისი პროფესორია. აღზარდა 100-ზე მეტი მოწაფე (მ. შ. დ. ბაშკიროვი, ე. ვირსალაძე, ლ. ვლასენკო). შექმნა საფორტეპიანო სკოლა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტილის ფაქიზი შეგრძნება, დახვეწილი გემოვნება, ბგერის მაღალი კულტურა.

გ. ტორაძე

ვირსალაძე ელისო კონსტანტინეს ასული [14. IX. 1942, თბილისი], ქართველი პიანისტი. საქ. (1974) და სსრკ (1989) სახ. არტისტი. ა. ვირსალაძის შვილიშვილი და მოწაფე. 1964 დაამთ. თბ. კონს. ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვის კონს-ში პროფ. ი. ზაკის ხელმძღვანელობით. ვ. მსოფლიო ახალგაზრდობის ვენის მუს. ფესტივალის ლაურეატია (1959). ვ-ის ხელოვნებამ ფართო საერთაშ. აღიარება მოიპოვა. იგი მოსკოვის საკავშირო (1961, III, პრემია) და ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. (1962, III, პრემია) კონკურსების, აგრეთვე ცვიკაუს (გდრ) შუმანის სახ. საერთაშ.

კონკურსის (1966, I, პრემია) ლაურეატია. ვ. თანამედროვეობის გამოჩენილი პიანისტია, მისი შესრულება გამოირჩევა უმაღლესი მუსიკალური კულტურით, ვირტუოზული ტექნიკითა და არტისტიზმით. მისი რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანია. გასტროლებს მართავს უცხოეთის ქვეყნებში. თანამშრომლობს მსოფლიოს გამოჩენილ დირიჟორებთან. ვ-მ 1984 ქ. თელავში დააარსა კამერული მუსიკის სემინარ-ფესტივალი „ქება ვაზისა" (ჩატარდა ხუთჯერ) ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით. 1967-იდან ვ. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას მოსკოვის კონს-ში. ამჟამად მოსკოვის (1979-იდან), და მიუნხენის (1993-იდან) კონს. პროფესორია. სისტემატურად მართავს კონცერტებს საქ-ში. მსოფლიოს მუსიკალურ საზოგადოებრიობაში სარგებლობს მაღალი შემ-თი ავტორიტეტით. ვ. შ. რუსთაველისა (1983) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1991) პრემიების ლაურეატია.

გ. ტორაძე

ვიშნევსკაია გალინა პავლეს ასული [25. X. 1926, ლენინგრადი], რუსი მომღერალი (სოპრანო), სსრკ. სახ. არტისტი. 1952-74 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი, რომლის ხელოვნებამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. გამოდიოდა აგრეთვე როგორც საკონცერტო მომღერალი, (ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები). ვ-ს მიერ შესრულებული საუკეთესო პარტიებია: აიდა (ვერდის „აიდა"), ჩიო-ჩიო-სანი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი"), ტოსკა (პუჩინის „ტოსკა"), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი") და სხვ. მას მიუძღვნეს ნაწარმოებები ბ. ბრიტენმა, დ. შოსტაკოვიჩმა. გადაღებულია ფილმ-ოპერაში „კატერინა იზმაილოვა" მთავარი როლის შემსრულებლად. 1974 -იდან თავის მეუღლესთან, გამოჩენილ მუსიკოსთან მ. როსტროპოვიჩთან ერთად უცხოეთში (აშშ, საფრანგეთი, და სხვ.) იმყოფებოდა. 1990-იანი წლებიდან პერიოდულად რუსეთშია. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მართავს „მასტერ-კლასებს". ავტორია ავტობიოგრაფიული წიგნისა „გალინა" (1984), რომელიც მრავალ ენაზეა თარგმნილი.



ვლასენკო ლევ ნიკოლოზის ძე [24. XII. 1928, თბილისი,–23. VIII. 1996, მოსკოვი], რუსი პიანისტი და პედაგოგი, რსფსრ სახ. არტისტი. 1946 წელს დაამთ. თბ. ცენტრ. მუს. სკოლა-ათწლედი ა. ვირსალაძის ხელმძღვანელობით და მასთანვე სწავლობდა 2 წელი თბ. კონს-ში. 1953 დაამთ. მოსკოვის კონს. ი. ფლიერის ხელმძღვანელობით, მასთანვე გაიარა ასპირანტურა. გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებში და უცხოეთში, ხშირად თბილისში. I პრემია ფ. ლისტის სახ. კონკურსზე ბუდაპეშტში (1956), II პრემია პ. ჩაიკოვსკის სახ. კონკურსზე მოსკოვში (1958). 1957-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვის კონს-ში (1976-იდან პროფ.). მოწაფეებს შორის არის მ. პლეტნიოვი.

გ.ტორაძე

ვოან უილიამსი (Vaughan Williams) რალფი [12.X. 1872, დაუნ-ამპნი,გლოსტერშირი, -26.VIII. 1958, ლონდონი], ინგლისელი კომპოზიტორი, ორგანისტი, მუს.-საზ. მოღვაწე, ინგლ. მუს. ფოლკლორის შემკრები და მკვლევარი. სამეფო მუს. კოლეჯის პროფესორი (კომპოზიცია,



1921-იდან). ახალი ინგლ. საკომპ. სკოლის ე.წ. „ინგლისური მუს. რენესანსის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი. თავის შემ-ში ემყარებოდა ინგლ. მუს. ფოლკლორისა და XVI–XVII სს. ოსტატთა ტრადიციებს. ნაწარმოებები: 5 ოპერა, 3 ბალეტი, ორატორიები და კანტატები, 9 სიმფონია და სხვ.

ვოდევილი (ფრანგ. vaudeville), მსუბუქი, გასართობი ხასიათის. პიესა, რომელშიც მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს მუსიკას, სასიმღერო კუპლეტებსა და ცეკვას, წარმოიშვა საფრანგეთში.

ვოკალიზაცია (იტალ. vokalisation), სიმღერა ხმოვანი ბგერებით. ვ-ის უმარტივესი სახეა კოლორატურულ პასაჟებამდე რომელიმე ხმოვნის ან პოეტური ტექსტის მარცვლის ორი ან მეტი ბგერით წამღერება. ცნობილია მთელი რიგი ნაწარმოებები ან მათი ნაწილი, რომლებშიც თავიდან ბოლომდე მხოლოდ რომელიმე სიტყვის მარცვალი იმღერება. მაგ, „ალილუია“ (მოცარტის „ალილუია“), „დიდება“ (გლინკას „ივან სუსანინის“ ეპილოგში). ვ-ს განეკუთვნება აგრეთვე ერთი ხმოვანი ბგერით შესრულებული სიმღერა უტექსტოდ.

ვოკალიზი (ფრანგ. vocalise< ლათ. vokalis-ხმოვანი ბგერა), მომღერლის ხმისათვის განკუთვნილი უტექსტო სავარჯიშო ან ეტიუდი, რომელიც სრულდება მხოლოდ ხმოვანი ბგერების გამოცემით, ზოგჯერ ამ სახელწოდებით იწერება ნაწარმოებები (მაგ. რახმანინოვის „ვოკალიზი“).

ვოკალისტი. 1. ვოკალური ხელოვნების სპეციალისტი, მომღერლის ხმის დამუშავების სპეციალისტი. 2. პროფესიონალი მომღერალი.

ვოკალური მუსიკა, სიმღერისათვის განკუთვნილი მუსიკა. ვ. მ-ას განეკუთვნება ერთი ან მრავალხმიანი ნაწარმოებები თანხლების გარეშე (სოლო სიმღერები, ანსამბლები, აკაპელა) და საკრავიერი თანხლებით. ვ. მ-ის ყველა ნაწარმოებში წამყვანი როლი ეკუთვნის ადამიანის ხმას. სიმღერის საშუალებით ვ. მ. უკავშირდება სიტყვას, პოეტურ ტექსტს. (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. იხ. ვოკალიზი).

ვოლტა (იტალ. wolta), მითითება, რომელი ტაქტი შესრულდეს პირველად და რომელი მეორედ (განმეორებისას).

ვოლფი (Wolf) ჰუგო [13. III. 1860, ვინდიშგრაცი (სლოვენგრადეცი, იუგოსლავია),– 22. II. 1903, ვენა], ავსტრიელი კომპოზიტორი და მუსიკის კრიტიკოსი, სწავლობდა ვენის კონს-ში (1875-77). ვ-ის მემკვიდრეობის უმთავრეს ნაწილს შეადგენს სიმღერები (300–მდე), რომლებმაც ახალი ფურცელი ჩაწერეს ვოკალური ლირიკის ისტორიაში. ვ. ცდილობდა სიმღერებში ორგანულად შეერწყა მუსიკა და სიტყვა, ფსიქოლოგიურად გაეხსნა ტექსტი. 1890-იან წლებში სიმღერებთან ერთად ვ. წერს კომიკურ ყოფით ოპერას („კორეხიდორი“ 1895) და მუსიკალურ დრამას („მანუელ ვენეგას“, 1897, დაუმთავრებელი). ვ-მა დაწერა აგრეთვე სიმფ. ნაწარმოებები, სიმებიანი კვარტეტი და სხვ. ვ. გარდაიცვალა სულით ავადმყოფთა კლინიკაში.

ვრონსკი ევგენი ალექსის ძე [10. I. 1883, სოფ. სოროჩინსკოე, ახლანდ. სამარის ოლქი,–30.IV.1942, თბილისი], რუსი მომღერალი (ბარიტონი) და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1941). 1909-იდან მღეროდა მოსკოვისა და ოდესის საოპერო თეატრების სცენებზე. 1915-19 იყო თბ. საოპერო თეატრის სოლისტი. პარტიები: ონეგინი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), რიგოლეტო (ვერდის „რიგოლეტო“), დემონი (რუბინშტეინის „დემონი“) და სხვ.

1925-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბ. კონს-ში (1932- იდან პროფ.). ო. ბახუტაშვილ-შულგინასთან ერთად იგი ქართული ვოკალური პედაგოგიური სკოლის ერთ–ერთი ფუძემდებელია. მისი მოწაფეები იყვნენ: დ. ანდღულაძე, დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, ვ. კანდელაკი, ბ. კრავეიშვილი, ნ. ხარაძე და სხვ.

ზ



ზაალიშვილი თენგიზ დიმიტრის ძე [22. IX. 1928, თბილისი], ქართველი მომღერალი, ლირ. ტენორი. საქ. სახ. არტისტი (1985). 1957 დაამთ. თბ. კონს. (ს. ინაშვილის კლასი). ზ-ის დებიუტი შედგა 1958 თბ. საოპერო თეატრის სცენაზე. (ალფრედი, ჯ. ვერდის „ტრავიატა“). აქვე შეასრულა მრავალი წამყვანი პარტია ქართველ, იტალიელ, რუს და სხვ. კომპ-თა ოპერებში მ.შ. მალხაზი, გურამი (ზ. ფალიაშვილის „დაისი", „ლატავრა“), მასხარა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), სალოსი (მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), ლენსკი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), გრაფი ალმავივა (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“), ჰერცოგი (ჯ. ვერდის „რიგოლეტო“), ფაუსტი (შ. გუნოს „ფაუსტი“) და სხვ.

1960 საკონკურსო შერჩევის შედეგად, ფირფიტაზე ჩაიწერა ზ. ფალიაშვილის „დაისი“, სადაც მალხაზის პარტიას ასრულებს თ. ზაალიშვილი. კონცერტები აქვს გამართული საზღვარგარეთის ქვეყნებში. იყო ხალხ. ანსამბლ „ფიროსმანის“ სოლისტი. ამ ანსამბლთან ერთად შემოიარა ევროპის მრავალი ქვეყანა და აშშ. იგი ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად არჩეულია ქ. ატლანტის საპატიო მოქალაქედ (1985).

ზანზალაკები, ხმაბაძვითი საკრავი, რომელიც ჟღერს ხის ან ლითონის ჯოხების დარტყმით. ზ. წარმოადგენს სხვადასხვა ზომის, გაბრტყელებული ფორმის უენაკო ზარებს.

ზარები, თვითმჟღერი დასარტყამი სამუსიკო საკრავების კომპლექტი, გამოიყენება საოპერო და სიმფ. ორკესტრში ზ-ის რეკვის იმიტაციისათვის.

ზ-ბი (პატარა) დასარტყამი საკრავი. ბგერა მიიღება ჯოხების ან ჩაქუჩების დარტყმით. პატარა ზარების ბგერები ნათელი და ნაზია.

ზარი, სამგლოვიარო გუნდური სიმღერა–ტირილი. დაკრძალვის დღეს ჯერ ოჯახში და შემდეგ სასაფლაოზე ცალ-ცალკე ასრულებენ ქალები და მამაკაცები. გუნდის ერთ–ერთი წევრი იწყებს უსიტყვო მოთქმას, სხვები ბანს აძლევენ. ზ. ყველაზე სრულად სვანებმა შემოინახეს. სვანური ზ. სამხმიანი სიმღერაა და ორ გუნდად სრულდება. ძვ. ქართ. წერილობითი წყაროებით დასტურდება ზ-ით გლოვა. საქართველოს ზოგ კუთხეში მას ბანით ტირილს (კახეთი) ან ზრუნს (რაჭა) უწოდებენ.

დ. გიორგაძე

ზაქაიძე ილია ვასილის ძე [7. VI. 1924, დუშეთი, –8.II.2008, იქვე], ხალხური



მომღერალი, საქ. სახ. არტისტი (1980). 1957–იდან საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის წამყვანი სოლისტია. უბადლო ოსტატობით ასრულებდა ქართლ–კახურ სიმღერებს („ჩაკრულო“, „შენ ბიჭო ანაგურელო“, „მეტივური“, „ჭონა“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „შაშვი–კაკაბი“, „კალოსპირული“, „საქართველო“ და სხვ.). აღსანიშნავია ზ-ის მიერ ჩონგურზე მაღალი ოსტატობით დამღერებული ცალფა სიმღერები („ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ და სხვ.). კონცერტებს მართავდა საქ. ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ. 1977 აშშ–ში გაშვებულ ავტომ. საპლანეტათაშორისო სადგურებზე „ვოიაჯერ–1–სა“ და „ვოიაჯერ–2–ზე“ (რ–ებმაც უკვე დატოვეს მზის სისტემა) სხვა ინფორმაციასთან ერთად ჩაწერილია სიმღერა „ჩაკრულო“ ზ–ის შესრულებით.

ზინგშპილი (გერმ. singspiel), კომიკური ოპერის ნაირსახეობა (მუსიკალურ ნომრებს შორის ჩართულია დიალოგები); გავრცელებული იყო გერმანიასა და ავსტრიაში XVIII ს–ში.

ზურაბიშვილი ილია ელეფთერის ძე [18.III. 1872, ყვარელი, - 29.III. 1955, თბილისი], მწერალი, ხელოვნებათმცოდნე. აღსანიშნავია ზ-ის მოღვაწეობა მუსიკიმცოდნეობის დარგში. მას ეკუთვნის გამოკვლევები: „კახური მრავალჟამერი“, „ურმული“, „ცეკვა ქართული“(წიგნში- „ხალხის შემოქმედებითი გენია“ (1949); მონოგრაფიული ნაშრომები: ვანო სარაჯიშვილი (1939), ნიკო ქუმსიაშვილი (1940), ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“(1941). ამ ნაშრომებით ზ-მა ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამუსიკო კრიტიკას, როგორც ქართ. მუსიკისმცოდნეობის დარგს. ზ-მა შექმნა ქართველ მსახიობთა შთამბეჭდავი პორტრეტები, დაგვიტოვა მოგონებები ილია ჭავჭავაძე (1939), აკაკი წერეთელზე (1942), ნიკო ლორთქიფანიძეზე და სხვ.



ზურნა, აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ჩასაბერი საკრავი. საქ-ში მას ამზადებენ უმთავრესად გარგარის, ასევე კაკლის ხისაგან. ღეროზე ზედა მხრიდან ამოჭრილია 7–8 თვალი, ზურგის მხრიდან–ერთი. ბოლო განიერი ღეროს სიგრძე 280–300 მმ–ია.ზ–ის დიაპაზონია მცირე ოქტ. b-III ოქტ. c, ზოგჯერ შეიძლება IV ოქტავამდე გაზრდაც. მეზურნეების ანსამბლს (დასტა) შეადგენენ უსტაბაში (I მეზურნე), დამქაში (II მეზურნე) და მედოლე. ზ. სახალხო დღესასწაულების–ქორწილის, ნიშნობის, ჭიდაობის, ყეენობის, ბერიკაობის აუცილებელი საკრავია. ხშირად იხსენიება XVII–XVIII სს–ის ქართულ ლიტერატურაში. ზ-ზე, მისი მკვეთრი ტემბრის გამო, მეტწილად ღია ცის ქვეშ უკრავენ; შენობაში ზ. ჩვეულებრივ დუდუკით იცვლება.

თ

თამარაშვილი ვასილ სოლომონის ძე. [21. I. 1883, თბილისი,- 7. IV. 1957, იქვე], მუსიკოსი. 1911 დაამთ. თბ. მუს. სასწავლებელი, სამხედრო კაპელმაისტერის სპეციალობით. თეორიის კურს ასწავლიდა ზ. ფალიაშვილი. 20-იან წლებში შეუდგა ქართ. ხალხ. ინსტრუმენტების შესწავლას. მან პირველმა მოახდინა ქართ. ხალხ. ინსტრუმენტების რეკონსტრუქცია, გადაიყვანა ისინი სანოტო სისტემაზე და მისცა ახალი ჟღერადობა, მოახდინა მათი შერწყმა და ორკესტრად აჟღერება. მის მიერ გაუმჯობესებული ინსტრუმენტები ხასიათდება – სიმეტრიულობით, სიმებისა და მასალის ხარისხით, რამაც საშუალება მისცა, რომ 30-იან წლებში შეექმნა პირველი ხალხური ინსტრუმენტული ორკესტრი, რომლის ხემძღვანელი თავად იყო. რეკონსტრუირებული ინსტრუმენტების 11 სახეობა ინახება სანკტ- პეტერბურგის მუს. ინსტრუმენტების მუზეუმში (გადაეცა 1937). თ.-მა თითქმის 30 წელი მოანდომა მექანიკური, ნოტების საბეჭდი მანქანის შექმნას, რომლის პირველი ნიმუში ჯერ კიდევ 1936 დამზადდა. მოსკოვში მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ პროექტი მოიწონა და გადასცა ლენინგრადის ოლქის ქ. ლიგოვოს ქარხანას სერიული დამზადებისათვის, მაგრამ 1941 მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ყველაფერი განადგურდა. ქარხანასთან ერთად

1957 შეიქმნა საბეჭდი მანქანის ახალი ნიმუში, მაგრამ თ. მოულოდნელად გარდაიცვალა.

კ. ჭოხონელიძე

თამარაშვილი ზაზა გიორგის ძე[16.X.1971, ახალციხე] ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი და ლოტბარი. რესპუბლიკური და საერთაშ. ფესტივალების ლაურეატი. 1993 დაამთ. თბ. თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი. 1993-97 მუშაობდა თსუ ახალციხის ფილიალის მათემატიკა-ასტრონომიის კათედრაზე. 1996-2014 ახალციხის მეექვსე საჯარო სკოლის დირექტორად, 2014-16 ქ. ახალციხის ვიცე მერად. 2016-18 ახალციხის (რაბათის) ციხის დირექტორად. 2018-იდან ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი. მას აქვს დიდი დიაპაზონის, ლამაზი ტემბრის ძლიერი ხმა, შესანიშნავად ფლობს საქ. სხვადასხვა კუთხის სასიმღერო

ფოლკლორს. მან დიდი წვლილი შეიტანა მესხეთში საგუნდო ხელოვნების განვითარებაში, განსაკუთრებით მესხური ხალხ. სიმღერების აღდგენა პოპულარიზაციის საქმეში. თ-მა ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ანსამბლებს :„თამარიონი", „შავლეგო", „ფესვები". 2005-დან დღემდე ხელმძღვანელობს ანსამბლ „მესხეთს", რომელსაც 2014 გაუხსნეს ვარსკვლავი ახალციხის ციხის ტერიტორიაზე, 2010 გამოვიდა კომპაქტდისკი „მესხური ხალხური სიმღერები", 2015 თ-ის მიერ შესრულებული მესხური ხალხური სიმღერა „მამლი მუხასა" ჩაწერილია კომპაქტდისკში „ეს საქართველოა".



თარი, უძველესი სიმებიანი საკრავი. გავრცელებულია კავკასიაში. თ. ორგვარია–ირანული და ყარაბაღული. თ-ის მთავარი ნაწილებია: ტარი(მრავალფარდიანი), თავი ანუ ყუთი, რომელშიც სიმების მოსამართად გაყრილია 6 დიდი და 3 პატარა მოქლონი; ამოღარული, შუა ადგილას ჩაზნექილი ორნაწილიანი კორპუსი, რომელსაც ზემოდან გადაკრული აქვს თევზის ბუშტი ან ხარის პერანგი; სიმები (თითბრის ან სხვა ლითონისა) სამფერია–თეთრი, ყვითელი, წითელი. სიმების ქვეშ, კორპუსის ქვედა ნაწილზე შედგმული აქვს ჯორაკი, ტარზეც ორი პატარა ჯორაკი აქვს დამატებითი სიმებისათვის („ზენგი"). სიმებს აჟღერებენ მიზრაფით (ძვლის ან რქის ფირფიტა). თ-ის დიაპაზონია მცირე ოქტ. c. II ოქტ. g და a; სიმების სიგრძე 250-290 მმ. თ. ვირტუოზული საკრავია, მასზე დიდსა და რთულ ნაწარმოებებსაც ასრულებენ. თ-თვის დაწერილია სპეც. კონცერტები. ქართველ მეთარე-მომღერალთაგან ცნობილია ასლან ხურდაყულიშვილი (XIX ს.).

გ. ჩხიკვაძე

თარხნიშვილი მარიამ (მარო) ესტატეს ასული [21.XII. 1891, კავთისხევი, ახლანდ. კასპის რ-ნი,–3. X. 1969, თბილისი], ქართველი მომღერალი, ქართ. ხალხ. სიმღერების ცნობილი შემსრულებელი. საქ. სახ. არტისტი (1956). 1910 თ-მა გორში დააარსა ქართლ–კახური სიმღერების გუნდი და მისი უცვლელი ლოტბარი იყო. მან დიდი ამაგი დასდო საქართველოში მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. თ-ის გუნდის მდიდარი რეპერტუარიდან აღსანიშნავია სიმღერები: „ჭონა", „ბერიკაცი", „ნამგლური", „გარეკახური საცეკვაო", „მუშური", „თამარქალო", „კახური მრავალჟამიერი" და სხვ. თ. გუნდის ფონზე დიდი ოსტატობით ასრულებდა ცალფა შრომის სიმღერებს–„ურმულს", „ოროველას," აგრეთვე–არიას „დაიგვიანეს" ნ. სულხანიშვილის ოპერა „პატარა კახიდან." თ-ის გუნდში მრავალი მომღერალი და ლოტბარი აღიზარდა. თავისი კონცერტებით წარმოაჩენდა ქართ. ხალხ. სიმღერას.

გ. ჩხიკვაძე

თაქთაქიშვილი თამარ შალვას ასული [17. II. 1928, თბილისი,–17.XI.2005, იქვე], ქართველი მომღერალი (ლირ.–დრამ. სოპრანო), საქ. სახ. არტისტი (1975). 1951 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ო. ბახუტაშვილ–შულგინას კლ.). 1950-73 თბ. საოპერო თეატრის სოლისტია. 1973-იდან აქვე მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად. მისი საშემსრულებლო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფესიონალიზმი, ვოკალურ–სცენური ოსტატობა. თ-ს

შესრულებული აქვს მრავალი საოპერო პარტია: ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), მზია (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“), ტოსკა, ბატერფლაი (პუჩინის „ტოსკა“, „ჩიო–ჩიო–სანი“), ნედა (ლეონკავალოს „ჯამბაზები,“), მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი“), ლეონორა (ვერდის „ტრუბადური“), სოფია (პროკოფიევის „სემიონ კოტკო“) და სხვ. 1976–იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა კონს-ის საოპერო მომზადების კათედრაზე (დოცენტი).



თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის ძე [27. VII. 1924, თბილისი,–21. II. 1989, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, საქ. (1961) და სსრკ (1974) სახ. არტისტი. 1947 დაამთ. თბ. კონს. (ს. ბარხუდარიანის საკომპ. კლ.). 1947–1952 იყო საქ. საგუნდო კაპელის კონცერტმაისტერი და დირიჟორი, ხოლო 1952–56 სამხ.ხე–ლი. 1959–იდან იგი თბ. კონს-ის პედაგოგია (1966–იდან პროფ.), ხოლო 1962–64–რექტორი. 1965–84 თ. საქ. კულტურის მინისტრია. იგი ერთ–ერთი ცენტრალური ფიგურაა XX ს–ის მეორე ნახევრის ქართულ კულტურულ ცხოვრებაში. თ-ის შემ. ჟანრობრივად მრავალფეროვანი, თემატიკურად მდიდარია, აღმოცენებულია მკვიდრ ეროვნულ საფუძველზე, რასაც კომპ. პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი შემ. და საზ. მოღვაწეობა ფართო მასშტაბით დაფასდა, სარგებლობდა დიდი პიროვნული და შემოქმედებითი ავტორიტეტით. თ–ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: ოპერები–„მინდია“ (1961), რომელიც დაიდგა 10 სხვადასხვა სცენაზე, „სამი ნოველა“ (1967), „მთვარის მოტაცება“ (1977, პრემიერა სსრკ დიდ თეატრში, მოსკოვი), ერთმოქმედებიანი კომიკური ოპერა „მუსუსი“ (1978), „პირველი სიყვარული“ (1980), ორი სიმფონია (1949, 1953), სიმფ. პოემა „მწირი“ (1956), ოთხი საფ. კონცერტი (1951–1983), სავიოლინო კონცერტი (1977), ჩელოს კონცერტი (1978), ვოკალური ციკლები ვაჟა ფშაველასა და გ. ტაბიძის ლექსებზე (1959), ორატორიები „ჩაუქრობელი კერა“ (1964), „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1964), „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970), კანტატა „გურული სიმღერები“ (1971), „მეგრული სიმღერები“ (სიუიტა სოლისტის, ვოკალური ოქტეტისა და კამერული ორკესტრისათვის, 1972), „სატრფიალო სიმღერები“ (1974), გუნდები, სიმღერები, საკრავიერი პიესები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის და სხვ. თ. იყო საქ. სსრ სახელმწ. ჰიმნის ავტორი (1945–1990), შ. რუსთაველის სახ. პრემიის (1987), სსრკ სახელმწიფო (3–გზის) და ლენინური პრემიის (1982) ლაურეატი (ერთადერთი–ქართველ კომპ. შორის). მისმა შემოქმედებითმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა ქართ. მუს. კულტურაში.

გ. ტორაძე

თაქთაქიშვილი შალვა მიხეილის ძე [27. VIII. 1900, სოფ. ქვემო ხვითი, ახლანდელი გორის რაიონი,–18. VII. 1965, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1928 დაამთ. თბ. კონს. (ს. ბარხუდარიანის საკომ. კლ.). 1937-იდან იგი თბ. კონს. პედაგოგია (1941-იდან პროფ.). თ-ის ნაწარმოებებია: ოპერები–„დეპუტატი“ (1940) და „ოთარაანთ ქვრივი“ (1942), საბავშვო

ოპერები „ყვავილთა სამყარო“, „პირველი მაისი“(1924), „შემოდგომა“(1925), „განთიადი“ (1926), ბალეტი „მალთაყვა“ (1937), „სიმფონიეტა“, „საზეიმო უვერტიურა“, კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, ორი სიმებიანი კვარტეტი (1932–33)–ამ ჟანრის პირველი საყურადღებო ნიმუშები ქართულ მუს–ში. რომანსები, სიმღერები და სხვა.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი, მუსიკალური განათლების ძირითადი კერა საქართველოში. დაარსდა 1917 წ. 1 მაისს თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე (სასწ. დაარსდა 1886). 1921 ფილარმონიის საზ-ბასთან არსებული სამუსიკო სასწავლებელი გადაკეთდა მეორე კონსერვატორიად (დირექტორი დ. არაყიშვილი). 1924 პირველი და მეორე კონს-ები გაერთიანდა და ახ. უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელს სახელმწ. კ-ის სტატუსი მიენიჭა. მას მტკიცე პროფეს. საძირკველი ჩაუყარა პედაგოგთა პირველმა თაობამ: ა. თულაშვილმა, ა. ვირსალაძემ, ლ. ტრუსკოვსკიმ, ი. აისბერგმა (ფორტეპიანო), ე. ვრონსკიმ, ო. ბახუტაშვილ-შულგინამ, მ. რიადნოვმა (სოლო სიმღერა), ვ. ვილშაუმ და მ. ლედნიკმა (ვიოლინო), კ. მინიარმა (ჩელო), ე. გუზიკოვმა (კამერული ანსამბლი),მ.იპოლიტოვ-ივანოვმა,ს. ბარხუდარიანმა (კომპოზიცია) ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა, ი. კარგარეთელმა (თეორიული საგნები) და სხვ.

მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, ქართველი მუსიკოს-პედაგოგები ყოველთვის ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ მუს. აღზრდის ეროვნ. კონცეფცია. საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ კ., როგორც უმაღლესი სასწავლებელი, კულტურის სამინისტროს სისტემაში დარჩა, მაგრამ სასწ.-შემოქმედებით პროცესებს თავად წარმართავს: კორექტივები შეაქვს სასწ. გეგმაში, ანიჭებს პედაგოგებს წოდებებს. 90-იანი წლების რეფორმის შესაბამისად, სწავლების პირველ საფეხურზე კ. ამზადებს მუსიკის ბაკალავრს, მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ანიჭებს მუსიკის მაგისტრის აკადემიურ წოდებას. მაგისტრატურა იძლევა შემსრულებელ-სოლისტის, ხოლო მუსიკისმცოდნეთათვის – მუსიკისმცოდნე-მკვლევარის კვალიფიკაციას. სწავლების უმაღლესი საფეხურია ასპირანტურა (მუსიკისმცოდნეებისათვის) და ასისტენტურა-სტაჟირება (შემსრულებლებისათვის).

2000-თვის კ-ში იყო სახელმწ. და კერძო დაფინანსების სექტორები: დღის დასწრებული სწავლების ფორმა; ფაკ-ტები: მუსიკისმცოდნეობა, საკომპოზიტორო, საგუნდო-სადირიჟორო, საფორტეპიანო, სოლო სიმღერის, სიმებიან საკრავთა, ჩასაბერ საკრავთა; ფუნქციონირებდა 15 კათედრა, პედ.პრაქტიკისა და საშემსრულებლო პრაქტიკის სექტორი, ხმის ჩამწერი კაბინეტი, ქართ. ხალხ. შემოქმედების კაბინეტი, ძვ. საერო და სას. მუსიკის ლაბორატორია, საოპერო სტუდია (პირველად არსებობდა 1919-20; მეორედ–1920-24; მესამედ–1937; მეოთხედ –

1952-იდან), კ-ის მუზეუმ-კაბინეტი (დაცულია ხელნაწერები, მუსიკოსთა ნივთები, სურათები, ფოტომასალა, ქანდაკებები, მუს.საკრავები), ფონიატრიული კაბინეტი, დიდი საკონცერტო დარბაზი, უცხოეთის განყ-ბა.

კ-ში ტარდება საერთაშ. კონფერენციები და სიმპოზიუმები, სტუდენტთა სამეც.-კვლ. მუშაობა. არსებობს სტუდენტთა სპორტული სექციები, დამყარებულია ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებთან, ფრანგი და გერმანელი სპეციალისტები თბილისში ატარებენ ღია გაკვეთილებს, მასტერ-კლასებს, ქართვ. პროფესორ-მასწავლებლები ანალოგიურ სამუშაოს ასრულებენ უცხოეთის ქვეყნებში (გერმანია, იტალია, აშშ, ჰოლანდია, კანადა, თურქეთი და სხვ.); კ-ში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, ფონოთეკა (ფირები, ფირფიტები), გამომცემლობა (1973-იდან გამოსცემს კონს-ის პედაგოგთა სამეცნ. შრომათა კრებულებს, სახელმძღვანელოებს, კონს-ის გაზ. „ოპუს №...“), 2001-2007 განხორციელდა კ-ის შენობის რეკონსტრუქცია და გაფართოება.

კ-ის შენობა (არქიტ. ა. შიმკევიჩი) არქიტ. ძეგლია, რომელსაც იცავს სახელმწიფო. 1891 12 აგვისტოს ანტონ რუბინშტეინის საქველმოქმედო კონცერტით დაარსდა შენობის მშენებლობის ფონდი. სასწავლებლის შენობა აშენდა 1903, ხოლო საკონცერტო დარბაზი (მცირე) საზეიმოდ გაიხსნა 1904 24 ოქტომბერს. დიდი საკონცერტო დარბაზი აშენდა კ-ის შენობის რეკონსტრუქციის დროს (1936-38; არქიტექტორები: შ. თავაძე, ვ. ურუშაძე). გაიხსნა 1942 წლის 28 იანვარს.

თბილისის კონსერვატორიის დირექტორები იყვნენ: ნ. ნიკოლაევი (1917-18), ზ. ფალიაშვილი (1918-19), ნ. ჩერეპნინი (1919-22), ზ. ფალიაშვილი (1922-23), მ. იპოლიტოვ-ივანოვი (1924-25), დ. არაყიშვილი (1926-29), ზ. ფალიაშვილი (1929-32), ა. ხოფერია (1933-37), გ. კილაძე (1938-40 მარტამდე), შ. მშველიძე (1940 მარტი-მაისი), გ. კილაძე (1940-41), ი. გოკიელი (1941-43), გ. კილაძე (1944-51);

თბილისის კ-ის რექტორები იყვნენ: ი. ტუსკია (1952-62), ო. თაქთაქიშვილი (1962-64), ს. ცინცაძე (1965-84), ნ. გაბუნია (1984-2000), მ. დოიჯაშვილი (2000-2012), რ. კიკნაძე (2012-2019), ნ. შარიქაძე 2019-დან.

თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი, დაარსდა 1934. ორგანიზატორები იყვნენ მ. ჭიაურელი და დ. ძნელაძე. 1947 თეატრს მიენიჭა ვ. აბაშიძის სახელი. თეატრის პირველი სპექტაკლი იყო მოლიერის „სკაპენის ოინები“ (1935 რეჟ. მ. ჭიაურელი). 1939 თეატრის სცენაზე დაიდგა პირველი ქართული მუს. კომედია–ვ. კურტიდის „ხაჯარათი“ (მ. ლაკერბაიას პიესის მიხედვით, რეჟ. მ. ჭიაურელი და დ. ძნელაძე, მხატვარი ი. შტენბერგი). თეატრის სახის გამოკვეთაში გარკვეული წვლილი შეიტანეს: დრამატურგებმა–ლ. ჭუბაბრიამ, გ. ნახუცრიშვილმა, მ. თარხნიშვილმა, პ. გრუზინსკიმ, დ. გაჩეჩილაძემ, ნ. ხუნწარიამ, ნ. არეშიძემ და სხვ. კომპოზიტორებმა–შ. მილორავამ, ს. ცინცაძემ, რ. ლაღიძემ, ა. კერესელიძემ, გ. ცაბაძემ, ლ. იაშვილმა, ბ. კვერნაძემ, ვ. აზარაშვილმა, რ. გაბიჩვაძემ, ს. ნასიძემ, ნ. გაბუნიამ, მხატვრებმა– ვ. ოცხელმა, ი. შტენბერგმა, ფ. ლაპიაშვილმა, ო. ლითანიშვილმა და სხვ. ქორეოგრაფებმა– დ. მაჭავარიანმა, გ. ოდიკაძემ, ზ. კიკალეიშვილმა, ი. ზარეცკიმ, ჯ. ბაგრატიონმა; დირიჟორებმა–კ. მაჩაბელმა, მ. ბორჩხაძემ, თ. კობახიძემ, კ. სირბილაძემ, რ. ხურცილავამ, ა. მამაცაშვილმა, გ. კახიანმა, პ. დავითაშვილმა

და სხვ. რეჟისორებმა: ბ. გამრეკელმა, ა. ჩხარტიშვილმა, შ. მესხმა, თ. აბაშიძემ და სხვ. სხვადასხვა დროის მნიშვნელოვანი სპექტაკლებია: შ. აზმაიფარაშვილის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ (ა. ცაგარელის მიხედვით, 1952), ს. ცინცაძის „აბლაბუდა“ (1963), დ. არაყიშვილის „დინარა“ (1957), ვ. აზარაშვილის „მეცხრე ტალღა“ (1969), გ. ცაბაძის „კურკას ქორწილი“ (1968), ო. თაქთაქიშვილის „ორი ნოველა“ (1978), ჟ. ოფენბახის „პერიკოლა“ (1954), ფ. ლოუს მიუზიკლი „ჩემი მშვენიერი ლედი“ (1974), ი. შტრაუსის „ღამურა“ (1978), შ. მილორავას „ჩანჩურა“ (1976) და სხვ. თეატრის არსებობის მანძილზე აქ აღიზარდა შესანიშნავ მსახიობ-მომღერალთა რამდენიმე თაობა. 1987–იდან თეატრმა გააფართოვა თავისი მხატვრული პროფილი და იწოდება ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრად. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია დ. დოიაშვილი. (იხ. სტ. „ოპერეტა“).

მ. ფიჩხაძე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, საქართველოს მთავარი მუსიკალური თეატრი. იგი გაიხსნა თბ–ში 1851 9 ნოემბერს (შენობა–ე. წ. „ქარვასლის თეატრი“ აიგო არქიტექტორ ჯ. სკუდიერის პროექტით, ინტერიერი მოხატა გ. გაგარინმა) იტალიური საოპერო დასის სპექტაკლით – გ. დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურით“. იტალიური დასი თბ-ში თითქმის 30 წ. მანძილზე მუშაობდა და მრავალი საოპერო დადგმა განახორციელა. 1880-იდან თეატრის სცენაზე გამოდიოდა

რუსული საოპერო დასი. 1874 თეატრის შენობა დაიწვა და 22 წლის მანძილზე წარმოდგენები იმართებოდა „საზაფხულო თეატრში“ (ე.წ. „ინჟინერთა ბაღში“). 1896 გაიხსნა ახ. შენობა–„სახაზინო თეატრი“ (არქიტ. ვ. შრეტერი). პირველ სპექტაკლად წარმოადგინეს გლინკას „სიცოცხლე მეფისათვის“. თეატრის რეპერტუარში იყო როსინის, ბელინის, დონიცეტის, ვერდის, პუჩინის, ობერის, მეიერბერის, მოცარტის, ბიზეს, გუნოს, ვაგნერის, ლეონკავალოს, მასკანისა და სხვ. ოპერები. 1884–93 თეატრში დირიჟორობდა კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ–ივანოვი,რომლის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო თეატრის მხატვრული დონის ამაღლებას. დაიდგა ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, აგრეთვე სხვა რუსი კომპ–ების ოპერები. ამ პერიოდში საოპერო დასში მღეროდნენ ქართველი და რუსი მომღერლები: ფ. ქორიძე, მ. ბალანჩივაძე, მოგვიანებით კი 1910-20-იან წლებში ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, ო. ბახუტაშვილი–შულგინა, ვ. ზარუდნაია, ო. პოპოვა. აქ შედგა თ. შალიაპინის დებიუტი და მომდევნო სწრაფი არტისტული წინსვლა. 10–20-იან წლებში მღეროდა ლ. სობინოვი, უფრო გვიან ფ. მუხტაროვა და სხვ. თეატრმა ეროვნული სახე მიიღო 1919–იდან, როცა დაიდგა ქართველ კომპოზიტორთა ოპერები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე.“ თეატრი ქართული მუსიკალური კულტურის ცენტრად იქცა. ქართ. რეპერტუარის მომდევნო მნიშვნელოვანი დადგმებია: ოპერები–ზ.

ფალიაშვილის „დაისი“ (1923), და „ლატავრა“ (1928), მ. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“ (1926), ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“ (1940), შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი“ (1940), ი. ტუსკიას „სამშობლო“ (1941), გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“ (1941), ი. გოკიელის „პატარა კახი“ (1943) და „წითელქუდა“ (1958), ა. მაჭავარიანის „დედა და შვილი“ (1945), ა. კერესელიძის „ბაში–აჩუკი“ (1946), შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ (1946) და „დიდოსტატის მარჯვენა“ (1961), ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (1950), დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“ (1958), ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ (1961), „სამი ნოველა“ (1967), „მთვარის მოტაცება“ (1977), მ. დავითაშვილის „ქაჯანა“ (1967) და „ნაცარქექია“ (1972), რ. ლაღიძის „ლელა“ (სსრკ სახელმწ. პრემია, 1976), ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“ (1983) და „კოლხთა ასული“ (1997), მ. ყანჩელის „და არს მუსიკა“ (1984), ბალეტები: ა. ბალანჩივაძის „მზეჭაბუკი“ („მთების გული“, 1936, პირველი ქართული ბალეტი), შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“ (1937), გ. კილაძის „სინათლე“ (1947 სსრკ სახ. პრემია), დ. თორაძის „გორდა“ (1949 სსრკ სახ. პრემია), ს. ცინცაძის „ცისფერი მთების საუნჯე“ (1956), „დემონი“ (1961), ა. მაჭავარიანის „ოტელო“ (1957, დამდგმელსა და ოტელოს როლის შემსრულებელს ვ. ჭაბუკიანს მიენიჭა ლენინური პრემია, 1958), რ. გაბიჩვაძის „ჰამლეტი“ (1971) და „მედეა“ (1978) და სხვ. თეატრში დაიდგა მსოფლიო საოპერო და საბალეტო კლასიკის მრავალი ნიმუში. 1937 თეატრმა დიდი წარმატებით მიიღო მონაწილეობა ქართული ხელოვნების I დეკადაში მოსკოვში, ამავე წელს თეატრს მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახელი. ასეთივე წარმატებული იყო II დეკადა (1958). 1969 ქუთაისში გაიხსნა თეატრის ფილიალი. თ–მა არაერთგზის გამართა გასტროლები საზღვარგარეთ. 20–იანი წლებიდან დაწყებული თეატრში მოღვაწეობდა მრავალი ქართველი დირიჟორი, რეჟისორი, ბალეტმაისტერი, ქორმაისტერი, მხატვარი, აღიზარდა და დაწინაურდა შესანიშნავ მომღერალთა არაერთი თაობა. მათ შორის არიან დირიჟორები: ი. ფალიაშვილი, ს. სტოლერმანი, ა. მელიქ–ფაშაევი, ე. მიქელაძე, შ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი, გ. კილაძე, დ. მირცხულავა, ზ. ხუროძე, ვ. ფალიაშვილი, გ. და ზ. აზმაიფარაშვილები, ჯ. კახიძე, რ. ტაკიძე, თ. ჯაფარიძე, გ. ჭიჭინაძე და სხვ. რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი, ს.ახმეტელი, ა. წუწუნავა, შ. აღსაბაძე, მ. კვალიაშვილი, ა. ჩხარტიშვილი, ვ. ტაბლიაშვილი, გ. ჟორდანია, რ. სტურუა, გ. მელივა და სხვ. ბალეტმაისტერები: დ. ჯავრიშვილი, ვ. ჭაბუკიანი (მთ. ბალეტმ. 1941–72), მ. ლავროვსკი, გ.ალექსიძე; მხატვრები: ვ. სიდამონ– ერისთავი, დ. კაკაბაძე, ი. გამრეკელი, ს. ქობულაძე, დ. შევარდნაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. ვირსალაძე, კ. კუკულაძე, ი. ასკურავა, ფ. ლაპიაშვილი, ი. სუმბათაშვილი, გ. ალექსი-მესხიშვილი, თ. მურვანიძე, უ. მალაზონია, ი. გეგეშიძე, უ. იმერლიშვილი და სხვ. ქორმაისტერები: პ. ფალიაშვილი, ე. ტერიშვილი, გ. ბუხრიკიძე, ა. განუგრავა, ა. ჩხენკელი, გ. ფარჩუკიძე, და სხვ. ფართო აღიარება მოიპოვეს ვ. სარაჯიშვილისა და ს. ინაშვილის მომდევნო თაობების წარმომადგენლებმა, მომღერლებმა: დ. და ნ. ანდღულაძეებმა, პ. და მ. ამირანაშვილებმა, ნ. ქუმსიაშვილმა, დ. ბადრიძემ, დ. გამრეკელმა, მ. ნაკაშიძემ, ნ. ხარაძემ, ე. გოსტენინამ, დ. მჭედლიძემ, ლ. გოცირიძემ, ბ. კრავეიშვილმა, ზ. ანჯაფარიძემ, თ. მუშკუდიანმა, ი. შუშანიამ, ლ. ჭყონიამ, ც. ტატიშვილმა, ნ. ცომაიამ, ვ. დავიდოვამ, თ. თაქთაქიშვილმა, თ. ზაალიშვილმა, ა. ჩაკალიდიმ, ნ. ტუღუშმა, ზ. სოტკილავამ, მ. ქასრაშვილმა, ლ. კალმახელიძემ, ო. კუზნეცოვამ, ე. გეწაძემ, ტ. ჭიჭინაძემ, გ. ასათიანმა, თ. გურგენიძემ, მ. დავითაშვილმა, მ. მაღლაფერიძემ, რ. ლაგვილავამ, ო. ხოფერიამ, რ. კაკაბაძემ, ჯ. მდივანმა, ა. ხომერიკმა, თ. გუგუშვილმა, მ. თომაძემ, პ. ბურჭულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ი. ალიბეგაშვილმა, გ. ონიანმა, ბ. მაისურაძემ, ნ. გამგებელმა, გ. გაგნიძემ, თ. ივერმა (ჯავახიშვილი), შ. მუქერიამ, ნ. სურგულაძემ, ა. რაჭველიშვილმა, ნ. მაჩაიძემ, ქ.

ქემოკლიძემ და მრავალმა სხვა შესანიშნავმა მომღერალმა. დიდია აღმზრდელების –პიანისტ-კონცერტმაისტერების რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა დამსახურება, როგორებიც არიან: მ. ანდრონიკაშვილი, ტ. დუნენკო, ი. გორდონი, ი. სალაყაია, კ. ლაზარევა, დ. მახაშვილი და ბევრი სხვა. ფართო აღიარება მოიპოვეს ბალეტის მსახიობებმა:ვ. ჭაბუკიანმა,ზ. კიკალეიშვილმა, ლ. გვარამაძემ, ი. ალექსიძემ, ვ. წიგნაძემ, მ. ბაუერმა, ლ. მითაიშვილმა, ი. ჯანდიერმა, რ. მაღალაშვილმა, ვ. გუნაშვილმა, ბ. მონავარდისაშვილმა, თ. სანაძემ, ახალგაზრდული თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლებმა ნ. ანანიაშვილმა, აგრეთვე ნ. ცისკარიძემ, ი. ნიორაძემ და სხვ. თეატრს გამართული აქვს გასტროლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: რუსეთში (მრავალგზის), პოლონეთში (ლოძი 1969), იტალიაში (ბუსეტო 1991), ისრაელში (2003), მალტაში (1992-93), შვეიცარიაში (2006), საბალეტო დასს–სამხრ. ამერიკაში, საფრანგეთში, იაპონიაში, ინგლისში და სხვ.

თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი - „საქართველოს სიმფონიეტა“ დააარსდა 2008, სამხ. სე-ლი გ. ქერელაშვილი. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა ეპოქის მუსიკალურ ნაწარმოებებს. ორკესტრის კონცერტები იმართება როგორც საქართველოში ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

თბილისის საკონცერტო დარბაზების გარდა საქართველოს სიმფონიეტა კონცერტებს მართავს ისეთ შესანიშნავ დარბაზებში როგორიც არის ბერლინის კონცერტჰაუსი, ამსტერდამის კონცერტგებაუ, მიუნჰენის კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი და სხვ. ორკესტრი რეგულარულად მონაწილეობს ფესტივალებში: თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის ფესტივალი, თელავის საერთაშორისო მუსიკის ფესტივალი, გუთიმლინგის საოპერო მუსიკის ფესტივალი (გერმანია) და სხვ. წელს უკვე მეორეჯერ მიიღეს მონაწილეობა გდანსკის „გოლდბერგის ფესტივალზე“(პოლონეთი), სადაც ბაროკოს ეპოქის ახლად აღმოჩენილი საპრემიერო ნაწარმოებები შეასრულეს.

2012 წელს ორკესტრმა შეიძინა ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ინსტრუმენტები და გახდა პირველი ბაროკო ორკესტრი კავკასიაში.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი, შეიქმნა 1993. ე. მიქელაძის სახ. საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრიდან გამოყოფილი მუსიკოსების ბაზაზე. მისი ორგანიზატორი და სამხ. ხე-ლი იყო დირიჟორი ჯ. კახიძე (2002-იდან –ვ. კახიძე). თ. ს. ო. ირიცხება „თბ. მუსიკისა და კულტურის ცენტრის“ შემადგენლობაში. ორკესტრი ყოველ წელს (სექტემბერში) მართავს საერთაშ. მუს. ფესტივალს–„შემოდგომის თბილისი“ (უკვე 14-ჯერ გაიმართა), რომელშიც მონაწილეობენ გამოჩენილი ქართველი და საზღვარგარეთელი შემსრულებლები. ფესტივალებზე ეპიზოდურად მონაწილეობენ უცხოელი დირიჟორები, ძირითადად კი ვ. კახიძე (ჯ. კახიძის ვაჟი). ორკესტრის შესრულება გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით, რეპერტუარის მრავალფეროვნებით. მას შემოქმედებითი კავშირი აქვს საქ. სახელმწ. საგუნდო კაპელასთან, სხვადასხვა ფოლკლორულ ანსამბლთან და კოლექტივთან. ორკესტრი გასტროლებს მართავს საზღვარგარეთ (საფრანგეთი და შვეიცარია 1994, 1996, თურქეთი–1995, პეტერბურგი, იტალია-2004 და სხვ.). თ. ს. ო-ის შესრულება ჩაწერილია კომპაქტდისკებზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა

ათწლედი” 1938 თბ. ნიჭიერ, პერსპექტიულ ბავშვებისათვის ჩატარებული კონკურსის საფუძველზე თბ. კონს-ში დაარსდა მუს. სკოლა-ათწლედი „ნიჭიერთა ათწლედი“. 1950 სკოლას მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახელი და ეწოდა „ცენტრალური მუსიკალური სკოლა -ინტერნატი“. სკოლასთან ფუნქციონირებდა ზოგადსაგანმანათლებლო სექტორი. თავდაპირველად სკოლაში იყო ორი წამყვანი განყოფილება-საფორტეპიანო და საორკესტრო. საფ. განყ. პირველი პედაგოგები იყვნენ: ა. ვირსალაძე, ა. თულაშვილი, ი. აისბერგი, ლ. ტრუსკოვსკი. საორკესტრო განყ. პირველი პედაგოგები: ვ. ვილშაუ, მ. ლედნიკი, ვ. კაპელნიცკი, ლ. იაშვილი, ლ. შიუკაშვილი, გ. ბარნაბიშვილი და სხვ. 1948-63 სკოლაში არსებობდა საგუნდო-სადირიჟორო კლასი. მისი დამაარსებელი და წლების მანძილზე ხე-ლი იყო გ. ხახანაშვილი. დღიდან დაარსებისა სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდა მუს. თეორიულ საგნების სწავლებას. პირველ წლებში წამყვანი პედაგოგები: დ. არაყიშვილი, ა. ანდრიაშვილი, შ. ასლანიშვილი, ლ. დონაძე, პ. ხუჭუა, რომელთაც შეემატნენ: ნ. გუდიაშვილი, ბ. გულისაშვილი, ქ. ლორთქიფანიძე, ნ. ოცხელი და სხვ. სკოლის საკომპოზიციო კლასის: ა. ბალანჩივაძე, ს. ბარხუნდარიანი, ი. ტუსკია, ა. შავერზაშვილი. სკოლის დირექტორები: ა. ფაღავა (1938-39), გ. თაქთაქიშვილი (1939-48), გ. სვანიძე (1949-66), გ. ხატიაშვილი (1966-2005), ნ. მამრაძე (2005-2011), თ. შენგელია (2011-2013), ნ. ჟვანია (2013-დან). „ნიჭიერთა ათწლედი“ თბ. კონს. კადრების უმნიშვნელოვანესი მასაზრდოებელი წყაროა. აქ აღიზარდა მრავალი ცნობილი მუსიკოსი, საერთაშ. კონკურსების ლაურეატები, მათ შორის: თ. ამირეჯიბი, ე. ბოლქვაძე, ხ. ბუნიათიშვილი, რ. გვასალია, ე. ვირსალაძე, მარინე, ირინე და ნანა იაშვილები, ლ. ისაკაძე, ა. კორსანტია, თ. ლიჩელი, ა. ნიჟარაძე, დ. ბაშკიროვი, ლ. ვლასენკო, რ. კერერი, ჯ. კახიძე, ს. ცინცაძე, დ. თორაძე, ს. ნასიძე, ლ. თორაძე, ბ. კვერნაძე, ნ. გაბუნია, თ. გაბარაშვილი, მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, ზ. ანჯაფარიძე, ნ. ჟვანია, თ. ბათიაშვილი, ო. ჩუბინიშვილი, კ. ვარდელი, ლ. ბათიაშვილი, და სხვ.

თეატრი (ბერძ. theatron-სანახაობისათვის განკუთვნილი ადგილი,სანახაობა), 1. თეატრი ისევე როგორც სხვა დარგები, მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ისტორიასთან, კულტურასთან. თეატრი ხალხის ესთეტიკური, ზნეობრივი და პოლიტიკური აღზრდის მძლავრი საშუალებაა.

მუსიკალურ თეატრში მოქმედება ხორციელდება მუს. დრამატურგიის საშუალებით, რომელთაც საფუძვლად უდევს დრამის ზოგადი კანონები, მკაფიოდ გამოხატული მთავარი კონფლიქტი, დრამატურგიული ჩანაფიქრის გახსნის გარკვეული თანამიმდევრობა და სხვ. ბალეტში ცეკვით და პანტომიმით. ოპერაშიც და ბალეტშიც მუსიკა მთავარი განმაზოგადებელი საშუალებაა, იგი დრამის ყველა ელემენტს აერთიანებს. ოპერეტაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სალაპარაკო დიალოგს, კუპლეტურ სიმღერასა და ცეკვას. 2. წარმოდგენა, სპექტაკლი; 3. თეატრალური წარმოდგენებისათვის განკუთვნილი შენობა.

თეატრალური მუსიკა, ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკა თეატრალურ სპექტაკლებში, რომელიც სრულყოფს პიესის იდეურ ემოციურ მხარეს. დიდია მაყურებელზე მისი მხატვრული ზემოქმედება. ხშირად თ. მ. ავსებს სცენურ მოქმედებას, ხსნის მის აზრობრივ ქვეტექსტს. სცენური მოქმედების ფონის შემქმნელი ან ანტრაქტების შემვსები მუსიკა სრულდება მცირე ორკესტრის მიერ (საკრავების სპეციალური შემადგენლობით) ან მექანიკური ჩანაწერით.

თეატრონი, მაყურებელთა ადგილები ძველ ბერძნულ თეატრში.

თევდორაძე ოთარ ლავრენტის ძე [I. V. 1923, თბილისი,–23. VIII. 1983, იქვე], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1982). 1949 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. ბალანჩივაძის საკომპ. კლ.). 1957–61 იყო თბ. I სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი. მთ. ნაწარმოებები: ოპერები „ლეგენდა თბილისზე“ (1958) და „სინათლე და ჩრდილი“ (1970); სამი სიმფონია, სიმფ. პოემა „რუსთაველი“, „ქართული სუიტა“, „საზეიმო უვერტიურა“ სიმფ. ორკესტრისათვის, საფ. კონცერტი, ოპერეტა „შვეიკი მიდის ომში,“ პოპულარობა მოიპოვეს მისმა სიმღერებმა.

თემა (ბერძ. thema–ძირითადი აზრი), მუსიკალური ნაწარმოების ან მისი ნაწილის ძირითადი მოტივი.



თემა ვარიაციებით, თემის სახეშეცვლილი გამეორება მთელი თავისი მოცულობით

თეფშები, თვითმჟღერი დასარტყამი სამუსიკო საკრავი. გამოიყენება ორკესტრებში. თ. პროფესიულ მუსიკაში XVII ს. მიწურულიდან ჩნდება.

თომაძე მაია პეტრეს ასული [26. VI. 1954, თბილისი,–18. XII. 1994, იქვე], ქართველი მომღერალი (სოპრანო), საქ. სახ. არტისტი (1987), ბარსელონის ფ. ვინიასის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1987, გრანპრი და ოქროს მედალი). 1976 დაამთ. თბ. კონს.(პედ. გ. ქართველიშვილის კლ.), ამავე წლიდან იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1980–83 თ-მ სტაჟირება გაიარა სსრკ დიდ თეატრში. 1983–იდან კვლავ თბ. საოპერო თეატრის სოლისტი იყო. წარმატებით ასრულებდა სოპრანოს ყველა წამყვან პარტიას ქართულ და საზღვარგარეთულ ოპერებში, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთერის პარტია (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), იგი აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო როლად (1977, 1987), თამარი (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), სილვანა (გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“), იოლანტა (პ. ჩაიკოვსკის „იოლანტა“), დონა ანა (ვ. ა. მოცარტის „დონ ჯოვანი“), აიდა, ელისაბედი (ჯ. ვერდის „აიდა“, „დონ კარლოსი“), ფატა მორგანა (ს. პროკოფიევის „სამი ფორთოხლის სიყვარული“) და სხვ. თ-ს ჰქონდა იშვიათი სილამაზის, რბილი ტემბრის ხმა. 1992–იდან სამუშაოდ გადავიდა ფინეთში, ქ. ჰელსინკიში. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თანამშრომლობდა მსოფლიოს წამყვან დირიჟორებთან. „გედის სიმღერად“ იქცა თ-ის მიერ შესრულებული ეთერის პარტია ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე (1994). 1996 (გარდაცვალების შემდეგ)მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია.

თორაძე ალექსანდრე (ლექსო) დავითის ძე [30. V. 1952, თბილისი], ქართველი პიანისტი.

1969 თ. ჩაირიცხა თბ. კონს-ში (პროფ. ე. გურევიჩის კლასი). 1970–იდან სწავლა განაგრძო მოსკოვის კონს-ში, რომელიც დაამთ. 1975 (ბ.ზემლიანსკის კლ.), ხოლო 1978–ამავე კონს–ის ასპირანტურა (პროფ. ლ. ნაუმოვის კლ.). 1969 იგი მუსიკოს შემსრულებელთა ამიერკავკასიისა და საკავშირო კონკურსების ლაურეატი გახდა. 1975 იტალიაში ა. კასაგრანდეს სახ. საერთაშ. კონკურსში მიიღო III პრემია, ხოლო აშშ–ში ვან კლაიბერნის სახ. საერთაშ. კონკურსზე–II პრემია. თ-ის შესრულებას ახასიათებს მასშტაბურობა, ვირტუოზულობა, არტისტული ტემპერამენტი. მისი რეპერტუარი მოიცავს სხვადასხვა სტილის ნაწარმოებებს. თ-მ აღიარება მოიპოვა მოცარტის, ლისტის, პროკოფიევის, რახმანინოვის და სხვ. ნაწარმოებთა შესრულებით. 1983-იდან თ. ცხოვრობს აშშ–ში და ეწევა ნაყოფიერ საშემსრულებლო და პედ. მოღვაწეობას. ცნობილია როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი პიანისტი. ქ. საუთბენდში (ინდიანას შტატი) ადგილობრივ უნ-ტში დაარსებული აქვს მუს. სტუდია,რომელმაც აღიარება მოიპოვა,როგორც მუს. აღმზრდელობითმა ცენტრმა. აქ თავიანთ ოსტატობას სრულყოფენ მთელი რიგი ახალგაზრდა ქართველი პიანისტები. 2005 თავის მუს. სტუდიის წევრებთან და აღზრდილებთან ერთად ფართო საკონცერტო გასტროლები გამართა საქართველოში.

გ. ტორაძე

თორაძე დავით (გუგული) ალექსანდრეს ძე [14. IV. 1922, თბილისი,–6. XI. 1983, იქვე], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1961). 1937–39 თ. სწავლობდა თბ. კონს-ის საკომპოზიციო (ს. ბარხუდარიანის კლ.) და საფ. (ა. ვირსალაძის კლ.) განყოფილებებზე. 1939–41 მოსკოვის კონს–ში (რ. გლიერის საკომპ. კლ.). 1953–იდან იგი თბ. კონს-ის პედაგოგია (1973–იდან პროფ.), 1962–68 საქ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რის მოადგილე. თ. ძირითადად მუსიკალურ–თეატრალურ და სიმფონიურ ჟანრებში მოღვაწეობდა. მისი გამორჩეული ნაწარმოებებია: ოპერები–„მთების ძახილი“ (1947) და „ჩრდილოეთის პატარძალი“ (1958); ბალეტები „გორდა“ (1949, სსრკ სახელმწ. პრემია 1951), რომელიც ყველაზე სარეპერტუარო ქართული ბალეტია. „გორდა“ და „ჩრდილოეთის პატარძალი“ წარმოადგინეს ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში (1958), „გორდა“ აგრეთვე –უნგრეთში (1966) და პარიზში (1966), თეატრის გასტროლების დროს. მისი ბალეტებია აგრეთვე „მშვიდობისათვის“ (1953) და „მწირი“ (1977). (ამ ბალეტის მიხედვით შექმნილმა ტელეფილმმა მიიღო „გრანპრი“ საერთაშ. კონკურსზე ნიუ–იორკში 1978), ოპერეტები–„ნათელა“ (1950) და „შურისმაძიებელი“ (1952); ორი სიმფონია (II „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ –1968 თანამედროვე ქართული სიმფ. მუს-ის თვალსაჩინო ნიმუში), საგუნდო სიმფონია „ქართული ხალხური ჩანაღერები“ (1974), საფ. კონცერტი (1983), „აფრიკული ესკიზები“–საესტრადო ორკესტრისათვის (1962), საესტრადო სიმღერები, კინომუსიკა ფილმებისათვის: „ჭირვეული მეზობლები“, „პალიასტომი“, „შეხვედრა წარსულთან“,„დღე უკანასკნელი,დღე პირველი“ (დიდი პოპულარობა მოიპოვა ლირ. სიმღერამ „გზა მშვიდობისა“ ამ ფილმიდან), „კაცია ადამიანი?!“ და სხვ.

გ. ტორაძე

თულაშვილი ანა ივანეს ასული [24. II. 1874, თბილისი,–27.V. 1956, იქვე], ქართველი პიანისტი, გამოჩენილი პედაგოგი, ქართული საფ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941), ა. მიზანდარის მოწაფე. თ. ერთხანს მეცადინეობდა თბ–ში ნ. ნიკოლაევთან, შემდეგ კი 1894–იდან სწავლობდა პარიზის კონს–ში (პროფ. დიმერთან) და ვენაში. 1903–იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბ. სამუსიკო სასწავლებელში, მონაწილეობდა კონცერტებში, როგოროც სოლისტი-ანსამბლისტი. 1917–დან იგი თბ. კონს-ის პედაგოგია (1925–იდან პროფესორი, პირველი ქართველი მუსიკოსი პროფესორი ქალი). მოწაფეები: რ. კერერი, ვ. შიუკაშვილი, თ. ამირეჯიბი, ე. ექსანიშვილი, გ. ქავთარაძე, მ. ჩხეიძე, ო. ბარამიშვილი, ე. დავლიანიძე და სხვ. ავტორია მეთოდური ხასიათის შრომებისა პიანისტური ხელოვნების საკითხებზე.



თუმანიშვილი მიხეილ ივანეს ძე [6.II. 1921, თბილისი, –11, V. 1997, თბილისი], რეჟისორი, პედაგოგი. საქ. (1961) და სსრკ (1985) სახ. არტისტი. კ. მარჯანიშვილის (1980) და სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი(1986).თბილისის საპატიო მოქალაქე (1986). 1949 დაამთ. თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (პედ. გ. ტოვსტონოგოვო). 1949-71 იყო თბ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის რეჟისორი, 1965-66 მთ. რეჟისორი. 1971-75 საქ. ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთ. რეჟისორი. 1975-იდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს მთ. რეჟისორი. 1949-იდან თეატრ. ინ-ტის პედაგოგია(1973-იდან პროფესორი). თ-ის დადგმები გამოირჩეოდა დახვეწილი გემოვნებით, მაღალი პროფეს. კულტურით, ნიუანსების ვირტუოზული დამუშავებით.

თბილისის საოპერო თეატრში დადგა: ვ.ა. მოცარტის „დონ ჯოვანი“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ჯ. ვერდის „ბალ-მასკარადი“ და სხვ.

ი

„ია ვნანა“, ძვ. ქართული ხალხ. საწესო ლექს-სიმრერა. წარმოშობით წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი. „ნანინას“ ციკლის სიმღერების მსგავსად „ი-ც“ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სახელთან არის დაკავშირებული. „ი-მ“ დაკარგა პირველი საწესო ხასიათი, დღეს მისი დანიშნულებაა ბავშვის დაძინება, თუმცა ჩვენამდე მოღწეულ ზოგ ტექსტს ინფექციური დავადებებისაგან (ე.წ. ბატონებისაგან) ბავშვის განსაკურნავად მღერიან.

ია დგარი (სპარს. -ხსოვნა, სახსოვარი). ქართული ლიტურგიული კრებული, რ-შიც თავმოყრილია ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში დაწესებულ სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულთა და ხსენებათა საგალობლები. კრებული იწყება შობით და თანამიმდევრულად მთელი წლის დღესასწაულთა საგალობლებს შეიცავს; კალენდარული თანამიმდევრობა დარღვეულია მარტსა და აპრილს შორის, რადგან აქ ჩართულია დიდმარხვისა და ზატიკის მოძრავი დღესასწაულების საგალობლები. ი. ადრეულ შუა სს-ში უნდა იყოს შექმნილი. ის ბიზანტიური და ქართ. ჰიმნოგრაფიის განვითარების საწყისებთან დგას და თავისი დროის უნივერსალურ საგალობელთა კრებულს წარმოადგენს. მის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ,,ქართული (იერუსალიმური) ლექს-ცნობარი'' (V-VII სს.). უძველესი ტიპის ქართ. ი-ის ტექსტები, რ-ბიც VII-VIII სს-ში უნდა იყოს თარგმნილი, დაწერილია ე.წ. ,,წყობილი სიტყვით''. საგალობელის რიტმიკა დამყარებულია არა ტროპარებს შორის არსებულ სილაბურ თანაფარდობაზე, არამედ შინაარსობრივად შეკრულ ტაეპთა ,,რიცხვედობაზე''. IX-X სს. მიჯნაზე შეიქმნა ი-ის ახ. ტიპი რ-ის საგალობლები გამართულია ,,საგალობელი მარცვლედის'' საზომით. ყოველ გალობას თან ახლავს თავისი მუს.-რიტმული მოდელი-ძლისპირი. ქართ. ი-მა განვითარების დიდი გზა განვლო მოკლე რედაქციიდან უაღრესად მდიდარი რეპერტუარით წარმოდგენილ ,,საწელიწდო იადგარამდე'' (X ს.). ი-ის ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა ნუსხა X ს. თარიღდება. მათ შემოგვინახეს თარგმნილი და ორიგინ. საგალობლების უმდიდრესი რეპერტუარი და ამავე დროს უძვლესი სანოტო სისტემით ჩაწერილი გალობათა მელოდიები. მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ ,,იადგარში'' (978-988) ყველაზე სრულყოფილად არის წარმოდგენილი ქართველ ჰიმოგრაფთა შემოქმედება. ქართ. ი-ებს მნიშვნელობა აქვს ქართ. და ბიზანტ. ჰიმნოგრაფიის ისტ. თვალსაზრისით, რადგან ი-ის ბერძ. პირველსახე ჩვენამდე მოღწეული არ არის. ქართ. ი-ები ,,ქართულ (იერუსალიმურ) ლექციონართან'' ერთად წარმოადგენს ჰიმნოგრაფიის განვითარების თვალსაჩინო სურათს XI ს. დამდეგამდე.

ია მაჰა(yamaha), ცნობილი იაპონური ფირმა, რომელიც უშვებს მუს. საკრავებს.

ამ ფირმის როიალები ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში.

იანაჩეკი (Ianacek) ლეოშ [3. VII. 1854, ჰუკვალდი, მორავია,–12. VIII. 1928, ოსტრავა], ჩეხი კომპოზიტორი, მუსიკის კრიტიკოსი, დირიჟორი და პედაგოგი, ჩეხეთის მეცნ. და ხელოვნ. აკად. წევრი (1912). 1882-1919 იყო ქ. ბრნოში თავისივე დაარსებული საორგანო სკოლის რექტორი და პროფესორი, 1919–25 უმაღლესი ოსტატობის სკოლის პროფესორი (პრაღის კონს-ის განყ–ბა ბრნოში). 1896 და 1902 იმოგზაურა რუსეთში, შეისწავლა რუსული ენა, მუსიკა (განსაკუთრებით მ. მუსორგსკის შემოქმედება), რამაც გამოხატულება პოვა მის ნაწარმოებებში: ოპერებში, მათ შორისაა: „კატია კაბანოვა“ (ოსტროვსკის დრამის „ჭექა–ქუხილის“ სიუჟეტზე, 1921), „მკვდარი სახლიდან“ (დოსტოევსკის მოთხრობის „ბარათები მკვდარი სახლიდან“ მიხედვით, 1928, დაიდგა 1930) და სხვ. ი-ის დანარჩენ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია: „ლაშური ცეკვები“ ორკესტრისათვის (1890), ოპერები „მისი გერი“ („იენუფა“, 1904, დაიდგა 1916), „ეშმაკი მელაკუდა“ (1924), „მაკროპულოსის საშუალება“ (1926), ორატორია „გლაგოლიკური მესა“ (1926), გუნდები პ. ბეზრუჩის სიტყვებზე, სექსტეტი სასულე საკრავებისათვის (1924), სიმფონიეტა (1926). მისი საუკეთესო ნაწარმოებები აღბეჭდილია მკაფიო ეროვნ. კოლორიტით, ემოციური ძალითა და სისადავით, მუს. ენის სიახლით. ი-ის სახელს ატარებს ქ. ბრნოს ხელოვნების აკადემია და საოპერო თეატრი.

იარუსი (რუს. Ярус), თეატრში მაყურებლისათვის განკუთვნილი სართული (პირველი, მეორე და ა.შ.)

იაშვილი ლილი მიხეილის ასული [10. V. 1920, თბილისი,–30. XI. 1983, იქვე], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1981). 1953 დაამთ. თბ. კონს. (ი. ტუსკიას საკომპ. კლ.). 1960–იდან თბ. III სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი იყო (კომპოზიცია). მუშაობდა უმთავრესად კამერულ–ვოკალურ და საესტრადო ჟანრში. მისი სიმღერებიდან აღსანიშნავია „ია, ია“, „სიმღერა თბილისზე“, „თბილისური საღამოები“, „სიმღერა ბათუმზე“, „ენძელები“და სხვ. 1967 თბ. მუს. კომედიის თეატრში დაიდგა ი-ს საქართველოში პირველი საბავშვო მუს. კომედია „ბაბაჯანას ქოშები“ (დაიდგა აგრეთვე პოლონეთში, 1972) და საბავშვო ოპერეტა „ირმისა“(1973).

იაშვილი ლუარსაბ სეითის ძე [31. III. 1907, თბილისი,–29. X. 1993, იქვე], ქართველი მევიოლინე და ალტისტი, პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1983). თბ. კონს-ის პროფესორი (1947-იდან). 1931 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ვ. ვილშუას სავიოლინო კლ.), 1932–35 სწავლობდა ლენინგრადის კონს-ის ასპირანტურაში (ალტის კლ., ხე-ლი პროფ. ა. სოსინი). 1925–28 უკრავდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ ორკესტრში, 1928–45 იყო საქ. პირველი სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაში (ალტი). როგორც სოლისტი და კონცერტმაისტერი სისტემატურად გამოდიოდა საქ. სახელმწ. და რა-დიოს ორკესტრებში. 1935-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას კონს-ში და ცენტრ. სამუსიკო

ათწლედში. 1935 კონს–ში დააარსა სპეც. ალტის კლასი. მისი მოწაფეები იყვნენ: ი. ლეუსი, ჰ. შავერდიანი, გ. მელიქიშვილი, თავისი ქალიშვილები–მარინე, ირინე და ნანა იაშვილები, ალტისტი ა. ბეგალიშვილი, კომპოზიტორები: რ. ლაღიძე, ი. გეჯაძე, შ. შილაკაძე და სხვ. 1967–74 ი. მოღვაწეობდა ეგვიპტეში, ქ. კაიროს კონს–ში პედაგოგად.

გ. ტორაძე

იაშვილი მარინე ლუარსაბის ასული [20. X. 1932, თბილისი,– 05.VII. 2012, იქვე], ქართველი მევიოლინე, საქ. სახ. არტისტი (1967) ლ. იაშვილის შვილი და მოწაფე. 1958 დაამთ. მოსკოვის კონს., სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში (პროფ. მ. მოსტრასის კლ.). 1957-იდან „მოსკონცერტის“ სოლისტია. 1958–66 და 1982–იდან მოსკოვის კონს-ის პედაგოგია. 1966–82 თბ. კონს-ის პედაგოგია (1977, პროფ.). 1967–73 იყო საქ. ფილარმონიის კამერული ორკესტრის სოლისტი და სამხ. ხე-ლი, მისი საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩევა უმაღლესი პროფესიული კულტურით, ტექნიკური სრულყოფილებით, ექსპრესიით, ნატიფი გემოვნებით. მისი რეპერტუარი ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია, კლასიკურ ნიმუშებთან ერთად შეიცავს ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ი. საერთაშ. კონკურსების პირველი ქართველი ლაურეატია (1949, პრაღა და სხვ.). 1975-79 მუშაობდა იუგოსლავიის ქ. ნოვი-სადის ხელოვნებათა აკადემიის სავიოლინო კათედრის გამგედ და პროფესორად. ეწეოდა ფართო საკონცერტო მოღვაწეობას (მათ შორის საზღვარგარეთ), სისტემატურად მართავს კონცერტებს და „მასტერ–კლასებს“ თბილისში. 2003 მიენიჭა შ. რუსთაველის სახ. პრემია.

გ. ტორაძე

იაშვილი ნანა ლუარსაბის ასული [14. X. 1949, თბილისი], მევიოლინე. საქ. სახ. არტისტი (1988) მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. საერთაშ. კონკურსის (პარიზი, 1967 I პრემია) და მონრეალის საერთაშ. კონკურსის (1972) ლაურეატი. ლუარსაბ იაშვილის შვილი და მოწაფე. დაამთ. მოსკოვის კონს. პროფ. ლ. კოგანის ხელმძღვანელობით (1970), ასპირანტურა (1975). მუშაობდა თბ. კონს–ში (1983–1989). 1990-იდან უცხოეთშია, 1993-იდან ქ. ესენის (გერმანია) უმაღლესი სამუსიკო სკოლის, ამჟამად ქ. კიოლნის და მოსკოვის კონს–ის პროფესორია. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას. ი-ს დაკვრა გამოირჩევა არტისტული ტემპერამენტითა და ემოციურობით, პროფესიული კულტურით, ვირტუოზული ტექნიკური ოსტატობით, მისი რეპერტუარი მდიდარი და მრავალფეროვანია, შეიცავს კლასიკური რეპერტუარის უმთავრეს ნიმუშებს.

იეთიმ გურჯი (თურქ. „ობოლი ქართველი“) იეთიმ იბრაჰიმის ძე დაბღიშვილი, [1875, თბილისი,– 15.VII. 1940, იქვე], ქართველი სახალხო მომღერალი-მელექსე, თბილისური აშუღური პოეზიის ერთ–ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. 1895-იდან თხზავდა ლექსებს ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. პირველი წიგნი– პოემა „ანაბაჯის ლექსი“–1909 გამოვიდა, ლექსთა კრებული „ახალი მგოსანი და სიმღერები“–1911, „იეთიმის ახალი ლექსები“–1913, „ტანგო“ – 1914

და სხვ. 1928 ი. გრიშაშვილმა, ხოლო 1958 ა. თევზაძემ გამოსცეს პოეტის „რჩეული ლექსები“. ი. გ-ის ლექსები უმთავრესად სიმღერების სახით ვრცელდებოდა, რომლებსაც თვითონვე ქმნიდა და ასრულებდა კიდეც. მის პოეზიაში ასახულია თბილისური ბოჰემის განწყობილება.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“, ვოკალურ–საკრავიერი ანსამბლი, საერთაშ. ფესტივალის „შლაგერ ფესტივალ–71“–ის ლაურეატი (ხე-ლი საქ. სახ. არტისტი ა. ბასილაია). თავდაპირველად (1968) შეიქმნა როგორც ვოკალურ–საკრავიერი კვარტეტი, შემდეგ გადაკეთდა ვოკალურ–საკრავიერ ანსამბლად. „ი“-მ შექმნა 26 საკონცერტო პროგრამა და 5 მიუზიკლი „რწყილი და ჭიანჭველა“ (1977, ლიბრეტო ა. გელოვანისა და ჯ. ბაღაშვილისა, რეჟ. ა. გელოვანი), „ჩხიკვთა ქორწილი“–(1980)“, „არგონავტები“ (1983 ლიბრეტო ჯ. ბაღაშვილის, რეჟ. დ. კიტია), „თოვლის ბებოს ზღაპარი“ (1986), „ფიროსმანი“ (1996 ორივე ლიბრეტოს ავტორი და რეჟ. ჯ. ბაღაშვილი). ანსამბლმა გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს 60–მდე ქვეყანა, ჩაატარა 3000–ზე მეტი კონცერტი. ანსამბლს გამოარჩევს მაღალი პროფეს. დონე, მსუბუქი იუმორი. სხვადასხვა დროს ანსამბლში მონაწილეობდნენ ცნობილი შემსრულებლები: თ. წიკლაური, ნ. კვაშალი, ვ. ტატიშვილი, მ. თოდაძე, ზ. ცისკარიძე, თ. ყვითელაშვილი, ს. პავლიაშვილი და სხვ.

ᲘᲖᲐᲘ (Ysaye) ეჟენ [16. VII. 1858, ლიეჟი,–12. V. 1931, ბრიუსელი], ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი. რ. მასარის, ჰ. ვენიავსკის, ა. ვიეტანის მოწაფე. ი-მ არტისტული კარიერა დაიწყო რუსეთში 1882. 1886-იდან ბრიუსელის კონს-ის პროფესორი, 1894–იდან– მის მიერ დაარსებული სიმფ. საზ–ბის „იზაის კონცერტების“ დირიჟორი და დირექტორია. ი. იყო კლასიკური ნაწარმოებების საუკეთესო ინტერპრეტატორი. დაწერა სავიოლინო თხზულებანი (მ. შ. 6 სონატა სოლო ვიოლინოსათვის), ტრანსკრიფციები, ოპერა (1931). ბრიუსელში ჩატარდა იზაის სახ. მევიოლინეთა (1937) და პიანისტთა (1938) საერთაშ. კონკურსები.

ᲘᲛᲘᲢᲐᲪᲘᲐ (ლათ. Imitatio მიბაძვა), მრავალხმიან მუსიკალურ ნაწარმოებში ერთი ხმის მელოდიის ზუსტი ან მიახლოებითი განმეორება სხვა ხმაში. ი. აღმოცენდა ხალხურ მრავალხმიანობაში. XIII ს.–იდან თანდათან მკვიდრდება პროფესიულ მუსიკაში, როგორც თემატური მასალის გადმოცემის, განვითარებისა და დამუშავების ხერხი. მელოდიის იმიტირება შეიძლება რიგრიგობით რამდენიმე ხმით. ი-ის ფორმებია: კანონი, ფუგა, ფუგეტა, ინვენცია.

ᲘᲛᲞᲠᲔᲡᲐᲠᲘᲝ (იტალ. impresario<imprendere- წამოწყება თაოსნობა), პროფესიონალი აგენტი, რომელიც აწყობს და აფინანსებს კიდეც კონცერტებს, სპექტაკლებს ან ცალკეული მსახიობის გასტროლებს.

ᲘᲛᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ (ფრანგ. Impressionnisme, impression–შთაბეჭდილება), ხელოვნებაში ერთ–ერთი მიმართულება. თავდაპირველად ყველაზე თანმიმდევრულად და მკაფიოდ იგი გამოვლინდა ფრანგი მხატვრების შემოქმედებაში (კ. მონე, ო. რენუარი, ე. დეგა, ე. მანე, კ.

პისარო, ა. სისლეი და სხვ.). დასაბამს იღებს ახალგაზრდა მხატვრების გამოფენიდან (პარიზი, 1874). იმპრესიონისტები მიზნად ისახავდნენ ხელოვნების განახლებას, სალონური აკადემიზმის დაძლევას, დიდ ოსტატობას იჩენდნენ წამიერი შთაბეჭდილებების აღბეჭდვის, ფერთა ფაქიზი კოლორირების ხელოვნებაში. მუსიკაში ი. აღმოცენდა XIX ს. 80–90–იან წლებში. ამ მიმართულებისთვის მთავარია სიმბოლური მნიშვნელობისა და უფაქიზესი ფსიქოლოგიური განწყობილებების გადმოცემა, მისწრაფება პოეტური და პეიზაჟური პროგრამულობისაკენ. ი-ის ნიშნები გამოვლინდა მ. რაველის, პ. დიუკას, ფ. შმიტის, ჟ. ჟ. როჟე–დიუკასისა და სხვ. ფრანგ კომპოზიტორთა შემოქმედებაში. ყველაზე სრული თანმიმდევრული, ჭეშმარიტად კლასიკური გამოხატულება კი კ. დებიუსის მუსიკაში პოვა. იმპრესიონისტ კომპოზიტორთა –პირველ რიგში, დებიუსის შემოქმედებამ გაამდიდრა მუსიკის გამომსახველობითი საშუალებები. განსაკუთრებით კი ჰარმონიული და ტემბრული მუსიკალური აზროვნება. XX ს. დასაწყისში მუს. ი. გავრცელდა ინგლისშიც (ფ. დელიუსი, ს. სკოტი), ესპანეთში (მ. დე ფალია), იტალიაში (ო. რესპიგი), პოლონეთში (კ. შიმანოვსკი) და სხვ. ქვეყნებში. ი–ის ესთეტიკის გავლენა XX ს. მიჯნაზე განიცადეს რუსმა კომპოზიტორებმა ა. სკრიაბინმა, ი. სტრავინსკიმ, ნ. ჩერეპნინმა და სხვ.

იმპროვიზაცია (ლათ. Improvisus–მოულოდნელი, უეცარი), პროფესიულ მუსიკაში გავრცელდა შუა საუკუნეებში. XV–XVIII სს–ში ი–ას მიმართავდნენ პოლიფონიურ მუსიკაში (ფუგა, პრელუდია), გენერალბასის სისტემაში. მუს. ტექსტის ზუსტად ჩაწერის შესაძლებლობამ XVIII– XIX სს–ში აღკვეთა შემსრულებლის თავისუფლება, თუმცა XIX ს–ის დასაწყისში საკონცერტო შესრულების დროს ი. გვხვდებოდა ვირტუოზ შემსრულებელ-კომპოზიტორთა პრაქტიკაში (ლ. ბეთჰოვენი, ნ. პაგანინი, ფ. ლისტი, ფ. შოპენი). თანამედროვე მუს–ში ი. ძირითადად არსებობს ჯაზურ ხელოვნებაში და ზოგიერთ „ავანგარდისტულ“ მიმდინარეობაში.

ინაშვილი ალექსანდრე (სანდრო) იობის (იოველის) ძე [11. VIII. 1887, თბილისი,–4. VI. 1958, იქვე], ქართველი მომღერალი (ბარიტონი), ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ–ერთი ფუძემდებელი. სსრკ სახ. არტისტი (1950). თავდაპირველად მღეროდა ს. კავსაძისა და ნ. სულხანიშვილის ქართ. ხალხ. სიმღერის გუნდებში. 1912–იდან გამოდიოდა თბ. სახ. თეატრის სპექტაკლებში. იმღერა ტორეადორის (ბიზეს „კარმენი“), რიგოლეტოსა და ჟერმონის (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“), ფიგაროს (მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“) პარტიები. 1916 დაამთ. თბ. სამუსიკო სასწავლებელი (ე. რიადნოვის კლ.), 1917–იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. 1923 იტალიაში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო ე. ჯირალდონისთან. 1923-25 წარმატებით გამოდიოდა იტალ. და ესპ. საოპერო სცენებზე. 1932 ლენინგრადის საოპერო თეატრის სოლისტი იყო. 1933 დაბრუნდა თბ–ში და მუშაობდა ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხ. ხე–ლად და სოლისტად. ი-მა იშვიათი სილამაზის, ხავერდოვანი ტემბრის ხმისა და ბრწყინვალე აქტიორული ნიჭის წყალობით შექმნა შესანიშნავი ვოკალურ–სცენური სახეები ქართულ, რუსულ და უცხოურ ოპერებში: მურმანი და კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), გოჩა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), აბდულ–არაბი (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ყველა ამ პარტიის პირველი შემსრულებელი იყო), ევგენი ონეგინი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ფიგარო (ჯ. როსინის

„სევილიელი დალაქი“), ბორის გოდუნოვი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), დემონი (ა. რუბინშტეინის „დემონი“), მეფისტოფელი (შ. გუნოს „ფაუსტი“) და სხვ. ი. საკონცერტო მომღერალიც იყო. 1937–იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ. კონს–ში. (1942-იდან პროფ.). მისი მოწაფეები იყვნენ: მ. ამირანაშვილი, თ. ზაალიშვილი, პ. თომაძე, შ. კიკნაძე, ი. შუშანია, ნ. ჯაფარიძე და სხვ.

მ. გედევანიშვილი

ინვენცია (ლათ. Inventio–გამონაგონი), მცირე ზომის მუსიკალური პიესის სახელწოდება. ი. წარმოადგენს და მიანიშნებს პიესის მელოდიკისა და ფორმის გამონაგონს. პირველად ტერმინი „ი“. დაამკვიდრა ფრანგმა კომპოზიტორმა კ. ჟანეკენმა (1555). საყოველთაოდ ცნობილია ი. ს. ბახის ინვენციები კლავირისათვის (1720–23). ამ ფორმას XX ს. კომპოზიტორებიც მიმართავენ.

ინსტრუმენტირება, 1. მუსიკალური ნაწარმოების ინსტრუმენტული ანსამბლის ან ორკესტრისათვის გადატანა, ორკესტრირება. 2. მუსიკის თეორიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ცალკეული ინსტრუმენტების თვისებებსა და ორკესტრში მათი შეხამების პრინციპებს; ინსტრუმენტთმცოდნეობა, საკრავთმცოდნეობა.

ინტერვალი (ლათ. Intervallum–მანძილი, შუალედი), სიმაღლის ანუ ბგერათა რხევის სიხშირის მიხედვით ორი ბგერის თანაფარდობა. ი-ის დაბალი ბგერა მისი საფუძველია, ხოლო მაღალი – მწერვალი. თანამიმდევრობით აღებული ბგერები ქმნიან მელოდიურ ი-ს, ერთდროულად აღებული კი ჰარმონიულს. ი. განისაზღვრება ტონებისა და ნახევარტონების რაოდენობით. ერთი ოქტავის ფარგლებში წარმოქმნილი ი. მარტივია, (სეკუნდა, ტერცია, კვარტა, კვინტა, სექსტა, სეპტიმა), ერთ ოქტავაზე მეტი–შედგენილი. შედგენილი ი. წარმოიქმნება ოქტავაზე მარტივი ი-ს დამატებით. ჩამოთვლილ ი-ებს დიატონურ ი-ს უწოდებენ, ხოლო ალტერაციის მეშვეობით შეცვლილ ი-ებს ქრომატულს. ჰარმონიული ი. იყოფა კონსონირებულ და დისონირებულ ი-ებად. ბგერათა გადანაცვლებას, რომლის დროსაც ი-ს საფუძველი იქცევა მაღალ ბგერად, ხოლო მწვერვალი–დაბალ ბგერად, ეწოდება შებრუნება.

ინტერლუდია (გვიანდ. ლათ. Interludium,inter შორის და ludus–დაკვრა), მცირე ზომის მუსიკალური პიესა, რომელიც სრულდება ნაწარმოების ორი ძირითადი ნაწილის–ოპერის ან დრამის აქტებს და ქორალის სტროფებსა ან საკრავიერი ციკლის ნაწილებს შორის (სონატები, სიუიტები). უფრო ხშირად უწოდებენ ინტერმედიას ან ინტერმეცოს.

ინტერმედია (ლათ. Intermedius–შუალედური), 1. კომიკური ხასიათის მცირე მოცულობის პიესა ან სცენა (პანტომიმა, ცეკვა, მუს. ნაწარმოები), რომელსაც მსახიობები დრამატული სპექტაკლის მოქმედებებს შორის გაითამაშებდნენ ხოლმე. ი. გვხვდებოდა აგრეთვე ჩართული სცენის სახით ოპერისა და ბალეტის მოქმედებებს შორის. XVს-იდან. ი. დამკვიდრდა იტალ, უფრო მოგვიანებით–ინგლ. საფრ. და სხვ. მუს. თეატრებში. XVII–XVIII სს–ში იტალიაში ი. დამოუკიდებელ პატარა ოპერად გადაიქცა. პერგოლეზის ოპერა „მოახლე–ქალბატონი“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იტალ. კომიკურ ოპერას და უდიდესი გავლენა მოახდინა ფრანგული კომ. ოპერის განვითარებაზე, თავდაპირველად ამავე ავტორის ოპერის „ამაყი ტყვის“ ი. იყო (1733). 2. ეპიზოდები თემის გატარებებს შორის.

ინტერმეცო (იტალ. Intermezzo, ლათ. Intermedius–შუალედური), 1. საკრავიერი პიესა, რომელსაც შუალედური მდგომარეობა უკავია ციკლური ნაწარმოების ორ მნიშვნელოვან ნაწილს (რ. შუმანი, კონცერტი ფ–ნოსა და ორკესტრისათვის) ან ერთნაწილიანი კომპოზიციის ძირითად მონაკვეთებს შორის (რ. შუმანი სკერცო საფ. სონატიდან, თხზ. 11.) 2. თავისუფალი აგებულების დამოუკიდებელი „სახასიათო საკრავიერი პიესა“(შუმანი, ბრამსი, რეგერი).

ინტონაცია (ლათ. Intonatio–წარმოვთქვამ), 1. მუს. –თეორიული და ესთეტიკური ცნება. ი. მუს. ბგერების (ტონების) მოწესრიგებაა სიმაღლისა და თანამიმდევრობის მიხედვით. მელოდიის უმცირესი ნაწილი, რომელსაც გამომსახველობითი მნიშვნელობა აქვს. 2. მუს. ბგერის ან ინტერვალის ზუსტად ჟღერის ხარისხი, 3. ბგერათა ფიქსირებული სიმაღლის მქონე მუს. საკრავების (ორგანი, ფ-ნო) აწყობისას–საკრავის ბგერათრიგის თითოეული ტონის ჟღერის სიზუსტე და თანაბრობა.

ინტერპრეტაცია (ლათ. interpretatio -გაგება, ახსნა განმარტება), მუსიკალური ნაწარმოების თავისებური შემოქმედებითი შესრულება.

ინტრადა (იტალ. intrada, entrata–შესავალი). 1. საზეიმო სვლების თანმხლები მუსიკა (XVI–XVII სს, დას. ევროპა), სრულდებოდა საცერემონიო გამოსვლების დროს. 2. დიდებული ხასიათის პიესა, ჩართული სიუიტაში შესავალი ნაწილის სახით. 3. მცირე ზომის ინსტრუმ. პიესა, რომელიც მუს. ნაწარმოების შესავლის ფუნქციას ასრულებს.

ინტროდუქცია (ლათ. Introductio–შესავალი), 1. ციკლური საკრავიერი ნაწარმოების (სიმფონია, დივერტისმენტი, სიმებიანი კვარტეტი და ა.შ.) პირველი ნაწილის ან ფინალის, აგრეთვე ერთნაწილიანი მუს. თხზულების მოკლე შესავალი. 2. მცირე ზომის საოპერო ან საბალეტო უვერტიურის სახეობა, აგრეთვე ოპერის ცალკეული აქტის საორკესტრო შესავალი. 3. ვოკალური ანსამბლი ან საგუნდო სცენა ოპერაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს უვერტიურას.

ინფრაბგერა (ელექტრომუსიკა), იმ სიხშირიანი აკუსტიკური რხევების დიაპაზონი, რომელიც სცილდება ადამიანის სმენითი აღქმის ფარგლებს (20–15 ჰერცზე დაბლა).

იოხელესი ალექსანდრე ლევის ძე[27.II.(11.III)1912, მოსკოვი, –19. VI. 1978, იქვე], პიანისტი და პედაგოგი. 1932 დაამთ. მოსკოვის კონს. (პროფ. კ. იგუმნოვი). მუსიკოს-შემსრულებელთა I საკავშირო კონკურსის (1933) ლაურეატი (II პრემია). ეწეოდა საშემსრულებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას მოსკოვის კონს-ში და გნესინების სახ. პედაგოგიურ ინ-ტში. 1946-1952 მუშაობდა თბილისის კონს-ში, სადაც აღზარდა მრავალი პიანისტი (მ. ჭავჭანიძე, ც. კარგარეთელი, ვ. თუმანიშვილი, ლ. შინჯიაშვილი, ლ. სანიკიძე, ი. ბახტაძე, ე. დვალი, ო. მელიქ-ფარსანდანოვა და სხვ.) ი-მა პირველმა შეასრულა ო. თაქთაქიშვილის, ო. გორდელისა და სხვათა საფ. კონცერტები. 1943-1958 უკრავდა კამერულ ტრიოში მ. ზატულოვსკისთან (ვიოლინო) და პ. ცომიკთან (ჩელო) ერთად.

გ. ტორაძე



იპოლიტოვ–ივანოვი (ივანოვი) მიხეილ მიხეილის ძე [7. XI. 1859, გატჩინა,–28. I. 1935, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და მუს. მოღვაწე. რუსეთის სახ. არტისტი (1922). 1882 ი–მა დაამთ. პეტერბურგის კონს. (ნ. რიმსკი–კორსაკოვის საკომპ. კლ.). 1882–93 ცხოვრობდა თბ-ში. მნ. წვლილი შეიტანა ქართული მუს. კულტურის განვითარებაში. იყო „რუსული მუსიკალური საზ–ბის“ საქ. განყ-ბის და თბ. სამუსიკო სასწავლებლის ხე–ლი (შემდგომში მის ბაზაზე დაარსდა თბ. კონს. რომლის დირექტორიც 1924–25 იპოლიტოვ-ივანოვი იყო). მისი მოწაფეები იყვნენ: ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი. დირიჟორობდა სიმფ. კონცერტებსა (1884-იდან) და საოპერო სპექტაკლებს. ი. იყო ქართ. მუს. ფოლკლორის ერთ–ერთი პირველი შემკრები. 1893 რუსეთში დაბრუნდა. 1893-იდან იყო მოსკოვის კონს-ის პროფ. 1905–18 დირექტორი, 1919–22 რექტორი. ი-ს ეკუთვნის ოპერები: „რუთი“ (1887), „აზრა“ (1890), „ასია“ (1900), „ღალატი“ (1910), ა. სუმბათაშვილ–იუჟინის პიესის მიხედვით, „ოლე ნორდლანდელი“ (1916) და სხვ. თავის შემოქმედებაში გამოიყენა ეროვნ. ხალხური მელოდიები, მ. შ. ძვ. თბილისის სიმღერები (ოპერა „ღალატი“ და სხვ.), შექმნა სიუიტები „კავკასიური ესკიზები“ და „ივერია,“ პოემა „მწირი,“ იგი ავტორია ნაშრომებისა, მათ შორის: „ქართული ხალხური სიმღერა და მისი სადღეისო მდგომარეობა“(1895).

ისაკაძე ელდარ ალექსანდრეს ძე. [5. I. 1936, თბილისი,–27.VII. 2005,ინგოლშტადტი (გერმანია)], ქართველი ვიოლონჩელისტი და პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1983). 1954–57 სწავლობდა თბ. კონს-ში. (ხე-ლი გ. ბარნაბიშვილი). 1957-60 მოსკოვის კონს-ში (ხე-ლი ს. კნუშევიცკი). 1957 პირველი პრემია მოიპოვა ვიოლონჩელისტთა რესპუბლიკურ კონკურსზე, 1960-ამიერკავკასიის მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი გახდა. 1962-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1984–იდან პროფ), 1974–76 კაიროს კონს-ის პროფ., შემდეგ კვლავ თბ. კონს-შია –1990-მდე. 1990–იდან ცხოვრობს გერმანიაში, ქ. ინგოლშტადტში, მუშაობდა კამერულ ორკესტრში, რომელსაც მისი და ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობდა, 1994–იდან იქვე მუშაობდა პედაგოგად დ. ოისტრახის სახ. მუსიკალურ აკადემიაში. ი-ის დაკვრა საშემსრულებლო კულტურით, ხალასი ექსპრესიით და ტემპერამენტით გამოირჩეოდა. ქართველი კომპ–ის მთელი რიგი ახალი ნაწ-ის (მათ შორის ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძისა და ვ. აზარაშვილის სავიოლონჩელო კონცერტების) პირველი შემსრულებელია. პირველმა საქ–ში შეასრულა ს. პროკოფიევის კონცერტი-სიმფონია და დ. შოსტაკოვიჩის კონცერტი №1. გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებში, საზღვარგარეთ.

გ. ტორაძე

ისაკაძე ლიანა ალექსანდრეს ასული [2. VIII. 1946, თბილისი], ქართველი მევიოლინე და დირიჟორი. საქ. (1974) და სსრკ (1988) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველისა (1983) და ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიების (1979), მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშ. კონკურსების (მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ, პარიზი, 1965, I პრემია; პ. ჩაიკოვსკის სახ. მოსკოვი, 1970,

III პრემია; სიბელიუსის სახ, ჰელსინკი, 1970, I პრემია) ლაურეატი. დაამთ. თბ. ცენტრ. მუს. სკოლა (პროფ. ლ. შიუკაშვილის ხელმძღვანელობით). 1956 იყო რესპ. ფესტივალის ლაურეატი, 1957 ამიერკავკასიის მუსიკოს–შემსრულებელთა I კონკურსის ლაურეატი, ხოლო 1961 საკავშირო კონკურსის ლაურეატი გახდა. 1968 დაამთ. მოსკოვის კონს. (პროფ. დ. ოისტრახის კლ.). 1971-იდან მოსკ. ფილარმონიის სოლისტია. გასტროლებს მართავს საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1981–97 საქ. სახელმწ. კამერული ორკესტრის სამხ. ხე–ლი და დირიჟორი იყო. 1988 ვენაში ჩატარდა ი. სახ. მუს. ფესტივალები, რომელშიც თვითონ და მისი ორკესტრიც მონაწილეობდნენ. 1990–იდან მოღვაწეობდა გერმანიაში, მის მიერ დაარსებულ მუს. აკადემიაში, სადაც სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის (მ. შ. საქართველოს) ნიჭიერი სტუდენტები. გერმ. ქ. ინგოლშტადტში ი-მ დააარსა ქართ. კულტურის ცენტრი, საქველმოქმედო ორგანიზაცია, რ–იც ეხმარება ახალგაზრდა ქართველ ხელოვნების მოღვაწეებს მათი შემოქმედების გამოფენა–გაყიდვაში, უნიშნავს სტიპენდიებს. 1999 ჩამოაყალიბა საქ. სიმებიანი ორკესტრის ახ. კოლექტივი. ი. თანამედროვეობის გამოჩენილი მევიოლინეა. მისი შესრულება აღინიშნება არტისტიზმით, ღრმა მუსიკალობით, ვირტუოზული ტექნიკით. მის რეპერტუარშია კლასიკური და თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშები. ი. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების (ო. თაქთაქიშვილის სავიოლინო კონცერტი) პირველი შემსრულებელია. მონაწილეობს ფინურ მხატვრულ ფილმში „სიბელიუსი“ (1975). მასზე გადაღებულია იაპონური დოკუმენტური ფილმი „ლიანა ისაკაძე“ (1974). 80-იან წლებში ატარებდა საერთაშ. მუს. ფესტივალებს ბიჭვინთაში, 2002–იდან–ბორჯომში, თავის ორკესტრთან ერთად 2000 მოაწყო საკონცერტო მომლოცველობა „პოლიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში“ (გადაღებულია ტელეფილმი. რეჟ. ს. ვახტანგოვი).

ლ. საყვარელიძე

იუდინა მარია ვენიამინის ასული [28. VIII. 1899,–19.XI.1970, მოსკოვი], რუსი პიანისტი, ლ. ნიკოლაევის მოწაფე. გამოდიოდა როგორც სოლისტი ცნობილ დირიჟორებთან, მომღერლებთან, ინსტრუმენტალისტებთან ანსამბლში. ითვლება ი.ს. ბახის ნაწ–ის ერთ–ერთი საუკეთესო შემსრულებლად, შესანიშნავად ასრულებდა აგრეთვე ბეთჰოვენის, ბრამსის, შუბერტის, მოცარტის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, სტრავინსკის, მუსორგსკის, ჰინდემითის ნაწარმოებებს. 1921–60 იყო მოსკოვისა და პეტროგრად–ლენინგრადის, ხოლო 1932–34 თბ. კონს–ის პროფესორი.

იუმორესკა (გერმ. humoreske), გასართობი, ჩვეულებრივ სახუმარო, იუმორისტული ხასიათის მცირე ზომის მუს. პიესა. ეს ჟანრი დაამკვიდრა რ. შუმანმა (ფ–ნოსათვის 1839; საფ. ტრიოსათვის, 1842). იუმორესკები შექმნეს ე. გრიგმა, პ. ჩაიკოვსკიმ, ს. რახმანინოვმა, ა. დვორჟაკმა და სხვ., კამერული ორკესტრისათვის–ო. თაქთაქიშვილმა.

იშხნელები, დები იშხნელები, ქართული ქალაქური სიმღერების შემსრულებელთა ოჯახი, ვოკალური კვარტეტი, დების ნინოს (1898–1967), თამარის (1900–94), ზინაიდას (1902–68) და ალექსანდრას (1904-55) შემადგენლობით. 1955–იდან ალექსანდრა შეცვალა

მისმა დამ მარიამმა (1889–1973). ეს ანსამბლი საოჯახო შესრულებით ადრეც იყო ცნობილი, ოფიციალურად კი ჩამოყალიბდა 1941 და იმავე წელს შევიდა საქ. ფილარმონიის შემადგენლობაში, (ხე-ლი თამარ იშხნელი). იგი რამდენიმე სიმღერის მუსიკის ავტორიცაა („შენ აყვავდი, ქართლო, მეტად", „არ დაიჯერებ" და სხვ.). 1949 ი-ს მიენიჭათ საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწის, ხოლო 1976 თამარს საქ. სახ. არტისტის წოდება. ი-მა დახვეწეს და გაამდიდრეს სამხმიანი ქალაქური სასიმღერო ფოლკლორი. კვარტეტმა იარსება 1967–მდე და ქართველი საზოგადოების დიდი სიყვარული დაიმსახურა. 1972–იდან სიცოცხლის ბოლომდე თამარი მღეროდა ქართულ და ძვ. რუსულ რომანსებს. 1999 დაარსდა იშხნელების სახ. პრემია. პირველად მიენიჭა ჭოხონელიძეების მომღერალ ოჯახს (1999).

კ

კაბალევსკი დიმიტრი ბორისის ძე [17. XII. 1904, პეტერბურგი,–14. II. 1987, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1963), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. სსრკ პედ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი, „მუს. აღზრდის საერთაშორისო საზ-ბის“ საპატიო პრეზიდენტი. დაამთ. მოსკოვის კონს. (ნ. მიასკოვსკის საკომპოზიციო (1929) და ა. გოლდენვეიზერის საფ. (1930) კლასები). 1940-46 იყო ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკას“ მთ. რედაქტორი. მას შექმნილი აქვს ოპერები: „ტარასის ოჯახი“, „კოლა ბრიუნიონი“, „ცეცხლში“, „დები“; 4 სიმფ., კონცერტები ორკესტრთან ერთად – 3 საფ., 1 ვიოლინოსათვის და 2 ჩელოსათვის; კანტატები, „რეკვიემი“ და სხვ.

კ. იყო მოსკოვის კონს-ის პედაგოგი (1932-80), პროფესორი (1939). მრავალი პრემიის, მათ შორის, ლენინურის (1972) ლაურეატი.

კაბალეტა (იტალ. cabaletta), გმირული ხასიათის პატარა საოპერო არია.

კაბალიე (Caballe') მონტსერატ [12. IV. 1933, ბარსელონა,–06.X.2018, იქვე], ესპანელი მომღერალი (სოპრანო). 1956-იდან ბაზელის საოპერო თეატრის სოლისტია, 1959-62 ბრემენის, 1965 - იდან – „მეტროპოლიტენ-ოპერისა“. გამოჩენილი თანამედროვე მომღერალი, ბელკანტოს ხელოვნების შესანიშნავი ოსტატია. გამოდის მსოფლიოს მრავალ საოპერო სცენაზე. განსაკუთრებით წარმატებით ასრულებს როსინის, ბელინის, დონიცეტის საოპერო პარტიებს. მართავს კონცერტებს, მისი შესრულება გამოირჩევა ტემბრული და დინამიკური ნიუანსირების სიმდიდრით (განსაკუთრებით ცნობილია მისი პიანისიმო მაღალ რეგისტრში).

კაბარე (ფრანგ. cabaret - დუქანი), XIX ს-ის 80-იანი წლებიდან საფრანგეთში არისტოკრატული დუქანი საღამოს იმპროვიზებული პროგრამით, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები, მუსიკოსები და პოეტები; მოგვიანებით მინიატურების თეატრი-კაფე ან რესტორანი, რომელშიც საესტრადო წარმოდგენები იმართებოდა.

კადანსი, (ფრანგ. cadence) იხ. კადენცია.

კადენცია (იტალ. cadenza < ლათ. cadens, ვამთავრებ), 1. ჰარმონიული ან მელოდიური საქცევი, რომელიც მუსიკალურ ნაწარმოებს ან მის ნაწილს დაბოლოების ხასიათს აძლევს. 2. რომელიმე საკრავისათვის ორკესტრთან ერთად შესასრულებელ ნაწარმოებში (კონცერტში) ბრწყინვალე, ვირტუოზული ხასიათის ეპიზოდი, რომელსაც სოლისტი ასრულებს ორკესტრის აკომპანემენტის გარეშე.

კავალი (Cavalli) ფრანჩესკო [14.II. 1602, კრემა,-14. I. 1676, ვენეცია], იტალიელი კომპოზიტორი. 1617-იდან მგალობელი, ორგანისტი და კაპელმაისტერი ვენეციის სან-მარკოს ტაძარში. ვენეციური საოპერო სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. კ-ის ოპერებს შორის გამოირჩევა: „დიდონა“ (1641), „იასონი“ (1649), „ორიონი“ (1653) და სხვ. რეკვიემი, სასულიერო მუსიკა და სხვ.

კავატინა (იტალ. cavatina), ლირიკული ხასიათის არია ოპერასა და ორატორიაში. კ. არიისაგან განსხვავდება მეტი უბრალოებით და მასშტაბის სიმცირით. XIX ს. I ნახევარში კ-ს უწოდებდნენ პრიმადონას ან პრემიერის გამოსასვლელ არიას, XIX ს. II ნახევრიდან კი მცირე ზომის მღერადი ხასიათის საკრავიერ პიესასაც.

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) გრიგოლის ძე [1874, სოფ. ხოვლე, კასპის რ-ნი,–12.VI.1939, თბილისი], ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი (ტენორი) და ლოტბარი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. კ-ს სპეც. მუს. განათლება არ მიუღია. სწავლობდა გორის სას. სასწავლებელში და იქვე მღეროდა ს. გოგლიჩიძის გუნდში, შემდგომ ამ გუნდის ლოტბარი იყო. 1894-იდან გორის დაწყებით სკოლაში ასწავლიდა სიმღერას, იქვე დააარსა მომღერალთა გუნდი (ამ გუნდში მღეროდა ვ. სარაჯიშვილი). 1896-1911 მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა თბილისში. 1911 მუშათა გუნდები ჩამოაყალიბა ტყიბულსა და ჭიათურაში, სადაც 24 წლის მანძილზე მოღვაწეობდა. 1935 კავსაძემ თბ-ში დააარსა აღმოსავლეთ საქ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი (100 კაცი). ანსამბლი წარმატებით გამოვიდა მოსკოვში 1937 ქართ. ხელოვნ. დეკადაზე. კ-მ აღზარდა მრავალი ლოტბარი. მისი მოწაფეები იყვნენ: მ. კავსაძე, ვ. ხატელიშვილი, ს. გველესიანი და სხვ.

კ. ქართ. ხალხ. სიმღერების, განსაკუთრებით კი „ურმულისა“ და „ოროველას“ შესრულების დიდოსტატი იყო.

კავსაძე ანზორ გრიგოლის ძე [7. VIII. 1930, ჭიათურა, – 17.XII. 2007, თბილისი], ქართველი საგუნდო დირიჟორი. საქ. სახ. არტისტი(1970). 1956 დაამთ. თბ. კონს. (ხე-ლი გ. ხახანაშვილი) საგუნდო-სადირიჟორო განხრით. 1961-64 სწავლობდა ასპირანტურაში (საოპერო-სიმფ. დირიჟორობა, ხე-ლი ო. დიმიტრიადი). სწავლის პარალელურად ეწეოდა სადირიჟორო მოღვაწეობას. 1951-იდან საქ. რადიოს კაპელის დირიჟორი და მომღერალია, 1954-58 თბ. კონს-ის საოპერო სტუდიის გუნდის დირიჟორი. 1956-57 –საქ. სახელმწ. ფილარმონიის კაპელის დირიჟორი. 1957-66 საქ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლის მთ. დირიჟორი, 1968-75 კი ამავე ანსამბლის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორი. ამ წლებში ანსამბლმა განსაკუთრებით მაღალმხატვრულ საშემსრულებლო დონეს მიაღწია. წარმატებით გამართა გასტროლები საზღვარგარეთ (მ. შ. აშშ-ში).

კავსაძე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე [7.I.1886, ს. ხოვლე, კასპის რ-ნი, - 30. XII. 1953, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირიკული ტენორი); საქ. სახ. არტისტი (1943). სიმღერას სწავლობდა თბ-ში ე. ბროჯისთან. ერთხანს მღეროდა ალ. კავსაძის გუნდში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო მოსკოვში 1908. 1917-მდე მუშაობდა მოსკოვის, ორენბურგის, პეტერბურგის, სმოლენსკისა და სხვ. ქალაქების ოპერეტის თეატრებში. კ. თბ. მუს კომედიის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. 1921-იდან მღეროდა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. პარტიები: აბესალომი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), შოთა რუსთაველი (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), კოტე, საქო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ლენსკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ალფრედი (ვერდის „ტრავიატა“) და სხვ. კ-ს ლამაზი ტემბრის ხმა და მაღალი სასცენო კულტურა ჰქონდა.

განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა კომ. როლებს, გადაღებულია კინოში. კ. თავისი დროის თვალსაჩინო მრავალმხრივი სპორტსმენი იყო.



კავსაძე იმერ დავითის ძე[16.VI. 1937, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ. ტენორი), საქართველოს სახ. არტისტი(1990). 1960 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. ვოკალური განყოფილება. იმავე წლიდან საქ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტია. 1962-71 მღეროდა თბ. ოპერის თეატრში, 1971-72 ტაჯიკეთის საოპერო თეატრში, 1975-77 ქუთაისის ოპერის თეატრის, 1977-94 კი კვლავ თბ. საოპერო თეატრის მომღერალი იყო. კ-ის რეპერტუარი მრავალფეროვანია. შესრულებული აქვს 50-ზე მეტი საოპერო პარტია: მალხაზი, აბესალომი (ზ. ფალაიშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ლენსკი, ვოდემონი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“), ალფრედი, მანრიკო, კასიო (ვერდის „ტრავიატა“, „ტრუბადური“, „ოტელო“), არლეკინი (ლეონკავალოს „ჯანბაზები“), ფაუსტი (შ. გუნოს „ფაუსიტი“), ლოენგრინი (რ. ვაგნერის „ლოენგრინი“) და სხვ. 1994-დან მოღვაწეობდა პოლონეთში.



კაკაბაძე რევაზ სერგოს ძე [28. IX. 1928, თბილისი, – 2. XII. 1996, იქვე], ქართველი მომღერალი (ბარიტონი), საქ. სახ. არტისტი (1985). 1953 დაამთ. თბ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის უცხო ენათა (გერმანული) განყოფილება, 1959 - თბ. კონს-ის ვოკალური განყოფილება (პროფ. გ. მარგიევის კლ.). 1961-იდან თბ. საოპერო თეატრის სოლისტია. შესრულებული აქვს 40-მდე მთ. პარტია. განს. გამოირჩევა მურმანის („აბესალომ და ეთერი“), ჩალხიას (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“), რიგოლეტოს, დი ლუნას, ამონასროს, იაგოს (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „აიდა“, „ოტელო“), ტომსკის (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“) და სხვ. პარტიების შესრულება. კ. ფლობდა იშვიათი სილამაზისა და სიძლიერის ხმას. გამოდიოდა

კონცერტებში, მართავდა გასტროლებს (თეატრთან ერთად და ცალკეც) უცხოეთის ქვეყნებში.

კაკოფონია (ბერძ. kakophonia< kakos - უხეში და phone- ბგერა), არაკეთილხმოვნება, ისეთი ჟღერადობა, რომელიც ბგერათა მოუწესრიგებელ, ქაოსურ მოზღვავებად აღიქმება, ჩვეულებრივ წარმოიქმნება ბგერათა შემთხვევითი ჟღერადობის შედეგად (მაგ. ორკესტრის აწყობის დროს).

კალასი (Callas) მარია (ნამდვ. გვარი კალოიეროპულუ), [3.XII.1923, ნიუ-იორკი,–16.IX.1977, პარიზი], ბერძენი მომღერალი (სოპრანო). 1937-იდან სწავლობდა ათენის კონს-ში ე. დე იდალგოსთან. კ-ის დებიუტი შედგა ათენში (1938). იყო სოლისტი თეატრებისა: „ლა სკალა“ (1951-58 და 1960-62), „კოვენტ-გარდენისა“ (1952-იდან), ჩიკაგოს (1954-იდან), „მეტროპოლიტენ-ოპერისა“ (1956-58). კონცერტებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. კ. იყო XX ს. ერთ-ერთი უდიდესი მომღერალი, ნათლად გამოხატული რომანტიკული სტილისა. გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი არტისტიზმით, ბელკანტოს ხელოვნ. უმაღლესი ოსტატობით. ფლობდა ძალზე ლამაზ, მჟღერ, მოქნილ, ფართო დიაპაზონის ხმას, ვირტუოზულ ვოკალურ ტექნიკას, რაც საშუალებას აძლევდა შეესრულებინა განსხვავებული ხასიათის პარტიები: მედეა (კერუბინის „მედეა“), ლუჩია, ანა ბოლეინი (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, „ანა ბოლეინი“), ნორმა, ამინა (ბელინის „ნორმა“, „სომნამბულა“), ვიოლეტა (ვერდის „ტრავიატა“), ტოსკა (პუჩინის „ტოსკა“), ჩიო-ჩიო-სანი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“) და მრავალი სხვა. გადაღებულია კინოში. 1982-იდან ათენში ტარდება კ-ის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსები.

კალინიკოვი ვასილი სერგის ძე [1.I.1866 ს. ვოინი, - 29.XII. 1900 (11.I.1901), იალტა], რუსი კომპოზიტორი. შემოქმედების ძირითადი სფერო – სიმფ. მუსიკა. ავითარებდა პ. ჩაიკოვსკისა და „მძლავრი ჯგუფის“ კომპოზიტორთა ტრადიციებს. მისი I სიმფონია (1895) - რუსული ლირიკული სიმფონიზმის ცნობილი ნიმუშია, დღესაც სრულდება. ავტორია აგრეთვე სიმფ. სურათისა „კედარი და პალმა“ და სხვ. ნაწარმოებებისა.

კალმანი (Kalman) იმრე [24. X. 1882, შიოფოკი, უნგრეთი,–30. X. 1953, პარიზი], უნგრელი კომპოზიტორი, სახელი გაითქვა თავისი ოპერეტებით (20-მდე), რომლებმაც მთელ მსოფლიოში მოიპოვეს პოპულარობა. სწავლობდა ჰ. კესლერთან. 1911-38 ცხოვრობდა ვენაში, სადაც შეიქმნა და დაიდგა მისი საუკეთესო ოპერეტები: „ჩარდაშის დედოფალი“ („სილვა“, 1915), „ბაიადერა“(1921), „ცირკის პრინცესა“ (1926), „მონმარტრის ია“ (1930) და სხვ. 1938 -იდან შვეიცარიაშია, 1940-იდან –აშშ-ში. კ. ერთ-ერთი შემქმნელია ე.წ. ახალი ვენური ოპერეტისა, რომლისათვისაც დამახასიათებელია სიუჟეტური სიტუაციების სიმძაფრე, განვითარებული დრამატურგია, მკაფიო, ადვილად დასამახსოვრებელი მელოდიები, ეფექტური ორკესტრობა. კ-ის მრავალ ოპერეტაში იგრძნობა უნგრული ხალხ. მუს. (კერძოდ, ე.წ. ვერბუნკოშის)

გავლენა. კ. შემოქმედების მწვერვალია „სილვა“, იგი ავტორია აგრეთვე სხვა ჟანრის რამდენიმე ნაწარმოებისა.

კალმახელიძე ლიანა მიხეილის ასული [25. X. 1947, თელავი], ქართველი მომღერალი (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო), საქ. სახ. არტისტი (1989). საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1992). 1973 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ი. ფალიაშვილის კლ.). 1975-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. 1976-77 გადიოდა სტაჟირებას მილანის საოპერო თეატრ „ლა სკალაში“. მ. გლინკას სახ. ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატია (1975). შესრულებული აქვს მთავარი პარტიები ქართველი, იტალიელი და სხვ. კომპ-ების ოპერებში. გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებში, გფრ, გდრ, საფრ., იტალ., პოლ., თურქეთში, ისრაელში. საქართ. სახელმწ. პრემია მიენიჭა ქეთოს პარტიის შესრულებისათვის ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ განახლებულ დადგმაში (1992). თბ. შ. რუსთაველის სახ. თეატრალური უნივერისიტეტის პროფესორი (2004-იდან). ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას.

კამერატა (ფლორენციული კამერატა) – პოეტების, მუსიკოსების, მეცნიერებისა და მუსიკის მოყვარულთა გაერთიანება, რომელიც ჩამოყალიბდა 1580 ფლორენციაში. მისი ინიციატორები იყვნენ კომპოზიტორი და მეცენატი გრაფი ჯ. ბარდი და მუსიკის მოყვარული ი. კორსი, მონაწილენი: პოეტი ო. რინუჩინი, მომღერლები და კომპოზიტორები ჯ. კაჩინი, ო. პერი, ვ. გალილეი და სხვები ისწრაფოდნენ ანტ. ტრაგედიის აღდგენისაკენ. მათ დაუპირისპირეს XVI ს-ის გაბატონებულ საგუნდო პოლიფონიას მონოდია თანხლებით და წინ წამოსწიეს ჰომოფონიურ-ჰარმონიული საწყისი. ფლორენციის კამერატასთან არის დაკავშირებული ახალი ჟანრის – ოპერის („დრამა მუსიკით“) დაბადება, რომლის პირველი ნიმუშებია პერის „დაფნა“ (კორსისთან ერთად; 1592, დაიდგა 1597-98), პერის „ევრიდიკე“ (დაიდგა 1600), კაჩინის „ევრიდიკე“ (დაიდგა 1602, ყველა – ო. რინუჩინის ტექსტებზე).

კამერტონი (გერმ. kammerton), ბგერის წყარო; ფოლადის ორთითა ხელსაწყო (ჩანგლის მსგავსი), რომელიც მაგარ სხეულზე დარტყმისას გამოსცემს გარკვეული სიმაღლის ბგერას; გამოიყენება მუს. საკრავის აწყობისას, აგრეთვე გუნდის მიერ სიმღერის შესრულების დროს.



კამერული ანსამბლი, ერთიან მხატვრულ კოლექტივში თავმოყრილი შემსრულებლების ჯგუფი, რომელიც ასრულებს კამერულ მუსიკას. ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა – სიმებიანი კვარტეტი. კამერულ ანსამბლს უწოდებენ აგრეთვე შემსრულებელთა მცირე შემადგენლობისათვის (ინსტრუმენტალისტების ან ვოკალისტებისათვის) დაწერილ ნაწარმოებებს.

კამერული მუსიკა, მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკური ნაირსახეობა.

განკუთვნილი იყო პატარა შენობაში, ოჯახურ გარემოში შესასრულებლად. კ.მ. იწერება მცირე საკრავიერი შემადგენლობისათვის (თეატრალური, სიმფონიური და საკონცერტო მუსიკისაგან განსხვავებით). კ. მ. დასაბამს შუა ს-იდან იღებს. XVI ს. დასასრულამდე ეს სახელწოდება მხოლოდ ვოკალური ჟანრის მიმართ იხმარებოდა, XVII ს-იდან კი გავრცელდა საკრავიერ მუსიკაზეც. კამერული საკრავიერი ანსამბლის თანამედროვე სახეები-სონატა, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და ა.შ. ჩამოყალიბდა ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენლების ი. ჰაიდნის, ვ. მოცარტის, ლ. ბეთჰოვენის შემოქმედებაში. XVII ს. დასასრულს და განსაკუთრებით XIX ს-ში მუსიკალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ვოკალურმა კ. მ-მ. ფ. შუბერტის, რ. შუმანის და სხვ. რომანტიკოს კომპოზიტორთა შემ-ში ჩამოყალიბდა მხატვრული სიმღერის ახ. ჟანრი. მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა რუსი კომპოზიტორების (ჩაიკოვსკის, ბოროდინის, გლაზუნოვის და სხვ.) კამერული ანსამბლები, რომელთა ტრადიციებმაც გაგრძელება პოვა საბჭოთა პერიოდის კომპოზიტორთა შემ-ში (მიასკოვსკი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი და სხვ.). რუსეთში განვითარდა სიმღერისა და რომანსის ჟანრი (მ. გლინკა, დარგომიჟსკი, ჩაიკოვსკი, ბოროდინი, მურორგსკი, რიმსკი-კორსაკოვი, რახმანინოვი და სხვ.). კ.მ-ის სხვადასხვა ჟანრი ფართოდ არის წარმოდგენილი ქართულ მუსიკაში.

კამერული ოპერა, სოლისტებისა და ორკესტრის მცირე შემადგენლობის, მცირე ზომის, ჩვეულებრივ, ერთაქტიანი ოპერა, ზოგჯერ გუნდითა და ანსამბლით.

კამერული ორკესტრი, შედგება12-30შემსრულებლისაგან, რომელთა ძირითად ბირთვს შეადგენს სიმებიან საკრავებზე შემსრულებლები, ზოგჯერ ასრულებენ უდირიჟოროდ, მის ფუნქციას ასრულებს პირველი ვიოლინო.

საქართველოში კ. ო. დაარსდა 1963 (დირიჟორი გ. აზმაიფარაშვილი), ფართო აღიარება მოიპოვა ლ. ისაკაძის ხელმძღვანელობით (1981-1997).

კანდელაკი ვლადიმერ არკადის ძე [16.III.1908, თბილისი, –10. III. 1994, მოსკოვი], ქართველი მომღერალი (ბანი–ბარიტონი) და რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1970). 1928 დაამთ. თბ. კონს. (ე. ვრონსკის მოწაფე), 1933 მოსკოვის თეატრალური ხელოვნების სახელმწ. ინ–ტი. 1929-იდან იყო კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ – დანჩენკოს სახ. მუს. თეატრის სოლისტი. პარალელურად (1954–64) –მოსკოვის ოპერეტის თეატრის მსახიობი და მთ. რეჟისორი. კ-მა შექმნა კომედიური და დრამ. სახეები: სტეფანი (შტრაუსის „ბოშათა ბარონი“), საქო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), სულთან–ბეგი (ჰაჯიბეკოვის „არშინ–მალ–ალანი“), ტარასი (კაბალევსკის „ტარასის ოჯახი“) და სხვ. 1943-იდან მოღვაწეობდა როგორც რეჟისორი.

კანკელი, ესტონური ხალხური სიმებიანი საკრავი. აქვს 6-9 სიმი.

კანკლესი, ლიტვური ხალხური სიმებიანი საკრავი. აქვს 25-მდე სიმი. კანკლესს არაძლიერი, მაგრამ სასიამოვნო რბილი ბგერა აქვს.

კანონი (ბერძნ. kanon –წესი), ბოლომდე ზუსტად დაცული იმიტაცია. მრავალხმიანი მუსიკის სახე, რომელიც აგებულია ერთი და იმავე მელოდიის რიგრიგობით ჩართვაზე. ჩვეულებრივ, კ. 2 და 3–ხმიანია (ზოგჯერ 4, 5–ხმიანიც). არსებობს რამდენიმე სახის კ. ე.წ. ორმაგი კ., როცა ხდება 2 ერთდროულად მჟღერი მელოდია–თემის იმიტირება; წრიული, უსასრულო კანონი, როცა დასასრული ებმის დასაწყისს და ეს პროცესი შეიძლება განმეორდეს ნებისმიერი რაოდენობით; გამოუცნობი კ., როცა ცნობილია მხოლოდ მელოდია, ხოლო მისი იმიტირების პირობები დამოკიდებულია შემსრულებელზე და სხვ. კ. აღმოცენდა XII ს–ში. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XIV ს. მუსიკაში–პოლიფონიის მყარად დამკვიდრების პერიოდში. XV ს–ში კანონიკურ საფუძველზე შეიქმნა მრავალი საკულტო მუს. ნაწარმოები (კანონიკური მესა). შემდგომში კ. გამოიყენება როგორც ფუგის ელემენტი. კ–მა უმაღლეს განვითარებას ი.ს. ბახის შემოქმედებაში მიაღწია.

კანტაბილე (იტალ. cantabile მღერადად), 1. მუსიკალური პიესის, მელოდიის შესრულების მღერადი ხასიათი. 2. მღერადი, მეტყველად შესასრულებელი მუს. ნაწარმოები ან მისი ნაწილი.

კანტატა (იტალ. cantata < ლათ. canto –ვმღერი), დიდი ზომის ვოკალურ–საკრავიერი ნაწარმოები სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისათვის. იგი შედგება რამდენიმე დასრულებული ნაწილისაგან. კ. შეიძლება იყოს საზეიმო, ლირიკული, სამგლოვიარო და თხრობითი ხასიათისა. გვხდება საერო და სას. (რელიგიური) კ–ბი. კ. შედგება საორკესტრო შესავლის, არიის, რეჩიტატივისა და გუნდისაგან. აღმოცენდა XVII ს. I ნახევარში იტალიაში. განსაკუთრებით განვითარდა ჯ. კარისიმის, ა. სტრადელას, ა. სკარლატისა და სხვ. შემოქმედებაში. იტალ. კ. საერო ხასიათისა იყო. სას. კ. შეიქმნა გერმანიაში. სას. და საერო კ–ის მაღალმხატვრული ნიმუშები შექმნა ი. ს. ბახმა. XIX ს. II ნახევარში მნ. კ–ის ავტორები იყვნენ: პ. ჩაიკოვსკი, ს. ტანეევი, ს. რახმანინოვი. ქართული კ–ის ავტორებია: ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ო. თაქთაქიშვილი, რ. ლაღიძე, ნ. სვანიძე, ა. ჩიმაკაძე, („ქართლის გული“ 1952)და სხვ.

კანტელე (ფინ. kantele), კარელურ-ფინური სიმებიანი მუსიკალური საკრავი. ენათესავება ესტონურ კანელს, ლატვიურ კოკლეს, ლიტვურ კანკლესს და რუსულ ფრთისებრ (ჟღარუნა) გუსლის.

კანტილენა (იტალ. cantilena < ლათ. cantilena-მღერა), 1. მღერადი ვოკალური ან საკრავიერი მელოდია. 2. მუს. შესრულების მელოდიურობა, მღერადობა. 3.XIII–XV სს. დას. ევროპაში–მცირე ზომის ლირიკულ – ეპიკური ხასიათის ერთხმიანი და მრავალხმიანი საერო ვოკალური ნაწარმოებისა და საცეკვაო სიმღერის სახელწოდება. 4. XVII ს. დასასრულიდან–მღერადი მელოდიის მქონე სიმღერა ან სხვ. მუს. ნაწარმოები. 5. მცირე ზომის ლირ. ეპიკური სასიმღერო ლექსი, რომელიც გავრცელებული იყო უმთავრესად შუა ს. დას. ევრ. ლიტერატურაში.

კანტო, 1. მომღერლის პარტია, ჰანგი, სიმღერა; 2. ზემო ხმა, სოპრანო, დისკანტი.

კანტორი (ლათ. cantor მგალობელი, მომღერალი), 1. კათოლიკურ ეკლესიაში–გუნდის მგალობელი. 2. სინაგოგაში –მთავარი მომღერალი. 3. პროტესტანტულ ეკლესიაში –გუნდის

მასწავლებელი და დირიჟორი, აგრეთვე ორგანისტი.

კანცონა (იტალ. canzone- სიმღერა), შუა საუკუნის ლირიკული ლექსი რაინდულ სიყვარულზე. თავდაპირველად წარმოიქმნა პროვანსში, შემდეგ გავრცელდა მთელ საფრანგეთსა და იტალიაში (XIII–XVII სს.). კ–ს ფორმა სტროფულია (5-7 სტროფი). მისი კლასიკური ნიმუშები შექმნეს დანტემ და პეტრარკამ. კ. თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსიკასთან. XVI–XVII სს. იტალიაში გაჩნდა საკრავიერი კ–ბი. კ-ბს წერდნენ კომპოზიტორები: ა. გაბრიელი, ჯ. ფრესკობალდი, ი.ს. ბახი და სხვ. კ–ის განვითარებამ გამოიწვია საანსამბლო ჟანრის–კონჩერტო გროსოს–წარმოშობა. კლავიშიანი საკრავების კ–ებისგან თანდათანობით შეიქმნა ფუგა, ხოლო თანმხლებიანი სოლო საკრავის კ–ამ განაპირობა სონატის წარმოშობა. XVIII–XIX სს–ში სახელწოდება „კ“ იხმარება ვოკალური და საკრავიერი ლირ. მუს. პიესების აღსანიშნავად.

კანცონეტა (იტალ. canzonetta < canzone-სიმღერა), მცირე ზომის მრავალხმიანი (XVI–XVII სს.) ან სოლო სტროფული (XVIII ს.) სიმღერა გაჩნდა იტალიაში. XIX ს. კომპოზიტორები კ–ს არქმევდნენ საკრავიერ პიესებსაც.

კაპელა (იტალ. cappella), 1. პროფესიული საგუნდო კოლექტივი. 2. საეკლესიო მგალობელთა გუნდი.

კაპელმაისტერი (გერმ. kapellmeister <kapelle-გუნდი და Meister-ოსტატი, ხელმძღვანელი), ვოკალური ან ინსტრუმენტული ანსამბლის ხე-ლი. ამჟამად უწოდებენ სამხედრო ორკესტრის დირიჟორებსაც.

კაპრიჩო, კაპრიჩიო (იტალ. capriccio, სიტყვა-სიტყვით ჭირვეულობა; ჟინიანობა), ცვალებადი ხასიათისა და თავისუფალი ფორმის ბრწყინვალე, ვირტუოზული საკრავიერი პიესა. კ. ჰგავს ეტიუდს (ნ. პაგანინის 24 კ. სოლო ვიოლინოსათვის), კლავირისა და საფ. კ. სახასიათო პიესას. XIX ს–ში შეიქმნა საორკესტრო კ. მკაფიოდ გამოხატული ეროვნულ მუს. ელფერით (ჩაიკოვსკის „იტალიური კაპრიჩო“, რიმსკი–კორსაკოვის „ესპანური კაპრიჩო“ და სხვ.).

კარაიანი (Karajan) ჰერბერტ ფონ [5.IV.1908, ზალცბურგი,– 16. VII. 1989, იქვე], ავსტრიელი დირიჟორი. მუს. განათლება მიიღო ზალცბურგის „მოცარტეუმში“. 1927–34 კ. დირიჟორობდა კულმის საოპერო თეატრში, 1934-41 კი ქ. აახენში. 1941-44 ხელმძღვანელობდა ბერლინის სახელმწ. კაპელას. 1947-იდან იყო ვენის „მუსიკის მეგობართა საზოგადოების“ დირიჟორი და ზალცბურგის, ვენის, ბაიროითის, ბერლინის, მიუნხენისა და სხვ. ფესტივალების მონაწილე და ორგანიზატორი. გასტროლებს მართავდა ვენისა და ლონდონის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად. 1955–იდან იყო ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის ხე-ლი პარალელურად – ვენის სახელმწ. ოპერისა (1956–64). 1964–69 კ. „ლა სკალას“ თეატრის დირიჟორია, 1969–წლიდან კი ბერლინის სიმფ. ორკესტრისა. კარაიანი XX ს-ის მეორე ნახევრის უდიდესი (საოპერო და სიმფ.) დირიჟორი იყო. მის მიერ დაწესებული კონკურსის ლაურეატი

(ოქროს მედალი) 1978 წელს გახდა თბ. კონს-ის სტუდენტთა ორკესტრი (დირიჟორი ო. საფარიშვილი).

კარბელაშვილი ვასილ გრიგოლის ძე [1. I. 1858, სოფ. ქვემო ჭალა, ახლანდ. კასპის რ-ნი, – 8. IV. 1936, თბილისი], ქართველი მუსიკოსი, მგალობელი და საზ. მოღვაწე (სას. პირი, ეპისკოპოსი). მამამისი, გრიგოლ კარბელაშვილი, ცნობილი მგალობელი იყო. ვასილმა და მისმა ძმამ, პოლიევქტოსმა, ბავშვობიდანვე ოჯახში შეითვისეს ქართ. სას. გალობის ქართლ-კახური კილო, რომლის განვითარებასაც შემდეგში დიდი ამაგი დასდეს. კ-მა დაამთ. თბ. სას. სემინარია. 1882 შევიდა მოსკ. კონსერვატორიაში. 90-იან წლებში მოღვაწეობდა თბ-ში. გალობას ასწავლიდა სას. სემინარიაში. ამავე პერიოდში გამოაქვეყნა 2 კრებული: „ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი“ („მწუხრი, I ნაწ., 1897 და „ცისკარი“, II ნაწ., 1898). ამ კრებულებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

გ. ჩხიკვაძე, ს. ცაიშვილი

კარბელაშვილი პოლიევქტოს გრიგოლის ძე [1855-1936], ქართველი მუსიკოსი, მგალობელი, მწერალი, ისტორიკოსი. ავტორია წიგნებისა: „ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა“ (1898), სადაც განხილულია მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ და გამოთქმულია საყურადღებო შეხედულება საგალობლებში ჩართულ სამუსიკო ნიშნებზე,მოცემულია ჰიპოთეზა ქართ. საეკლესიო მუსიკის წარმართული ჰანგებიდან წარმოშობის შესახებ. ქართული საგალობლები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილებისაგან ჩაიწერა და ერთ კრებულად გამოსცა კომპოზიტორმა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, იგივე მასალა ქალ-ვაჟთა გუნდისათვის დაამუშავა და კრებულის სახით დაბეჭდა ზ. ფალიაშვილმა (1910). აღსანიშნავია კ-ის საგამომცემლო მოღვაწეობა. მან მოამზადა და გამოსცა ძვ. ქართ. ლიტერატურის ძეგლები: „ვეფხისტყაოსანის“ დამატებანი („ივერია“, 1880, №3), ანტონ I-ის „მზა-მეტყველება“ (1892), იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ (1899), „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია, რომელიც არსენ ბერს (XI-XII სს.) მიეწერება (1902), „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა“ (1903), იონა ხელაშვილის „ოქროს წყარო“ (1905) და სხვ.

გ. ჩხიკვაძე, ს. ცაიშვილი



კარგარეთელი ია (ილია) გიორგის ძე [1867, სოფ. ერთაწმინდა, ახლანდ. კასპის რ–ნი,–31. III. 1939, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი (ტენორი)და საზ. მოღვაწე. საქ. ხელოვნ.დამს. მოღვაწე. ბავშვობაში მღეროდა თბ. სიონის ეკლესიისა და ლ. აღნიაშვილის გუნდებში (1884–87), ხოლო სიმღერაში მეცადინეობდა ქართ. გუნდის ხელმძღვანელ ი. რატილთან. 1889–91 სწავლობდა მოსკოვში ფილარმონიის მუს. დრამ. სასწავლებელში ვოკალურ და თეორიულ განყოფილებებზე. ამ წლებში ქართ. ხალხ. მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით მოსკოვში

داااررსა ქართ. მუსიკის საღამოები, რომლებშიც მონაწილეობდა როგორც მომღერალი და გუნდის დირიჟორი. 1895 დაბრუნდა თბ-ში, ამ პერიოდში შექმნა რომანსები „შევიშრობ ცრემლსა“, „არაგვო“ და „მშვენიერთა ხელმწიფავ“. 1896–იდან ოპერის თეატრის სოლისტია, 1905–იდან რეჟისორი. ვ. გუნიასთან ერთად პირველად თარგმნა ქართულ ენაზე „სევილიელი დალაქისა“ და „დემონის“ ლიბრეტოები; ეს ოპერები კ-მა თვითონვე დადგა და ბარტოლოსა და სინოდალის პარტიებიც შეასრულა. კ-მა თარგმნა ქართულად აგრეთვე რიგი სხვა ოპერების ლიბრეტოები.

აქტიურად მონაწილეობდა საქ. ფილარმონიული საზ-ბის დაარსებასა (1903) და შემდგომ მუშაობაში. 1908 გამოსცა მის მიერ შეკრებილი ქართ. პოეტური ფოლკლორის ნიმუშები. მის ფოლკლორისტულ მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ ა. წერეთელი და ა. ხახანაშვილი. 1910-იდან ასწავლიდა სიმღერასა და მუსიკას თბ. სას. სემინარიაში, 1922-25 მუს. ისტორიასა და თეორიას თბ. კონს-ში. კ-მა ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ქართული რომანსის ნიმუშები. მისი ნაწარმოებების საფუძველს წარმოადგენს ქართული ქალაქური ფოლკლორი. მას ეკუთვნის აგრეთვე საგუნდო ნაწარმოებები. გამოაქვეყნა ქართ. ხალხ. სიმღერების 3 კრებული (1890, 1909, 1921 „ქართული საბავშვო სიმღერები“). კ-ის ნაშრომებია: „ქართული მუსიკის შესახებ“ (მოსკოვი, 1893), „მოკლე ნარკვევი ქართულ სიმღერაზე“ (1901), „მოკლე პოპულარული მუსიკალური ენციკლოპედია“ (1933) და მრავალი სტატია.

გ. ჩხიკვაძე



კარერასი ხოსე [5.XII. 1946, ბარსელონა (ესპანეთი)]. ესპანელი ტენორი. სახელი გაითქვა ჯაკომო პუჩინისა და ჯუზეპე ვერდის ოპერებში შესრულებული არიებით. ასევე დიდი პოპულარობა მოუტანა პროექტმა „სამი ტენორი”, სადაც იგი ლუჩანო პავაროტისთან და პლასიდო დომინგოსთან ერთად გამოდიოდა სცენაზე. მათი კონცერტები 1990-იდან 2003 იმართებოდა, საოპერო და არამარტო საოპერო მუსიკის მოყვარულთა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. კ. ცნობილია ასევე მისი საქველმოქმედო საქმიანობითაც. იგი ლეიკემიით დავადებულებს ეხმარება. 1988 კ-მა თავად შეძლო დაემარცხებინა ეს დაავადება, რომლითაც დაავადებული იყო. მომღერლის სიცოცხლის გადასარჩენად ექიმებმა 13 თვის მანძილზე იბრძოლეს. უნიკალური სამედიცინო დანადგარების საშუალებით მოხერხდა ტვინის უჯრედებიდან სიმსივნური უჯრედის მოშორება. გაჭირვების ჟამს მას მონსერატ კაბალიემ, ლუჩანო პავაროტიმ და პლასიდო დომინგომ გაუწიეს ფინანსური დახმარება. მძიმე წლებმა და ქიმიურმა თერაპიამ მომღერლის სახეს ნორმალური, ჯანმრთელი ფერი სამუდამოდ გაუქრო. ოპერაციიდან წელიწადნახევრის შემდეგ მან კონცერტი გამართა, რამოდენიმე წლის შემდეგ ის კლასიკური მუსიკის ისტორიაში ყველაზე წარმატებული პროექტის „სამი ტენორის”, თანაავტორი გახდა. ამ ციკლის პირველი კონცერტი ეიფელის კოშკის ქვეშ გაიმართა და ფეხბურთის ჩემპიონატის პარიზულ ფინალს მიუძღვნა.

კარუზო (Caruso) ენრიკო [25.II.1873, ნეაპოლი,– 2.VIII. 1921, იქვე], იტალიელი მომღერალი (დრამ. ტენორი). ბელკანტოს გამოჩენილი ოსტატი. ბავშვობიდან მღეროდა საეკლესიო გუნდში. 1891 სწავლობდა სიმღერის სკოლაში გ. ვერჯინესთან. მისი დებიუტი

შედგა 1894 ნეაპოლში, თეატრ „ნუოვოში“. 1895–98 გამოდიოდა იტალიის მრავალ ქალაქში, 1900–01 მილანის „ლა სკალაში“. 1903–20 იყო „მეტროპოლიტენ–ოპერის“ (ნიუ–იორკი) სოლისტი. 1898–იდან ტრიუმფით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. კ-ს ჰქონდა ფართო დიაპაზონის, უნიკალურად ლამაზი ტემბრისა და ძლიერი ჟღერადობის ხმა. მკაფიო დრამ. ტემპერამენტი საშუალებას აძლევდა შეესრულებინა სხვადასხვა ხასიათის (ლირიკულიდან ტრაგიკულამდე) პარტიები: ჰერცოგი, მანრიკო, რადამესი (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „აიდა“), ნემორინო (დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“), კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ტურიდუ (მასკანის „სოფლის ღირსება“), რუდოლფი, კავარადოსი, დე გრიე (პუჩინის „ბოჰემა“, „ტოსკა“, „მანონ ლესკო“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“) და სხვ. განსაკუთრებული შთაგონებით მღეროდა ნეაპოლურ სიმღერებს. კ. აღიარებულია ყველა დროის უდიდეს მომღერლად.

კასალსი (Casals) კაზალსი პაბლო [29. XII. 1876, ვენდრელი, ბარსელონის მახლობლად, – 22.X.1973, სან–ხუანი, პუერტო–რიკო], ესპანელი ვიოლონჩელისტი, დირიჟორი, კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე. მისი, როგორც ვირტუოზი შემსრულებლის, დებიუტი შედგა 1899 პარიზში. 1901–იდან ტრიუმფით გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (1905–13 რუსეთში). უკრავდა ტრიოში ა. კორტოსა და ჟ. ტიბოსთან ერთად. კ-მ ხანგრძლივი საშემსრულებლო მოღვაწეობით სავიოლონჩელო ხელოვნებაში მთელი ეპოქა შექმნა. 1920 ბარსელონაში ჩამოაყალიბა სიმფ. ორკესტრი, 1924–მუშათა მუს. საზ–ბა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1936–მდე. 1939-იდან ცხოვრობდა საფრანგეთში. 1950-იდან ეწყობოდა კ-ის სახ. ფესტივალები. 1957-იდან მრავალ ქვეყანაში იმართება კ-ის სახ. ვიოლონჩელისტთა საერთაშ. კონკურსები (პირველი მოეწყო პარიზში).

კასაციია (იტალ. Cassazione), ინსტრუმენტული ანსამბლის მიერ ღია ცის ქვეშ შესასრულებელი მუს. ნაწარმოები. კ. უახლოვდება დივერტისმენტს ან სერენადას; ხშირად იწყება და მთავრდება მარშით.

კასტანიეტები (ესპ. castanetas < ლათ. castanea წაბლი), ესპანეთში, სამხრეთ იტალიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გავრცელებული დასარტყამი მუსიკალური საკრავი. შედგება ნიჟარის ფორმის ხის (ან პლასტმასის) 2 წყვილი ფირფიტისაგან. თითოეული წყვილი ზონრის მარყუჟით არის შეერთებული. კ–ის რიტმული დარტყმა ჩვეულებრივ ხალხ. სიმღერებსა და ცეკვებს ახლავს. კ. ორკესტრის ერთ–ერთი ინსტრუმენტია.

კასტრატი მომღერლები (იტალ castrati< ლათ. castro-ვაჭურისებ), XVI-XVII სს. იტალიელი მომღერლების განსაკუთრებული კატეგორია (სოპრანისტებსაც უწოდებდნენ). ბავშობაში დასაჭურისებული მამაკაცები ინარჩუნებდნენ ბავშვურ ხმას (სოპრანო ან მეცო-სოპრანო) და შეეძლოთ რთული, მ. შ. ქალის პარტიების შესრულება.

XVI ს. კათოლიკურ გალობაში ქალთა მონაწილეობის აკრძალვის გამო ფართოდ გავრცელდა კასტრატი მომღერლების სიმღერა. XVII-XVIII სს-ში დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს იტალიურ ოპერაში.

კაშმაძე შალვა ეფრემის ძე [24.X. 1904, სოფ. ბაში, სამტრედიის რ-ნი, –12.VIII.1955, თბილისი], მკვლევარი, პუბლიცისტი. დაამთ. თბ. ინდუსტრიული ინ-ტი. ჰქონდა ბარიტონი, კერძოდ მეცადინეობდა ვოკალში. იყო საქ. ფილარმონიის ლიტ. ნაწილის გამგე, მწერალთა კავშირის წევრი. პუბლიკაციები: „ნიკო სულხანიშვილი“ (1939); „გატეხილი სალამური“ (ვ. სარაჯიშვილი)1947; „ზაქარია ფალიაშვილი“ (1948); „ია კარგარეთელი“ (1949); „ფილიმონ ქორიძე“(1945); „ანტონ რუბინშტეინი და თბილისის სამუსიკო სასწავლებელი (1944); „პოეტისა და კომპოზიტორის თანამშრომლობა“(1952); „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი” ტ. I. (1851-1921), 1950; ტ.II. (1921-51), 1955.

კახიძე ვახტანგ ჯანსუღის ძე [23.III.1959,თბილისი],ქართველი დირიჟორი. ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (2014), თბილისის საპატიო მოქალაქე (2018). 1981 დაამთ. მოსკოვის კონს-ის საკომპ. განყოფილება (იქვე ასპირანტურა) ნ. სიდელნიკოვის (კომპოზიცია) და ე. დენისოვის (ინსტრუმენტობა) ხე-ლით. 1988-89 ეუფლებოდა სადირიჟორო ხელოვნებას მამამისის ჯ. კახიძის ხე-ლით. 1989 დირიჟორობდა საკუთარ ბალეტ „ამორძალებს“(თბილისი), 1994-იდან იწყებს სიმფონიურ დირიჟორობას. 2002-იდან „თბილისის სიმფონიური ორკესტრის“ მთ. დირიჟორია და ჯ. კახიძის სახ. თბ. მუს.-კულტურის ცენტრის პრეზიდენტი. მართავს გასტროლებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე თბ. სიმფ. ორკ-თან ერთად (2004-მოსკოვში, პეტერბურგსა და იტალიაში, 2005-ჩინეთში). თანამშრომლობს თანამედროვეობის გამოჩენილ მუსიკოსებთან და მუს. კოლექტივებთან მრავალფეროვანი რეპერტუარით (გ. ყანჩელის „STYX“-ის პირველი შემსრ.). ატარებს ჯ. კახიძის მიერ დამკვიდრებულ საერთაშორისო მუს. ფესტივალებს „შემოდგომის თბილისი“ (დღემდე ჩატარდა 14-ჯერ).

კ. ავტორია სხვადასხვა ჟანრის ნაწ-ებისა (მათ შორის, დიდი ფორმის ვოკალურ-სიმფონიური ნაწ-ები, მუსიკა კინო და დრამ. თეატრისათვის, ჯაზური კომპოზიციები). გამოდის როგორც პიანისტი ცნობილ ჯაზურ კოლექტივებთან ერთად. მიღებული აქვს მთელი რიგი (მათ შორის, საერთაშორისო) პრემიები.

გ. ტორაძე



კახიძე ჯანსუღ ივანეს ძე [26.V.1935, სოფ. ობჩა, ბაღდათის რ–ნი,–12.03.2002, თბილისი], ქართველი დირიჟორი, ლოტბარი, მომღერალი, კომპოზიტორი. საქ. (1978) და სსრკ (1985) სახ. არტისტი. შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1977). 1958 დაამთ. თბ. კონს. (საგუნდო-სადირიჟორო განხრით), 1963– ასპირანტურა (ხე-ლი ო. დიმიტრიადი). 1955–62 იყო საქ. სახელმწ. საგუნდო კაპელის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორი. 1957 ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“ (ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, ოქროს მედალი).

1962–71 იყო თბ. საოპერო თეატრის დირიჟორი (1965–68 და 1982-2002–მთ. დირიჟორი). 1971–73 მუშაობდა ქ. ლოძში (პოლონეთი) საოპერო თეატრის დირიჟორად. აქ 1972 დადგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. 1973–93 საქ. სახელმწ. დამს. სიმფ. ორკესტრის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორია. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1993–იდან თბ. მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორია, ხელმძღვანელობს მის მიერ დაარსებულ „თბ. სიმფ. ორკესტრს.“კ-ის დირიჟორობით თბ-ში დაიდგა ახალი ქართული ოპერები: გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“ და ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“. მსოფლიო კლასიკური და ქართ. სიმფ. მუსიკის მთელი რიგი საუკეთესო ნიმუშები: ი. სტრავინსკის „საღვთო გაზაფხული“, მალერის მე-3, მე-5, შოსტაკოვიჩის მე–4 სიმფ-ები, ჰაიდნის 86–ე სიმფ., გ. ყანჩელის შვიდივე სიმფ. და სხვა ნაწარმოებები, ნასიძის მე–4, მე–5, მე–6, მე–7 სიმფ-ბი, ა. მაჭავარიანის მე-2 სიმფ., რ. გაბიჩვაძის „როსტოკური სიმფ.“, დ. თორაძის მე–2 სიმფ. და სხვ. კ. ავტორია პოპულარული სიმღერებისა (ძირითადად კინოფილმებში– „შერეკილები“ – გ. ყანჩელთან ერთად, „პირველი მერცხალი“ და „დათა თუთაშხია“ ბ. კვერნაძესთან ერთად), რომელთა შესანიშნავი შემსრულებელიც თვითონ იყო. კ-ის მოღვაწეობამ ეპოქა შექმნა ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაში. 2003 (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია.

გ. ტორაძე

კელაპტრიშვილი ომარ მიხეილის ძე [1.I.1943, სოფ. კავთისხევი, კასპის რ-ნი, – 16.VIII.1992, თბილისი], მუსიკოს-შემსრულებელი, სალამურზე დაკვრის ვირტუოზი, საქ. სახ. არტისტი (1989), საერთაშ. ფესტივალების (ქ. კონფოლანი, საფრანგეთი, 1970, ქ. კიოლნი, გერმანია, 1980, 1990) ლაურეატი-პირველი ადგილი და ოქროს მედალი.1964 დაამთ. თბილისის კულტ. საგანმ. სასწავლებლის ხალხ. საკრავთა განყ–ბა. 1971–72 სწავლობდა თბ. კონს–ში (ფლეიტის კლასი). მრავალი წლის მანძილზე გამოდიოდა ვოკალურ ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად. სალამურზე მაღალი ოსტატობით უკრავდა ქართველ და სხვა კომპოზიტორთა რთულ მუს. ნაწარმოებებს. მან გააფართოვა სალამურის რეპერტუარი და აღმოაჩინა ამ საკრავისათვის მანამდე უცნობი შესაძლებლობები.

კერერი რუდოლფ რიხარდის ძე [10.VII.1923, თბილისი, – 29.X.2013, ციურიხი,შვეიცარია], რუსი (წარმოშობით გერმანელი) პიანისტი. რსფსრ სახ. არტისტი (1983), სწავლობდა ფ–ნოზე დაკვრას თბ-ში ე. კრაუზესთან, შემდგომ (1934-იდან–1941–მდე) მუს. სკოლა–ათწლედში და კონს–ში პროფ. ა. თულაშვილთან. ომის დაწყების შემდეგ (1941) კ-ის ოჯახი გადაასახლეს უზბეკეთში, სადაც 1957 დაამთ. ტაშკენტის კონს. ზ. ტამარკინას ხელმძღვანელობით 1961 მოიპოვა I პრემია ახალგაზრდა შემსრულებელთა საკავშირო კონკურსზე მოსკოვში. ამავე წლიდან მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია. კ-ს დაკვრა გამოირჩევა მაღალი ოსტატობით, საავტორო ჩანაფიქრის ღრმა წვდომით, ვაჟკაცური ხასიათით. გასტროლებს მართავს მრავალ ქვეყანაში. არაერთგზის ჩამოსულა საქ–ში (კონცერტები, კონსულტაციები). 1961–იდან მოსკოვის კონს–ის პედაგოგია (პროფ. 1979).

კერესელიძე არჩილ პავლეს ძე [24.XII.1912, დაბა ღუნიბი, დაღესტანი, – 21. XII.1971, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახ. არტისტი(1961). ჩრდ. ოსეთის

ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). 1934 დაამთ. თბ. კონს. (ა. ვირსალაძის საფ. და მ. ბაგრინოვსკის საკომპ. კლასები), 1939 მოსკოვის კონს–ის საკომპ. განყოფილება (დ. კაბალევსკისა და ნ. მიასკოვსკის კლასები). 1940–44 პოლიფონიას ასწავლიდა თბ. კონს–ში. 1940–46 კ. მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრის მუს. ნაწილის გამგე, 1953–71 კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუს. რედაქტორია. მისი ნაწარმოებებია: ოპერა „ბაში-აჩუკი“, 1956, დაიდგა თბილისსა და ქუთაისში. ბალეტი „ნაზიბროლა“, მუს. კომედიები: „თბილისის ცის ქვეშ“, „მთვარიდან დაბრუნება“, „ალუბლის ყვავილობა“ და სხვ. სიმფონია, 2 საფ. კონცერტი, მუსიკა სპექტაკლებისათვის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, „მეფე ერეკლე“, „ძველი ვოდევილები“ (კ. მარჯანიშვილის თეატრის დადგმები) და სხვ. კ-ს ეკუთვნის მუსიკა კფ-თვის: „ქეთო და კოტე“ (რედაქცია, რამდენიმე ორიგინ. ნომერი, 1948), „ბედნიერი შეხვედრა“ (1949), „გაზაფხული საკენში“ (1950), „მაგდანას ლურჯა“ (1955), „ჩვენი ეზო“ (1956), „ფატიმა“(1958), „დიდოსტატის მარჯვენა“ (1969), სიმღერები, მ.შ. გამოირჩევა „ყელსაბამი“ (ქართ. ტელევიზიის მუს. ემბლემა წლების მანძილზე), რომანსი „ვედრება“ გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე. 1973 კ-ს მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია (სიკვდილის შემდეგ).

კერუბინი (Cherubini) ლუიჯი კარლო ზენობიო სალვატორე მარია [14. IX. 1760, ფლორენცია,–15. III. 1842, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი. წარმოშობით იტალიელი. საფრ. ინ–ტის წევრი (1815). 1778 ალექსანდრიაში დაიდგა პირველი ოპერა – „კვინტუს ფაბიუსი“. 1784-86 მუშაობდა ლონდონში, შემდეგ დამკვიდრდა პარიზში. საფრ. დიდი რევ. წლებში წერდა მუსიკას მასობრივი დღესასწაულებისა და სამგლოვიარო ცერემონიალებისათვის („ჰიმნი პანთეონს“, „ჰიმნი ძმობას“), 1795 (დაარსების დღიდან) პარიზის კონს-ის ინსპექტორი და პედაგოგი (1816–იდან–პროფესორი), 1822-იდან–დირექტორი. კ. ახ. მუს. სცენური ჟანრის – „ხსნის ოპერის“–ერთ–ერთი შემქმნელია. მთ. ნაწარმოებები: ოპერები: „ლოდოისკა“ (1791), „ელიზა“ (1794), „მედეა“ (1797), „თულუხჩი“ (1800), 2 რეკვიემი და სხვ.



კეჭაყმაძე იოსებ (სოსო) ილიას ძე [27. III. 1939, ოზურგეთი, –24.III. 2013, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1981), შოთა რუსთაველის სახ. (1995), ზ. ფალიაშვილის სახ. (1976) და საქ. სახელმწ. (2004) პრემიების ლაურეატი. 1968 დაამთ. თბ. კონს. კომპოზიციის სპეციალობით (ხე-ლი ი. ტუსკია და დ. თორაძე). 1962–66 მუშაობდა კონცერტმაისტერად საგუნდო დირიჟორობის კათედრაზე. 1968–იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1985-იდან პროფ.), 1980–იდან –საგუნდო–სადირიჟორო კათედრის გამგე, 1972–იდან საქ. კულტურის სამინისტროს მუს. დაწესებულებების სამმართველოს უფროსი. ძირითადად მუშაობს საგუნდო (აკაპელა) ჟანრში, ძირითადი ნაწარმოებები: „ფშაური იდილიები“–საგუნდო ციკლი (ა. კალანდაძის ლექსებზე, 1972), ციკლი ი. ბაიაშვილის, გ. ტაბიძის, ტ. გრანელის ლექსებზე, საგუნდო ციკლი ქართ. ხალხ.

პოეზიიდან, „ძველი თბილისის სიმღერები“–5 პარაფრაზი (იეთიმ გურჯის, სკანდარნოვას და ხალხ. ლექსებზე, 1976), „დავითიანიდან“ (საგუნდო ციკლი დ. გურამიშვილის ლექსებზე, 1982), 20 საგუნდო ნაწარმოები ი. ჭავჭავაძის ლექსებზე (1986), საეკლესიო გუნდები და საგალობლები (50-მდე), დაწერილი სიონის საკათედრო ტაძრისათვის (1978–94, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1995). კ. ავტორია აგრეთვე დრამ. სპექტაკლებისა („ოიდიპოს მეფე“,1978; „შუშანიკის წამება“,1979; „ლამარა“ 1997,რომლისთვისაც ბათუმის დრამ. თეატრში მიენიჭა პრემია „დრამატული სპექტაკლისათვის შექმნილი საუკეთესო მუსიკისათვის“) და კინომუსიკისა (მიუზიკლი „არსენას ლექსი“, 1985, პრემია „წლის საუკეთესო კინომუსიკისათვის“ 1986). კ-მ ზ. ფალიაშვილის მუსიკა (ოპ. „დაისი“) დაამუშავა ჰიმნად, რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 1998 წელს. სახელმწიფო ჰიმნად დამტკიცდა 2004 წელს. კ. თანამედროვე ქართული მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

გ. ტორაძე

კვალიაშვილი მარიამ (მარიკა) კონსტანტინეს ასული [07.V.1937, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი, წლის საუკეთესო კომპოზიტორი (საესტრადო სიმღერებისათვის 2005), თბ. საპატიო მოქალაქე (2009), ღირსების ორდენი (1995), „ხელოვნების ქურუმი". ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებლის მ. თარხნიშვილის შვილიშვილი.

1961 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. კომპოზიციის სპეციალობით (პედ. ი. ტუსკია). ავტორია სასტრადო სიმღერების, ოდების, გუნდებისა და სხვ.

მისი სახ. ვარსკვლავი გაიხსნა თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (2010).

კვალიაშვილი მიხეილ გიორგის ძე [28. XII. 1898,–29.IV.1974, თბილისი], ქართველი საოპერო რეჟისორი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1919–24 სწავლობდა თბ. კონს–ში (ვოკალის განხრით). 1925–26 მუშაობდა კონს–ის საოპერო სტუდიაში. 1926–იდან იგი თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორია, დადგა: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ჩაიკოვსკის „იოლანტა“, „მაზეპა“, „პიკის ქალი“, ბოროდინის „თავადი იგორი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, პუჩინის „ბოჰემა“და სხვ. 1939-40 მუშაობდა სსრკ დიდ თეატრში. მონაწილეობა მიიღო ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ დიდი თეატრის სცენაზე დადგმაში. ავტორია მემუარების ორი წიგნისა (რუსულ ენაზე. I-1969, II-1975), რომლებიც ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს.

კვარტა (ლათ. quarta-მეოთხედი), დიატონიკური გამის მეოთხე საფეხური; ინტერვალი პირველ და მეოთხე საფეხურს შორის.

კვარტეტი (იტალ. quartetto <ლათ. quartus -მეოთხე),მუსიკალური ანსამბლი,რომელშიც ოთხი შემსრულებელია; აგრეთვე მუს. ნაწარმოები ამ ანსამბლისათვის.

კვარტოლი (< ლათ. quartus–მეოთხე), არათანაბარი დაყოფა მუსიკაში. 4 ნოტისაგან შემდგარი განსაკუთრებული მეტრულ-რიტმული ფიგურა, რომელიც უთანაბრდება იმავე გრძლიობის 3 ნოტს.

კვარტსექსტაკორდი, სამხმოვანების მეორე შებრუნება. არსებობს მაჟორული (წმ. 4+დ. 3) და მინორული (წმ.4+პ.3).

კვერნაძე ბიძინა (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე [29.VII. 1928, სიღნაღი, – 8.VII.2010, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1979), შოთა რუსთაველის სახ. (1985) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1981) პრემიების ლაურეატი. თბ. საპატიო მოქალაქე (1996). 1953 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. ბალანჩივაძის კლ.), 1964–იდან კონს-ის პედაგოგია (კომპოზიციის კლ.), 1980–იდან პროფესორი; 1996–იდან კომპოზიციის კათედრის გამგე. მთავარი ნაწარმოებები: ოპერები „იყო მერვესა წელსა“ (დაიდგა თბ. 1983) და „მედეა“ (დაიდგა ქუთაისში 1993, გადამუშავებული რედაქცია სახელწოდებით „კოლხთა ასული“, დაიდგა თბ. 1997); ბალეტები– „ქორეოგრაფიული ნოველები“ (1963) და „ბერიკაობა“ (1973, ორივე დაიდგა თბ.); სიმფონია (1961), „ცეკვა–ფანტაზია“ ორკესტრისათვის (1959), „ძველი ქართული წარწერები“ (1978)სოლისტისა და სიმფ. ორკესტრისათვის, ვოკალურ–სიმფ. პოემა (ე. თათარაიძის ლექსებზე; 1979), 2 საფ. (1950, 1966) და სავიოლინო (1957) კონცერტები. კ-ს დაწერილი აქვს მრავალი საესტრადო სიმღერა, მუსიკა 30–ზე მეტი კფ-თვის (მ. შ. მრავალსერიანი ფილმისათვის „დათა თუთაშხია“, 1978, ჯ. კახიძესთან ერთად). გაფორმებული აქვს დრამ. სპექტაკლები. კ. თანამედროვე ქართ. მუსიკის გამოჩენილი წარმომადგენელი იყო. მისი მუსიკა მკაფიო ინდივიდუალობითა და არტისტული ხიბლითაა აღბეჭდილი.

გ.ტორაძე

კვინტა (ლათ. quinta-მეხუთე), 1. გამის მეხუთე საფეხური. 2. ინტერვალი პირველსა და მეხუთე საფეხურს შორის. 3. ვიოლინოსა და ზოგი სხვა საკრავის პირველი, ყველაზე მაღალი ტონის სიმი.

კვინტეტი (იტალ. quintette < ლათ. quintus მეხუთე), მუსიკალური ანსამბლი, რომელშიც ხუთი შემსრულებელია. კვინტეტი ეწოდება აგრეთვე მუს. ნაწარმოებსაც ასეთი ანსამბლისათვის.

კვინტოლი (ლათ. quintus-მეხუთე), არათანაბარი დაყოფა მუსიკაში; 5 ნოტისაგან შემდგარი განსაკუთრებული მეტრულ–რიტმული ფიგურა, რომელიც უთანაბრდება იმავე გრძლიობის 4 ნოტს.

კვინტსექსტაკორდი, დომინანტსეპტაკორდის პირველი შებრუნება. აღინიშნება 6/5. აიგება გამის VII საფეხურზე (პ.3+პ.3+დ.2).

კითარა (ბერძნ.), ძვ. ბერძნული ოთხსიამიანი საკრავი, ქნარის ნაირსახეობა. კ-ს ჰქონდა ბრტყელი ხის კორპუსი, რ-ის 2 საყრდენი ზევით შეერთებული იყო

ხის ძელით. ძვ. წ. VII ს. I ნახევარში კ-ის სიმების რაოდენობა გაიზარდა 7-მდე, შემდეგ თანდათანობით მიაღწია 18-ს. კითარისტი მომღერლები კ-ზე უკრავდნენ და მღეროდნენ. იხმარებოდა აგრეთვე როგორც სოლო საკრავი.



კიკაბიძე ვახტანგ (ბუბა) კონსტანტინეს ძე [19. VIII.1938, თბილისი], კინოსა და ესტრადის მსახიობი, მომღერალი. საქ. სახ. არტისტი (1980), სსრკ (1979), შოთა რუსთაველის (2010) და საქ. (2013) სახელმწ. პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1997), თბილისის საპატიო მოქალაქე (1998). მისი სახ. ვარსკვლავი გაიხსნა თბ. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზთან (2006).

კ. 1959-დან საქ. ფილარმონიის სლისტია. 1963-66 მღეროდა ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლ „დიელოში", 1966-იდან ანსამბლ „ორერაში" (1972-დან სამხ. ხე-ლი). 1984-88 საქ. სახელმწ. საესტრადო ორკესტრ „რეროში". 1964-დან იღებენ კინოში: „არ დაიდარდო", „მე გამომძიებელი", „ვერის უბნის მელოდიები", „თვალი პატიოსანი", „მიმინო" და სხვ. 1993-დან გამოდის სოლო პროგრამით ყოფილ სსრკ ქალაქებსა საზღვარგარეთ. კ-ის სიმღერა მსმენელს ხიბლავს ბუნებრიობით და უშუალობით.

კიკნაძე შოთა ალექსანდრეს ძე [27. IV. 1920, სოფ. საღანძილე,ხარაგაულის რ-ნი,– 4. IV. 1998, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბარიტონი). საქ. სახ. არტისტი (1967). დაამთ. თბ. სამედიცინო ინ–ტი (1942) და კონს–ის ვოკალური ფაკ-ტი (1951, პროფ. ს. ინაშვილის კლ). 1951–78 იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. ჰქონდა ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრის ხმა, მიმზიდველი გარეგნობა. პარტიები: კიაზო, მურმანი (ზ. ფალიაშვილის „დაისი", „აბესალომ და ეთერი"), ჩალხია (ო. თაქთაქიშვილის „მინდია"), რობერტი, ონეგინი (ჩაიკოვსკის „იოლანტა", „ევგენი ონეგინი"), ჟერმონი, გრაფი დი ლუნა (ვერდის „ტრავიატა", „ტრუბადური"), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი"), დონ–ჯოვანი (მოცარტის „დონ–ჯოვანი"), ვალენტინი (გუნოს „ფაუსტი"), სილვიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები"). მონაწილეობდა ქ. საარბრიუკენში ზ. ფალიაშვილის „დაისისა" (1973, კიაზოს პარტია) და ჩაიკოვსკის „პიკის ქალის" (1974, ელეცკის პარტია)წარმოდგენებში. ეწეოდა საგასტროლო მოღვაწეობას.

კილაძე გრიგოლ ბართლომეს ძე [25. X. 1902, ქ. ბათუმი,– 3. VI. 1962, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი და დირიჟორი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941). სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1941, 1948). 1927-29 სწავლობდა ლენინგრადის კონს–ში, 1931 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ს. ბარხუდარიანის საკომპ. კლ.). 1931–იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (პროფ. 1941). კ. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. სხვადასხვა დროს იყო თბ. კონს-ის და საოპერო თეატრის დირექტორი, ფილარმონიის სიმფ. ორკესტრისა და კონს-ის საოპერო სტუდიის მთ.

დირიჟორი. მისი ნაწარმოებებია, ოპერები– „ბახტრიონი“ (1936), „ლადო კეცხოველი“ (1940), ბალეტი „სინათლე“ (დაიდგა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1947. სსრკ. სახელმწ. პრემია 1948), 2 სიმფონია, 2 სიუიტა (მ. შ. ცნობილი „ქართული სიუიტა“, 1925), სიმფ. პოემა „განდეგილი“, (1937, სსრკ. სახელმწ. პრემია 1941), მუსიკა კფ-თვის („არსენა“, „ფრთოსანი მღებავი“, და სხვ.).

გ. ტორაძე

ᲙᲘᲚᲐᲫᲔ ლილე გრიგოლის ძე [13. IV. 1928, თბილისი,–15. X. 1978, იქვე], ქართველი დირიჟორი. საქ. სახ. არტისტი (1977), სწავლობდა მოსკოვის კონს–ში ჩელოსა (1945–50)და სადირიჟორო (1950–55, ხე-ლი ა. გაუკი) კლასებში. 1954–57 მუშაობდა ქ. სარატოვის ოპერისა და ფილარმონიის სიმფ. ორკესტრის დირიჟორად. 1959–იდან საქ. ტელერადიოს ორკესტრის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორი იყო. სისტემატურად მართავდა კონცერტებს. პროპაგანდას უწევდა ქართ. მუსიკას. კ. იყო ქართ. კომპოზიტორების შ. მშველიძის, რ. გაბიჩვაძის, ს. ნასიძის, ს. ცინცაძის, ო. თაქთაქიშვილისა და სხვ. ნაწარმოებების პირველი შემსრულებელი. მისი დირიჟორობით საქ–ში პირველად შესრულდა ჰაიდნის ორატორია „წელიწადის დრონი“, ბრუკნერის მე–6 სიმფონია, ჰინდემითის სიმფონია „მხატვარი მატისი“ და სხვ.

1979 (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია.

ᲙᲘᲚᲝ, ბგერათა ურთიერთკავშირის სისტემა ბგერათრიგში, კ–ს საფეხურთა თანმიმდევრობა ქმნის გამას. კ-ს არსებობის აუცილებელი პირობაა მისი საფეხურების ხარისხობრივი განსხვავება. თითოეულ საფეხურს აქვს კილოსათვის დამახასიათებელი ფუნქცია, რომელიც განპირობებულია არამდგრადი ბგერების მიზიდულობით მდგრადი (საყრდენი) ბგერებისაკენ. ძირითად საფუძველს წარმოადგენს ტონიკა, რომელიც განსაზღვრავს კ–ს ტონალობას. სხვადასხვა ხალხურ მუსიკის კ-ს ეროვნულ თავისებურებებთან ერთად საერთო თვისებებიც აქვს.

ᲙᲘᲜᲝᲛᲣᲡᲘᲙᲐ, კინოწარმოების ერთ–ერთი კომპონენტი, მისი ერთ–ერთი გამომსახველობითი საშუალება. თავდაპირველად მუნჯ კინემატოგრაფში მუსიკას იყენებდნენ აკომპანემენტად ფილმის დემონსტრაციის დროს. უკვე ამ პერიოდში გაჩნდა მოთხოვნილება, შეექმნათ თითოეული ფილმისათვის ორიგინალური მუსიკა (სენ–სანსის მუსიკა ფილმისათვის „ჰერცოგ გიზის მკვლელობა“, 1908, და სხვ.). ხმის ჩამწერი აპარატის გამოგონებასთან დაკავშირებით (1920-იანი წ. დასასრ. – 1930. წ. დასაწყ.) თითოეული ფილმისათვის საკუთარი ფონოგრამა შეიქმნა. მუსიკა გახდა კინონაწარმოების სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. მუსიკა ხსნის ფილმის იდეას, ფილმში მომხდარ მოვლენებს. 1930–იან წლებში მოქმედი პირის მუს. დახასიათების პოპულარულ ფორმად იქცა სიმღერა. ამ სახის კინომუსიკის კლასიკური ნიმუშები შექმნა ი. დუნაევსკიმ. კინომუსიკას ქმნიდნენ XX საუკუნის გამოჩენილი კომპოზიტორები, მ. შ. ქართველი კომპოზიტორები: ა. კერესელიძე, რ. ლაღიძე, გ. ცაბაძე, ს. ცინცაძე, გ. ყანჩელი და სხვ. კომპოზიტორების, მომღერლების, მუსიკოსებისადმი მიძღვნილ მუს. ფილმებში მუსიკა ასრულებს გარკვეულ დრამ. ფუნქციას. მუსიკა აუცილებელი კომპონენტია მულტიპლიკაციური, დოკუმენტური და სამეცნ–პოპულ. ფილმებისათვის.

კიუი ცეზარ ანტონის ძე [6. I. 1835, ვილნო,– 26. III. 1918, პეტროგრადი], რუსი კომპოზიტორი და მუს. კრიტიკოსი. „მძლავრი ჯგუფის“წევრი. მან შექმნა 10 ოპერა, სიმფ. ნაწარმოებები, 3 სიმებიანი კვარტეტი, პიესები ფ–ნოსათვის, გუნდები, ვოკალური ანსამბლები, რომანსები (250–მდე), სიმღერები და სხვ.

კლავესინი, ჩემბალო [ფრანგ. clavecin < გვიანდ. ლათ. clavicymbalum <clavis - გასაღები (აქედან კლავიშის სახელწოდება) და cimbalum–ციმბალები, იტალ. cembalo], კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი, რომელსაც რამდენიმე კლავიატურა და რეგისტრი აქვს. ფ–ნოს ერთ-ერთი წინამორბედი. ცნობილია XVI ს-იდან. კ-ის ბგერა ბრწყინვალე, მაგრამ ნაკლებ მღერადია. თავდაპირველად ოთხკუთხედის, XVII ს-იდან კი სამკუთხედის ფორმისა იყო. კ-ის დიაპაზონია 4-5 ოქტავა. საკლავესინო სკოლის დამაარსებელია ჟ. შამბონიერი, გამოჩენილი წარმომადგენლები-ფ. კუპერენი, ჟ. ფ. რამო, დ. სკარლატი. ინტერესი კ-დმი აღორძინდა XX ს-ის დასაწყისიდან. გამოიყენება, როგორც ძველებური, ისე თანამედროვე მუსიკის ნაწარმოებების შესრულებისას.

კლავიატურა (გერმ. klaviatur < ლათ. clavis-გასაღები), მუსიკალურ საკრავებში გარკვეული თანამიმდევრობით განლაგებულ ბერკეტთა და კლავიშთა ერთობლიობა. შედგება კლავიშებისაგან. კ.პირველად XII ს–ში გამოიყენეს ორგანზე, ხელის კლავიატურის გარდა (მანუალები), ფეხის კლავიატურა–პედალიც ჰქონდა. ენაკიან–კლავიშიანი მუს. საკრავების კ–ს ღილაკები განლაგებული აქვს გრიფსა და კორპუსზე. სასულე საკრავების კ–ს ზოგჯერ კლაპანისა და ვენტილის მექანიზმსაც უწოდებენ.

კლავიკორდი (ფრანგ. clavicorde), ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი კლავესინის მსგავსი აგებულებისა.

კლავირი (გერმ. klavier), 1. სიმებიან– კლავიშებიანი მუს. საკრავების ზოგადი სახელწოდება (კლავიკორდი, კლავესინი, ფ-ნო.) 2. კლავირი ან კლავირაუსცუგი, ვოკალურ-სიმფ. ნაწარმოების (ოპერის, ორატორიის, კანტატისა და ა.შ.) პარტიტურის გადაკეთება სიმღერისა და ფ-ნოსათვის ან მხოლოდ ფ–ნოსათვის.

კლავიში (პოლონ. klawisz < ლათ. clavis- გასაღები), ფორტეპიანოს, აკორდეონის ფირფიტა, რომელზედაც აჭერენ თითს ხმის გამოსაცემად.

კლავიშიანი მუსიკალური საკრავები. საკრავები, რომლებიც ბგერას გამოსცემენ გარკვეული თანმიმდევრობით განლაგებულ კლავიშთა (კლავიატურის) მეშვეობით. კ. მ. ს-ს მიეკუთვნება: კლავიშიან-დასარტყმელი (ძველებური კლავიკორდი, თანამედროვე ფ–ნო) და კლავიშიან საბრწკენი (ძვ. კლავესინი და მისი ნაირსახეობანი) სიმებიანი საკრავები: პნევმატური კლავიშებიანი სასულე საკრავები (ორგანი და მისი ნაირსახეობანი), პნევმატური კლავიშიანი ენაკიანი საკრავები (ფისგარმონია, ბაიანი, აკორდეონი), დასარტყმელ-კლავიშიანი

ფირფიტოვანი საკრავები (ზარები, ჩელესტა).

კლაიბერნი (Cliburn) ჰარვი ლავან (ვან) [12. VII. 1934, შრივპორტი, ლუიზიანას შტატი], ამერიკელი პიანისტი. 1954 დაამთ. ჯულიარდის მუს. სკოლა ნიუ–იორკში (რ. ლევინას კლასი). 1958 პ. ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. კონკურსში (მოსკოვი) პირველი პრემია და ფართო აღიარება მოიპოვა. კ–ის დაკვრა გამოირჩევა რომანტ. მგზნებარებით, ლირ. უშუალობით, ვირტუოზულობით. მის რეპერტუარში ცენტრალური ადგილი ეკავათ ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, შოპენის, ბრამსისა და სხვა ნაწარმოებებს. არაერთგზის გამართა გასტროლები სსრკ–ში, მათ შორის, საქართველოში (1960). 1962–იდან ფორტ–უორთში (აშშ) ტარდება კ–ის სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსი.

კლარნეტი [გერმ. klarinette, ფრანგ. clarinette, იტალ. clarinetto ლათ.– მკაფიო (ბგერა)], მუს. საკრავი მიეკუთვნება ხის სასულე საკრავთა ოჯახს. წარმოიშვა სალამურისგან. თანამედროვე კ-ს შავი ეკალმუხისგან, აბანოზის ხის ან ებონიტისაგან ამზადებენ. საკრავის ზემო ნაწილში ნისკარტისებური, ირიბად თავწაჭრილი სატუჩეა (მუნდშტუკი), რომელზეც მიმაგრებული ლერწმის თხელი ფირფიტა მთლიანად კეტავს ჰაერის ჩასაბერ ხვრელს. სატუჩეს ეკვრის პატარა კასრი. კ–ის ტანზე მოთავსებულია ყველა სახმო და სათითური. საკრავი თავდება ყელმილით. დიაპაზონია მცირე ოქტავის მი–დან მე–3 ოქტავის სოლ–ამდე. კ–ის თანამედროვე ნაირსახეობებია: პიკოლო(Es, D), სოპრანო(B,A), ალტის(Es) და ბანის (B) კლარნეტები.

კლასიკა (ლათ. classicus სანიმუშო, პირველხარისხოვანი),ლიტერატურისა და ხელოვნების სანიმუშო, საზოგადოდ მიღებული ნაწარმოებები, რომლებსაც მარადიული მნიშვნელობა გააჩნია ეროვნულ და მსოფლიო კულტურისათვის.

კლასიკოსი (ლათ. classicus-პირველხარისხოვანი), მეცნიერების,ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწე, რომლის შემოქმედება საყოველთაოდ არის აღიარებული და მიჩნეულია სანიმუშოდ.

კლასტერი (ინგლ. cluster–მტევანი, გროვა, ბგერათა გროვა), – თანახმიანობა, რომელიც მიიღება მცირე და დიდი სეკუნდების ერთდროული ხმოვანებით (ჰ. კაუელის ტერმინი). კ–ები ორი სახისაა: 1. შეკუმშულად განლაგებული აკორდები, 2. სონორული ბგერითი კომპლექსები. კ-ის პირველ ნიმუშად ითვლება ქარიშხლის სცენა ჯ. ვერდის ოპერაში „ოტელო“. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება XX ს. II ნახ. მუს–ში.

კლემენტი (Clementi) მუციო [23. I. 1752, რომი,– 10. III. 1832, ივშემი, ინგლისი],



ინგლისელი პიანისტი, პედაგოგი, კომპოზიტორი, დირიჟორი. ეროვნებით იტალიელი. ე.წ. ლონდონური სკოლის ფუძემდებელი. XIX ს–ის დასაწყისში მუშაობდა ევრ. სხვადასხვა ქვეყანაში. კ. საფ. სონატის კლასიკური ფორმის ერთ–ერთი შემქმნელია. პედ. რეპერტუარს შემორჩა მისი ეტიუდები (კრებ. „გზა პარნასისკენ“). ავტორია ნაშრომისა „ფორტეპიანოზე დაკვრის მეთოდიკა“ (1801). კ. იყო რამდენიმე მუს. გამომცემლობისა და საფ. ფაბრიკის მფლობელი.

კლემპერერი (Klemperer) **ოტო** [14. V. 1885, ბრესლაუ,–17. VII. 1973, ციურიხი], გერმანელი დირიჟორი, კომპოზიტორი. მუშაობდა პრაღაში, ჰამბურგში, კიოლნში, ნიუ-იორკში, ბერლინში და ა.შ. ფაშისტური გერმანიიდან ემიგრაციის შემდეგ 1933–39 სათავეში ედგა ლოს–ანჯელესის სიმფ. ორკ–ს. 1947–50 მუშაობდა ბუდაპეშტის საოპერო თეატრში, შემდგომ ბერლინის „კომიშე–ოპერაში“, ლონდონის ფილარმონიის ორკ–ში, თეატრ „კოვენტ–გარდენში“. XX ს–ის ერთ–ერთი უდიდესი დირიჟორია, მოცარტის, ბეთჰოვენის, ბრუკნერის, მალერის, რ. შტრაუსის ნაწ–ის სწორუპოვარი შემსრულებელი; პ. ჰინდემითისა და ი. სტრავინსკის ნაწ–თა („ოიდიპოს მეფე“, „მავრა“) პირველი შემსრ. და პროპაგანდისტი, ავტორია სხვადასხვა ჟანრის მთელი რიგი ნაწ–ისა და მოგონებებისა. სხვადასხვა უნ–ტის საპატიო დოქტორი. ი. ვ. გოეთეს სახ. პრემია (1932).

კობზა, 8 სიმიანი მუსიკალური საკრავი. აქვს ლუტნის ფორმის კორპუსი, უკრავენ პლექტრით, ვირტუოზები კი პლექტრთან ერთად თითებითაც. გავრცელებულია უკ. დას. ოლქებში, მოლდავეთში, რუმინეთსა და ნაწილობრივ უნგრეთში. თანამედროვე ხალხ, საკრ. ორკესტრში ხმარობენ რამდენიმე რეკონსტრუირებული სახით.

კობზარი, უკრაინელი სახალხო მომღერალი. სიმღერებს ასრულებდა ეროვნულ საკრავზე-კობზაზე საკუთარი აკომპანემენტით. XVI–XVII სს-ში კ-ები მონაწილეობდნენ ეროვნ.-გამანთ. მოძრაობაში, სიმღერებით აღვივებდნენ ხალხში საბრძოლო სულისკვეთებას, მჩაგვრელისადმი სიძულვილს. კ-ებმა ჩვენს დრომდე მოიტანეს კლასიკური ხალხ. ეპიკური პოეზიის ნიმუშები.

კოგანი ლეონიდ ბორისის ძე [14. XI. 1924, ეკატერინოსლავი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკი,– 17. XII. 1982], მევიოლინე და პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1966). 1948 დაამთ. მოსკოვის კონს. (ა. იამპოლსკის კლ.), 1944–იდან იყო მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი. XX ს–ის მეორე ნახევრის სავიოლინო ხელოვნების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, არტისტ–ვირტუოზია. მისი მრავალფეროვანი რეპერტუარი მოიცავს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნაწარმოებებს. 1952–იდან კ. მოსკოვის კონს-ის პედაგოგია (პროფ.–1963). მისი მოწაფეა ნანა იაშვილი.

კოდა (იტალ. coda, სიტყვასიტყვით–კუდი), მუსიკალური ფორმის დასკვნითი ნაწილი, რომელიც ავსებს და ასრულებს ნაწარმოებს. კ. მდგრადია, მასში შეიძლება გამოიყენებოდეს ტონიკური საორგანო პუნქტი, მელოდიურ – ჰარმონიული შებრუნებები, ნაწარმოების განმაზოგადებელი თემატური მასალა. კონტრასტული თემების მქონე რთული პიესების კ-ში ხშირად შედის პიესის შუა ნაწილის თემა, როგორც გახსენება.



კოდაი (Kodaly) ზოლტან [16. XII. 1882, კეჩკემეტი, – 6. III. 1967, ბუდაპეშტი], უნგრელი კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე, ფოლკლორისტი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. ბ. ბარტოკთან ერთად თანამედროვე უნგრ. მუს. ფუძემდებელი. უნგრ. მეცნ. აკად. ნ. წ. (1945), მისი პრეზიდენტი (1946-49). 1905 დაამთ. ბუდაპეშტის უნ–ტის ფილოს. ფაკ–ტი და ფ. ლისტის სახ. მუს. აკადემია (კომპოზიციის განხრით, ი. კესლერთან), სადაც 1907–იდან ასწავლიდა მუს. თეორიას, 1908–40–კომპოზიციას. კ-ის ეკუთვნის მნ. მეცნ. ნაშრომები: „ეთნოგრაფია და მუსიკისმცოდნეობა“ (1933), „უნგრული ხალხ. სიმღერა“ (1935), „პენტატონიკა უნგრულ ხალხ. მუსიკაში“ (1937). ნაწარმოებები: სიმებიანი დუეტი ვიოლინოსა და ჩელოსათვის (1914), სონატა ჩელოსათვის (1915), სიმებიანი კვარტეტი (1916), „უნგრული ფსალმუნი“ გუნდის, ტენორისა და ორკესტრისათვის (1923), ოპერა „ჰარი იანოში“ (1926), სიმფ. ვარიაციები (1939) და სხვ. დირიჟორობდა საკუთარ ნაწარმოებებს. გამოსცა კრებულები მოსწავლეთათვის. კ. იყო უნგრ. მუსიკოსთა კავშირის პრეზიდენტი (1947). უნგრ. მუსიკისმცოდნეთა საზ–ბის თავ–რე, ბუდაპეშტის, ოქსფორდის, კლუჟის უნ–ტების საპატიო დოქტორი, „მუს აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების“ საპატიო პრეზიდენტი (1964–67).

კოზლოვსკი ივანე სიმონის ძე [11. III. 1900, მარიანოვკა, ბელაია–ცერკოვის მახლობლად, კიევის ოლქი,– 21. XII. 1993, მოსკოვი], რუსი მომღერალი (ლირ. ტენორი) სსრკ სახ. არტისტი (1940). 1924–იდან ხარკოვის, 1925–იდან სვერდლოვსკის საოპერო თეატრების, 1926–54 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი. ლამაზი ტემბრის ხმა, მაღალი მხატვრული გემოვნება და დრამ. ნიჭი მას საშუალებას აძლევდა შეექმნა სრულყოფილი ვოკალურ–სცენური სახეები: სალოსი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), ლენსკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), ალფრედი (ვერდის „ტრავიატა“) და სხვ. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. მრავალგზის გამოსულა თბ. საოპერო თეატრის სცენაზე.

კოკელაძე გრიგოლ ირაკლის ძე [2. V. 1904, სოფ. პატრიკეთი,წყალტუბოს რ-ნი,–24. I. 1988, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1982). 1931 დაამთ. თბ. უნ–ტის ფილოლოგიის ფაკ–ტი, 1937 თბ. კონს. (პროფ. ვ. შჩერბაჩოვისა და ი. ტუსკიას საკომპ. კლასები). მუს–პედ. მოღვაწეობა დაიწყო 1928. 1937–41 იყო ხალხ. შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორი. 1941–48 საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის, 1954–55 საქ. ფილარმონიის დირექტორი და სამხ. ხე-ლი, 1950–52 საქ. კომპოზიტორთა

კავშირის თავ–რე. დაწერილი აქვს კანტატები, სიმღერები, საგუნდო, საფ. და სხვა მუს. ნაწარმოებები. შეკრიბა, ჩაწერა და ნოტებზე გადაიტანა 2000–მდე ქართ. ხალხ. სიმღერა. გამოცემულია კ–ის მიერ ჩაწერილი ქართ. ხალხ. სიმღერების კრებული (1979). ავტორია გამოკვლევისა „ქართული ცეკვების ხალხურობა და მათი მუსიკალური თანხლება“ (1977). დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის სახ. მედლით (1984).

კოლაჟი (ფრანგ. collage,– „დაწებება“), XX ს–ის მუსიკაში საკუთარ ნაწარმოებში სტილისტურად უცხო ფრაგმენტების ჩართვა სხვა კომპ–თა ნაწარმოებებიდან. ტერმინი „კ“ ნასესხებია სახვითი ხელოვნებიდან, სადაც აღნიშნავს ხერხს, რომელიც მდგომარეობს რაიმე ფაქტურაზე მისგან განსხვავებული მასალების დაწებებას (იხ. პოლისტილისტიკა).

კოლორატურა (იტალ. coloratura სიტყვასიტყვით–სამკაული ლათ. coloro–ვამკობ, ვალამაზებ), ვოკალური პარტიის ვირტუოზული, ტექნიკურად რთული პასაჟები და მელიზმები. ვოკალურ მუსიკაში დამკვიდრდა შუა სს–ში. კ–ას კომპოზიტორები ნაწილობრივ მიუთითებდნენ ნოტებში, ნაწილობრივ მომღერალთა იმპროვიზაციით იქმნებოდა. ზოგიერთი კომპოზიტორი კ–ას იყენებდა მხატვრული გამომსახველობის საშუალებად (ვ. მოცარტი, ჯ. როსინი, ლ. დელიბი, ჯ. ვერდი, რ. შტრაუსი, მ. გლინკა, ნ. რიმსკი–კორსაკოვი).

კოლორატურული სოპრანო, ქალის ხმა ყველაზე მაღალი რეგისტრისა, რომელიც თავისუფლად ასრულებს კოლორატურას, განსაკუთრებული შეფერილობით ამშვენებს ძირითად მელოდიას.

კოლორიტი (იტალ. colorito< ლათ. color–ფერი, შეფერილობა), მუსიკაში წამყვანი ემოციური ელფერი ამა თუ იმ ეპიზოდისა, მიიღწევა სხვადასხვა რეგისტრის, ტემბრის, ჰარმონიისა და სხვა გამომსახველი საშუალებების გამოყენებით.

კომედია (ბერძ. Komodia) მუსიკალური ნაწარმოები (ოპერა, ოპერეტა), რომელსაც აქვს გასართობი ან სატირული სიუჟეტი.



კომიტასი (სოღომონ გევორქის ძე სოღომონიანი) [26. IX. 1869, დაბა კუტინა, თურქეთი,– 22. X. 1935, პარიზი], სომეხი კომპოზიტორი, საგუნდო დირიჟორი და საზ. მოღვაწე. 1893 დაამთ. ეჩმიაძინის სასულიერო აკადემია. 1896–99 ბერლინში სწავლობდა მუს. თეორიასა და ისტორიას. 1899-იდან ცხოვრობდა ეჩმიაძინში, ხელმძღვანელობდა სასულიერო აკადემიის მუს. კლასებსა და გუნდს. 1910–იდან კ. კონსტანტინეპოლშია, 1919–იდან –პარიზში. 1936 კ–ის ნეშტი პარიზიდან ერევანში გადაასვენეს. კ. სომხური მუსიკის კლასიკოსი, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელია. მან ჩაწერა და გამოსცა 3000–ზე მეტი სომხური ხალხ. სიმღერა, ეწეოდა მათ

პროპაგანდას. კ–ის სახელი ეწოდა სომხეთის სიმებიან კვარტეტს (1925) და ერევნის კონს–ს (1948).

„კომიშე ოპერ“ („Komische oper“), საოპერო თეატრი ბერლინში, გაიხსნა 1947. „კ. ო“-ის დამაარსებელი, სამხ. ხე-ლი და რეჟისორია ვ. ფელზენშტაინი. თეატრის რეპერტუარშია მსოფლიო კლასიკის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. 1966 „კ. ო“-ში შეიქმნა საბალეტო დასი. საოპერო დასი გასტროლებს მართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

კომპოზიტორი (ლათ. Compositor -შემთხზველი, შემდგენელი), პირი რომელიც ქმნის მუსიკალურ ნაწარმოებებს.

კომპოზიცია (ლათ. compositio-შედგენა, შეთხზვა), 1. მუსიკალური ნაწარმოების შეთხზვა, შექმნა; მუს. ნაწარმოების შექმნის თეორია. 2. თემით, სიუჟეტით გაერთიანებულ ლიტერატურულ, მუს. ნაწარმოებთა ან მათ ნაწილთა შეხამება, შეკავშირება.

კონდაკი (ბერძ. Kontakion< Kontos– ჯოხი), ჟამის წირვა, ბიზანტიური საეკლესიო პოეზიის და მუსიკის ჟანრი. მისი ფუძემდებელია რომანოზ მელოდოსი (VI ს. I ნახ. მიეწერება 1000-ზე მეტი საგალობელი, რომელთაგან ცნობილია 85-მდე). VIII ს-ში კონდაკი განდევნა კანონმა. ამავე დროიდან იწყება კონდაკის მელოდიკის განვითარება და სტროფების რაოდენობის შემცირება. XI ს-ში კონდაკის მელოდიკა იძენს მელიზმურ ხასიათს.

კონკრეტული მუსიკა, რომლის ბგერით მასალას შეადგენს არა მუს. ბგერები, არამედ ფირზე ჩაწერილი „ნატურალური“ ხმოვანებები (მაგ. წყლის წვეთების ვარდნის ხმა, მატარებლის ხმაური, ჩიტების ჟღურტული, კარის ჭრიჭინი და ა.შ.), რომლებიც ხშირად გარდაქმნილია ელექტროაპარატის მეშვეობით. მათ შეიძლება დაემატოს მუს. საკრავებისა და მომღერალთა ხმების ხმოვანებიც. კ. მ. როგორც მოვლენა, ენათესავება ელექტრონულ მუსიკას, სონორისტიკის უკიდურეს ფორმებს. იგი აღმოცენდა XX ს. 40–იან წლების ბოლოს საფრანგეთში (პ. შეფერი, პ. ანრი). კ.მ-ს იყენებენ დრამ. სპექტაკლებისა და კფ-ის მუს. გაფორმების დროს.

კონკურსი (ლათ. concursus-შეხვედრა, შეხლა), შეჯიბრება, რომლის მიზანია გამოავლინოს მონაწილეთა შორის საუკეთესონი.

კონსერვატორია (იტალ. conservatorio, თავდაპირველი მნიშვნელობით თავშესაფარი. ლათ. conservo-ვინახავ), უმაღლესი მუსიკალური სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამზადებს მუსიკალური ხელოვნების სპეციალისტებს: შემსრულებლებს (ინსტრუმენტალისტებს, ვოკალისტებს, დირიჟორებს, მუსიკისმცოდნეებს). პირველი კ. ნეაპოლში 1537 დაარსდა. XVIII ს–ში იტალიაში კ–ები ამზადებდა მუსიკოს-შემსრულებლებსა და კომპოზიტორებს. აქ სწავლობდნენ ევრ. სხვა ქვეყნების მუსიკოსებიც. სპეციალური ხასიათის მუს. სასწავლებელი (თანამედროვე კ–ის წინამორბედი) დაარსდა პარიზში 1793 წელს. XIX ს. I

ნახევარში კონს–ბი შეიქმნა ევრ., მოგვიანებით აშშ–ის მრავალ ქალაქში. რუსეთში პირველი კონს-ები დაარსდა პეტერბურგსა (1862) და მოსკოვში (1866). თბილისში 1917 (პირველი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება საქ–სა და ამიერკავკასიაში).

კონსონანსი (ფრანგ. consonance < ლათ. consonantia-ჰარმონია, თანაჟღერა), ერთდროული ჟღერადობის კეთილხმოვანება, ბგერათა შეთანხმება, შერწყმა. საპირისპირო მოვლენაა დისონანსი. კ. რბილი, წყნარი ჟღერადობაა, რომელიც სასიამოვნოდ აღიქმება, მას მიეკუთვნება პრიმა, ოქტავა, კვინტა, კვარტა, დიდი და მცირე ტერციები, სექსტები, აგრეთვე ამ ინტერვალებით შედგენილი აკორდები. აკუსტიკური თვალსაზრისით განსხვავება კ–სა და დისონანსს შორის მხოლოდ რაოდენობრივია, ხოლო მათ შორის ზღვარი–პირობითი. მაჟორულ – მინორული სისტემის ჩარჩოებში განსხვავება თვისობრივია.



კონტრაბასი (იტალ. contrabasso), ვიოლინოს ოჯახში ყველაზე დიდი ზომის (დაახლ. 2მ.) და დაბალი ჟღერადობის, სიმებიან–ხემიანი მუსიკალური საკრავი, აქვს კვარტაზე აწყობილი 4 სიმი. არსებობს 3 და 5 სიმიანი კ–იც. უკრავენ ფეხზე დამდგარნი. კ. უპირატესად საორკესტრო და საანსამბლო საკრავია. ზოგჯერ იხმარება სოლო შესრულებისათვის (ცნობილი ვირტუოზებია: ჯ. ბოტეზინი, ს. კუსევიცკი, ფ. გერტოვიჩი და სხვ.). კ. ეწოდება აგრეთვე დაბალი რეგისტრის მუს. საკრავების ყოველგვარ ნაირსახეობას (კონტრაბასი–ტრომბონი, კონტრაბასი–ტუბა, კონტრაბასი–ბალალაიკა და სხვ.).

კონტრალტო (იტალ. contralto), ქალის ყველაზე დაბალი დიაპაზონის ხმა. მისთვის ყველაზე დამახასიათებელი და გამომსახველია მკერდისმიერი რეგისტრი (მცირე ოქტავის ფა-სოლიდან პირველი ოქტავის ლა-მდე).

კონტრაპუნქტი (გერმ. kontrapunkt), 1. მრავალხმიანობის ფორმა, ერთდროულად მჟღერი ორი ან მეტი დამოუკიდებელი მელოდიის შეერთება. განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს მოძრავი კ. პოლიფონიური აგებულების ხმათა განმეორებითი გატარება; 2. პოლიფონიურ ნაწარმოებებში – მელოდია, რომელიც თემასთან ერთად ჟღერს. 3. მრავალხმიანობა, რომლის თითოეულ ბგერას ასეთივე გრძლიობის ბგერა ეპასუხება სხვა ხმით. 4. მუს. თეორიის ერთი უმთავრესი მონაკვეთი.



კონტრაფაგოტი (იტალ. contrafagotto), ხის სასულე მუსიკალური საკრავი. ფაგოტის ნაირსახეობა. ჟღერს მასზე ოქტავით დაბლა. კ. შექმნა XVII ს. გერმ. ოსტატმა გ. შრაიბერმა. XX ს–ში სრულყო გერმ. კონსტრუქტორმა ვ. ჰეკელმა. კ–ის არხის სიგრძე დაახლ. 5 მ–ია, დიაპაზონი–სუბკონტროქტავის სი-ბემოლიდან მცირე ოქტავის ფა–მდე. ნოტები იწერება ნამდვილი ჟღერადობიდან ოქტავით ზევით. გამოიყენება სიმფ. და სასულე ორკესტრებში. სიმფ. პარტიტურაში კ–ის პარტია იწერება ფაგოტის პარტიის ქვემოთ და ვალტორნის პარტიის ზემოთ.

კონჩერტო გროსო (იტალ. cincerton grosso-დიდი კონცერტი), ინსტრუმენტული ჟანრი, კონცერტის სახეობა, რომელშიც შემსრულებელთა სრული შემადგენლობის ჟღერადობა უპირისპირდება სოლისტების მთელ ჯგუფს და არაერთ სოლოს შემსრულებელ ინსტრუმენტს.

კონცერტი (გერმ. konzert იტალ. concerto), 1. მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრის თანხლებით რომელიმე სოლო საკრავისათვის. კ–ის ნაირსახეობანია: კონჩერტო გროსო, საკონცერტო სიმფონია, კ. ერთი საკრავისათვის (უორკესტროდ), კ. ხმისათვის (ხმებისთვის) ორკესტრთან ერთად, კ. გუნდისათვის, აკაპელა. კ. იწერება სონატური ფორმის პრინციპით და შედგება 3 ნაწილისაგან; გვხვდება კ–ები 2, 3 ან 4 სოლისტისათვის ორკესტრის თანხლებით და კ. ორკესტრისათვის უსოლისტოდ. კლასიკური სკოლის კ–ის თავისებურებებია პირველ ნაწილში 2 ექსპოზიციის (საორკესტრო და სოლო) არსებობა და ე. წ. კადენცია – ბრწყინვალე სოლო იმპროვიზაცია რეპრიზის ან კოდის წინ. ცნობილია კ–ები ფ-ნოსათვის (ბახი, ჰაიდნი, მოცარტი, ბეთჰოვენი, შუმანი, შოპენი, მენდელსონი, ბრამსი, ლისტი, ჩაიკოვსკი, გრიგი, სენ-სანსი, რახმანინოვი, სკრიაბინი, პროკოფიევი, ა. ბალანჩივაძე, თაქთაქიშვილი და სხვ.), ვიოლინოსათვის (მოცარტი, ბეთჰოვენი, მენდელსონი, ბრამსი, პაგანინი, ჩაიკოვსკი, გლაზუნოვი, შოსტაკოვიჩი, ხაჩატურიანი, მაჭავარიანი და სხვ.), ჩელოსათვის (ჰაიდნი, შუმანი, დვორჟაკი, სენ–სანსი, მიასკოვსკი, შოსტაკოვიჩი და სხვ.). 2. მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულება.

კონცერტინო (იტალ. concertino, სიტყვასიტყვით –პატარა კონცერტი), 1. საკონცერტო შესრულებისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის თხზულება სოლისტისათვის ორკესტრის თანხლებით. 2. სოლო საკრავთა ჯგუფი კონჩერტო გროსოსა და საკონცერტო სიმფონიაში. 3. პნევმატიკური მუს. საკრავი – გარმონი, რომელსაც აქვს ქრომატული ბგერათრიგი და არ გააჩნია მზა აკორდები. შექმნეს XIX ს. I ნახევარში (ჩ. უიტსტონის პატენტი, ლონდონი, 1829). არსებობს კონცერტინოს 5 ნაირსახეობა პიკოლოდან კონტრაბასამდე. ყველაზე გავრცელებულია პრიმა კონცერტინოს ზომა 150–180 მმ., კორპუსი 6 ან 8 წახნაგიანია. დიაპაზონი 2-4 ოქტავა; იხმარება როგორც სოლო და საორკესტრო საკრავი.

კონცერტმაისტერი (გერმ. konzertmeister), 1. ორკესტრის პირველი მევიოლინე, რომელიც რეპეტიციაზე ზოგჯერ ცვლის დირიჟორს. 2. ორკესტრის მუსიკოსი, რომელიც ხელმძღვანელობს სიმებიან საკრავთა ცალკეულ ჯგუფებს (ალტები, ჩელოები, კონტრაბასები). 3. პიანისტ–აკომპანიატორი, რომელიც მომღერლის თანმხლებია საკონცერტო გამოსვლებში, ამასთანავე ეხმარება მას პარტიის შესწავლაში.

კორდებალეტი (ფრანგ. cors de ballet), მოცეკვავეთა ანსამბლი, რომელიც საბალეტო და საოპერო სპექტაკლებში მასობრივ ცეკვებს ასრულებენ.

კორელი (Corelli) არქანჯელო [17. II. 1653, ფუზინიანო, -8. I. 1713, რომი], იტალიელი მევიოლინე, კომპოზიტორი და პედაგოგი. იტალ. სავიოლინო სკოლის ფუძემდებელი. შექმნა სონატები ვიოლინოსათვის

(გამოც. 1700), საანსამბლო-საორკესტრო კონჩერტო გროსოები (გამოც. 1714). მისმა კონჩერტო გროსოებმა დიდი როლი ითამაშეს კლასიკური საორკესტრო მუსიკის ჩამოყალიბებაში. თავის ნაწარმოებებში კ. ხშირად იყენებდა ხალხ. საცეკვაო და სასიმღერო ფორმებს.



კორელი (Corelli) ფრანკო [8. IV. 1921, ანკონა, – 29.X. 2003, მილანი], იტალიელი მომღერალი (დრამ. ტენორი). ვოკალს დაეუფლა დამოუკიდებლად. 1951–იდან მღეროდა იტალიისა და აშშ–ის საოპერო სცენებზე (1961–იდან –„მეტროპოლიტენ – ოპერაში“). XX ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი მომღერალი. ფლობდა მძლავრ, ტემბრულად ლამაზ ხმას, გამოირჩეოდა დიდი არტისტული ტემპერამენტით. პარტიები: რადამესი, მანრიკო (ვერდის „აიდა“, „ტრუბადური“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“), პოლიევქტი (დონიცეტის „პოლიევქტი“), ანდრე შენიე (ჯორდანოს „ანდრე შენიე“) და სხვ. წარმატებით ასრულებდა ნეაპოლურ სიმღერებს.

კორიფე (ბერძ. წინამძღოლი), მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; კორდებალეტის მთავარი მსახიობი; ძვ. ბერძნულ ტრაგედიაში გუნდის ხემძღვანელი.

კორნეტი (ფრანგ. cornet), სასულე მუსიკალური საკრავი. შედგება თითბრის ცილინდრული და კონუსური მილების ხვეულისაგან, რომელიც ძაბრისებური მილით, სავენტილო მექანიზმითა და მისადგმელი მუნდშტუკითაა დაბოლოებული. კ-ის სიგრძე (უმუნდშტუკოდ) 295–320 მმ–ია. იგი სიმფ. და სასულე ორკესტრების შემადგენელი ნაწილია.



კორსანტია ალექსანდრე ვალერის ძე [18. IV. 1965, თბილისი], ქართველი პიანისტი, მუსიკოს –შემსრულებელთა ავსტრალიის (1988), პალმ–ბიჩის (აშშ, 1994), თელ-ავივის არტურ რუბინშტეინის სახ. (1995) საერთაშ. კონკურსების I პრემიის ლაურეატი. 1989 დაამთ. თბ. კონს. ფ-ნოს განხრით (ხე-ლი პროფ. თ. ამირეჯიბი, მასთანვე გაიარა ასპირანტურის კურსი). 1993-იდან ცხოვრობს და მოღვაწეობს აშშ–ში, საუთ–ბენდში (ინდიანის შტატი). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ადგილობრივ უნ–ტში (პროფესორი). ამჟამად ბოსტონის კონს-ის პროფესორია. კონცერტებს მართავს ამერიკასა და ევრ. ქვეყნებში. კ. თანამედროვე პიანისტური ხელოვნ. თვალსაჩინო წარმომადგენელია. პერიოდულად ატარებს „მასტერ–კლასებს“ (საჩვენებელ გაკვეთილებს) იერუსალიმის მუს. აკადემიაში. გასტროლებს მართავს თბილისში. ჩაწერილი აქვს კომპაქტ-დისკები. მისი შესრულება გამოირჩევა მასშტაბურობით, არტისტიზმით, რეპერტუარის მრავალფეროვნებით.

კრავეიშვილი ბათუ (ბართლომე) ირაკლის ძე [16. XII. 1914, სამტრედია, –14. VI. 1970, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბარიტონი). საქ. სახ. არტისტი (1951). 1935

დაამთ. მოსკოვის სამედიცინო ინ–ტი, 1937 თბ. კონს. (პროფ. ე. ვრონსკის კლასი). ამავე წლიდან იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1939–41 გამოდიოდა სსრკ დიდი თეატრის სცენაზე. კ-მა შექმნა მრავალი ვოკალურ-სცენური სახე: კიაზო, მურმანი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), აბდუშაჰილი (ა. კერესელიძის „ბაში–აჩუკი“), გოჩა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), თავადი იგორი (ბოროდინის „თავადი იგორი“), ელეცკი, ონეგინი, რობერტი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“), ჟერმონი, ამონასრო (ვერდის „ტრავიატა“, „აიდა“), ესკამილიო (ბიზეს „კარმენი“) და სხვ. კ. გამოირჩეოდა ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრის ხმით, არტისტული ტემპერამენტით. 1958–იდან კ. თბ. კონს-ის პედაგოგი იყო. ავტორია მემუარების წიგნებისა ქართულ და რუსულ ენებზე – „დაუვიწყარი“ (1966; 1970). გადაღებულია ფილმებში: „დაკარგული სამოთხე“ (დ. რონდელი, 1938), „გიორგი ააკაძე“ (მ. ჭიაურელი, 1942), „ქეთო და კოტე“(ვ. ტაბლიაშვილი, 1948).

კრაისლერი (Kreisler) ფრიც [2. II. 1875, ვენა,- 29.I. 1962, ნიუ-ორკი], ავსტრიელი მევიოლინე და კომპოზიტორი. კომპოზიციაში მეცადინეობდა ლ. დელიბთან. 1888 გსატროლები გაიმართა აშშ-ში, 1893 მოსკოვში. მსოფლიოში სახელი გაითქვა ბერლინში გამოსვლებით (1899), 1939-იდან ცხოვრობდა აშშ-ში. კრაისლერის საშემსრულებლო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მუსიკალურ ხელოვნებაში. როგორც კომპოზიტორს ეკუთვნის მცირე ფორმის სახასიათო პიესები („ვენის კაპრისი”, „მშვენიერი როზმანი” და სხვა), სავიოლინო და საფორტეპიანო პიესების სერია „კლასიკური ხელნაწერები” (1905). ეს ნაწარმოებები თანამედროვე მევიოლინეთა რეპერტუარშიც არის.

კრაკოვიაკი (პოლ. krakowiak), პოლონური ხალხური ცეკვა. ძველად კ–ს მხოლოდ მამაკაცები ცეკვავდნენ, მოგვიანებით–ქალ–ვაჟთა წყვილი. რიტმი მკვეთრი, ხშირი სინკოპებით. ტემპი ცოცხალი: ზომა 2/4; სრულდება მხიარულად, ტემპერამენტით, ამაყი მიხვრა–მოხვრით, როგორც სამეჯლისო ცეკვა, პოპულარული იყო XIX ს. და XX ს. დასაწყისში. კ–ის მუს. ფორმა გამოიყენა შოპენმა („დიდი საკონცერტო რონდო“ ფ–ნოსათვის ორკესტრთან ერთად). კ. გვხვდება ოპერებსა და ბალეტებში (გლინკას „სიცოცხლე მეფისათვის“, ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი“ და სხვ.).

კრამერი (Cramer) იოჰან ბატისტ [24. II. 1771, მანჰაიმი, –16. IV. 1858, ლონდონი], გერმანელი პიანისტი, პედაგოგი, კომპოზიტორი. მ. კლემენტის მოწაფე. კ. 13 წლიდან გამოდიოდა კონცერტებზე ევროპის ქვეყნებში. მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც ფ–ნოს პედაგოგმა. იგი ავტორია: 105 სონატისა, 7 კონცერტისა, კამერული ანსამბლებისა და სხვ. ფართოდაა გამოყენებული მისი პედაგოგიური „დიდი პრაქტიკული საფორტეპიანო სკოლა“, ეტიუდები და სავარჯიშოები.

კრეშენდო (იტალ. crescendo, შემოკლებით cresc), მუსიკალური ბგერის თანდათანობითი გაძლიერება. ნოტებში აღინიშნება < ნიშნით. საპირისპირო ცნებაა დიმინუენდო.

კრიმანჭული, დასავლეთ საქართველოს (გურია, აჭარა) მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ზემო ხმა, მდიდარი მელოდიური ნახტომებითა და ორნამენტიკით.

კრინი, უმაღლესი ძალიან წმინდა ხმა. კ. ნაირსახოვანი რიტმითა და მდიდარი მელოდიკით მრავალხმიანი სიმღერის აქტიური ნაწილია. იგი ფუძეა „კრიმანჭულისა“. ამ უკანასკნელის სახელწოდება წარმოქმნილია კ–სა და მანჭვისაგან, ე.ი. დამანჭული (დაგრეხილი) კ.

კუზნეცოვა ოლგა ვლადიმერის ასული [4. VII. 1928, თბილისი], საოპერო მომღერალი (სოპრანო). საქ. სახ. არტისტი (1967). 1956 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. თ. სავინოვას კლ.). ამავე წლიდან კ. თბ. საოპერო თეატრის სოლისტია. შეასრულა სოპრანოს თითქმის ყველა წამყვანი პარტია, მ. შ. საოპერო პრემიერებზე – შორენა (შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“), ნინო (დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“).

გასტროლებს მართავდა სსრკ და საზღვარგარეთის ქვეყნებში. პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბ. კონს-ში (დოცენტი). 2001-დან ს. პეტერბურგშია.

კულაუ (Kuhlau) ფრიდრიხ [11. IX. 1786, ილცენი, განოვერს ახლოს, – 12. III. 1832, ლინგბიუ, კოპენჰაგენის ახლოს], გერმანული წარმოშობის დანიელი კომპოზიტორი. ავტორია ოპერების, სონატების, რომანსების, სიმფ. ნაწარმოებების, სიმღერებისა და სხვ. დღესაც არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა მის საფ. სონატებსა და სონატინებს, რომლებიც სავალდებულო რეპერტუარია ნორჩი პიანისტებისათვის.

კულისი (ფრანგ. coulisse), 1. კულისები–თეატრის სცენაზე: დეკორაციის ბრტყელი ნაწილები, რომლებიც განლაგებულია სცენის გვერდებზე (ვერტიკალურად) ერთიმეორის მიყოლებით. 2. ტრომბონის ნაწილი– წვრილი მილი ლათინური U ასოს მოყვანილობისა, რომლის შეწევ–გამოწევითაც ხმის სიმაღლე რეგულირდება.

კულმინაცია (ლათ. culmen, ნათ. ბრ. culminis– მწვერვალი), მუსიკალური ნაწარმოების განვითარების უმაღლესი დინამიკური მწვერვალი.

კუპერენი (Couperin) ფრანსუა [10. XI. 1668, პარიზი, – 12. IX. 1733, იქვე], ფრანგი კომპ., ორგანისტი, კლავესინისტი, მუსიკოსთა საგვარეულოს მთ. წარმომადგენელი („დიდი კ.“). კ-ის შემ. საფ. საკლავესინო ხელოვნების მწვერვალია. მის სტილს ახასიათებს მელოდიური სიმდიდრე, ორნამენტების სიუხვე, მოქნილი რიტმიკა, ფორმის სრულყოფილება. კ-ს ეკუთვნის საკლავესინო პიესების 4 კრებული, ტრიო-სონატები, კონცერტები, საორკ. სიუიტები, საორგანო მესები, ტრაქტატი „კლავესინზე დაკვრის ხელოვნება“.

კუპიურა (ფრანგ. coupure), მუსიკალური ნაწარმოების შემოკლება;

ოპერაში–სცენის, სურათის ან მთლიანად მოქმედების ამოღება.

კუპლეტი (ფრანგ. couplet), 1. სახუმარო, კომიკური ან სატირული ხასიათის სასიმღერო ლექსი. იყენებენ ვოდევილში, ოპერეტაში, ესტრადაზე. კ. ხალხურიცაა (მაგ., ქართული გაშაირება). ქართულ ლიტ–რაში ცნობილია ა. წერეთლის „სასიმღერო კუპლეტები“. 2. სიმღერის გასამეორებელი ნაწილი.

კუპლეტური ფორმა, ვოკალური ნაწარმოების ფორმა, რომელშიც მუს. ნაგებობა მეორდება პოეტური ტექსტის ახალ სტროფთან ერთად. კუპლეტი შეიძლება წარმოადგენდეს პერიოდს, მაგრამ შესაძლოა აგრეთვე იყოს მარტივი ორნაწილიანი ფორმით (ასეთი ფორმით არის დაწერილი მრავალი სიმღერა და რომანსი). ხშირად კუპლეტი წარმოადგენს მოძახილს და მისამღერს; მისამღერში გამეორების დროს შენარჩუნებულია არა მარტო მუსიკა, არამედ სიტყვებიც. ხალხურ სიმღერებში კუპლეტის I ნაწილს მღერის მთქმელი, მეორეს კი გუნდი.

ლ

ლა, (იტალ. la), ერთ-ერთი მუსიკალური ბგერა, ძირითადი (დო-მაჟორული) დიატონური ბგერათრიგის VI საფეხური. მისი ანბანური აღმნიშვნელია ლათ. A.

„ლაზარე“, ქართულ წარმართულ რელიგიაში – ამინდის ღვთაებასთან დაკავშირებული ერთხმიანი სიმღერა, ასრულებდნენ ქალები. ლაზარესადმი ვედრება დაკავშირებული იყო გარკვეულ რელიგ. რიტუალთან.

ლაიტმოტივი (გერმ. Leitmotiv–წამყვანი მოტივი), ძირითადი მოტივი (თემა), რომელიც დროდადრო მეორდება მუსიკალურ ნაწარმოებში (ოპერებში, სიმფონიებში და ა.შ.). ეს ტერმინი (მუს. ლაიტმოტივი) შემოიღეს გერმანელმა მუსიკისმცოდნეებმა ფ. იენმა (1871) და გ. ვოლცოგენმა (1876), შემდგომ დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში და არა მარტო მუსიკასთან მიმართებაში.

ლალო (Lalo) ედუარ ვიქტორ ანტუანი [27. I. 1823, ლილი,–22. IV. 1892, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი (წარმოშობით ესპანელი) ფ. ჰაბენეკის (ვიოლინო) და ი. შულგოფის (კომპოზიცია) მოწაფე. XIX ს. მეორე ნახევრის ფრანგული ინსტრუმ. მუსიკის თვალსაჩინო ოსტატი. ლ-მ შექმნა კონცერტის ახალი ტიპი–„კონცერტი სიუიტა“, რომლის შესანიშნავი ნიმუშია განთქმული „ესპანური სიმფონია“ ვიოლინოსა და ორკ-თვის (1875) და სხვ., ცნობილია აგრეთვე მისი სავიოლონჩელო კონცერტი (1877). ავტორია ოპერის, ბალეტის, 3 სიმფონიისა და სხვ. ერთ-ერთმა პირველმა მიმართა ესპანურ ფოლკლორს, რაც შემდგომ დამახასიათებელი გახდა მრავალი ფრანგი კომპოზიტორისათვის.

ლამენტო (Iamento, იტალ. –ჩივილი), ნაღვლიანი, მწუხარე ხასიათის მუს. პიესების სახელწოდება. დიდი როლი შეიძინა იტალიური მონოდიური სტილის (იხ. კამერატა) განვითარებასთან ერთად. XVII ს. დასაწყისის მისი ნათელი ნიმუშია არიადნას ლამენტო კ. მონტევერდის ოპერა „არიადნაში“ (1608). ლამენტო გვხვდება XVII-XVIII ს. ოპერებში, ორატორიებში, კანტატებში (პერსელის ოპერა „დიდონა და ენეა“, გ. ჰენდელის ოპერები). XVII ს. მეორე ნახევრიდან ტერმინი ლ. გამოიყენება ინსტრუმ. ნაწარმოების მიმართაც.

ლანდოვსკა (Landowska) ვანდა [5. VII. 1877, ვარშავა,-16. VIII. 1959, ლაიკვილი, აშშ], პოლონელი კლავესინისტი და პიანისტი. 1900-13 ასწავლიდა პარიზის „სხოლა კანტორუმში“. მის სახელთან არის დაკავშირებული საკლავესინო მუსიკის აღორძინება, რასაც ხელს უწყობდა მისი გასტროლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1925 პარიზის მახლობლად დააარსა ძველებური მუსიკის სკოლა. 1941-იდან ცხოვრობდა აშშ-ში. ავტორია მუს. ნაწარმოებებისა და სამუსიკისმცოდნეო შრომებისა.

ლანცა (Lanza) მარიო (ალფრედო კოკოცა)[31. I. 1921, ფილადელფია,–7. X. 1959, რომი], ამერიკელი მომღერალი (ტენორი) წარმოშობით იტალიელი. ე. როზეტის მოწაფე. ბელკანტოს სკოლის წარმომადგენელი. შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო 1942. 1946-იდან წარმატებით გამოდიოდა აშშ-ის ქალაქებში. მღეროდა ახალი ორლეანის საოპერო დასში. შესრულებული აქვს ტენორის რეპერტუარის უმთავრესი პარტიები იტალიურ ოპერებში. ლ-ს არაჩვეულებრივი სიძლიერის, ლამაზი ტემბრის ხმა ჰქონდა. გადაღებულია კინოფილმებში („დიდი კარუზო“ და სხვ.).

ლარგეტო (იტალ. larghetto, კნინ. largo-სი, (იხ. ლარგო)), 1. ლარგოზე ცოტათი უფრო მოძრავი ტემპი. 2. სონატის, სიმფონიის ნელი ტემპით შესრულებული სახელწოდება.

ლარგო (იტალ. largo, ფართოდ), 1. ნელი ტემპი (უფრო ნელი, ვიდრე ადაჯო), რომელიც გამოიყენება უპირატესად ამაღლებული, საზეიმო-სამგლოვიარო ხასიათის ნაწარმოებში. 2. სონატის, სიმფონიის, კვარტეტის ნელი ტემპით შესასრულებელი ნაწილის სახელწოდება.

ლარი, სიმის ერთ-ერთი ძვ. ქართული სახელწოდება. ლარის სინონიმებად ქართულში გვხვდება აგრეთვე ალყა, ძაფი, ძუა, ძალი. პირველად ლარის განმარტებას ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში ვხვდებით (იხ. სიმი).

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები თბ., 1938.

„ლა სკალა“ (La Scala, სრული სახელწოდება – Teatro alla Scala), საოპერო თეატრი მილანში, მსოფლიო საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. შენობა აგებულია 1776-78 (არქ. ჯ. პიერმარინი), 2200 მაყურებელისათვის. შენობა აღიმართა იმ ადგილას, სადაც მანამდე იდგა ეკლესია „სანტა მარია დელა სკალა“ (აქედან მოდის თეატრის სახელწოდებაც). XIX ს-ში თეატრი გახდა ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრი მსოფლიო საოპერო ხელოვნებაში. „ლ-ში“ მღეროდნენ გამოჩენილი მომღერლები: ჯ. რუბინი, ჯ. პასტა, მ. მალიბრანი, ა. პატი, ფ. ტამანიო, მ. ბატისტინი, ე. კარუზო, თ. შალიაპინი, ტ. რუფო, ტ. სკიპა, ბ. ჯილი, მ. დელ-მონაკო, მ. კალასი, რ. ტებალდი, ტ. გობი, ლ. პავაროტი, პ. დომინგო და სხვ. მოღვაწეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო დირიჟორები. 1898-1903 და 1921-29 მთ. დირიჟორი იყო ა. ტოსკანინი. თეატრთან შემოქმედებითი კავშირები ჰქონდათ კომპოზიტორებს: ბელინის, როსინის, დონიცეტის, ვერდის, პუჩინის და სხვ. საქართველოდან

სტაჟიორად იყვნენ მივლინებულნი: ნ. ანდღულაძე, ზ. სოტკილავა, პ. ბურჭულაძე, ა. ხომერიკი და სხვ. 1955 გაიხსნა ლ-ას ფილიალი, ე.წ. „პიკოლა სკალა“, სადაც იდგმება უპირატესად XVII-XVIII სს. აგრეთვე თანამედროვე კამერული ოპერები. ლა სკალას სპექტაკლებში სხვადასხვა დროს მონაწილეობა აქვთ მიღებული ქართვ. მომღერლებს: ფ. ქორიძეს (1870-71), პ. ბურჭულაძეს, ვლ. ათანელიშვილს, ბ. მაისურაძეს, ი. ალიბეგაშვილს, ნ. სურგულაძეს, ა. რაჭველიშვილს, ნ. მაჩაიძეს, ს. მჭედლიშვილს, გ. გაგნიძეს და სხვ.

ლასო, ლასუსი (Lasso, Lassus) ორლანდო (ნამდვილი სახელი და გვარი როლან დე ლასიუ. Roland de Lassus), [დაახლ. 1532, მონსი, 14. VI. 1594, მიუნხენი], ნიდერლანდელი კომპოზიტორი, ნიდერლანდული სკოლის უდიდესი წარმომადგენელი, პოლიფონიის დიდოსტატი. ბავშვობაში მღეროდა ქ. მონსის საეკლ. გუნდში. ბევრს მოგზაურობდა. 1556-იდან ცხოვრობდა მიუნხენში. აქ მღეროდა სასახლის კარის კაპელაში (1563-94 ხე-ლი). ლ-ს მუს. სამყაროში ერთმანეთს ენაცვლება ღრმა, ფილოს. აზროვნება და ჟანრულ-ყოფითი ხასიათის სცენები, დრამ. ფურცლები და ნატიფი სულიერი ლირიკა, სევდიანი განწყობა და იუმორი. საკულტო ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მოტეტები (1200-ზე მეტი), საერო ნაწარმოებთაგან განთქმული სიმღერა „ექო“. ლ-მ შექმნა თავისი სკოლა.

ლაურეატი (ლათ. laureatus– დაფნის გვირგვინოსანი), პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო ან საერთაშორისო პრემია; ლაურეატად ითვლება აგრეთვე ამა თუ იმ კონკურსში (პიანისტთა, ვოკალისტთა და სხვ.) გამარჯვებული. ტერმინი ლაურეატი გაჩნდა ძვ. საბერძნეთში, სადაც დაფნის საპატიო გვირგვინით აჯილდოებდნენ შეჯიბრებაში გამარჯვებულს.

ლაღიძე რევაზ ილიას ძე [10.VII, 1921, სოფ. ბაღდათი,– 16.X.1981, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1961). 1939 დაამთ. თბ. IV სამუსიკო სასწავლებელი (ვიოლინოს კლ.), 1941-49 უკრავდა სიმფ. ორკესტრში. 1948 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლ.). ლ. სხვადასხვა ჟანრის მუს. ნაწარმოებების ავტორია. მას ეკუთვნის ოპერა „ლელა“ (1975), მუს. კომედიები „მეგობრები“ (1951) და „კომბლე“ (1957), სიმფ. პოემა „საშშობლოსათვის“ (1949), ფართოდ ცნობილი სიმფ. სურათი „საჭიდაო“ (1952), რამდენიმე საგუნდო სიმღერა–კანტატა („საქართველო“, „ბალადა ვაზზე“, „მელის ვარძია“, „ოდა მესხეთს“, „ჰიმნი ქუთაისს“, „მოხეური ბალადა“ და სხვ.), საფ. (ცნობილი „ტოკატა“ და სხვ.) და ჩელოს (პოემა, „ელეგია“ და სხვ.) პიესები, მუსიკა სპექტაკლებისა (სულ 40-ზე მეტი) და კინოფილმებისათვის („საბუდარელი ჭაბუკი“, „ნინო“, „ზვიგენის კბილი“, „ხევისბერი გოჩა“, „ხევსურული ბალადა“, „განგაში“, „ყვავილი თოვლზე“, „კეთილი ადამიანები“, „გლახის ნაამბობი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „შეწყვეტილი სიმღერა“ და სხვ. სულ 30-ზე მეტი). განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა სიმღერის ჟანრში. მისი სიმღერები გამოირჩევა იშვიათი მელოდიური გამომსახველობით, რამაც მას ქართველი ხალხის სიყვარული მოუპოვა. „სიმღერა თბილისზე“

საქ. დედაქალაქის მუსიკალურ ემბლემად იქცა, ხოლო სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანა“–80-90 ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში– არაოფიციალურ ჰიმნად. ქართული საოპერო მუსიკის შესანიშნავი ნიმუშია „ლელა“ (დაიდგა თბილისში, ბათუმში, ჩეხოსლოვაკიაში).

ლ. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო ს.ს. ორბელიანის სახ. თბ. პედ. ინ-ტის მუსიკის კათედრის გამგე; 1964-იდან კონს-ის პედაგოგი (კამერული ანსამბლი). მინიჭებული ჰქონდა სსრკ სახელმწიფო (1977) და რუსთაველის სახ. პრემიები (1975). ლ-ის სახელი მინიჭებული ჰქონდა ამჟამად გაუქმებულ საქ. ტელერადიოს სიმფ. ორკესტრს, თბ-ში არის ლ-ის სახ. ქუჩა.

გ. ტორაძე

ლეგატისიმო (იტალ. legatissimo), ზედმიწევნით გადაბმით.

ლეგატო (იტალ. legato, გადაბმულად), მუსიკალური ბგერების გადაბმულად შესრულება. სანოტო დამწერლობაში აღინიშნება რკალით (ლიგა) ან სიტყვით ლეგატო.

ლეგენდა (ლათ. Legenda–წაკითხვისადმი დაქვემდებარება), თხრობითი ხასიათის ინსტრუმენტული პიესების სახელწოდება. (მაგ. ფ. ლისტის საფ. ლეგენდები)

ლემეშევი სერგეი იაკობის ძე [27. VI. 1902, ს. სტაროე-კნიაზევო, ახლანდ. კალინინის ოლქი,–26. VI. 1977, მოსკოვი], რუსი მომღერალი (ლირ. ტენორი), სსრკ სახ. არტისტი (1950). 1925 დაამთ. მოსკ. კონს. 1926 შედგა მისი დებიუტი (სვერდლოვსკი). 1928-29 მღეროდა თბ. საოპერო თეატრის სცენაზე. 1931-65 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი იყო, ლ. რუსული ვოკალური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შესრულებული პარტიებიდან გამოირჩევა ლენსკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ვერთერი (მასნეს „ვერთერი“), რომეო, ფაუსტი (გუნოს „რომეო და ჯულიეტა“ და „ფაუსტი“), ჰერცოგი (ვერდის „რიგოლეტო“) და სხვ.

ლენდლერი (გერმ. landler–სოფლური), გერმანული და ავსტრიული ხალხური წარმოშობის ცეკვა, ცოცხალი, მაგრამ დინჯი მოძრაობით, ვალსის წინამორბედი, რომელსაც 3/4 ზომა აქვს. ცნობილია ფ. შუბერტის და ბეთჰოვენის ლენდლერები ფ–ნოსათვის.



ლენონი (Lennon) ჯონ (უინსტონ) [9.X.1940, ლივერპული, –8.XII. 1980, ნიუ–იორკი], ინგლისელი საესტრადო მომღერალი, გიტარისტი, კომპოზიტორი, პოეტი. 1954–იდან ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ ვოკალურ–ინსტრუმენტულ ანსამბლ „კვარიმენს“, 1956–იდან კვარტეტ „ბითლზის“ მონაწილე, რომლისთვისაც წერდა (პ. მაკარტნისთან ერთად) სიმღერებს. 1970–იდან გამოდიოდა დამოუკიდებლად როგორც სოლისტი, აგრეთვე თავის ცოლთან–იოკო ონოსთან (გიტარა) ერთად. დაიღუპა მანიაკის ხელით. ლ-ის საკომპ. და საშემსრულებელო ხელოვნებამ აღიარება მოიპოვა მთელ მსოფლიოში.

ლენტო (იტალ. Lento–ნელა), სანოტო დამწერლობაში-მუს. შესრულების ნელი ტემპის აღმნიშვნელი ნიშანი. უახლოვდება ლარგოს, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ამ ტემპით შესრულებულ ნაწარმოებებს არა აქვს საზეიმო ხასიათი.

ლეონკავალო (Leoncavallo) რუჯერო [8.III.1857, ნეაპოლი, –9.VIII.1919, მონტეკატინი], იტალიელი კომპოზიტორი. სწავლობდა ნეაპოლის კონს–ში. ლ. როსისთან (კომპოზიცია) და ბ. ჩეზისთან (ფ–ნო). 1878 დაამთ. ბოლონიის უნ–ტი (ლიტ. განყ–ბა). ლ. საოპერო ვერიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. დაწერილი აქვს 20-მდე ოპერა, მათ შორის გამორჩეულია „ჯამბაზები“ (1892), რომელიც ვერისტული ოპერის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ოპერები „ბოჰემა“ (1897) და „ზაზა” (1900), ოპერეტა „ვარდების დედოფალი“, ბალეტი „მარიონეტის ცხოვრება“, რომანსები, მ. შ. პოპულარული „განთიადი“, საფ. პიესები და სხვ.

ლესიუერი (Lesueur) ჟან ფრანსუა [15. II. 1760, დრიუკა-პლესიელი,–6. X. 1837, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი, საგუნდო დირიჟორი, საფრ. ინ-ტის წევრი (1813). 1786-იდან ხელმძღვანელობდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის კაპელას. 1793-იდან პროფესორი და ეროვნ. მუს. ინ-ტის (1795-იდან კონს.) ინსპექტორი. მისი მოწაფეები იყვნენ ჰ. ბერლიოზი, შ. გუნო, ა. ტომა. მას ეკუთვნის 9 ოპერა, მ. შ. „გამოქვაბული“ (ე.წ. „ხსნის ოპერის“ ჟანრის ნიმუში, 1793), მრავალი საგუნდო სიმღერა და ჰიმნი, მ.შ. „საფრანგეთის რესპუბლიკის ტრიუმფების სიმღერა“.

ლიადოვი ანატოლი კონსტანტინეს ძე [29. IV. 1855, პეტერბურგი,–15. VIII. 1914, პოლინოვკა, დაკრძალულია პეტერბურგში], რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. 1878 დაამთ. პეტერბურგის კონს. ამავე წლიდან სამეფო კარის კაპელისა და კონს-ის მასწავლებელი იყო (1886-პროფ.). მისი მოწაფეები იყვნენ: ნ. მიასკოვსკი, ს. პროკოფიევი, მ. გნესინი, ბ. ასაფიევი და სხვ. 70-იან წლებში ლ. დაუახლოვდა „მძლავრ ჯგუფს“, 80-იან წლებში ბელიაევის წრის წევრი გახდა. გამოდიოდა, როგორც დირიჟორი. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა მელოდიურობით, ნატიფი ფორმითა და ლაკონიურობით. ლ. მუს. მინიატიურების ოსტატია (საორკ. პიესები „კუდიანი“, „რვა რუსული ხალხური სიმღერა“, „ჯადოსნური ტბა“, „ჭინკა“, საფ. „მუსიკალური სათუთუნე“ და სხვ.).

ლიბრეტო (იტალ. libretto, სიტყვა სიტყვით–წიგნაკი), მუს. დრამ. ნაწარმოების-ოპერის, ოპერეტის (ადრე კანტატის, ორატორიის), საბალეტო სპექტაკლის ლიტ. სცენარი, მოკლე შინაარსი. ლ. ჩვეულებრივ, ლიბრეტისტისა და კომპოზიტორის ერთობლივი ნამუშევარია. ზოგი კომპოზიტორი (რ. ვაგნერი და სხვ.) თავისი ოპერების ლ-ს თვითონვე წერდა.

ლიგა (იტალ. liga–კავშირი), სანოტო დამწერლობის ნიშანი, რკალი, აერთიანებს ერთნაირი

სიმაღლის 2 ნოტს ორმაგი გრძლიობის ერთ ნოტად (იხ. ლიგატურა). ვოკალურ მუსიკაში ლიგით გაერთიანებული ნოტები ერთ მარცვლად იმღერება.

ლიგატურა (ლათ. ligatura-კავშირი), ორი მეზობელი, ერთნაირი სიმაღლის ნოტის გადაბმა ლიგის მეშვეობით. ლ. იწვევს ნოტის გრძლიობის გაზრდას.

ლიგეტი (Ligeti) დიერდ [28. 05. 1923, ტირნავენ, სემიგორიე (მაშინდ. რუმინეთი)–12.VI. 2006, ვენა], უნგრელი კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე. ფ. ფარკაშის მოწაფე (კომპ). 1950-56 ბუდაპეშტის უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორი. სწავლობდა ფოლკლორს. 1956-იდან ემიგრაციაშია, ჯერ ვენაში, შემდეგ სხვა ქვეყნებში. 1957-იდან მუშაობდა კიოლნის რადიოს ელექტრონული მუსიკის სტუდიაში, 1961-იდან ასწავლიდა სტოკჰოლმის უმაღლეს სამუსიკო სკოლაში, შემდეგ–ჰამბურგში და კვლავ ვენაში. ლ. დას. ევრ. ავანგარდიზმის ერთ-ერთი ლიდერია. შემოქმედებითი გზა დაიწყო, როგორც ბ. ბარტოკის მიმდევარმა, 50-იანი წლების შუა ხანიდან მიმართა ელექტრონულ მუსიკას. შემდგომ შეიმუშავა სტატიკური სონორული კომპოზიციის საკუთარი ტექნიკა. რიგ ნაწ-ში სონორული სტატიკა შეთავსებულია დინამიკურ „აფეთქებებთან“ („რეკვიემი“, 1965, „მელოდიები“ ორკესტრისათვის, 1970). ლ-ის ზოგიერთი ვოკალური ნაწ. დაკავშირებულია აბსურდის თეატრთან, 1970-80-იანი წლების ნაწ-ში ჩნდება წარსულის მუს. სტილების პაროდიული იმიტაციის მომენტები. ავტორია შრომებისა თანამედროვე მუსიკის შესახებ. მის მუს. ნაწ-ს შორის არის აგრეთვე ოპერა „დიადი მიცვალებული“ (1978), „საათები და ღრუბლები“ გუნდისა და ორკ-თვის (1973), „განშტოებანი“ სიმებიანი ორკ-თვის (1969), კვარტეტები, ტრიოები, ინსტრუმ. პიესები და ა.შ.

ლიდიური კილო, „მელოდიური კილო“, აგებული ფორმულით: ტონი-ტონი-ტონი-ნახევარი ტონი-ტონი-ტონი-ნახევარი ტონი. ლ. კ-ს ბგერათა რიგი განსხვავდება მაჟორის ბგერათა რიგისაგან უფრო მაღალი მე-4 საფეხურით, რომელიც ტონიკასთან ქმნის არა წმინდა, არამედ გადიდებულ, ე. წ. ლიდიურ კვარტას, ამის გამოც ლ. კ. სხვა მელოდიურ კილოებთან შედარებით, იშვიათად გვხვდება.

„ლილე“, სვანური უძველესი საწესჩვეულებო საგალობელი. ამჟამინდელი ტექსტი მთავარანგელოზისა ან დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი ქებაა, ზოგიერთი მოსაზრებით ადრე მზის წარმართული სადიდებელი იყო.

ლირა (ბერძ. lyra), 1. ძვ. ბერძნული სიმებიან-ხემიანი მუსიკალური საკრავი. აქვს მომრგვალებული ბრტყელი კორპუსი და 7-11 სიმი. იწყობა საფეხურიანი ბგერათრიგით. ლ-ის თანხლებით სრულდებოდა ეპიკური და ლირ. ნაწარმოებები (აქედან-სახელწოდება „ლირიკა“. 2. შუა სს-ში ერთსიმიანი-ხემიანი მუს. საკრავი. ჰქონდა მსხლისებრი ფორმის კორპუსი. იხსენიება VIII-X სს-ის ლიტ-ში. 3. სიმებიან-ხემიანი მუს. საკრავი XVI-XVII სს. იტალიაში. შესახედავად წაგავს

ვიოლინოს. 4. გიტარა-ლირა, გიტარის ნაირსახეობა, რომლის კორპუსი ძვ. ბერძნულ ლ-ს მოგვაგონებს. გაჩნდა XVIII ს. საფრანგეთში. XIX ს. 30-იან წლებში გავრცელდა დას. ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. 5.საცხენოსნო ლირა-მეტალოფონი, ლითონის ჩარჩოზე ჩამოკიდებული ლითონის ფირფიტების კომპლექტი. უკრავდნენ ლითონის საცემელათი. იხმარებოდა კავალერიის სასულე ორკესტრებში. 6. ბორბლიანი ლირა ხალხური სიმებიანი საკრავი. შუა სს-ში უწოდებდნენ ორგანისტრუმს.



ლისენკო ნიკოლოზ ვიტალის ძე [10.III.1842, სოფ. გრინკი, ახლანდ. პოლტავის ოლქი, –24.X.1912, კიევი], უკრაინელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ეროვნული საკომპ. სკოლის ფუძემდებელი. 1864 ლ-მ. დაამთ. კიევის უნ–ტი, 1867-69 სწავლობდა ლაიფციგის, 1874-76 კი–პეტერბურგის კონს–ში. 1904 კიევში მისი თაოსნობით გაიხსნა მუს. დრამ. სკოლა (1918-იდან მისი სახელობის მუს. დრამ. ინ-ტი). ლ-მ საფუძველი ჩაუყარა უკრაინულ საოპერო ხელოვნებას. განსაკუთრებით პოპულარულია ხალხ. სიმღერების საფუძველზე შექმნილი ოპერა „ნატალკა–პოლტავკა“(1889) და ოპერა „ტარას ბულბა“(1890 დაიდგა 1924, ხარკოვში), რომანსები, ვოკალური ციკლები, კამერულ–საკრავიერი ნაწარმოებები და სხვ.

ლისიციანი პავლე გერასიმეს ძე [24. X. 1911, ვლადიკავკაზი–2.VII. 2004, მოსკოვი], სომეხი მომღერალი (ბარიტონი). სსრკ სახ. არტისტი (1956). 1935-37 ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრის, 1937-40 ერევნის საოპერო თეატრის, 1940-66 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი იყო. ლ. საკონცერტო მომღერალიცაა. 1967-73 იგი ერევნის კონ-ის პედაგოგია (1970-იდან პროფ.). გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ.



ლისტი (Liszt) ფერენც (ფრანც) [22. 10. 1811, დობორიანი ქ. შოპრონის მახლობლად, უნგრეთი,–31. 7. 1886, ბაიროითი, გერმანია], უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე, მუსიკალური რომანტიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი. ლ-ის პირველი მუსიკის მასწავლებელი იყო მამამისი, ადამ ლისტი, მოყვარული მუსიკოსი. 9 წლის ლ-მა უკვე პირველი კონცერტები გამართა. 1821 ლ. ვენაში მეცადინეობდა კ. ჩერნისთან (ფ-ნო) და ა. სალიერისთან (კომპოზიცია). 1823 სწავლა განაგრძო პარიზში. აქვე 1825 დაიდგა მისი ოპერა „დონ სანჩო, ანუ სიყვარულის ციხე-სიმაგრე“. ამავე პერიოდში შექმნა მან პირველი საფ. თხზულებები, 12 ეტიუდი და სხვა მცირე ფორმის ნაწარმოებები. ჰიუგოსთან, ბალზაკთან, ჰაინესთან, გამოჩენილ მუსიკოსებთან–შოპენთან, ბერლიოზთან, პაგანინისთან ურთიერთობამ დიდი გავლენა იქონია ლ-ის ესთეტიკური პრინციპებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. 1838-47 ევროპის ქვეყნებში ტრიუმფალური გასტროლების შემდეგ ლ. აღიარეს სწორუპოვარ პიანისტად, რომელმაც გადატრიალება მოახდინა საფ. ხელოვნებაში, მიანიჭა საკრავს ორკესტრული ხმოვანება. 1848-იდან ცხოვრობდა გერმ. მუს. ცენტრში-ვაიმარში, სადაც სათავეში ჩაუდგა საოპერო თეატრს.

11 წლის მანძილზე დადგა მრავალი ოპერა. ვაიმარის პერიოდი უმნიშვნელოვანესი ხანაა ლ-ის შემოქმედებაში. აქ შეიქმნა მისი საუკეთესო ნაწ–ები: „ფაუსტ-სიმფონია“(1857), სიმფ. დანტეს „ღვთაებრივი კომედიისათვის“ (1856), 12 სიმფ. პოემა, მათ შორის საუკეთესოებია: „ტასო“ (გოეთეს მიხედვით 1856), „პრელუდიები“ (ლამარტინისა და ჟ. ოტრანის მიხედვით, 1854), საფ. სონატა სი მინორი (1853), პროგრამული პიესების კრებული „მოგზაურობის წლები“(3 რვეული), 2 საფ. კონცერტი (1856;1861), 19 უნგრული რაფსოდია, ესპანური რაფსოდია, „მეფისტო-ვალსი“, „უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობის ეტიუდები“ და სხვ. 1861 ლ. საცხოვრებლად რომში გადავიდა. 1865 აბატად ეკურთხა. 1860-80 დაწერა სასულიერო ხასიათის ნაწარმოებები. ლ-ის სახელთანაა დაკავშირებული უნგრული მუს. სკოლის აღმავლობა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ძირითადად უნგრეთიდან მოშორებით გააატარა. თავის შემ-ში ლ. აქტიურად იყენებდა უნგრულ ქალაქურ ფოლკლორს. 1875-იდან სიკვდილამდე იყო ბუდაპეშტის მუს. აკადემიის პრეზიდენტი და პროფესორი. ლ-მა პირველმა შექმნა ერთნაწილიანი სიმფ. პოემა (სინთეზური ერთნაწილიანი ფორმა). კომპ-ის ნოვატორული შემოქმედების განმსაზღვრელი პრინციპია – პროგრამულობა და მასთან დაკავშირებული მონოთემატიზმი. ლ-ის იდეურ-მხატვრული პრინციპები სხვადასხვა ეროვნულმა სკოლამ მიიღო, მათ შორის, რუსულმაც, ლ-მა აღზარდა 300-ზე მეტი (მათ შორის გამოჩენილი) პიანისტი.

მ. კორძაია

ლიტავრა, (გვიანდ. ბერძ.(po)lytaurea< ბერძ. poly–ბევრი და taurea- ღოლი), ძველებური დასარტყამი მუსიკალური საკრავი. XVI ს-იდან ორკესტრის შემადგენელი ნაწილია. ლ-ის ქვაბის ფორმის კორპუსს (სპილენძის, თითბრის ან ალუმინის) ზევიდან გადაკრული აქვს ტყავის მემბრანა. საკრავის აწყობა ხდება მემბრანის ან პედლების მექანიზმების დაჭიმვით. ქვევით კორპუსის ცენტრში არის სარეზონატორო ნახვრეტი. ლ. 2 ჯოხის მეშვეობით გამოსცემს მჭექარე ხმას. ორკესტრში გამოიყენება სხვადასხვაგვარად აწყობილი 2-5 და მეტი ლ-ების კომპლექტი.

ლიტურგია (ბერძნ. leiturgia–საზოგადო სამსახური, საერთო საქმე), 1. სახელმწიფო ვალდებულება ძვ. ბერძნულ პოლისებში. 2. ქრისტიანული საეკლესიო მღვდელმსახურება [მართლმადიდებლურში–წირვა (ჟამის წირვა), კათოლიკურში და პროტესტანტულში – მესა], რ-ის დროსაც სრულდება საიდუმლო-ზიარება (ევქარისტია), უსისხლო მსხვერპლის შეწირვა,,,ტიპიკონის“ მიხედვით, შედგება საკითხავებისა და საგალობლებისაგან. ლ. ცნობილი იყო II ს-იდან. მისი საყოველთაო წესები საბოლოოდ შემუშავდა IV ს-ში. გავრცელებული იყო ლ-ის წესების სხვადასხვა რედაქცია: მოციქულთა–იაკობის, მარკოზის, პეტრესი, ეკლესიის მამათა–ბასილი დიდის (329-379), იოანე ოქროპირის (347-407). ლ-ის წესების სახელმძღვანელო წიგნს კონდაკი ან ჟამისწირვა ეწოდება. X ს. დასასრულამდე საქართველოში ხმარობდნენ იაკობის, პეტრეს, აგრეთვე ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლ-ებს. შემდეგ ფართოდ გავრცელდა უკანასკნელი 2 რედაქცია, რ-ებიც XI ს-ში ბერძნულიდან ხელახლა თარგმნა გიორგი მთაწმინდელმა. იხმარებოდა აგრეთვე იაკობის ავტორობით ცნობილი სპეც. სამღვდელმთავრო კონდაკი. ქართ. ლ-ის წესებში ცვლილება შეიტანა კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I (1744-55, 1764-88), რომელმაც ქართ. კონდაკი შეასწორა სლავურის მიხედვით. ცნობილია წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესის ქართ. საეკლ. საგალობლები (ქართლურ-

კახური კილო), შედგენილი სხვადასხვა დროს ა. ბენაშვილის (1886), მ. იპოლიტოვ-ივანოვის (1884), ზ. ფალიაშვილის (1909), ნ. კლენოვსკის (1901) მიერ. 1880-1900-იან წლებში გამოიცა აგრეთვე ვ. კარბელაშვილის ქართლურ-კახური საგალობლები „ცისკარი“ და „მწუხრი“, ფ. ქორიძის და რ. ხუნდაძის იმერულ-გურული კილოს საგალობლები წირვა-ლოცვის დროს შესასრულებელი.

ბ. ლომინაძე, გ. ჩხიკვაძე.

ლიული (Lully) ჟან ბატისტ [28. XI. 1632, ფლორენცია,–22. III. 1687, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი, ეროვნული საოპერო სკოლის ფუძემდებელი. დაიბადა იტალიელი მეწისქვილის ოჯახში. 14 წლიდან პარიზშია. 1653-იდან სამეფო კარის კომპოზიტორია, 1672-იდან ხელმძღვანელობდა საოპერო თეატრს („მუსიკის სამეფო აკადემია“), შექმნა „ლირიკული ტრაგედიის“, – ანტ. მითოლოგიურ სიუჟეტზე აგებული მონუმ. მუს. სპექტაკლის ტიპი („ალცესტე ანუ ალკიდის დღესასწაული“, 1674, „თესევსი“, 1675, „ატისი“, 1676, „არმიდა“, 1686 და სხვ.). ლ-ის ოპერები გაჯერებულია საგუნდო და საბალეტო სცენებით. ლ-ის საბალეტო მუსიკამ გავლენა მოახდინა საცეკვაო სიუიტის განვითარებაზე. ლ-ის შემოქმედებაში ჩამოყალიბდა კლასიკური ფრანგ. უვერტიურის ფორმა.

ლიუტოსლავსკი ვიტოლდ [25. I. 1913, ვარშავა, – 8.II.1994, ვარშავა], პოლონელი კომპოზიტორი. ე. ლეფელდისა და ვ. მალიშევსკის მოწაფე. 1932-55 გამოდიოდა როგორც პიანისტი, ხოლო 1935-იდან როგორც საკუთარი ნაწ-ის შემსრულებელი დირიჟორი. XX ს. ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორია. ადრინდელი ნაწარმოებებიდან ცნობილია სიმფ. ვარიაციები (1938). 40-იან წ. მუშაობდა ნეოკლასიკური სტილით (I სიმფ.). 60-იან წ. დაამუშავა კომპოზიციის ახ. ტექნიკა: იყენებდა თავისუფლად გაგებულ 12 -ტონიან სერიას („სამგლოვ. მუს.“ და სხვ.), შეზღუდულ ალეატორიკას („ვენეციური თამაშები“, სიმებიანი კვარტეტი, მე-2 სიმფ. „წიგნი ორკესტრისათვის“), 70-80 წლების მუსიკა გამოირჩევა ემოციური დიაპაზონის გაფართოებით, ჟანრული კონკრეტობისადმი მიმართვით. 1962-იდან ასწავლიდა მრავალი ქვეყნის მუს. ცენტრებში. მრავალი აკადემიისა და უნტ-ის წევრი და საპატიო დოქტორია. კომპ-ის საერთაშ. კონკურსების ლაურეატი (1959-1985), მთელი რიგი საერთაშ. მუს. საზ-ბის და ორგანიზაციის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი. ძირითადად მუშაობდა ინსტრუმ. (სიმფ. და კამერ.) და საგუნდო მუსიკის დარგებში.

ლიჩელი თამარ ვახტანგის ასული [8. XI,1978, თბილისი], ქართველი პიანისტი. 2002 დაამთ. თბ. კონს. საფორტეპიანო განყოფილება, 2006 ასპირანტურა (ორივე თ. ამირეჯიბის ხე-ლით). სტაჟირება გაიარა რომის სანტა-ჩეჩილიას ნაციონალურ და მიუნჰენის (გერმანია) მუს. აკადემიაში.

ლ. არაერთი საერთაშ. კონკურსების ლაურეატია მ.შ. ეტლინგენის საერთაშ. კონკურსი, სპეციალური პრიზი (გერმანია), გიოტინგენის შოპენის სახ. საერთაშ. კონკურსი (გერმანია), მარკო-პოლოს საერთაშ. კონკურსი I პრემია (საბერძნეთი),

საერთაშ. კონკურსი „IbIa Grand Prize“ I პრემია, გრან პრი, სპეციალური პრიზი (იტალია), საქ. მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსი I პრემია და სხვ. ლ. აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას ეწევა, კონცერტებით გამოდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თანამშრომლობს ცნობილ მუსიკოსებთან, არაერთი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია ფ. ღლონტის კონცერტი ფ-ნოსა და ორკესტრისათვის, ვ. აზარაშვილის საფ. კვარტეტი, ზ. ნადარეიშვილისა და გ. ჩლაიძის საფ. ტრიოები და სხვ.

ლ. ხშირად ატარებს მასტერკლასებს, როგორც საქ-ში ისე მის ფარგლებს გარეთ. არის არაერთი ეროვნ. და საერთაშ. კონკურსის ჟიურის წევრი. 2013 დააარსა თ. ამირეჯიბის სახ. ყოველწლიური საერთაშ. ფესტივალი, არის მისი სამხ. ხე-ლი; 2014 დააარსა ტრიო „sempre“ (თ. ლიჩელი ფ-ნო, ლ. მჭედლიძე-ვიოლინო, ჰ. ბაბაიანი-ჩელო);

ლ. აღიარებულია ქართული მუსიკის პროპაგანდისტად და საუკეთესო შემსრულებლად. 2007-დან არის თბ. სახელმწ. კონს. ასოცირებული პროფესორი.

ლოლუა ძუკუ (პორფილე) ბახვას ძე [8.IV.1887, სოფ. ქვალონი, ახლანდ. ხობის რ-ნი,–9.VIII. 1924, თბილისი], ხალხური მომღერალი, ლოტბარი, პედაგოგი. დაიბადა ტრადიციულ მუს. ოჯახში (მამა-მომღერალი, დედა-მეჩონგურე). 1897-98 ჩამოაყალიბა ხალხ. გუნდი და 1903-მდე მართავდა კონცერტებს დას. საქ-ში. გამოავლინა მრავალი მეგრული ხალხ. სიმღერა. 1911-იდან მოღვაწეობდა სოხუმში. ლ-მ საფუძველი ჩაუყარა საგუნდო ხელოვნების განვითარებას აფხაზეთში. 1917 პირველად გამოვიდა თბილისში კონცერტით, შემდეგ იმოგზაურა აღმ. საქ-ში. ლ-მ დიდად შეუწყო ხელი ხალხ. შემსრულებლობის განვითარებას საქართველოში.

ლომდარიძე ელიზბარ ვახტანგის ძე [22.X. 1945, თბილისი, 14.II.2020,თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი(2012), საქ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრემია „2010 წლის საუკეთსო მუს. ნაწარმოების შექმნისათვის“. 1974 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. დ. თორაძის საკომპოზიციო კლ.).

1981-85 ლ. იყო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორი. 1993-2002 მუსიკალური აკადემიის რექტორი. 1978-იდან საქ. კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრია.

ძირითადი ნაწარმოებებია: 4 სიმფონია (1980, 1985, 1986, 1990), 2 კონცერტი ფაგოტისა და ორკესტრისათვის (1973, 1976), კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (1987), კონცერტი ფ-ნოსა და ორკესტრისათვის [„თბილისური” (2000), „იმერული” (2001), „ერისიონი” (2002), „მეგრული”(2004)]. საფ. კონცერტები ნორჩი შემსრულებლებისათვის. [„ენკი ბენკი” (2003), „ფიგლი მიგლი” (2003), პარაფრაზები ებრაულ

თემებზე (2006)], მინიატრურები კამერული ორკესტრისათვის (1968), მუსიკა კამერული ორკესტრისათვის (1975), სიმებიანი კვარტეტი (1974), ორი საფ. სონატა (1975, 1976), ვოკალურ-სიმფ. პოემა „ჰიმნი მზეს" (1975), ორატორია „გალობანი სინანულისანი" (1976), კანტატა „ქართული ხალხური პოეზიიდან" (1986), 4 მინიატურა შერეული გუნდისათვის (1972), 3 ფრესკა ქალთა გუნდისათვის (1974), 4 ვოკალური ციკლის ხალხურ ლექსებზე (1969), ტოკატა ფორტეპიანოსათვის (2004), Basso-Ostinato ორი ფ-ნოსათვის (2006), 100-მდე საფ. პიესა (4 კრებული) და სხვ.

ლოჟა (ფრანგ. loge), მაყურებელთა დარბაზში რამდენიმე პირისათვის გამოყოფილი ადგილი.



ლორთქიფანიძე გრიგოლ (გიგა) დავითის ძე[19. X. 1927, თბილისი, – 13.VI.2013, თბილისი], ქართველი რეჟისორი, საქ. (1971) და სსრკ (1979) სახ. არტისტი. დაამთ. მოსკოვის სახელმწ. თეატრალური ინ-ტი (1950). სხვადასხვა დროს იყო თბ. მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, მუსკომედიის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის თეატრების სამხ. ხე-ლი და რეჟისორი. დადგმული აქვს ასზე მეტი სპექტაკლი, 7 ფილმი (მათ შორის, მრავალსერიანი „დათა თუთახშია"). განხორციელებული აქვს მთელი რიგი დადგმები საოპერო და მუსიკალურ თეატრებში. მ.შ. ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე" (თბილისი, 1990, საქ. სახელმწ. პრემია) ჯ. ვერდის „აიდა" (ბათუმი, 1998), ბ. კვერნაძის „კოლხთა ასული" (თბილისი, 1997), მუსიკალური კომედიები: ბოკის „მევიოლინე სახურავზე", შ. მილორავას „კახაბერის ხმალი", ვ. აზარაშვილის „მეჩექმე გაბო" და სხვ., ლ. იყო საქართველოს სახელმწ., რუსთაველის, მარჯანიშვილის სახ. და სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი, საქ. თეატრალური უნ-ტის რექტორი (1999-2005), საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (1985-2013).

ლოტბარი, მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.

ლუთერი (Luther) მარტინ [10. XI. 1483, აისლებენი, საქსონია,–18, II, 1546, იქვე], გერმანელი თეოლოგი, გერმანული პროტესტანტიზმის (ლუთერანობის) ფუძემდებელი, საერო გერმანული ლიტ. ენის ერთ-ერთი შემქმნელი, ბერი–ავგუსტინელი. მოახდინა საეკლესიო მუსიკის რეფორმა (1523-იდან მან ღვთისმსახურება გერმანულ ენაზე წარმართა, უპირატესობა ვოკალურ მუსიკას მიანიჭა, გამოიყენა ხალხური მელოდიები). მუსიკას თვლიდა ადამიანის სულიერი ფორმირების საშუალებად. ლ. ი. ვალტერთან და კ. რუპშთან ერთად ერთ-ერთი შემქმნელია პროტესტანტული ქორალისა და გერმ. მესისა. განსაკუთრებით ცნობილია ქორალი „Ein feste Burg ist unser Gott" („ღმერთია ჩვენი ჭეშმარიტი ბურჯი"), რომელსაც ფ. ენგელსმა XVI საუკუნის „მარსელიეზა" უწოდა. ლ. 24 ქორალური მელოდიისა და 4 -ხმიანი მოტეტის ნაწილის სავარაუდო ავტორია. მას აგრეთვე ეკუთვნის რამდენიმე მუს. ესთეტიკური ნაშრომი.

მ

მაგალოვი ნიკიტა დიმიტრის ძე [8.II. 1912, პეტერბურგი, – 26. XII. 1992, ვევე, შვეიცარია], შვეიცარიელი (რუსი) პიანისტი, პედაგოგი და კომპოზიტორი. დაიბადა თავად დიმიტრი მაღალაშვილის ოჯახში. ნიჭიერ ბავშვს პირველმა ყურადღება მიაქცია ცნობილმა პიანისტმა ა. ზილოტიმ, რომელმაც მას რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარა. დიდი გავლენა მოახდინა მ-ზე ს. პროკოფიევმა, რომელიც მის მშობლებთან მეგობრობდა. 1918 მ-ის ოჯახი 4 წლით დასახლდა ფინეთში, ხოლო შემდეგ პარიზში დამკვიდრდა. აქ მ. შევიდა კონს-ში, რომელიც I პრემიით დაამთავრა 1929 წელს ცნობილი პედაგოგის ისიდორ ფილიპის ხელ-ით და დაიმსახურა მ. რაველის მაღალი შეფასება: „მაგალოვის სახით დაიბადა განსაკუთრებით ნიჭიერი, გამოჩენილი პიანისტიო“. დიდი მნ-ბა ჰქონდა მ-თვის ურთიერთობას 30-იანი წლების დასაწყისში პარიზში ს. პროკოფიევთან, რომელმაც კომპოზიციის გაკვეთილები ჩაუტარა მას. არტისტული კარიერა მ-მა დაიწყო გამოჩენილ უნგრელ მევიოლინე ი. სიგეტისთან ერთად ანსამბლში გამოსვლებით. 1937-იდან მ. იწყებს ფართო საკონცერტო მოღვაწეობას ევროპულ ქვეყნებში, ხოლო ომის შემდგომ წლებში მისი სახელი მსოფლიოში გახდა ცნობილი. 1947-1950 ცხოვრობდა აშშ-ში, ხოლო შემდეგ დასახლდა შვეიცარიაში–ქ. ჟენევაში (1956 მიიღო შვეიცარიის მოქალაქეობა) და სათავეში ჩაუდგა ჟენევის კონს-ის საფ. კლასს, სადაც შეცვალა გამოჩენილი პიანისტი დინუ ლიპატი. პედ. მუშაობას ეწეოდა 1949-1959, რის შემდეგ მთლიანად საკონცერტო მოღვაწეობაზე გადაერთო. ბევრს მოგზაურობდა, მართავდა კონცერტებს. 2-ჯერ იყო სსრკ-ში 1965 და 1967-ში. თბილისში გამართა სოლო და სიმფ. კონცერტები 1967 მაისში. მ-ის დაკვრა დახვეწილი არტისტიზმით გამოირჩეოდა, მისი რეპერტუარი ვრცელი და მრავალფეროვანი იყო. ითვლებოდა შოპენის ნაწარმოებების შესანიშნავ შემსრულებლად. ასევე წარმატებით ასრულებდა მოცარტის, ბეთჰოვენის, ლისტის, სკარლატის, სტრავინსკისა და სხვათა ნაწარმოებებს. მ-ს ეკუთვნის რამდენიმე ნაწარმოები: საფ. (1934) და სავიოლინო (1936) სონატები, საფ. ტოკატა (1936), საფ. პიესები, რომანსები. მ-ის მოწაფეები არიან ცნობილი პიანისტები – მ. არგერიხი და მ. უტიდა.

გ. ტორაძე

მადრიგალი (იტალ. madrigale), აღორძინების ეპოქაში გავრცელებული საერო მუსიკალურ-პოეტური ჟანრი. მისი საწყისები ძვ. იტალ. მწყემსური სიმღერებიდან მოდის. გაჩნდა XIV ს. პროფეს. იტალ. მუსიკაში. ადრინდ. მუს-ში პოეტური მ. იყო კუპლეტური ფორმის 2-3-ხმიანი ხმიერ-საკრავიერი ნაწარმოები ლირიკულ-სატრფიალო, სახუმარო-ყოფითი ან მითოლოგიური ხასიათის რეფრენით (ჯ. და ფირენცო, ფ. ლანდინო). XVI ს-ში მ. აღორძინდა ლირიკული 4-5-ხმიანი სიმღერის სახით (ა. ვილარტი, კ. ფესტა, პალესტრინა, ო. ლასო). პეტრარკას, ბოკაჩოს, ტასოს ლექსებზე სრულდებოდა საკრავიერი თანხლების გარეშე. იტალიის გარდა, მ-მა პოპულარობა მოიპოვა ინგლისსა და გერმანიაში.

მ-ს ახასიათებს გამომსახველობითი ხერხების სიუხვე, თამამი დისონანსები, ქრომატიზმები, რიტმისა და ფაქტურის მკვეთრი კონტრასტები. XVI-XVII სს. მიჯნაზე მ. დაუახლოვდა საკონცერტო და დრამ. ჟანრებს, საფუძვლად დაედო მადრიგალურ კომედიას. XVII ს-დან მ-ს ჩამოსცილდა მუსიკა. იგი ქალისადმი მიძღვნილ მცირე ზომის ლექს-ქათინაურად იქცა.

მაესტრო (იტალ. maestro), ხელოვანის უმეტესად კომპოზიტორის, დირიჟორის, მუსიკოსის და სხვ. საპატიო წოდება (სახელი).

მაესტოზო (იტალ. maestoso), მუსიკალური ნაწარმოების დიდებული საზეიმო ხასიათის შესრულება.

მაზურკა (პოლონ. mazurek), პოლონური ხალხური ცეკვა.წარმოიშვა პოლონეთში მაზოვიაში (მაზურების ეთნოგრაფიულ ჯგუფში). XIX ს-ის დასაწყისში სამეჯლისო ცეკვის სახით გავრცელდა ევრ. ქვეყნებშიც. განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი რუსეთში, სადაც თავისებური ხასიათი და კოლორიტი შეიძინა. მ. დინამიკური, დახვეწილი ფორმის წყვილთა ცეკვაა. მ-ს მელოდია მკვეთრი, რიტმულად აქცენტირებულია. მუს. ზომა–3/4 ან 3/8. მ-ს კლასიკური ნიმუშები შექმნილი აქვს შოპენს, რომელმაც მოახდინა მისი პოეტიზაცია. ხშირად გვხვდება XIX ს-ის სხვა კომპოზიტორთა შემოქმედებაშიც.



მათურელი თეიმურაზ ირაკლის ძე [28. IV.1947, სიღნაღი,- 31.I.1993, კუნძული ტექსელი (დაკრძალულია თბილისში)], ქართველი პიანისტი. 1970 დაამთ. მოსკოვის კონს. საფორტეპიანო განყოფილება (პედ. ი. ფლიერი). 1975 მოსკოვის კონს. ასპირანტურა (პედ. ლ. ნაუმოვი). 1970-91 თბ. სახელმწ. კონს. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1985 ჩამოაყალიბა საფორტეპიანო ტრიო თ. მათურელი (ფორტეპიანო), ლ. ჩხეიძე (ვიოლინო), რ. მაჩაბელი (ჩელო). 1991-92 თანამშრომლობდა საქ. სიმებიან კვარტეტთან. გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო კულტურითა და ნატიფი გემოვნებით.

მაისტერზინგერი (გერმ. Meistersinger, სიტყვასიტყვით–ოსტატი –მომღერალი), XIV–XVI სს. გერმანული ბიურგერულ-ხელოსნური პოეზიის წარმომადგენელი; მ-ები პოეტური ტექნიკის მხრივ აგრძელებდნენ მინეზინგერების ტრადიციას, თემატურ-შინაარსობრივად თავდაპირველად ბიბლ. რელიგ. თემატიკას იყენებდნენ. XVI ს-იდან საეროს (კერძოდ-სასიყვარულოსაც). მ-ები მღეროდნენ თავიანთ ლექსებს. მათ ხელოვნებას ეწოდა მაისტერზანგი (ოსტატის სიმღერა). ყველაზე ცნობილია ქ. ნიურნბერგის სასიმღერო სკოლა, მ-დან – ჰ. ზაქსი (რ. ვაგნერს აქვს ოპერა „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები“. 1868).

მაისურაძე ბადრი ჯემალის ძე (13.11.1966, ქ. თბილისი), ქართველი მომღერალი (ტენორი). ვოკალისტთა ფ. ვინიასის (ესპანეთი) და ი. ბიორლინგის (შვედეთი) სახ. საერთაშ. კონკურსების ლაურეატი (ორივე 1994), არაერთი პრესტიჟული საერთაშ. კონკურსების გამარჯვებული. არის ხალხთა მეგობრობის საერთაშ. ორდენის კავალერი. აქვს ძლიერი

ფართო დიაპაზონის, ულამაზესი ტემბრის, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა, გამოირჩევა მაღალი არტისტიზმით. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მომღერალია.

1982 დაამთ. თბ. თეატრისა და კინოს უნ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (დ. ალექსიძის კლ.), ხოლო 1989 თბ. კონს. ვოკალური ფაკ-ტი (გ. ბეჟუაშვილის კლ.). მოგვიანებით სწავლა განაგრძო მილანსა და მოსკოვში. 1989-90 სტაჟირება გაიარა მოსკოვის დიდ თეატრში (ხელმძ. ზ. სოტკილავა). 1989-93 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. 1990 შედგა მისი დებიუტი ო. თაქთაქიშვილის ოპერაში „მინდია“. 1994-იდან მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტია. საერთაშორისო კარიერა დაიწყო 1993 ლიეჟის სამეფო ოპერის თეატრში, სადაც შეასრულა ცრუ დიმიტრის როლი მუსორგსკის ოპერაში „ ბორის გოდუნოვი“. მას შემდეგ 58 პარტია შეასრულა მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებში. 1999 პირველად გამოვიდა მილანის „ლა სკალას“ თეატრში, შეასრულა ანდრეის პარტია პ. ჩაიკოვსკის ოპერაში „მაზეპა“. თანამშრომლობს გამოჩენილ მუსიკოსებთან (მ. როსტროპოვიჩი, რ. მუტი, ს. ოძავა და სხვ.), რეპერტუარში აქვს კამერული ვოკალური ნაწარმოებები, ასრულებს ტენორის პარტიას ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიაში, ვერდის „რეკვიემში“, ბრიტენის „სამხედრო რეკვიემში“. მ. პრესტიჟული საერთაშ. კონკურსების ჟიურის წევრია, როგორიცაა: ბუსეტოს საერთ. კონკურსი „ ვერდის ხმები“, პარიზის ვ. ბელინის სახ. კონკურსი, გ. ვიშნევსკაიას სახ. ვოკალისტთა კონკურსი, მელბურნის ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსი, საოპერო მუსიკის კონკურსი„ ჯოვანი მარტინელი-აურელიანო პერტილე“ (ჟიურის თავმჯდომარე). ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის მანძილზე მას თანამშრომლობა აკავშირებდა ცნობილ დირიჟორებთან: ს.ოძავა, ზ. მეტა, დ. ორენი, ა. გუადანიო, მ. ვიოტი, მ. ბარბაჩინი, პ. ფერენეცი, კ.რიცი, ა. ვოლმერი, ა. ვედერნიკოვი, მ. არენა, გ. ნავარო, მ. ბენინი, ჯ. მორანდი, ნ. სანტი, ლ. ფოსტერი, ჯ. კახიძე, გ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი და სხვ.

რეპერტუარი: აბესალომი (ზ. ფალიაშვილი „აბესალომ და ეთერი“), ედგარი (დონიცეტი „ლუჩია დი ლამერმური“), რადამესი, მანრიკო, ოტელო, ალფრედი (ვერდი „აიდა“, „ტრუბადური“, „ოტელო“, „ტრავიატა“), კავარადოსი (პუჩინი „ტოსკა“), ტურიდუ (მასკანი „სოფლის ღირსება“), კანიო (ლეონკავალო „ ჯამბაზები“), გერმანი (ჩაიკოვსკი „პიკის ქალი“) და სხვ. 2002-იდან გ. ვიშნევსკაიას საოპერო სიმღერის ცენტრის პროფესორია. 2016 ნოემბრიდან თბ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. 2019-იდან მისი თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ვერდის ფესტივალს საქართველოში.

მაკდოუელი (MacDowell) ედუარდ [18. 12. 1861,ნიუ-იორკი,–23. I. 1908, იქვე], ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტი. ეროვნებით შოტლანდიელი. სწავლობდა აშშ-ში, საფრანგეთსა და გერმანიაში. 1888-1896 ცხოვრობდა ბოსტონში. როგორც პიანისტი გამოდიოდა საავტორო კონცერტებით ბოსტონის ორკესტრებთან ერთად. მ. პირველი ამერ. კომპოზიტორია, რომელმაც გამოიყენა ინდიელთა ფოლკლორი (2 „ინდური სიუიტა“ და სხვ.). წერდა პროგრამულ მუსიკას (სონატები: „ტრაგიკული“, „გმირული“, „ნორვეგიული“ ანუ „ჩრდილოური“, „კელტური“(1893–1901), 3 სიმფ. პოემა და სხვ.). აგრძელებდა გერმ. რომანტიზმისა და ე. გრიგის ტრადიციებს.

მალერი (Mahler) გუსტავ [7. VII. 1860, კალიშტი, ჩეხეთი,– 18. V. 1911, ვენა], ავსტრიელი კომპოზიტორი და დირიჟორი. 1875-78 სწავლობდა ვენის კონს-ში. 1880-იდან დირიჟორობდა ავსტრია-უნგრეთის თეატრებში, 1885-86 პრაღის გერმ. თეატრში. 1886-88 ლაიფციგში, 1888-91 ბუდაპეშტის სამეფო ოპერის დირექტორი და დირიჟორი იყო. მ. 1891-97 ჰამბურგის ოპერის პირველი დირიჟორი, 1897-1907 ვენის სამეფო კარის ოპერის დირექტორი, დირიჟორი და რეჟისორია. მ-ის სადირიჟორო მოღვაწეობამ მთელი ეპოქა შექმნა მუს. თეატრის ისტორიაში. იგი რ. ვაგნერის, ლ. ბეთჰოვენის და ვ.მოცარტის ოპერების გამოჩენილი ინტერპრეტატორი იყო. პირველად დადგა ვენაში პ. ჩაიკოვსკისა და ბ. სმეტანას ოპერები. 1908-09 ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერის“ დირიჟორად მუშაობდა, 1909-11 ხელმძღვანელობდა ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრს. მ. გამოჩენილი სიმფონისტია. ავტორია 9 მონუმ. სიმფონიისა (მე-10 დაუმთავრებელი). მ. სიმფონიებში ფართოდ იყენებდა ვოკალს (სოლისტებისა და გუნდის სახით). სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ვოკალური ციკლები: „მოხეტიალე შეგირდის სიმღერები“, „სიმღერები გარდაცვლილ ბავშვებზე“ და სხვ.

მ. XIX ს. დასასრ. და XX ს-ის დასაწყ. ევროპ. მუს. ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელია, რომელიც ეყრდნობა ბეთჰოვენის, შუბერტის, ვაგნერის, გვიანდელი რომანტიზმის ტრადიციებს. მ-ის მუსიკა ღრმა ჰუმანისტური სულით არის გამსჭვალული, აღბეჭდილია ტრაგიზმის მწველი გრძნობით. ზოგადსაკაცობრიო კოლიზიები გადაწყვეტილია პიროვნულისა და ბედისწერის თემის პრიზმაში. მ-ის გვიანდელ შემ-ში გამოიკვეთა მუს. ენის თავისებურებანი, რომლებიც შემდეგ მრავალმა კომპოზიტორმა გაიზიარა (ლინეარული პოლიფონია, ტონალობის საზღვრების გაფართოება და სხვ.). მ-მა გავლენა მოახდინა ევროპული სიმფონიზმის შემდგომ განვითარებაზე, ხოლო მისი მუს. ენის ზოგიერთმა მხარემ მოამზადა ის სტილისტური გარდატეხა, რომელიც განახორციელეს ექსპრესიონისტული სკოლის კომპოზიტორებმა (ა. შონბერგი, ა. ბერგი, ა. ვებერნი).

მალიბრანი (Malibran: ქალიშვილობის გვარი გარსია) მარია ფელისიტა [24. III. 1808, პარიზი,–23. IX. 1836, მანჩესტერი], ფრანგი მომღერალი (მეცო-სოპრანო). წარმოშობით ესპანელი. პირველად 1825 გამოვიდა ლონდონში. მღეროდა საფრ., იტალ., დიდი ბრიტ. საოპერო სცენებზე. პარტიები: ნორმა, ალინა(ბელინის „ნორმა“, „სომნამბულა“), ლეონორა (ბეთჰოვენის „ფიდელიო“), დეზდემონა (როსინის „ოტელო“) და სხვ. XIX ს. I ნახ. ერთ-ერთი უდიდესი მომღერალია. მისი სიმღერა გამოირჩეოდა იშვიათი გამომსახველობითა და არტისტიზმით. ეკუთვნის მთელი რიგი მუს. ნაწარმოებები (ნოქტიურნები, რომანსები და სხვ.).

მალიპიერო (Malipiero) ჯან ფრანჩესკო [18. III. 1882,ვენეცია,–1. VIII. 1973, ტრევიზო], იტალიელი კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე და მუს. კრიტიკოსი, პედაგოგი. თანამედროვე იტალ. მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი შემოქმედება იმპრესიონიზმისა და ნეოკლასიციზმის გავლენით ჩამოყალიბდა. ოპერები (უმთავრესად საკუთარ

ლიბრეტოზე): „გოლდონის სამი კომედია“ (1926); „იულიუს კეისარი“ (1936), და „ანტონიუსი და კლეოპატრა“ (1938, შექსპირის მიხედვით); „დონ ჯოვანი“ (1965, პუშკინის მიხედვით). მ. ავტორია მონოგრაფიებისა კ. მონტევერდიზე, ა. ვივალდისა და ი. სტრავინსკიზე.

მამაცაშვილი ავთანდილ ნიკოლოზის ძე [7.V. 1938, თბილისი], ქართველი დირიჟორი. საქ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1979).1966 დაამთ. თბილისის სახელმწ. კონს-ის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება, ხოლო 1970 საოპერო და სიმფონიური დირიჟორის სპეციალობით (პედ. ო. დიმიტრიადი).1966-71 „საქართველოს სიმფოჯაზის“ დამაარსებელი და მთ. დირიჟორი. 1983-84 კიევის საოპერო თეატრის დირიჟორი. 1984-93 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი. 1987 ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. დირიჟორი. 1988-93 „ახალგაზრდული სიმფ. ორკესტრის“ დამაარსებელი, სამხ. ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი. 1997 ქუთაისის კამერული ორკესტრის დამაარსებელი და დირიჟორი. 1980-იდან თბ. კონს. საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგი (2006 ასოცირებული პროფესორი), საოპერო სტუდიის დირიჟორი.

გასტროლებს მართავდა ყოფილ სსრკ ქვეყნებში და საზღვარგარეთ.

მამისაშვილი ნოდარ ლევანის-ძე [15.XII.1930, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1967), ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1956 დაამთ. თბ. კონს-ია (ა. ბალანჩივაძის საკომპ. კლ.), 1882-იდან საკომპოზიტორო კათედრის პროფესორია. მ-ის უმთავრესი ნაწარმოებებია საბავშვო ოპერა „ბაქია ბაჭია“ (1965), „საყმაწვილო კონცერტი“ ფ-ნოსა და ორკესტრისათვის (1964), „ლირიკული დღიურის ფურცლები“ (საფ. ციკლი 1979), სიმფ. სიუიტა „გურიაში“ (1961), რიგი სხვა სიმფ. საგუნდო და ა. შ. ნაწარმოებები. მ. რამდენიმე გამოგონების ავტორია. მისი რეცეპტით დამზადდა საეკლესიო ზარები თბილისის სამების საკათედრო ტაძრისათვის. ავტორია სამეცნიერო შრომებისა („სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა“, 1978. რუსულ ენაზე).

მანდოლინა (იტალ. Mandolino), სიმებიანი ჩამოსაკრავი მუსიკალური საკრავი. წარმოიშვა იტალიაში. საბოლოო სახით ჩამოყალიბდა XVII–XVIII სს-ში. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხალხ. საკრავია. არსებობს რამდენიმე სახის მ. ყველაზე პოპულარულია ნეაპოლური მ., რომელსაც აქვს ოვალური კორპუსი, 4 წყვილი სიმი, მოკლე ყელი, ლითონის ჩაჭდობილკილოებიანი გრიფი, მექანიკურრგოლებიანი ბრტყელი თავი. მისი საერთო სიგრძეა 610-635 მმ. წყობა კვინტური (როგორც ვიოლინოს). უკრავენ პლექტრის (მედიატორის) მეშვეობით.

მაჟორი (ფრანგ. majeur, იტალ. maggiore<ლათ.major–მეტი; აგრეთვე dur<ლათ. durus-მყარი), კილო, რომელსაც საფუძვლად უდევს დიდი (მაჟორული) სამხმოვანება და აგრეთვე

ამ სამხმოვანების კილოური გადახრა.

მ-ს მინორისაგან განსხვავებით აქვს ნათელი ჟღერადობა. მ-ისა და მინორის კონტრასტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ესთეტიკური კონტრასტია მუსიკაში.

მაჟორული, 1. მაჟორთან დაკავშირებული; მაჟორის დამახასიათებელი ბგერების შეხამებაზე დამყარებული. 2. ხალისიანი, მხიარული.

„მართვე“, ბიჭუნათა ვოკალური ანსამბლი. დააარსა 1976 ა. ერქომაიშვილმა, შემდეგ ლოტბარად მოიწვია რამინ მიქაბერიძე. ანსამბლის რეპერტუარშია ძირითადად ქართ. ხალხ. სიმღერები. მ-ს სხვადასხვა თაობის მომღერლები მაღალი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით ასრულებენ ძვ. ტრად. ურთულეს ხალხ. სიმღერებს. არსებობის მანძილზე „მ“-მ ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულ ფესტივალებში. ფირმა „მელოდიამ“ გამოსცა ანსამბლ „მ“-ს რამდენიმე ფირფიტა. 1986 კი იაპონიის ცნობილმა ფირმამ „ვიქტორმა“ გამოსცა ლაზერის კომპაქტდისკი „მ“-ს შესრულებით. 1994 „მ”-ს ბაზაზე შეიქმნა ბავშვთა საერთაშ. ფოლკლორული ცენტრი.

„მარსელიეზა“ (Marseillaise), ფრანგული რევოლუციური სიმღერა, საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნი. სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის კ. ჟ. რუჟე დე ლილს. „მ“ შეიქმნა სტრასბურგში 1792. თავდაპირველად „რაინის არმიის საბრძოლო სიმღერა“ ეწოდებოდა. სწრაფად გავრცელდა ჯერ მარსელში „მარსელელთა მარშის“ ან „მ-ის“ სახელით, შემდეგ პარიზში. რესტავრაციისა და მეორე იმპერიის ეპოქაში აკრძალული „მ“ მესამე რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნად იქცა (1879). სიმღერის ტექსტი ოფიციალურად 1887 დამტკიცდა.

ქართულად „მ“ თარგმნა ი. ევდოშვილმა (1903).

მარტივი ინტერვალები, ინტერვალები პრიმიდან ოქტავამდე, ე.ი. მოცულობით ოქტავისა; მათ ძირითად ინტერვალებს უწოდებენ. მ. ი-ს მიეკუთვნება: პრიმა, სეკუნდა, ტერცია, კვარტა, კვინტა, სექსტა, სეპტიმა, ოქტავა (წმინდა და შემცირებული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გადიდებული).

მარში (ფრანგ. marche, გერმ. marsch), წარმოადგენს მუს. ნაწარმოებს მკვეთრი, ენერგიული რიტმით, რომელიც ხელს უწყობს და ორგანიზებულს ხდის კოლექტიურ სვლას. მ. არსებობს: საზეიმო, სამხედრო-საამწყობრო, სპორტული, სამგლოვიარო და სხვ. მარში ძირითადად იწერება 2/4 ან 4/4 ზომაში, სამნაწილიანი ფორმით. პირველი ნაწილი არის დამთავრებული მუს. აზრი, რომელიც განსაზღვრავს მთელი ნაწარმოების ხასიათს, მეორე ნაწილში ჩნდება ახალი თემა, რომელსაც აქვს სხვა ხასიათი, ხოლო მესამე ნაწილი წარმოადგენს პირველი ნაწილის გამეორებას. საზეიმო გმირული მ-ის მაგალითია ჯ. ვერდის მ. ოპერიდან „აიდა“, მ-ის მუსიკა გადმოგვცემს მეომართა გამარჯვებულ სვლას. გამარჯვებით შინდაბრუნებულთა სიამაყეს, დამხვდურთა სიხარულს; სპორტული მ-ის მაგალითია მ. ბლანტერის „საფეხბურთო მარში“; სამგლოვიარო მარშისა – ფ. შოპენის „სამგლოვიარო მარში“ და სხვ.

მარჯანიშვილი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე [28. V. 1872, სოფ.



ყვარელი,–17. IV. 1933, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში], ქართველი რეჟისორი. საქ. სახ. არტისტი (1931). ქართული თეატრის რეფორმატორი. მ. მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ საოპერო ხელოვნებასთან. განათლება მიიღო თბ. პირველ გიმნაზიაში, სადაც ხშირად მონაწილეობდა სასკოლო წარმოდგენებში. 1897 გაემგზავრა რუსეთში. მსახიობობდა სხვადასხვა ქალაქში. 1904-იდან მოღვაწეობდა როგორც რეჟისორი ხარკოვის, კიევის, ოდესის დრამატულ დასებში(1906-09). 1910-13 მოსკოვის სამხატვრო თეატრში. 1913 დააარსა მოსკოვში „თავისუფალი თეატრი“, სადაც პირველად დადგა მ. მუსორგსკის კომიკური ოპერა „სოროჩინცის ბაზრობა“, აქვე დადგა ჟ. ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე“. 1920 მ-მა პეტროგრადში დააარსა კომიკური ოპერის თეატრი, სადაც საინტერესო დადგმები განახორციელა. 1922 მ. საქ-ში დაბრუნდა და საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ დრამატულ თეატრს.

1922 მ-მა რუსთაველის თეატრში დადგა სპექტაკლი ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, რომელიც ქართ. თეატრის განახლებას დაედო საფუძვლად. 1926-მდე სათავეში ედგა რუსთაველის თეატრს. 1924-28 მოღვაწეობდა ქართულ კინოში. 1928 ქუთაისში დააარსა დრამატული თეატრი მე-2 სახელმწ. თეატრის სახელწოდებით. ორი სეზონის შემდეგ (1928-30) თეატრი თბ-ში გადმოვიდა (გარდაცვალების შემდეგ, 1933 თეატრს მარჯანიშვილის სახელი ეწოდა).

თბ. საოპერო თეატრის სცენაზე დადგა: რ. ვაგნერის „ლოენგრინი“ (1924), დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1923), ზ. ფალიაშვილის „დაისი“ (1923, პრემიერა), ჯ. როსინის „ვილჰელმ ტელი“ (1931) და სხვ. ცხოვრების უკანასკნელ წლებში მოსკოვში დადგა შილერის „დონ კარლოსი“ (1933; მოსკ. მცირე თეატრი), ი. შტრაუსის ოპერეტა „ღამურა“ (1933, მოსკ. ოპერეტის თეატრი) და სხვ.

მასკანი (Mascagni) პიეტრო [7. XII. 1863, ლივორნო,–2. VIII. 1945, რომი], იტალიელი კომპოზიტორი. სწავლობდა მილანის კონს-ში. 1885-იდან იგი დირიჟორობდა ოპერისა და ოპერეტის თეატრებში, 1895-1902 პეზაროს მუს. ლიცეუმის დირექტორი იყო. მას საყოველთაო აღიარება მოუტანა ოპერა „სოფლის ღირსებამ“ (ჯ. ვერგას პიესის მიხედვით, 1890, თეატრი „კონსტანცი“, რომი), რომელმაც ლეონკავალოს „ჯამბაზებთან“ ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალ საოპერო მიმართულებას–ვერიზმს. იგი იდგმება მსოფლიოს მრავალ სცენაზე, ნაწყვეტები სრულდება კონცერტებზე. მ-ის ეკუთვნის კიდევ რამდენიმე ოპერა, ოპერეტები, საორკესტრო ნაწარმოებები, კინომუსიკა.

მასნე (Massenet) ჟიულ ემილ ფრედერიკ [12. V. 1842, მონტო სენტ-ეტიენის მახლობლად, –13.VIII. 1912, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი. 1863 დაამთ. პარიზის კონს. მ-მ კანტატისათვის „დავიდ რიციო“ რომის პრემია დაიმსახურა. 1864-65 სწავლობდა რომში, 1878-96 პარიზის კონს-ის პროფესორია. მ. ფრანგ. ლირ. ოპერისა და ფრანგ. რომანსის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. დაწერა 30-ზე მეტი

ოპერა. მათ შორის გამოირჩევა: „დონ სეზარ დე ბაზანი“ (1872), „სიდი“ (1885), „საფო“ (1897), „დონ კიხოტი“ (1910, მონტე-კარლო, მთავარ პარტიას მღეროდა თ. შალიაპინი). მ-ს საოპერო ხელოვნების მწვერვალია ოპერები „მანონი“ (1884) და „ვერთერი“ (1886), რომლებიც იდგმება მსოფლიოს საოპერო სცენებზე. ფართოდაა ცნობილი მისი „ელეგია“ ჩელოსათვის (არსებობს ვოკალური ვარიანტიც).

მაღლაფერიძე მარიცა გივის ასული [16.08.1948, ქუთაისი], ქართველი მომღერალი (სოპრანო). საქართველოს სახ. არტისტი (1989). 1974 დაამთ. თბ. კონს-ის ვოკალური განყოფილება (პედ. გ. ქართველიშვილი). 1985-86 სტაჟირება გაიარა მილანის „ლა სკალას“ აკადემიაში(პედ. ჯ. სიმიონატო). 1975-2010 თბ. საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტია. პარტიები: ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“); შუშანიკი (ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“); სილვანა (გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“; მიმი (პუჩინის „ბოჰემა“); დეზდემონა, ამელია (ვერდის „ოტელო“, „ბალ-მასკარადი“); ტატიანა, იოლანტა (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“) და სხვ.

მაყრული, ქორწინების წესთან დაკავშირებული ქართ. ხალხ. მრავალხმიანი (ორ. და სამხმიანი) მამაკაცთა სიმღერა. სრულდება როგორც საქორწილო სამზადისის, ისე ქორწილისა და საქორწილო მსვლელობის დროს. ამ უკანასკნელს ეწოდება „მგზავრული მაყრული“. მ. ქორწილის დაწყებისა და დასრულების მაუწყებელიცაა. სიმღერას ასრულებს მაყრებისაგან შემდგარი გუნდი. მ-თვის დამახასიათებელია მხნე, სიცოცხლით აღსავსე, მხიარული განწყობილება. სიმღერის მუსიკა კუპლეტური ფორმისაა, აგებულია მხნე ინტონაციებზე. მ-თვის დამახასიათებლია მკვეთრი რიტმი, ენერგიული ვაჟკაცური შესრულება. მ-ის პოეტური ტექსტები გვიხასიათებს საქორწილო ჩვეულებებს, გადმოგვცემს ნეფე-დედოფლისა და მათი მშობლების განცდებს, ხოტბას ასხამს დაქორწინებულებს და სხვ. მ-ის ტექსტები ჩაწერეს ვ. კოტეტიშვილმა, თ. რაზიკაშვილმა, ი. გვარამაძემ, ლ. გაჩეჩილაძემ და სხვ.

მაჩაიძე ნინო თამაზის ასული[8. III. 1983, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო). მ. 8 წლის ასაკიდან დაიწყო ვოკალური გაკვეთილების მიღება თბ. კონს-თან არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში (პედ. ჯულიეტა (დოდო) დიასამიძე). 2004 დაამთ. თბ. კონს. (თ. გუგუშვილის კლ.) მას აქვს უნიკალური სტილი, შესრულების ტექნიკა, ვოკალური დიაპაზონი, ძლიერი ხმა, საოცარი არტისტიზმი და სცენიურობა. პირველი სოლო კონცერტი გამართა 17 წლის ასაკში თბ.-ის კონს-ში. სტუდენტობის დროს გამოდიოდა როგორც კონს. საოპერო სტუდიაში ასევე თბ. საოპერო თეატრის სცენაზე, სადაც შეასრულა მრავალი პარტია. 2000 გახდა რესპუბლიკური ფესტივალის „მთენი 2000“-ის ლაურეატი, პირველი პრემია ვოკალისტთა შორის (თბილისი). 2003 მიიღო პირველია პრემია სრულიად რუსეთის XI სტუდენტურ კონკურსში „Bella

voce“ (მოსკოვი). 2005 გაემგზავრა იტალიაში, გაიარა კონკურსი და ჩაირიცხა „ლა სკალას“ აკადემიაში. სწავლის პერიოდში შედგა მისი დებიუტი „ლა სკალას“ სცენაზე, მოცარტის საიუბილეო საღამოზე, რომელმაც უდიდესი ტრიუმფით ჩაიარა. მიღწეულმა წარმატებებმა მას გაუხსნა გზა მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრებისაკენ.

მ. დიდი ხანია რაც „ლა სკალას“ თეატრის სცენაზე გამოდის, მაგრამ ნამდვილი ვარსკვლავის სტატუსი მოუტანა ზალცბურგში სიმღერამ. მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. გამოდიოდა ისეთ მომღერლებთან როგორიცაა: პლასიდო დომინგო, ხოსე კარერასი, რენატო ბუზონი, შალვა მუქერია და სხვ.

2012-2013 ესპანეთის საუკეთესო მომღერლად იქნა აღიარებული. ამჟამად ცხოვრობს მილანში.



მაჭავარიანი ალექსი დავითის ძე [10. IX. 1913, გორი, – 31. XII. 1995, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. სსრკ სახ. არტისტი (1958). 1936 დაამთ. თბ. კონს. (პ. რიაზანოვის საკომპ. კლ.). 1935-39 მუსკომედიის თეატრის მუს. განყ-ბის გამგე იყო, 1956-59 საქ. სიმფ. ორკესტრის სამხ. ხე-ლი, ხოლო 1962-68 საქ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე. 1939-იდან იგი თბ. კონს-ის პედაგოგია (1963-იდან პროფ.). მ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მგზნებარე ტემპერამენტი, ამაღლებული ლირიკა, არტისტიზმი. მის მუსიკაში ორიგინალურად აისახა ქართ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის ინტონაციები და რიტმები. მ-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: ოპერები–„დედა და შვილი“ (1945), „ჰამლეტი“ (1968); ბალეტები – „ოტელო“ (1957, თბ., ლენინგრადში 1960; ოდესაში 1961; კუიბიშევში 1962; ტოკიოში 1962; ჰელსინკიში 1974; ბუქარესტში 1976; ეკრანიზებულია 1961), „ვეფხისტყაოსანი“ (1974, დაიდგა ლენინგრადში 1985), ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“ (1954), 6 სიმფონია (1947-1990), საფ. (1944), ცნობილი სავიოლინო (1950) და ჩელოს (1992) კონცერტები; ვოკალურ-სიმფ. პოემა „გმირის სიკვდილზე“ (1948), ვოკალურ-სიმფ. ციკლი „ხუთი მონოლოგი“ ვაჟა-ფშაველას ლექსებზე (1968), სამი სიმებიანი კვარტეტი (1978-79), საფ. სონატა (1979), საფ. ციკლები „ქართული ფრესკები“ (1977), „პარიზული ჩანახატები“ (1979); საფ. („ხორუმი“, 1939) და სავიოლინო („დოლური“) პიესები, ბალადა-პოემა „არსენა“ (გუნდისა და სოლისტისათვის აკაპელა), რომანსები („ცისა ფერს“, „არ დაიდარდო, დედაო“, „სხივო მზეთამზის სახეო“ და სხვ); მუსიკა კფ-თვის („აკაკის აკვანი“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“), დრამ. თეატრებისათვის და სხვ.

სსრკ სახელმწ. (1951) და შ. რუსთაველის სახ. (1971) პრემიების ლაურეატია. მ. აღიარებულია ახალი ქართული მუსიკის კლასიკოსად.

ა. წულუკიძე



მაჭავარიანი ვახტანგ ალექსის ძე [18. II. 1951, თბილისი], ქართველი დირიჟორი. დაამთ. თბ. კონს. ორი განხრით, როგორც პიანისტმა (1973 პროფ. ე. გურევიჩის კლ.) და დირიჟორმა (1977 პროფ. ო. დიმიტრიადის კლ.). გაიარა სტაჟირება მოსკოვში გ. როჟდესტვენსკისთან, 1978-80, ვენაში კ. ოსტერრაიხერთან და ლ. მააზელთან (ვენის საოპერო თეატრში. ორივე -1982-83). 1984-91 ლენინგრადის საოპერო თეატრში დირიჟორობდა სარეპერტუარო სპექტაკლებს. აქ მოამზადა და დადგა

ა. მაჭავარიანის ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“ (1985), რომელიც შესრულდა აგრეთვე თეატრის გასტროლების დროს აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში, თბილისში. ბორდოს თეატრში დადგა მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“(1994), ედინბურგში ბარტოკის ოპერა „ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე“ და სტრავინსკის ოპერა „ოიდიპოს მეფე“(1990). გასტროლებს მართავს მრავალ ქვეყანაში. 1996-2004 საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი იყო.

გ. ტორაძე

მგოსანი, მუსიკოს–მომღერალი, მესაკრავე, პოეტი. მგოსნის შესახებ ყველაზე ადრინდელ ცნობებს XII ს. ქართულ ძეგლებში ვხვდებით. თამარის ისტორიკოსის ცნობით, მისი ქორწინებისას „იყო ზმა მგოსანთა“. მ-ები უმეტესად ვაჟები იყვნენ. მ-ის შემოქმედებაში მთავარი ადგილი სატრფიალო-ლირიკულ თემატიკას ეჭირა.

მდივანი მარინე ვიქტორის ასული [6. X. 1936, თბილისი], ქართველი პიანისტი, საქ. სახ. არტისტი (1976). დაამთ. თბ. ცენტრ. მუს. სკოლა (1955, ე. ჩერნიავსკაიას კლ.), მოსკოვის კონს. (1960). ი. მილშტეინისა და ე. გილელსის მოწაფეა (ე. გილელსთან გაიარა ასპირანტურაც, 1960-63). 1966-იდან მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია. გასტროლებს მართავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მისი შესრულება გამოირჩევა დინამიზმით, ტექნიკური სრულყოფილებითა და არტისტიზმით. ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალზე (1957) მოიპოვა ოქროს მედალი, ხოლო მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალზე მოსკოვში (1958)–ვერცხლის მედალი. მ-ს რეპერტუარი მოიცავს საზღვარგარეთის კლასიკური მუსიკის ნიმუშებს და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. იგი არის მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსისა (პარიზი, 1961, I პრემია) და ჩაიკოვსკის სახ. მოსკოვის საერთაშ. კონკურსის (1962, IV პრემია) ლაურეატი.

1991-იდან კანადაშია. ქ. მონრეალის მაკ-გილის უნ-ტის პროფესორია.

მდივანი ჯემალ მალხაზის ძე [26. III. 1945, ზესტაფონი, – 18. V. 2004, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბარიტონი), საქ. სახ. არტისტი (1985). ვოკალისტთა ზ. ფალიაშვილის სახ. (1972, თბ. I პრემია), ამიერკავკასიის მუსიკოს–შემსრულებელთა (1972, ბაქო, I პრემია) და ფ. ვინიასის სახ. (1977, ბარსელონა, II პრემია) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. ღირსების ორდენი კავალერი (1999). 1973 დაამთ. თბილ. კონს. (პროფ. დ. მჭედლიძის კლ.), იმავე წლიდან თბ. საოპერო თეატრის სოლისტია. შესრულებული აქვს მთავარი პარტიები მ.შ. მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ლევანი (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), გელა (რ. ლაღიძის „ლელა“), ონეგინი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), სკარპია (ჯ. პუჩინის „ტოსკა“), ფიგარო (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი"), რიგოლეტო, ოტელო, ჟერმონი, ამონასრო (ჯ. ვერდის „რიგოლეტო“, „ოტელო“, „ტრავიატა“, „აიდა“), ესკამილიო (ჟ. ბიზეს „კარმენი“) და სხვ. გამოირჩეოდა ძლიერი, ლამაზი ტემბრის ხმით, არტისტული ტემპერამენტით.

მედიანტა (<გვიანდ. ლათ. medians, ნათ. ბრ. mediantis შუაში მყოფი), მუსიკის თეორიაში გამის III და VI საფეხურის სახელწოდება, რომელთაც შუალედი ადგილი უკავიათ ტონიკასა და დომინანტას შორის.

მედიატორი (ლათ. mediator შუამავალი), რქის, ძვლის, ცელულოიდისა და მისთ. პატარა თხელი ფირფიტა, რომლითაც მანდოლინასა და ზოგ სხვა ინსტრუმენტზე უკრავენ; წკირა, პლექტრი.

მედიუმი (ლათ. medius-შუათანა), ქალის სასიმღერო ხმის შუა რეგისტრი.



მეგრელიძე ავქსენტი ვასილის ძე [1. I. 1877, სოფ. ხრიალეთი, ოზურგეთის რ-ნი,–12. XII. 1953, თბილისი], ქართველი ლოტბარი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1897-98 ხელმძღვანელობდა ქუთაისის სას. სემინარიის გუნდს. 1898-იდან ეწეოდა სალოტბარო და პედ. მოღვაწეობას. ჯერ დას. საქ-ში, შემდეგ კი–თბილისში. 1927 სუფსაში, 1933 თბ-ში დააარსა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რომელიც წარმატებით ასრულებდა მის მიერ დამუშავებულ ხალხ. სიმღერებს. მ-ის ხელმძღვანელობით ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქ. რადიოკომიტეტის ხალხ. გუნდი. მ-მ შეკრიბა და ჩაწერა მრავალი ქართ. ხალხ. (კერძოდ გურული) სიმღერა.

მეიერბერი (Meyerbeer) ჯაკომო (იაკობ ლიბმან ბეერი) [5. IX. 1791, ტასდორფი, ბერლინთან,–2. V. 1864, პარიზი], კომპოზიტორი. დაიბადა ებრაელი ბანკირის ოჯახში. მუს. განათლება მიიღო მ. კლემენტის (ფ-ნო), კ. ფ. ცელტერისა და ი.გ. ფოგლერის (თეორია, კომპოზიცია) ხელმძღვანელობით. 1816-24 გაატარა იტალიაში, ეუფლებოდა საოპერო ხელოვნ. სტილს, წერდა ოპერებს. 1842-იდან იყო მუსიკის გენერალური დირექტორი ბერლინში. 30-40-იან წლებში პარიზის თეატრისათვის დაწერა ოპერები „რობერტ ეშმაკი“ (1831, პარიზი), „წინასწარმეტყველი“ (1849), „აფრიკელი ქალი“ (1865) და სხვ. მ-ის შემოქმედების მწვერვალია ოპერა „ჰუგენოტები“ (1836, პარიზი); მისი საოპერო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სიუჟეტის ეფექტური განვითარება, გმირთა მკაფიო სახეები, მასობრივი სცენები, სანახაობითი და ფსიქოლოგიური კონტრასტები.

მ-ის შემოქმედებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა XIX ს. საოპერო ხელოვნებაზე. მ-ს ეკუთვნის აგრეთვე კანტატები, საორკესტრო ნაწარმოებები, საფ. პიესები, სიმღერები.

მელივა გურამ თომას ძე [08. XI. 1933, თბილისი-15.IV.2014, იქვე], ოპერის რეჟისორი, საქ. სახ. არტისტი (1990), ღირსების ორდენის კავალერი, „ხელოვნების ქურუმის“ წოდების მფლობელი. 1958 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს-ის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი; 1962 სანკტ-პეტერბურგის კონს. გაიარა უმაღლესი სტაჟირება საოპერო რეჟისურაში. 1967 იყო სტაჟიორი ბერლინის „კომიშე ოპერაში“ ვ. ფელზენშტაინის ხელმძღვანელობით. თავისი პირველი საოპერო

სპექტაკლი რ. გაბიჩვაძის ოპერა „ნანა“ მ-მ დადგა თბ. საოპერო თატრში (1957). 1969 ამავე თეატრში ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. 1972 ლოძის (პოლონეთი) საოპერო თეატრში ჯ. კახიძესთან ერთად მ-მ დადგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და ჯ. ვერდის „ტრავიატა“, 1975 კრაკოვის ოპერაში -მ. მუსორგსკის „სოროჩინცის ბაზრობა“. 1975-89 მ. იყო ვ. აბაშიძის სახ. მუს. თეატრის სამხ. ხე-ლი და მთ. რეჟისორი. 1977 მ-მ ლოძის დიდ საოპერო თეატრში დადგა ს. პროკოფიევის „ქორწინება მონასტერში“, 1980-81 აქვე -ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“და ჟ. ოფენბახის „ლურჯწვერა რაინდი“, 1982 კიევის საოპერო თეატრში ო. თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული“. 1994-95 ლოძის დიდ თეატრში მ-მ დადგა ა. ბოროდინის „თავადი იგორი“, ჯ. პუჩინის „ბოჰემა“ და ჯ. ვერდის „რიგოლეტო“.1997 თბ. საოპერო თეატრში - პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, 1999 აქვე გ. დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“ და სხვ.

მელიზმები (ბერძ., მხ. რ. melisma სიმღერა, მელოდია), მცირე მელოდიური მორთულობა, მუს. ორნამენტი.

მელიქ–ფაშაევი ალექსანდრე შამილის ძე [10. X. 1905, თბილისი,–18. VI. 1964, მოსკოვი], დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი (1951). დაამთ. ლენინგრადის კონს. (1930, ა. გაუკის მოწაფე), 1923-31 იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი,1931-იდან გარდაცვალებამდე სსრკ დიდი თეატრის დირიჟორი (1953-62 მთ. დირიჟორი). მ. თავისი დროის გამოჩენილი საოპერო დირიჟორია. მისი საუკეთესო დადგმებია: გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ და „ქოშები“, ვერდის „აიდა“, პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“, ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (1939). დირიჟორობდა სიმფ. მუსიკის მონუმენტურ ნაწარმოებებს. გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ. სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1942, 1943).

მელოდეკლამაცია (ბერძ. melos მელოს სიმღერა და ლათ. declamatio დეკლამაციო, დეკლამაცია), საესტრადო-საკონცერტო ჟანრი. ლექსის ან პროზაული ნაწარმოებების მხატვრული კითხვა მუსიკის თანხლებით. მ-ს ზოგჯერ იყენებდნენ ოპერებსა და დრამ. პიესებში. ზოგიერთი სცენური წარმოდგენა, რომელიც მხოლოდ მ-ითაა აგებული. XIX ს-იდან გაჩნდა მ-ის ახალი სახეობა, რომელშიც დეკლამაციის რიტმი სანოტო ნიშნებით აღინიშნება.

მელოდია (ბერძ. melodia–სიმღერა, ჰანგი), სხვადასხვა სიმაღლის ბგერათა მხატვრულად გააზრებული თანმიმდევრული რიგი, რომელიც ორგანიზებულია რიტმისა და კილოს მეშვეობით. მ. როგორც წესი, მუს. ნაწარმოების საფუძველია. უპირველეს ყოვლისა, მ-ში გამოიხატება მუსიკის მხატვრულ-ემოციური შინაარსი. ერთხმიან მუსიკაში მ. ქმნის დასრულებულ მუსიკალურ სახეს, გამოხატავს ნაწარმოების მუსიკალურ აზრს. მრავალხმიანი მუსიკა შეიცავს ერთდროულად მჟღერ რამდენიმე დამოუკიდებელ მელოდიურ ხმას (პოლიფონია) ან მელოდიებს ჰარმონიული თანხლებით (ჰომოფონია). მ. ძირითადად განსაზღვრავს ნაწარმოების ჰარმონიას, ფაქტურას, ხმათა სვლას. მ-ის ხასიათი შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს ამა თუ იმ ჰარმონიზაციით. მ. დაკავშირებულია მეტყველებასთან, ლექსთან, სხეულის მოძრაობასთან

(ცეკვა). მ-ის გამომსახველობა გარკვეულ ემოციურ ტონუსზეა დამოკიდებული; იგი მეტყველების მსგავსად ეყრდნობა ისეთ ხერხებს, როგორიცაა ბგერის სიმაღლე, რიტმი, ხმის სიძლიერე, ტემპი, ტემბრული ნიუანსები. მაგრამ მეტყველების ინტონაციისაგან განსხვავებით, იყენებს გარკვეული სიმაღლის საფეხურებრივად განლაგებულ ტონებს, მუს. ინტერვალებს. მელოდიის მეტრულ-რიტმული სტრუქტურა ლექსის მეტრულ-რიტმულ სტრუქტურას ენათესავება, ამავე დროს არსებითადაც განსხვავდება მისგან და წარმოადგენს სპეციფიკურ მუსიკალურ მოვლენას (იხ. რიტმი, მეტრი). მ-ში გაერთიანებულია ერთხმიანობისათვის დამახასიათებელი მუს. გამომსახველობის ყველა საშუალება: ბგერის სიმაღლებრივი (მელოდიური ხაზი, კილო), დროული (რიტმი, მეტრი, ტემპი), აგრეთვე ფონემური (ტემბრი, დინამიკა). მ-ის მნ. თვისებაა მღერადობა (იხ. კანტილენა), რაც განსაკუთრებით ვლინდება ვოკალურ მუსიკაში. მღერადობა საკრავიერი მუსიკის მ-საც ახასიათებს. მან შეითვისა ვოკალური მუსიკის მრავალი მ-ური ტიპი, ამავე, დროს სხვადასხვა საკრავის ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით მ-ის აგებისა და განვითარების დამოუკიდებელი ხერხებიც გამოიმუშავა. მ-ის ტიპი მკვეთრად განსაზღვრავს მუს. ნაწარმოების სტილსა და ჟანრს, მის ეროვნულ კოლორიტს. მ-ის უმდიდრესი საგანძურია ხალხ. მუს. შემოქმედება. მ-ის მრავალფეროვანი ფორმებია წარმოდგენილი ქართულ სასიმღერო ფოლკლორში. აქ ვხვდებით როგორც განვითარებული მუს. ხაზის მქონე სიმღერებს („ურმული“), ისე საკრავიერი ტიპის ტეხილ მ-ურ საქცევებს („ხასანბეგურა“).

მელოდიკა (ბერძ. melödikos–მელოდიური, მღერადი), 1. მოძღვრება მელოდიის შესახებ. 2. მელოდიური კანონზომიერებისა და სპეციალური ნიშნების ერთობლიობა, რომელიც თავს იჩენს მუს. შემოქმედების ამა თუ იმ დარგში, აგრეთვე ცალკეული კომპოზიტორის თუ მთელი საკომპოზიციო სკოლის კონკრეტულ მუსიკალურ ნაწარმოებებში.

მელოდრამა (ბერძ. melos სიმღერა და drama დრამა), 1. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც მონოლოგები და დიალოგები ენაცვლება მუსიკას ან ახლავს მას, ასეთი მელოდრამას ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ჟ. ჟ. რუსოს ლირ. სცენა „პიგმალიონი”(1762). 2. დრამატურგიის ჟანრი, პიესა, რომელშიც მოცემულია მწვავე ინტრიგა სიკეთისა და ბოროტების მკვეთრი დაპირისპირება, გადამეტებული ემოციურობა; წარმოიქმნა საფრანგეთში XVIII ს-ის ბოლოს და აყვავებას XIX ს-ის შუა პერიოდში მიაღწია.

მელომანია (ბერძ. melos სიმღერა და mania მისწრაფება), მუსიკის, სიმღერის დიდი მოყვარული.

მელოპეა (ბერძ. melopoiia, სიტყვასიტყვით-სიმღერის შექმნა), ძვ. საბერძნეთში მელოსის, მელოდიის შექმნა, პოეტური ტექსტის სასიმღეროდ გარდაქმნა. ძვ. საბერძნეთის მუს. თეორიაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მოძღვრებას მ-ს შესახებ. აღორძინების ეპოქიდან ტერმინი მ. დას. ევროპის ქვეყნებში კვლავ იხმარება. იგი აღნიშნავდა მეცნიერებას კომპოზიციაზე. XIX-XX სს-ში ტერმინი მ. იშვიათად იხმარება.

მელოსი (ბერძ. melos სიმღერა), ტერმინი, რომელიც ძვ. საბერძნეთში ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდან იხმარებოდა ჰანგის, მელოდიის აღსანიშნავად და, როგორც მუსიკის

დამოუკიდებელი მელოდიური საწყისი, უპირისპირდებოდა რიტმულ საწყისს.

მემუსიკე, ძველი ქართული თეატრის „სახიობის“ დასის პროფესიონალი შემსრულებელი (მუსიკოსი).

მემულამე, ძველ საქართველოში მომღერალი, მუსიკოს-იმპროვიზატორი.

მენაფირე, ჩასაბერ საკრავებზე შემსრულებელი მუსიკოსი (ძველი ქართული ტერმინი)

მენდელსონი, მენდელსონ-ბართოლდი (Mendelssohn-Bartholdy) იაკობ ლუდვიგ ფელიქს [3. II. 1809, ჰამბურგი, – 4. XI. 1847, ლაიფციგი], გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი, ორგანისტი, საზ. მოღვაწე. მ-მა მიიღო ფართო მუს. და საერთო განათლება. მეცადინეობდა კ.ფ. ცელტერის ხელმძღვანელობით. ურთიერთობა ჰქონდა ი.ვ. გოეთესთან. სწავლობდა ბერლინის უნ-ტში. ბევრს მოგზაურობდა ევრ. ქვეყნებში, გამოდიოდა როგორც პიანისტი, დირიჟორი და კომპოზიტორი. 1829 ბერლინში მ-ის ხელმძღვანელობით შესრულდა ი. ს. ბახის „მათეს ვნებანი“, რაც საფუძვლად დაედო ბახის ვოკალური მუსიკის აღორძინებას. 1835-იდან ხელმძღვანელობდა „გევანდჰაუზის“ კონცერტებს ლაიფციგში. 1843 მისი ინიციატივით ლაიფციგში გაიხსნა გერმანიაში პირველი კონს. სადაც კომპოზიციის კლასს თვითონ ხელმძღვანელობდა. მ. რომანტ. მიმდინარეობის გამოჩენილი წარმომადგენელია. რომანტ. სიმფონიზმის ერთ-ერთი შემქმნელი, რომლის მუსიკისათვის დამახასიათებელია სტილის სიცხადე, ელეგიური ტონი, მოხდენილი ფანტასტიკური სკერცოზულობა. მ. სხვადასხვა ჟანრის მუს. ნაწარმოების ავტორია. მ. შ. პროგრამული სიმფ. უვერტიურები: „ზაფხულის ღამის სიზმარი“ (1826), „მშვიდი ზღვა და ბედნიერი ნაოსნობა“ (1828), „ფინგალის მღვიმე“ (ანუ „ჰებრიდები“ მე-2 რედ., 1832). მ-ის 5 სიმფ-დან მნ-ია „იტალიური“ (1833), განსაკუთრებით კი „შოტლანდიური“, რომელიც კომპოზიტორმა ახალგაზრდობაში დაიწყო და მოგვიანებით (1842) დაამთავრა; მისი შედევრია განთქმული სავიოლინო კონცერტი (1844), აგრეთვე 2 კონცერტი ფ-ნოსათვის (1831, 1837), საფ. ნაწარმოებებიდან ცნობილია „სერიოზული ვარიაციები“ (1841) და განსაკუთრებით პოპულარული „უსიტყვო სიმღერები“ (8 რვეული, 1829-45), მაღალი მხატვ. ღირსებებით გამოირჩევა მუსიკა შექსპირის კომედიისათვის–„ზაფხულის ღამის სიზმარი“ – მ-ის შემოქმედების მწვერვალი (1842). 1874-77 ლაიფციგში გამოვიდა მ-ის თხზულებათა სრული კრებული (36 ტ.).

მენესტრელი (ფრანგ. menestrel), მოხეტიალე პოეტ-მუსიკოსი შუა საუკუნეებში საფრანგეთსა და ინგლისში.

მენზურული ნოტაცია, მუსიკალური ბგერის ჩაწერის სისტემა; იყენებდნენ XIII-XVI სს-ში. უფრო ადრინდელ ნოტაციისაგან განსხვავებით საშუალებას იძლეოდა ჩანიშნულიყო ბგერის სიმაღლეცა და სიხშირეც. მ. ნ-ის ნიშანთა სისტემა, სრულყოფილი სახით XVI-ს-ში შეიქმნა და თანამედროვე ნოტაციის საფუძველი გახდა.

მენოტი (Menotti) ჯან კარლო [7. VII. 1911, კადელიანო, იტალია,–2.II. 2007, მონაკო], ამერიკელი კომპოზიტორი. ეროვნებით იტალიელი. 1928-იდან მ. ცხოვრობდა აშშ-ში, 1974-იდან შოტლანდიაში. სწავლობდა მილანის კონს-ში (1923-27) და კერტისის მუს. ინ-ტში, ფილადელფიაში (1927-33), აქვე 1941-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. მ-ის შემოქმედება სტილისტურად ახლოსაა ვერიზმთან, მისი ოპერებისათვის დამახასიათებელია დრამატიზმი და იუმორი. მ-ის საუკეთესო ოპერებია: „მედიუმი“ (1946, ნიუ-ორკი), „ტელეფონი“ (1947), „კონსული“ (1950). სხვა ნაწარმოებებიდან მნ-ია სიმფ. პოემა „აპოკალიფსისი“ (1951), კონცერტები, კამერული ანსამბლები და სხვ.

მენუეტი (ფრანგ. menuet<menu–პატარა), ფრანგული ცეკვა. საფუძვლად უდევს პუატუს პროვინციის ხალხური ცეკვა. XVII ს. II ნახევრიდან მ. სასახლის ცეკვა გახდა, შემდეგ მ. მთელ ევროპაში გავრცელდა როგორც სამეჯლისო ცეკვა, მ. სრულდებოდა ნელი ტემპით, მუს. ზომა 3/4. XVIII ს-ში ცეკვამ სახე შეიცვალა, ტემპი აჩქარდა, მოძრაობები გართულდა და დაიხვეწა. XVIII ს-ში გამოჩნდა საოპერო და საბალეტო სცენაზე. ბეთჰოვენამდე მ. იყო სიმფ. შემადგენელი ნაწილი (მე-3), შემდეგ იგი სკერცომ შეცვალა. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში იშვიათად გვხვდება (კ. დებიუსი, მ. რაველი, გ. ფორე, პ. ჩაიკოვსკი, ს. პროკოფიევი და სხვ.).

მენუჰინი (Menuhin) იეჰუდი [22. IV. 1916, ნიუ-იორკი, – 12. III. 1999, ბერლინი], XX ს-ის ამერიკელი მევიოლინე. ლ. პერსინგერის, ა. ბუშისა და ჯ. ენესკუს მოწაფე. ერთ-ერთი უდიდესი მევიოლინე. 7 წლის ასაკიდან კონცერტებს მართავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. გამოდიოდა როგორც დირიჟორი. 1963-იდან ცხოვრობდა ინგლისში. 1964 ინგლისში ქ. სტოუკ-დ`აბერნონში დააარსა სპეც. მუს. სკოლა. მ. 1969-75 იყო იუნესკოს „საერთაშ. მუს. საბჭოს“ პრეზიდენტი (1969-1975). გამოდიოდა თავის დასთან, პიანისტ ჰეფციბა მ–თან (20. V. 1920, სან-ფრანცისკო) ერთად.

მ-ის საშემსრულებლო სტილი გამოირჩევა ნათელი ინტერპრეტაციით, ვირტუოზობით, ბგერის მღერადობით, უმაღლესი გემოვნებით. მ. ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, ბარტოკის და სხვ. ნაწ-ის უბადლო შემსრულებელია.

მეოთხედტონიანი სისტემა, ხელოვნური ბგერითი სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ოქტავის დაყოფა 24 მეოთხედტონიან ინტერვალებად (ნაცვლად ჩვეულებრივი 12 ნახევარტონიანი სისტემისა). მ.ს. მუს. თეორიასა და შემოქმედებაში გავრცელდა 1910 -იან წლებში. შეიქმნა სპეციალური მეოთხედტონური როიალები. მ. ს-ის ყველაზე ცნობილი მიმდევარია ჩეხი კომპოზიტორი ა. ხაბა.

მესა (ფრანგ. messe<გვიანდ. ლათ. missa), სასულიერო ტექსტზე დაწერილი მრავალნაწილიანი ნაწარმოები გუნდისათვის, ინსტრუმ. თანხლებით ან მის გარეშე, ზოგჯერ სოლისტი მომღერლების მონაწილეობით. მ. დაწერილია ლათინურ ენაზე, სრულდება კათოლიკურ წირვაზე. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: „კირიე“(„უფალო შეგვიწყალე“), „გლორია“ („დიდება“), „კრედო“ („მრწამს“), „სანკტუს“ („წმიდა არს“), „ბენედიქტუს“ („კურთხეულ არს“), „აგნუს დეი“ („ღვთის კრავი“). თავდაპირველად მ-ის საგალობლები ერთხმიანი იყო,

მათ საფუძველს გრიგოლისეული ქორალი წარმოადგენდა. მრავალხმიანობის განვითარებასთან ერთად ზოგიერთმა კომპოზიტორმა პოლიფონიურად დაამუშავა მესის საგალობლები. აღორძინების ეპოქაში მ. მუს. ხელოვნ. ყველაზე მონუმ. ჟანრი იყო. ჩვენამდე მოღწეული პირველი მესის ავტორია გ. დე მაშო (1364). მ-ის კლასიკური ნიმუშები შექმნეს ბახმა, მოცარტმა, ბეთჰოვენმა, შუბერტმა, ლისტმა, ბრუკნერმა და სხვ. (სამგლოვიარო მ. იხ. რეკვიემი).

მესაბანჯრე, მესაზანდრე აღმოსავლური ორკესტრის საკრავებზე შემსრულებელი მუსიკოსების ქართული სახელწოდება.

მესიანი (Messiaen) ოლივიე ეჟენ [10. XII. 1908, ავინიონი,–27. IV. 1992, პარიზი, კლიში], ფრანგი კომპოზიტორი, ორგანისტი, პედაგოგი. 1930 დაამთ. პარიზის კონს. 1931-იდან იყო პარიზის წმ. სამების (ლა ტრინიტე) ტაძრის ორგანისტი. 1936 დააარსა შემოქმედებითი გაერთიანება „ახალგაზრდა საფრანგეთი“ (ა. ჟოლივესთან, დ. ლესიურსა და ი. ბოდრიესთან ერთად). 1940-41 ომის წლებში სამხედრო ტყვეთა ბანაკში იყო (აქ შეიქმნა და შესრულდა მისი „კვარტეტი სამყაროს აღსასრულზე“). 1942-იდან პარიზის კონს-ის პროფესორია. მოწაფეები: პ. ბულეზი, კ. შტოკჰაუზენი, ი. ქსენაკისი და სხვ. მ-ის ნაწარმოებები ხშირად რელიგ. ხასიათისაა: „შობა“ (1935), სიმფონია „ტურანგალილა“ (1948), სიმფ. პიესა „ამაღლება“ (1934), მონუმენტური ოპერა – „წმ. ფრანცისკ ასიზელი“ (1983) და სხვ.

მ-ის შემ-ით ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინეს თეოლოგიურმა და პანთეისტურმა იდეებმა. გატაცებული იყო ძვ. აღმოსავლეთის კულტურით, ჩიტების გალობის შესწავლით, რასაც რამდენიმე ნაწ. უძღვნა. („ჩიტების კატალოგი“ ფ-ნოსათვის 1958, „ეგზოტიკური ფრინველები“ – ინსტრუმ. ანსამბლისათვის, 1956).

მ. იყენებს მის მიერ შექმნილ რთულ კილოურ სტრუქტურებსა და რიტმულ სისტემებს. მისი შემ. XX ს. მუსიკის მნ. მოვლენაა. გამოდიოდა როგორც პიანისტი და ორგანისტი.

მესტვირე, გუდასტვირზე შემსრულებელი მომღერალი, მელექსე. საწესჩვეულებო დღესასწაულისა და სახალხო სანახაობათა ერთ-ერთი პოპულარული მონაწილე. მ-ული ტრადიცია სათავეს იღებს ქართლიდან. პირველი ცნობა მ-ის შესახებ განეკუთვნება IX ს. შემდეგ მ-ობა გავრცელდა საქ. სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით რაჭაში. მ-ის რეპერტუარში შედის საგმირო-საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სამიჯნურო ლექსები, რელიგიური სიუჟეტები, ექსპრომტები შაირის სახით. გუდასტვირს ვხვდებით რაჭაში, მესხეთში, ფშავსა და აჭარაში, ჭიბონის ანუ ჭიმონის სახით.

მეტრი (ბერძ. metron - ზომა), მუსიკალური რიტმის ორგანიზაციის სისტემა. მის ძირითად ერთეულს თანამედროვე მუსიკაში წარმოადგენს ტაქტი. მუსიკის განვითარების ადრინდელ ეტაპზე. მ. უშუალოდ იყო დაკავშირებული სიმღერის ტექსტთან, პოეტურ მეტრთან, ამიტომ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ბგერების ხანგრძლივობის სპეციალური აღნიშვნა. შუა ს-ში გაჩნდა გრიგოლისეული ქორალი, რომელშიც რიტმულად ერთფეროვანი მელოდია არ იყო შეზღუდული გარკვეული მ-ული ჩარჩოებით. ტრუბადურებისა და ტრუვერების შემოქმედებაში კვლავ ჩნდება მუს. მ. და ზომა, რომელიც XII ს-ში დამკვიდრდა

საეკლესიო მუსიკაშიც (ჩამოყალიბდა მენზურალური ნოტაცია, თანამედროვე მუს. ნოტაციის უშუალო წინაპარი). XIV ს-იდან მუს. ზომის ერთეულებია მენზურა და ტაქტი. XVII ს-ში ტაქტის ცნება საბოლოოდ ჩამოყალიბდა, XIX ს-ში კი იგი, როგორც ტერმინი, შევიდა მუს. თეორიაში. ტაქტში შემავალი ერთეულები იყოფა ძლიერად და სუსტად. მეტრული ზომა ტაქტში შეიძლება იყოს მარტივი (2 და 3 წილადი), რთული (4 და 6 წილადი), შერეული (5 და 7 წილადი). მეტრული ზომა გამოიხატება შეფარდების სახით (6/8, 5/4) ან სპეციალურად მიღებული აღნიშვნით (C და Φ). ზოგჯერ მუს. ნაწარმოებში აქცენტი ზუსტად არ ემთხვევა ტაქტის მ-რულ აქცენტს, რომელიც ქმნის სინკოპებს. მუს. ნაწარმოების შესრულებისას ერთი და იმავე ზომის მქონე ტაქტები შეიძლება ძალზე განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან გრძლიობით (სპეც. აღნიშვნები და ა.შ.). თანამედროვე მუსიკაში მ. ხშირად ცვალებადია, ზოგჯერ კი ტაქტობრივი დაყოფა საერთოდ უარყოფილია („მეტრის გარეშე") თავისებურ მოვლენას წარმოადგენს პოლიმეტრია.

ქართულ ხალხურ მუს-ში ვხვდებით მ-ის განსხვავებულ ფორმებს: აღმ. საქ. მთის ზოგიერთ დიალექტში (განსაკუთრებით ხევსურეთში). მუს. მ. დამოკიდებულია პოეტურ მ-ზე; ქართლ-კახურ სუფრულ და ერთხმიან შრომის სიმღერებში გამოიყენება თავისუფალი რიტმული საწყისი მ-ული დაყოფის გარეშე; მეტრულ-რიტმული ორგანიზებულობა ახასიათებს დას. საქ. ხალხ. სიმღერებსა და აღმ. საქ. გარკვეული ჟანრის სიმღერებს (ფერხულს, მგზავრულს). მეტად თავისებურ მოვლენას–რეალურ პაუზას ტაქტებს შორის, რომლის გრძლიობა არაა ზომით გათვალისწინებული („ხალხ. პაუზა"), ვხვდებით ქალთა სოლო სიმღერებში. მთელი რიგი ქართ. ხალხ. სიმღერისათვის დამახასიათებელია სინკოპები, დას. საქ. პოლიფონიური სიმღერებისათვის კი იგი ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორია პოლიფონიური კონტრასტულობის მისაღწევად.

ს. ჟორდანია

მეტრონომი (ბერძ. metron ზომა და nomos კანონი), მუსიკალური ნაწარმოების ტემპის გასაზომი ხელსაწყო. მ-ის ტიპის ხელსაწყოების შექმნა დაიწყო XVII ს-ში. თანამედროვე მ. გააუმჯობესა ავსტრიელმა ოსტატმა ი. მელცელმა (1816). აქვს პირამიდის ფორმის ხის კორპუსი, რომელზეც არის დანაყოფებიანი ხის სკალა, საათის ხრახნილი მექანიზმი და ქანქარა, პატარა მოძრავი ტვირთით.

მელცელის მ-ით ტემპი ნოტებში პირობითად აღინიშნება MM-ით (ნაწარმოების დასაწყისში ან შუაში).

მეტროპოლიტენ-ოპერა, აშშ-ის წამყვანი საოპერო თეატრი. გაიხსნა 1883 ნიუ-იორკში. შენობა აგებული იყო არქიტექტორ ჯ. ა. კეიდის პროექტით. მაყურებელთა დარბაზი 3625 კაცს იტევდა. თეატრის გუნდი, ორკესტრი და დამხმარე კოლექტივები სტაბილურია. სოლისტებს და დირიჟორებს იწვევენ მთელი სეზონით ან ცალკეული სპექტაკლისათვის (კონტრაქტებით). რეპერტუარშია მსოფლიოს

კლასიკა.

მ-ის სცენაზე გამოდიოდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლები: ს. არნოლდსონი, ე. კარუზო, თ. შალიაპინი, ე. დესტინოვა, ლ. ბორი, ბ. ჯილი, ა. გალი-კურჩი, ტ. რუფო და სხვ. 50-იან წლებში მ. დელ-მონაკო, ბ. ნილსონი, ლ. პრაისი, ტ. გობი, ბ. ხრისტოვი, რ. სკოტო, ჯ. საზერლენდი, რ. ტებალდი, ნ. გიაუროვი და სხვ. სპექტაკლებს დგამდნენ ცნობილი დირიჟორები; ფ. მოტლი, გ. მალერი, ა. ტოსკანინი, დ. მიტროპულოსი, კ. ბემი, ლ. სტოკოვსკი, ლ. ბერნსტაინი, ზ. მეტა, ჰ. კარაიანი და სხვ. 1966 თეატრი გადავიდა ახალ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ შენობაში–„ლინკოლნ-ცენტრში“, მაყურებელთა დარბაზი (3800 კაცზე) გამოირჩევა საუკეთესო აკუსტიკით. მ-ის სპექტაკლებში მონაწილეობდნენ მ. ქასრაშვილი, პ. ბურჭულაძე, გ. გაგნიძე, ა. რაჭველიშვილი, ნ. მაჩაიძე და სხვ.

მექანიკური სამუსიკო საკრავები, რომელთაც აქვთ ტექნიკური აღჭურვილობა დისკზე ჩაწერილი ნაწარმოების შესასრულებლად მუსიკოსის უშუალო მონაწილეობის გარეშე. არსებობს სხვადასხვა კონსტრუქციისა და ფორმის მ. ს. ს. მცირე ზომის მუს. ყუთიდან რთული მოწყობილობის საათ-კარადასა და „გახმოვანებულ“ ეტლებამდე. პირველი მ.ს.ს. შექმნა ლეონარდო და ვინჩიმ XV ს-ის ბოლოს. ეს საკრავები განსაკუთრებით გავრცელდა XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში. მ. ს. ს-ის მრავალი სახეობიდან განსაკუთრებით პოპულარული გახდა „შარმანკა“ (იხ. არღანი). მ. ს. ს. შეცვალა გრამოფონმა და რადიომაგნიტოფონმა.

მეცო–პიანო (იტალ. mezzo piano<mezzo საშუალო და piano ჩუმი, წყნარი, შემოკლ. mp), მუსიკალური ბგერის ზომიერად წყნარი ჟღერადობის აღმნიშვნელი ტერმინი.

მეცო–სოპრანო (იტალ. mezzo soprano), 1. ქალის ხმა სოპრანოსა და კონტრალტოს შორის. 2. ამ ხმის მქონე მომღერალი. დიაპაზონი–მცირე ოქტავის ლა, სი ბემოლიდან მე-2 ოქტავის ლა, სი ბემოლამდე. მ-თვის დაწერილი საოპერო პარტიებია: კარმენი (ბიზეს „კარმენი“), ამნერისი (ვერდის „აიდა“), ლიუბაშა (რიმსკი–კირსაკოვის „მეფის საცოლე“), დარეჯანი (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“) და სხვ.

მეცო–ფორტე (იტალ. mezzo forte<mezzo საშუალო და forte ძლიერი), (შემოკლებით mf), ზომიერად ძლიერი მუსიკალური ჟღერადობა.

მზე შინა, ძეობის რიტუალთან დაკავშირებული წარმართობის დროინდელი ქართული ხალხური ორხმიანი სიმღერა, აგრეთვე საწესო ფერხული („სამაიას” ნაირსახეობა). სიმღერას გაბმული ბანის ფონზე მონაცვლეობით ასრულებდა 2 ქალი. ამას მოსდევდა ღამისთევა გართობა- თამაშით. მესამე დღეს ბავშვის დედას ტახტრევანზე დააწვენდნენ. იწყებოდა მილოცვები სიმღერით. სიმღერითვე მიმართავდნენ მზეს. „მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდიო...“ ცეკვავდნენ ფერხულს ამ სიმღერის ფონზე. სასიმღერო რიტმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (გურული 6/8, მეგრული 2/4), ცეკვა ნარნარი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ძეობის რიტუალი ორ კვირას გრძელდება.

„მზიური", მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლესთან არსებული ბავშვთა ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი. ჩამოყალიბდა 1971 (ხე-ლი რ. კაზარიანი, გ. ჯაიანი). ანსამბლმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ფართო საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში და საზღვარგარეთ. დადგმული აქვს მუს. სპექტაკლები– „ბურატინო" (მუსიკა ა. რიბნიკოვისა) და „სათაგური"(კომპოზიტორი ვ. დურგლიშვილი), გამოცემული აქვს ფირფიტები, გადაღებულია ფილმი „მზიური" (რეჟ. ზ. კაკაბაძე). ანსამბლში აღიზარდნენ შემდგომში ცნობილი მომღერლები: თ. გვერდწითელი, თ. ჭოხონელიძე, მ. ჯაბუა, მ. კახიანი და სხვ. დაიშალა 1981.

მთავარი სამხმოვანებები. მაჟორსა და მინორში I,IV, V საფეხურებზე აგებული სამხმოვანებები. მ. ს. დომინანტსეპტაკორდთან და კადანსურ კვარტსექსტაკორდთან ერთად წარმოადგენენ ძირითად ჰარმონიულ საშუალებებს კილოების მაჟორულ-მინორულ სისტემაში.

მთავარი საფეხურები. პირველი, მეოთხე და მეხუთე (I, IV, V) საფეხური (ე.ი. ტონიკა და მისგან კვინტით ქვემოთ და ზემოთ მდებარე სუბდომინანტა და დომინანტა) მაჟორსა და მინორში. მთავარ საფეხურებზე აგებული აკორდები უმნიშვნელოვანესია კილოების მაჟორულ-მინორულ სისტემაში.

მთავარი ტონალობა 1. ტონალობა, რომელშიც ჟღერს და როგორც წესი, მთავრდება რომელიმე პიესა. თუ პიესის მ. ტ. მინორულია, მაშინ პიესა შეიძლება დამთავრდეს ერთსახელიან (იმავე ტონიკის მქონე) მაჟორში.

2. ტონალობა, რომლიდანაც ხდება გადახრა, ე.ი. დროებითი გადასვლა სხვა (დამხმარე) ტონალობაში.

მთიბლური, ქართული ხალხ. შრომის ლექს-სიმღერა. სრულდება თიბვის დროს. გავრცელებულია აღმ. საქ-ში. თუშურ-ფშაურ-ხევსურული ერთხმიანია, ქართლური და კახური–სამხმიანი. სიმღერის მოტივს გვრინს უწოდებენ. მ-ის ცხრამარცვლიანი ტაეპი 2 მუხლისაგან (5-4) შედგება. ეს საზომი დამახასიათებელია უძველეს წარმართულ ხუცობა-ქადაგებათა და ხმითნატირალთა ტექსტებისათვის, ამიტომ მ-ის წარმოშობაც წინაქრისტიანულ ხანას მიეწერება. მ. პირველად დ. არაყიშვილმა ჩაიწერა ხევსურეთში და გამოაქვეყნა კრებულში „გრუზინსკოე ნაროდნოე მუზიკალნოე ტვორჩესტვო" (1916).

დ. გოგოჭური, გ. ჩხიკვაძე

მთქმელი, მუს. ფოლკლორში სიმღერის დამწყებს უწოდებენ. ტერმინი პირველად იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" და მისსავე „მუსიკის მოკლე სახელმძღვანელოში" არის დამოწმებული. ავტორს მთქმელი შუა ხმად ჰყავს მიჩნეული.

მი (იტალ. mi), ერთ-ერთი მუს. ბგერა. ძირითადი (დო-მაჟორული) დიატონური ბგერათრიგის მესამე საფეხური. მისი ანბანური აღმნიშვნელია ლათ. E.

მიასკოვსკი ნიკოლოზ იაკობის ძე [8. IV. 1881, ნოვოგეორგიევსკი, ახლანდ, მოდლინი, პოლონეთი, – 8. VIII. 1950, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი. სსრკ სახ. არტისტი(1946),



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. 1911 დაამთ. პეტერბურგის კონს. (კომპ. კლ.). 1921-იდან იგი იყო მოსკ. კონს-ის პროფ. (მოწაფეები: ვ. შებალინი, ა. ხაჩატურიანი, დ. კაბალევსკი). მ-ის დაწერილი აქვს 27 სიმფონია. 13 სიმებიანი კვარტეტი, სავიოლინო და სავიოლონჩელო კონცერტები ორკესტრის თანხლებით, საფ.(9) და სავიოლონჩელო (2) სონატები, ვოკალური ნაწარმოებები, რომანსების ციკლი და სხვ.



მიზანდარი ალოიზ იოსების ძე [1. IX. 1838, გორი,–1. VI. 1912, თბილისი], ქართველი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი. ქართული საფ. სკოლის ფუძემდებელი. ლ. იანიშევსკის მოწაფე (თბილისი). 1855-63 სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტის აღმ. ენების ფაკულტეტზე, გამოდიოდა უნ-ტის სიმფ. ორკესტრთან ერთად. მ. ბალაკირევსა და ა. რუბინშტეინთან ახლო ურთიერთობამ გავლენა მოახდინა მ-ის შემდგომ მოღვაწეობაზე. 1883 პეტერბურგში გამოიცა მ-ის რომანსი „ჩვენ დავშორდით". ეს იყო რუსეთში ქართ. მუს. ნაწარმოების გამოქვეყნების პირველი შემთხვევა. 1865-67 მ. ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ–ვენაში, სადაც მართავდა კონცერტებს. 1874 ხ. სავანელსა და კ. ალიხანოვთან ერთად თბილისში დააარსა პირველი სამუსიკო სკოლა, რომელიც 1886 გარდაიქმნა სამუსიკო სასწავლებლად. მ. გამოჩენილი პედაგოგი იყო. მისი მოწაფე იყო ა. თულაშვილი და სხვ. მის ნაწარმოებებს შორის საყურადღებოა „ორი პატარა ვალსი", „აღმოსავლური მელოდია და ლეკური", „მაზურკა-ფანტაზია", მაზურკა „მოგონება აბასთუმანზე" და სხვ.

მიიო (Milhaud) დარიუს [4. IX. 1892, ექს-ან-პროვანსი,–22. VI. 1974, ჟენევა], XX ს-ის თვალსაჩინო ფრანგი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. საფრ. ინ-ტის წევრი (1955), შემ-თი ჯგუფის „ექვსეულის" წევრი. 1940-44 ცხოვრობდა აშშ-ში. 1945-იდან პარიზის კონს-ის პროფესორია. მისი ნაწარმოებები: ოპერები–„ბოლივარი" (1943) „ორფევსის უბედურებანი" (1924), „საწყალი მეზღვაური"(1926), „ფიესტა" (1958), ბალეტები („ხარი სახურავზე" 1920 და სხვ.), 12 სიმფონია, 18 სიმებიანი კვარტეტი, „ბრაზილიური ცეკვები" და სხვ. მ-ს მუსიკაში შეთავსებულია გამომსახველ ხერხთა სიახლე და ფოლკლორული საფუძვლები.

მილორავა შოთა ერმილეს ძე [22. I. 1925, თბილისი, – 16. IV. 1990, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1979). 1947 დაამთ. თბ. კონს. (ხე-ლი პროფ. ა. ბალანჩივაძე), ამავე წლიდან მუშაობდა სახელმწ. საგუნდო კაპელის კონცერტმაისტერად, 1952-იდან პედაგოგ-ქორმაისტერად. კონს-ის პედაგოგად (1977, დოცენტი). მ-ს შემოქმედებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ოპერეტას. მისი 26 ოპერეტიდან აღსანიშნავია „სასიძოები" (1952), „საყვარელი დისწული" (1955), „სიმღერა თბილისზე" (1958), „მხოლოდ შენ ერთს" (1961), „სამი ბატონის მსახური" (1962) და სხვ. მასვე ეკუთვნის ი. დუნაევსკის

ოპერეტის „ოქროს ველის“ მუს. რედაქცია, რომელიც „გაბზარული ფირფიტის“ სახელწოდებით დაიდგა თბ. მუსკომედიის თეატრში (1970). მ. მრავალი საგუნდო და საესტრადო სიმღერის ავტორია. რომელთაგანაც აღსანიშნავია: „საფესტივალო“, „მეჩაიეთა სიმღერა“, „სიმღერა საქართველოზე“, „სიმღერა მასწავლებელზე“, „კოლხეთის ტურფა ქალები“, „სიმღერა რუსთაველზე“, „საქართველოვ– იდღეგრძელე“, „ჩიორა“, „ვინც ამ გოგოს გააცინებს“ და სხვ.

მინეზინგერი (გერმ. minnesinger<minne–მიჯნურობა და singer მომღერალი), შუა საუკუნეებში გერმანიაში პოეტ-მომღერალი, რომელიც სიყვარულსა და რაინდობას უმღეროდა.

მინიატიურა (იტალ. miniatura), პატარა მუსიკალური ნაწარმოები.

მინკუსი (Minkus) ლუდვიგ თეოდორეს ძე (ნამდვ. სახელი ალოიზ ლუდვიგი) [23. III. 1826, ვენა,–7. VI. 1907, იქვე], მევიოლინე და კომპოზიტორი. ეროვნებით ჩეხი (ზოგიერთი ცნობით–პოლონელი), 50-იანი წწ. დასაწყისიდან 80-იანი წწ. ბოლომდე ცხოვრობდა რუსეთში. 1866-72 მოსკ. კონს-ის პედაგოგი. 1872-86 მოღვაწეობდა პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების დირექციაში. 1890 შემდეგ ცხოვრობდა ვენაში. პირველი წარმატება მოუტანა ბალეტმა „ნაკადულმა“ (1866, ლ. დელიბთან ერთად). 1869 მოსკ. დიდ თეატრში შედგა მ-ის ბალეტ „დონ კიხოტის“ (სცენარის ავტორი და ბალეტმაისტერი მ. პეტიპა) პრემიერა. სხვა ბალეტებია: „პახიტა“ (1864), „ფიამეტა, ანუ სიყვარულის დღესასწაული“ (1864), „ბაიადერა“ (1877) და სხვ.

მინორი (იტალ. minore<ლათ. minor პატარა), რბილი, დუნე წყობა; კილო, რომელსაც საფუძვლად უდევს მცირე (მინორული) სამხმოვანება და ამ სამხმოვანების კილოური გადახრა. მ. ხასიათდება მაჟორის საპირისპირო, მუქი, სევდიანი ხმოვანებით. მინორისა და მაჟორის კონტრასტი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ესთეტიკურ კონტრასტს მუსიკაში.

მირიანაშვილი ალექსანდრე (სანდრო) პეტრეს ძე [12 (25). IX. 1915, სიღნაღი,– 30.I.1987, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1966). 1934-45 (დროგამოშვებით) სწავლობდა თბილისის (ი. ტუსკიას საკომპ. კლ.), მოსკოვის (გ. ლიტინსკისა და ნ. მიასკოვსკის საკომპ. კლ.) და ლენინგრადის (ხ. კუშნარიოვის საკომპ. კლ.) კონს-ში. ხელმძღვანელობდა საგუნდო ანსამბლებს ლენინგრადსა და თბილისში. მ. მრავალი სიმღერისა და რომანსის ავტორია. დაწერილი აქვს საბავშვო ოპერა „რუხი მგელი“ (1945), კრებული „ორმოცდაათი საფ. პიესა ბავშვებისათვის“, მუსიკა დრამ. თეატრის სპექტაკლებისათვის. სიმღერებიდან და რომანსებიდან აღსანიშნავია „შევიშრობ ცრემლსა“, „საყვარელ ქუჩაზე“, „მერი“, „გაფრენა და გამარჯვება“, „დავდივარ ღამე ბნელადა“, „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ“, „ნანა“ და სხვ.

მირცხულავა დიდიმ ლავრენტის ძე [2. VIII. 1912, ქუთაისი,–29. XI. 1997, თბილისი], ქართველი დირიჟორი. საქ. სახ. არტისტი (1958). 1937 დაამთ. თბ. კონს. (ე. მიქელაძის

კლ.); 1936-38 მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში სამუსიკო ნაწილის გამგედ და დირიჟორად. 1937-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორია, 1951-იდან კი თბ. კონს-ის პედაგოგი (1968-იდან პროფ.). სსრკ სახელმწ. პრემიისა (1951) და ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის (1986) ლაურეატი.

განსაკუთრებული წარმატებები ჰქონდა ზ. ფალიაშვილის ოპერების „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ (ჩაატარა 2000-მდე სპექტაკლი), თეატრის თითქმის მთელი საბალეტო რეპერტუარის, მთელი რიგი სხვა ოპერების დირიჟორობისას. არაერთი სპექტაკლი აქვს დადგმული კონს-ის საოპერო სტუდიის სცენაზე. მ-ას საშემსრულებლო და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი გაავლო ქართულ მუს. ხელოვნებაში.

მისამღერი - თითოეული სტროფის შემდეგ ერთი და იმავე სიტყვიერი ტექსტის უცვლელად გამეორებული სიმღერის ნაწილი.

მიუზიკლი (ინგ. musical), მუსიკალური-სასცენო ნაწარმოები (უმთავრესად კომედიური ხასიათისა), რომელშიც გამოყენებულია ესტრადის, საბალეტო მუსიკის, ქორეოგრაფიისა და საოპერო ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებები. მ. როგორც სასცენო ხელოვნების ჟანრი, ჩამოყალიბდა XIX ს. დასასრულს აშშ-ში. 1866 აქ დაიდგა ბიკნელის პიესა „შავი ქურდი“, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა მელოდრამა, სიმღერა და ე. წ. „შოუ გიორლსი“. XX ს. დასაწყისში ზანგმა მსახიობებმა ბ. იულიამზმა და დ. უოკერმა ნიუ-იორკში დადგეს რამდენიმე მ. (კომპ. უ. კ. კუკი). მოგვიანებით შეიქმნა საუკეთესო მ-ები: კერონის „მცურავი თეატრი“ (1929), გერშვინის „მე შენზე ვმღერი“ (1931), პორტერის „მაკოცე, კეტ“ (1948), ფ. ლოუს „ჩემი მშვენიერი ლედი“ (ბ. შოუს „პიგმალიონის“ მიხედვით, 1956), მ. ლის „ადამიანი ლამანჩიდან“ (1965) და სხვ. ცეკვას (თავდაპირველად ჩეჩოტკას) მნ. ადგილი უჭირავს ლ. ბერნსტაინის „ვესტსაიდის ამბავში“ (ბალეტმაისტერი ჯ. რობინზი, 1957); ეს სპექტაკლი ერთ-ერთი საუკეთესო მ. იყო ამერიკაში. საქ-ში მ-ის ჟანრმა ფეხი მოიკიდა 70-იან წლებში; დაიდგა რამდენიმე სპექტაკლი ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრში (ლოუს „ჩემი მშვენიერი ლედი“, 1974), მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში პ. ტრავერსის „მერი პოპინსი (1975); გ. შენგელაიამ გადაიღო ფილმი-მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ (1975), ლ. ღოღობერიძემ–„აურზაური სალხინეთში“ (1976) და სხვ.

ქართველი კომპოზიტორებიდან მ. შექმნეს: გ. ცაბაძემ, ვ. აზარაშვილმა, ნუნუ გაბუნიამ, ნოდარ გაბუნიამ და სხვ.

მიუზიკ-ჰოლი (ინგლ. music-holl-საკონცერტო დარბაზი), საესტრადო თეატრის სახეობა. პირველი მ.-ჰ. ჩამოყალიბდა ლონდონის გარეუბან ვოქს-ჰოლში. 1890 ლონდონში გაიხსა მ.-ჰ. „ალპამბრა”, სადაც ესტრადისა და ცირკის მსახიობები გამოდიოდნენ.

მიქაბერიძე მაია რამინის ასული [05.12.1969, თბილისი], გუნდის დირიჟორი და პედაგოგი. საერთაშორისო ფესტივალების (2006, 2011 გერმანია, 2012, 2013

გრანპრი ესპანეთი, 2014 იტალია) ლაურეატი. ღირსების ორდენის კავალერი(2007). მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (2019).

1988 დაამთ. თბ. ზ. ფალიაშვილის სახ. ნიჭიერთა ათწლედი. 1993 თბ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია გუნდის დირიჟორის სპეციალობით. 1978-85 მღეროდა ბიჭუნათა ფოლკლორულ ანსამბლში „მართვე“. 1993 ჩამოაყალიბა ფოლკლორული გუნდი „საგალობელი“, 1995 გოგონათა ანსამბლი „მანდილი“ (2017), ფოლკლორული გუნდი „პატრიარქის ნათლულები" (2017).

მ. ხშირად ატარებს ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მოიძიებს და აღადგენს სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშებს. აქტიურად არის ჩაბმული ქართ. ხალხ. და პროფესიული გუნდის განვითარების საქმეში, რომლებსაც მაღალი პროფესიონალიზმით ხელმძღვანელობს.

მ. ამჟამად მოღვაწეობს თბ. შ. რუსთაველის სახ. სახელმწ. უნტ-ში (ასოცირებული პროფესორი) და კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში გუნდის დირიჟორად.

თ. თამარაშვილი



მიქაბერიძე რამინ შალვას ძე [26.IV.1944, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი], ქართველი მომღერალი და ლოტბარი, საქ. სახ. არტისტი. საქ. სახელმწ., ზ. ფალიაშვილის სახ., ალბერტ შვაიცერის საერთაშ. პრემიების ლაურეატი, მინიჭებული აქვს საქ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“(2015) და საქ. მწერალთა კავშირის ჯილდო „კულტურის რაინდი“, ღირსების ორდენი (1998), თბილისის (2013) და ბათუმის (2015) საპატიო მოქალაქე. მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (2019).

მ. აქვს დიდი დიაპაზონის, ლამაზი ტემბრის ძლიერი ხმა, რომელიც შესანიშნავად ფლობს საქ. სხვადასხვა კუთხის სასიმღერო ფოლკლორს. აგრეთვე წარმატებით ასრულებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

მ. იყო საქ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლების „ერისიონი“ (1967-78), „რუსთავი“ (1979-2002) სოლისტი, ქართული ფოლკლორის სახელმწ. ანსამბლის „თბილისი” სამხ. ხე-ლი (1978-85). მ. მიერ დაარსებულია თოთხმეტი ფოლკლორული ანსამბლი მ.შ. „მართვე” ანზორ ერქომაიშვილთან ერთად (1976), ბათუმის სახელმწ. ფოლკლორული ანსამბლი (1999-2005), ფოლკლორული გუნდი „პატრიარქის ნათლულები“ (2017) მ. მიქაბერიძესთან და სხვ. 1993-იდან დღემდე თავის ქალიშვილთან მაია მიქაბერიძესთან ერთად ხელმძღვანელობს ბავშვთა

ფოლკლორულ ანსამბლს „საგალობლი". მ. წარმატებით მოიარა მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყანა.

მ-ის მუს. ტრადიციებს აგრძელებენ მისი შვილები და შვილიშვილები.

მიქელაძე ევგენი სიმონის ძე [27. VI. 1903, ბაქო,–XII, 1937, თბილისი], ქართველი დირიჟორი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1936). დაამთ. ლენინგრადის კონს. (ნ. მალკოსა და ა. გაუკის ხელმძღვანელობით). 1931-37 მ. თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი იყო (1933-იდან მთ. დირიჟორი, 1937–სამხ. ხე-ლი). 1932 დააარსა თბ. კონს-ის სტუდენტთა ორკესტრი. 1933-37 ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრს. მ. შესანიშნავად უძღვებოდა 2 დიდ საქმეს-საოპერო და სიმფ. ხელოვნებას. მისი თაოსნობით სიმფ. მუსიკის პროპაგანდამ საქ-ში დიდ მასშტაბს მიაღწია. მ-ის რეპერტუარში იყო ბეთჰოვენის, ვაგნერის, შუბერტის, ბრამსის, ბერლიოზის, ჩაიკოვსკის, ბოროდინის, რიმსკი–კორსაკოვის, მალერის, რ. შტრაუსის, პროკოფიევის, სტრავინსკის, შოსტაკოვიჩის და სხვათა ქმნილებანი. მ. დირიჟორობდა ქართული სიმფ. მუსიკის ადრინდელ ნიმუშებს (შ. მშველიძის, გ. კილაძის, ი. ტუსკიას, შ. თაქთაქიშვილის, ი. გოკიელის და სხვათა ნაწარმოებებს). მისი ხელმძღვანელობით გამართულმა საკონცერტო სეზონებმა დიდი სტიმული მისცა ეროვნულ სიმფ. შემოქმედების სწრაფ განვითარებას. მ-ის ხელმძღვანელობით თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრმა შემოქმედებით აღმავლობას მიაღწია, ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ქართ. ხელოვნ. და ლიტ. I დეკადაზე მოსკოვში 1937. მ. დირიჟორობდა ზ. ფალიაშვილის ოპერებს („აბესალომ და ეთერსა" და „დაისს"). მ-ის საოპერო რეპერტუარში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბიზეს „კარმენი", ვერდის „ოტელო" და „აიდა", ბოროდინის „თავადი იგორი", პუჩინის „ტოსკა", გუნოს „ფაუსტი", ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი", დონიცეტის „დონ პასკუალე", მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი", რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე", მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე". მისი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო მასშტაბურობა, მგზნებარე ტემპერამენტი, შინაგანი დისციპლინა. მ-მ ფართო მასშტაბით მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. მან სრულყო ქართული ეროვნული სადირიჟორო ხელოვნება. რეპრესირებულ იქნა 1937.

ა. წულუკიძე

მიქსოლიდიური კილო, ნატურალურ კილოთა ერთ-ერთი ნაირსახეობა. ქართულ მუსიკაში ამ ტერმინით პირობითად აღნიშნავენ მაჟორულ კილოს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინტერვალები: დიდი ტერცია, დიდი სექსტა და პატარა სეპტიმა.

მოდერატო (იტალ. moderato, სიტყვასიტყვით–ზომიერად), მუსიკალური ნაწარმოების ზომიერი ტემპის აღნიშვნა.

მოდრეკილი მიქაელ, X ს. ქართველი პოეტ-ჰიმნოგრაფი; მწიგნობარი, კალიგრაფი, მგალობელი, შემქმნელ-რედაქტორი ვრცელი იადგარისა, რომლის ხელნაწერი (S 425) უნიკალურია როგორც შედგენილობის, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, X ს.

ქართული წიგნის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. კრებული შედგენილია 978-988 წლებში შატბერდის მონასტერში. თავდაპირველად მასში 1264 გვერდი უნდა ყოფილიყო (გარდა ბოლო ნაწილისა, რომელიც დაკარგულია), ჩვენამდე მოღწეულია 544 გვერდი. მ. მ-მა თავი მოუყარა მისი დროისათვის ქართ. მღვდელმსახურებაში გავრცელებულ საგალობლებს (ორიგინალურსა და ნათარგმნს)—როგორც ქართველ (მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბევარი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე—ჭყონდიდელი, ეზრა, იოანე ქონქოზისძე, ბასილი, კურდანაი, მერჩულე), ისე ბერძ. (ანდრია კრეტელი, კოზმა იერუსალიმელი, იოანე დამასკელი, თეოფანე, ეფრემი) ავტორთა ჰიმნებს. საგალობელთა დიდი ნაწილი ნევმირებულია. ჯერ-ჯერობით ნევმები არ არის გაშიფრული.

მ. მ.-ის მიერ შედგენილი ქართული საგალობლების კრებული ძვ. ქართული სამუსიკო კულტურის დიდებული ძეგლია.

მოდულაცია (ლათ. modulatio სიმწყობრე, განზომილება), მუსიკაში. ტონალობათა ცვლა ტონალური ცენტრის გადაადგილების შედეგად. მ-ს განარჩევენ ფუნქციურს, მელოდიურ-ჰარმონიულს, მელოდიურს, კილოურ მ-სა და დაპირისპირებას. განსაკუთრებით გავრცელებულია ფუნქციონალური მ., მის ტონალობათა შორის კავშირს ამყარებს საერთო აკორდი, რომელიც ახალი ტონალობისათვის სახასიათო ჰარმონიული საქცევის გამოჩენისას იცვლის ფუნქციას; ამასთან გადამწყვეტი მნ-ბა ენიჭება მოდულირებულ აკორდს შესაბამისი ალტერაციით. ახალი ტონიკის საბოლოო ან შედარებით განმტკიცების შემთხვევაში მ. სრულია. არასრულ მ-ს განეკუთვნება გადახრა და გამვლელი მ. მ-ის მეტად განვითარებული ტექნიკა აქვს ქართ. ხალხ. მუსიკას. მას ახასიათებს მ. ახლობელ (დაპირისპირება) და შორეულ (კილოს მ.) კილოებში.

მოთქმა, ქართული სამგლოვიარო რიტუალის შემადგენელი ნაწილი, ზეპირსიტყვიერების იმპროვიზაციული სახეობა. ასრულებს მოტირალი (იგივეა, რაც „ხმით მოტირალი", „გლოვის მგოსანი", „გოდების შემსხმელი", „მომთქმელი") გლოვის გამოსახატავად და მიცვალებულის ღირსებათა წარმოსაჩენად. მ-ის ზოგი ფორმა ახლაც გვხვდება საქ-ს სხვადასხვა კუთხეში.

მონიუშკო (Moniuszko) სტანისლავ [5. V. 1819, უბელი, მინსკის მახლობლად,—4. VI. 1872, ვარშავა], პოლონელი კომპოზიტორი, დირიჟორი და საზ. მოღვაწე. 1830-იდან სწავლობდა მინსკის გიმნაზიაში, მეცადინეობდა კომპოზიციაში. 1837-40 ბერლინში ეუფლებოდა კომპოზიციას, საგუნდო დირიჟორობას. 1840-58 ცხოვრობდა ვილნიუსში; უკრავდა ორგანზე ეკლესიაში, 1850-იდან დირიჟორობდა საოპერო თეატრში. მ-ს ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ოპერა „ჰალკა", რომლითაც საფუძველი ჩაეყარა პოლ. ეროვნულ ოპერას. 1858-იდან მ. მუშაობდა ვარშავის საოპერო თეატრის მთ. დირიჟორად. ამ პერიოდში შექმნა კომიკური ოპერები: „გრაფის ქალი" (1860) და „პატიოსანი სიტყვა" (1861), აგრეთვე ოპერები „მოჯადოებული ციხე-კოშკი" (1865) და „პარია" (1869). ოპერა „ჰალკა" თბილისში დაიდგა 1882.

მონოდია (ბერძ. monodia<mono ერთი და odos მომღერალი), ძვ. საბერძნეთში ერთი

მომღერლის სიმღერა ავლოსის, კითარის ან ლირის თანხლებით. XVI ს. იტალიაში ტერმინი მ. გულისხმობდა ჰომოფონიური თანხლებით შესრულებულ სოლო სიმღერის სტილს, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო მრავალ ახალ ფორმასა და ჟანრს (არია, რეჩიტატივი, ოპერა, კანტატა და სხვ.). ფართო მნიშვნელობით მ. აღნიშნავს უნისონში ან ოქტავაში შესრულებულ ყოველგვარ ერთხმიან სიმღერას (სოლო, საანსამბლო, საგუნდო), ხმისათვის (საკრავთა თანხლებით) დაწერილი ნაწარმოების ვოკალურ პარტიას.

მონოდრამა (ბერძ. monos ერთი და drama (იხ. დრამა), მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები, რომელსაც ასრულებს ერთი მომღერალი ან დრამატული მსახიობი ორკესტრის თანხლებით, ზოგჯერ გუნდის მონაწილეობითაც. პირველი ცნობილი ნიმუში ეკუთვნის ჟ.ჟ. რუსოს („პიგმალიონი“ 1770). მ. შექმნეს ბერლიოზმა („ლელიო ანუ ცხოვრებასთან დაბრუნება“, 1832), შონბერგმა („მოლოდინი“, 1909), პულენკმა „ადამიანის ხმა“, 1958) და სხვ.

მონოთემატიზმი – მუს. ნაწ-ის აგების პრინციპი,რომლითაც ხასიათდება სონატურ-სიმფ. ციკლის ან მისგან წარმოშობილი ერთნაწილიანი ფორმების გაერთიანებით ერთი თემით–ლაიტმოტივით (მაგ. ფ. ლისტის სიმფ. პოემებში ერთი და იგივე თემა ნაწ-ის პროგრამის შესაბამისად სხვადასხვა მუს. და მხატვრულ-ემოციურ იერს იძენს). დიდი გავრცელება მოიპოვა XIX ს. რომანტიკოს კომპ-თა შემოქმედებაში.

მონოლოგი (ბერძ. monologos<monos ერთი logos სიტყვა), მუსიკაში სოლო ვოკალური ფორმა ოპერაში, რომელშიც ჩვეულებრივ, ასახულია დაძაბული განცდის პროცესი ან ფიქრი, რომელსაც მოსდევს რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება. ჩვეულებრივ მ. იგება რამდენიმე, სხვადასხვა კონტრასტული ეპიზოდისაგან.

მონტევერდი (Monteverdi) კლაუდიო ჯოვანი ანტონიო [დაახლ. 15. V. 1567, კრემონა,–29. XI. 1643, ვენეცია], იტალიელი კომპოზიტორი. 1590-1612 მოღვაწეობდა ჰერცოგ გონზაგების კაპელაში (მანტუა). 1613-იდან ხელმძღვანელობდა სან-მარკოს ტაძრის კაპელას (ვენეცია). წერდა უპირატესად პოლიფონიურ საგუნდო მუსიკას. 1587-1638 გამოაქვეყნა მადრიგალების 8 კრებული. 1607-იდან მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ოპერამ. შემორჩენილია სამი ოპერა „ორფეუსი“ (1607, მანტუა), „ულისეს დაბრუნება სამშობლოში“ (1640, ბოლონია) და „პოპეას კორონაცია“ (1642, ვენეცია). ითვლება მუსიკის ისტორიაში პირველ გენიალურ საოპერო კომპოზიტორად, რომელმაც მყარი საფუძველი შექმნა ჟანრის შემდგომი განვითარებისათვის.

მორდენტი (იტალ. mordente), მელოდიური სამკაული, მელიზმის სახეობა (იხ. მელიზმები).

მოსიძე შალვა ილარიონის ძე [28. XII. 1936, ჭიათურა], გუნდის დირიჟორი. საქ. სახ. არტისტი (1988), ზ. ფალიაშვილის სახ. (1997) და საერთაშ. (1986, 1989) კონკურსების

ლაურეატი. 1967 დაამთ. თბ. კონს-ის საგუნდო -სადირიჟორო განყოფილება. 1970 ჩამოაყალიბა გორის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე გოგონათა კამერული გუნდი, რომელსაც 2013-მდე ხელმძღვანელობდა. მოვლილი აქვს გასტროლებით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. 1976 შექმნა თბ. კონს-ის სტუდენტთა (ქალთა) გუნდი. 1980-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას თბ. კონს-ში. გორის გოგონათა გუნდი, რომელსაც მ. ხელმძღვანელობდა, საქ-ში ერთ-ერთი საუკეთესო, აღიარებული კოლექტივია. მის რეპერტუარში შედის მსოფლიო მუსიკალური კლასიკის, აგრეთვე მრავალი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებები. გორში 1986-იდან ყოველწლიურად იმართება საგუნდო მუსიკის ფესტივალები.

გ. ტორაძე

მოტეტი (ფრანგ. motet (კნინ.)<mot- სიტყვა, გამონათქვამი, მცნება), მრავალხმიანი ვოკალური მუსიკის ჟანრი. წარმოიშვა XII ს. საფრანგეთში. წარმოადგენდა 2–ხმიან ნაწ-ს, რ-იც კათოლიკური წირვის ძირითადი ჰანგებისათვის ახალი ხმის მიმატებით წარმოიქმნებოდა. მოგვიანებით წარმოიშვა 3 და 4– ხმიანი სასულიერო და საერო (იუმორისტული) ხასიათის მ-ები. XVს-ში მ-ს უწოდებდნენ რთული აგებულების, საზეიმო ხასიათის ვოკალურ ნაწარმოებს. XVI ს-ში ო. ლასოს, ჯ. გაბრიელის, ჯ. პალესტრინას მ-ებში ჩამოყალიბდა წმინდა ვოკალური, საგუნდო პოლიფონიის სტილი (ინსტრ. თანხლების გარეშე). ამ ჟანრის განვითარების მწვერვალია ი.ს. ბახის მ-ები. ეპიზოდურად გვხვდება XIX ს-ის მუსიკაში. XX ს-ის დასაწყისიდან იზრდება ინტერესი მოტეტის ძველი ტრადიციების მიმართ (ა. ვებერნი, ი. სტრავინსკი, დ. ლიგეტი).

მოტივი (გერმ. motive, ფრანგ. motif<ლათ. moveo ვამოძრავებ), მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, მელოდია; ჰანგი, კილო.

მოქლონი, სამუსიკო საკრავების დეტალი სიმების დასაჭიმად და ასაწყობად.

მოცარტი (Mozart)ვოლფგანგ ამადეუს [27. I. 1756, ზალცბურგი,–5. XII. 1791, ვენა], ავსტრიელი კომპოზიტორი. დაიბადა კომპოზიტორ ლეოპოლდ მოცარტის ოჯახში. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა ფენომენალური მუს. ნიჭი. სხვადასხვა საკრავზე დაკვრასა და კომპოზიციის საფუძვლებს დაეუფლა მამის ხელმძღვანელობით. 6 წლისამ დაწერა პირველი ნაწარმოები (11 წლისამ ოპერა). 7 წლის მ. საგასტროლოდ იყო ევროპის ქვეყნებში. 1769-77 მსახურობდა კონცერტმაისტერად, 1779-81 ორგანისტად ზალცბურგის არქიეპისკოპოსის კარზე. 1769-74 3-ჯერ იმოგზაურა იტალიაში. 1770 მ. აირჩიეს ბოლონიის მუსიკის აკადემიის წევრად. კომპოზიციის გაკვეთილებს აქ იღებდა პადრე მარტინისთან. 1781 დასახლდა ვენაში. ამ პერიოდს ეკუთვნის მ-ის ყველაზე განთქმული ნაწარმოებები: ოპერები „მოტაცება სერალიდან“ (1782), „ფიგაროს ქორწინება“ (1786), „დონ ჯოვანი“ (1787), „ჯადოსნური ფლეიტა“ (1791), „ასე იქცევა ყველა ქალი“ (1790), „ტიტუსის ლმობიერება“ (1791), 7 უკანასკნელი სიმფონია, „რეკვიემი“(დაამთავრა მისმა მოწაფემ ფ.

ზიუსმაირმა 1791), 1787-იდან მ. იოზეფ II-ის კარის მუსიკოსი იყო. ძალზე მრავალფეროვანია მისი მუს-ის ეროვნულ-კულტურული და სტილისტური ძირები. მოცარტის შემოქმედებაში შერწყმული და განზოგადებულია ავსტრიულ-გერმანული, იტალიური და ფრანგული მუს. კულტურა. იგი ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელია. მ-მა უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომი ეპოქის მუს. სტილსა და კომპოზიტორთა შემოქმედებაზე. მ-ის მუს-ში კლასიციზმის რაციონალისტური ესთეტიკური პრინციპები შერწყმულია სანტიმენტალიზმისა და „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქისათვის დამახასიათებელ „გრძნობის კულტთან“. ზოგიერთ ნაწარმოებში უკვე იგრძნობა რომანტიზმის ელემენტები. მ. ამ მიმართულების ერთ-ერთი წინამორბედია. იგი იყო ნოვატორი ხელოვანი მუს. შემ-ის ყველა ჟანრში. მისი ოპერები გვაოცებენ დრამატურგიული და მხატვრული მთლიანობითა და სრულყოფილებით (თანამედროვეებმა მას „მუსიკის შექსპირი“ უწოდეს). მ-ის უდიდეს მიღწევად საოპერო ჟანრში მიჩნეულია „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჯოვანი“ და „ჯადოსნური ფლეიტა“. „ფიგაროს ქორწინება“ რეალისტური ოპერა-კომედიის ბრწყინვალე ნიმუშია. „დონ ჯოვანი“–მსოფლიო საოპერო მუსიკის შედევრი, მ-ის რეალისტური საოპერო დრამატურგიის მწვერვალია (საგულისხმოა ოპერის ქვესათაური–„მხიარული დრამა“), მასში შერწყმულია მუს. ტრაგედიისა და მუს. კომედიის ნიშნები. მ. უდიდეს ოსტატობას ამჟღავნებს უწყვეტი მუსიკალურ-სცენური მოქმედებისა და გმირთა მუს. პორტრეტების შექმნაში. „ჯადოსნური ფლეიტა“ წარმოადგენს ზინგშპილ-ზღაპარს. იგი მ-ის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ქმნილებაა და გზას უკაფავს გერმან. რომანტ. ოპერას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მ-ის სიმფ. შემოქმედება, რომლის მწვერვალად ითვლება 3 სიმფ. (1788): მი ბემოლ მაჟორი (№ 39), სოლ მინორი (№40), რომელიც ლირ. დრამ. სიმფ. პირველი ნიმუში, რომანტ. სიმფონიზმის წინამორბედია და მ-ის ყველაზე მონუმ. სიმფონია დო მაჟორი (შემდგომში ეწოდა „იუპიტერი“ №41), რომელმაც გზა გაუკაფა ბეთჰოვენის გმირულ სიმფონიზმს. მ-მა შექმნა საკრავიერი კონცერტის კლასიკური ფორმა. განსაკუთრებით პოპულარულია მისი საფ. კონცერტები (27), მ-მა დაწერა თითო კონცერტი 2 და 3 ფ-ნოსათვის ორკესტრთან ერთად, 5 კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის და რამდენიმე კონცერტი სასულე საკრავებისათვის. სიმფ. მუსიკასთან ახლოს დგას მ-ის კამერულ-საკრავიერი ანსამბლები: 7 სიმებიანი კვინტეტი, 23 სიმებიანი კვარტეტი და სხვ. დიდი მხატვრული ღირსებით გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები სიმებიანი ორკესტრისათვის „ღამის პატარა სერენადა“ (1787). მ. ავტორია კამერული სიმღერის კლასიკური ნიმუშებისა (30 სიმღერა, მ.შ. გოეთეს ტექსტზე დაწერილი „ია“, „გაზაფხულის მონატრება“ და სხვ.). მ-ის მრავალრიცხოვან სასულიერო ნაწარმოებს შორის გამოირჩევა მისი გედის სიმღერა– გენიალური „რეკვიემი“ (1791). მ. ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორია.

მ-ის ნაწარმოებების (ოპერების, სიმფონიების, კონცერტების და სხვ.) შესრულებას საქ-ში ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს.

მოძახილი მთქმელი, მომღერალი, რომელიც საგუნდო სიმღერის მოძახილს ასრულებს. ზოგჯერ მ.მ. მთელ სიმღერას ასრულებს (ამ შემთხვევაში გუნდი მხოლოდ იმეორებს კუპლეტის დასკვნით ფრაზებს, ან ასრულებს მისამღერს). ხალხურ საგუნდო სიმღერაში მ.მ. წამყვანი მომღერალია.

მოძახილი, ქართული ხალხ. სამხმიანი სიმღერის ერთ-ერთი ზემო ხმა, რომელიც

მთქმელს მოსძახის. მ. შეიძლება იყოს როგორც მეორე, ასევე პირველი ხმაც (იმის მიხედვით, თუ რომელია მთქმელი).

მრავალჟამიერი, ქართ. ხალხ. სამხმიანი სუფრული სიმღერა და სასულიერო საგალობელი. სუფრული მ. ორგვარია–სოფლური და ქალაქური; არის აგრეთვე გრძელი და მოკლე მ. გრძელ მ-ს ვხვდებით ქართლურ და კახურ სასიმღერო შემოქმედებაში. იგი ფორმის, ფაქტურის, სტრუქტურის დახვეწილობით, მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა სიმდიდრით ქართული მუს. ფოლკლორის მშვენებაა. ამ სიმღერის ლაღად გაშლილ ჰანგს ასრულებს 2 ზემოთა ხმა, რ-ებიც გაბმული ბანის ფონზე ერთიმეორეს ხან ენაცვლებიან, ხან პარალელურად მოჰყვებიან და ქმნიან კონტრაპუნქტულ შეხამებებს. საყურადღებოა მეტრის ცვალებადობა, კილოური გადასვლები, სამოდულაციო ხერხები, რომელთა საშუალებით მ. ყოველ გამეორებისას თითო საფეხურით მაღლდება, ემოციური ზემოქმედება მატულობს და სიმღერა საზეიმო ხასიათს იღებს. მ-ის პოეტური ტექსტი ნებისმიერია, ხშირად მიმართავენ აფორიზმებს. მოკლე მ. კუპლეტური ფორმისაა. მას არ გააჩნია პოეტური ტექსტი, შემოფარგლულია მიმართვით იმისადმი, ვისი სადღეგრძელოც შეისვა–„მრავალჟამიერ ღმერთმან ინებოს თქვენი სიცოცხლე“, რომელსაც მისდევს სამადლობელი–„მადლობელი ვარ სადღეგრძელოსთვის“. აღმ. საქართველოში მას ხმათა ჰომოფონიურობა ახასიათებს, დას. საქართველოში– პოლიფონიური შეხამება. ქალაქური მ. წარმოიშვა XIX ს. ევრ. მუსიკისა და რუს. საეკლ. გალობის ზეგავლენით. ამას ადასტურებს მ-ის პოპულარული სახელწოდებები „ცეტური“, რომელიც მომდინარეობს გერმ. სამუსიკო ტერმინისაგან „ცე დურ“ (დო მაჟორი) და „ცერკოვნი“, რ-იც, ცხადია, მომდინარეობს რუსულიდან. სხვა ქალაქური მ-ებიც მსგავს მუს. მასალაზეა აგებული. სასულიერო მ. საზეიმო ხასიათის საგალობელია, სრულდება ეკლესიაში რომელიმე პიროვნების ან მოვლენისადმი მიძღვნილი პარაკლისის დროს. ტექსტი შედგება მხოლოდ ერთი სიტყვისაგან –„მრავალჟამიერ“.

გ. ჩხიკვაძე

მრავინსკი ევგენი ალექსანდრეს ძე [22. V. 1903, პეტერბურგი,–21.I.1988, იქვე], რუსი დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი. 1931 დაამთ. ლენინგრადის კონს. (ნ. მალკოსა და ა. გაუკის ხელმძღვანელობით). 1932-38 იყო ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი. 1938-იდან კი ლენინგრადის ფილარმონიის სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი. მ. სადირიჟორო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მ-ის ხელმძღვანელობით პირველად აჟღერდა შოსტაკოვიჩის (V,VI, VIII, IX, X სიმფონიები), აგრეთვე პროკოფიევის, ხაჩატურიანისა და სხვ. ნაწარმოებები. 1936-37 და 1961-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ლენინგრადის კონს-ში. 1946-იდან გასტროლებს მართავდა ევრ. და ჩრდ. ამერ. ქვეყნებში.

მსუბუქი მუსიკა, ადვილად აღსაქმელი, ძირითადად გართობისათვის განკუთვნილი მუსიკა. გამოირჩევა შინაარსისა და მუს. ენის შედარებითი სიმარტივით. ჟანრულად მრავალფეროვანია, მოიცავს სიმღერას, ცეკვას, საკრავიერ პიესას, სიუიტას, რაფსოდიას, ფანტაზიას პოპულარულ თემაზე, ოპერეტას. მ. მ-ის პირველი ნიმუშები იყო სახუმარო სიმღერები, ოპერა-ბუფი, ზინგშპილი,

ვოდევილი, კომიკური ოპერა. მ. მ-მ განვითარების მწვერვალს მიაღწია XIX ს-ში მამა-შვილი შტრაუსების, ჟ. ოფენბახის, ი. ლანერის შემოქმედებაში. თანამედროვე პირობებში ფართოდ გავრცელდა მ. მ-ის მონათესავე საესტრადო მუსიკა, კერძოდ, ჯაზი და ე.წ. „პოპ–მუსიკა“ ანუ „როკ-მუსიკა“, რომლებიც თავისი ფესვებით აფრიკისა და აზიის ხალხების მუს. ფოლკლორთანაა დაკავშირებული. მ. მ-ის ჟანრში ნაყოფიერად მუშაობდნენ ქართველი კომპოზიტორები: რ. ლაღიძე, გ. ცაბაძე, ნ. გუდიაშვილი, რ. გაბიჩვაძე, შ. მილორავა, დ. თორაძე, ო. თევდორაძე, ლ. იაშვილი, კ. პევზნერი, გ. ბზვანელი, ა. ბასილაია, და სხვ. ამჟამად ვ. აზარაშვილი, გ. ყანჩელი, ზ. მჟავია, რ. სებისკვერაძე, მ. კვალიაშვილი, ნ. გაბუნია, ნ. დუღაშვილი, ვ. დურგლიშვილი, ჯ. სეფიაშვილი და სხვ.

მუზიცირება (გერმ. musizieren), მუსიკაში მეცადინეობა, მუსიკით გართობა.



მუნჯიშვილი გივი გრიგოლის ძე [30.IX. 1937, თელავი], გუნდის დირიჟორი, პედაგოგი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979), საქ. სახალხო არტისტი (1985), საპატიო ნიშნის ორდენი (1982), ღირსების ორდენი (1998).

1962 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. გუნდის დირიჟორის სპეციალობით (პედ. ვ. ფალიაშვილი), 1970 მოსკოვის კონს. საორკესტრო სიმფ. დირიჟორობის ფაკულტეტი (პედ. ო. დიმიტრიადი). 1963-2014 თბ. სახელმწ. კონს. საგუნდო-სადირიჟორო კათედრის პედაგოგი (1983 პროფესორი). 1970-74 თბ. ოპერის თეატრის მთ. ქორმაისტერი. 2000 დააარსა „ახალგაზრდულიკამერული გუნდი“. 1975-2010 საქ. სახელმწ. კაპელის სამხ. ხელი და მთ. დირიჟორი. 2010-იდან კონსულტანტი. მისი მოსვლით შეიცვალა გუნდის მუშაობის სტილი, რეპერტუარი და შესრულების ხარისხი. 9 თვეში გამართა პირველი კონცერტი, რეპერტუარი მოიცავდა ქართველ, რუს და ევრ. კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. კონცერტის კულმინაცია იყო ი. კეჭაყმაძის ახ. ციკლი ძველი თბილისის სიმღერები“. მ. ხელმძღვანელობით კაპელა ჩამოყალიბდა კარგ ორგანიზებულ საგუნდო კოლექტივად. მას დიდი დამსახურება მიუძღვის საგუნდო მუსიკის განვითარებაში, აღზრდა მრავალი თაობა. გამოცემული აქვს ქართული საგუნდო მუსიკის 3 ფირფიტა და 3 კომპაქტდისკი.

მ. დღესაც ნაყოფიერად ემსახურება ამ საპატიო საქმეს.



მურადელი ვანო ილიას ძე [24. III. 1908, გორი,–14. VIII, 1970, ტომსკი, დაკრძალულია მოსკოვში], კომპოზიტორი, სსრკ სახ. არტისტი (1968). 1931 დაამთ. თბ. კონს. (ს. ბარხუდარიანის საკომპ. და მ. ბაგრინოვსკის სადირიჟორო კლასები). 1939-48 იყო სსრკ მუს. ფონდის თავმჯდომარე. მისი ნაწარმოებებია: ოპერები „დიადი მეგობრობა“ (1947, მეორე რედაქციით–„ოქტომბერი“), ოპერეტები–„ცისფერთვალა გოგონა“, „მოსკოვი-პარიზი-მოსკოვი“; 2 სიმფონია, მრავალი სიმღერა („ჰიმნი მოსკოვს“, „სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ჰიმნი“, „პარტია ჩვენი მესაჭე“, „ბუხენვალდის ნაბათი“).

მუსიკა (ბერძ. musike, სიტყვასიტყვით–მუზების ხელოვნება), ხელოვნების დარგი, რომელიც სინამდვილეს ასახავს ზუსტად ფიქსირებული სიმაღლისა და რიტმულად ორგანიზებული მუს. ბგერების საშუალებით. ემოციური ზემოქმედების ძალით მ-ს ბადალი არა ჰყავს ხელოვნების სხვა დარგებში. მ. ყველაზე მეტად უახლოვდება მეტყველებას. ორივე მათგანს ახასიათებს ინტონაციური ბუნება. მ-ის გამომსახველობის საშუალებებია: მელოდია, ჰარმონია, კილო, რიტმი, მეტრი, ფაქტურა, ტემბრი, დინამიკა, ტემპი. მ. შეიძლება იყოს ერთხმიანი (იხ. მონოდია) და მრავალხმიანი (იხ. პოლიფონია, ჰომოფონია). მ-ის ფიქსირება ხდება სანოტო დამწერლობის საშუალებით. მ-ის აღქმისათვის საჭიროა მ-ის შესრულება. ამის მიხედვით მ. არის საკრავიერი და ვოკალური. მუს. შემოქმედება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად: 1. შინაარსის მიხედვით არსებობს: ლირიკული, ეპიკური, დრამატული, იუმორისტული მუსიკა, აგრეთვე სერიოზული და მსუბუქი მუსიკა. 2. შესრულების მიხედვით–ვოკალური და საკრავიერი (სოლო, ანსამბლი, ორკესტრი, გუნდი). 3. ხელოვნების სხვა სახეებთან სინთეზის მიხედვით–თეატრ. მ., საცეკვაო მ., ვოკალური მ., პროგრამულ-საკრავიერი მ., არაპროგრამული („წმინდა“) საკრავიერი მ. 4. ხმოვანებისა და შესრულების პირობების მიხედვით–სპეც. საკონცერტო გარემოში მოსასმენი მ., მასობრივი შესრულებისათვის განკუთვნილი მ., ჩვეულებრივ ყოფით გარემოში მოსასმენი მ., რელიგიურ–საწესჩვეულებო მ. და სხვ. 5. კომპოზიციისა და „მუსიკალური ენის“ მიხედვით–ოპერა, ბალეტი, სიმფონია, კონცერტი, მესა, რეკვიემი და ა.შ. 6. სტილის მიხედვით–ისტორიული, რეგიონალური, ეროვნ., ინდივიდუალური.

მუსიკა თეატრში, თეატრალური სპექტაკლის, როგორც მუსიკალურის (ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, მუს. დრამა, მუსკომედია), ისე დრამატულის (ტრაგედია, დრამა, კომედია, ვოდევილი) მუსიკა. მუსიკალურ თეატრში მუსიკა განსაზღვრავს სასცენო წარმოდგენის დრამატურგიას და ხასიათებისა და სახეების გახსნის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, დრამ. თეატრში კი იგი პიესის მხატვრული ხორცშესხმისათვის დამხმარე, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია. დრამ. თეატრში მ-ის როლის ზრდა მას მუს. თეატრთან აახლოებს. ჩნდება შერეული ჟანრები; მაგ., პროლოგი, როგორც დამოუკიდებელი პიესა, დივერტისმენტი, ოპერა–ვოდევილი, ინგლ. ნიღაბი, აღმ. ხალხების და სხვ. ხალხ. თამაშობანი და წარმოდგენები. დრამ. მ. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ანტ. ტრაგედიასა და კომედიაში, იტალ. კომედია დელ არტეში, ჩინურ თეატრში და სხვ. მ. რ-იც უშუალოდ პიესის სიუჟეტითაა განპირობებული (სოლო და საგუნდო სიმღერა, როიალზე და გიტარაზე დაკვრა და სხვ.), თეატრში სრულდება სცენაზე, ამასთან მსახიობი ხშირად შესრულების იმიტაციას ახდენს, მ. კი სცენის მიღმა ჟღერს. მ., რ-საც სცენური გაფორმებისათვის მიმართავენ, უმთავრესად მუნჯი და მიმიკური სცენების დროს ჟღერს, ან მონოლოგებისა და დიალოგების ფონს წარმოადგენს. XX ს-ში მუს. გაფორმებისათვის თეატრში ხშირად იყენებენ ხმის ჩამწერ ხელსაწყოებს.

მუსიკალური აკუსტიკა, 1. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მუს. ბგერის ბუნებას, მისი სიმაღლის, სიძლიერისა და ტემბრის სმენითი ათვისების კანონზომიერებებს, ადამიანის ხმის აპარატსა და მუს. საკრავთა ტემბრს; მუს. სისტემებსა და წყობას (სუფთა წყობა, ტემპერირებული წყობა), მ. ა-ს დიდი მნიშვნელობა აქვს მუს. თეორიის (ჰარმონიის), საკრავთმცოდნეობისა და ორკესტრობის საკითხთა შესწავლაში. 2. თეატრში ან საკონცერტო

დარბაზში მეტყველებისა და მუსიკის მკაფიო ჟღერადობისათვის შექმნილი პირობები.

მუსიკალური აღზრდა, ადამიანის მუს. ნიჭის განვითარების სისტემა. მ. ა. მჭიდროდაა დაკავშირებული მუს. განათლებასთან. საქ-ში მ. ა-ს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ (IV ს.) შექმნილ სას. განათლების კერებში მუსიკას მნ. ადგილი ეთმობოდა. არსებობდა აგრეთვე სპეც. სამგალობლო სკოლები. თბ-ში პირველი სამუსიკო სკოლა დაარსდა 1874 ხ. სავანელის ინიციატივით. ამჟამად მ. ა-მ საქ-ში საყოველთაო ხასიათი მიიღო. შექმნილია სამუსიკო სკოლათა და სასწავლებელთა ფართო ქსელი.

მუსიკალური ბგერა, გარკვეული სიმაღლის ბგერა, რომელიც შედის კანონზომიერად მოწესრიგებული მუს. სისტემის შემადგენლობაში (იხ. ტონი). მ. ბ-ში შემავალი ნაწილობრივი ტონები განსაზღვრავენ ტემბრს.

მუსიკალური გაფორმება, დრამატული სპექტაკლის, კინოფილმის, რადიოდადგმის, საცირკო წარმოდგენის და სხვ. მუსიკალური თანხლება, მუსიკალური გაფორმება მნიშვნელოვანი ფაქტორია მხატვრული ჩანაფიქრის გასახსნელად. მუსიკალური გაფორმების პირველ თავისებურ ნიმუშს წარმოადგენდა ბერძნული თეატრის გუნდი (ქორო). მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მუსიკალურ გაფორმებას შუა საუკუნეების მისტერიებში. მუსიკალური გაფორმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა კინოფილმის მუსიკა.

ს. ჟორდანია

მუსიკალური დრამა, 1. ოპერის ერთ-ერთი ადრინდელი სახელწოდება იტალიაში XVI-XVIII სს-ში, XIX ს-ში გერმანიაში მ. დ. ახალ მხატვრულ-დრამატურგიულ საფუძველზე აღადგინა ვაგნერმა. მისი ოპერები–მუს. დრამები–ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭედი“, „ტრისტან და იზოლდა“, „პარსიფალი“ და სხვ. აგებული იყო უწყვეტი განვითარების პრინციპზე, ცალკეული დასრულებული ნომრების გარეშე, უარყოფილი იყო ანსამბლები, გუნდი, ბალეტი და სხვ. 2. ოპერის ჟანრული სახესხვაობა, მაგ., მუსორგსკის ოპერა „ხოვანშჩინა“–სახალხო მ.დ. 3. დრამ. ნაწარმოები, რომელშიც, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსიკას. იგი განსაზღვრავს მის დრამატურგიულ სტრუქტურას. მისი ნიმუშები გვხვდება უძველეს და შუა სს. თეატრებში (ჩინეთი, ინდოეთი, ევრ. კათოლიკური ქვეყნები).

თ. ხუროშვილი

მუსიკალური თემა, (ბერძ. –მოთხრობის საგანი), განვითარებას დაქვემდებარებული მუსიკალური აზრი, გამოსახული შედარებით მცირე, დასრულებულ, რელიეფურ, მკაფიოდ გამომსახველ და ადვილად დასამახსოვრებელ მელოდიაში.

მუსიკალური თერაპია, მკურნალობა მუსიკის მეშვეობით. ძველთაგანვე ცნობილია, რომ მუსიკა დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანებისა და ცხოველების ქცევაზე. მუსიკალური ბგერები ზემოქმედებას ახდენენ ცვლიან სისხლის წნევას, მაჯისცემის სიხშირეს და ა.შ. მუსიკალურ თერაპიას იყენებენ დარღვეული ფსიქოლოგიური წონასწორობის მქონე და სულით ავადმყოფთა მკურნალობის დროს. რიტმის, ჰარმონიის და მელოდიის თვალსაზრისით სპეციალურად შექმნილი

ნაწარმოები ხელს უწყობს ავადმყოფთა ნორმალური კავშირის აღდგენას გარემო სამყაროსთან, დადებით გავლენას ახდენს გულსისხლ-ძარღვოვანი სისტემის დაავადებაზე, ჰიპერტონიაზე და სხვ.

მუსიკალური კომედია, კომედიურ სიუჟეტზე აგებული მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები. ხშირად მ. კ. იხმარება ისეთი მუს. სცენური ჟანრების გამაერთიანებელ ტერმინად, როგორიცაა ოპერეტა, ოპერა–ბუფი, ზინგშპილი, კომიკური ოპერა, ვოდევილი. ამ ჟანრს უახლოვდება ქართ. კლასიკური კომიკური ოპერა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე". მ. კ-ის პირველი ნიმუში საქ-ში შექმნა ვ. კურტიდიმ–„ხაჯარათი" (1939). თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა შორის მ. კ-ის ჟანრს დიდი ადგილი უჭირავს შ. მილორავას და გ. ცაბაძის შემოქმედებაში (იხ. სტ. „ოპერეტა").

მუსიკალური კონკურსი, მუსიკოს–შემსრულებელთა (მომღერალთა, ინსტრუმენტა-ლისტთა და კომპოზიტორთა) შეჯიბრი წინასწარ დადგენილი პირობების მიხედვით. მუსიკოსთა პაექრობის ისტორია იწყება ძვ. საბერძნეთსა და რომში. შუა საუკ. ევროპაში გავრცელებული იყო თვითნასწავლი მუსიკოს-შემსრულებლების–ტრუბადურების, ტრუვერების, მინეზინგერებისა და მაისტერზინგერების შეჯიბრი. მსგავსი პაექრობანი იმართებოდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, მ.შ. საქ-შიც (აშულთა შეჯიბრი). XVIII-XIX სს-ში საშემსრულებლო ხელოვნებაში (ორგანზე, კლავესინზე, ფ-ნოზე დაკვრა) ხშირად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს გამოჩენილი კომპოზიტორები. მ.კ. თანამედროვე სახით XIX ს-ში ჩამოყალიბდა. 1803 საფრანგეთში ჩატარდა I ეროვნ. კონკურსი რომის პრემიის მოსაპოვებლად. I საერთაშორისო კონკურსი (გიტარისტების) მოეწყო ბრიუსელში (1856). ანტონ რუბინშტეინის თაოსნობით დაარსდა და 1890 პეტერბურგში პირველად გაიმართა კომპ-ისა და პიანისტების რეგულარული საერთაშ. კონკურსი (ჩატარდა 5-ჯერ). I მსოფლიო ომის შემდეგ დაწესდა მთელი რიგი საერთაშ. კონკურსები. XX ს-ში მ. კ. ძირითადად ახალგაზრდა ნიჭიერ შემსრულებელთა გამოვლენას ემსახურება. 1957 ჟენევაში შეიქმნა საერთაშ. კონკურსების ფედერაცია, რომელიც 1959-იდან გამოსცემს ყოველწლიურ ბიულეტენს. ძირითადად მუს. კონკურსები ტარდება ერთსა და იმავე ქალაქში. ყველაზე მნ. მუს. კონკურსებია: პ. ჩაიკოვსკის სახ. (მოსკოვი, დაარსდა 1958), ბელგიის დედოფლის ელისაბედის სახ. (ბრიუსელი, 1951), მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. (პარიზი, 1943), ფ. შოპენის სახ. (ვარშავა, 1927), ჰ. ვენიავსკის სახ. (პოზნანი), ჯ. ენესკუს სახ. (ბუქარესტი), ახალგაზრდა საოპერო მომღერალთა (სოფია), ბუდაპეშტის, „პრაღის გაზაფხული", მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი ჟენევაში, ი.ს. ბახის სახ. (ლაიფციგი), რ. შუმანის სახ. (ცვიკაუ), ნ. პაგანინის სახ. (გენუა) და სხვ.

საქ-ში რეგულარულად ტარდება რესპუბლიკური, ხოლო 90-იანი წლებიდან პიანისტთა (1997,2001,2005) და ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსები,რომლებმაც აღიარება მოიპოვეს. ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთაგან მნიშვნელოვან საერთაშ. კონკურსებში გაიმარჯვეს: პიანისტებმა – ე. ვირსალაძემ, მ. მდივანმა, ე. ანჯაფარიძემ, ა. თორაძემ, ა. კორსანტიამ, ა. ტაკიძემ, ხ. ბუნიათიშვილმა, ე. ბოლქვაძემ და სხვ. მევიოლინეებმა – მ. და ნ. იაშვილებმა, ლ. ისაკაძემ, ლ. ბათიაშვილმა და სხვ; მომღერლებმა – ზ. სოტკილავამ, მ. ქასრაშვილმა, პ. ბურჭულაძემ, ა. რაჭველიშვილმა, ნ. მაჩაიძემ, გ. გაგნიძემ და სხვ.

ს. ჟორდანია

მუსიკალური პალეოგრაფია, პალეოგრაფიის დარგი, ისტორიული მეცნიერება,

რომელიც შეისწავლის მუსიკის ჩაწერის ძვ. სისტემებს (იხ. ნევმები, მენზურული ნოტაცია).

მუსიკალური საკრავები, საკრავები, რომელთაც ადამიანის მეშვეობით შეუძლიათ რიტმულად მოწესრიგებული და სიმაღლის მიხედვით ფიქსირებული ბგერების ან მკაფიოდ რეგულირებული რიტმის გამოცემა. თითოეულ მ. ს-ს ახასიათებს განსაკუთრებული ტემბრის ხმოვანება, საკუთარი დინამიკური მუს. გამომსახველობითი შესაძლებლობანი, გარკვეული დიაპაზონის ბგერები. მ. ს-ის ხმოვანების ხარისხი დამოკიდებულია საკრავის დასამზადებლად გამოყენებულ მასალასა და საკრავის ფორმაზე. ხმოვანების შეცვლა შესაძლებელია დამატებითი საშუალებებით (მაგ., სურდინით) ან დაკვრის სხვადასხვა წესით (პიციკატო, ფლაჟოლეტი). მ.ს. 2 ჯგუფად იყოფა—ხალხური და პროფესიული. ხალხ. მუს. საკრავები შეიძლება იყოს თვითმყოფადი, რომელიმე ერთი ერის კუთვნილება, ან ზოგადეროვნული, გავრცელებული ეთნიკური ან ხანგრძლივი ისტ.-კულტ. კონტაქტებით დაკავშირებულ ხალხებში.

პროფესიული მ.ს. შეადგენს სიმფ. (საოპერო), სასულე და საესტრადო ორკესტრებს. თითქმის ყველა პროფესიულ მ.ს. ხალხ. საკრავიდან წარმოიქმნა.

მ. ს-ის გვარის სახეობის განსაზღვრისათვის არსებობს კლასიფიკაციის სხვადასხვა სისტემა. უმთავრესია სამჯგუფიანი სისტემა, რომლის მიხედვით მ. ს. იყოფა სასულე, სიმებიან და დასარტყმელ საკრავებად. თავის მხრივ ყოველი მათგანი იყოფა ქვეჯგუფებად (მაგ., ხისა და სპილენძის ჩასაბერი საკრავები და სხვ.). თანამედროვე მ. ს-ს შორის განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის ელექტრონული საკრავები, რომელთა ბგერის წყარო არის ბგერის სიხშირის გენერატორი. ეს საკრავები 2 ჯგუფად იყოფა: ელექტრონულ და ადაპტირებულ საკრავებად. მაგ: ელექტროგიტარა. პირველი ნივთიერი საბუთები საქ. ტერიტორიაზე მ. ს-ის არსებობისა გვხვდება ძვ. წ. II-I ათასწლეულში (სამთავროში, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა გედის წვივის ძვლის სამთვლიანი სალამური, რომელიც ძვ. წ. XV-XIV სს-ით თარიღდება).

ლიტ. ძეგლებში დასახელებული საკრავებიდან დღემდე შემორჩენილია სიმებიანი (ჩამოსაკრავი—ფანდური, ჩონგური, მოსაზიდი-ჩანგი, ხემიანი-ჭუნირი, ჭიანური), ჩასაბერი (ლარჭემი ანუ სოინარი, უენო და ენიანი სალამური, გუდასტვირი და ჭიბონი) და დასარტყმელი საკრავები (დოლი, დიპლიპიტო); ხალხ. ყოფაში მეტ-ნაკლებად დამკვიდრდა აღმოსავლური მ. ს.: ზურნა, კავკასიური დუდუკი, დაირა, აგრეთვე, თარი და საზი; ევროპიდან შემოსული-გიტარა, გარმონი (აკორდეონი), კლარნეტი; აღმ. საქ. მთიან რაიონებში—მინიატიურული გარმონი („ბუზიკა“) და სხვ. საქ-ში მუს. საკრავებს ძირითადად აკომპანემენტის ფუნქცია ეკისრებათ.

ს. ჟორდანია

მუსიკალური სმენა, მუს. ბგერის სიმაღლის აღქმის, წარმოდგენისა და წარმოთქმის უნარი, მუს. ნაწარმოებში ბგერათა თანამიმდევრობისა და თანაფარდობის არსის აღქმა და განმარტება. არსებობს აბსოლუტური მ.ს. (როდესაც ცალკეული მუს. ბგერის სიმაღლის ამოცნობა და წარმოთქმა შეუძლიათ სხვა ცნობილი სიმაღლის ბგერასთან შეუდარებლად), შეფარდებითი მ. ს. (მუს. ბგერის სიმაღლის ამოცნობა სხვა ცნობილი სიმაღლის ბგერასთან შედარების საფუძველზე), აგრეთვე შინაგანი მ. ს. (მუს. წარმოდგენა გონებაში, შეუსრულებლად „მოსმენა“ და განცდა, ნოტების წაკითხვა მეხსიერებით).

მუსიკალური ფესტივალი, კონცერტებისა და სპექტაკლების ციკლი, რომელიც მიმდინარეობს განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში და რომელსაც აქვს

საერთო სახელწოდება და პროგრამა. არსებობს მონოგრაფიული (ერთი კომპოზიტორის მუსიკისადმი მიძღვნილი), თემატური (გარკვეული ჟანრის, ეპოქის ან სტილური მიმართულებისადმი მიძღვნილი), საშემსრულებლო ოსტატობის და სხვ. მუსიკალური ფესტივალები ტარდება რეგულარულად (2-3 წელიწადში ერთხელ) ან მუსიკალური ცხოვრების რაიმე საზეიმო მოვლენასთან დაკავშირებით. მუსიკალური ფესტივალი წარმოიშვა ინგლისში (ლონდონი 1709) და თავდაპირველად საეკლესიო მუსიკას უკავშირდებოდა. XIX ს. II ნახევარში ეწყობოდა ევროპის მრავალ ქვეყანაში. ფართოდ გავრცელდა XX ს-ში. მუსიკალური ფესტივალების უმრავლესობა მიზნად ისახავს ხალხთა შორის კულტურული კავშირის დამყარებას და საერთოდ მუსიკის პროპაგანდას.

მუსიკალური ფორმა, ურთიერთმოქმედი და ურთიერთდაკავშირებული გამომსახველობითი საშუალებების კომპლექსი, რომელიც ხორცს ასხამს გარკვეულ იდეურ-მხატვრულ შინაარსს.

მ. ფ. მუს. ნაწარმოების კომპოზიციური გეგმა, მისი აღნაგობაა. ცალკეული ნაწარმოების აღნაგობის სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, მაინც არსებობს მ. ფ-ის ისტორიულად დეტერმინირებული ტიპური ნორმატივები. მაგ. პერიოდი,უბრალო და რთული ორნაწილიანი ფორმა, სამნაწილიანი, რონდოს, სონატური ფორმა და სხვ. მ. ფ-ის უმცირესი აზრობრივი და სტრუქტურული ელემენტია მოტივი, ხოლო მისი საწყისი კომპონენტი–მუს. თემა. თემათა შეფარდება, მათი განვითარების ტემპი ქმნის საფუძველს, რომელზეც აიგება მუს. ნაწარმოების გეგმა. არსებობს ფორმათწარმოების მრავალი ფუნდამენტური პრინციპი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეპრიზის პრინციპს.

მუსიკალური ფსიქოლოგია, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მუსიკის აღქმის ფსიქოლოგიას. იგი იკვლევს მუს. ნიჭს (სმენით წარმოდგენებს, კილოს შეგრძნებას და სხვ.), მუს. შექმნისა და შესრულების შემოქმედებით აქტებს და ა. შ.

მუსიკალური შემსრულებლობა, მხატვრული შემოქმედების სახეობა, მუსიკის გახმოვანება ამა თუ იმ საშემსრულებლო საშუალებით. მ. შ. შეიძლება იყოს ვოკალური, საკრავიერი და შერეული (ვოკალურ-საკრავიერი). განსაკუთრებული სახეობაა ოპერა, რომელშიც მონაწილეობენ მომღერალ-მსახიობები, გუნდი და ორკესტრი, შემადგენლობის მიხედვით მ. შ. შეიძლება იყოს სოლო (ერთი შემსრულებელი) და კოლექტიური (შემსრულებელთა ჯგუფი). კოლექტიური შემსრულებლობა შეიძლება იყოს კამერულ-საანსამბლო (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და ა. შ.) სიმფ. და საგუნდო-დირიჟორის ან ლოტბარის ხელმძღვანელობით. მ. შ. ნიშნავს მუს. ნაწარმოების ინტერპრეტაციას. ეპოქისა და თვით კომპოზიტორის ესთეტიკური შეხედულებების, სოციალურ გარემოსა და საზ-ბის იდეოლოგიის, აგრეთვე შემსრულებლის მხატვრული ინდივიდუალობის ზეგავლენით იქმნება სხვადასხვა საშემსრულებლო სტილი.

მუსიკალური ციკლი, (ბერძ. წრე, რკალი) მრავალნაწილიანი ნაწარმოების ნაწილების ერთიანობა, რომლებიც განსაზღვრული წესით თანამიმდევრულად მისდევენ ერთიმეორეს. მ. ც-ს საფუძვლად უდევს კონტრასტის პრინციპი. მთავარი სახესხვაობები სონატურ-სიმფ. და სიუიტური ციკლები, ციკლურ ფორმებს მიეკუთვნება აგრეთვე მესისა და რეკვიემის ფორმებიც.

მუსიკალური წყობა, 1. მუსიკალურ ბგერებს შორის დამოკიდებულების (ინტერვალების) საყოველთაოდ მიღებული სისტემა. დასავლეთ ევროპულ მუსიკაში ჩამოყალიბდა 12-საფეხურიანი თანაბრად ტემპერირებული მუს. წყობა, რომლის ბგერათა რიგი აიგება ნახევარი ტონებით. მუს. ნაწარმოებში დიაპაზონი იყოფა ოქტავებად, თითოეული მათგანი მოიცავს 12 ნახევარ ტონს. ოქტავებს ბგერათა რიგის შუიდან ზემომიმართულებით ეწოდებათ I, მე-2, მე-3, მე-4; ქვემომიმართულებით—მცირე, დიდი, კონტროქტავა, სუბკონტროქტავა.

2. სამუსიკო საკრავების აწყობა თანამედროვე ტემპერირებული წყობის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუსიკის ისტორია, მუსიკალური ხელოვნების განვითარების თანამიმდევრული მატიანე. პირველყოფილი საზოგადოების წიაღში ჩასახვის დღიდან თანამედროვეობამდე.

მუს. კულტურის ისტორია მოიცავს ხალხ. და პროფესიული მუს. შემოქმედების, შემსრულებლობისა და მუს. ყოფის ყველა მხარეს. მ.ი. ასევე არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების ისტორიული ევოლუციის კანონზომიერებით განპირობებულ მუსიკის განვითარების პროცესს. ისტორიული მუსიკისმცოდნეობა ცდილობს, აღადგინოს მუსიკის საყოველთაო ისტორიის მთლიანი პანორამა, აგრეთვე შეისწავლის ცალკეული ხალხებისა ქვეყნების მუსიკის ისტორიას.

მუსიკისმცოდნეობა, მეცნიერება მუსიკის შესახებ: მუს. თეორიის, ისტორიის, მუს. ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, აკუსტიკის, ფსიქოლოგიის, ხელოვნების ესთეტიკური პრობლემების გამოკვლევა. მ. მოიცავს აგრეთვე კრიტიკასა და პუბლიცისტიკას. თეორიულ მ-ს მიეკუთვნება მუსიკის ცალკეული ელემენტების შემსწავლელი დისციპლინები-მელოდიკა,ჰარმონია,პოლიფონია, სწავლება მუს. ფორმის შესახებ და ა. შ. აგრეთვე მუს. შემსრულებლობისა და მუს. სმენის განვითარების პრინციპების სამეცნიერო მეთოდიკური დისციპლინები. ისტორიული მ. სწავლობს მუსიკის საყოველთაო ისტორიას და ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების მუს. ისტორიას. (იხ. სტ. „ქართული მუსიკისმცოდნეობა“).

მუსორგსკი მოდესტ პეტრეს ძე [9. III. 1839, სოფ. კარევო, ახლანდ. ტოროპეცის რ-ნი, კალინინის ოლქი, –16. III. 1881, პეტერბურგი], რუსი კომპოზიტორი, რუსული მუსიკალური კლასიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, 1849-იდან პეტერბურგის სამხედრო სკოლაში სწავლობდა. პარალელურად მეცადინეობდა პიანისტ ა. გერკესთან. 1856-57 მ. გაეცნო ა. დარგომიჟსკის, ვ. სტასოვს, მ. ბალაკირევს, რომელთა რჩევით დაიწყო სერიოზული მეცადინეობა კომპოზიციაში.

60-იან წლებში მ. ქმნის რომანსებს, სიმღერებს, სიმფ. სურათს „ღამე შიშველ მთაზე“ (1867), მუშაობს ოპერებზე „სალამბო“ (გ. ფლობერის რომანის მიხ.) და „ქორწინება“ (ნ. გოგოლის მიხ.), რომლებიც დაუმთავრებელი დარჩა. 1869 იწყებს მუშაობას თავის ცენტრ. ქმნილებაზე—ოპერა „ბორის გოდუნოვზე“ (ა. პუშკინის დრამის მიხ.), რომელშიც განზოგადება პოვა კომპ-ის შემ. პრინციპებმა (1869, დაიდგა 1874). ამ და მომდევნო ნაწ-ში მკაფიოდ გამოიხატა მ-ის კავშირი რუსეთის „60-იანელთა“ დემოკრატიულ იდეებთან. 70-იან წლებში მ. მუშაობდა სახალხო მუს. დრამაზე—„ხოვანშჩინა“ და ოპერაზე „სოროჩინცის ბაზრობა“ (ორივე ოპერის მუსიკის დიდი ნაწილი დაწერა. პირველი დაამთავრა

ნ. რიმსკი-კორსაკოვმა, მეორე–ც. კიუიმ). 70-იან წლებში შეიქმნა ვოკალური ციკლები „უმზეოდ“ (1874), „სიკვდილის სიმღერები და ცეკვები“(1877), ფართოდ ცნობილი საფ. ციკლი „სურათები გამოფენიდან“ (1874).

მ. კომპ-ნოვატორია, თავისი წინამორბედების მ. გლინკასა და ა. დარგომიჟსკის ეროვნული შემ-თი ტრადიციები მან თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. მისი ძიებები მუს. გამომსახველობის და მუს. ენის სფეროში ღირსეულად მხოლოდ XX ს-ში დაფასდა.

მ-მ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო რუსი (პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი, სვირიდოვი და სხვ.), არამედ საზღვარგარეთელი კომპოზიტორების (დებიუსი, იანაჩეკი და სხვ.) შემოქმედებაზე. მ-ის ტრადიციების ზეგავლენა იგრძნობა ქართულ მუსიკაშიც (შ. მშველიძე, ო. თაქთაქიშვილი).

მუტაცია (ლათ. mutatio-შეცვლა, ცვლილება),1. ხმის გარდატეხა ჭაბუკობის პერიოდში (იხ.ხმა). 2.შუა საუკუნის მუსიკის თეორიაში ერთი ჰექსაქორდიდან მეორეში გადასვლა (იხ. სოლმიზაცია).

მ. ჯაში

მულამი (აზერბ. <არაბ. მუკამ), აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის კილოების (ძველად 70-ს აღემატებოდა) ზოგადი სახელწოდება.

მუშკუდიანი თენგიზ ვარლამის ძე [12. VII. 1927, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბანი), საქ. სახ. არტისტი (1965). 1951 დაამთ. თბ. სამედიცინო ინ-ტი. 1955 თბ. კონს. (პროფ. ვ. ქაშაკაშვილის კლ.). მ. 1954-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო და ასრულებდა ბანის პარტიებს, რომელთაგან აღსანიშნავია: ბორისი, პიმენი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), მეწისქვილე (დარგომიჟსკის „ალი“), დონ ბაზილიო (როსინის „სევილიელი დალაქი“), გალიცკი (ბოროდინის „თავადი იგორი“), ცანგალა, ენგიჩარი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „ლატავრა“), ხევისბერი (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“), შერგილი (რ. ლაღიძის „ლელა“), მეფე გიორგი (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), დონ ჯოვანი (მოცარტის „დონ ჯოვანი“) და სხვ. სრული დიაპაზონის ლამაზი და სასიამოვნო ტემბრის ბანმა, მუსიკალობამ, არტისტულმა გარეგნობამ მ-ს აღიარება მოუპოვა. გადაღებულია კინოში („აბეზარა“, „დიდოსტატის მარჯვენა“). პედ. მუშაობას ეწეოდა თბ. I სამუსიკო სასწავლებელში (მისი დირექტორი იყო 1985-2005 წლებში) და კონს-ში (პროფესორი). მისი სახ. ვარსკვლავი გაიხსნა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ (2016).



მუქერია დავით ბორისის ძე [27.XII.1954, თბილისი], ქართველი დირიჟორი. შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი(1995). 1985 დაამთ. თბ. კონს. სპეციალობით საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა. 1987-დან არის ბათუმის სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორი. 1993-დან ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. დირიჟორია.

მისი დირიჟორობით ბათუმში დაიდგა ოპერები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", რ. ლაღიძის „ლელა", ჯ. ვერდის „აიდა", „ოტელო",

ბეთჰოვენის IX სიმფონია, ჯ. ვერდის „რეკვიემი"და სხვ.

2007-დან არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, 2009-იდან მონაწილეობდა ბათუმის I საერთაშ. ფესტივალში „ღამის სერენადები" (ხე-ლი ლიანა ისაკაძე). 2010 გასტროლები გამართა იაპონიაში ნინო ანანიაშვილთან ერთად. (პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა", ადანის „ჟიზელი").



მუქერია შალვა ბორისის ძე [23.IV.1964, თბილისი], ქართველი მომღერალი ტენორი. 1982 დაამთ. „ნიჭიერთა ათწლედი“ (კლარნეტი), 1989 თბ. სახელმწ. კონს. (კლარნეტი). 1985-88 თბ. ოპერის თეატრის ორკესტრის მუსიკოსი (I კლანრეტი). 1998 დაამთ. ოდესის კონს. პედ. ნ. ბერლაჩენკო, ხოლო შემდეგ იტალიაში ამეცადინებდა სალვატორე ფიზიკელა. კონს. დამთავრების შემდეგ 2004-მდე მღეროდა ოდესის ოპერისა და ბალეტის თეატრში. 2005-07 ვენის ოპერის თეატრის სოლისტი. 2007 მ-ას დებიუტი შედგა „ლა სკალას“ თეატრში, ტონიო (დონიცეტის „პოლკის ქალიშვილი“). ამჟამად ცხოვრობს მადრიდში.

პარტიები: ნემორინო, ედგარი, ლესტერი, პერსი, ერნესტო, ალამირი, ტონიო (დონიცეტი „სიყვარულის ნექტარი“, „ლუჩია დი ლამერმური“, „მარია სტიუარტი“, „ანა ბოლეინი“, „დონ პასკუალე“, „ბელიზარიო“, „პოლკის ქალიშვილი“); რუდოლფი, არტური (პუჩინის „ბოჰემა“, „პურიტანები“); ელვინო, ტიბალტი (ბელინი „სომნამბულა“, „კაპულეტი და მონტეკი“); ალფრედი, ჰერცოგი, კასიო, ფენტონი (ვერდის „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „ოტელო“, „ფალსტაფი“). ახალგაზრდა ბოშა (რახმანინოვის „ალეკო“); არლეკინი (ლეონკავალოს „ჯამბაზები“) და სხვ.

მუხამბაზი, ლექსის ფორმა ქართულ პოეზიაში, რომელიც გავრცელებული იყო XVIII და XIX ს-ში, მ-ს თხზავდნენ სასიმღერო შესრულებისათვის მუსიკის თანხლებით.

მუხთაროვა ფატმა სათარის ასული [26. III. 1893, ურმია, ახლანდ. რეზაიე, ირანი,–19. X. 1972, ბაქო], აზერბაიჯანელი მომღერალი (მეცო-სოპრანო). აზერბ. სახ. არტისტი (1940), საქ. დამს. არტისტი (1936). 1914 დაამთ. სარატოვის კონს. და შემდგომ მღეროდა მოსკოვის, ყაზანის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ოდესის, თბ. საოპერო თეატრებში. 1938-53 ბაქოს საოპერო თეატრის სოლისტი; გამოირჩეოდა ლამაზი ტემბრის ძლიერი ხმით, აქტიორული ნიჭით, არტისტული ტემპერამენტით. თბილისელი მაყურებლის ერთ-ერთი საყვარელი მომღერალი იყო. მისი პარტნიორები იყვნენ ვ. სარაჯიშვილი და ქართველ მომღერალთა შემდგომი პლეადა. მ-ს საუკეთესო პარტიებია: კარმენი, ამნერისი, დალილა და სხვ.

მშველიძე არჩილ სევასტის ძე [25. IV. 1906, გორი, – 4..IX. 1981, მოსკოვი], მუსიკისმცოდნე, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. დაამთ. თბ. კონს-ის თეორიული განყ. 1934, ლენინგრ. კონს-ის ასპირანტურა (1938, ხე-ლი ი. ტიულინი). 1939-46 ასწავლიდა თბ. კონს-ში. 1946-იდან მოსკოვშია, მუშაობდა გამომც. „მუზიკაში“ რედაქტორად. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. შედგენილი აქვს კრებულები „ქართ. ხალხ. სიმღერები“ (მოსკ. 1958), „ქართ. ხალხ. ქალაქური სიმღერები“

(მოსკ. 1961, მე-2 თბ. 1970). ძირითადი შრომები: „ქართ. ხალხ. მუს.“ (მოსკ. 1969), „საქ-ში მუს. განათლების ისტორიის ნარკვევები“ (მოსკ. 1971, თბ. 1976)– ამ დარგის ფუძემდებლური ნაშრომი, ნარკვევები „ალ. რაზმაძე“, „ხარლამპი სავანელი“, „სლავური სიმღერა და XVIII ს. ქართ. ლირიკული პოეზია“ და სხვ.

მშველიძე შალვა მიხეილის ძე [15. V. 1904, თბილისი,–4. III. 1984, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე, საქ. სახ. არტისტი (1958). სსრკ სახელმწ. (1941, 1947) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების, აგრეთვე ინდოეთის ჯ. ნერუს სახ. პრემიის (1973) ლაურეატი. 1930 დაამთ. თბ. კონს. (მ. ბაგრინოვსკის საკომპ. კლ.). მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. მუს. კულტურის განვითარებაში, ქართ. ეპიკური სიმფონიზმის ფუძემდებელია. აღსანიშნავია აგრეთვე მისი ღრმად ეროვნული საგუნდო და საოპერო შემოქმედება. მ-მ მრავალი სტილისტური სიახლე შეიტანა ქართულ მუსიკაში, კერძოდ, დაამკვიდრა საქ. „მთის“ ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ინტონაციურ-ჰარმონიული პლასტი. 1929-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1942-იდან პროფ.). სხვადასხვა დროს მუშაობდა კონს-ში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (კათედრის გამგე, დირექტორი). საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ხელმძღვანელად, თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორად. 1941-51 იყო საქ. კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, მისი ნაწარმოებებია: ოპერები „ამბავი ტარიელისა“ (1946), „დიდოსტატის მარჯვენა“ (1961), ორატორიები–„კავკასიონი“ (1949), „მარადი თქმულება“ (1970); 6 სიმფონია, ქართული სიმფ. მუსიკის ერთ-ერთი მწვერვალი–სიმფ. პოემა–„ზვიადაური“ (1940), აგრეთვე „მინდია“ (1950); აღსანიშნავია სიმფ. სურათები– „აზარი“, „ფშაური“, „მზის ამოსვლა“ სიმფ. სიუიტები: „პოლიფონიური“ და „ინდური“ (1955), მ-ს ეკუთვნის აგრეთვე სიმღერების კრებული, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისა და კინოსათვის, ფუნდამენტური სახელმძღვანელო „საკრავთმცოდნეობა“ (თბ. 1965).

ა. წულიკიძე

„მძლავრი ჯგუფი“, რუს კომპოზიტორთა შემოქმედებითი გაერთიანება, რომელიც ჩამოყალიბდა XIX ს. 50-იანი წწ. დასასრულსა და 60-იანი წწ. დასაწყისში. ცნობილია აგრეთვე ახ. რუსული მუს. სკოლის ან „ბალაკირევის წრის“ სახელწოდებით. „მ. ჯ-ის“ შემადგენლობაში შედიოდნენ: მ. ბალაკირევი, ა. ბოროდინი, ც. კიუი, მ. მუსორგსკი, ნ. რიმსკი–კორსაკოვი, მუსიკისმცოდნე. ვ. სტასოვი. ჯგუფის პროგრამა და იდეურ-ესთეტიკური შეხედულებები, რეალისტური შემ-ის მეთოდი 60-იანი წლების დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენით ჩამოყალიბდა. სიმფ. ნაწარმოებებში, რომლებიც უმთავრესად პროგრამულია, დიდი ადგილი უჭირავს ხალხურ ყოფას, ზღაპარსა და ეპოსს. „მ. ჯ-ის“ წევრები დიდად აფასებდნენ ხალხ. სიმღერას, რომელიც მათი ნაწარმოებების მუს. ენის ძირითადი საფუძველი იყო. „მ. ჯ-ის“ კომპ-თა შემ-მ მსოფლიო აღიარება მოიპოვა და გავლენა მოახდინა არა მარტო რუს, არამედ სხვადასხვა ეროვნ. სკოლების წარმომადგენელ კომპ-ზე.

მჭედლიძე დიმიტრი სიმონის ძე [14. I. 1904, სოფ. სვირი, ზესტაფონის რ-ნი,–21. XII. 1983, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბანი). საქ. სახ. არტისტი (1954). სწავლობდა

თბილისისა (1922-25, ე. რიადნოვის კლ.) და ლენინგრადის (1925-32, პ. ანდრეევის კლ.) კონსერვატორიებში. 1927-32 მ. იყო ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის, ხოლო 1933-52 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი, 1950-52 ამ თეატრის სარეპერტუარო ნაწილისა და საოპერო დასის გამგე. 1952-63 და 1967-73 იგი თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი და სამხ. ხე-ლია. 1969-73 ამ თეატრის ფილიალის-ქუთაისის საოპერო თეატრის დირექტორი. ფლობდა ლამაზი ტემბრის ხმას. დაჯილდოებული იყო სცენური ნიჭით. მთ. პარტიებია: ცანგალა (ფალიაშვილის „დაისი“), ბორისი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), მეწისქვილე (დარგომიჟსკის „ალი“), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), გუდალი (რუბინშტეინის „დემონი“ და სხვ.). 1955-იდან თბ. კონს-ის პედაგოგი იყო. მოწაფეები: თ. ლაფერაშვილი, ჯ. მდივანი, რ. კუბლაშვილი და სხვ. ავტორია წიგნისა „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“ (თბ. 1968) და სხვ.

მჭედლიშვილი ივანე (ვანო) გიორგის ძე [1903, სოფ. კაკაბეთი, საგარეჯოს რ-ნი, -1970, თბილისი], ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი და ლოტბარი. საქ. ხელოვ. დამს. მოღვაწე (1951). ფლობდა უნიკალური ტემბრის ლამაზ კოლორიტულ ხმას, გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, შესანიშნავად უკრავდა ფანდურზე. 1936 მ. ჩაირიცხა აღმ. საქ. სიმღერისა და ცეკვის ეთნოგრაფიულ ანსამბლში, რომელსაც სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა. 1937-იდან აყალიბებდა და ხელმძღვანელობდა საგუნდო კოლექტივებს. 1940 მ. ჩაირიცხა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლში სოლისტად. 7 წლის შემდეგ კი დანიშნეს ამავე ანსამბლის ლოტბარად. მან პირველად ააჟღერა მთელი რიგი ქართლ-კახური სიმღერები, რომლებიც დღემდეა რეპერტუარში. აღსანიშნავია მ-ის როგორც სიმღერის შემკრებისა და აღმდგენელის მოღვაწეობა, ბევრი სიმღერა პირადად მის მიერ არის დამუშავებული: „კალოსპირული", „წინწყარო", „არხალალო", „შენ ბიჭო ანაგურელო“ და სხვ.

მ. აღზარდა მთელი პლეადა მომღერლებისა მ.შ. ჰამლეტ გონაშვილი.

ნ

ნადარეიშვილი ზურაბ ზურაბის ძე [4. I. 1957, ფოთი], ქართველი კომპოზიტორი. 1987 დაამთ. თბ. კონს. (ხე-ლი პროფ. ბ. კვერნაძე). 1993-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას თბ. კონს-ში. კინოსტუდია „კვალის“ მუსიკალური რედაქტორია (1997-იდან), ნ-ის ნაწარმოებებია: ოპერა „Aphaniptera et formisidae“, („რწყილი და ჭიანჭველა“, 2001), ვარიაციები ფ-ნოსა და ორკესტრისათვის (1994. დაჯილდოვდა III პრემიით ს.-პეტერბურგის ს. პროკოფიევის სახ. საერთაშ. კონკურსზე, 1997), „საგალობლები“ ინსტრუმ. ანსამბლისათვის (1990), 2 სიმებიანი კვარტეტი (I პრემია სსრკ ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონკურსზე, 1987), საფ. ტრიო (საქ, კომპ. კავშირის პრემია, 1993), საფ. კვინტეტი (1997), მუსიკა კინოსა და ანიმაციური ფილმებისათვის და სხვ. ნ. თანამედროვე ქართ. მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

გ. ტორაძე

ნაკაშიძე მერი ნაზარის ასული [1(14).IV.1914, სიღნაღი, – 27. VII. 1986, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ.– კოლორატურული სოპრანო), საქ. სახ. არტისტი (1955). 1936 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლ.), 1936-63 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. ლამაზი ხმისა და შესანიშნავი სცენური გარეგნობის მქონე მსახიობმა შექმნა მრავალი დასამახსოვრებელი ვოკალურ-სცენური სახე: მარო, ლატავრა (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „ლატავრა“), ქეთო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ცირა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), ლაკმე (დელიბის „ლაკმე“), ვიოლეტა, ჯილდა (ვერდის „ტრავიატა“, „რიგოლეტო“), როზინა (როსინის „სევილიელი დალაქი“), მარფა (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“) და სხვ. ეწეოდა ნაყოფიერ საკონცერტო მოღვაწეობას. წარმატებით ასრულებდა გლიერის კონცერტს ვოკალისათვის, ი. შტრაუსის ვალსს „ვენის ტყის ზღაპარები“, ბრუსილოვსკის „ორ მერცხალს“, უკრაინულ ხალხ. სიმღერას „სოლოვეიკო“ და სხვ. გაახმოვანა ქეთოს პარტია ფილმში „ქეთო და კოტე“ (1948) და სხვ.

ნანა 1. სიმღერა, რომლითაც აძინებენ ბავშვებს; 2. გავრცელებული სიმღერის ჟანრი მთელ მსოფლიოში. XVIII ს. ბოლო წლებიდან შედის პროფესიულ-ვოკალურ ლირიკაში. ნ-ს ჟანრს მრავალი კომპოზიტორის შემოქმედებაში ვხვდებით.

ნანობაშვილი მიხეილ იორდანეს ძე (მიშელ დარიალი) [1878, თელავი–, – 13.IX.1941, პარიზი], უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი (ტენორი). ახალგაზრდობაში თბ.

ეგზარქოსის გუნდში მღეროდა. იგი 1896 შევიდა პეტერბურგის კონს-ში, შემდეგ კი მეცადინეობდა პროფესორ გაბელთან. 1900 გაემგზავრა იტალიაში, სწავლობდა მილანში. 1908-24 ნ. პარიზის „გრანდ ოპერის“ მომღერალი იყო. გასტროლებს მართავდა იტალიაში, აშშ-ში, თურქეთში, ესპანეთში, რუსეთში, ეწვია თბილისსაც (1911, 1920). ჰქონდა ლამაზი ტემბრის ხავერდოვანი ხმა, ვირტუოზული ტექნიკა. მაღალი ოსტატობით აქვს შესრულებული პარტიები: რაული (მეიერბერის „ჰუგენოტები“), ფაუსტი (ბოიტოს „მეფისტოფელი“), დონ ხოზე (ბიზეს „კარმენი“), ვერთერი (მასნეს „ვერთერი“) და სხვ.

ნასიძე სულხან ივანეს ძე [17. III. 1927, თბილისი,– 23. IX. 1996, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1980). 1950 დაამთ. თბ. კონს. საფ. (ხე-ლი პროფ. ა. სვანიძე) და 1955 საკომპ. (ხე-ლი პროფ. ი. ტუსკია) განხრით. 1963-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1979-იდან პროფ. და კომპ. კათედრის გამგე). განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობდა სიმფ. და საკრავიერი მუსიკის სფეროში. მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: 8 სიმფონია (1957-1992), რომელთა შორის გამოირჩევა მე-3 („კამერული“ 1969), მე-5 „ფიროსმანი“ (1977), მე-6 „პასიონე“ (1978), მე-7 „დალაი“ (1979), მე-8 „ლიტურგიული“ (1992) სიმფონიები; 2 საფ. (1955, 1961), სავიოლინო (1968), ჰობოის (1994) კონცერტები და სხვ. 5 სიმებიანი კვარტეტი (1968-92), საფ. ტრიო, რაფსოდია ძველი თბილისის თემებზე ორკესტრისათვის, პოლიფონიური სონატა, ვოკალური ციკლი ბანისათვის „ქართ. ხალხ. პოეზიიდან“ (1969), ოპერეტა „სტუდენტები“, ორატორია „ჩემი სამშობლო“ (1967), ბალეტი „ორფევსი“ (1973) და სხვა. ნ. თვალსაჩინო საზ. მოღვაწე იყო. 1974-1990 საქ. სახელმწ. ფილარმონიის სამხ. ხე-ლი 1992-1996 საქ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე იყო. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატია (1973), ნ. თანამედროვე ქართული მუსიკის გამოჩენილი წარმომადგენელია.

მ. ტორაძე

ნალარა, აზიის ქვეყნებში გავრცელებული დასარტყამი საკრავი. მისი სამშობლო ინდოეთია. არაბეთის ქვეყნებიდან და ეგვიპტიდან ევროპაშიც გავრცელდა. თანამედროვე ნ. დიდი ზომის დიპლიპიტოა. იგი შედგება 2 მოზრდილი ჭურისაგან, რომელზედაც თხის, ნუკრის ან მოზვრის ტყავია გადაჭიმული. ნ-ის ორივე ჭური ქვევით დაგრძელებულია ქვევრის მსგავსად, ზევით წაკვეთილია. იგი მზადდება გამომწვარი თიხის, სპილენძის ან ხისაგან. დასარტყამად მრგვალთავიან მაგარ ჯოხს იყენებენ. ნ-ს უკრავენ სახალხო ზეიმსა და დღესასწაულზე, ქორწილის, სამგლოვიარო ცერემონიების, აგრეთვე სამხედრო ლაშქრობის დროს. ნ. საორკესტრო საკრავიცაა.

ნეაპოლის საოპერო სკოლა. იტალიური მუსიკალური ხელოვნების დიდი საკომპოზიტორო და ვოკალური საშემსრულებლო სკოლა. წარმოიშვა XVII ს. მიწურულს. ნ. ს. ს-ში ჩამოყალიბდა ოპერა–სერიის ტიპი, შეიქმნა არიის მყარი ფორმები (სამნაწილიანი არია და-კაპო), უვერტიურის სახე (ე.წ. იტალიური უვერტიურა), რეჩიტატივების ტიპები; განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია სოლო სიმღერის ხელოვნებამ (ბელკანტო)–როგორც მღერად–მელოდიურმა (კანტილენურმა), ასევე ვირტუოზულ-კოლორატურულმა.

ნ. საკომპოზიტორო სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან: ა. სკარლატი, ნ. პორპორა, ნ. იომელი და სხვები.

ნეაპოლური სიმღერა (იტალ. canzone napoletana), ყოფითი და საესტრადო-ლირიკული სიმღერის ჟანრი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული იტალიასა და მის საზღვრებს გარეთ. ახასიათებს განსაკუთრებული მღერადობა, პლასტიკურობა, ნატიფი მელოდია, დიდი ექსპრესიულობა, შეიქმნა XVII ს-ში ნეაპოლური ოპერა–ბუფის სოლო ნომრებისაგან. ნ.ს-ის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია „მე შენ ძლიერ მიყვარხარ“, რომელსაც გ. დონიცეტის მიაწერენ (დაახ. 1835). უფრო გვიანდელი პოპულარული ნეაპოლური სიმღერებია: ტ. კოტრაუს „სანტა–ლუჩია“ (1850), ლ. დენცას „ფუნიკული-ფუნიკულა“ (1880), ე. დი კაპუას „ჩემი ვარსკვლავი“ (1898), ე. დე კურტისის „დაბრუნდი სორენტოში“ (1902), დ. მოდუნოის „ლაძარელა“ (1957) და სხვ. ნ.ს-ის გამოჩენილი შემსრულებლები იყვნენ: ჯ. პასკუარიელო, ე. დონარუმა (XX ს. დასწყისი); ე. კარუზო, ბ. ჯილი, თანამედროვეთაგან–ლ. ტაიოლი, კ. ვილა და სხვ.

ნევმები (გვიანდ. ლათ. neuma<ბერძ. pneuma-სუნთქვა), სანოტო დამწერლობის ნიშნები, იხმარებოდა ევრ. მუსიკის ხელოვნებაში. შუა სს-ის დასაწყისში (უმთავრესად კათოლიკურ გალობაში). შედგებოდა ხაზების, წერტილებისა და მძიმეებისაგან. ნ-ს იყენებდნენ მხოლოდ ვოკალური მუსიკის ჩასაწერად; იგი არ აღნიშნავდა ბგერის ზუსტ სიმაღლეს, მხოლოდ მოაგონებდა მომღერალს უკვე ცნობილ მელოდიას, მიუთითებდა ხმის აღმავალ და დაღმავალ მოძრაობასა და მელიზმებზე. მრავალხმიანობის განვითარებას მოჰყვა ნ-ური დამწერლობის რეფორმა. იხ. გვიდო დ' არეცო, მენზურული ნოტაცია.

ნეიგაუზი გენრიხ გუსტავის ძე [31. III. (12. IV). 1888, ელიზავეტგრადი, –10. X. 1964, მოსკოვი], რუსი პიანისტი, პედაგოგი, რსფსრ სახ. არტისტი (1956). 1915 ექსტერნის წესით დაამთ. პეტროგრადის კონს. 1916-18 თბ. მუს. სასწავლებლის, 1918-22 კიევის კონს-ის პედაგოგი (1919-იდან პროფ.), 1922-64 მოსკ. კონს-ის პროფესორი (1935-37 დირექტორი). ნ. მკვეთრად გამოხატული რომანტ. სტილის პიანისტი იყო. შესანიშნავად ასრულებდა ლ. ბეთჰოვენის, რ. შუმანის, ფ. შოპენის, ფ. ლისტის, ი. ბრამსის, ა. სკრიაბინის, ს. პროკოფიევის, დ. შოსტაკოვიჩისა და სხვ. ნაწარმოებებს. მისი მოწაფეები არიან ს. რიხტერი, ე. გილელსი, ი. ზაკი, ს. ნეიგაუზი, ა. ნიჟარაძე. 1948-55 სისტემატურად ჩამოდიოდა თბ-ში (კონცერტები, ღია გაკვეთილები). მისი შვილია ცნობილი პიანისტი სტანისლავ ნეიგაუზი (1927-1980).

ნეოკლასიციზმი, XX ს. 20-30-იანი წლების მიმდინარეობა მუსიკაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძვ. კლასიკური მუსიკის (უპირატესად, ბაროკოს ეპოქის) მხატვ. აზროვნების ტიპური პრინციპების ან ჟანრებისადმი მიმართვა. იგი იქცა იმ მხატვ. ტენდენციების ანტიპოდად,რომლებიც დაკავშირებული იყო რომანტიზმთან (იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი,

ვერიზმი). ნ-ის გამოვლინების ადრინდელმა ნიშნებმა თავი იჩინა XIX ს-ის მე-2 ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის კომპ-თა (ი. ბრამსი, ს. ფრანკი, მ. რეგერი, ს. ტანეევი და სხვ.) შემ-ში. ყველაზე დასრულებული გამოხატულება კი პოვა–ი. სტრავინსკის, პ. ჰინდემითის (ამ მიმართულების ყველაზე მნ. წარმომადგენლების), აგრეთვე ა. კაზელას, ფ. ბუზონის, ფრანგი კომპოზიტორების „ექვსეულის“ შემ–ში. ნ-თვის დამახასიათებელი ძველებური სტილებისა და ჟანრების თავისუფალი გამოყენება XX ს-ის მე-2 ნახ. მუსიკის ერთ-ერთ თვისებად იქცა

ნეჟდანოვა ანტონინა ვასილის ასული [4.(16).VI. 1873, კრივაია-ბალკა, ახლანდ. სარატის რ-ნი, ოდესის ოლქი, - 26. VI. 1950, მოსკოვი], რუსი მომღერალი (ლირ.- კოლორატურული სოპრანო). სსრკ სახ. არტისტი (1936), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1944). 1899-1902 სწავლობდა მოსკოვის კონს.-ში (უ. მაზეტის კლ.), 1902 – იდან მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი იყო. 1912 გამოდიოდა პარიზის „გრანდ ოპერაში“. ნ-ს ქონდა ნაზი ტემბრის, დიდი დიაპაზონის სოპრანო, რომელსაც ახასიათებს სრული ხმოვანება ყველა რეგისტრში, კანტილენა და ვირტუოზული კოლორატურა. მნიშვნელოვანი პარტიები: ანტონიდა (გლინკას „სიცოცხლე მეფისათვის“), ჯილდა (ვერდის „რიგოლეტო“), ლიუდმილა (გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“), როზინა (როსინის „სევილიელი დალაქი“), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ელზა (ვაგნერის „ლოენგრინი“) და სხვ. ნ-ს უცვლელი პარტნიორი იყო ლ. სობინოვი. 1943 – იდან მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი. სსრკ სახელმწ. პრემია (1943).

ნესტერენკო ევგენი ევგენის ძე [8.I.1938 მოსკოვი], მომღერალი (ბანი) სსრკ სახ. არტისტი (1976). 1965 დაამთ. ლენინგრადის კონს., 1963-71 იყო ლენინგრადის საოპერო თეატრის, ხოლო 1971-იდან სსრკ დიდი თეატრის სოლისტი. ნ. სისტემატურად გამოდიოდა მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრებში, წარმატებით ასრულებდა ბანის წამყვან პარტიებს რუსულ და დას. ევროპულ ოპერებში. შეასრულა კაც ზვამბაიას პარტია ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცების“ მოსკოვურ დადგმებში. არაერთი საერთაშ. კონკურსის ლაურეატია, მინიჭებული აქვს ლენინის სახელმწ. პრემია (1982), მოსკოვის კონს-ის პროფესორია (1982-იდან).

ნიაზი (თაღიზადე-ჰაჯიბეკოვი ნიაზი ზულფუგარ ოღლუ) [7. VIII. 1912, თბილისი,–2.. VIII.1984, ბაქო], აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, საზ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1959). ნ. 1925-31 სწავლობდა თბ. კონს-ში. 1937-48 იგი იყო ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, 1961-65 დირექტორი, მთ. დირიჟორი და სამხ. ხელმძღვანელი. 1960-61 ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. დირიჟორი, 1938-იდან ნ. აზერბაიჯანის სიმფ. ორკესტრის სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორი. შექმნილი აქვს სხვადასხვა ჟანრის მუს.

ნაწარმოებები, სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951,1952).

ნიკიში (Nikisch) არტურ [12.X.1855, ლებენი-სენტ-მიკლოში, –23. I. 1922, ლაიფციგი], უნგრელი დირიჟორი და პედაგოგი. 1866-73 სწავლობდა ვენის კონს-ში 1874-77 იქვე სამეფო კარის ორკესტრში უკრავდა ვიოლინოზე. 1878-იდან ლაიფციგის საოპერო თეატრის დირიჟორია, ხოლო 1882-89 მთ. დირიჟორი (1905-06 დირექტორი), ნ. ხელმძღვანელობდა მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრებს-ბოსტონის სიმფ. ორკესტრს (1889-93), ლაიფციგის „გევანდჰაუზს“ (1895-1922) და ბერლინის ფილარმონიულ ორკესტრს, ერთდროულად, სიმფ. ორკესტრს ჰამბურგში (1897). 1893-95 ბუდაპეშტის საოპერო თეატრის მთ. დირიჟორი და დირექტორი. ნ. სადირიჟირო ხელოვნ. რომანტ. მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია. პროპაგანდას უწევდა პ. ჩაიკოვსკის, გერმ. რომანტიკოსებისა და მისი თანამედროვე გერმ. კომპოზიტორების–ა. ბრუკნერის, გ. მალერის, რ. შტრაუსის მუსიკას.

ნიჟარაძე ალექსანდრე შალვას ძე [21.VII. 1932, თბილისი,–18.XII. 1991, მოსკოვი], ქართველი პიანისტი და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1987), 1950 დაამთ. თბ. ცენტრალური მუს. სკოლა (პედ. ე. ჩერნიავსკაიას კლ.), 1956–მოსკოვის კონს. (ხე-ლი პროფ. გ. ნეიგაუზი). 1957-59 თბ-ში გაიარა ასპირანტურის კურსი პროფ. ა. ვირსალაძის ხელმძღვანელობით. 1959-იდან პედ. მუშაობას ეწეოდა თბ. კონს-ში (1967–დოცენტი, 1982–პროფ.). საკონცერტო მოღვაწეობას იწყებს 1956-იდან. საქ-სა და სსრკ ქალაქებში, მოგვიანებით–საზღვარგარეთის ქვეყნებში (გდრ, პოლონეთი, უნგრეთი). 1960 ამიერკავკასიის მუსიკოს –შემსრულებელთა I კონკურსის ლაურეატი გახდა. ნ-ის დაკვრა გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, საშემსრულებლო კულტურით. რეპერტუარში ძირითადად ჰქონდა კლასიკური და რომანტიკული საფორტეპიანო ლიტერატურის ნიმუშები, აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

გ. ტორაძე

ნიუანსი (ფრანგ. nuance–ელფერი), მუსიკის ხმოვანების ელფერი.

ნომერი, 1. შედარებით დასრულებული უმცირესი ეპიზოდი ოპერის, ბალეტის ან ოპერეტისა, რომელიც შეიძლება შესრულდეს აგრეთვე ცალკე, დამოუკიდებლად; 2. რაიმე სანახაობის (კონცერტის, წარმოდგენის) ნაწილი, რომელიც ცალკე სრულდება.

ნონა (ლათ. nona–მეცხრე), 1. ინტერვალი, რომელიც წარმოადგენს ოქტავისა და სეკუნდის ჯამს. 2. გამის მეცხრე საფეხური.

ნონაკორდი, ხუთი სხვადასხვა სახელწოდების ბგერის შემცველი აკორდი. ტერციებად განლაგებული ეს 5 ბგერა იკავებს ნონის მოცულობას (აქედანაა სახელწოდება). იხ. აკორდი.

ნონეტი (იტალ. nonetto<ლათ. nonus-მეცხრე), 1. ცხრა შემსრულებლისათვის განკუთვნილი, უპირატესად სონატურ-ციკლური ფორმის ნაწარმოები. ნ-ის საფუძველს, ჩვეულებრივ, ქმნის სიმებიანი კვარტეტი ან კვინტეტი, რომელსაც ემატება სხვადასხვა სასულე საკრავი. არსებობს აგრეთვე ვოკალური ნ. ან ნ. მხოლოდ სასულე ორკესტრისათვის. 2. ცხრა შემსრულებლისაგან შემდგარი ანსამბლი.



ნონო (Nono) ლუიჯი [29. I. 1924, ვენეცია,–8.V.1990, ვენეცია], იტალიელი კომპოზიტორი. იტალ. წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე, იტალიის კომპარტიის წევრი (ფ. მალიპიეროს მოწაფე). 50-იან წლებში პ. ბულეზსა და კ. შტოკჰაუზენთან ერთად სათავეში ჩაუდგა მუს. ავანგარდიზმს. ნ. სერიული სკოლის წარმომადგენელია. იგი თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებს ალეატორიკასა და ელექტრონულ მუსიკას. ნაწარმოებები: „ფედერიკო გარსია ლორკას ეპიტაფია“ (1953), კანტატა „შეწყვეტილი სიმღერა“ (1956), საორკესტრო კომპოზიცია (1958), „პოლონეთის დღიური“ (1959, დაწერილია სიკვდილის ბანაკების ნახვის შემდეგ), კანტატა „ჰიროსიმის ხიდზე, სიცოცხლისა და სიყვარულის სიმღერები“ (1962), ვოკალურ-ელექტრონული კომპოზიცია „აჩრდილი ბორგავს მსოფლიოში“ (1970), რამდენიმე ოპერა („პრომეთეოსი“, 1985) და სხვ.

ნოტაცია მუსიკალური ბგერებისა და მთელი მუს. ნაწარმოების ჩაწერა სპეციალური გრაფიკული ნიშნების (ნოტების) საშუალებით. აგრეთვე ამ ჩაწერის ხერხები. (იხ. სანოტო დამწერლობა).

ნოტები (ლათ. nota, სიტყვასიტყვით წერილობითი ნიშანი), 1. მუსიკის ჩასაწერი პირობითი გრაფიკული ნიშნები. 2. ფურცლები, რვეულები ან მთელი ტომები, რომლებზედაც ჩაწერილია მუსიკალური ნაწარმოებები.

ნოქტიურნი (ფრანგ. nocturne, სიტყვასიტყვით–ღამისა), 1. XVII ს-ში მცირე ზომის პიესების ციკლი (სიუიტის სახეობა) სასულე ან სასულე და სიმებიანი საკრავების ანსამბლებისათვის. 2. XIX ს-ში მღერადი ლირიკული მუს. პიესა, უმეტესად ელეგიურ-საოცნებო ხასიათისაა. იწერება მდორე ან ზომიერ ტემპში. შუა ნაწილი ზოგჯერ მღელვარე, ცოცხალი ხასიათისაა. ნ-ს როგორც ერთნაწილიანი საფ. პიესის ჟანრს, საფუძველი ჩაუყარა ჯ. ფილდმა. საფ. ნ-ის სრულყოფილი კლასიკური ნიმუშები (21) შექმნა ფ. შოპენმა.

ო

ობერი (Auber) დანიელ ფრანსუა ესპრი [29. I. 1782, კანი,–12.V. 1871, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი და მუსიკის მოღვაწე. 1842-იდან პარიზის კონს-ის დირექტორი, 1857-იდან სამეფო კარის კაპელმაისტერი. ო. 40-ზე მეტი ოპერის ავტორია, რომელთა უმეტესობა კომიკურია. ამავე დროს, ჯ. მეიერბერთან ერთად ო. „დიდი ოპერის“ ჟანრის ერთ-ერთი შემქმნელია („პორტიჩელი მუნჯი ქალიშვილი“ ანუ „ფენელა“, 1828). მისი კომიკური ოპერებიდან პოპულარობა მოიპოვა „ფრა დიავოლომ“ (1830), „ბრინჯაოს ცხენმა“ (1835), „შავმა დომინომ“ (1837). თბ-ში დაიდგა ო-ის ოპერები „ფენელა“ (1853) და „ფრა დიავოლო“ (1879).

ობრაზცოვა ელენა ვასილის ასული [7. VII. 1939, ლენინგრადი], რუსი მომღერალი (მეცო სოპრანო). სსრკ სახ. არტისტი (1976). 1964 დაამთ. ლენინგრადის კონს. იმავე წლიდან მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია. აქვს, ძლიერი, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა, მკაფიო ინდივიდუალობა. ო. საკონცერტო მომღერალიცაა, 1964-იდან გასტროლებს მართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეწევა პედ. მოღვაწეობას მოსკ. კონს-ში.

ოგინსკი (Oginski) მიხეილ [25. IX. 1765, გუზუვი, ვარშავის ახლოს,–18. X. 1833, ფლორენცია], პოლონელი კომპოზიტორი. ო–ის შემოქმედებაში გამორჩეულია პოლონეზები (20-ზე მეტი), მ. შ. საყოველთაოდაა ცნობილი პოლონეზი „სამშობლოდან განშორება“ (ლა მინორი). იგი ავტორია აგრეთვე: ოპერებისა, რომანსებისა, საფ. ნაწარმოებებისა(ვალსები, მაზურკები, მარშები და სხვ.).

ოდა (ბერძ. ode–სიმღერა), საზეიმო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ხოტბას ასხამს რომელიმე პირს ან მოვლენას.

ოდეონი (ბერძნ. odeion<ode -სიმღერა). 1. ძველ საბერძნეთში შენობა მუსიკალური წარმოდგენებისათვის. 2. სხვადასხვა ქვეყნებში (მე-18-19 სს.) შენობა კონცერტებისათვის.

ოვაცია(ლათ. ovatio<ovo – ვზეიმობ, აღტაცებული ვარ), მცირე ტრიუმფი ძვ. რომში. 2. მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ან შეძახილებით.

ოისტრახი დავით თედორეს ძე [17. IX. 1908, ოდესა,–23.X. 1974, ამსტერდამი, დაკრძალულია მოსკოვში], მევიოლინე, სსრკ სახ. არტისტი (1953). 5 წლისა სწავლობდა ვიოლინოზე დაკვრას პ. სტოლიარსკისთან. მისივე ხელმძღვანელობით 1926 დაამთ. ოდესის მუს. დრამ. ინ-ტი. 1934-იდან ო. მოსკოვის კონს-ის პედაგოგია (1939-იდან პროფ.). იყო საკავშირო (ლენინგრადი, 1935, I პრემია) და საერთაშ. (ჰ. ვენიავსკის სახ. ვარშავა, 1935, II პრემია, ე. იზაის სახ. ბრიუსელი, 1937, I პრემია) კონკურსების ლაურეატი. ო-ის სახელთანაა დაკავშირებული საბჭოთა სავიოლინო სკოლის საერთაშ. აღიარება. მისი რეპერტუარი ძალზე მრავალფეროვანი იყო. სპეციალურად ო-თვის დაწერეს ნაწარმოებები დ. შოსტაკოვიჩმა, ს. პროკოფიევმა, ა. ხაჩატურიანმა, ნ. მიასკოვსკიმ, ო. თაქთაქიშვილმა და სხვ. 1961-იდან წარმატებით გამოდიოდა როგორც დირიჟორი. აღზარდა მევიოლინეთა მთელი პლეადა, მ.შ. ლ. ისაკაძე, ლ. კოგანი, ვ. კლიმოვი, ო. კრისა, ი. ოისტრახი, ვ. პიკაიზენი, რ. გვასალია და სხვ. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ოკარინა (იტალ. ocarina), პატარა ზომის ერთგვარი ჩასაბერი საკრავი თიხის ან ფაიფურის.

ოლიმპიადა, (ბერძ. olympias ნათ. ბრ. olympiados), მხატვრული თვითმოქმედების კონკურსების დათვალიერება.



ონეგერი (Honegger) არტურ [10.II. 1892, ჰავრი, -27. XI. 1955, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი და მუსიკალური მოღვაწე. წარმოშობით შვეიცარიელი. სწავლობდა პარიზის კონს-ში. 20-იანი წწ. დასაწყისში იგი გახდა ფრანგი კომპოზიტორების გაერთიანების „ექვსეულის“ წევრი. 20-40-იან წწ. ეწეოდა ფართო საკონცერტო მოღვაწეობას, დირიჟორობდა საკუთარ ნაწარმოებებს. მის შემოქმედებაში ორიგინალურადაა შერწყმული ფრანგ. და შვეიცარ. ხალხური და პროფეს. მუსიკის ტრადიციები და თანამედროვე მუს. კულტურის საუკეთესო მიღწევები. მისი შესანიშავი ნაწარმოებებია: დრამატული ორატორიები–„მეფე დავითი“ (1921) და „ჟანა დ'არკი კოცონზე“ (1935), 5 სიმფონია (1930-50), საორკესტრო ნაწარმოებები (მ.შ. ცნობილი „პასიფიკ 321“). ა. ჩერეპნინთან და ტ. ჰარსანისთან ერთად დაწერა ბალეტი „შოთა რუსთაველი“ (1945) (დაიდგა 1946 წ. 5 მაისს მონტე-კარლოში, ბალეტმაისტერი ს. ლიფარი). ავტორია წიგნებისა–„მე-კომპოზიტორი“ (1951) და სხვ.

ონიანი გიორგი ზაურის ძე [6. X. 1974, დ. ლენტეხი], ქართველი მომღერალი (ტენორი). დაამთ. თბ. კონს. პროფ. ნ. ანდღულაძის ხელმძღვანელობით. 1998-2001 თბ. საოპერო თეატრის სოლისტი იყო. შეასრულა მთავარი პარტიები ვერდის, პუჩინის, ფალიაშვილის ოპერებში. 2001 იყო მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტი, 2001 -03 გაიარა სტაჟირება „ლა სკალას“ თეატრში. აქვე შედგა მისი საზღვარგარეთული



დებიუტი. 2001-იდან ასრულებს მთავარ პარტიებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საოპერო თეატრის სცენებზე. 2002 მოიპოვა I პრემია საერთაშ. კონკურსზე რივა დელ გარდაში (იტალია), 2004 – გრან პრი ტენორების საერთაშ. კონკურსზე „ტრაიან გროცავესკუ“ (რუმინეთი, ლუგოჟი).

2005-იდან კვლავ თბ. საოპერო თეატრის სოლისტია. მართავს გასტროლებს უცხოეთის ქვეყნებში (ბრაზილია, იტალია, მექსიკა, საფრანგეთი, უნგრეთი, იაპონია, და სხვ.), ასრულებს ტენორის მთავარ პარტიებს ვერდის („ტრავიატა“, „აიდა“, „დონ-კარლოსი“, „ბალ-მასკარადი“, „ტრუბადური“, „რიგოლეტო“ და სხვ.), პუჩინის („ტოსკა“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „ბოჰემა“), ბიზეს („კარმენი“), ფალიაშვილის („აბესალომ და ეთერი“, „დაისი“) ოპერებში, 2005 ბაქოში ბიულ-ბიულის სახ. საერთაშ. კონკურსზე მოიპოვა I პრემია. ფლობს ლამაზი ტემბრის ძლიერ ხმას.

გ. ტორაძე

ოპერა (იტალ. opera, სიტყვასიტყვით–თხზულება. ლათ. შრომა, ნაწარმი, ნაწარმოები). მუს. დრამ. ხელოვნების ჟანრი. ო-ის ლიტ. საფუძველი (ლიბრეტო) ხორცშესხმულია მუს. დრამატურგიის, პირველ რიგში, ვოკალური მუსიკის საშუალებით. ო. სინთეზური ჟანრია, იგი აერთიანებს მუსიკის, დრამატურგიის, მხატვრობის (დეკორაციები, კოსტიუმები), ქორეოგრაფიის (ბალეტი) ელემენტებს. საოპერო მუსიკის ფორმებია: ვოკალური ნომრები (არია, არიოზო, არიეტა, კავატინა, ბალადა, სიმღერა, მონოლოგი); სხვადასხვა ფუნქცია აქვს რეჩიტატივს. სცენურ დიალოგს ო-ში შეესატყვისება ვოკალური ანსამბლები (დუეტი, ტერცეტი, კვარტეტი და ა.შ.), გუნდები; დიდი მნ-ბა ენიჭება ორკესტრს, როგორც ვოკალური პარტიების თანმხლებსა და შემვსებს. ო-ში ვხვდებით წმინდა საკრავიერ ეპიზოდებსაც (უვერტიურებს, ანტრაქტებს). დამოუკიდებელ ჟანრად ო. ჩამოყალიბდა XVI-XVII სს. მიჯნაზე იტალიაში ქ. ფლორენციაში. ი. პერიმ ო. რინუჩინის ლიბრეტოს მიხედვით შექმნა საოპერო ჟანრის პირველი ნიმუშები „დაფნე“ (1597) და „ევრიდიკე“ (1600). ამ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო ოპერაა კ. მონტევერდის „ორფევსი“ (1607). XVII ს. II ნახევარში საოპერო სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში (ჟ. ბ. ლიულის ო-ბი „ალცესტე“, 1674, „არმიდა“, 1685), ინგლისში (ჰ. პერსელის „დიდონა და ენეა“, 1689), გერმანიაში (ჰ. შიუცის „დაფნე“, 1626).

XVII-XVIII სს. მიჯნაზე იტალიაში დაწინაურდა ქ. ნეაპოლის საოპერო სკოლა ა. სკარლატის მეთაურობით, რომელმაც შექმნა ო-ის ახ. ტიპი–ოპერა-სერია (ე.ი. სერიოზული ო).ო. სერიასთან დაკავშირებულია გ. ჰენდელის შემოქმედება („რინალდო“, „იულიუს კეისარი“, „რადამისტი“– ძვ. ქართულ (იბერიულ) სიუჟეტზე და სხვ). XVIII ს. შუა წლებში იტალიაში გავრცელდა ახალი ჟანრი–კომიკური ო. (ოპერა-ბუფა), რომლის საფუძველს თეატრ. კომედიები და ო. სერიის ინტერმედიები წარმოადგენდა, პირველი ნიმუშია ჯ. ბ. პერგოლეზის– „მოახლე-ქალბატონი“(1733). ჟანრის კლასიკოსები არიან: ჯ. პაიზიელო, დ. ჩიმაროზა („საიდუმლო ქორწინება“ 1792), ჯ. როსინი („სევილიელი დალაქი“, 1816–ოპ. ბუფას განვ-ის მწვერვალი). კომედიური ჟანრი ვითარდებოდა XVIII ს-ში აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში. ო-ის ისტორიაში აღსანიშნავია მისი რეფორმატორების კ. გლიუკისა და ვ.ა. მოცარტის მოღვაწეობა. გლიუკმა შექმნა მუს. დრამები, რომლებშიც ო-ის ყველა კომპონენტი ორგანულ მთლიანობაშია მოყვანილი („ორფევსი და ევრიდიკე“, 1762; „ალცესტე“, 1767 და სხვ.), მოცარტმა კი ოპერა-ბუფისა და ზინგშპილის საფუძველზე შექმნა ბრწყინვალე

რეალისტური კომედიები („ფიგაროს ქორწინება“, 1786), დრამები („დონ ჯოვანი“, 1787), ფილოსოფიური ზღაპარი („ჯადოსნური ფლეიტა“, 1791). ე. წ. „ხსნის“ („გადარჩენის“) ოპერის ჟანრს მიეკუთვნება ლ. კერუბინის, ჟ. ლესიუერის ოპერები, ლ. ბეთჰოვენის „ფიდელიო“ (1805). XIX ს. I ნახ. ეროვნ. საოპერო სკოლებში მკვიდრდება რომანტიზმი. 1821 გერმანიაში შეიქმნა პირველი ეროვნულ-რომანტიკული ო. „თავისუფალი მსროლელი“ (კ.მ. ვებერი). რომანტიკულია აგრეთვე რ. ვაგნერის ადრინდელი ო-ბი („რიენცი“, 1840; „მფრინავი ჰოლანდიელი“, 1843), საფრანგეთში რომანტ. მიმდინარეობის გავლენით შეიქმნა ე.წ. დიდი ო. (ჯ. მეიერბერი „რობერტ-ეშმაკი“, 1831; „ჰუგენოტები“, 1836). იტალიაში მოღვაწეობდნენ ვ. ბელინი („ნორმა“, 1831), გ. დონიცეტი („ლუჩია დი ლამერმური“, 1835), ჯ. ვერდი (შემოქმედების ადრინდელი პერიოდი–„ნაბუქოდონოსორი“, 1842; „ლომბარდიელები“, 1843). ამავე პერიოდში შეიქმნა რუსული კლასიკური ეროვნული ო-ის პირველი ნიმუშები: მ. გლინკას სახალხო-პატრიოტული ო. „სიცოცხლე მეფისათვის“ (1836), ზღაპრულ-ეპიკური –„რუსლან და ლიუდმილა“ (1842) და პირველი რუსული სოციალური ყოფითი დრამა ა. დარგომიჟსკის „ალი“ (1856). 60-იანი წლებიდან რუსული მუსიკა გამდიდრდა „მძლავრი ჯგუფის“ კომპოზიტორთა ოპერებით: მ. მუსორგსკის სახალხო მუს. დრამები „ბორის გოდუნოვი“ (1874), „ხოვანშჩინა“ (1886); ნ. რიმსკი–კორსაკოვის ო.–ზღაპარი „თოვლია“ (1882), ო.–ბილინა „სადკო“ (1897), ო.–ლეგენდა „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟსა და ქალწულ თებრონიაზე“ (1907), ო.–სატირა „ოქროს მამალი“ (1909), ბოროდინის ეპიკური ო.–„თავადი იგორი“ (1890) და სხვ. მუს. თეატრის უდიდესი მოვლენაა პ. ჩაიკოვსკის საოპერო შემოქმედება: ლირიკულ-ფსიქოლოგიური დრამები „ევგენი ონეგინი“ (1879), „პიკის ქალი“ (1890), ისტ.–„ორლეანელი ქალწული“ (1881), „მაზეპა“ (1884).

იტალიური და მსოფლიო რეალისტური ხელოვნების მწვერვალია ჯ. ვერდის საოპერო შედევრები „რიგოლეტო“ (1851), „ტრავიატა“ (1853), „აიდა“ (1871), „ოტელო“ (1887), „ფალსტაფი“ (1893). ამავე პერიოდში საფრანგეთში განვითარდა ლირ. ო-ის ჟანრი: შ. გუნოს „ფაუსტი“ (1859), ლ. დელიბის „ლაკმე“(1883), ჟ. მასნეს „მანონი“ (1884). 1874 შეიქმნა ჟ. ბიზეს „კარმენი“–საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი უმაღლესი მიღწევა. XIX ს. II ნახევარში გერმანული საოპერო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ფიგურაა რ. ვაგნერი, რომელიც მუსიკისა და დრამის ერთიანობისაკენ ისწრაფოდა. ორკესტრის უდიდესი ოსტატი რ. ვაგნერი საოპერო ლაიტმოტივური სისტემის შემქმნელია. მისი რეფორმატორული ოპერებია: „ტრისტან და იზოლდა“ (1865), ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭედი“ (1854-1874), „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები“ (1868), „პარსიფალი“ (1882) და სხვ. XIX ს. დასასრულს იტალიურ ოპერებში ჩამოყალიბდა მიმართულება–ვერიზმი (პ. მასკანის „სოფლის ღირსება“ 1890, რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“, 1893; ჯ. პუჩინის ოპერები: „მანონ ლესკო“, 1893; „ბოჰემა“, 1896; „ტოსკა“, 1900; „ჩიო-ჩიო-სანი“, 1904).

XIX ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა ეროვნული საოპერო სკოლები აღმ. ევრ. ქვეყნებში: უნგრეთში (ფ. ერკელის „ლასლო ჰუნიადი“, 1849 და „ბანკ-ბანი“, 1852), პოლონეთში (ს. მონიუშკოს „ჰალკა“, 1848), ჩეხეთში (ბ. სმეტანას „ბრანდენბურგელები ჩეხეთში“, 1866 და „გაყიდული საპატარძლო“, 1866). ამავე პერიოდში შეიქმნა პირველი ოპერები უკრაინაში (ნ. ლისენკოს „ნატალკა-პოლტავკა“, 1889), მოგვიანებით–აზერბაიჯანში (უ. ჰაჯიბეკოვის „ლეილი და მაჯნუნი“, 1908), სომხეთში (ა. ტიგრანიანის „ანუში“, 1912). XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისში ო-ის ჟანრში აისახა ყველა მიმართულება, რომელიც ამ პერიოდში აღმოცენდა ევრ. მუსიკაში: იმპრესიონიზმი (კ. დებიუსის „პელეასი და მელიზანდე“, 1902), ექსპრესიონიზმი

(რ. შტრაუსის „სალომე“, 1905 და „ელექტრა“, 1909 ა. შონბერგის „მოლოდინი“, 1909„ბედნიერი ხელი“, 1913, ა. ბერგის „ვოცეკი“, 1925, პ. ჰინდემითის „მხატვარი მატისი“, 1938, „კარდილაკი“, 1926), ნეოკლასიციზმი (ი. სტრავინსკის „ოიდიპოს მეფე“, 1927), აღსანიშნავია აგრეთვე ბ. ბარტოკის „ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე“(1918), რ. შტრაუსის „ვარდების კავალერი“(1911), ლ. იანაჩეკის „კატია კაბანოვა“ (1921), პირველი ამერიკული ო. - ჯ. გერშვინის „პორგი და ბესი“ (1935) და სხვ. 40-50-იან წლებში საოპერო ჟანრში მუშაობდნენ ფ. პულენკი, ლ. დალაპიკოლა, ჯ. მენოტი, ბ. ბრიტენი და სხვ. მნ. ოპერები შექმნეს რუსმა კომპოზიტორებმა: ს. პროკოფიევმა [„მოთამაშე“, 1916, „ცეცხლოვანი ანგელოზი“ (1927), „ომი და მშვიდობა“ (1943), „სემიონ კოტკო“ (1940) და სხვ.], დ. შოსტაკოვიჩმა („მცენსკის მაზრის ლედი მაკბეთი“ 1934) და სხვ.

პირველი ქართული ო-ის მ. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერის“ ფრაგმენტები შესრულდა 1897 პეტერბურგში (მთლიანად დაიდგა 1926 თბ-ში), 1918 თბ-ში დაიდგა რ. გოგნიაშვილის ო. „ქრისტინე“. ფუძემდებლური ქართული ოპერები შექმნა ზ. ფალიაშვილმა: „აბესალომ და ეთერი“ (1919)– XX ს. ერთ-ერთი საოპერო შედევრი, „დაისი“ (1923). მნიშვნელოვანი ოპერებია დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1919) და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ (1919); ო. შექმნეს ი. ტუსკიამ, შ. თაქთაქიშვილმა, გ, კილაძემ, ა. ანდრიაშვილმა, ვ. გოკიელმა, ა, მაჭავარიანმა, ა. კერესელიძემ, დ. თორაძემ და სხვ. გამოირჩევა შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ (1946), „დიდოსტატის მარჯვენა“ (1961), ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (1950), ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ (1961), „სამი ნოველა“ (1967, მეორე რედ. „სამი სიცოცხლე“), „მთვარის მოტაცება“ (1977); რ. ლაღიძის „ლელა“ (1975), ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“ (1983), გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“ (1984) და სხვ.

ს. ჟორდანია

ოპერა-ბუფა (იტალ. opera buffa –კომიკური ოპერა), კომიკური ოპერის იტალიური ნაირსახეობა. ჩამოყალიბდა XVIII ს.30-იან წლებში (იხ. ოპერა).

„ოპერა–კომიკი“ (ფრანგ. opera comique -კომიკური ოპერა), კომიკური ოპერის თეატრი–ფრანგული მუს. თეატრი. დაარსდა 1715, პარიზში, 1745 დაიხურა, 1752 განაახლა მუშაობა, ხოლო 1762 შეუერთდა თეატრ „კომედი იტალიენს“. არსებობდა სხვადასხვა სახელწოდებით. 1801 თეატრ „ფეიდოსთან“ შეერთების შემდეგ კვლავ „ო-კ“ ეწოდებოდა. საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში დაიდგა ლ. კერუბინის, ჟ.ფ. ლესიუერის, ა.ე. გრეტრის და სხვათა ოპერები. XIX ს-ში თეატრი ეროვნული საოპერო ხელოვნების უდიდეს ცენტრად იქცა (1806-იდან სახელმწ. თეატრი იყო). აქ პირველად დაიდგა ოპერები: ბიზეს „კარმენი“ (1875), დელიბის „ლაკმე“ (1883), მასნეს „მანონი“ (1884) და სხვ. 1973-იდან „ოპერა-კომიკი“ არსებობს როგორც საოპერო სტუდია. შენობა აგებულია 1898 (არქიტ. ლ. ბერნიე).

ოპერა-სერია (იტალ. opera seria_სერიოზული ოპერა), იტალიური ოპერის ნაირსახეობა. იქმნებოდა ჰეროიკულ–მითოლოგიურ ან ლეგენდარულ-ისტორიულ სიუჟეტებზე, ჩამოყალიბდა XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისში ნეაპოლური სკოლის კომპოზიტორთა შემოქმედებაში (ა. სკარლატი და სხვ.).

ოპერეტა (იტალ. operetta, ფრანგ, operette–სიტყვასიტყვით–მცირე ოპერა), მუსიკალურ-

სცენური წარმოდგენა, რომლის საფუძველია კომედიური სიუჟეტი. ო-ში ერთმანეთს ენაცვლება მუს. ვოკალური და მუს. ქორეოგრაფიული ნომრები, სალაპარაკო სცენები. ო-ის სამშობლო საფრანგეთია (პარიზი), ხოლო მისი ფუძემდებლები–ფრანგი კომპოზიტორები ფ. ერვე და ჟ. ოფენბახი, რომელმაც ო-ის ჟანრს მსოფლიო აღიარება მოუპოვა („ორფევსი ჯოჯოხეთში", 1858; „პერიკოლა", 1868 და სხვ). 80-იან წლებში ო. ჩამოყალიბდა ავსტრიაში, კერძოდ, ვენაში. მის განვითარებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია ვალსმა. ი. შტრაუსის ოპერეტები „ღამურა" (1874), „ღამე ვენეციაში" (1883), „ბოშათა ბარონი" (1885) ავსტრიელებისათვის ეროვნულ კლასიკად იქცა. ე. წ. „ნეოვენური" ო-ის წარმომადგენლებმა ფ. ლეჰარმა და ი. კალმანმა ო. ლირ.-დრამ. ოპერას დაუახლოვეს. მათი ო-ები– „მხიარული ქვრივი", „გრაფი ლუქსემბურგი" (ლეჰარი), „სილვა", „ცირკის პრინცესა", „მონმარტრის ია"(კალმანი) და სხვ. მსოფლიო საოპერეტო თეატრის რეპერტუარში შევიდა. XIX ს. დასასრულს ო. იდგმება აშშ-ის მუს. თეატრების სცენაზე. რ. ფრიმლისა და ჰ. სტოტჰარტის „როზ მარიმ" (1924) ამერიკის ო-ს მსოფლიო აღიარება მოუტანა. ამერ. ო-ის შერწყმით ინგლისურ ბალადურ ო-სთან დაიბადა ახალი ჟანრი-ბროდვეის მუს. კომედია-მიუზიკლი (ავტორები: ჯ. გერშვინი, ჯ. კერნი, რ. როჯერსი, კ. პორტერი, ფ. ლოუ, ლ. ბერნსტაინი და სხვ.).

XX ს. 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა რუს. (საბჭ.) ო. (მუს. კომედია). ი. დუნაევსკი რუსული ოპერეტის კლასიკოსი გახდა. მისი საუკეთესო ო-ებია „ოქროს ველი" (1937), „ლაღი ქარი" (1947), „თეთრი აკაცია" (1955). მნიშვნელოვანია აგრეთვე ნ. სტრელნიკოვის ღვაწლი. ო-ბი დაწერეს დ. შოსტაკოვიჩმა, დ. კაბალევსკიმ, ა. ნოვიკოვმა, ბ. ალექსანდროვმა, ტ. ხრენიკოვმა, ვ. სოლოვიოვ-სედოიმ, ვ. მურადელმა და სხვ.

პირველი ქართული ოპერეტა (მუსიკალური კომედია) შექმნა ვ. კურტიდიმ („ხაჯარათი", 1939). ო-ის ჟანრში სხვადასხვა დროს ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართველი კომპოზიტორები: შ. მილორავა, გ. ცაბაძე, ა. კერესელიძე, რ. გაბიჩვაძე, დ. თორაძე, რ. ლაღიძე, შ. აზმაიფარაშვილი, ა. შავერზაშვილი, ლ. იაშვილი, ნ. გაბუნია, ს. ნასიძე, ვ. აზარაშვილი, შ. ჯოჯუა; მსახიობები: ვ. სალარიძე, ნ. მოსეშვილი, ვ. იანვარაშვილი, ა. ტურიაშვილი, ე. ჩოხელი, ო. ბახტაძე, თ. ხელაშვილი. თ. მერკვილაძე, ე. გურაშვილი, ი. ვასაძე, ნ. პიპინაშვილი, ბ. ბეგალიშვილი, ლ. ჩიბალაშვილი, ა. ამირანაშვილი და სხვ.

მ. ფიჩხაძე

ოპუსი (ლათ. opus–შრომა, ნაწარმოები), კომპოზიტორების ნაწარმოებების რიგითი ნუმერაციის აღმნიშვნელი ტერმინი. შემოკლებით აღინიშნება OP (ლათ.). ზოგიერთ ქვეყანაში გამოყენებულია ტერმინის ეროვნული ვარიანტი. მაგ. საფრანგეთში oeuvre, რუსეთში сочинение, საქართველოში-თხზულება.

ორატორია (იტალ. oratorio, გვიანდ. ლათ. oratorium<სამლოცველო ლათ. oro–ვლაპარაკობ, ვლოცულობ), დიდი და მრავალნაწილიანი მუს. ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის. ო. ახლოს დგას კანტატასთან, მაგრამ განსხვავდება მისგან დიდი მასშტაბითა და გარკვეული სიუჟეტით. ო-ის ჟანრი წარმოიშვა იტალიაში XVI-XVII სს. მიჯნაზე. მის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ოპერისა და მადრიგალის ჟანრებმა. თავდაპირველად ო-ში ერთმანეთს ენაცვლებოდა ბიბლიის თხრობა სოლისტის მიერ, დიალოგები და საგუნდო მონაკვეთები. იწერებოდა ლათ. ტექსტებზე (XVIII ს. დასაწყისიდან, უპირატესად იტალიურზე). XVIII ს-ში ო-ში მნ. ადგილი დაიკავა სოლო ვოკალურმა ნომრებმა, რეჩიტატივებმა და არიებმა. ამით ო. დაუახლოვდა ოპერას და ზოგჯერ სცენაზედაც

სრულდებოდა. ო-ს წერდნენ ცნობილი იტალიელი კომპოზიტორები: ა. სკარლატი, ჯ. პერგოლეზი, დ. ჩიმაროზა, ა. სალიერი და სხვ. ო. განვითარდა გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში. შეიქმნა ო-ის განსაკუთრებული ფორმა „ვნებანი“ (პასიონები). უდიდესი წვლილი ო-ის განვითარებაში მიუძღვით გ. ჰენდელს, ი. ს. ბახს და ი. ჰაიდნს. XIX-XX სს. ო-ბი შექმნეს ფ. მენდელსონმა, ჰ. ბერლიოზმა, ფ. ლისტმა, რ. შუმანმა, კ. სენ-სანსმა, ჟ. მასნემ, ს. ფრანკმა, კ. დებიუსიმ, ა. ონეგერმა და სხვ. ქართული ო-ის ჟანრი სათავეს იღებს ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერიდან“. 1937 შესრულდა პირველი ქართული ო-ის რ. გაბიჩვაძის „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები. ქართული ო-იდან გამოირჩევა შ. მშველიძის „კავკასიონი“ (1949), ა. მაჭავარიანის „ჩემი სამშობლოს დღე“ (1954), ო. თაქთაქიშვილის „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1964) და „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970), ნ. სვანიძის „ფიროსმანი“ (1969) და სხვ..

ორგანი (ლათ. organum<ბერძ. organon იარაღი, ხელსაწყო), კლავიშიანი სასულე მუს. საკრავი. შედგება ერთ კორპუსში მოთავსებული სხვადასხვა ზომის ხის ლითონის მილებისა და პნევმატიკური სისტემისაგან. საკრავს მიდგმული აქვს სამართავი ანუ საშემსრულებლო კათედრა, რომლის პულტზედაც ხელისა (მანუალი) და ფეხის (პედალი) კლავიატურებთან ერთად თავმოყრილია ყველა რეგისტრის სახელურები. ეს სახელურები ამოძრავებს სათანადო ბერკეტებს, აკავშირებს მათ ერთმანეთთან და დამატებითი მილების ჩართვა-გამორთვასა და ხმოვანების გაძლიერება-შესუსტებას ემსახურება. ო-ს შეიძლება ჰქონდეს 1-7 მანუალი (თითოეულს 72-მდე კლავიში აქვს) და პედალი (32 კლავიშიანი). ზოგიერთი თანამედროვე ო-ს 2 პედალი აქვს. ო-ს რეგისტრებად დაყოფილი რამდენიმე მილი აქვს. თითოეულ რეგისტრს მისთვის დამახასიათებელი ტემბრი აქვს. ირთვება ბერკეტით ან კნოპით. საორგანო მუს. იწერება 3 სანოტო დგანზე რეგისტრის მიუთითებლად. ო-ს შეიძლება ჰქონდეს 3 სახის გადაცემათა სისტემა (ტრაქტურა): მექანიკური, პნევმატიკური და ელექტრული. საუკეთესოდ ითვლება მექანიკურისა და ელექტრული ტრაქტურების შეთანხმება. გიგანტური ო. დგას მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, კიევის, თბილისის, ტალინის, ტაშკენტის საკონცერტო დარბაზებში.

„ორერა”, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი. სოპოტის საერთაშ. ფესტივალის („სოპოტი-72”) ლაურეატი. შექმნა 1958 თბ. უცხო ენათა პედ. ინ-ტში (როგორც ვოკალური კვარტეტი) შემდეგი შემადგენლობით: რ. ბარძიმაშვილი (ხე-ლი 1958-75), ზ. იაშვილი (ხე-ლი 1981-87), თ. დავითაია და თ. ფანჩვიძე. 1961 კვარტეტი სახელმწ. ფილარმონიის უწყებაში შევიდა. ანსამბლში დაიწყეს მოღვაწეობა ცნობილმა მომღერლებმა ნ. ბრეგვაძემ, ვ. კიკაბიძემ (1975-81 სამხ. ხე-ლი) გ. ნადირაშვილმა (სამხ. ხე-ლი 1987-იდან), თ. მელვინეთუხუცესმა, ა. მანჯგალაძემ; მოგვიანებით ვ. ლომსაძემ, დ. სხირტლაძემ. 1965 „ო”. ჩამოყალიბდა პირველ პროფეს. ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლად საქ-ში. ანსამბლთან აქტიურად

თანამშრომლობდნენ კომპოზიტორები: გ. ცაბაძე, ბ. კვერნაძე, ჯ. კახიძე, ს. მირიანაშვილი, შ. მილორავა, ო. თევდორაძე, გ. ყანჩელი. „ო". ჟანრობრივად მრავალფეროვანი კოლექტივია. მის პროგრამაშია კამერული სიმღერები, ჯაზური სტილის ნაწარმოებები, კლასიკური და ხალხური რეპერტუარი. ანსამბლს წარმატება მოუტანა ქართ. პოლიფონიურმა მელოდიებმა, აგრეთვე საზღვარგარეთის ესტრადის საუკეთესო ნიმუშებმა. „ო"-ს მოღვაწეობაზე გადაღებულია სრულმეტრაჟიანი მუს. ფილმი „ორერა სრული სვლით "(1970 რეჟ. ზ. კაკაბაძე). 1999 აღიარებულ იქნა XX ს-ის ქართ. ესტრადის საუკეთესო კოლექტივად და დაჯილდოვდა ოქროს ფირფიტით. გამოცემული აქვს აუდიო და ვიდეოკასეტები. დიდ საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგებულია ვარსკვლავური ფილა წარწერით „ორერა-2001".

ორიკი (Auric) ჟორჟ [15.II. 1899, ლოდევი, ლანგედოკი, –23. VII. 1983, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი. საფრანგეთის ინ-ტის წევრი (1962). 1920-იან წლებში იყო გაერთიანება „ექვსეულის" წევრი. ამავე წლებში თანამშრომლობდა „ს. დიაგილევის რუსული ბალეტის" დასში, რისთვისაც დაწერა ბალეტები „მეზღვაურები" (1925), „პასტორალი" (1926) და სხვ. ო. იყო „ხალხური მუსიკის ფედერაციის" ერთ-ერთი მესვეური (1935-იდან), მონაწილეობდა ანტიფაშისტურ მოძრაობაში. 1962-68 ეროვნ. საოპერო თეატრების გენერალური მდივანი. ო-ის ნაწარმოებებია: ბალეტები– „მხატვარი და მოდელი" (1949), „ფედრა" (1950), „ოთახი" (1955) და სხვ.; მუსიკა ფილმებისათვის, კამერული, საკრავიერი და ვოკალური ნაწარმოებები („ტანჯული საფრანგეთის ოთხი სიმღერა", 1977, 6 პოემა პ. ელიუარის ლექსებზე).

ორკესტრი (ბერძ. orchestra–ძვ. ბერძ. თეატრში-ადგილი სცენის წინ), მუსიკოსთა დიდი კოლექტივი, რომლის წევრები უკრავენ სხვადასხვა საკრავებზე და ერთდროულად ასრულებენ მოცემული შემადგენლობისათვის დაწერილ ნაწარმოებს. ო-ის უმაღლესი ფორმაა სიმფონიური ო., რომლის შემადგენლობაშიც შედის სიმებიანი, ხისა და ლითონის ჩასაბერი და დასარტყმელი საკრავები. გავრცელებულია ერთგვაროვანი ო-ბიც, სიმებიანი ო., სასულე ო., ხალხურ საკრავთა ო., საესტრადო ო., ჯაზ-ორკესტრი, კამერული ო., სიმფ. ო. ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ XVI-XVII სს. მიჯნაზე, XVIII ს. II ნახევარში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. ჰაიდნმა დაადგინა ე. წ. კლასიკური (მცირე) სიმფ. ო-ის შემადგენლობა: სიმებიანი კვარტეტი (I და II ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი), სასულე საკრავთა ჯგუფი (ორ-ორი ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი) და ტიმპანები. XIX ს. ჩამოყალიბდა ე.წ. დიდი სიმფ. ო., რომელშიც კლასიკურ სიმფ. ო-ს დაემატა 2 ვალტორნა, 2 ან 3 ტრომბონი და ტუბა.

საქ-ში ო. პირველად შეიქმნა XIX ს. II ნახევარში. საოპერო თეატრის გახსნის შემდეგ (1851). მისი ო. სიმფ. კონცერტებსაც მართავდა. მოყვარულთა ო. შეიქმნა თბ. ვაჟთა გიმნაზიაში (1869), სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ქუთაისში (კამერული და სამხედრო ო-ბი, 1851). 1883 „რუსული მუს. საზ-ის" თბ. განყ-ის გახსნის შემდეგ რეგულარულად იმართებოდა სიმფ. კონცერტები (დირიჟორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი). 1924 „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზ-ბის" სიმებიანი ო-ის საფუძველზე ჩამოყალიბდა დიდი სიმფ. ო. რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. ფალიაშვილი. ამ და კონს-ის სტუდენტთა ო-ს საფუძველზე ე. მიქელაძის თაოსნობით 1933 ჩამოყალიბდა სიმფ. ო. (საქართველოს სახელმწიფო სიმფ. ორკესტრი). 1929-30 საქ-ში ჩამოყალიბდა რადიოს სიმფ. ო., რომელიც არსებობდა 2004-მდე. 1993 ჯ.

კახიძის თაოსნობით დაარსდა „თბილისის სიმფ. ორკესტრი“.

მ. ჩიჯავაძე

ორკესტრირება, მუსიკალური ნაწარმოების დამუშავება ან გადამუშავება საორკესტროდ.

ორნამენტიკა (ლათ. ornamentum–სამკაული), შედარებით მოკლე გრძლიობის ბგერები, რომლებიც ერთვიან მთავარ მელოდიურ ხაზს მელოდიის შესამკობლად. ო-ში შედის სხვადასხვა სახის პასაჟები, ტირატები, ფიგურაციები, ფიორიტურები. ო-ის სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე ტრემოლო, ვიბრატო და სხვ. ო-ის მეშვეობით მელოდიური ხაზი უფრო დეტალიზებულია, გამსჭვალულია ექსპრესიით. მორთულობები აღინიშნება სპეც. ნიშნებით ან იწერება წვრილი ნოტებით. ო. ფართოდ განვითარდა ფრანგულ საკლავესინო მუსიკაში. ო-ის განვითარებაში მნ. როლი მიეკუთვნება იტალიურ ოპერას.

ო. დამახასიათებელია ქართ. ხალხ. სიმღერისათვის (განსაკუთრებით გავრცელებულია ქართლ-კახურ გრძელ სუფრულებსა და ურმულებში), რომელშიც იგი წარმოადგენს მელოდიური ბგერის შემამკობელ, ინტონაციურად აქტიურ ელემენტს.

„ოროველა“ (ორელ, ოროელ, ოროველი, ორველი), ქართული ხალხური შრომის სიმღერა. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. უკავშირდება მიწისა და მოსავლის წარმართული ღვთაების ოროველის კულტს (მაგ. „ოროველ, ორმო ჩასთხარე ქვიანი, მოგვეც ბარაქა“), მღერიან გუთნის მიწის ხვნისას, კალოზე პურის ლეწვისა და განიავების დროს. ამის მიხედვით სიმღერას სხვადასხვა სახელწოდებაც აქვს: გუთნური, კალოური, კევრული (ოროველა მათი ზოგადი სახელია). ამ სიმღერებს მსგავსი მეტრულ-რიტმული ინტონაცია და პოეტური ტექსტი აქვთ. ო. ერთხმიანია (იშვიათად ორხმიანი), ასრულებს მამაკაცთა ჯგუფი. გვხვდება სომხურ ფოლკლორშიც (ოროველ, აროველ, ორველ, რაველ, ოროლ, დოროლ); სომხური ო. მუს. აღნაგობითა და სიტყვიერი ტექსტით ქართული ო-ს მსგავსია.

გ. ჩხიკვაძე



ორფი (Orff) კარლ [10. VII. 1895, მიუნხენი, – 1982], გერმანელი კომპოზიტორი, პედაგოგი, თეატრალური მოღვაწე და დრამატურგი. 1913-14 კომპოზიციას სწავლობდა მიუნხენის მუს. ხელოვნ. აკადემიაში. აქვე მუშაობდა კაპელმაისტერად დრამ. თეატრში. 30-იან წლებში ო. მუსიკას წერდა ძირითადად მუს. თეატრებისათვის. იგი ავტორია ორიგინალური მუსიკალურ-პედაგოგიური სისტემისა, რომელმაც აღიარება პოვა მთელ მსოფლიოში. მისი შემ-ის ძირითად ნაწილს შეადგენენ მუს.-სცენური ნაწ-ები (15-მდე), რომელთათვის დამახასიათებელია ნეოკლასიციზმის ნიშნები, მელოდიური და ჰარმონიული სისადავე, მუსიკის, ტექსტისა (ორფის მიერ დაწერილის) და სცენური მოძრაობის ერთიანობა, კავშირი თანამედროვე თეატრალურ დრამატურგიასა და ძველებურ ევროპულ თეატრალურ ფორმებთან, ორფის უმთავრესი ნაწარმოებებია: ცნობილი კანტატები „კარმინა ბურანა“ (1937), „კატული კარმინა“ (1943), ზინგშპილები „მთვარე“ (1939) და „გონიერი ქალი“ (1943), მისტერიები, „ანტიკური ტრაგედიები“, ხუთტომეული– „მუსიკა ბავშვებისათვის“.

ორჯონიკიძე გივი შიოს ძე [11.VIII. 1929, თბილისი,–15. V. 1984, თბილისი], ქართველი მუსიკისმცოდნე და კრიტიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967), ბ. ასაფიევის სახ. საერთაშ. პრემიის ლაურეატი. 1952 დაამთ. თსუ-ის ისტორიული ფაკულტეტი, 1953 თბ. კონს-ის მუს. ისტორიის განყ-ბა (ხე-ლი პროფ. ლ. დონაძე), მასთანვე გაიარა ასპირანტურა. 1955-69 იგი კონს-ის პედაგოგია, 1968-1984 საქ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტის ესთეტიკის განყოფილების უფროსი მეცნ. თანამშრომელი. 1973-84 საქ. კომპ. კავშირის პირველი მდივანი იყო. ო-ის ნაშრომები მიძღვნილია მუს. ესთეტიკის, სოციოლოგიის, მუს. თეატრის, თანამედროვე ქართ. რუს. და ევრ. მუსიკის საკითხებისადმი. განსაკუთრებით მნ-ია შრომები ვერდის „შექსპირული“ ოპერების, რ. შტრაუსის საოპერო შემ. და შოსტაკოვიჩის სიმფ. შემ-ის შესახებ. ქართულ მუს. შემ-ს ეძღვნება ო-ს წიგნები: „აღმავლობის გზის პრობლემები“ (1978), „თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკისა და სოციოლოგიის შუქზე“ (1984). ო-ის მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა ქართ. მუს. ხელოვნებისა და მუსიკისმცოდნეობის განვითარებაში. იგი საერთაშორისო მასშტაბით იყო აღიარებული და დაფასებული. ო-ს მიეძღვნა ქართ. და რუს მუსიკისმცოდნეთა შრომების კრებული-წიგნი (თბ. 1999).

გ. ტორაძე

ოსტინატო (იტალ. ostinato), რაიმე მუსიკალური თემის მრავალგზის გამეორება.



ოფენბახი (Offenbach) ჟაკ (ებერშტი) [20. VI. 1819, კიოლნი,–4. X. 1880, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი (წარმოშობით გერმანელი ებრაელი) და თეატრის დირიჟორი. ო. კლასიკური ოპერეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. 1833-იდან ცხოვრობდა პარიზში. 1855 დააარსა თეატრი „ბუფ-პარიზიენი“ (ხელმძღვანელობდა 1861-მდე), ო-ს პოპულარობა მოუტანა ოპერეტებმა: „ორფეევსი ჯოჯოხეთში“ (1858, II რედაქცია 1874, „მშვენიერი ელენე“ (1864), „ლურჯწვერა“ (1866), „პერიკოლა“ (1868), „მადამ ფავარი“ (1878). ო. ავტორია აგრეთვე ოპერისა „ჰოფმანის ზღაპრები“ (1881). მან დაწერა 100-ზე მეტი ოპერეტა. თბ-ში დაიდგა ოპერეტები: „მშვენიერი ქართველი ქალები“, „პარიზული ცხოვრება“, „ყაჩაღები“, „პერიკოლა“ და სხვ. ოპერა „ჰოფმანის ზღაპრები“.

ოქტავა (ლათ. octava–მერვე), 1. ინტერვალი, რომელიც მოიცავს დიატონური ბგერათრიგის 8 საფეხურს ან 6 მთელ ტონს. 2. დიატონური ბგერათრიგის მერვე საფეხური. 3. მუსიკალური ბგერათრიგის ნაწილი, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად საფეხურს (დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი) ან ქრომატული გამის 12 ნახევარტონს. მუსიკაში გამოყენებული მთელი ბგერათრიგი 7 სრული და 2 არასრული ოქტავისაგან შედგება.

ოქტეტი (ლათ. octo–რვა), 1. ნაწარმოები 8 შემსრულებლისათვის (უპირატესად საკრავიერი, იშვიათად, ხმებისათვის საკრავების თანხლებით). საკრავიერი ო. შეიძლება იყოს სიმებიანი, სასულე. უფრო გავრცელებულია შერეული ო. (მაგ.: ფ. შუბერტის ო. სიმებიანი საკრავების, კლარნეტის, ვალტორნისა და ფაგოტისათვის). 2. 8 შემსრულებლისაგან შემდგარი ანსამბლი.

პ

პაგანინი (Paganini) ნიკოლო [27. X. 1782, გენუა,–27. V. 1840, ნიცა], იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი. არსებითად, თვითნასწავლი ხელოვანია. 11 წლისამ გამართა კონცერტი გენუაში. 1797-98 კონცერტებით გამოვიდა ჩრდ. იტალიაში. 1805-08 მსახურობდა ლუკაში, სამეფო კარზე. 1808-იდან ეწევა მხოლოდ საკონცერტო მოღვაწეობას. 1828-იდან გამოდიოდა ევრ. მრავალ ქვეყანაში. პ-ის „დემონურმა" გარეგნობამ და ბიოგრაფიის რომანტიკულმა ეპიზოდებმა ლეგენდარულ პიროვნებად აქცია. მისი სიკვდილის შემდეგ პაპის კურიამ პ-ს ცხედარი იტალიაში არ დაამარხვინა. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გადაასვენეს იგი პარმაში. პ. ყველა დროის სწორუპოვარი მევიოლინეა, ნოვატორი ხელოვანი მსმენელებს იტაცებდა შესრულების პათოსით, დრამ. კონტრასტებით, ვირტუოზულობით. მან პირველმა დაამკვიდრა საკონცერტო პრაქტიკაში ზეპირი შესრულება, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სავიოლინო ტექნიკას, დიდი გავლენა იქონია პიანიზმისა და საინსტრუმენტო ხელოვნ. განვითარებაზე. პ. თვალსაჩინო კომპოზიტორიც იყო, რომანტ. სკოლის წარმომადგენელი. პოპულარულია მისი „24 კაპრისი" სოლო ვიოლინოსათვის, 2 კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, სავიოლინო ვარიაციები და სხვ. 1954-იდან გენუაში ყოველწლიურად ტარდება მევიოლინეთა პ-ს სახ. კონკურსები. პ. ვირტუოზი გიტარისტიც იყო, დაწერილი აქვს 200-მდე პიესა გიტარისათვის.



პავაროტი (Pavarotti) ლუჩანო [12. X. 1935, მოდენა–6.09.2007, იქვე], იტალიელი მომღერალი (ტენორი). საოპერო თეატრის სცენაზე გამოდიოდა 1961 წლიდან, (დებიუტი–რუდოლფის პარტია პუჩინის „ბოჰემაში"). მღეროდა იტალიისა და სხვა ქვეყნების საოპერო თეატრების სცენებზე. მის არტისტულ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯ. საზერლენდმა. 1965-იდან მილანის (იტალია) „ლა სკალას" თეატრის სოლისტი იყო. რეგულარულად მღეროდა „მეტროპოლიტენ-ოპერის სცენაზე" (1968-იდან). რეპერტუარში ქონდა მრავალი (ძირითადად იტალიური) ოპერის ტენორის პარტიები, აგრეთვე ნეაპოლური სიმღერები.

გამოჩენილი მომღერალი გასტროლებს მართავდა მრავალ ქვეყანაში. ქონდა ლამაზი ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ხმა. მისი შესრულება გამოირჩეოდა დიდი ექსპრესიით. პ. XX ს-ის მეორე ნახევრის უდიდესი მომღერალია.

პაიზიელო –პაეზიელო (Paisiello, Paesiello) ჯოვანი [9.V. 1740, ტარანტო, –5.VI. 1816, ნეაპოლი], იტალიელი კომპოზიტორი, ნეაპოლური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელი.

1776-83 ცხოვრობდა რუსეთში, იყო სამეფო კარის კაპელმაისტერი და იტალ. ოპერის ინსპექტორი პეტერბურგში. აქ დაწერა და დადგა მრავალი ოპერა. მ.შ. „მოახლე-ქალბატონი“ (1871), პერგოლეზის ერთსახელიანი ინტერმედიის ლიბრეტოზე, „სევილიელი დალაქი“ (1782). 1784–1802 და 1803-18 იყო ნეაპოლის სამეფო კარის კომპოზიტორი, 1802-03– ნაპოლეონის პირადი კაპელის ხე-ლი პარიზში. დაწერა 100-ზე მეტი ოპერა-სერია და ოპერა-ბუფა. მ. შ. „მშვენიერი მეწისქვილე ქალი“, (1788), „ნინა, ანუ სიყვარულისაგან გაგიჟებული“ (1789). შექმნა 12 სიმფონია, საკულტო კამერულ-საკრავიერი ნაწარმოებები და სხვ.

პალესტრინა (Palestrina) ჯოვანი პიერლუიჯი და პალესტრინა [დაახლ. 1525, პალესტრინა, რომის მახლობლად,–2. II. 1594, რომი], იტალიელი კომპოზიტორი, რომის პოლიფ. სკოლის მამამთავარი. 1544-51 იყო პალესტრინის მთავარი ეკლესიის ორგანისტი და კაპელმაისტერი. 1551-იდან მუშაობდა რომში (პაპის კაპელა, ეკლესია სანტა-მარია მაჯორე, სიქსტეს კაპელა). პ-ს შემოქმედება დაკავშირებულია სასულიერო-საგუნდო (აკაპელა) მუსიკასთან. მან პოლიფ. მუსიკაში მიაღწია ახალ, ნათელ და პლასტიკურ გამომსახველობას და ამით ნიადაგი მოუმზადა XVI-XVII სს. მიჯნის მუსიკაში სტილურ გარდატეხას. პ-მ დაწერა 100-ზე მეტი მესა, 180-მდე მოტეტი, ჰიმნები, მაგნიფიკატები, სასულიერო და საერო მადრიგალები. პ–მ დიდი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე და მომდევნო ეპოქის კომპოზიტორებზე.

პასიონი (ფრანგ. passion<ლათ. passio-ვნება, ტანჯვა), მუსიკალური ნაწარმოები სახარების ტექსტზე – იუდას ღალატის, იესო ქრისტეს დატყვევებისა და ჯვარცმის შესახებ; „ვნებანი”.

პარაფრაზი (ბერძ. Paraphrasis შინაარსის გადმოცემა), ვირტუოზული ხასიათის ინსტრუმენტული პიესა, რომელიც დაწერილია სხვისი მუს. ნაწარმოების ან ხალხური მელოდიის თემაზე.

პარტერი (ფრანგ. parterre), თეატრში, მაყურებელთა დარბაზის ნაწილი, სცენის დონეზე დაბლა.

პატეფონი (ფრანგ. pathephone), გადასაადგილებელი გრამოფონი, რომელიც XXს-ის 50-იან წლებამდე იყო გავრცელებული; სახელი დაერქვა ფრანგული ფირმა “პატე”-ს მიხედვით, რომელიც უშვებდა გრამოფონებს.

პარტია (<ლათ. Partio–ვყოფ, ვინაწილებ), 1. საორკესტრო მუსიკალური, დრამატული ან საანსამბლო ნაწარმოების ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ცალკეული ხმისა თუ მუს. საკრავისათვის. საოპერო მუსიკაში სოლისტის ვოკალურ პარტიას აღნიშნავენ ხმის ტიპის (სოპრანოს პარტია, ბანის პარტია და ა.შ.) ან ოპერის გმირის (აბესალომის პარტია ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“) სახელით. 2. სონატური ფორმის ექსპოზიციის (აგრეთვე რეპრიზის) მონაკვეთი.

პარტიტა (იტალ. Partita, სიტყვასიტყვით–ნაწილებად დაყოფილი (ლათ. ვყოფ, ვანაწილებ), ქორალურ მელოდიაზე შექმნილი საორგანო ვარიაციები XVI-XVIII სს. მუსიკაში, აგრეთვე საკრავიერი სიუიტის (განსაკუთრებით საცეკვაო პიესის) ნაირსახეობა.

პარტიტურა (იტალ. Partitura, სიტყვასიტყვით–გაყოფა, განაწილება), ვოკალური, საკრავიერი, ან ვოკალურ-საკრავიერი ნაწარმოების ყველა ხმის სანოტო ჩანაწერი, რომელშიც ხმების (საკრავების) პარტიები იმგვარად არის განლაგებული, რომ ყოველი ტაქტისა და მისი ნებისმიერი ნაწილის დასაწყისი ყველა პარტიაში მოთავსებულია ზუსტად ერთიმეორის თავზე. პ. საშუალებას იძლევა თვალის ერთი გადავლებით აღვიქვათ ყველა ერთდროულად შესასრულებელი ბგერა. ასეთი პ. პირველად შეიქმნა იტალიაში XVI ს-ში. ვოკალურ (საგუნდო) პ-ში ხმები ლაგდება ზევიდან ქვევით მათი ტესიტურის დადაბლების შესაბამისად, ხოლო სიმფ. ორკესტრის პ-ში საკრავთა პარტიები–ჯგუფების მიხედვით (ზევიდან ქვევით). თითოეულ ჯგუფში ხმოვანების სიმაღლის მიხედვით. სოლო საკრავების, ვოკალური ხმების და გუნდის პარტიები იწერება ქნარისა და ხემიან საკრავთა პარტიებს შორის.

პასაკალია (იტალ. Passacaglia<ესპ. Passacalle (<პასარ–გავლა და calle ქუჩა)), 1. ძვ. ესპანური ცეკვა. XVII–XVIII სს-ში გავრცელდა დას. ევროპაში. ცეკვა ნელი ტემპისაა. პოპულარული იყო საფრანგეთში ლუი XIV-ის კარზე. შეტანილია ლიულის მიერ ოპერასა და ბალეტში. 2. საკრავიერი პიესა (უფრო ხშირად ორგანის ან კლავესინისთვის), რომელიც ბასო ოსტინატოს ემყარება. ჩვეულებრივ, ამაღლებული, ზოგჯერ მწუხარე, ტრაგიკული ხასიათისა. მუს. ზომა 3/4 ან 3/2.

პასაჟი (ფრანგ. Passage, სიტყვასიტყვით-გასასვლელი), ბგერათა თანამიმდევრობა ჩქარი ტემპის დროს. დამახასიათებელია ვირტუოზული მუსიკისათვის. არსებობს გამისებური არპეჯოსებური და შერეული პასაჟი.

პასტა (Pasta) ჯუდიტა [28. X. 1797, სარონო, მილანის მახლობლად,–1. IV. 1865, ბლევიო, კომოს მახლობლად], იტალიელი მომღერალი (სოპრანო). სწავლობდა მილანის კონს-ში. გასტროლებს მართავდა ევრ. ქვეყნებში (რუსეთში 1840-41). სახელი გაითქვა როსინის, ბელინის, დონიცეტის ოპერების გმირთა პარტიების შესრულებით. მისთვის დაიწერა ნორმას, ამინას (ბელინის „ნორმა“, „სომნამბულა“), ანა ბოლეინის (დონიცეტის „ანა ბოლეინი“) პარტიები.

პასტორალი (ფრანგ. Pastorale<ლათ. Pastoralis–მწყემსური), 1. ოპერა, პანტომიმა ან ბალეტი, რომლის სიუჟეტი გაიდეალებულ სოფლის ცხოვრებას წარმოადგენს, განსაკუთრებით გავრცელდა XVII-XVIII სს. იტალიის და საფრანგეთის სამეფო კარზე. პ-ური ოპერები დაწერეს: კ. გლიუკმა, ვ. ა. მოცარტმა, ჟ. ლიულიმ, ჟ. რამომ. იშვიათად პ-ის ხასიათის ოპერები იქმნებოდა XX ს-შიც. 2. ვოკალური ან საკრავიერი ნაწარმოები, რომელიც ხატავს ბუნების სურათებს ან სოფლის ცხოვრების სცენებს; პ-თვის დამახასიათებელია მელოდიის ნარნარი, მშვიდი მოძრაობა, მუს. ზომა 6/8, 12/8. იგი წარმოადგენდა კონჩერტო გროსოს შემადგენელ ნაწილს. იქმნებოდა აგრეთვე როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები.

საკრავიერი პ-ბი დაწერეს: ა. ვივალდიმ, დ. სკარლატიმ, ფ. კუპერენმა, ი. ს. ბახმა და სხვ. სიმფ. პ-ბი წარმოადგენს ციკლური თხზულების ნაწილს (ბერლიოზის „ფანტასტ. სიმფონიის“ მე-3 ნაწილი), მთელ ციკლს (ლ. ბეთჰოვენის „პასტორალური სიმფონია“) ან კონცერტების ციკლს (ვივალდის „წელიწადის დრონი“).

პატარა დაფდაფი, დიდი დაფდაფის ზომით უფრო მცირე სახესხვაობა. ქვედა აპკზე დამაგრებული აქვს მოსირმული 3-4 სიმი, რაც მის ხმოვანებას ჟღრიალის ელფერს ანიჭებს. მასზე უკრავენ წვრილი, ბოლოსკენ გაგანიერებული მაგარი ხის 2 ჯოხის საშუალებით. პ. დ-ის ბგერა მშრალი, მკვეთრი და დიდ დაფდაფთან შედარებით ბევრად უფრო მაღალია, მაგრამ იგი განსაზღვრული არ არის და არსებითად მუს. ბგერას არ წარმოადგენს. პ. დ. ისევე როგორც დიდი, ნოტირებულია ერთ ხაზზე.

პატი (Patti) ადელინა [19. II. 1843, მადრიდი,–27. IX. 1919, ბრეკნოკი, უელსი], იტალიელი მომღერალი (კოლორატული სოპრანო). 1859-იდან საოპერო სცენაზეა. უდიდესი წარმატებით გამოდიოდა მრავალ ქვეყანაში. 1897 დატოვა სცენა და მხოლოდ კონცერტებს მართავდა. პ. XIX ს. ერთ-ერთი უდიდესი მომღერალი იყო. მას ჰქონდა წმინდა, წკრიალა ტემბრის ხმა და ვირტუოზული ტექნიკა. მის რეპერტუარში მთავარი ადგილი ეკავა იტალ. კომპ-ის (როსინი, ბელინი, ვერდი და სხვ.) ოპერებს.

პაუზა (ლათ. Pause<ბერძ. Pausis–შეჩერება, შეწყვეტა), მუსიკალური ნაწარმოებების ერთი, რამდენიმე ან ყველა ხმის დროებით შეწყვეტა, შეჩერება, აგრეთვე ამ შესვენების მიმანიშნებელი ნიშანი. თანამედროვე სანოტო დამწერლობაში გვხვდება მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი, მეთექვსმეტედი, ოცდამეთორმეტედი, სამოცდამეოთხედი პ. უფრო მოკლე პ. იშვიათია. უფრო გრძელი კი აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით გრძელი ხაზით, რომელსაც თავზე პ-ის ტაქტების რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრი აწერია. თავდაპირველად პ-ით უმთავრესად მელოდიური ხმის დანაწევრებას აღნიშნავდნენ, შემდეგში კი იგი მნიშვნელოვან გამომსახველობით საშუალებად იქცა.

პაჭკორია კირილე ნესტორის ძე [23. IV. 1889, წალენჯიხის რ-ნი,–28. II. 1967, თბილისი], ხალხური მომღერალი, ლოტბარი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). 1903 მღეროდა ა. მეგრელიძის გუნდში (ფოთში). 1908 ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი გუდაუთაში, 1911 ძ. ლოლუას გუნდის სოლისტი იყო, პარალელურად 1918 ოჩამჩირეში შექმნა მომღერალთა გუნდი. ლოლუას გარდაცვალების შემდეგ, 1924 მის გუნდს სათავეში ჩაუდგა კ. გეგეჭკორი, რომელიც მალე პ-მ შეცვალა. 1927-იდან გუნდი წარმატებით გამოდიოდა ოლიმპიადებზე, კონცერტებს მართავდა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვსა და ბაქოში. 1936-იდან ხელმძღვანელობდა დას. საქ. ეთნოგრაფიულ გუნდს, რომელიც წარმატებით გამოვიდა 1937 მოსკოვში ქართ. ხელოვნების დეკადაზე. დეკადის შემდეგ კონცერტები გამართა სსრკ სხვადასხვა ქალაქში. 1940-იდან პ. საქ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ერთ-ერთი დირიჟორი იყო (დას. საქ. ხალხ. სიმღერის

განხრით). ათეული წლების მანძილზე მან მრავალი ხალხური მომღერალი და ლოტბარი აღზარდა.

გ. ჩხიკვაძე

პედალი (ფრანგ. Pedale, ლათ Pedalis), სპეციალური ფეხით სამართავი მოწყობილობა მუსიკალური ინსტრუმენტებისა, რომელიც: 1. ცვლის წყობას (არფა, ლიტავრები), 2. ცვლის რეგისტრს (ორგანი), 3. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფ-ნოსათვის. მარჯვენა პედალი აძლიერებს და აგრძელებს ბგერას, ამდიდრებს ჟღერადობას, მარცხენა პედალი აჩუმებს ბგერას და ცვლის ტემბრს.

პევზნერი კონსტანტინე გრიგოლის ძე [24. 06.1924, ბაქო, -29.VIII.1990, თბილისი], კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1954 დაამთ. ბაქოს სახელმწ. კონს (ყარა-ყარაევის საკომპოზიციო კლ.). 1955-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. 1956-1973 და 1980-1987 ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ სახელმწ. საეტრადო ორკესტრს „რეროს“, რომლის შესრულება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით. „რეროს“ სოლისტები იყვნენ; ნ. ბრეგვაძე, ვ. კიკაბიძე, ზ. რცხილაძე, გ. ჩოხელი, ლ. გეგლია, ს. კოროშინაძე, ე. ჭელიძე და სხვ. ორკესტრისათვის მუსიკას წერდნენ ქართველი კომპოზიტორები: ო. თაქთაქიშვილი, გ. ცაბაძე, გ. ყანჩელი, ვ. აზარაშვილი, ჯ. კახიძე და თვითონ პევზნერი, რომლის სიმღერებმა, განსაკუთრებით— „დაილოცოს საქართველო“ („ო, რერო,რერო“) და „ნარინჯისფერი სიმღერა“ დიდი პოპულარობა მოიპოვეს. „რერო“ წარმატებით მართავდა გასტროლებს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. 1974-1980 პ. მიიწვიეს რუსეთის სახელმწ. საესტრადო ორკესტრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად.

პ. ძირითადად ოპერეტისა და საესტრადო მუსიკის ჟანრში მუშაობდა. მისი შემოქმედება საზრდოობს ქალაქური მუსიკის ინტონაციური წყაროებით, გამოირჩევა მკაფიო მელოდიურობით და გამომსახველობით. ავტორია არაერთი ოპერეტისა, რომანსისა და სიმღერის. აგრეთვე კინოფილმების [„თამაში ფრეს გარეშე“ (1966), „ფილატელისტის სიკვდილი“ (1969), „რერო მასპინძლობს“ (1971) და „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“] და დრამ. სპექტაკლების მუსიკისა.

პენდერეცკი (Penderzki) ქშიშტოფ [25. XI. 1933, დემბიტა,- 29.III.2020, კრაკოვი], პოლონელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. ა. მალიავსკისა და ს. ვეხოვიჩის მოწაფე. 1959-იდან ასწავლიდა კრაკოვის უმაღლეს სამუსიკო სკოლაში (1972-იდან რექტორი), აგრეთვე ესენში (გფრ 1966-68), უფრო გვიან იელის უნ-ტში (აშშ). თანამედროვე პოლონური საკომპ. სკოლის ლიდერი. თავის შემ-ში მიმართავს „მარადიულ“ ჰუმანისტურ თემებს. მისი მუს. ემოციური სიმძაფრით, ექსპრესიულობით გამოირჩევა, 50-60-იან წლებში ეწეოდა ექსპერიმენტებს სონორიკის სფეროში, ეძებდა გამომსახევლობის უჩვეულო ხერხებს („ხიროსიმის მსხვერპლთა გახსენება“, ალტის

კონცერტი, საკულტო ნაწ-ები). ამევე დროს მიმართავს ტრადიციულ ჟანრებსა და ფორმებს („ლუკას პასიონი“, „მაგნიფიკატი“, „პოლონური რეკვიემი“). 80-იანი წლებიდან პ-ის შემ. ე.წ. ახალი რომანტიკის სტილისტიკას ავითარებს. პ. მრავალი საერთაშ. პრემიის ლაურეატი და უნ-ტებისა და აკადემიის საპატიო წევრია.

პენტატონიკა (ბერძ. Pente ხუთი და tonos ტონი), მუსიკალური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ხუთსაფეხურიან გამაზე ნახევარტონების გამოკლებით; საფუძვლად უდევს ჩინურ, შოტლანდიურ და ზოგ სხვა ხალხურ მუსიკას.

პერგოლეზი, პერგოლეზე (Pergolesi, Pergolese) (ნამდვ. გვარი-დრაგი) ჯოვანი ბატისტა [4. I. 1710, ეზი, ანკონა,–17. III. 1736, პოცუოლი, ნეაპოლის მახლობლად], იტალიელი კომპოზიტორი, ნეაპოლური საოპერო სკოლის წარმომადგენელი. 1731 ნეაპოლში დაიდგა პ-ს პირველი ოპ-ერა „სალიუსტინი“. წერდა ოპერა-სერიებს, ორატორიებს, კომიკურ ინტერმედიებს. 1733 თავისი ოპერა-სერია „ამაყი ტყვისათვის“ დაწერა ინტერმედია „მოახლე-ქალბატონი“, რომელმაც სათავე დაუდო ახ. ჟანრის ოპერა-ბუფის განვითარებას. პ-ის სხვა ნაწარმოებებმა (ტრიო-სონატები, საოპერო უვერტიურები) სტილური გარდატეხა მოახდინა XVIII ს. იტალ. მუს. ხელოვნებაში. ფართო აღიარება მოიპოვა პ-ის სას. ნაწარმოებმა „სტაბატ მატერმა“ (1735).

პერი (Peri) იაკობო (მეტსახელი გრძელთმიანი) [20. VIII. 1561, რომი,–12. VIII. 1633, ფლორენცია], იტალიელი მომღერალი და კომპოზიტორი, ოპერის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ფლორენციული კამერატის მონაწილე. 1592 დაწერა (ი. კორსისთან ერთად) პირველი ოპერა „დაფნე“(ო. რინუჩინის ტექსტზე, დაიდგა 1597-98 ფლორენციაში. პ-ის მუსიკის ფრაგმენტები დაკარგულია). პ-ის ოპერა „ევრიდიკე“ (1600) ადრინდელი ოპერის ყველაზე მკაფიო ნიმუშია. პ. ამ ოპერაში ასრულებდა ორფევსის პარტიას.

პერიოდი მუსიკაში, დასრულებული (მეტ-ნაკლებად) მუსიკალური აზრის გამომხატველი მონაკვეთი. შედგება განსხვავებული კადენციების მქონე ორი ნაწილისაგან (წინადადებისაგან); თითოეული წინადადება 4 ან 8 ტაქტიანია.

პერსელი (Purcell) ჰენრი [დაახლ. 1659, ლონდონი,–21. IX. 1695, იქვე], ინგლისელი კომპოზიტორი და ორგანისტი. ლონდონის სამეფო კარის მუსიკოსი. პ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მრავალჟანრიანობა. პ-ის შემოქმედების მწვერვალია ოპერა „დიდონა და ენეა“ (1689), პირველი ინგლ. ეროვნ. ოპერა (ვერგილიუსის „ენეიდის“ მიხედვით). ოპერა გამოირჩევა ნატიფი ლირიზმით, ფსიქოლოგიური სიღრმით, დრამატიზმით, ტექსტისა და მელოდიის ერთობლიობით. ამ ოპერაში პ-მა განაზოგადა ინგლ. ეროვნ. თეატრის, ნიღბების ჟანრის, ინგლ. და შოტლ. ხალხ. სიმღერებისა და ცეკვების, ყოფითი საკრავიერი მუსიკის ტრადიციები. პ-ის სხვ. მუს.-სცენური ნაწარმოებები, ე.წ. „ნახევრად ოპერები“, შედგება

ცალკეული ნომრებისა ან ინტერმეცოებისაგან. პ. 100-მდე ერთხმიანი და მრავალხმიანი სიმღერის ავტორია. საერო სიმღერებში აგრძელებდა ინგლ. მადრიგალის ტრადიციებს. საგუნდო ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია ანთემები (ბიბლ. ტექსტზე დაწერილი საზეიმო-საეკლ. ნაწარმოებები). საკრავიერ მუსიკაში პ. იტალ. სავიოლინო სკოლის ტრადიციებს ეყრდნობა. მისი სიმებიანი ფანტაზიები, ტრიო-სონატები და საორგანო ნაწარმოებები გამოირჩევა პოლიფ. ოსტატობით. საკლავესინო პიესები ახლო დგას „ვერჯინალისტების“ ნაწარმოებებთან. მისდამი ინტერესი გაცხოველდა ბ. ბრიტენის მიერ პ-ის ნაწარმოებების (საკუთარი დამუშავებით), მ.შ. ოპერის „დიდონა და ენეა“ გამოცემის შემდეგ (1951). 1982 „თბ. კამერატამ“ საკონცერტო შესრულებით წარმოადგინა „დიდონა და ენეა“.

პერტილე (Pertile) აურელიანო [9. XI. 1885, მონტანიანა, პადუის მახლობლად,–11. I. 1952, მილანი], იტალიელი მომღერალი (ტენორი). 1911-იდან მღეროდა იტალიის საოპერო თეატრებში და სხვა ქვეყნებში, 1916-40 მღეროდა „ლა სკალას“ თეატრში. ასრულებდა როგორც დრამ. ისე ლირ. ტენორის პარტიებს, რომელთაგან გამოირჩეოდა მანრიკო, ოტელო, რადამესი და სხვ. 1945-იდან პ. მილანის კონს-ის პროფესორი იყო.

პიანინო (იტალ. Pianino), ფორტეპიანოს ნაირსახეობა. პ-ში სიმები დეკა და მექანიკა მოთავსებულია საკრავის ვერტიკალურ სიბრტყეზე. პირველი პ. გამოიგონეს ამერიკელმა ჯ. ჰოკინსმა (1800 დეკ.) და ავსტრიელმა მ. მიულერმა (1801 იანვ.). XIX ს. შუა წლებში პ-მ მიიღო დღევანდელი სახე (თუჯის ჩარჩო, ჯვარედინი სიმები, 7 ოქტავა, მექანიკა ზემოთ და ქვემოთ განლაგებული დემპფერებით). გავრცელებულია ე. წ. კაბინეტური პ. რომლის კორპუსის სიგანე კლავიატურის გასწვრივ 1450-1500 მმ-ია, სიმაღლე კი 1250-1400 მმ-მდე.

პიანისიმო (იტალ. Pianissimo), მუსიკალური ნაწარმოების შესრულება პიანოზე უფრო ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა (შემოკლებით PP).

პიანისტი (ფრანგ. pianiste <იტალ. pianista), მუსიკოსი, რომელიც უკრავს ფორტეპიანოზე, როიალზე, ზოგჯერ კლავიშიან სინთეზატორზე.

პიანო (იტალ. Piano), მუსიკალური ნაწარმოების ხმადაბლა შესრულება, შემოკლებული აღნიშვნა P.

პიაფი (Piaf) ედიტ (ნამდვილი გვარი–გასიონი) [19. XII. 1915, პარიზი,–11. X. 1963, პლაკასიე, საფრანგეთი], ფრანგი საესტრადო მომღერალი–შანსონიე, მიუზიკ-ჰოლის, დრამ. თეატრისა და კინოს მსახიობი. თანამშრომლობდა პოეტ რ. ასოსთან და კომპ. მ. მონოსთან, ემეროსთან და ა. კონტესთან. მკაფიო ინდივიდუალობითა და

მრავალმხრივი ნიჭიერებით დაჯილდ. ხელოვანი, ფრანგ. ლირ. სიმღერის დიდოსტატი მონაწილეობდა კფ-ში „უსახელო ვარსკვლავი“, „პარიზი განაგრძნობს სიმღერას“. დიდი გავლენა მოახდინა ფრანგული საესტრადო ხელოვნ. განვითარებაზე. სარგებლობდა უდიდესი პოპულარობით.

პიესა (ფრანგ. piece), 1.პატარა მუსიკალური ნაწარმოები. 2. ცალკეული დასრულებული ნაწარმოები მუსიკაში.

პიკოლო (იტალ. Piccolo–პატარა), უმცირესი ზომისა და უმაღლესი ხმოვანების მუს. საკრავის სახელწოდება (მაგ. ფლეიტა–პ., დომრა პ. და ა.შ.) უფრო ხშირად უწოდებენ ფლეიტა პ-ს, მცირე ფლეიტა.

პიროგოვები, რუსი მომღერლების ოჯახი. ***ალექსანდრე სტეფანეს ძე პიროგოვი*** [22.VI. 1899, რიაზანი,–26.VI. 1964, კ. მედვეჟია გოლოვა მდ. ოკაზე, დაკრძალულია მოსკოვში], რუსი მომღერალი (ბანი) სსრკ სახ. არტისტი. 1922-24 იყო მოსკოვის „თავისუფალი ოპერის“ (ყოფ. ზიმინისა), 1924-54 დიდი თეატრის სოლისტი. პ-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის ძლიერი ხმა. მის მიერ შექმნილი ვოკალურ-სცენური სახეები შევიდა რუსული ვოკალურ-თეატრალური ხელოვნების ისტორიაში (პარტიები: სუსანინი, რუსლანი, მეფისტოფელი, ბორის გოდუნოვი და სხვ.) გამოდიოდა აგრეთვე როგორც საკონცერტო მომღერალი. გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ, არაერთგზის თბილისში.

გრიგოლ სტეფანეს ძე პიროგოვი [12. I. 1885, სოფ. ნოვოსიოლსკი, ახლანდ. რიაზანის ოლქი,–20. II. 1931, ლენინგრადი], რუსი მომღერალი (ბანი). ალ. პიროგოვის ძმა. 1909 მღეროდა მარიას თეატრში (პეტერბურგი). 1910-20 მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი იყო. წარმატებით ასრულებდა ბანის პარტიებს, განსაკუთრებით რუსულ კლასიკურ ოპერებში.

პიუპიტრი (ფრანგ. pupitre), სპეციალური საყრდენი ნოტების დასადებად, დამაგრებულია ვერტიკალურ ჯოხზე ან როიალზე და მისთ (იხ. პულტი).

პიციკატო (იტალ. Pizzicato<pizzicare–პწკენა), 1. ხემიან მუსიკალურ საკრავზე დაკვრის ერთ-ერთი ხერხი-პწკენით დაკვრა. 2. საკრავიერი პიესა, რომელიც სრულდება ამ ხერხით (პწკენით).

პლექტრი (ბერძ. Plektron), პატარა თხელი ფირფიტა (რქისა, ძვლისა, ცელულოიდისა და სხვ.), რომლითაც ზოგიერთ სიმებიან საკრავს (მაგ. მანდოლინას, საზს და სხვ.) უკრავენ; მედიატორი.

პოემა (ბერძ. Poiema–ქმნილება), თავისუფალი ფორმით დაწერილი ლირიკული, თხრობითი ხასიათის ინსტრუმენტული ნაწარმოების სახელწოდება. სიმფ. პოემა-პროგრამული მუსიკის ერთ-ერთი მთავარი ჟანრი (შექმნა ფ. ლისტმა, XIX ს.).

პოზიცია (ლათ. Positio–მდგომარეობა), თითების ესა თუ ის მდგომარეობა მუსიკალურ საკრავზე დაკვრისას.

პოლიმეტრია (ბერძ. poly ბევრი და metron-ზომა), განსხვავებული მეტრის მქონე მუსიკალური მონაკვეთების ერთდროული ჟღერადობა. პ. ძალზე იშვიათი იყო XVIII–XIX სს. მუსიკაში. ფართოდ იყენებენ XX ს-ში პ-ის თავისებურ ფორმას „მოტივურ პოლიმეტრიას" განსხვავებული მეტრის მოტივების შერწყმას ერთიანი ტაქტის გრძლიობის ფარგლებში. ხშირად იყენებდა ი. სტრავინსკი.

რ. ბერიძე

პოლისტილისტიკა –თანამედროვე მუსიკაში აღნიშნავს ერთ ნაწ-ში შეუთავსებელი სტილური ელემენტების შეგნებულ გამოყენებას. პ-ის ძირითადი ფორმაა ციტატა (იხ. კოლაჟი), ფსევდოციტატა, ალუზია (მინიშნება). პ-ის სფეროს არ მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, როგორიცაა სხვისი თემა ვარიაციებით (მაგ. ბრამსის „ვარიაციები პაგანინის თემაზე"), ხალხური მელოდიის გამოყენება, ციტატების ზოგიერთი სახეობა (მაგ. კომპ. გრეტრის მელოდია ოპერა „პიკის ქალში"), სტილის არათანაბრობა (ეკლექტიზმი).

პოლიტონალობა, სხვადასხვა ტონალობის ერთდროული შეხამება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. გამოიყენება როგორც მხატვრული ხერხი XX ს. მუსიკაში და თამანედროვე ჯაზში.

პოლიფონია (ბერძ. Poly–მრავალი და phone ხმა, მრავალხმიანობა), მრავალხმიანობის სახეობა, რომელშიც ყველა ხმა თანაბარმნიშვნელოვანია და დამოუკიდებელი მელოდიის სახითაა მოცემული (მონათესავე ტერმინია კონტრაპუნქტი). პ-ურ მუსიკაში გადამწყვეტი მნ. ენიჭება თითოეული ხმის მელოდიური ხაზის ლინეარულ (ჰორიზ.) განვითარებას და შესუსტებულია აკორდული შეხამების (ჰარმონიული ვერტიკალის) როლი, თუმცა ხმების განვითარება და ურთიერთშეთანხმება ზოგადჰარმონიული კანონზომიერებითაა განპირობებული. მუს. მასალის განვითარების ხერხებისა და თემების მიხედვით. პ. შეიძლება იყოს იმიტაციური (ერთი თემის გატარება–დამუშავება სხვადასხვა ხმაში–მიბაძვა–გამეორების პრინციპით) და კონტრასტულ-თემატური (ერთდროულად 2 ან მეტ განსხვავებულ თემაზე აგებული). შეიძლება პ-ის განვითარების ორივე ხერხის ერთდროული გამოყენებაც. პ-ური ფორმები და განვითარების ხერხები საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, იხვეწებოდა, რთულდებოდა. თავდაპირველად გაბატონებული პ-ის ე.წ. „მკაცრმა სტილმა" განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია XV-XVI სს-ში (ჟ. დეპრე, ო. ლასო, ჯ. პალესტრინა). XVII-XVIII სს-ში ფართოდ გავრცელდა თავისუფალი სტილი. მისი მწვერვალია გ. ფ. ჰენდელის და განსაკუთრებით ი. ს. ბახის მუსიკა. მართალია, XVIII ს. II ნახევრიდან დას. ევრ. მუსიკაში უპირატესობას ჰომოფონიურ-ჰარმონიული სტილი იძენს, მაგრამ პ-ის ელემენტებს საკმაოდ მნ. ადგილი უჭირავს ვენის კლასიკოსებისა და რომანტიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებებში. პოლიფონიურმა სტილმა ახ. აღმავლობა განიცადა XX ს. მუსიკაში. თანამედროვე მუსიკაში გავრცელებულია პოლიფონიურ-ჰარმონიული ფაქტურის პოლიფონიზაცია, რის შედეგადაც ზოგჯერ ვიღებთ ხარისხობრივად ახ. მუს.–სტილისტურ ნაირსახეობას, რომელშიც შერწყმულია ჰომოფონიურ-ჰარმონიული და პ-ური სტილების კანონზომიერებანი. პ-ური მუსიკის თავისებური სახეობაა სლავურ,განსაკუთრებით,რუსულ ხალხ. მუს-ში გავრცელებული თანახმიერი (подголосочная) პ., რ-იც წარმოიქმნება ერთი ხმისა (მელოდია) და მისგან დროებით გამოყოფილი მელოდიური განშტოებებისაგან. განცალკევებით დგას ქართ. ხალხ. ვოკალური პ, რომელიც სავსებით

ორიგინალური პ-ური სისტემის სახითაა წარმოდგენილი ქართ. ხალხ. სიმღერებში, საერო და სას. საგალობლებში. ზოგადი სტილური ნიშნებით ქართ. ხალხ. პ. კონტრასტულია, ახასიათებს ერთდროულად რამდენიმე (უმთავრესად სამი) განსხვავებული მელოდიის გატარება, მაგრამ ჰარმ. საფუძვლით, კილოური ბაზისით განვითარების ზოგადი კომპოზიციური ხერხებით, ხმათა ლინეარული მოძრაობისა და აკორდული შეხამების პრინციპებით რადიკალურად განსხვავდება ზოგადევროპული კლასიკური და სლავური (რუსული) თანახმიერი პ-საგან. პ-ური ელემენტები მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა კუთხის ქართ. ხალხ. სიმღერას, მაგრამ უფრო მეტად გავრცელებულია დასავლურ (აჭარულ, იმერულ, მეგრულ და, განსაკუთრებით, გურულ) დიალექტებში. ხალხ. პ-ური ხელოვნება განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევს მდოვრე, მელოდიურ საერო სიმღერა–საგალობელსა („შავი შაშვი“, „ჩვენ მშვიდობა“, „გრძელი ღიღინი“) და კრიმანჭულიან სიმღერებში („ხასანბეგურა“, „ვახტანგური“, „შვიდკაცა“ და სხვ.). ხალხ. ვოკალური პ-ის უნიკალური ნიმუშია გურულ-აჭარული 4-ხმიანი ნადურები (ასრულებს ორპირული ოთხხმიანი გუნდი სიმინდის თოხნა–მარგვლის დროს).

ქართული პ-ური სიმღერების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია ჰარმონია. ქართ. ხალხ. სიმღერისა და საერო-სას. საგალობლების პ-ურმა სისტემამ დიდი როლი ითამაშა ქართ. პროფეს. მუსიკის ჩამოყალიბებაში. ხალხ. პ-ური პლასტების შემოქმედებით ათვისება-გამოყენებას სათავე დაუდო ზ. ფალიაშვილმა; შემდგომ მას მიმართავდნენ მომდევნო თაობების ქართველი კომპოზიტორები, მათ შემოქმედებაში შეინიშნება ევროპული პ-ური სკოლის საკომპ. ხერხების და ქართ. ხალხ. ვოკალური პ-ის შერწყმის ტენდენციები.

მ. ჟორდანია

პოლკა (ჩეხ. Polka), ძვ. ჩეხური ხალხური წყვილთა ცეკვა. მუს. ზომა 2/4 ცოცხალი და მარტივი ფორმის პ. XIX ს. დასაწყისში ფართოდ გავრცელდა სლოვაკიაში, სერბიაში, უნგრეთსა და ავსტრიაში. XIX ს. 40-იან წლებში პოპულარული გახდა მთელ ევროპაში როგორც სამეჯლისო ცეკვა. პ-ის მუს. ჟანრი გამოიყენეს კომპოზიტორებმა: ბ. სმეტანამ, ა. რუბინშტეინმა, მ. ბალაკირევმა, ს. რახმანინოვმა, პ. ჩაიკოვსკიმ.

პოლონეზი (ფრანგ. Polonaise<polonais–პოლონური), 1. პოლონური სადღესასწაულო სამეჯლოსო ცეკვა-მსვლელობა. მუს. ზომა 3/4. მომდინარეობს ფოლკლორიდან. XV ს-ში დას. ევრ. მრავალ ქვეყანაში სამეფო კარის ცეკვა გახდა. პ-მა, როგორც ჟანრმა ფართო განვითარება პოვა ფ. შოპენის შემოქმედებაში. 2. საზეიმო ხასიათის საკრავიერ-საგუნდო სიმღერა-ცეკვა. მუს. ზომა 3/4.

პოპ-მუსიკა (ინგლ. Pop music)–პოპულარული საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, „მასობრივი“ მუსიკა), აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში: თანამედროვე მსუბუქი, საესტრადო მუსიკის გავრცელებული სახეობა, რომელიც სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას და ადგილს იჭერს მუს. ყოფაში და მასმედიის მუს. პროგრამებში.

ტერმინი შეიქმნა XX ს. 50-იან წლებში და თავდაპირველად გამოიყენებოდა როკ-მუსიკის აღსანიშნავად. ამჟამად პოპ–მუსიკას მიაკუთვნებენ კომერციული მუსიკალურ-გასართობი „ინდუსტრიის“ ყველა მოვლენას, მათ შორის შლაგერს. პ-ის გავრცელების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს ვიდეო ან აუდიოჩანაწერები.

60-იანი წლებიდან პ-ში დიდ მნიშვნელობას იძენს ელექტროაკუსტიკური ტრანსფორმაციების რთული სახეები, ხმოვანებათა ერთმანეთზე დაშრევება, მონტაჟი. პ. გადაიქცა XX ს-ის

მნიშვნელოვან სოციალურ-კულტურულ ფენომენად და გავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის საესტრადო მუსიკაზე.

პოპური (ფრანგ. Pot-Pourri–შერეული კერძი, რაგინდარა), საკრავიერი პიესა, რომელიც შედგენილია რომელიმე ოპერის, ოპერეტის, ბალეტის, სიმღერის, ცეკვის, მარშის თუ კინოფილმის პოპულარული მოტივებისაგან. პ-ში მელოდია, ჩვეულებრივ, არ ვითარდება, არამედ მისდევს ერთიმეორეს. თემატური გადართვისა და მოდულაციისათვის მელოდიებს შორის ჩართულია მოკლე მაკავშირებლები. პ. ფართოდ გავრცელდა XIX ს-იდან განსაკუთრებით საესტრადო და სასულე ორკესტრების რეპერტუარში.

პორტამენტო (იტალ. Portamento<portare–გადატანა), მელოდიის მღერადი შესრულება ხმის ერთი ბგერიდან მეორეზე თანდათანობითი, შენელებული სრიალის მეშვეობით. გვხვდება სიმღერაში და ხემიან საკრავებზე დაკვრისას.

პრელუდია, პრელუდი (გვიანდ. ლათ. Praeludium<praeludo–ვუკრავ. წინასწარ, სასინჯად, შესავალს ვუკეთებ). მუს. ნაწარმოების შესავალი; დამოუკიდებელი მუს. პიესა, უპირატესად ფ-ნოსათვის. XVIII ს-იდან პ. იქმნება როგორც დამოუკიდებელი პიესა (უმთავრესად სიმებიან-კლავიშიანი საკრავისათვის), ამავე დროს, ჩამოყალიბდა (განსაკუთრებით ი. ს. ბახის შემ-ში) მდგრადი მცირე ციკლი პ.–ფუგა. ბახმა ჩამოაყალიბა აგრეთვე მაჟორისა და მინორის ყველა ტონალობის შემცვლელი პ-ბისა და ფუგების დიდი ციკლი („კარგად ტემპერირებული კლავირის" I და II ტომები). შეიქმნა აგრეთვე მხოლოდ პ-ბის ციკლი-ყველა ტონალობისა (შოპენის, სკრიაბინის, დებიუსის, რახმანინოვის, შოსტაკოვიჩის, და ა.შ. ნაწარმოებები).

პრემიერა (ფრანგ. premiere -პირველი), ახალი ან განახლებული სპექტაკლის, საესტრადო და საცირკო პროგრამის, კინოფილმის, ტელეფილმის სხვ. პირველი საჯარო ჩვენება.

პრესტისიმო (იტალ. Prestissimo), მუსიკალური ნაწარმოების ძალიან ჩქარი ტემპი.

პრესტო (იტალ. Presto–სწრაფად), მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი ტემპი. ეს ტერმინი დასტურდება XVII ს. დასაწყისიდან.

პრიმა (ლათ. Prima–პირველი), ბგერათრიგის ერთ-ერთი ინტერვალი, აგრეთვე გამის ერთ-ერთი საფეხური.

პრიმადონა(იტალ. primadonna – პირველი ქალბატონი), ოპერასა და ოპერეტაში მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი.

პროგრამული მუსიკა, საკრავიერი მუსიკის სახეობა, მუს. ნაწარმოები, რომელსაც საფუძვლად უდევს გარკვეული ლიტერატურული პროგრამა ან კონკრეტული სიუჟეტი. პ. მ-ის უმარტივესი სახეა სურათოვანი პროგრამულობა (ბუნების, დღესასწაულების, ბრძოლისა და ა.შ. მუს. სურათები). პ-ბის ძირითადი სახეა სიუჟეტური პ-ბა. განასხვავებენ განზოგადებულ-სიუჟეტურ და თანმიმდევრულ-სიუჟეტურ პ-ბას. შეიძლება პ-ს საფუძვლად დაედოს ავტორისეული (ბერლიოზი–„ფანტასტიკური

სიმფ“.) ან ლიტ. (ჩაიკოვსკი–უვერტიურა –ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“) სიუჟეტი. პ. მ. უძველესი დროიდანაა ცნობილი (ანტ. საბერძნეთი), მას მნ. ადგილი ეჭირა XVIII ს. მუსიკაში (ფრანგი კლავესინისტების ფ. კუპერენის, ჟ. ფ. რამოსა და სხვ. პიესები, ჰაიდნის ზოგიერთი სიმფ. და სხვ.). პ. ნაწარმოებები შექმნა ბეთჰოვენმა („პასტორალური სიმფონია“, უვერტიურები „ეგმონტი“, „კორიოლანი“ და სხვ.). პ. მ-ის ფართო გავრცელება XIX ს-ში დაკავშირებულია რომანტ. მიმდინარეობასთან (შუბერტი, შუმანი, ბერლიოზი, ლისტი). პ. მ-ის ჟანრი განავითარეს სმეტანამ, დვორჟაკმა, გრიგმა, რ. შტრაუსმა, დებიუსიმ, ონეგერმა, რუსმა კომპოზიტორებმა (მუსორგსკი, რიმსკი-კორსაკოვი, ჩაიკოვსკი, სკრიაბინი, რახმანინოვი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი და სხვ.).

ქართული პ. მ-ის პირველი მნ. ნიმუშები შეიქმნა 30-იანი წლების ბოლოს–გ. კილაძის სიმფ. პოემა „განდეგილი“, 1937 და შ. მშველიძის სიმფ. პოემა „ზვიადაური“, 1940. ქართ. პ. მ-ის ნიმუშებია აგრეთვე: ა. ბალანჩივაძის საორკესტრო სურათი „რიწის ტბა“ (1938) და მე-4 საფ. კონცერტი (1967), რ. ლაღიძის სიმფ. პოემა „სამშობლოსათვის“ (1949), შ. მშველიძის სიმფ. პოემა „მინდია“ (1950), ო. თაქთაქიშვილის სიმფ. პოემა „მწირი“ (1956), დ. თორაძის სიმფონია №2 „ქებათაქება ნიკორწმინდას“ (1968), ს. ნასიძის სიმფონია „ფიროსმანი“(1976) და სხვ.

მ. ჩიჯავაძე

პროკოფიევი სერგეი სერგეის ძე [11 (23). IV. 1891, სონცოვკა, ახლანდ. დაბა კრასნოე, დონეცკის ოლქი,–5. III. 1953, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი. რსფსრ სახ. არტისტი (1947). პირველდაწყებითი მუს. განათლება მიიღო დედისა და რ. გლიერის ხელმძღვანელობით. 1909 დაამთ. პეტერბურგის კონს. კომპოზიციის (პედ. ა. ლიადოვი, ნ. რიმსკი-კორსაკოვი, ი. ვიტოლი), ხოლო 1914-სადირიჟორო (ნ. ჩერეპნინი) და საფ. (ა. ესიპოვა) განხრით. ამ წლებში შექმნა 2 ოპერა („მადალენა“, 1913, და „მოთამაშე“ დოსტოევსკის მიხედვით, 1929), ბალეტი „ზღაპარი მასხარაზე, რომელმაც შვიდი მასხარა გაამასხარავა“ (1921), „კლასიკური“ (პირველი) სიმფონია (1916-17), „სკვითური სიუიტა“ (1914-15), I კონცერტი ვიოლინოსათვის ორკესტრთან ერთად (1921), 5 კონცერტი ფ-ნოსა და ორკესტრისათვის (1912, 1913, მე-2 რედ. 1923), 9 საფ. სონატა, ციკლები („სარკაზმები“, „წამიერებანი“), ტოკატა და სხვ. 1908-იდან დაიწყო ფართო საკონცერტო მოღვაწეობა, როგორც პიანისტმა და დირიჟორმა. 1918 საგასტროლოდ გაემგზავრა აშშ-ში, სადაც 15 წელი გაატარა. პერიოდულად ცხოვრობდა გერმანიასა და საფრანგეთში. პ-მა შემოქმედების ამ პერიოდში შექმნა ოპერები: კომიკური „სიყვარული სამი ფორთოხლისადმი“ (კ. გოცის მიხედვით, 1921), ექსპრესიონისტული დრამა „ცეცხლოვანი ანგელოზი“ (ვ. ბრიუსოვის მიხედვით, 1919-27). ს. დიაგილევთან შემოქმედებითი თანამეგობრობა გახდა სტიმული ახ. ბალეტების („ფოლადის ნახტომი“, 1925 და „უძღები შვილი“, 1928) შესაქმნელად, დაწერა აგრეთვე საკრავიერი ნაწარმოებები: მე-5 საფ. სონატა, მე-3 და მე-4 სიმფ-ბი(1924, 1928, 1930-47), მე-3, მე-4, მე-5 კონცერტები ფ-ნსა და ორკესტრისათვის (1917-21, 1931, 1932). 1927 და 1929 კომპოზიტორი საგასტროლოდ ჩამოვიდა სსრკ-ში, ხოლო 1932 საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში. პ-ის შემოქმედება გამდიდრდა ახ. მნ. თემებით–შექმნა თავისი ერთ-ერთი შედევრი–ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ (1938), აგრეთვე ოპერა „სემიონ კოტკო“ (1940), მუსიკა ს. ეიზენშტეინის ფილმისათვის „ალექსანდრე ნეველი“, რ-იც საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების კანტატას.

30-იან წლებში პ-მა შექმნა ნაწარმოებები ბავშვებისათვის (საფ. პიესების კრებული „საბავშვო მუსიკა“, 1935; სიმფ. ზღაპარი „პეტია და მგელი“, მთხრობელისა და ორკესტრისათვის 1936). ომის წლებში შექმნილი მნ. ნაწარმოებებია: ოპერა „ომი და მშვიდობა“ (ტოლსტოის რომანის მიხედვით, 1943), ბალეტი „გერია“ (1945; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), „ნიშნობა მონასტერში“ (შერიდანის მიხედვით, 1940); მე-5, მე-6 სიმფონიები (1944, 1945-47), მე-7 საფ. სონატა (1939-42; სახელმწ. პრემია, 1943), ომის შემდგომ წლებში შექმნა ბალეტი „თქმულება ქვის ყვავილზე“ (პ. ბაჟოვის მიხედვით, 1954), მე-7 სიმფონია (1957 დაჯილდოვდა ლენინური პრემიით, პირველი საბჭოთა კომპოზიტორთაგან) და სხვ.

პ-ის შემოქმედება მთელი ეპოქაა XX ს. მსოფლიო მუს-ში. პ. ნოვატორი კომპოზიტორია, რომელმაც შექმნა თვითმყოფი მუს. სტილი, გამოსახვის საშუალებათა საკუთარი სისტემა. პ-ის შემოქმედებითი მემკვიდრეობა თითქმის ყველა ჟანრს მოიცავს. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება საოპერო, საბალეტო და საფორტეპიანო მუსიკაში.

პ-ის მუს. აზროვნების თვითმყოფობამ, მელოდიკის, ჰარმონიის, რიტმისა და ინსტრუმენტობის სიახლემ და თავისებურებამ დასაბამი მისცა ახ. გზებს XX ს. მუსიკაში და მძლავრი გავლენა იქონია მრავალი კომპოზიტორის შემოქმედებაზე. 1955-67 გამოიცა კომპოზიტორის ნაწარმოებთა კრებული 20 ტომად.

პ-მა თბ-ში 1933 შეასრულა მე-3 საფ. კონცერტი (დირიჟორი ე. მიქელაძე) ომის წლებში იგი ევაკუაციაში იმყოფებოდა თბილისში (3. XI. 1941–29. VI. 1942), აქ დაამთავრა მუშაობა ოპერაზე „ომი და მშვიდობა“ (ბოლო 5 სურათი), დაწერა მე-7 საფ. სონატა, მუსიკა ფილმისათვის „ლერმონტოვი“; გამართა საავტორო სიმფ. კონცერტი და რამდენიმე კლავირაბენდი. თბ. საოპერო სცენაზე დაიდგა პ-ის ოპერები: „სემიონ კოტკო“ (1964), „სიყვარული სამი ფორთოხლისათვის“ (1985), „ნიშნობა მონასტერში“ (1989), „ცეცხლოვანი ანგელოზი“ (1990), ბალეტები: „გერა“, „უძღები შვილი“, „რომეო და ჯულიეტა“ (2006). პ-ის საფ. ნაწარმოებების ცნობილი ქართველი შემსრულებლები არიან–ე. ვირსალაძე, მ. მდივანი, ლ. თორაძე.

გ. ტორაძე

პროლოგი (ბერძ. Prologos–წინასიტყვა), დრამის, რომანის, ოპერის შესავალი ნაწილი, რომელიც გვამცნობს მოქმედების წინა ამბებსა და მოვლენებს (ბოროდინის „თავადი იგორის“, ლეონკავალოს „ჯამბაზების“ პროლოგები და სხვ.).

პულტი (გერმ. Pult<ლათ. Pulpitum–ფიცარნაგი, ტრიბუნა), დახრილი მაგიდა–სადგამი ნოტებისათვის. პულტი, რომელსაც უსხედან ორკესტრში სხვადასხვა ინსტრუმენტზე შემსრულებელი მუსიკოსები (მაგ. პირველი ვიოლინო), აღინიშნება რიგითი ნომრებით (I პულტი, II პულტი, III პულტი და ა.შ.).

პუანტილიზმი (ფრანგ. pointillisme- წერტილებით წერა), თანამედროვე კომპოზიციის ერთ-ერთი მეთოდი, რომლის დროსაც მუს. ქსოვილი იქმნება არა მელოდიური ხაზების ან აკორდების შეერთებისაგან, არამედ ბგერების „წერტილებიდან“ (Point ფრანგ. წერტილი), რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულები არიან პაუზებით ან ნახტომებით. პ-ის დამამკვიდრებლად ა. ვებერნს მიიჩნევენ (მაგ. თხზ. 27 ვარიაციების მე-2 ნაწილი). უმეტესად

XX ს. მეორე ნახევარში გავრცელდა (შტოკჰაუზენი, ბულეზი და სხვ. იხ. აგრეთვე სერიალობა).

პულენკი პულანკი (Poulenc) ფრანსის [7. I. 1899, პარიზი,–30. I. 1963, იქვე], ფრანგი კომპოზიტორი. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვოკალურ და სცენურ მუსიკას. მნ. ნაწარმოებებია: ოპერა-ბუფა „ტირესიას კერტები“ (გ. აპოლინერის პიესის მიხედვით, 1947). ტრაგიკული ოპერა „კარმელიტი ქალების დიალოგები“ (ჟ. ბერნანოსის მიხედვით, 1957), მისი შედეგრი ლირიკულ-ფსიქოლოგიური მონოოპერა „ადამიანის ხმა“ (ჟ. კოქტოს მიხედვით, 1959), კანტატები, მ. შ. პატრიოტული კანტატა ორმაგი გუნდისათვის თანხლების გარეშე– „ადამიანური იერი“ (პ. ელიუარის ლექსებზე, 1943), გუნდები, რომანსები (აპოლინერის, ელიუარის, რ. დესნოსის, ლ. არაგონის ლექსებზე). მასვე ეკუთვნის ბალეტები, საფ., კამერულ-საკრავიერი ნაწ-ები, მუსიკა დრამ. თეატრის სპექტაკლებისა და კინოსათვის.

პუჩინი (Puccini) ჯაკომო [22. XII. 1858, ქ. ლუკა,–29.XI. 1924, ბრიუსელი], იტალიელი კომპოზიტორი. 10 წლის ასაკიდან უკრავდა ეკლესიებში ორგანზე. 16-17 წლისამ შექმნა თავისი პირველი პიესები ორგანისათვის. 1872-80 პ. სწავლობდა მუს. ინ-ტში, 1880-83 კი მილანის კონს-ში (ა. პონკიელისთან). მისი პირველი ოპერაა „ვილისები“ (1884). 1893 პ-მ დაწერა ოპერა „მანონ ლესკო“ (პრევოს რომანის მიხედვით), რომელმაც კომპოზიტორს აღიარება მოუტანა. მომდევნო 3 ოპერაში („ბოჰემა“, 1896, „ტოსკა“, 1900 და „მადამ ბატერფლაი“ ანუ „ჩიო-ჩიო-სანი“, 1904) ნათლად გამოვლინდა პ-ის როგორც იტალ. საოპერო ვერიზმის ყველაზე დიდი და ტიპური წარმომადგენლის დამახასიათებელი ნიშნები: მკაფიო, ლაკონიური დრამატურგია, ცხოვრებისეული თემატიკა, დინამიზმი და ემოციურობა. პ-ს ეკუთვნის აგრეთვე ოპერები: „ქალიშვილი დასავლეთიდან“ (ბელასკოს დრამის მიხედვით (1910), „მერცხალი“ ვილნერის და რაიხერტის კომედიის მიხედვით, 1917), „ჯანი სკიკი“ (დანტეს „ჯოჯოხეთის“ 30-ე სიმღერის მიხედვით, 1918) და სხვ. პ-ის უკანასკნელი ოპერა „ტურანდოტი“ (გოცის ზღაპრის მიხედვით, 1926) დაუმთავრებელი დარჩა, დაასრულა კომპოზიტორმა ფ. ალფანომ (პ. ესკიზების მიხედვით).

პ. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი საოპერო კომპოზიტორი-ნოვატორია. მან ღრმა კვალი დატოვა ამ ჟანრის ისტორიაში. მისი საოპერო მელოდიები საყოველთაოდაა გავრცელებული.

თბ-ში პ-ის ოპერები პირველად დაიდგა: „მანონ ლესკო“ 1896-97 სეზონში, „ბოჰემა“ 1898-99, „ტოსკა“ 1903-04, „ჩიო-ჩიო-სანი“ 1909-10, „ტურანდოტი“ 1928-29, „ჯანი სკიკი“ 1965-66.

პ-ის ოპერებს მრავალი შესანიშნავი ქართველი შემსრულებელი ჰყავს, მ.შ. ჩიო-ჩიო-სანის როლის საუკეთესო შემსრულებლები, ვოკალისტთა ტოკიოს საერთაშ. კონკურსების ლაურეატები: ლ. ჭყონია (1967), მ. ამირანაშვილი (1971) და სხვ.

მ. ჯაში

ჟ

ჟანრი (ფრანგ. genre – გვარი, სახეობა), ხელოვნების ყველა დარგში ისტორიულად ჩამოყალიბებული დაყოფა. მუსიკაში ტერმინი ჟანრი მუსიკის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელია (საოპერო ჟ., სიმფ. ჟ. და ა.შ.), უფრო მართებულია ამ ტერმინის გამოყენება დარგის ნაირსახეობის აღსანიშნავად. მაგ., ოპერის ჟანრები: კომიკური ოპერა, დიდი ოპერა, ლირ. ოპერა და ა.შ., სიმფ. მუსიკის ჟ-ბი: სიმფონია, უვერტიურა, სიმფ. პოემა, და სხვ. კამერული მუს. ჟ-ბი: რომანსი, სონატა, კვარტეტი და სხვ. ამასთანავე ჟ. გულისხმობს ამა თუ იმ სახის შემოქმედებას და მასთან დაკავშირებული შესრულების მანერას, მაგ., სალონური ჟ., მსუბუქი ჟ.

ჟვანია ნოდარ არჩილის ძე [26. III. 1945, ქუთაისი], მუსიკოს-შემსრულებელი (ალტი). საქ. სახ. არტისტი (1980). შოთა რუსთაველის სახ. (1992) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1975) პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (2001). 1968 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. შ. შანიძის კლ.). 1964-იდან საქ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტია. 1966-იდან უკრავს საქ. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში. არის ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის (1969) და ლ. ვაინერის სახ. კვარტეტების საერთაშ. კონკურსის (ბუდაპეშტი, 1972, II პრემია კვარტეტის სხვა წევრებთან ერთად) ლაურეატი. 1970-იდან კვარტეტთან ერთად გასტროლებს მართავდა ყოფილ სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთ (სკანდინავიის ქვეყნები, იტალია, ბელგია, ავსტრია, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, აშშ, საბერძნეთი და სხვ.). 1970-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ. კონს-ში. 1993-2010 მოღვაწეობდა გერმანიაში. 2010-იდან მუშაობს ნიჭიერთა ათწლედში. 2013-იდან ამ სკოლის დირექტორია. დაჯილდოებულია საქ. ეროვნული პრემიით (2010).

ჟიგა (ფრანგ. gigue; ინგლ. jig; გერმ. gigue), კელტური წარმოშობის ძველებური ცეკვა, რომელიც შემორჩა ირლანდიაში. თავდაპირველად ჟ. იყო წყვილთა ცეკვა. XVII ს. ცეკვა გავრცელდა დას. ევროპის ქვეყნებში. დამკვიდრდა ფრანგულ საკლავირო სიუიტაში დასკვნით ნაწილად (ზომა 3/4, 5/4, 6/8, 3/8) აგრეთვე იტალ. სავიოლინო მუს-ში, გერმ. მუს-ში, სადაც მიიღო პოლიფ. იერი (ე.წ. ფუგირებული, ჟ. ი. ფრობერგერის შემ-ში). ი.ს. ბახის შემ-ში ვხვდებით ჟ-ის სხვადასხვა ტიპს.

ჟირაში–ყაზახი სახალხო მთქმელ-შემსრულებელი. ჟ. დომბრაზე ასრულებს ხალხ. საგმირო და რომანტ. დასთანებს.

ჟონგლიორი (ფრანგ. jongleur<ლათ. joculator ხუმარა, გამრთობი), შუა სს-ში საფრანგეთსა და ესპანეთში მოხეტიალე მსახიობი და მუსიკოსი.



ჟორდანია გაიოზ (გიზო) ვუკოლის ძე [25.IX.1934, ლანჩხუთი,–19.XI. 2016 თბილისი], ქართველი რეჟისორი. საქ. სახ. არტისტი (1983). საქ. სახლმწ. (1982), შ. რუსთაველის (1995), კ. მარჯანიშვილის (1989), ს. ახმეტელის (1992), მ. აბაშიძის (1998) სახ. პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ა. შვაიცერის (1983) და ო. პოპოვის (1988) სახ. საერთაშ. მედალით.

1958 დაამთ. თბ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. ამავე წლიდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თეატრალურ ინ-ტში.

1961-65 ბათუმის, 1965-70 და 1979-86 რუსთაველის სახ. თეატრების დამდგმელი რეჟისორია; 1970-79 თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. რეჟისორი; 1991-99 თეატრისა და კინოს ინ-ტის რექტორი; 1993-2004 ბათუმის საოპერო თეატრის მთ. რეჟისორი. დადგმული აქვს 100-ზე მეტი დრამატული და საოპერო სპექტაკლი საქართველოში და საზღვარგარეთ; ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა დრამატული თეატრის, ოპერისა და სათეატრო პედაგოგიკის პრობლემებზე. თბ. საოპერო თეატრში დადგა: ო. თაქთაქიშვილის „სამი ნოველა"(1967), „მინდია" (1970), ნ. ლისენკოს „ტარას ბულბა"(1972), რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები"(1973), რ. ლაღიძის „ლელა" (1975), პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი"(1976), ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" (1977) და სხვ. საარბრიუკენში (გერმანია) დადგა ზ. ფალიაშვილის „დაისი"(1973), „აბესალომ და ეთერი"(1976), პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი"(1974), ო. თაქთაქიშვილის „მინდია" (1974). ბათუმში დადგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"(1993), რ. ლაღიძის „ლელა"(1994), ჯ. ვერდის „ოტელო"(1996) და სხვ. ბათუმის მუსიკლაურ ცენტრში ჟ. ბიზეს „კარმენი"(2014).

ჟ. ბათუმის ბავშვთა საოპერო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელია, სადაც კ. გოცის მიხედვით დადგა „პრინცესა ტურანდოტი"(2000). 2016 თბილისის განახლებულ საოპერო თეატრში დადგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

ჟოსკენ დეპრე, (Josquin Després, Josquin des Prés)[დაახლ. 1440 პიკარდია,–27. VIII. 1521, კონდე-სიურ-ესკო], ფრანგი და ფლამანდელი კომპოზიტორი. მოღვაწეობდა უმთავრესად იტალიაში. 1474-79 მილანის სამეფო კარის კაპელის, 1486-94 რომის სიქსტეს კაპელის მგალობელი. 1495-99 ხელმძღვანელობდა კამბრეს ტაძრის, 1489-მოდენის ტაძრის კაპელებს. 1500 მსახურობდა პარიზში, ლუი XII-ის კარზე. 1501-03 ფერარის სამეფო კარის კაპელმაისტერი იყო, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კონდეს ტაძრის-მოძღვარი. ჟ. დ. აღორძინების ხანის პოლიფ. ხელოვნ. ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. თავის მესებსა და მოტეტებში პოლიფონიურ ტექნიკას უქვემდებარებდა ახ. გამომსახველობით ამოცანებს. მისმა პროგრ., ჰუმანისტურმა ხელოვნებამ ნიადაგი მოუმზადა ახ. შემოქმედებით მიმართულებას XVI ს. ევრ. მუსიკაში. მისი თხზ. სრული კრებული გამოდის ლაიფციგში, ამსტერდამში (1968-მდე გამოვიდა 54 კრებული. გამოცემა გრძელდება).

რ

რაველი (Ravel) მორის ჟოზეფ [7. III. 1875, სიბური, ატლანტიკის პირენეები, –28.XII. 1937, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი XX ს. I ნახ. ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. დაამთ. პარიზის კონს. (გ. ფორეს საკომპ. კლ.). ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში შექმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები („პავანა ინფანტის გარდაცვალებაზე“ ფ-ნოსათვის, 1899), ავითარებდა იმპრესიონიზმის პრინციპებს. ასეთია მისი საფ. ნაწარმოებები–„წყლის თამაში“ (1901), „ანარეკლები“ (1905), „ღამის გასპარი“ (1908), აგრეთვე ბალეტი „დაფნისი და ქლოე“ (დაიდგა პარიზში, 1912). რ-ის მუსიკაში აისახა ესპანური მელოდიკა და რიტმი (საორკესტრო შედევრი „ესპანური რაფსოდია“, 1907; კომიკური ოპერა „ესპანური საათი“, 1907, დაიდგა 1911, პარიზი; განთქმული „ბოლერო“ ორკესტრისათვის 1928 და სხვ). რ-ს იტაცებდა აგრეთვე ძველებური და თანამედროვე ცეკვები, ჯაზური რიტმები („კეთილშობილი და სენტიმენტალური ვალსები“ ფ-ნოსათვის 1911; ოპერა „ბავშვი და ჯადოქრობა“, 1925, მონტე-კარლო; ქორეოგრაფიული პოემა „ვალსი“, 1920, სონატა ვიოლინოსა და ფ-ნოსათვის, 1927, II ნაწ. „ბლიუზი“; საფ. კონცერტი მარცხენა ხელისათვის, 1934 დაწერილია ავსტრ. პიანისტის პ. ვიტგენშტაინისათვის, რომელმაც ომში დაკარგა მარჯვენა ხელი). I მსოფლიო ომის (1914-1918) დროს რ. მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ომში დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა საფ. სიუიტა „კუპერენის აკლდამა“ (1917). რ. იყო აგრეთვე შესანიშნავი პიანისტი და დირიჟორი. რ-ის შემოქმედებითმა აღმოჩენებმა ჰარმონიის, რიტმის, კილოსა და ორკესტრის სფეროში XX ს. მუსიკაში ახალ სტილისტურ მიმდინარეობებს მისცა დასაბამი.

რაზმაძე ალექსანდრე სოლომონის ძე [2. II. 1845, პენზა,–14. III. 1896, მოსკოვი], რუსი მუსიკისმცოდნე, კრიტიკოსი, კომპ. და პედაგოგი. დაიბადა გადასახლებაში მყოფი 1832 წლის შეთქმულების მონაწილის სოლომონ რაზმაძის ოჯახში. სწავლობდა მოსკოვის უნ-ტის იურიდიულ ფაკ-ზე. მუს. განათლება მიიღო ლაიფციგის კონს-ში, სადაც სწავლობდა მ. ჰაუპტმანთან (მუს.-თეორ. საგნები) და ი. მოშელესთან (ფ-ნო). 1869-75 იყო მოსკოვის კონს-ის პროფესორი (ასწავლიდა მუს. ისტორიას, ფ-ნოს, პარტიტურის კითხვას). განაგებდა მუს. ისტორიის კათედრას. როგორც მუს. კრიტიკოსი მოღვაწეობდა რუსულ პრესაში (მ. შ. მუს. ჟურნალებში „Муз. сезон“, „Муз. листок“, „Муз. вестник“). მას ეკუთვნის რუსეთში პირველი მუსიკის ისტორიის წიგნი (სახელმძღვ.) – „Очерки истории музыки от древнейших времен до половины XIX века в четырех частях с двенадцатью нотными примерами“ (Москва,

1888] და სხვ. ავტორია 40 რომანსისა და საფ. პიესებისა, აგრეთვე ოპერეტისა „ესპანელი რაინდი სულთანის ჰარამხანაში“.

გ. ტორაძე

რამო (Rameau) ჟან ფილიპ [24. IX. 1683, დიჟონი,–12. IX. 1764, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი და მუსიკის თეორეტიკოსი. 1738-მდე ცხოვრობდა პარიზში. 1745 სამეფო კარის კომპოზიტორი იყო. დაწერა 48 მინიატიურა კლავესინისთვის (3 კრებული–1706, 1724,1728) და მუს-სცენური ნაწარმოებები (ლირ. ტრაგედია „იპოლიტე და არისია“,1733; „დარდანი“, 1739; ოპერა-ბალეტი „გალანტური ინდოეთი“, 1735 და სხვ.). რ. აღრმავებდა დრამ. ექსპრესიას, ისწრაფოდა მუს. ენის დემოკრატიულობისკენ. რ-ს შემოქმედებაში ორგანულადაა შერწყმული იმდროინდელი ფრანგ. და იტალ. მუს. კულტურის მონაპოვარი. რ. XVIII ს. ყველაზე თვალსაჩინო ფრანგი კომპოზიტორია. მისმა ნოვატორულმა ძიებებმა სრულყო და გაამდიდრა საოპერო ჟანრის დრამატურგია. რ-ს მუს. გამომსახველმა საშუალებებმა განვითარება პოვეს შემდგომ ეპოქაში (ქ. გლიუკი). რ. თვალსაჩინო მეცნიერიც იყო. მისი თეორიული ნაშრომები („ტრაქტატი ჰარმონიის შესახებ“, 1722 და სხვ.) მნიშვნელოვანი ეტაპია ჰარმონიის მოძღვრების განვითარებაში.

რატილი (ნავრატილი) იოსებ ივანეს ძე [27. II. 1840, პარდუბიცე, –17. II. 1912, თბილისი], ჩეხი მომღერალი (ტენორი), ლოტბარი. მუს. განათლება მიიღო პრაღის კონს-ში. მღეროდა პრაღისა და სხვ. ქალაქის ოპერის თეატრებში. 1878-იდან გამოდიოდა ჰელსინკის ოპერის თეატრში. გასტროლები გამართა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. 1880-იდან რ. იყო თბ. საოპერო თეატრის სოლისტი. აქ დაუახლოვდა ქართველ მუსიკოსებს (ა. ბენაშვილს, მ. ბალანჩივაძეს, ი. კარგარეთელს, კ. მაღრაძეს, ხ. სავანელს, ფ. ქორიძეს, ზ. ჩხიკვაძეს). იგი გაეცნო ქართულ მუს. ფოლკლორს, მოიხიბლა თვითმყოფი, მდიდარი მრავალხმიანი სიმღერებით. რ. 1885 სათავეში ჩაუდგა ლ. აღნიაშვილის ხალხური სიმღერის გუნდს. 1890 შეადგინა ცალკე გუნდი. პროპაგანდას უწევდა ქართულ სიმღერას. ჩაწერა და დაამუშავა რამდენიმე ქართ. ხალხ. სიმღერა. მის შესახებ გადაღებულია ფილმი „გმადლობ, ნავრატილ“ (1985).

გ. ჩხიკვაძე

რაფსოდი (ბერძ. rhapsodos < rhapto-ვაწყობ, ვთხზავ და ödë-სიმღერა), ეპიკური სიმღერების შემსრულებელი მოხეტიალე მუსიკოსი ძვ. საბერძნეთში. აედოსისგან განსხვავებით, რ. მუს. თანხლების გარეშე ზეპირად მღეროდა ეპიკურ პოემებს (განსაკუთრებით ჰომეროსისას). ძვ. საბერძნეთის კლასიკურ ეპოქაში (ძვ. წ. V–IV სს.) რ-ის ხელოვნება თეატრალური ხელოვნების შემადგენელი ნაწილი იყო და მუს. მელოდეკლამაციის სახით გვიანდელ ანტ. ხანამდე მიაღწია (ახ. წ. I ს.).

რაფსოდია (ბერძ. rhapsödia- ეპიკური პოემის მღერა ან დეკლამაცია; ეპიკური პოემა, რაფსოდის სიმღერა), ხალხურ მელოდიაზე აგებული თავისუფალი ფორმის საკრავიერი ნაწარმოები. ფანტაზიისაგან განსხვავდება თემის გადმოცემისა და დამუშავების მეტი თავისუფლებით, კონკრეტული ეპიზოდებით. პირველი რ. რომელიც ფორმით კლასიკურ სონატას უახლოვდება, ფ-ნოსათვის შექმნა ვ. ტომაშეკმა (1813). თავისუფალი ფორმის რ-მ

განვითარება პოვა ლისტის, დვორჟაკის, რაველის, გერშვინის და სხვათა ნაწარმოებებში.

რაჭველი ნიკოლოზ შოთას ძე [15. V. 1979, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი და სოლისტ-შემსრულებელი (ფორტეპიანო). შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (2012), თბილისის საპატიო მოქალაქე (2018). სწავლობდა თბ. სახელმწ. კონს. (ბ. კვერნაძის ხე-ლით) და ვენის მუსიკისა და საშემრულებლო ხელოვნების უნ-ტში (მიშელ ჟარელის ხე-ლით).

რ. პირველად საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრს 11 წლის ასაკში უდირიჟორა. კონს. ერთწლიანი სწავლების დასასრულს განსაკუთრებულ მოვლენად იქცა მის მიერ ორიგინალური გაორკესტრებით განხორციელებული დადგმა - ჩვენამდე მოღწეული პირველი საოპერო ნიმუში ჯაკომო პერის „ევრიდიკე". იგი არის შტოკჰაუზენის, კეიჯის, კრამბის, გუბაიდულინას, შნიტკეს და სხვა თანამედროვე კომპოზიტორთა მნ. თხზულებების პირველი შემსრულებელი საქ-ში. 2005 მიწვეულ იქნა საქ. მუსიკისა და დარამის თეატრის მუსიკალურ ხელმძღვანელად და ამასთანავე ახლადდაფუძნებული საქ. ეროვნ. მუს. ცენტრის ხე-ლად. მის მიერ დაფუძნებულია თანამედროვე მუსიკის ფესტივალი „კონტრაპუნქტი" და ფესტივალი „სტუმრად კვარტეტთან", აღადგინა სიმფ. კონცერტების სეზონები. დირიჟორის რანგში ხშირად თანამშრომლობს მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ და უცხოელ მუსიკოს-შემსრულებლებთან.

რ. შექმნილი აქვს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, მ. შ. ვოკალურ-ინსტრუმენტული თხზულება „გზა შინისკენ და უკან", რომელიც აუდიო ალბომის სახით ვენაში გამოიცა, საფ. კონცერტი „ინტროვერსია", რომელის პრემიერა ნიუ-იორკის კარნეგი ჰოლში შედგა, საორკესტრო პიესა „პასუხი", სიმფ. ნაწარმოები „რეევერანსი", სიმებიანი კვარტეტი და სხვ.

თ. თამარაშვილი

რაჭველიშვილი ანიტა გურამის ასული [28.VI. 1984, თბილისი], ქართველი მომღერალი (მეცო-სოპრანო). 2007 დაამთ. თბ. კონს. (მ. ეგაძის კლ.) გაემგზავრა იატალიაში გაიარა „ლა სკალას" აკადემიის კონკურსი და ჩაირიცხა 10 საუკეთესოთა შორის. სწავლის პერიოდში ხშირად მონაწილეობდა კონცერტებში, აგზავნიდნენ სხვადასხვა ტურნეში, იტალიის თითქმის ყველა თეატრში.

რ. იმ იაშვიათი ვარსკვლავების ჯგუფს მიეკუთვნება, ვინც აკადემიის დამთავრებამდე, ჯერ კიდევ სტუდენტობისას მიიღო შემოთავაზება და 2009 „ლა სკალას" სცენაზე ჟ. ბიზეს ოპერაში „კარმენი" მთ. როლი „კარმენი" შეასრულა. სპექტაკლმა პოპულარობა მთელი ევროპის მასშტაბით მოიპოვა. კრიტიკოსების შეფასებით, მეცო-სოპრანომ შესანიშნავად მოირგო როლი და მის მიერ შექმნილი „კარმენი" ერთ-ერთი საუკეთესოა საოპერო სივრცეში. ფრანგული „ფიგარო" წერდა 7 დეკემბერს „ლა სკალას" სცენაზე ვარსკვლავი დაიბადა.

„ლა სკალაში" დებიუტის შემდეგ ის ევროპის საზღვრებსაც გასცდა და ჰქონდა გასტროლები მეტროპოლიტენის, სიეტლის, ლონდონისა და სხვა ქალაქის საოპერო

სცენებზე. მისმა როლმა ჯ. ვერდის „აიდაში" (2015) დიდი პოპულარობა მოიპოვა. რ-ის წარმატება არის მთელი ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა.

რახმანინოვი სერგეი ვასილის ძე [20. III. 1873, ონეგი, ახლანდ. ნოვგოროდის რ-ნი,–28. III. 1943, ბევერლი–ჰილზი, კალიფორნია. დაკრძალულია კენსიკოში, ნიუ-იორკის მახლობლად], რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი. დაამთ. მოსკოვის კონს-ის საფ. (1891) და საკომპოზიციო (1892) კლასები. მისი სადიპლომო შრომა-ოპერა „ალეკო" 1893 დაიდგა დიდ თეატრში. 90-იან წლებში შექმნა I საფ. კონცერტი (1891, მე-2 რედ. 1917), პრელუდია დო დიეზ მონორი, „მუს. მომენტები", ელეგიური ტრიო (1893), I სიმფ. (1895), 20-ზე მეტი რომანსი და სხვ. 1906 იყო მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორი. 1900-იდან როგორც პიანისტი და დირიჟორი, მართავდა კონცერტებს რუსეთსა (1911, 1913, 1915–თბილისში) და უცხოეთში. 1900-10 წლების უმთავრესი ნაწარმოებებია: განთქმული მე-2 (1901) და მე-3 (1909) საფ. კონცერტები, მე-2 სიმფონია (1907); სიმფ. პოემა „მკვდართა კუნძული" (ა. ბიოკლინის სურათის მიხედვით, 1902), ოპერები „ძუნწი რაინდი" (პუშკინის მიხედვით) და „ფრანჩესკა და რიმინი" (დანტეს მიხედვით, ორივე 1906), კანტატა „გაზაფხული" (1908), პოემა „ზარები" ორკესტრის, გუნდისა და სოლისტებისათვის (1913), „მწუხრის ლოცვა" აკაპელა გუნდისათვის (1915), რომანსები, 2 სონატა (1907, 1913), 23 პრელუდია, 17 ეტიუდ-სურათი (1911-17) ფ-ნოსათვის. 1917 რ. საგასტროლოდ გაემგზავრა სკანდინავიაში, 1918-იდან დასახლდა აშშ-ში, სადაც ძირითადად ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას (გასტროლები ევრ. ქვეყნებში). ამ წლებში შექმნა: მე-4 კონცერტი (1926) და „რაფსოდია პაგანინის თემაზე" (1934) ფ-ნოსა და ორკესტრისათვის, „3 რუსული ხალხ. სიმღერა" ორკესტრისა და გუნდისათვის (1926), „ვარიაციები კორელის თემაზე" ფ-ნოსათვის (1931), ნოსტალგიური სევდით გამსჭვალული მე-3 სიმფ. (1934) და „სიმფ. ცეკვები" (1940). რ-ის შემოქმედება ჟანრობრივად მრავალფეროვანია, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საფ. მუსიკა, რომელიც ავტორის ფენომენალური პიანიზმის გათვალისწინებითაა შექმნილი და ფართო პოპულარობით სარგებლობს როგორც მსმენელებში, ისე შემსრულებლებში. მაღალი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა რ-ის სასულიერო ნაწარმოებები. რ. ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი უდიდესი პიანისტია. მას სამართლიანად ადარებენ ფ. ლისტს.

გ. ტორაძე

რე (იტალ. re), ერთ-ერთი მუსიკალური ბგერა, ძირითადი (დო-მაჟორული) დიატონური ბგერათრიგის მეორე საფეხური. მისი ანბანური აღმნიშვნელია ლათ. D.

რეგენტი (ლათ. regens, მგალობელთა გუნდის ლოტბარი), გუნდის ხელმძღვანელი მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

რეგერი (Reger) მაქს [19. III. 1873, ბრანდი, ზემო პფალცი, -11. V. 1916, ლაიფციგი], გერმანელი კომპოზიტორი, ორგანისტი, დირიჟორი, კომპოზიციას სწავლობდა ჰ. რიმანთან (1890-93), სამეფო კარის კაპელას ხელმძღვანელობდა მაინინგენში, კომპოზიციას ასწავლიდა მიუნხენში, ლაიფციგში (1911-14), რ-ის შემ-ში წარმოდგენილია ყველა ჟანრი, გარდა ოპერისა. მისი საკრავიერი

მუსიკა არაპროგრამულია. გამონაკლისს წარმოადგენს 4 პოემა სიმფ. ორკესტრისათვის (1913). რ-ის შემოქმედებითი სტილი ძირითადად ბახის, ბრამსისა და ვაგნერის ჰარმონიის ზეგავლენით ჩამოყალიბდა (ბახს მიუძღვნა საორგანო სიუიტა „ბახის ხსოვნას“, 1894-95). რ-ის შემოქმედებაში თავი იჩინა ნეოკლასიციზმის ტენდენციებმა (ძვ. სტილის კონცერტი ორკესტრისათვის, 1912; საორკესტრო ვარიაციები და ფუგა მოცარტის თემებზე, 1914).

რეგისტრი (გვიანდ. ლათ.registrum სია, ჩამოთვლა), 1. ადამიანის ხმის ან მუს. საკრავის ბგერათა რიგის დიაპაზონის ნაწილი, რომელსაც განსაზღვრული ადგილი უჭირავს სიმაღლის მიხედვით. არსებობს მაღალი, საშუალო და დაბალი რეგისტრი.

2. სხვადასხვაგვარად აწყობილი ერთგვარი ტემბრის მილების (ორგანი) სიმების (კლავესინი) თუ ენაკების (ფისგარმონია, აკორდეონი) ჯგუფი.

რეგტაიმი (ინგ. ragtime<ragged – წყვეტილი და time დრო, ტემპი, ტაქტი), 1. ამერიკელ ზანგთა საცეკვაო მუსიკის ფორმა, რომელიც ჩამოყალიბდა XIX ს-ის მეორე ნახევარში; ჯაზის ერთ-ერთი წინამორბედი. 2. ამერიკული სალონური და სამეჯლისო (წყვილთა) ცეკვა; მისგან წარმოიშვა ტუსტეპი,უანსტეპი,ფოქსტროტი. რ-ს ტიპური თვისებები აისახა პროფეს. მუს. შემ-ში (ი. სტრავინსკის „რ“ და სხვ.).

რეკვიემი [ლათ. ტექსტის („Requiem aeternam dona eis, Domine“–„განუსვენე მათ სამარადისოდ, უფალო“) პირველი სიტყვის მიხედვით], განსვენებულის მოსახსენიებელი (შესანდობარი) სამგლოვიარო მესა. კათოლიკური საზეიმო მესისაგან განსხვავებით მასში ზოგიერთი ნაწილი („გლორია“, „კრედო“) შეცვლილია [დამატებულია „რეკვიემი“, „დიეს ირე“(„რისხვის დღე“), „ტუბა მირუმ“(„სასწაულებრივი საყვირი“), „ლაკრიმოზა“ („ცრემლიანი“), „ოფერტორიო“ („ძღვენთა მირთმევა“), „ლუქს ეტერნა“ („მარადიული სინათლე“)]. XV-XVII სს-ში რ. წარმოადგენდა მრავალხმიან საგუნდო ციკლურ ნაწარმოებს (აკაპელა), რომლის მელოდია გრიგოლისეულ ქორალზე იყო დაფუძნებული. XVII-XVIII სს. რ. იქცა მსხვილი პლანის ნაწარმოებად გუნდის, სოლისტისა და ორკესტრისათვის, მასში შერწყმულია გამოსახვის პოლიფ. და ჰომოფონიურ-ჰარმონიული ხერხები. შემდგომ რ-მა დაკარგა საკულტო მნიშვნელობა და გადაიქცა დრამ. და ფილოს. მუს. ნაწარმოებად, რომელიც, როგორც წესი, სრულდება საკონცერტო დარბაზში. საყოველთაოდ ცნობილია მოცარტის გენიალური რ. (1791), რომელიც დაამთავრა მისმა მოწაფემ ფ. ზიუსმაირმა. ცნობილია აგრეთვე ლ. კერუბინის, ფ. ლისტის, განსაკუთრებით, ჰ. ბერლიოზისა და ჯ. ვერდის, აგრეთვე ი. ბრამსის ა. ბრუკნერის, ა. დვორჟაკის, ბ. ბრიტენის რ-ბი.

რეპერტუარი (ფრანგ. repertoire < გვიანდ. ლათ. repertorium-სია, აღწერა), თეატრში, ესტრადაზე და სხვ. დადგმულ ნაწარმოებთა (მუსიკალური, დრამატული და სხვ.), აგრეთვე მსახიობის მიერ შესრულებული როლების ერთობლიობა.

რეპრიზა (ფრანგ. reprise<reprendre-განახლება), მუს-ში ნაწარმოების რომელიმე მონაკვეთის გამეორება. რთული სამნაწილიანი ფორმის მესამე ნაწილის სახელწოდება ან ძირითადად ტონალობაში პირველი ნაწილის (სონატის, სიმფონიის, არიის და სხვ.) გამეორება.

რეჟისორი (ფრანგ. regisseur < ლათ. rego-ვმართავ), სპექტაკლის, კინოფილმის, საესტრადო-საკონცერტო პროგრამის, საცირკო წარმოდგენის, მასობრივი თეატრალიზებული სანახაობის და სხვ. დამდგმელი.

„რერო", საქართველოს სახელმწ. ფილარმონიის საესტრადო ორკესტრი. დაარსდა 1957. მისი დამაარსებელი და ხე-ლი (1957-74 და 1979-90) იყო კ. პევზნერი. ორკესტრის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი სასტრადო მომღერლები: ლ. გეგელია, ნ. ბრეგვაძე, ე. კაკულია, მ. ძიძიგური, ვ. კიკაბიძე, ა. ებრალიძე, ე. ჭელიძე, გ. ჩოხელი, ნ. დუმბაძე, ზ. რცხილაძე, ს. კოროშინაძე, ნ. აბესაძე, ი. სოხაძე, მ. მენაბდე. 1974-79 ორკესტრს ხელმძღვანელობდა კომპოზიტორი გ. გაჩეჩილაძე. 1985-იდან სამხ. ხე-ლად დაინიშნა ვ. კიკაბიძე. 1988 საესტრადო ორკესტრის არსებობა შეწყდა. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეჭირა ქართ. კომპოზიტორების ო. თაქთაქიშვილის, გ. ცაბაძის, გ. ყანჩელის, ვ. აზარაშვილის, ჯ. კახიძის და კ. პევზნერის ნაწარმოებებს. ორკესტრი დიდი პოლულარობით სარგებლობდა 50-იან წწ. თბილისის მაყურებელთა შორის. ორკესტრმა გასტროლებით შემოიარა საბჭ. კავშირის რესპუბლიკები და საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა.

რეფრენი (ფრანგ-refrain), ვოკალური ან საკრავიერი ნაწ-ის თემა, რომელიც სამჯერ მაინც მეორდება და კომპოზიციურად კრავს მას. რ. დამახასიათებელია რონდოსა და მისი მსგავსი ფორმებისათვის.

რეჩიტატივი (იტალ. recitativo<recitare-ხმამაღლა კითხვა, დეკლამაცია), ვოკალური მუსიკის განსაკუთრებული სახე. სიმღერაში ინტონაციური მხარისა და მეტყველების რიტმიკის წინა პლანზე წამოწევა. რ-ს არა აქვს მკვეთრი მუს. ფორმა, ექვემდებარება ტექსტის სინტაქსურ დანაწევრებას. იგი დასაბამს ხალხ. პოეზიიდან იღებს (ეპიკ. მუს. პოეტური ნაწარმოების შესრულება). რ. პროფესიულ მუსიკაში დამკვიდრდა ოპერის შექმნასთან ერთად (XVI–XVII სს).

რიადნოვი (შულცი) ევგენი კარლის ძე [1853, სოფ. რიადნოვკა, ხარკოვის გუბ. –19.IX. 1925, თბილისი], რუსი მომღერალი (ტენორი) და პედაგოგი. სწავლობდა პეტერბურგის კონს-ში (კ. ევერარდისთან), შემდეგ მილანში (ა. ბუცის ხე-ლობით). გამოდიოდა რომის, მარსელის, ვენის საოპერო სცენაზე, 1880-იდან თბილისში, 1881-85 კი პეტერბურგის მარიას თეატრში. 1910-იდან რ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ-ში, მან ხელი შეუწყო ქართ. ვოკალური სკოლის ჩამოყალიბებას. მისი მოწაფეები იყვნენ: ს. ინაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი და სხვ.

რიმსკი-კორსაკოვი ნიკოლოზ ანდრიას ძე [6. III. 1844, ტიხვინი, –8. VI. 1908, მამული ლუგის მახლობლად, ახლანდ. სანკტ-პეტერბურგის ოლქი], რუსი კომპოზიტორი, პედაგოგი, დირიჟორი საზ. მოღვაწე. 1861 რ.–კ. გახდა „მძლავრი ჯგუფის" წევრი. ბალაკირევის ხელმძღვანელობით დაწერა I სიმფონია (1865). 60-იან წლებში შექმნა 20-მდე რომანსი, სიმფ. სურათი „სადკო" (1867), II სიმფონია „ანტარი" (1868). 70-80-იან წლებში ოპერები „ფსკოველი ქალი" (1873), „მაისის ღამე" (1880), „თოვლია" (1882). 1871-იდან მოღვაწეობდა

პეტერბურგის კონს-ში. გამოდიოდა როგორც საოპერო და სიმფ. დირიჟორი. შეადგინა კრებული „100 რუსული ხალხ. სიმღერა“, 1876. 80-იან წლებშია შექმნილი უმთავრესი სიმფ. ნაწარმოებები: „ზღაპარი“ (1880), „ესპანური კაპრიჩიო“ (1887), სიუიტა „შეჰერაზადა“ (1888), და სხვ. 90-იანი წლების II ნახ. შექმნა ოპერები: „სადკო“ (1897), „მოცარტი და სალიერი“ (1899), „ბოიარი ქალი ვერა შელოგა“ („ფსკოველი ქალის“ პროლოგი, 1898), „მეფის საცოლე“ (1899), „ზღაპარი მეფე სალთანზე“ (1900). რ.კ–ის 900-იანი წწ. საუკეთესო ოპერებში [„უკვდავი კაშჩეი“ (1902), „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟსა და ქალწულ თებრონიაზე“ (1907), „ოქროს მამალი“ (1909)] ნათლად აისახა ახალი მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები. რ.–კ-ის შემ. ღრმად თვითმყოფადია და ამავე დროს, უმჭიდროეს კავშირშია კლასიკურ ეროვნულ (გლინკას) ტრადიციებთან, „ძლავრი ჯგუფის“ იდეურ-მხ. პრინციპებთან,რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი ზღაპრულ თემატიკასთან, ხალხურ ყოფასთან დაკავშირებულ ნაწარმოებებში. რ.–კ-მა გააფართოვა საორკესტრო-ტემბრული და ჰარმ. გამომსახველობის სფერო და დიდი გავლენა მოახდინა ამ მხრივ არამარტო რუს, არამედ დას. ევრ. კომპოზიტორებზეც (მაგ. დებიუსი, რაველი). რ.–კ-ის ოპერები მრავალფეროვანია ჟანრული, კომპოზიციური და სტილური თვალსაზრისით. განსაკუთრებით გამორჩეულია ზღაპრულ-ეპიკური თემატიკა, დიდი წვლილი შეიტანა სიმფ. მუსიკაშიც (პროგრამული სიმფ. სიუიტების–„შეჰერაზადა“, „ესპანური კაპრიჩიო“ და სურათოვან-ფერწერითი უვერტიურის –„სადკო“ ჟანრები). დიდი მნ-ბა ჰქონდა რ.–კ-ის პედ. მოღვაწეობას, მან აღზარდა 200-ზე მეტი მოწაფე, რომელთა შორის არიან: ა. გლაზუნოვი, ა. ლიადოვი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი,ა. არენსკი,ნ. მიასკოვსკი,ა. სპენდიაროვი,ი. სტრავინსკი,ს. პროკოფიევი, მ. ბალანჩივაძე, ნ. ლისენკო, ა. გრეჩანინოვი, ნ. ჩერეპნინი და სხვ.

ავტორია ორკესტრობის და ჰარმონიის სახელმძღვანელოებისა, აგრეთვე ავტობიოგრაფიული წიგნისა – „ჩემი მუსიკალური ცხოვრების მატიანე“. მან დაასრულა დარგომიჟსკის „ქვის სტუმარი“, ბოროდინის „თავადი იგორი“, მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ და „ხოვანშჩინა“. თბილისში დაიდგა „მაისის ღამე“ (1883), „თოვლია“ (1897), „მოცარტი და სალიერი“ (1899), „სადკო“ (1899), „მეფის საცოლე“ (1900), „ოქროს მამალი“ (1924. წლები პირველი დადგმებისა).

გ. ტორაძე

რიტარდანდო (იტალ. ritardando, სიტყვასიტყვით-შენელებით, შეჩერებით, შემოკლ. rit), ტემპის თანდათანობითი შენელების აღნიშნვა, იგივეა, რაც რალენტანდო.

რიტენუტო (იტალ. ritenuto < ritenere-შეფერხება; შემოკლ. rit), ტემპის შენელების აღნიშვნა. რიტარდანდოსაგან განსხვავებით რ. ვრცელდება მხოლოდ რამდენიმე ტაქტზე.

რიტმი (ბერძ. rhytmos-სამწყობრე, თანაზომიერება), მუსიკალურ ნაწარმოებში თანაზომიერ ბგერათა მოწესრიგებული გამეორება. რ. ერთ-ერთი ძირითადი გამომსახველობითი საშუალებაა მუსიკაში.

რიტმიკა (ბერძ. rhytmikos–რიტმთან დაკავშირებული), მოძღვრება რიტმის შესახებ.

რიხტერი სვიატოსლავ თეოფილეს ძე [7.III. 1915, ჟიტომირი, –1. VIII. 1997, მოსკოვი], პიანისტი სსრკ სახ. არტისტი, სსრკ და ლენინური პრემიების (1961) ლაურეატი. 1933-37 იყო ოდესის ოპერისა და ბალეტის თეატრის კონცერტმაისტერი. 1934 პირველად გამოვიდა სოლო კონცერტით. 1937-47 (ხანგამოშვებით) მეცადინეობდა მოსკოვის კონს-ში გ. ნეიგაუზის კლასში. 1945 მუსიკოს შემსრულებელთა III საკავშირო კონკურსზე I პრემია მიიღო. 1950-იდან გამოდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1943-იდან სისტემატურად ჩამოდიოდა საქართველოშიც. რ. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი პიანისტია. მისი შესრულებისათვის დამახასიათებელია უმაღლესი არტისტიზმი, მგზნებარე ტემპერამენტი, ფაქიზი გემოვნება, ბგერითი პალიტრის სიმდიდრე. რ-ის რეპერტუარი მოიცავს საფ. ლიტერატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნიმუშს.

2005 მოსკოვში გაიმართა რ-ის სახ. საერთაშ. კონკურსი, რომლის ლაურეატი გახდა ანი ტაკიძე.

გ. ტორაძე

როიალი (ფრანგ. royal-სამეფო), სიმებიან-კლავიშიანი დასარტყამი–მუს. საკრავი. ფ-ნოს ნაირსახეობა, რომლის სიმები, დეკა და მექანიკა განლაგებულია ჰორიზონტალურად. კორპუსის ფრთისებური ფორმა განპირობებულია სიმების ზომებით (მაღალი ბგერებისათვის-მოკლე, დაბალი ბგერებისათვის-გრძელი სიმებით). კაბინეტის რ. არის პატარა, საკონცერტო რ. კი დიდი ზომისა.

როკ-ენ-როლი, როკ-ენდ-როლი (ინგ. rock`n`roll, rock and roll, სიტყვასიტყვით–იქანავე და იტრიალე), პოპულარული ჯაზური მუსიკის სტილი (იხ. ჯაზი). აღმოცენდა აშშ-ში 1950-იანი წწ. დასაწყისში. წარმოადგენს ზანგური მუს. ხელოვნების სახეობის „რიტმ ენდ ბლუზისა“ და ამერიკული სოფლური ფოლკლორის –„ჰილბილის“ სინთეზს. რ-ის ორიგინალური რიტმულ-ინტონაციური კომპლექსი ანგლოსაქსური და ზანგური ფოლკლორიდან არის ნასესხები. მან დიდი გავლენა მოახდინა ვოკალურ-საცეკვაო მუსიკაზე, რომელიც ე.წ. პოპ-მუსიკის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

როკ-მუსიკა (ინგლ. rock and roll-დან), თანამედროვე პოპ-მუსიკის ნაირსახეობა, ჩამოყალიბდა ინგლისსა და აშშ-ში XX ს-ის 50-60-იან წლებში. მისი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანსამბლების „ბითლზ“, „როლინგ სტოუნზ“, „ლედ ზეპელინ“ და სხვათა შემოქმედებას. რ.–მ-ის უმთავრეს ნიშანთვისებას მიეკუთვნება: ბლიუზების კომპოზიციური სტრუქტურებისა და ბგერათრიგებზე დაყრდნობა,მეტრულ-რიტმული საწყისის ჰიპერტროფია, ელექტრობის გამოყენება ბგერის გასაძლიერებლად, ვოკალური და ინსტრუმ. ინტონირების მძაფრი ექსპრესია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება როკ– კულტურისათვის ვიზუალურ ფაქტორს: მუსიკოსთა თავის დაჭერის მანერას, ჩაცმულობის სტილსა და ტელევიზიის ახალი ჟანრების (ვიდეოკლიპების) წარმოქმნას.

რ.–მ. პროფესიონალი კომპოზიტორების ყურადღებას იქცევს, რომლებიც მის ელემენტებს

უფრო ფართო სტილურ კონტექსტში იყენებენ.

როკ-ოპერა [ინგლ. rock`n` roll (იხ. როკ-ენ-როლი) და ოპერა], მუსიკალურ-დრამატული ჟანრი, რომლის სტილისტურ საფუძველს წარმოადგენს როკ-მუსიკა, წარმოიშვა 1960-1970 აშშ-ში და ინგლისში. პირველ როკ-ოპერად მიჩნეულია გ. მაკდერმოტის „თმები“ (1967). მაღალი მხატვრული თვისებებით გამოირჩევა ე. ლ. უებერის როკ-ოპერები: „იესო ქრისტე-სუპერვარსკვლავი“ (1971) და „ევიტა“ (1978). რ.–ო-ის იდეური მიმართულება დაკავშირებულია ახალგაზრდობის სტიქიურ ბუნტთან ბურჟუაზიული საზ-ბის ფასეულობათა წინააღმდეგ. მუს. დრამატურგია ემყარება ცალკეული ნომრებისა (არია, მონოლოგი, გუნდი) და ლაიტმოტივიზმის შეთავსებას. რ.–ო-ში გვხვდება სალაპარაკო დიალოგები, საცეკვაო ეპიზოდები სპეციფიკური პლასტიკით, ბგერითი გაფორმებისა და განათების ტექნიკის ექსცენტრიული ხერხები. გამოიყენება როგორც კლასიკური საორკესტრო შემადგენლობა, ისე როკ-ანსამბლები, შესრულების მანერა–შემტევი, აგრესიულია.

ქართულ მუსიკაში როკ-ოპერის ნიმუში შექმნა ი. ბარდანაშვილმა („ალტერნატივა“, 1976 რ. სტურუას ლიბრეტოზე).

როლანი (Rolland) რომენ [29. I. 1866, კლამსი, -30. XII. 1944, ვეზლე], ფრანგი მწერალი, საზ. მოღვაწე, მუსიკისმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი (1915). რ-მა ჰუმანიტარულ დისციპლინებთან ერთად საფუძვლიანად შეისწავლა მუსიკის ისტორია და მუსიკალური ხელოვნება. 1895 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „თანამედროვე ლირიკული თეატრის წარმოშობა, ოპერის ისტორია ევროპაში ლიულიმდე და სკარლატიმდე“. 1902-12 რ. სორბონში კითხულობდა ხელოვნებისა და მუს. ისტორიის კურსს. აღსანიშნავია მისი გამოკვლევა „ბეთჰოვენის ცხოვრება“ (1903), მრავალტომიანი გამოკვლევა ბეთჰოვენის შესახებ: „გმირულიდან აპასიონატამდე“ (1928), „გოეთე და ბეთჰოვენი“ (1930), „აღდგომის სიმღერა“ (1937), „დაუმთავრებელი ტაძარი“ (1943-45), „ბეთჰოვენის სატრფონი“ (1949). შექმნა მრავალი წიგნი მუსიკისმცოდნეობის დარგში, გამოკვლევები (მონოგრაფიები ჟ. ბ. ლიულის, გ. ფ. ჰენდელის, კ. დებიუსის, კ. სენ-სანსის, რ. შტრაუსის შესახებ) და სხვ. რ-ის ლიტერატურული მემკვიდრეობა ძალზე ვრცელი და მრავალფეროვანია. დიდი ადგილი უკავია მასში მუსიკისა და მუსიკოსების თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს, მისი „ბეთჰოვენის ცხოვრება“ ერთგვარი პრელუდია იყო რომან-ეპოპეისა „ჟან-კრისტოფი“ (1904-12).

რომანსი (ესპ. romance), კამერული ნაწარმოები ხმისათვის (საკრავის თანხლებით), რომელშიც მელოდია უფრო მეტად უკავშირდება ლექსს, ვიდრე სიმღერაში.

რ. რამდენიმე ჟანრულ ნაირსახეობად იყოფა: ბალადა, ელეგია, ბარკაროლა და სხვ. რ-ის, როგორც სინთეზური მუს. პოეტური ჟანრის აყვავება დაიწყო XVIII ს. II ნახევარში გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში. XIX ს-ში ჩამოყალიბდა რ-ის ეროვნული სკოლები: გერმანული და ავსტრიული (ფ. შუბერტი, რ. შუმანი, ი. ბრამსი, ჰ. ვოლფი), ფრანგული (ჰ. ბერლიოზი, შ. გუნო, ჟ. მასნე), რუსული (მ. გლინკა, ა. დარგომიჟსკი, მ. ბალაკირევი, მ. მუსორგსკი, ა. ბოროდინი, ნ. რიმსკი–კორსაკოვი, პ. ჩაიკოვსკი, ს. რახმანინოვი), ნორვეგიული (ე. გრიგი), ჩეხური (ბ. სმეტანა, ა. დვორჟაკი). კამერულ-ვოკალურ კლასიკასთან ერთად

ვითარდებოდა ყოფითი და ბოშური რ-ბი.

რ-ის პირველი ცნობილი ციკლი შექმნა ბეთჰოვენმა („შორეულ სატრფოს“, 1816), ხოლო ციკლის პირველი სრულყოფილი ნიმუშები–შუბერტმა („მშვენიერი მეწისქვილე ქალი“, 1823 და „ზამთრის გზა“, 1827). შემდგომში ვოკალური ციკლის ფორმას მიმართავდნენ შუმანი, ბრამსი, მალერი, ვოლფი, გლინკა, მუსორგსკი, შოსტაკოვიჩი, სვირიდოვი და სხვ.

საქართველოში რ-ის პირველი ნიმუშები XIX ს. ბოლოს შექმნეს მ. ბალანჩივაძემ და ი. კარგარეთელმა. კლასიკური ქართული რ-ის შემქმნელია დ. არაყიშვილი, რამდენიმე რომანსი ეკუთვნის ზ. ფალიაშვილს. მომდევნო პერიოდში საუკეთესო რ-ები შექმნეს ა. მაჭავარიანმა, რ. ლაღიძემ, ო. თაქთაქიშვილმა, ა. ჩიმაკაძემ და სხვებმა.

რომანტიზმი (ფრანგ. romantisme) მუსიკაში. რ. როგორც მხატვრული მიმდინარეობა ჩამოყალიბდა XVIII-XIX ს-ების მიჯნაზე ჯერ ლიტერატურაში (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვ), ხოლო შემდეგ მუსიკასა და სხვა ხელოვნებებში, რ-ის აღმოცენება უკავშირდება ხელოვანთა იმედგაცრუებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგებით. რ-ული მეთოდისათვის დამახასიათებელია მხატვ. იდეური ანტითეზისების (რეალური-იდეალური, კომიკური–ტრაგიკული და ა.შ.) მწვავე შეჯახება, დრამ. კონფლიქტურობა, მარტოობის, ხეტიალის, ტრაგიკული მოტივების გაბატონება, ამავე დროს, შორეული წარსულის იდეალიზაცია და პოეტიზაცია, ბუნების კულტი და ა.შ.

რ-მა მუსიკაში განვითარების სამი პერიოდი განვლო: ადრინდელი- 1810-40 (კ. ვებერი, ფ. შუბერტი, ა. ჰოფმანი, ნ. პაგანინი, ჯ. მეიერბერი, ა. ბელინი), შუა ხანა –1840-50 (რ. შუმანი, ფ. შოპენი, ფ. მენდელსონი) და გვიანდ. ანუ ნეორომანტიზმი–1850-70 (ჰ. ბერლიოზი, ფ. ლისტი, ი. ბრამსი, რ. ვაგნერი, ჰ. ვოლფი). ეს პირობითი პერიოდები გამოირჩევიან კლასიცისტურ და რომანტ. თვისებათა თავისებური შერწყმით (მენდელსონი, შოპენი, ბრამსი), ახ. ჟანრების (ბალადა, რაფსოდია, სკერცო, ინტერმეცო, კაპრიჩო, ერთნაწილიანი სონატა, სიმფ. პოემა) შემოღებითა და ახ. გამომსახველ საშუალებათა ძიებით. რ-მა კვლავ წამოჭრა საზოგადოებრივად მნ. სოც. და ეთიკურ-ფილოს. პრობლემები (ბერლიოზი, ლისტი, ვაგნერი), რომლებიც სუბიექტურობის თვალთახედვითაა გადაწყვეტილი.

ერთ-ერთ წამყვან ჟანრს რომანტიკოსთა შემოქმედებაში წარმოადგენს ხალხ. სასიმღერო ტრადიციებზე აღმოცენებული ვოკალური ლირიკა, რ-შიც პოეტური სიტყვა, ვოკალური მელოდია და საფ. თანხლება ორგანულ მთლიანობაშია მოცემული (შუბერტი, შუმანი, მენდელსონი, კ. ლევე, ვოლფი). ნაირფეროვან ფსიქოლოგიურ განწყობილებათა გამოთქმის უშუალობით, მღერადობითა და კოლორიტულობით, რომანტ. სიმღერამ ღრმა კვალი დაამჩნია XIX ს. სიმფ. და კამერულ-საკრავიერ მუსიკას, მის „ლირიზაციას“, „სასიმღერო სიმფონიზმის“ (შუბერტი) წარმოქმნას. ცალკეული სასიმღერო ციკლები კომპოზიტორთა თავისებურ ემოციურ „დღიურად“ იქცა.

გერმ. ეროვნ. გაერთიანებისაკენ მისწრაფებამ გაამახვილა ინტერესი ეროვნ. მითოლოგიის, ლეგენდების, თქმულებებისა და მუს. ფოლკლორისადმი, რ-თა საფუძველზე აღმოცენდა რომანტ. ხალხურ-ყოფითი, რაინდულ-ლეგენდარული და ზღაპრულ-ფანტასტიკური ოპერები (ჰოფმანის „უნდინა“, ვებერის „თავისუფალი მსროლელი“, „ობერონი“, „ევრიანთე“, ჰ. მარშნერის „ჰანს ჰაილინგი“, ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ტანჰოიზერი“, „ლოენგრინი“, „ტრისტან და იზოლდა“). იტალ. ხალხის ბრძოლამ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ (XIX ს.) განაპირობა ჯ. როსინის („ვილჰელმ ტელი“), ბელინის („ნორმა“), ადრეული პერიოდის

ვერდის („ნაბუკო“, „ლომბარდიელები ჯვაროსნულ ლაშქრობაში“, „ბრძოლა ლენიანოსთან“) ოპერების შექმნა. მხურვალე პატრიოტული და ნოსტალგიური გრძნობებია გამოხატული შოპენის მრავალ ნაწარმოებში. რევოლიციურ იდეალებს ხარკი გადაუხადეს ბერლიოზმა („მარსელიეზა“, „სამგლოვიარო-ტრიუმფალური სიმფონია“), ლისტმა („მარსელიეზა“, „გმირთა დატირება“, „ლიონი“) და სხვ.

სიმფ. მუსიკის კონკრეტიზაციისა და დემოკრატიზაციის მიზნით, გარდა ბგერწერითი მეთოდის გამოყენებისა, განვითარდა აგრეთვე პროგრამული სიმფონია, სიმფ. პოემა, საკონცერტო უვერტიურა და სახასიათო საფ. პიესები („კარნავალი“, „უსიტყვო სიმღერები“), რ-ებშიაც განსაკუთრებული მნ. მიენიჭა ძირითადი იდეისა და მთავარი მუს. სახეების კონკრეტულ-ხატოვან გამოსახულებას.

რომანტ. მუსიკის ახ. იდეურ-ემოციურმა შინაარსმა და ორიგ-მა ეთიკურ-ესთეტიკურმა პრობლემატიკამ გამოიწვია ახ. მუს. ჟანრებისა და ფორმების ძიება, გამომსახველ საშუალებათა (მელოდიკა, ჰარმონია, ინსტრუმენტობა, დინამიკა) გადახალისება, მათი ახლებური გააზრება. ჩამოყალიბდა საშემსრულებლო ხელოვნ. რომანტ. სტილი [პაგანინი, ლ. შპორი (მევიოლინეები), ლისტი, შოპენი, ს. ტალბერგი, ჯ. ფილდი (პიანისტები), ვებერი, ბერლიოზი, მენდელსონი, ვაგნერი (დირიჟორები), ა. ნური, ჯ. პასტა, მ. მალიბრანი, ჯ. რუბინი, ლ. ლაბლაში, ა. ტამბურინი (მომღერლები) და სხვ].

რომანტ. მიმართულების კომპოზიტორები (ჰოფმანი, ვებერი, შუმანი, ბერლიოზი, ლისტი, ვაგნერი),თავიანთი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაციის მიზნით ხშირად გამოდიოდნენ კრიტიკის პუბლიცისტური წერილებით, ვრცელი სტატიებითა და კვლევითი ხასიათის შრომებით. თუმცა ბევრი რამ მათი ამ სახის მოღვაწეობიდან დღეისათვის მოძველებულია, მაგრამ მათი ისტ. მნიშვნელობა უეჭველია.

რომანტ. მუსიკის ტრადიციებმა დიდი გავლენა მოახდინეს XIX ს. ბოლო ოცწლეულებისა და XX ს. I ოცწლეულის მუს. კულტურაზე (ა. ბრუკნერის, მალერის, რ. შტრაუსის, დებიუსის, სკრიაბინის შემოქმედება), ეროვნული საკომპ. სკოლების ჩამოყალიბებაზე ესპანეთში (ალბენისი), ნორვეგიაში (გრიგი), ფინეთში (სიბელიუსი). გარკვეულწილად რუსეთში (ალიაბიევი, ვერსტოვსკი, ახალგაზრდა გლინკა) რ-ის გავლენა XIX ს. მეორე ნახ., XX ს. დასაწყისში განიცადეს ისეთმა კომპოზიტორებმა, როგორებიც იყვნენ ჩაიკოვსკი, სკრიაბინი, რახმანინოვი, მეტნერი. რ-მა ნაწილობრივ გავლენა მოახდინა აგრეთვე მომდევნო პერიოდის ცალკეული გამოჩენილი კომპოზიტორების (დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ბ. ბარტოკი, ბ. ბრიტენი) შემოქმედებაზე, რომანტ. მუსიკის ზემოქმედება განიცადეს ქართველ კომპოზიტორთა თაობებმა-დაწყებული ზ. ფალიაშვილით და თანამედროვე კომპოზიტორებით დამთავრებული.

განვითარების გვიანდელ ეტაპზე რ-მა განაპირობა ახალი მიმდინარეობების შექმნა მუს. ხელოვნებაში, როგორებიცაა ვერიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი. რ-ის ეპოქა მუს-ის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხანაა.

რონდო (იტალ. rondo, ფრანგ rondeau < rond-წრე), გავრცელებული მუსიკალური ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მთავარი, უცვლელი (რეფრენი) და ახალ-ახალი თემების მონაცვლეობაზე. რ. აღმოცენდა ხალხ. სიმღერისაგან, რომელშიც ახალ-ახალი მინამღერები უპირისპირდება სტაბილურ ჰანგს. ძველებური ანუ კუპლეტური რ. გავრცელებული იყო XVII-XVIII სს. ფრანგ კლავესინისტთა შემოქმედებაში. ვენის კლასიკოსები ხშირად იყენებდნენ რ-ს სონატურ-სიმფ. ციკლების ფინალში. შემდგომში რ-ს მიეცა დამოუკიდებელი პიესის

ფორმა. იგი დამკვიდრდა ვოკალურ ჟანრშიც (რომანსი, არია, საოპერო სცენა), ასევე საბალეტო მუსიკაში.

როჟდესტვენსკი გენადი ნიკოლოზის ძე [4. V. 1931,–მოსკოვი], რუსი დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი. 1954 დაამთ. მოსკოვის კონს. დირიჟორობისა (ნ. ანოსოვის კლ.) და ფ-ნოს (ლ. ობორინის კლასი) განხრით. 1951-60 იყო დიდი თეატრის დირიჟორი, 1965-70 მთ. დირიჟორი. 1961-74-საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი და სამხ. ხე-ლი, 1974-77 სტოკჰოლმის ფილარმონიისა და მოსკოვის მუს. კამერული თეატრის მთ. დირიჟორი. 1978-1981 ბი-ბი-სის (ლონდონი) ორკესტრის დირიჟორი, უცხოეთის სხვადასხვა მუს. აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. მინიჭებული აქვს ლენინური პრემია (1970).

როსინი (Rossini) ჯოაკინო ანტონიო [29. II. 1792, პეზარო,–13.XI. 1868, პასი, პარიზის მახლობლად, 1887 ნეშტი გადმოასვენეს ფლორენციაში], იტალიელი კომპოზიტორი. მუს. განათლება მიიღო ბოლონიის მუს. ლიცეუმში (1806-10). რ-ის როგორც საოპერო კომპოზიტორის, დებიუტი შედგა 1810 („თამასუქი ქორწინებაზე“, ვენეცია). მის ადრეულ ოპერებში – „აბრეშუმის კიბე“ (1812, ვენეცია), „სასინჯი ქვა“ (1812, მილანი) და სხვ. გამოიკვეთა კომპოზიტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. ოპერა-სერია „ტანკრედში“ და ოპერა-ბუფაში „იტალიელი ქალი ალჟირში“ (ორივე 1813) კი გამოვლინდა კომპოზიტორის რეფორმატორული ტენდენციები. 1815 რ-მ დაწერა „დამოუკიდებლობის ჰიმნი“. ნეაპოლის თეატრ „სან-კარლოსათვის“ 1815-22 დაწერილ ოპერებში: „ოტელო“ (1816),„მოსე ეგვიპტეში“ (1818),„მუჰამედ II“ (1820),„ზელმირა“ (1822),–აისახა რ-ის სწრაფვა პათეტიკური სტილისა და ოპერა-სერიის დრამატიზაციისაკენ. რ-ის მუს. კომედიური ტალანტი ნათლად გამოვლინდა „სევილიელ დალაქში“ (1816, რომი; ბომარშეს მიხედვით, დაიწერა 19-20 დღეში). ეს ოპერა იტალ. კომიკური ოპერა-ბუფის განვითარების მწვერვალია, მსოფლიო საოპერო მუსიკის შედევრი. რ-იმ შექმნა აგრეთვე ყოფითი მუს. კომედია (ლირ. -კომ. „გერია“ 1817, რომი), რეალისტური მუს. დრამა, ე. წ. „ნახევრადსერიოზული“ ოპერა „ქურდი კაჭკაჭი“ (1817, მილანი).

რ-ის ოპერების მუსიკაში ასახვა პოვა იტალ. ხალხ. სასიმღერო და საცეკვაო რიტმებმა და ინტონაციებმა, ყოფითმა მუს. ჟანრებმა, ბელკანტოს უმდიდრესმა კულტურამ.

1823 ვენეციაში დაიდგა „სემირამიდა“, 1824-იდან რ. დასახლდა პარიზში, სადაც იტალიური თეატრის მუს. ხე-ლი იყო. აქ მან შეისწავლა ფრანგული საოპერო ხელოვნება, დაწერა ფრანგული კომიკური ოპერის ჟანრში „გრაფი ორი“ (1828).

1829 საფრანგეთში შეიქმნა რ-ის უკანასკნელი ოპერა „ვილჰელმ ტელი“ (შილერის მიხედვით), რომელმაც მნ. როლი შეასრულა „დიდი ოპერის“ ჟანრის განვითარებაში. იგი ჰეროიკულ-რომანტ. ოპერის შესანიშნავი ნიმუშია. მომდევნო წლებში რ. წერდა საფ. ვოკალურ მინიატიურებს, მსხვილი ფორმის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „სტაბატ მატერი“ (1841), „პატარა საზეიმო მესა“ (1863). 1836-55 ცხოვრობდა ბოლონიაში, ფლორენციაში,

ხელმძღვანელობდა ბოლონიის მუს. ლიცეუმს. 1855-იდან კვლავ პარიზში დასახლდა. რ-ის შემოქმედებამ განმსაზღვრელი გავლენა იქონია იტალ. ოპერის შემდგომ განვითარებაზე.

თბილისის სცენაზე რ-ის ოპერებიდან დაიდგა: „სევილიელი დალაქი“ (1851-52), „იტალიელი ქალი ალჟირში“ (1853-54), „ქურდი კაჭკაჭი“ (1860-61), „ოტელო“ (1858-59). „ვილჰელმ ტელი“ (1867-68), „სემირამიდა“ (1871-72), ყველგან პირველი დადგმის თარიღებია მითითებული.

როსტროპოვიჩი მსტისლავ ლეოპოლდის ძე [27. III. 1927, ბაქო,–27. IV. 2007, მოსკოვი], რუსი ვიოლონჩელისტი და დირიჟორი. სსრკ. სახ. არტისტი (1966). რ. XX ს-ის ერთ-ერთი უდიდესი ვიოლონჩელისტია (ს. კოზოლუპოვის მოწაფე). 1948-74 იყო მოსკოვის კონს-ის პედაგოგი (1960-იდან პროფ). მისი სადირიჟორო დებიუტი 1973 შედგა. 1974-იდან ცხოვრობს საზღვარგარეთ (აშშ). 1977-იდან სათავეში უდგას ეროვნულ სიმფ. ორკესტრს (ვაშინგტონი). 1992-იდან სისტემატურად ჩამოდის რუსეთში, მართავს კონცერტებს, როგორც ვიოლონჩელისტი და დირიჟორი. არაერთგზის გაუმართავს გასტროლები საქ-ში (უკანასკნელად 2003, ბათუმში). მინიჭებული აქვს ლენინური პრემია (1964).

რუბინშტეინი ანტონ გრიგოლის ძე [16. XI. 1829, სოფ. ვიხვატინეცი, პოდოლსკის გუბ,–8. XI. 1894, პეტერგოფი, პეტერბურგის მახლობლად], რუსი პიანისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. 10 წლისა საჯაროდ გამოვიდა მოსკოვში, როგორც პიანისტი. 1840-43 კონცერტებს მართავდა ევრ. ქვეყნებში. ამ წლებში გამოიცა მისი პირველი ნაწარმოებებიც. 1844-48 რ. ცხოვრობდა უცხოეთში (ბერლინი, ვენა), მეცადინეობდა ზ. დენთან (მუს. თეორია). პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა საზ. მოღვაწეობას, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა გალობის აკადემია (1858), „რუსეთის სამუსიკო საზოგადოება“ (1859) და პეტერბურგის კონს. (1862), 1862-67 და 1887-91 იყო მისი დირექტორი. 1872-73 წარმატებით გამოდიოდა აშშ-ში მევიოლინე ჰ. ვენიავსკისთან ერთად. 1885-86 რუსეთსა და დას. ევრ. უდიდეს ქალაქებში ჩაატარა ე. წ. „ისტორიული კონცერტების“ ციკლი. 1891 იგი თბილისს ეწვია. კონცერტის შემოსავალი მან მთლიანად სამუსიკო სასწავლებლის (ამჟამად თბ. კონს.) მშენებლობის ფონდს გადასცა. ცხოვრების უკანასკნელი წლები (1891-94) უმთავრესად დრეზდენში გაატარა. მისი მოწაფე იყო პ. ჩაიკოვსკი.

რ. ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პიანისტი, რუსული პიანისტური სკოლის ფუძემდებელია. რ-მა დატოვა დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მისი საუკეთესო ქმნილებაა ლირ. ოპერა „დემონი“ (მ. ლერმონტოვის პოემის მიხედვით 1871, დაიდგა 1875, თბ-ში 1882-83). მის ერთ-ერთ ეპიზოდში კომპოზიტორს გამოყენებული აქვს ქართული ქალაქური სიმღერა „ბუნდოვან გულსა“. რ-ს სულ დაწერილი აქვს 14 ოპერა, 6 სიმფონია, 6 საფ. კონცერტი. მრავალი საფ. ნაწარმოები, რომანსები („ღამე“), ვოკალური ციკლი „სპარსული სიმღერები“.

მისი ძმა არის ცნობილი პიანისტი, მოსკოვის კონსერვატორიის დამაარსებელი ნიკოლოზ რუბინშტეინი (1835-1881).

გ. ტორაძე

რუბინშტეინი (Rubinstein) არტურ [28. I. 1887, ლოძი,–20.XII. 1982, ჟენევა], პოლონელი პიანისტი. იგი ფ-ნოზე დაკვრას სწავლობდა ჯერ ვარშავაში (ა. რუჟიცკისთან), შემდეგ ბერლინსა და მორჟში (შვეიცარია). რ-ის დებიუტი შედგა 1898 ბერლინში, გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1939-იდან ცხოვრობდა აშშ-ში, 1954-იდან კი საფრანგეთში. რ-ის შესრულების მანერა გამოირჩევა პოეტურობით, დიდი ემოციურობით, ვირტუოზული ოსტატობით. გადაღებულია კინოში (მიღებული აქვს „ოსკარი“).

რ. XX ს-ის ერთ-ერთი უდიდესი პიანისტია.

რუსო (Rousseau)ჟან-ჟაკ [28. VI. 1712, ჟენევა, –2. VII. 1778, ერმენონვილი, პარიზის მახლობლად], ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, კომპოზიტორი, მუს. მოღვაწე. იზიარებდა ფრანგი განმანათლებლების იდეებს. ერთხანს განაგებდა „ენციკლოპედიის“ მუს. განყოფილებას. მოუწოდებდა ოპერის დემოკრატიზაციისადმი, ამტკიცებდა, რომ ხელოვნების საფუძველია– ბუნებისათვის მიბაძვა, თავისი მუს. ესთეტიკური შეხედულებები გადმოცემული აქვს აგრეთვე „წერილში ფრანგული მუს. შესახებ“, საკუთარ „სამუსიკო ლექსიკონში“ და რომანში „იულია ანუ ახალი ელოიზა“, რ. პირველი ფრანგული კომიკ. ოპერის – „სოფლის ჯადოქარი“ (1752) მუსიკისა და ლიბრეტოსი, აგრეთვე მუს. მელოდრამის –„პიგმალიონი“ (შემორჩა ნაწყვეტებში), რომანსებისა და ინსტრუმ. ნაწარმოებების ავტორია.

ს

საარი, აღმოსავლური კილო, ჰანგი გავრცელებული საქ-ში XX ს-ის დამდეგამდე. დილის სიმღერა, რომლითაც ეგებებიან ცისკარს, მზის ამოსვლას, აისს. დუდუკის ერთგვარი ტკბილი ჰანგია, რომელსაც უფრო დილაობით (უფრო ქორწილის მეორე დილით)ააზუზუნებენ ხოლმე.

საბოდიშო, ძვ. ქართული რიტუალური ცეკვა. ასრულებდა ქალთა ჯგუფი ინფექციური სნეულებით (ე. წ. „ბატონებით") დაავადებული ბავშვის სასთუმალთან. ცეკვა სრულდება „იავნანას" თანხლებით. მუს. ზომა 6/8.

საგალობელი, რელიგიასთან დაკავშირებული, ხმით შესასრულებელი საკულტო-სარიტუალო მუს. ნაწარმოები. არსებობს ხალხ. და პროფესიული, სასულიერო და საერო,–წარმართობისდროინდელი და შემდგომი ხანის სხვადასხვა სარწმუნოებასთან დაკავშირებული ს-ები. სას. ს. სრულდება საკულტო ტაძრებში, ეკლესიებში, სინაგოგებში, მეჩეთებში, საკერპეებში. ეკლესიაში ასრულებენ წირვა-ლოცვის დროს. ქართ. საგალობლებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ, რომელიც იწყება საქ-ში ქრისტიანობის დამკვიდრებით (IV ს.). საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ს-ები ერთხმიანი იყო. მრავალხმიანი ფაქტურა ქართ. ს-ებმა მოგვიანებით შეიძინეს, ხალხური სასიმღერო ტრადიციის ზეგავლენით. ს-ბის ხელოვნებამ მწვერვალს მიაღწია უკვე X ს-ში, რის დამადასტურებელიც არის ს-ების კრებულები და, განსაკუთრებით, მიქაელ მოდრეკილის განთქმული „იადგარი"(978-988). ქართული ს-ები სამხმიანია, თუმცა XVIII-XIX სს. ლიტ. წყაროებში გვხვდება ცნობები ექვსხმიანი ს-ების შესახებ, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობილია მხოლოდ ცალკეული ხმების სახელწოდებები: კრინი, ზილი, თქმა, მაღალი ბანი, ბანი, დვრინი. ძველად საერო ს. სრულდებოდა სუფრაზე. ს-ის შემდგომი არსებობისა და განვითარების გზა უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოს საუკუნოვან ისტორიულ ბედუკუღმართობასთან (იხ. სტ. „ქართ. მუსიკა"), კერძოდ, ამის გამოხატულება იყო საქართველოს რუსეთთან იძულებული შეერთებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების (1811) შემდეგ ქართული გალობის განდევნა ეკლესია-მონასტრებიდან და სამგალობლო სკოლების დახურვა თბილისისა და თელავის სას. სემინარიებში. მხოლოდ 1860 შეიქმნა თბილისში „ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი", რამაც საბოლოოდ შეუნარჩუნა ქართველ ხალხს კულტურული საგანძურის ეს ძვირფასი ნაწილი. ამ მხრივ, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ფ. ქორიძეს, (იხ. სტ. მის შესახებ) ნოტებზე გადატანილი ჩანაწერების სახით. ამჟამად ქართული ს-ები ჟღერს ცალკეულ ეკლესია-მონასტრებში და დამკვიდრდა მრავალრიცხოვანი ანსამბლების რეპერტუარში.

საეკლესიო მუსიკა, (ქრისტიანული) საეკლესიო ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილი, რომელსაც საფუძვლად უდევს რელიგ. ხასიათის ტექსტები.

მართლმადიდებლურმა, კათოლიკურმა, პროტესტანტულმა და სხვ. ქრისტიანულმა ეკლესიებმა ლიტურგიკის მუზიცირების თავისებური ფორმები შეიმუშავეს. თავის მხრივ, მართლმადიდებლური ლიტურგიკაც (იმისდა მიხედვით, თუ რომელ ავტოკეფალიას ექვემდებარება) სხვადასხვაგვარია, მაგ.: ანტიოქიური, ბერძნ., სერბ., ბულგ., ქართ., რუს., და სხვ. ცალკეულ ერებში ლიტურგიკამ და მასთან დაკავშირებულმა მუსიკამაც გარკვეული ცვლილებები განიცადა. მართლმადიდებლურ ეკლესიებში ლიტურგიკის დროს გალობა საკრავის გარეშე სრულდება. ქართული საეკლესიო მუსიკა საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. იგი ვითარდებოდა როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებში—პალესტინაში, სინას მთაზე, ათონზე იერუსალიმში. ქ.ს.მ-მ თავის განვითარების მწვერვალს მიაღწია X-XII სს-ებში.

ქართული საგალობელი სამხმიანია, ემყარება მოდალურ სისტემას, ხმათა ლინეარული განვითარებით. ძირითადი კანონიკური ჰანგი საგალობლის ზედა ხმაშია გადმოცემული.

ქ.ს.მ. ემყარება ზოგადქრისტიანული რვა ხმის სისტემას. ქ.ს.მ-ში გამოიყოფა ორი ძირითადი შტო-აღმოსავლური (ქართლ-კახური) და დასავლური (იმერულ-გურული). ცნობილია გელათის, მარტვილის, შემოქმედის, დავით-გარეჯის, შიო-მღვიმის და სხვა მონასტრებთან არსებული სამგალობლო სკოლები.

კათოლიკური ს. მ-ის საფუძველი გრიგოლისეული ქორალია (ლათ. ენაზე), რ-იც სრულდება შემდეგი მუს. ფორმებით: ორგანუმი, მოტეტი, მადრიგალი, ფსალმუნები, ჰიმნები, მესა, რეკვიემი, მაგნიფიკატი, ტედეუმი და სხვ. გალობენ პროფესიონალი მომღერლები საკრავის თანხლების გარეშე (a cappella) ან გუნდი საკრავების ანსამბლთან ერთად.

ისტორიულად, მუს. კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ს. მ-მ დიდი გავლენა მოახდინა პროფეს. და ხალხ. შემოქმედებაზე. თავის მხრივ, ხალხ. სიმღერამაც დიდი როლი შეასრულა ს. მ-ის ფორმირებაში, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ქართ. ს. მ-ში.

ქართულ საეკლესიო გალობაში უნდა გამოიყოს 2 კილო: ქართლურ-კახური და იმერულ-გურული, რომელთაც ფაქტობრივად ერთი საფუძველი აქვთ.

ე. ონიანი, თ. ჩხეიძე

საესტრადო ხელოვნება, სცენური ხელოვნების ერთ-ერთი სახე. გულისხმობს ერთ წარმოდგენაში (კონცერტში) რამდენიმე არტისტის (მომღერლები, მუსიკოსები, ჟონგლიორები, აკრობატები, მოცეკვავეები, კონფერანსიე და სხვა.) ან ერთი მსახიობის მიერ სხვადასხვა ჟანრის დასრულებული ნომრების შესრულებას. ს. ხ.-ს მიიჩნევენ ხელოვნების მცირე ფორმად, რადგან თითეული მსახიობის გამოსვლა 10-15 წუთს არ აღემატება. ს. ხ. სათავეს იღებს მოხეტიალე მუსიკოსების გამოსვლებიდან (მემღერენი, ბერიკები, სკომოროხები, ჟონგლიორები, შპილმანები და სხვ.). ძირითადად კი სახალხო სეირნობებიდან. XVII ს. ბალაგანებიდან. XVIII ს. დასაწყისში შეიქმნა მიუზიკ- ჰოლები (ასრულებდნენ მცირე პიესებს, სიმღერებს, ცეკვებს და სხვა). 1890 ლონდონში შეიქმნა მიუზიკ-ჰოლი „ალჰემბრა", 1904 მუზიკ- ჰოლი „კოლოსეუმი". ეს ფორმა გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. XX ს. დასაწყისში ს. ხ. გამდიდრდა საჯაზო მუსიკით, პოპულარობა მოიპოვეს ჯაზ-ორკესტრებმა ბ. გუდმენის, ლ. არმსტრონგის, დ, ელინგტონის ხელმძღვანელობით (აშშ), მოგვიანებით გავრცელდა ვოკალურ- საკრავიერი ანსამბლები, რომელთა რეპერტუარში ხალხური სიმღერები ერწყმოდა თანამედროვე რიტმებს. საესტრადო

ცეკვებში იყენებდნენ თანამედროვე რიტმებს, აკრობატულ ტრიუკებს. დამკვიდრდა საესტრადო ქორეოგრაფიის ახალი ფორმები; სალონურ ყოფითი და აკრობატულ-ჯგუფური რიტმული ცეკვა „გერლზი". ს. ხ.-ში მნ. ადგილი დაიკავა ბალეტმა ყინულზე. ამჟამად არსებობს უამრავი საესტრადო ორკესტრი, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი. წამყვანი ადგილი უჭირავთ მსახიობებს, რომლებიც გამოდიან საყოფაცხოვრებო პუბლიც. და სატირული რეპერტუარით. მრავალ ქალაქში არის სტაციონალური საესტრადო თეატრები მიუზიკ-ჰოლები.



სავანელი ხარლამპი ივანეს ძე [1842, დუშეთი,–1890, პეტერბურგი], ქართველი მომღერალი, საგუნდო დირიჟორი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. 1863 დაამთ. თბ. კლასიკური გიმნაზია, 1868 პეტერბურგის კონს. (ვოკალის განხრით). აქვე დაეუფლა საგუნდო ხელოვნებას (5 წელი მღეროდა კონს-ის გუნდში). 1869-იდან „რუს. სამუსიკო საზ-ბის" საგუნდო სიმღერის უფასო კლასების ხე-ლი იყო. 1871 ს. დაბრუნდა საქ-ში და დაიწყო ფართო საზ. მოღვაწეობა. 1873 სავანელის, ა. მიზანდარის და კ. ალიხანოვის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა პროფეს. სამუსიკო განათლებას საქ-სა და ამიერკავკასიაში. 1873 გაიხსნა „სამუსიკო კლასები შელავათიან ფასებში", რომელიც 1876 გადაკეთდა სამუსიკო სკოლად, 1886 კი სამუსიკო სასწავლებად. მის ბაზაზე 1917 დაარსდა კონს. (ამჟამად ვ. სარაჯიშვილის სახ. თბ. სახელმწ. კონს.). ს. ურთიერთობდა პ. ჩაიკოვსკისთან პეტერბურგსა და თბილისში.

სავოიარი - ქუჩის მუსიკოსი.



საზი, აღმოსავლური სიმებიანი საკრავი. აქვს გრძელყელიანი მსხლისებური კორპუსი, 2 სამმაგი და 1 ორმაგი სიმი. წყობა კვარტულ-კვინტური. არსებობს დიდი (საერთო სიგრძე 1200-1500 მმ), საშუალო (800-1000 მმ) და პატარა (500-700 მმ) საზები. უკრავენ პლექტრით. გავრცელებულია აზერბაიჯანში, დაღესტანში, სომხეთში, ირანში, ავღანეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.

საზანდარი (სპარს. საზანდე–მუსიკოსი), 1. ხალხურ საკრავთა ანსამბლი აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქ-ში. აგრეთვე ირანსა და სხვა აღმ. ქვეყნებში, შედგება თარისა, ქამანჩისა და დოლისაგან (დოლზე დამკვრელი ამასთანავე მომღერალიცაა–ხანენდე) 2. საზანდარი ეწოდება მასზე შემსრულებელსაც, „საქ. მეფის საზანდარი ვარ" (საიათნოვა).

საიათნოვა (ფსევდ., სეიდნოვა-ჰანგის უფალი, პატრონი) არუთინ საიდანი [1712, თბილისი,–1795, იქვე], სომეხი პოეტი, აშული, ცხოვრობდა საქ-ში.

ლექსებს თხზავდა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. სომხურ და აზერბაიჯანულ ლექსებს ქართული ასოებით წერდა. ხელოსანი იყო, თუმცა ძირითად პროფესიად აშუღობა მიაჩნდა. სიყრმიდანვე შეისწავლა დაკვრა და დამღერება სხვადასხვა მუს. საკრავზე (საყვარელი

საკრავი–ქამანჩა). თავდაპირველად სხვის ლექსებს ამღერებდა, ხოლო შემდეგ თავადაც თხზავდა. ჯერ თბილისში მოღვაწეობდა, შემდეგ თელავში. 1762-65 სამეფო კარის საზანდარი იყო, მაგრამ უცნობი მიზეზით ერეკლემ ს. სასახლიდან დაითხოვა. 1768 იგი ბერად შედგა ახპატში. დროდადრო თბილისს უბრუნდებოდა. დაიღუპა 1795 აღა-მაჰმად ხანის მიერ თბ. აოხრების დროს.

ს-ს ნიჭი, როგორც აშულისა, დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. იგი ერთსა და იმავე დროს პოეტიც იყო, კომპოზიტორიც, მომღერალიც, შესანიშნავი შემსრულებელი საზზე, თარზე, ქამანჩაზე. მისი ღრმა გრძნობით გამთბარი ლირიკული სიმღერები (შემორჩენილია 30-მდე) სწრაფად ვრცელდებოდა ქალაქის მრავალეროვან მოსახლეობაში. მისი მელოდიები არაერთგზის აქვთ გამოყენებული XX ს. სომეხ კომპოზიტორებს (ა. არუთინიანის ოპერა „საიათნოვა“ და სხვ.).

საკრავთმცოდნეობა, მეცნიერება მუს. საკრავების კონსტრუქციის აკუსტიკური და გამომსახველობითი საშუალებების შესახებ. ს. შეისწავლის აგრეთვე საკრავთა კლასიფიკაციასა და ისტორიას. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მუს. აკუსტიკასთან, საკრავთა დამზადების ტექნოლოგიასთან, მუსიკისმცოდნეობასა და ეთნოგრაფიასთან. როგორც მუსიკისმცოდნეობის დამოუკიდებელი დისციპლინა, ჩამოყალიბდა XIX ს. II ნახევარში.

საკრავიერი მუსიკა, მუსიკალურ საკრავებზე დასაკვრელად განკუთვნილი მუსიკა. არსებობს სოლო (სხვა საკრავების თანხლებით ან მის გარეშე), საანსამბლო და საორკესტრო ს.მ.

საკულტო-რიტუალური სიმღერა, მუსიკალური ფოლკლორის მნიშვნელოვანი ჟანრი; სიმღერა რომელიც შესაბამისი რიტუალებით გამოხატავს როგორც წარმართული ისე ქრისტ. ღვთაებისადმი მოკრძალებას, მათ წინაშე ქედის მოხრას. ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებია: კახური, რაჭული, გურული-„ალილო“; ქართლ-კახური-„იავნანა“, „ლაზარე“, გურული -„მზე შინა“, „ბატონებო“ ანუ „საბოდიშო“; ქართლური -„ჭონა“; კახური- „დიდება“; თუშური- „დალა“; კახური, იმერული, გურული, მეგრული-„ზარი“; სვანური -„ჯგრიაგ“, „კვირია“, „ლილე“, „ბარბალ დოლაშ“ და სხვ.; ხევსურული -„ხმით ნატირალი“, „ძახილით ტირილი“, „დავლა ტირილი“; ფშაური-„ჯვარი წინასა“, მოხეური- „ჯვარული“, „დიდება“; მთიულური-„ლომისის ჯვარისა“ და სხვ.

გ. ჩხიკვაძე



სალამური, საქართველოში ფართოდ გავრცელებული უძველესი ქართული ჩასაბერი სამუსიკო საკრავი. მისი წინამორბედია 1935-37 მცხეთის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი გედის წვივის ძვლებისაგან დამზადებული პატარა ს. რომელიც ძვ. წ. XV-XIV სს-ით თარიღდება. თანამედროვე ს. მზადდება თუთის ხისა და ლელქაშისაგან. ს. ორგვარია: უენო და ენიანი. ზედაპირზე ამოჭრილია 6-7 თვალი ზურგის მხარეს. ბგერათრიგი დიატონურია, მოქცეულია ერთ ოქტავაში. ტემბრი რბილი და მსტვინავია. იცვლება ჩაბერვის ძალის მიხედვით. გადაბერვით ს-ის დიაპაზონი იზრდება. ს. მწყემსური საკრავია. თანამედროვე ს. იმდენად გაუმჯობესებულია,

რომ მასზე ვირტუოზულ ნაწარმოებებსაც ასრულებენ (ო. კელაპტრიშვილი და სხვ.).

გ. ჩხიკვაძე

სალიერი (Salieri) ანტონიო [18.VIII. 1750, ლენიაგო, ვერონის მახლობლად, –7.V. 1825, ვენა], იტალიელი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი. 1766-იდან ვენაშია, იყო სამეფო კარის კომპოზიტორი (1774-იდან) და კაპელმაისტერი (1788-იდან). ხელმძღვანელობდა იტალ. საოპერო დასსა და სამეფო კარის კაპელას (1824-მდე). ს. ავტორია ოპერებისა: „არმიდა“ (1771), „აღიარებული ევროპა“ (დაიდგა 1778 მილანის „ლა სკალას“ გახსნაზე), ორატორიებისა, ინსტრუმენტული ნაწარმოებებისა და სხვ. შთამბეჭდავია ს-ის მოწაფეების სია: ლ. ბეთჰოვენი, ფ. შუბერტი, ფ. ლისტი და სხვ. ს-ის მიერ მოცარტის მოწამლვის ლეგენდა დიდი ხანია უარყოფილია.

სამაია, სამა (სპარს. სიტყვაა. ცეკვას, როკვას ნიშნავს), წარმართობის დროინდელი ქართული რიტუალური საფერხულო ცეკვა. ასრულებენ ქალთა, ვაჟთა ან შერეული ჯგუფები „ძეობის“ დღესასწაულზე. ს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით აღნიშნავს „როკვას, შუშპარს“. ამჟამად ჩვენში გავრცელებული ს. სამეულის პრინციპზეა აგებული და თეატრალიზებული ფორმით სრულდება ქალთა ჯგუფის მიერ. ეს ცეკვა გამოყენებულია ა. ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულში“. მუს. ზომა 6/8.

ლ. გვარამაძე

სამვიკი, უძველესი ქართული დასარტყამი საკრავი. ს.ს. ორბელიანის ცნობით ს. ნაღარის სახელწოდებაა, ამჟამად ცნობილია დიპლიპიტოს სახელწოდებით.

სამოსული სამუელ აბრამის ძე [2.V.1884, თბილისი, –6.XI.1964, მოსკოვი], დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი (1937). 1906 დაამთ. თბ. სამუსიკო სასწავლებელი. შემდეგ სწავლობდა პრაღაში ჰ. ვიჰანთან, პარიზში პ. კასალსთან და „სხოლა კანტორუმში“. 1917-19 იყო მარიას თეატრის დირიჟორი, 1918-36 ლენინგრადის მცირე საოპერო თეტრის მთ. დირიჟორი და სამხ. ხე-ლი. 1936-43 იყო დიდი თეატრის, ხოლო 1943-50 სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დანჩესკოს სახ. მუს. თეტრის მთ. დირიჟორი.

დადგმებიდან აღსანიშნავია: გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“ (1947), „ივან სუსანინი"(1939), კაბალევსკის „ტარასის ოჯახი" (1947), პროკოფიევის „ომი და მშვიდობა" (1946). დააარსა და ხელმღვანელობდა საკავშირო რადიოს სიმფ. ორკესტრს (1953-57) და საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის საოპერო-სიმფ. ორკესტრს (1957-იდან).

სამუსიკო განათლება, მუს. ხელოვნების სფეროში პროფესიონალების– კომპოზიტორების, მუსიკისმცოდნეების, შემსრულებლების (მომღერლები, ინსტრუმენტალისტები, ორკესტრისა და გუნდის დირიჟორები), პედაგოგების მომზადების სისტემა. ს. გ-ს საფუძველი ჩაეყარა ძვ. აღმ. ქვეყნებში, ანტ. საბერძნეთში. შუა ს. ევროპაში ს. გ-ის კერები ყალიბდებოდა

ქრისტ. ეკლესიებთან. XV ს. ნიდერლანდსა და საფრანგეთში დაარსდა სპეც. საგუნდო კლასები (მეტრიზები), სადაც ასწავლიდნენ სიმღერას, ორგანზე დაკვრას, მუსიკის თეორიას (აქ აღიზარდნენ გამოჩენილი კომპოზიტორ-პოლიფონისტები გ. დიუფაი, ი. ობრეხტი, იოკეგემი და სხვ.). ს. გ. განსაკუთრებით განვითარდა რენესანსის ეპოქაში, როდესაც თეატრებისა და ორკესტრების მომრავლების გამო, საჭირო გახდა პროფესიონალი მუსიკოსების აღზრდა. XVI ს-ში იტალიაში ს. გ-ის კერები იყო ბავშვთა თავშესაფრები, რომლებსაც კონს-ები ეწოდებოდა. თანამედროვე სახის პირველი კონს. დაარსდა პარიზში (1795).

XIX-XX სს-ში კონსერვატორიები გაიხსნა ევრ. თითქმის ყველა ქვეყანაში, სამხრ. ამერიკისა და აშშ-ის დიდ ქალაქებში.

ამჟამად შექმნილია ს. გ-ის სისტემა: საბავშვო სამუსიკო სკოლები (მოზარდების დაწყებითი განათლება), სამუსიკო სასწავლებლები (ამზადებენ პროფესიონალთა კადრებს საშ. ს. გ-ით), სპეც. სამუსიკო სკოლები (იძლევა ზოგად საშ. სამუსიკო განათლებას), კონსერვატორიები, ხელოვნ. ინ-ტები. უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებთან არსებობს ასპირანტურა და ასისტენტურა. სასწავლო საგანი „მუსიკა“ შეტანილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამაში.

საქ-ში პროფესიულ ს. გ-ას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართ. ხალხ. მუსიკის (სას. და საერო) განვითარებასთან. IX-XIII სს-ში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ჰიმნოგრაფები, რომლებიც წარმართავდნენ ქართ. პროფეს. მუსიკალური კულტურის განვითარებას. მ. შ. იყვნენ გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე მთაწმინდელი, იოანე მტბევარი, სტეფანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი, არსენ იყალთოელი, იოანე მინჩხი. შეიქმნა ქართული ნევმური (სანოტო) სისტემა, რომლის საშუალებითაც მოხერხდა ქართ. საგალობლების ჩაწერა. შემორჩენილია რამდენიმე კრებული (ყველაზე ადრინდელი თარიღდება X ს-ით), შედგენილი მიქაელ მოდრეკილის მიერ. ამ კრებულით მტკიცდება, რომ ქართველებს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონიათ საფუძვლიანად დამუშავებული მუსიკის თეორია და თავისუფლად კითხულობდნენ მუს. ტექსტს ნოტების მიხედვით. პროფეს. ს. გ-ის მაღალ დონეზე მიგვანიშნებს ეროვნული სამუსიკო ტერმინოლოგიაც. ქართ. სამუსიკო ხელოვნების განვითარება მრავალგზის შეუწყვეტია უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს. XVIII ს-ში აღინიშნება ქართ. მუს. კულტურის ახ. აღმავლობა. მუსიკის სწავლებას სათანადო ადგილი ეთმობოდა სას. სემინარიებში (თბილისი, თელავი), ეკლესიებთან არსებულ სამგალობლო სკოლებში. XIX ს-ში თანდათან გავრცელდა ევრ. და რუს. მუსიკის ტრადიციები. 20-იანი წლებიდან თბილისში დაარსდა კერძო სამუსიკო კლასები. 40-იანი წლებიდან მუსიკას ასწავლიდნენ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტსა და თბ. პირველ გიმნაზიაში. ასწავლიდნენ სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრას და მუს-ის ელემენტარულ თეორიას.

1871 თბ-ში გაიხსნა „კავკასიის საზოგადოების“ სამუსიკო სკოლა. 1873-იდან ეროვნ. სამუსიკო კადრების აღზრდის მთავარ კერად იქცა ხ. სავანელის, ა. მიზანდარის, კ. ალიხანოვის სამუსიკო კლასები, რომელთა საფუძველზეც 1874-1876 ჩამოყალიბდა სამუსიკო სკოლა, 1886 სამუსიკო სასწავლებელი, ხოლო 1917 სასწავლებელი კონსერვატორიად გადაკეთდა. ეროვნ. სამუსიკო კადრების აღზრდის შესანიშნავ კერად იქცია თბ. ქართული გიმნაზია. აქ მუშაობდნენ ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ზ. ჩხიკვაძე, ა. ყარაშვილი. 1905 თბ-ში დაარსდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, რომელთანაც 1908 გაიხსნა სამუსიკო სკოლა.

თბილისის კონს. გარდა არის თბილისის სამუსიკო კოლეჯი, სამუსიკო სკოლები, სამუსიკო განყოფილება არსებობს საქ. სახელმწ. თეატრალურ უნივერსიტეტში.

მ. ახმეტელი

სამხმოვანება, აკორდი რომლის ბგერები განლაგებულია ან შეიძლება განლაგებული იყოს ტერციებად. ს-ის 2 ძირითადი სახე არსებობს მაჟორული (დ.3+პ.3) და მინორული (პ.3+დ.3). ორივე ეს კონსონირებული ს. წარმოადგენდა მაჟორულ-მინორული ტონალური სისტემის აკორდიკის საფუძველს (XVII-XIX სს.). მაჟორული და მინორული ს. წარმოადგენს ევრ. მუსიკის 2 ძირითად კილოს-მაჟორულისა და მინორულის საფუძველს. არსებობს აგრეთვე გადიდებული (2 დიდი ტერციისაგან შემდგარი) და შემცირებული (2 პატარა ტერციისაგან შემდგარი) სამხმოვანებები.

სანთური, ტრაპეციის ფორმის მრავალსიმიანი ხის ჩასაბერი სამუსიკო საკრავი. ს. აზიის ქვეყნებიდან შემოვიდა ამიერკავკასიაში-აზერბაიჯანსა და სომხეთში. ნაწილობრივ-საქართველოში (კერძოდ თბილისში). ს. სოლო სიმღერის თანმხლები და საანსამბლო საკრავია. ს-ის ბგერას იძლევა საკრავის ზედა ფიცარზე განლაგებული, უნისონში შეწყობილი ლითონის 4 სიმი რ-ებიც ეყრდნობა მოძრავ კოჭებს. ს-ს უკრავენ ბოლომოღუნული 2 ჩხირის დარტყმით. წყობა ქრომატულია.

სანოტო დამწერლობა, ნოტაცია (ლათ. notatio, ჩაწერა, აღნიშვნა), გრაფიკული ნიშნების სისტემა, რომელსაც იყენებენ მუსიკის ჩასაწერად. ს.დ-ის საწყისები შორეულ წარსულშია. ძვ. საბერძნეთში არსებობდა ბგერათა ჩაწერის ასოითი, სისტემა (აღნიშნავდა მხოლოდ ბგერათა სიმაღლეს და არა ბგერათა გრძლიობას), რომელიც მუს. პრაქტიკაში დამკვიდრებული იყო X ს-მდე. ამ დროიდან ბერძ. ასოები შეიცვალა ლათინურით (ამ სახით იხმარება XX ს-ში ცალკეული ბგერისა თუ ტონალობის აღსანიშნავად). ს. დ-ის განვითარების მნ. ეტაპია შუა ს-ში გავრცელებული ნევმური დამწერლობა. განსაკუთერებული ნიშნებით—ნევმებით ხდება საგალობლების მელოდიის გახსენება (სიმაღლის ზუსტი აღნიშვნის გარეშე). XI ს. იტალ. მუსიკის თეორეტიკოსმა გვიდო დ`არეცომ შემოიღო 4 სანოტო ხაზის სისტემა, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე სანოტო დგანის პროტოტიპს. მომდევნო ეტაპს წარმოადგენს ე. წ. მენზურული ნოტაცია, რომელიც ახდენს ბგერის სიმაღლისა და გრძლიობის ფიქსაციას. XV-XVII სს-ში საკრავიერი მუსიკის ჩასაწერად პარალელურად არსებობდა დამწერლობის ასოითი ანუ ციფრული სისტემა, ე.წ. ტაბულატურა. XVII-XVIII სს-ში აკორდებს იწერდნენ ციფრების მეშვეობით, ბანის ხმას ნოტის თავზე ან ქვეშ (იხ. გენერალბასი), სიმარტივისა და მოხერხებულობის გამო ასოითი ჩაწერა დღესაც ფართოდ გამოიყენება მუს. თეორიულ ნაშრომებში.

ს. დ. უსინათლოთათვის (ე. წ. ბრაილის ანბანი; გამომგონებლის—უსინათლო გერმ. კომპოზიტორის გვარის მიხედვით). ს. დ-ს აქვს შემოკლების ნიშნები (იხ. აბრევიატურა). თანამედროვე ს.დ. მუს. ნაწარმოების სანოტო ტექსტის ზუსტი ჩაწერის საშუალებას იძლევა. ს. დ. საქ-ში შეიქმნა X ს-ში (იხ. მიქაელ მოდრეკილი).

სანკტ-პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, რუსეთის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი მუს. თეატრი. მისი ისტორია იწყება 1783-იდან, როცა პეტერბურგში გაიხსნა ქვის (დიდი) თეატრი და ეკატერინე II განკარგულებით შეიქმნა დასი. დაიდგა პირველი რუსული ოპერები. 1803 საოპერო და საბალეტო დასი გამოეყო დრამატულს. 1836 გლინკას ოპერის „სიცოცხლე მეფისათვის“ დადგმით საფუძველი ჩაეყარა რუსულ კლასიკურ საოპერო ხელოვნებას. 1842 დაიდგა მისივე „რუსლან და ლიუდმილა“.

მომდევნო ხანებში კი რუსი და დასავლეთევროპელი კლასიკოსი კომპოზიტორის მრავალი ოპერა და ბალეტი. 1860-იდან თეატრი მუშაობდა მის თანამედროვე შენობაში „მარიას თეატრის“ სახელწოდებით (1935-1991 ატარებდა ს. კიროვის სახელს). 1920 ეწოდა ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკადემიური თეატრი. ომის წლებში თეატრი მუშაობდა ქ. პერმში. დაბრუნდა ლენინგრადში 1944.

თეატრის დასის შემადგენლობაში მისი ისტორიის მანძილზე იყვნენ გამოჩენილი დირიჟორები, მომღერლები, მოცეკვავეები და სხვ. თეატრი მართავს გასტროლებს საზღვარგარეთ. სხვადასხვა დროს აქ დაიდგა ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“ (1938), ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (1972), ა. მაჭავარიანის ბალეტები „ოტელო“ (1960) და „ვეფხისტყაოსანი“ (1985).

საოპერო სტუდია, დაარსდა 1952 თბ. სახელმწ. კონს-ის საოპერო მომზადების კათედრასთან (ხე-ლი გ. კილაძე). სტუდიამ აღზარდა ცნობილ ქართველ მომღერალთა რამდენიმე თაობა. დადგა ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“; პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“; შ. გუნოს „ფაუსტი“; ჯ. ვერდის „ტრავიატა“; ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“; ჟ. ბიზეს „მარგალიტის მაძიებლები“; გ. დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“; ს. რახმანინოვის „ალეკო“; ჯ. გერშვინის „პორგი და ბესი“ და სხვ.

ახალგაზრდა მომღერალთა აღზრდაში მნიშ. წვლილი მიუძღვით ს.ს.-ში სხვადასხვა დროს მომუშავე რეჟისორებს: შ. აღსაბაძეს, ა. ჩხარტიშვილს, გ. ვასაძეს, გ. გაჩეჩილაძეს, ნ. ჯაფარიძეს და სხვ. დირიჟორებს: გ. კილაძეს, ზ. ხუროძეს, შ. თაქთაქიშვილს, დ. მირცხულავას, ს. კორკოტაშვილს, გ. აზმაიფარაშვილს, ა. კავსაძეს, რ. ტაკიძეს და სხვ. სტუდიაში აღიზარდნენ ზ. ანჯაფარიძე, მ. ამირანაშვილი, ც. ტატიშვილი, ლ. ჭყონია, პ. ბურჭულაძე და სხვ.

სარაბანდა (ესპ. zarabanda, არაბ.), ძველებური ესპანური ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

სარასატე, სარასატე ი ნავასკუესი (Sarasate y Navascuez), პაბლო მარტინ მელიტონ [10. III. 1844, პამპლონა,–20. IX. 1908, ბიარიცი], ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი. სწავლობდა პარიზის კონს-ში (მევიოლინე ჟ. დ. ალართან). კონცერტებს მართავდა ბავშვობიდან, 1860-იანი წწ. დასაწყისიდან–მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ს. მსოფლიოს ერთ-ერთი ვირტუოზი მევიოლინე იყო. მისი შესრულება გამოირჩეოდა მღერადობით, სინატიფითა და ტექ. სრულყოფით. ასრულებდა თავისი თანამედროვე კომპოზიტორების სავიოლინო ნაწარმოებებს, რომელთაგანაც ბევრი საგანგებოდ მისთვის იყო დაწერილი (ე. ლალოს „ესპანური სიმფონია“, კ. სენ-სანსის „ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო“ და მე-3 კონცერტი). ს., ამავე დროს, მრავალი სავიოლინო პიესის ავტორია, მ.შ. აღსანიშნავია „ბოშური ჰანგები“ და „ესპანური ცეკვები“, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიოს მევიოლინეთა რეპერტუარში.

სარაჯიშვილი ვანო (ივანე) პეტრეს ძე [I. V. 1879, სიღნაღი,–11. XI. 1924, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ.–დრამ. ტენორი). საქ. სახ. არტისტი (1923). 1887-იდან სწავლობდა თბ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში, აქვე მღეროდა მოსწავლეთა გუნდში (1888-95). 1898 შევიდა თბ. სამუსიკო სასწავლებელში (ჩელოს კლასი). 1898-1900 ქართ. ხალხ. გუნდის (ხე-ლი ს. კავსაძე) მომღერალი-სოლისტი იყო. 1903 ს. პეტერბურგს გაემგზავრა და სიმღერას სწავლობდა ჯერ ი. პრიანიშნიკოვთან, შემდეგ–ა. პანაევა-კარცევასთან. ს-ის დებიუტი შედგა 1907 პეტერბურგში ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში“. პარალელურად იტალიაში კასტელანოს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ბელკანტოს ხელოვნებას (1906-08). გამოდიოდა იტალ. სხვადასხვა ქალაქის თეატრებში. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ს-მა მუშაობა განაგრძო იტალ. დასში. 1908-იდან ცხოვრობდა თბილისში. გამოდიოდა თბ. საოპერო სცენაზე ევრ. და რუსი კომპოზიტორების ოპერებში. ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების (მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი და სხვ.) რომანსებს. 1913 28 მაისს შეასრულა ზ. ფალიაშვილის ახლად შექმნილი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ფრაგმენტები (აბესალომის პარტია). 1916-1917 მღეროდა ბაქოში, 1910-20-იანი წლები ს-ის შემოქმედების აყვავების ხანაა. იგი მონაწილეობდა ზ. ფალიაშვილის ოპერების დადგმებში, მღეროდა აბესალომისა („აბესალომ და ეთერი“) და მალხაზის („დაისი“) პარტიებს. ცნობილია, რომ მალხაზის არია „თავო ჩემო“ ზ. ფალიაშვილმა დაწერა და „დაისში“ შეიტანა ს-ის თხოვნით. მოღვაწეობის მთელი ხნის მანძილზე ს. სისტემატურად მართავდა კონცერტებს. ასრულებდა ქართველი და რუსი კომპოზიტორების რომანსებს, ქართულ ხალხურ და ნეაპოლურ სიმღერებს. ს. ქართ. პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია. ქართველი ხალხის უსაყვარლესი მომღერალი, „საქართველოს ბულბული“, იგი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ასეთი პოპულარობა მოუხვეჭა მისმა იშვიათი სილამაზის ხმამ, დახვეწილმა ვოკალურმა ოსტატობამ და ნათელმა სცენურმა ნიჭმა. ს-ის რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანი იყო, თანაბარი წარმატებით ასრულებდა როგორც ლირ. ისე დრამ. პარტიებს: შოთა (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), რადამესი (ვერდის „აიდა“), ხოზე (ბიზეს „კარმენი“), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი“), ჰერცოგი, ალფრედი (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“), ნადირი (ბიზეს „მარგალიტის მაძიებლები“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), ლენსკი, გერმანი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“), სინოდალი (რუბინშტეინის „დემონი“) და სხვ. გადაღებულია კფ-ში „მამის მკვლელი“ (1923). მისი ხმა აღბეჭდილი იყო რამდენიმე ტექნიკურად არასრულყოფილ გრამფირფიტაზე, რომელთა რესტავრაცია მოხერხდა 1999 წელს. კერძოდ, ა. ერქომაიშვილის მიერ ლონდონში აღმოჩენილი დედნების მეშვეობით ნ. ანდღულაძემ აღადგინა პირველადი სრულყოფილი ხმოვანება. გამოვიდა ამ ჩანაწერების კომპაქტდისკი და კასეტი.

ს. დაკრძალულია თბ. ოპერის თეატრის ბაღში. მისი სახელი მინიჭებული აქვს თბ. სახელმწ. კონს-ას (1947), ერთ-ერთ ქუჩას თბილისში. ქ. სიღნაღში მაისის თვეში ყოველწლიურად ეწყობა მომღერლისადმი მიძღვნილი ზეიმი–„ვანოობა“.

გ. ტორაძე

სარქველი–ჩასაბერი სამუსიკო საკრავების მექანიზმის დეტალი, გამოიყენება კორპუსზე მდებარე ხვრელის გასაღებად და დასაკეტად, რითაც იცვლება გამოცემული ბგერის სიმაღლე.

სასულე ორკესტრი–ორკესტრი რომელიც შედგება სპილენძის სასულე, ხის სასულე და დასარტყამი საკრავებისაგან. ს.ო. ხასიათდება მძლავრი, ნათელი ხმოვანებით.

სასულიერო მუსიკა, რეგიგიური ხასიათის მუსიკა, რომელიც სრულდება ეკლესიაში, ტაძარში. იხ. საეკლესიო მუსიკა.

სატი (Satie) ერიკ ალფრედ ლესლი [17. V. 1866, ონფლერი, კალვადოსის დეპარტ., –1. VII. 1925, არკეი, პარიზის მახლობლად], ფრანგი კომპოზიტორი. სწავლობდა „სხოლა კანტორუმში“ (პარიზი, 1905-08) ო. სერიესა და ა. რუსელთან. ამ პერიოდში შექმნა საფ. პიესების კრებული ექსტრავაგანტური სახელწოდებებით: „მსხლის ფორმის 3 პიესა“, „ცხენის ტყავში“, „სპორტი და გართობანი“ და სხვ. მასვე (ჟ. კოკტოსა და პ. პიკასოსთან თანამშრომლობით) ეკუთვნის ბალეტი „აღლუმი“ (1916). ერთხანს ს. იყო კომპ-თა შემ-თი გაერთიანების „ექვსეულის“ ლიდერი. 20-იან წლებში მის ირგვლივ თავი მოიყარეს ახალგაზრდა ფრანგმა კომპოზიტორებმა ე. წ. „არკეის სკოლის“ წარმომადგენლებმა. ს-ის საუკეთესო ნაწარმოებია სიმფ. დრამა „სოკრატე“ 4 სოპრანოსა და კამერული ორკესტრისათვის (პლატონის დიალოგების ტექსტზე, 1918).

საქართველოს კამერული ორკესტრი. დაარსდა 1963 ხელმძღვანელი გ. აზმაიფარაშვილი. 1967 მიენიჭა საქ. სახელმწ. კამერული ორკესტრის სტატუსი. 1968-73 ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ მ. იაშვილი და ი. პოლიტკოვსკი. ორკესტრმა წარმატება მოიპოვა ქ. ლაიფციგში ბახის ფესტივალზე (1970)და ჰალეში „ჰენდელის ფესტივალზე“ (1973). 1974-80 ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ შ. შილაკაძე, ტ. დუგლაძე და ე. სანაძე. 1981-იდან ორკესტრს სათავეში ჩაუდგა ლიანა ისაკაძე. მისი ხელმძღვანელობით ორკესტრი დიდი წარმატებით გამოდიოდა ყოფილ სსრკ ქალაქებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1983-88 დააარსა ბიჭვინთის ფესტივალი „ღამის სერენადები“. 1990-იდან მოღვაწეობს გერმანიაში (ქ. ინგოლშტატში), პერიოდულად კონცერტებს მართავდა საქართველოში. ასრულებლდა მსოფლიო კლასიკური მუსიკის ნიმუშებსა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი. საქართველოს კომპოზიტორებისა და მუსიკისმცოდნეების საზოგადოებრივ-შემქმედებითი გაერთიანება. წევრთა რაოდენობა 120 ჩამოყალიბდა 1932 თბილისში.

კავშირის პირველი თავმჯდომარე იყო დიმიტრი არაყიშვილი (1932-1934). შემდგომ კავშირს ხელმძღვანელობდნენ : იონა ტუსკია (1935-1937), გრიგოლ კილაძე (1937-1938), ივანე (ვანო) გოკიელი (1938-1942). შალვა მშველიძე (1942-1950), გრიგოლ კოკელაძე (1950-1952), ანდრია ბალანჩივაძე (1953-1962), ოთარ თაქთაქიშვილი (1962), ალექსი მაჭავარიანი (1962-1968), ანდრია ბალანჩივაძე (1968-1973), გივი ორჯონიკიძე (1973-1984), სულხან ცინცაძე (1984-1990), ნოდარ მამისაშვილი (1990-1992), სულხან ნასიძე (1992-1996), ნოდარ გაბუნია (1996-1997), ვაჟა აზარაშვილი (1997-2008), კახა ცაბაძე (2008-2017), 2017იდან კავშირის თავმჯდომარეა გიორგი შავერზაშვილი.

კავშირის პირველი ყრილობა ჩატარდა 1948, სადაც მიიღეს წესდება. იგი მიზნად ისახავს ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებას, ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების შესრულებას და დაბეჭდვას, მუსიკისმცოდნეთა შრომების გამოცემას, ფესტივალების, კონცერტების, კონკურსების, კონფერენციების გამართვას, სხვადასხვა სახის საგამომცემლო საქმიანობას მ.შ. სანოტო გამოცემების, გაზეთების, ჟურნალებისა და კავშირის მიზნებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის სარეკლამო გამოცემების წარმოებას.

კავშირის უმაღლეს ხელმძრვანელ ორგანოს წარმოადგენს წევრთა ყრილობა, რომელიც თავმჯდომარეს და გამგეობას ირჩევს 5 წლის ვადით. კავშირის ქვემდებარე ორგანიზაციებია „მუსიკალური ფონდი“ და ჟურნალი “მუსიკა“.



საქართველოს ე. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, დაარსდა 1925, „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ ორკესტრის ბაზაზე. პირველი ხე-ლი იყო დირიჟორი ი. ფალიაშვილი (1933–მდე). 1933–37 მოხდა ორკესტრის რეორგანიზაცია და მას სათავეში ჩაუდგა ევგენი მიქელაძე (ორკესტრს მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი), რომელმაც ეს კოლექტივი საუკეთესო ორკესტრების დონეზე აიყვანა. შემდგომ ორკესტრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ო. დიმიტრიადი, შ. აზმაიფარაშვილი, ა. გაუკი, ზ. ხუროძე, ჯ. კახიძე, ვ. მაჭავარიანი, დ. კლინგე. ორკესტრთან სისტემატურად თანამშრომლობდნენ ქართველი დირიჟორები: ა. გველესიანი, ჯ. გოკიელი, ვ. ფალიაშვილი, ლ. კილაძე, გ. აზმაიფარაშვილი, რ. ტაკიძე, ზ. აზმაიფარაშვილი, გ. ჭიჭინაძე და სხვ.

30–იანი წლებიდან ორკესტრი სისტემატურად ატარებს კონცერტებს საგასტროლოდ ჩამოსულ გამოჩენილ დირიჟორებთან და სოლისტ–შემსრულებლებთან ერთად. 1959–იდან გასტროლებს მართავს საზღვარგარეთ (პოლონეთი, გერმანია, ინგლისი, ფინეთი, თურქეთი და სხვ.). რეპერტუარში აქვს მსოფლიოს კლასიკური მუსიკის მრავალი ნიმუში, ქართველი კომპოზიტორების პრაქტიკულად ყველა მნ. ნაწარმოები. ჩაწერილი აქვს რამდენიმე ფირფიტა ფირმა „მელოდიაში“. 1979 ორკესტრს მიენიჭა ე. მიქელაძის სახელი. 1996 ორკესტრმა ჩაატარა საგუნდო მუსიკის ფესტივალი (სომხეთის აკად. საგუნდო კაპელის მონაწილეობით. პროგრამაში იყო ჯ. ვერდის „რეკვიემი“ და ჯ. როსინის „სტაბატ მატერი“). 1998 პ. ბურჭულაძისა და ვ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით წარმატებით ჩატარდა საოპერო მუსიკის ფესტივალი „ბრავო“, სადაც მონაწილეობდნენ ცნობილი უცხოელი მომღერლები. (ვერდის „აიდა“, ჯ. პუჩინის „ტოსკა“ და გალა კონცერტი). ამჟამად ორკესტრი „საქ. ეროვნული მუსიკალური ცენტრის“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ნ. რაჭველი) შემადგენლობაშია.

საქართველოს მუსიკალური საზოგადოება, აღნიშნული სტატუსი შეიძინა 2000, საქ. მუს. საზ-ბის გამგეობის რეორგანიზაციის შემდეგ. საზ-ბის მიზანია ხელი შეუწყოს ქართული მუს. ტრადიციების განვითარებას, მუს. ხელოვნების წამყვანი დარგების პროფესიულ-მხატვრული დონის ამაღლებას. საზ-ბის წევრები არიან სხვადასხვა პროფესიის მუსიკოსები. საზ-ბა მართავს შემოქმედებით საღამოებს,

კონცერტებს, ფესტივალებს, კონკურსებს, პრეზენტაციებს, კონფერენციებს. გასცემს ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიას. საზ-ბის თავმჯდომარეა მუსიკისმცოდნე მ. ახმეტელი. მისი ხელმძღვანელობით დაარსდა ს. ცინცაძის სახ. კამერული ანსამბლების კონკურსი (2000, 2003), თბილისის კამერული მუსიკის ყოველწლიური ფესტივალი (2006), საქ. სამუსიკო სკოლების რეგიონალური კონკურსი (2015), გამოიცა კომპოზიტორ გ. ჩუბინიშვილის სიმღერებისა და რომანსების კრებული (2001), ს. ცინცაძის „გაორკესტრების ტექნიკა“(2003), „თემურ მათურელი" (2005), „ედიშერ გარაყანიძის რჩეული წერილები“(2007), მ. ახმატელის „ცხოვრება ხელოვნებაში“ (2008), ნ. ქავთარაძის „თენგიზ მუშკუდიანი“ (2008) და „ო, უძლეველო დიდო წამო შემოქმედების“ (2013), „უნიკალური ჩანაწერების“ რუბრიკით გამოიცა კომპაქტდისკები: თ. ამირეჯიბი (2003), დ. გამრეკელი (2005), მ. ნაკაშიძე (2005), მ. ამირანაშვილი (2008), მ. იაშვილი (2008), ი. კეჭაყმაძე (2010), XX ს-ის ქართველი ტენორები (2012).

საქ. მუს. საზ-ბის კამერულ დარბაზში სისტემატურად იმართება სხვადასხვა სახის შემოქმედებითი ღონისძიებები.

საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, დაარსდა თბილისში 1959 (თავ-რე კომპ. გრ. კოკელაძე), როგორც საგუნდო საზ-ბა. 1960-დან გახდა საგუნდო-ქორეოგრაფიული საზ-ბა. 1966-იდან ეწოდა საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება თავ-რე კომპ. ო. გორდელი (1966-1987). 1987-95 თავ-რე იყო გამოჩენილი მომღერალი პ. ბურჭულაძე. საზ-ბა მიზნად ისახავდა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდას რესპუბლიკის მასშტაბით. საზოგადოებასთან არსებობდა სამუსიკო სკოლები და ქორეოგრაფიული სტუდიები, კამერული ორკესტრი (ხე-ლი შ. შილაკაძე, გ. ბაბუაძე), კამერული გუნდი (ხე-ლი ი. დადიანი), ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ლილეო“ (ხე-ლი ბ. გეგეშიძე), ქართ. ხალხ. ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „ჩონგური“ (ხე-ლი შ. შოშიაშვილი), ვოკალური კვარტეტი „ფიროსმანი“ (ხე-ლი მ. მცურავიშვილი), მუს. ანსამბლების გაერთიანება და სხვ. 1989 დაიშალა და მის ბაზაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი ორგანიზაცია: საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობა და საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოება.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი–„თავისუფლება“. მუსიკა ზ. ფალიაშვილისა, ჰიმნად დაამუშავა ი. კეჭაყმაძემ. ტექსტი დ. მაღრაძისა. ჰიმნმა გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 1998 წელს. სახელმწიფო ჰიმნად დამტკიცდა 2004 წელს.

საქართველოს ნ. სულხანიშვილის სახ. სახელმწიფო საგუნდო კაპელა. დაარსდა 1947. სხვადასხვა დროს კაპელას ხელმძღვანელობდნენ ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები: გ. ხახანაშვილი (1947-52), ო. თაქთაქიშვილი (1952-56), ლიტველი დირიჟორი იან დუმინი (1957), ჯ. კახიძე (1957-62), გ. ბაქრაძე (1962-75), 1975-2010 კაპელას სათავეში ედგა საქ. სახალხო არტისტი გ. მუნჯიშვილი, 2010-იდან ა. უშვერიძე. რეპერტუარშია ქართული

კლასიკური და თანამედროვე საგუნდო მუსიკა, ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილის, შ. მშველიძის , ო. თაქთაქიშვილის, რ. ლაღიძის, ა. მაჭავარიანის, ი. კეჭაყმაძის, ა. ჩიმაკაძის, ს. ნასიძის, ო. გორდელის, ი. ბობოხიძის და სხვ. ნაწარმოებები. კაპელა წარმატებით ასრულებს მსოფლიოს საგუნდო მუსიკის მაღალმხატვრულ ნიმუშებს. გასტროლებით შემოვლილი აქვს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლი რუსთავი. დამაარსებელი და მხატვ. ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი(1968). იმავე წელს მომღერლებს მოცეკვავეთა ანსამბლი შეუერთდა (ქორ. რ. ჭოხონელიძე, შემდეგ ფ. სულაბერიძე). დაარსების დღიდან ანსამბლს გამართული აქვს 5000-ზე მეტი კონცერტი მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში. ანსამბლი საფუძვლიანად დაეუფლა მრავალდიალექტიანი ქართ. მუს. ფოლკლორის სიმღერისა და ცეკვის სტილისა და ჟანრობრივ მრავალფეროვნებას, რითაც აკად. საგუნდო კოლექტივის თვისებები შეიძინა. ანსამბლის წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მომღერლებმა: ჰ. გონაშვილმა, რ. მიქაბერიძემ, ტ. ონაშვილმა, ბ. გუგავამ, ი. მათიკაშვილმა, ნ. გელაშვილმა, ჯ. ყოლბაიამ, გ. მუჯირმა, ბ. თოიძემ, ს. ვადაჭკორიამ, ლ. თანდილაშვილმა, ლ. წივწივაძემ, ა. გოლიაძემ, გ. არაბაშვილმა და სხვ. აღსანიშავია ჰ. გონაშვილისა და რ. მიქაბერიძის დუეტი, მათ მიერ შესრულებული ქართლ-კახური სიმღერები სამაგალითოა. „რუსთავის“ ვარსკვლავი გაიხსენა თბ. დიდ საკონცერტო დარბაზთან (2000).

საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწ. ანსამბლი „ბასიანი“ ჩამოყალიბდა 2000, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა კურთხევით, როგორც საქ. საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი. ანსამბლი „ბასიანი“ თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის შემადგენელი ნაწილია. 2013 „ბასიანს“ მიენიჭა საქ. ხალხ. სიმღერის სახელმწ. ანსამბლის სტატუსი. ანსამბლის დამაარსებელი და სამხ. ხელმძრვანელია გიორგი დონაძე.

დღიდან დაარსებისა ანსამბლი „ბასიანი“ აქტიურად ჩაება ქართული ტრადიციული მრავალხმიანეობის ნიმუშების გაცოცხლების და პოპულარიზაციის საქმეში. მან აღადგინა და გააცოცხლა ფოლკლორის მრავალი მივიწყებული ნიმუში. გამოსცა კომპაქტდისკები, გამართა ასეულობით კონცერტი საქ-ში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს ს. ცინცაძის სახ. ეროვნული სიმებიანი კვარტეტი, დაარსდა თბილისში ჯერ სტუდენტთა სიმებიანი კვარტეტის (1921), შემდეგ „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ სიმებიანი კვარტეტის (1924) და ბოლოს თბ–ის კონს–ის სიმებიანი კვარტეტის (1928) სახელწოდებით. კვარტეტის პირველ შემადგენლობაში იყვნენ ვახტანგ

ნეიმან–ბარნაბელი, მიხეილ ძიძიშვილი, შალვა თაქთაქიშვილი და გიორგი თაქთაქიშვილი. დროთა განმავლობაში მისი შემადგენლობა იცვლებოდა. შემდეგ თაობაში იყვნენ ბორის ჭიაურელი, გივი ხატიაშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი, გიორგი ბარნაბიშვილი. 1944–იდან საქ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტი ეწოდა. ანსამბლმა ამ შემადგენლობით დიდ წარმატებას მიაღწია: გახდა პრაღის საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1950), ოთხივე მონაწილე სსრკ სახელმწ. პრემიით დაჯილდოვდა (1952), 1958 ანსამბლს საქ. დამს. კოლექტივის სახელი მიენიჭა. 1966–იდან კვარტეტის შემადგენლობაში არიან საქ. სახ. არტისტები, შოთა რუსთაველის (1992) და ზ. ფალიაშვილის (1971) სახ. პრემიების, მუსიკოს –შემსრულებელთა ლ. ვაინერის საერთაშ. კონკურსის (უნგრეთი) ლაურეატები (1973): კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ ჟვანია და ოთარ ჩუბინიშვილი. ანსამბლის რეპერტუარშია კლასიკური და თანამედროვე საკვარტეტო მუსიკა, აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა საკვარტეტო ნაწარმოებები. კვარტეტმა გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა (გერმანია, ავსტრია, ჰოლანდია, იტალია, შვეცია, ფინეთი, ესპანეთი, სამხრ. ამერიკა, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი და სხვ.). 1991 კვარტეტს მიენიჭა სულხან ცინცაძის სახელი. კვარტეტს გამოშვებული აქვს არაერთი ფირფიტა და ლაზერული დისკი.

საქართველოს ხალხური სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“. ანსამბლი ითვლება მემკვიდრედ 1885 ლ. აღნიაშვილის მიერ დაარსებული გუნდისა, რომლის ლოტბარი იყო ჩეხი კომპოზიტორი იოსებ რატილი. 1889 მათ შეუერთდა მოცეკვავეთა ჯგუფი და ჩამოყალიბდა როგორც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ამ ანსამბლმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ფოლკლორის აღორძინებას და პროპაგანდას. სხვადასხვა დროს ქართული საგუნდო (პროფესიული) სიმღერის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს: ხ. სავანელმა, ფ. ქორიძემ, ნ. სულხანიშვილმა, ი. კარგარეთელმა, ზ. ფალიაშვილმა, კ. ფოცხვერაშვილმა და სხვებმა. ანსამბლს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: კ. პაჭკორია, გ. კოკელაძე, შ. მშველიძე, ვ. ცაგარეიშვილი, გ. ჩხიკვაძე, ა. კავსაძე, გ. ბაქრაძე; 1986-დან ჯ. ჭკუასელი. ქორეოგრაფიული ჯგუფის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დ. ჯავრიშვილს, ჯ. ბაგრატიონს, გ. დარახველიძეს, რ. ხონელიძეს, რ. ჭოხონელიძეს. მომღერალთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხალხ. სიმღერების უბადლო შემსრულებლები: ნ. ხურცია, მ. ჯიღაური, ვ. მჭედლიშვილი, ჰ. გონაშვილი, რ. მიქაბერიძე, ი. ზაქაიძე, ნ. კურცხალია და სხვ. 1986 ანსამბლის წევრთათვის ეროვნ. სამოსის ესკიზები შექმნა მხატვარმა და მოქანდაკემ მ. ბერძენიშვილმა. ანსამბლის რეპერტუარშია საქ. ყველა კუთხის უძველესი და თანამედროვე ხალხ. შემოქმედების ნიმუშები. ანსამბლმა წარმატებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და დიდი აღიარება მოუტანა ქართ. ხალხ. სიმღერასა და ცეკვას. 1999-იდან ანსამბლს ეწოდა „ერისიონი“. სამხატვრო ხელმძღვანელია ჯემალ ჭკუასელი, მთ. ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე(1986-2014), მთავარი დირიჟორი შერმადი ჭკუასელი, ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელი იური გოგოლაური. „ერისიონის“ ხელოვნება აღნიშნულია საერთაშორისო ჯილდოებით.

საქსი (Sax) ადოლფ (ანტუან ჟოზეფ) [6. XI. 1814, დინანი, ბელგია,–4. II. 1894, პარიზი], სასულე საკრავების ბელგიელი ოსტატი. მუშაობდა ბრიუსელში, 1836-იდან პარიზში ს-მა გაუმჯობესა საქსოფონი და სასულე საკრავთა მთელი ოჯახი-საქსჰორნები (პატენტები 1845, პარიზი).

საქსოფონი (გამომგონებლის გვარი საქსი და ბერძ. phone–ბგერა), სასულე მუსიკალური საკრავი. გამოიგონა ბელგიელმა ოსტატმა ა. საქსმა. წარმოადგენს პარაბოლურ მილს, რომელსაც აქვს ნისკარტისებური მუნდშტუკი და ცალფა ღერო. ს-ის ოჯახი შედგება 7 ნაირსახეობისაგან–სოპრანინოდან კონტრაბასამდე. ს. ჯაზური ორკესტრის ძირითადი საკრავია.

საქსჰორნები, (გამომგონებლის გვარი–საქსი და გერმ. Horn–რქა), სასულე მუნდშტუკიან საკრავთა ოჯახი, რომლის კონსტრუქტორია ა. საქსი. გამოირჩევა მენზურისა და ფორმის (ტუბისებური) ერთგვაროვნებით. თავდაპირველად ს-ის 7, შემდეგ კი 9 ნაირსახეობა არსებობდა (სოპრანინოდან სუბკონტრაბასამდე). ს-ს ხშირად უწოდებენ ჩვეულებრივ სპილენძის სასულე საკრავების 3 ნაირსახეობას–ალტს, ტენორსა და ბარიტონს.



საყვირი, მაღალი რეგისტრის საორკესტრო და სოლო სასულე მუს. საკრავი. შედგება ცილინდრული მილისაგან, რომელსაც კონუსური ფორმის ბოლო აქვს. მილის დიამეტრი 11 მმ, არხის სიგრძე დაახლ. 1500 მმ აღწევს. უვენტილო ს-ზე XVII ს-ში უკრავდნენ საოპერო ორკესტრში. 1816 შეიქმნა ქრომატული ბგერათრიგის მქონე ს. ტუმბოიანი სავენტილო მექანიზმით. 1828-32 ცილინდრული ვენტილიანი მექანიზმით. მალე ისინი სრულიად განდევნა უვენტილო ს-მა. არსებობს მცირე, ალტის, ბანის ს-ები. საქ-ში გვხვდება IX ს-იდან (იხ. ბუკი).

საცეკვაო მუსიკა, ცეკვის თანმხლები მუსიკა. თითოეული ცეკვისათვის იქმნება სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური პიესა, რომლის რიტმული ფორმულა და ტემპი განსაზღვრულია კონკრეტული ცეკვით. ს.მ. ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ნაირსახეობაა. ხალხ. საცეკვაო მუსიკა შეიძლება იყოს: ვოკალური (უმთავრესად საგუნდო) და საკრავიერი. პროფეს. ს.მ. უმთავრესად საკრავიერია. სამეჯლისო ცეკვა მსუბუქი, ჯაზური მუსიკის შემადგენილი ნაწილია. XVIII-XX სს-ში ს. მ-ის მნიშვნელოვანი განშტოებაა მხოლოდ მოსასმენად განკუთვნილი მუს. ნაწარმოებები; XIX ს-ში შეიქმნა მაღალმხატვრული, საკონცერტო შესრულებისათვის განკუთვნილი ცალკეული საცეკვაო პიესები (შოპენი, ვებერი, ლისტი).

საწკმეტი საკრავები, სიმებიანი საკრავები, რომლებზეც უკრავენ „წკმეტით“, ე.ი. თითის გამოდებით სიმზე, ან „მედიატორით“; საწკმეტ საკრავებს მიეკუთვნება: არფა, ბალალაიკა, ბანდურა, გიტარა, ბარბითი, დომრა, დუთარი, კანკლესი, კანელი, კანტელე, კობზა, კუოკლე, მანდოლინა, საზი, თარი, ჩონგური, ფანდური და სხვ.

სებისკვერაძე რუსუდან (მაცაცო) შოთას ასული [2.VIII.1946, ზესტაფონი], ქართველი კომპოზიტორი. ი. გოგებაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1993), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996), თბილისის საპატიო მოქალაქე (2009). 1965-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ. სამუსიკო სასწავლებლებში. დაწერილი აქვს 500-მდე სიმღერა (აგრეთვე მუსიკა თეატრისათვის).

მისი სიმღერებისათვის დამახასიათებელია მელოდიურობა, მკაფიო ეროვნული კოლორიტი, ფაქიზი ლირიზმი. ცნობილი სიმღერებია: „საყვარელო მამულო“, „მზარე ლამაზი“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „მინდვრად დაგიჭერ პეპელას“, „მთელ ქვეყანაზე“, „ჩუმად გაგიყვან მინდორში“, „იმერეთი“,„თბილისი ჩემი საფიცარია“, „ჩემი სამშობლო-ჩემი ღმერთია“, „ჩემი მიწის სადღეგრძელო“, „შავი ზღვა თეთრად მოგეჩვენება“, „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო“ და სხვ.

გამოცემულია ს-ის 10 სანოტო კრებული, 2 საავტორო ფირფიტა, 5 კომპაქტდისკი და 1 ვიდეო კასეტა (საიუბელეო კონცერტების), აგრეთვე საფორტეპიანო პიესები სამუსიკო სკოლებისათვის. მისი ვარსვლავი გაიხსნა თბ. ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე (2008).

სეგიდილია (ესპ. Seguidilla), ესპანური ხალხური ჩქარტემპიანი ცეკვა, სიმღერის, გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; ამ ცეკვის მუსიკა.

სეკვენცია (ლათ.–Sequentia), 1. რაიმე მელოდიის გამეორება აღმავალი ან დაღმავალი გამის სხვადასხვა საფეხურზე. 2.შუასაუკუნეობრივი კათოლიკური საგალობლების ნაირსახეობა.

სეკუნდა (ლათ. Secunda–მეორე), 1. დიატონიკური გამის მეორე საფეხური. 2. ინტერვალი ორ მეზობელ საფეხურს შორის.

სეკუნდაკორდი დომინანტსეპტაკორდის მესამე შებრუნება. აიგება გამის IV საფეხურზე. აღინიშნება V2 (დ. 2+დ. 3+ჰ. 3).

სენ-სანსი (Saint-Saens) შარლ კამილ [9. X. 1835, პარიზი,– 16. XII. 1921, ალჟირი; დაკრძალულია პარიზში], ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, მუსიკის კრიტიკოსი და საზ. მოღვაწე. 1848-იდან სწავლობდა პარიზის კონს-ში. ფ. ბენუასთან (ორგანი) და ფ. ჰალევისთან (კომპოზიცია). მუშაობდა ორგანისტად პარიზის ტაძრებში (1853-77). ფ-ნოზე დაკვრას ასწავლიდა ლ. ნიდერმაიერის სკოლაში (1861-65). იგი იყო ეროვნული სამუსიკო საზ-ბის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1871). როგორც პიანისტი და დირიჟორი, კონცერტებს მართავდა მრავალ ქვეყანაში. ს.-ს-ის მუსიკას ახასიათებს მელოდიური სიმდიდრე, კოლორიტის ფერადოვნება, ნათელი ლირიკა, კეთილშობილური პათეტიკა, ხალხ. და ყოფით მუსიკასთან სიახლოვე. მისი საუკეთესო ნაწარმოებებია: ოპერა „სამსონ და დალილა“ (1877, ვაიმარი), სიმფ. პოემა „სიკვდილის ცეკვა“ (1874), III კონცერტი (1880), „ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო“ (1863) ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. II, IV, V საფ. (1868, 1875, 1896) და II სავიოლონჩელო (1902) კონცერტები, ფანტაზია ორკესტრისათვის „ცხოველების კარნავალი“ (1886) და სხვ. ს.-ს კრიტიკული წერილების ავტორიცაა. თეორიული ხასიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ჰარმონია და მელოდია“ (1885), მასვე ეკუთვნის ლექსების 2 კრებული.

თბ. საოპერო თეატრის სცენაზე იდგმებოდა ს. -ს-ის ოპერები „სამსონ და დალილა“ (1894-95, 1926-1936, 1940-44) და „ფრინა“ (1908-09).

სეპტაკორდი (ლათ. Septum შვიდი და ფრანგ. accord აკორდი), ტერციებად განლაგებული 4 ბგერისაგან შედგენილი აკორდი. ს-ის ძირითადი სახეა ს., რომელსაც მთავარი ტონი აქვს ბანში. თუ ბანში შედის სხვა ბგერებიც, მაშინ იქმნება ე.წ. ს-ის შებრუნებები. პირველ შებრუნებას, როდესაც ბანში აქვს ტერციული ტონი, ეწოდება კვინტსექსტაკორდი, მეორე შებრუნებას–კვინტური ტონით ბანში–ეწოდება ტერცკვარტაკორდი, მესამე შებრუნებას –სეკუნდური ტონით ბანში–სეკუნდაკორდი. ბგერითი შემადგენლობის მიხედვით არსებობს დიდი და მცირე ს. 3 ტერციისაგან შედგენილ ს-ს ეწოდება შემცირებული ს.

სეპტეტი (<ლათ. Septem<შვიდი), შვიდი შემსრულებლისგან შემდგარი მუსიკალური ანსამბლი, აგრეთვე მუს. ნაწარმოები ამ ანსამბლისათვის.

სეპტიმა (ლათ. Septima–მეშვიდე), 1. დიატონიკური გამის მეშვიდე საფეხური. 2. ინტერვალი პირველსა და მეშვიდე საფეხურს შორის.

სეპტოლი (<ლათ. Septimus–მეშვიდე), რიტმული ფიგურა.

სერენადა (ფრანგ. Serenade, იტალ. Serenata, sera–საღამო), 1. ქალისადმი მიძღვნილი სატრფიალო სიმღერა. სახელწოდება წარმოდგება „სერენიდან"–„საღამოს სიმღერა". პროვანსელი ტრუვერების შესრულებით გავრცელებული იყო სამხრეთის რომანული ხალხის ყოფაში, უცვლელი ტექსტი არ ჰქონდა. მომღერალი ს–ს ასრულებდა სატრფოს ფანჯრის წინ ლიუტნის, მანდოლინის ან გიტარის თანხლებით. ს. დამკვიდრდა ოპერაში (მოცარტის „დონ ჯოვანი", როსინის „სევილიელი დალაქი"და სხვ.), იქცა კამერულ–ვოკალური მუსიკის ჟანრად. 2. სოლო, იშვიათად საანსამბლო საკრავიერი პიესა, რომელიც ატარებს ვოკალური ს–ის ნიშნებს. 3. კასაციის, დივერტისმენტისა და ნოქტიურნის მსგავსი საანსამბლო ციკლური საკრავიერი ნაწარმოები. ს. თავდაპირველად იქმნებოდა ერთი გარკვეული პიროვნების პატივსაცემად და სრულდებოდა ღია ცის ქვეშ. 4. საკრავიერი, უპირატესად საორკესტრო თანხლებით შესრულებული სიმღერა, შეიქმნა დას. ევროპაში XVII–XVIII სს–ში სამეფო კარის დღესასწაულებისათვის.

სერიალობა (სერიალური ტექნიკა, სერიალური მუსიკა, სერიალიზმი), სერიალური ტექნიკის სახეობა, რომლის ნიშანთვისებას შეადგენს ერთზე მეტი პარამეტრის მაგ.: სიმაღლისა და რიტმის, სიმაღლისა და დინამიკის სერიალიზაცია. ს. დაკავშირებულია მუს. „სივრცე–დროის" ახალ ორგანიზებასთან. მის ელემენტებს ვხვდებით ა. ვებერნის ნაწარმოებებში. განსაკუთრებით გავრცელდა XX ს-ის 50–60–იან წლებში (ბულეზის „სტრუქტურები" 2 ფ-ნოსათვის, შტოკჰაუზენის „გადაჯვარედინებული თამაში", ნონოს „შეწყვეტილი სიმღერა", ზოგიერთი რუსი კომპ. ნაწ.).

სეროვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [11. I. 1820, პეტერბურგი,–20. I. 1871, იქვე], რუსი კომპოზიტორი, მუს. კრიტიკოსი. 1935–40 სწავლობდა სამართალმცოდნეობის სასწავლებელში, პირველი საკომპოზიციო ცდები 40–იან წლებს მიეკუთვნება. 1851–იდან ს. მოღვაწეობდა პრესაში როგორც მუსიკის კრიტიკოსი.

ს-ს ეკუთვნის ოპერები: „ივდითი“ (1863), „როგნედა“ (1865), „მტრული ძალა“ (1871), სიმფ. საგუნდო და სხვა ნაწარმოებები. ს. რუსული კლასიკური სამუსიკო კრიტიკის ერთ–ერთი ფუძემდებელია ვ. სტასოვთან ერთად. მის ნაშრომებში შერწყმულია პუბლიცისტური სიმახვილე და ესთეტიკური ანალიზის ოსტატობა, მსჯელობის მეცნიერული დასაბუთება. აღსანიშნავია ს-ის ნაშრომები გლინკაზე, დარგომიჟსკიზე, ბეთჰოვენზე, ვაგნერზე (მან პირველმა რუსეთში დააფასა ვაგნერის შემოქმედება) და სხვ.

სექსტა (ლათ. Sexta - მეექვსე), 1. დიატონიკური გამის მეექვსე საფეხური. 2. ინტერვალი პირველსა და მეექვსე საფეხურს შორის.

სექსტაკორდი (გერმ. Sextakkord), სამხმოვანების პირველი შებრუნება. შედგება ტერციისა და სექსტისაგან. არსებობს მაჟორული (პ. 3+წმ. 4.) და მინორული (დ. 3+წმ. 4). აღინიშნება ციფრით 6.

სექსტეტი (გერმ. Sextett<ლათ. Sextus_მეექვსე), ექვსი შემსრულებლისაგან შემდგარი მუსიკალური ანსამბლი. აგრეთვე ნაწარმოები ამ ანსამბლისათვის.

სექსტოლი (ლათ. Sextus_მეექვსე), რიტმული ფიგურა მუსიკაში.

სვანიძე ნათელა დამიანეს ასული [4.IX. 1926, ახალციხე], ქართველი კომპოზიტორი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1981). 1951 დაამთ. თბ. კონს-ის საკომპ. განყოფილება (პროფ. ა. ბალანჩივაძის კლ.). 1956-იდან საქ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტში ასწავლიდა მუს.-თეორიულ დისციპლინებს (პროფ.). ს. ავანგარდული შემოქმედებითი და ტექნოლოგიური მეთოდების ერთ-ერთი წამომწყებია ქართულ მუსიკაში. ძირითადი ნაწარმოებებია: 3 სიმფონია: I – ფ-ნოს, სიმებიან და დასარტყმელ საკრავთათვის (1967), II (1983), III სიმფონია-ბალეტი (1968), კამერული ორატორია „ფიროსმანი“ ვოკალური სექსტეტის, მკითხველის, სოლისტისა და ინსტრუმ. ანსამბლისათვის (ბ. პასტერნაკის, პ. ანტოკოლსკისა და ტ. ტაბიძის სიტყვებზე)–ამ ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ქართულ მუსიკაში (1970). მას ეკუთვნის აგრეთვე ორატორია „ქართული ლამენტაციები“ (1975), „ბურლესკა“ ფ-ნოს, ჩასაბერი და დასარტყმელი საკრავებისათვის (1965), „წრე“-ორი მომზადებული ფ-ნოსათვის (1972) და სხვ.

გ. ტორაძე



სვირიდოვი გიორგი (იური) ვასილის ძე [3. XII. 1915, ქ. ფატეჟი, ახლანდ. კურსკის ოლქი–5. I. 1997, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1983). 1941 დაამთ. ლენინგრადის კონს. (პ. რიაზანოვისა და დ. შოსტაკოვიჩის კლასები). ს-ის ნაწარმოებებია: ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფ–ნოსათვის (1945), „მამების ქვეყანა“ (პოემა ტენორისა და ბანისათვის ფ–ნოსთან ერთად, 1950 ა. ისააკიანის ტექსტზე), სიმღერების ციკლი რ. ბერნსის ტექსტზე (1955), პოემა მიძღვნილი ს. ესენინის ხსოვნისადმი (ტენორის, გუნდისა და სიმფ. ორკესტრისათვის,

1955–56), „პათეტიკური ორატორია“ (ვ. მაიაკოვსკის ლექსებზე) ბანის, გუნდისა და ორკესტრისათვის (1959), „კურსკის სიმღერები“ (1964), და სხვ. ს-მა განაახლა რუს. კლასიკური მუსიკის ტრადიციები, ორგანულად დაუკავშირა ისინი XX ს. რუს. ხელოვნების მიღწევებს. სსრკ სახელმწ. (1946, 1968, 1980) და ლენინური (1960) პრემიების ლაურეატი.

SI (იტალ. Si), ერთ-ერთი მუსიკალური ბგერა, ძირითადი (დო-მაჟორული) დიატონური ბგერათრიგის მეშვიდე საფეხური. მისი ანბანური აღმნიშვნელია ლათ. H.

სიბელიუსი (Sibelius) იან (იუჰან) [8. XII. 1865, ჰიამენლინა, –20. IX. 1957, იარვენპია, ჰელსინკის მახლობლად], ფინელი კომპოზიტორი, სწავლობდა ჰელსინკიში (მ. ვეგელიუსთან), ბერლინსა და ვენაში. ს-ის შემოქმედებაში ყველაზე მნ. ადგილი უჭირავს დიდ საორკესტრო თხზულებებს (7 სიმფონია და 14 სიმფ. პოემა, 1892–1929). ს. ეროვნ. მუს. სკოლის ფუძემდებელია. მის მუსიკაში ნათლად იკვეთება ფინური ხალხ. მუსიკის კილო–ჰარმონიული და რიტმული თავისებურებანი. ნაწარმოებები: „კულერვო- სიმფონია“ (ეროვნ. ეპოსის „კალევალას“ მიხედვით), სიმფ. პოემები, მ. შ. ციკლი „ლიამინკიაინენი“ (4 პოემა, მ. შ. საუკეთესოა „ტუონელის გედი“), „ჩრდილოეთის ასული“, „ტაპიოლა“, პატრიოტული იდეებით გაჟღენთილი I და II სიმფონიები, სიმფ. პოემა „ფინეთი“, საგუნდო ნაწარმოებები, მ. შ. კანტატა „მშობლიური მხარე“. ს–ის ნაწარმოებები ზოგჯერ იმპრესიონისტული შეფერილობით ხასიათდება: სიმფ. პოემები „საგა“, „გაზაფხული“, „ღამის ჯირითი და მზის ამოსვლა“, „დრიადები“, „ოკეანიდები“, IV სიმფონია და სხვ. პოპულარულია კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის და განთქმული „სევდიანი ვალსი“, ლირ. რომანსები „შავი ვარდები“, „ლერწამი“ და სხვ., დრამ. თეატრის მუსიკა,. 1950–იდან ჰელსინკიში ყოველწლიურად (ივნისში) იმართება ფესტივალი „სიბელიუსის კვირეული“. ფინურ მხატვრულ ფილმში „სიბელიუსი“ (1975) მონაწილეობს და სიბელიუსის სავიოლინო კონცერტს ასრულებს ლიანა ისაკაძე.

სიმებიანი საკრავები (ქორდოფონები), მუსიკალური საკრავები, რომელთა ბგერის წყაროა დაჭიმული სიმები. ბგერის სიმაღლეს ცვლის სიმების დამოკლება (მაგ. ვიოლინოზე) ან მუდმივად გარკვეულ სიმაღლეზე აწყობილი (საკრავის დიაპაზონის ფარგლებში) სიმები (მაგ. ფორტეპიანო). ს.ს-ის უმრავლესობა მზადდება სხვადასხვა ჯიშის ხისაგან, ხოლო ბგერის ძირითადი გამომცემი, დეკა, ე.წ. სარეზონანსო ნაძვის ან ფიჭვისაგან. ლითონი ჩვეულებრივ (სიმების გარდა) გამოიყენება მხოლოდ მექანიზმის დასამაგრებელი დეტალებისათვის. სიმებიანი საკრავები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ხემიანი, ჩამოსაკრავი, დასარტყმელი, დასარტყმელ-კლავიშიანი და ჩამოსაკრავ-კლავიშიანი საკრავები.

სიმი, საკრავზე გაბმული მავთული, აბრეშუმის ძაფი და სხვ. რომელიც რხევის დროს მუს. ბგერას გამოსცემს (ძალი, ალყა, ლარი). ძველად სიმს აკეთებდნენ ხის ქერქის, მცენარეული ბოჭკოსა და ცხოველთა ბეწვისაგან (განსაკუთრებით ცხენის ძუისგან). თანამედროვე მუს. საკრავების სიმებს უმთავრესად ლითონისაგან (ფოლადი), იშვიათად ნაწლავებისაგან, აბრეშუმისა და სინთეზური ბოჭკოსაგან (კაპრონი, ნეილონი) ამზადებენ. დაბალი ტონების მისაღებად

იყენებენ ე.წ. შემოხვეულ სიმებს (რბილი ფოლადის მავთულზე ერთ ან ორრიგად ახვევენ წმინდა ძაფს). სიმი იხმარება აგრეთვე ზოგიერთ ელექტროაკუსტიკურ ხელსაწყოში.

სიმონიშვილი ვარლამ ოქროპირის ძე [04. VIII. 1884, სოფ. შემოქმედი, ოზურგეთის რ-ნი, –23.III. 1950, ქ. ოზურგეთი], ქართული ხალხური სიმღერის ოსტატი, თვითმოქმედი გუნდების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). 1902-იდან გალობას ასწავლიდა ოზურგეთის სას. სასწავლებელში. ამავე პერიოდში დაუახლოვდა ფ. ქორიძეს, გაეცნო ევრ. სანოტო დამწერლობას და დაეუფლა პროფესიულ ჩვევებს თვითმოქმედი გუნდის ხელმძღვანელობისათვის. 1903-იდან ჩამოაყალიბა გუნდები გურიასა და აჭარაში. ხშირად მართავდა კონცერტებს.

ს. ქმნიდა სიმღერებსაც („გაზაფხული“, „ძველი ხელხვავი“, „ადილა“, „დათვების ლხინი“ და სხვ. ს. ჩავლეიშვილთან ერთად–საჩონგურო სიმღერები „დილა“, „ახლა ვხედავ საყვარელო“, „საქართველოს მზე ეწვია“ და სხვ.). ს-მა მრავალი მომღერალი აღზარდა.

სიმფონია (ბერძ. Symphonia–თანაჟღერა syn–ერთად და phone–ბგერა), სონატურ–ციკლური ფორმის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც განკუთვნილია სიმფ. ორკესტრისათვის. ს. სიმფ. მუსიკის უმნიშვნელოვანესი ჟანრია. ზოგჯერ მასში ჩართულია გუნდი და მომღერალი სოლისტები. ჩვეულებრივ ს. შედგება 4 ნაწილისაგან: პირველი ნაწილი–სონატური ალეგროს ფორმით; მეორე ნაწილი– ლირიკული; მესამე – მენუეტი ან სკერცო, მეოთხე–ფინალი, ხშირად რონდოს ფორმის სასიმღერო – საცეკვაო თემებით. ს. საკრავიერი მუსიკის უმაღლესი ფორმაა. ტერმინმა ს-მ დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო მხოლოდ XVIII ს–ში. ძვ. საბერძნეთში იგი აღნიშნავდა გარკვეულ ინტერვალებს, საკრავებს, მოგვიანებით დას. ევროპაში–კონსონანსს, სიმღერას, საზოგადოდ მუსიკას; მხოლოდ XVI ს–ში დაიწყეს მისი გამოყენება ზოგიერთი ვოკალურ–საკრავიერი ნაწარმოების აღსანიშნავად. XVII ს. დასაწყისიდან ს-ს უფრო ხშირად უწოდებდნენ სიუიტის, კანტატისა და, განსაკუთრებით, ოპერის საკრავიერ შესავალს. კლასიკური ს-ის მომზადების ერთგვარი საფეხური იყო ვენეციური და, განსაკუთრებით, ნეაპოლური საოპერო ს–ბის (ა. სკარლატი, ნ. პორპორა, ჯ. ბ. პერგოლეზი, ჯ. ბ. სამარტინი და სხვ.), ე.ი. ოპერების საორკესტრო შესავლები. ამ ნაწარმოებთა პირველ ნაწილში უკვე გვხვდება სონატური ფორმის ჩანასახები. XVIII ს–ში ს. გამოეყო ოპერას, როგორც დამოუკიდებელი საკონცერტო ჟანრი. ს-ის ფორმირების მნ. ეტაპი დაკავშირებულია მანჰაიმის (ბავარია) სკოლის კომპოზიტორთა (ი. სტამიცი, ფ. რიხტერი, ი. კანაბიხი და სხვ.) მოღვაწეობასთან. ს-ს ქმნიდნენ აგრეთვე იტალ., ავსტრ., ფრანგი კომპოზიტორები. ჩამოყალიბდა ს–ის ოთხნაწილიანი სტრუქტურა. XVIII ს. შუა წლებში ს–ის შემადგენლობაში შევიდა მენუეტი, XIX ს–ში სკერცო. ს–ის სრულყოფილი ნიმუშები შექმნეს ვენის კლასიკური სკოლის კომპოზიტორებმა: ჰაიდნმა (104), მოცარტმა (50-მდე), ბეთჰოვენმა (9). რომანტიკოსმა კომპოზიტორებმა შეინარჩუნეს ოთხნაწილიანი ციკლის ტრადიციული სქემა, მაგრამ მასში ახ. ლირ. შინაარსი შეიტანეს. ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს ფ. შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია“, სი მინორი (ავტორია 8 ს-ის). ამ ხაზმა გაგრძელება პოვა ფ. მენდელსონ–ბართოლდის ს–ებში. რომანტ. კომპ–ის ს–თვის დამახასიათებელია პროგრამულობა:–ბერლიოზის ნოვატორული „ფანტასტიკური სიმფონია“ (ავტორია 4 ს–ისა); მნ. ადგილი უკავია სიმფ.

ჟანრს ლისტის („ფაუსტი“და „დანტე“), ბრამსის (4), შუმანის (4), დვორჟაკის (9), ბრუკნერის (9), სენ-სანსის (3), მალერის (9), ონეგერის (5), ბოროდინის (2), პ. ჩაიკოვსკის (6, აგრეთვე პროგრამული ს. „მანფრედი“), გლაზუნოვის (8), სკრიაბინის (3), რახმანინოვის (3), მიასკოვსკის (27), პროკოფიევის (7), ხაჩატურიანის (3), შოსტაკოვიჩის (15) შემოქმედებაში.

ქართველ კომპოზიტორთაგან პირველი ს-ის ავტორია დ. არაყიშვილი (1932), ხოლო ფუძემდებლური ნაწ. შექმნეს ა. ბალანჩივაძემ(5) და შ. მშველიძემ (6). მნ. ს–ები შექმნეს აგრეთვე: ა. მაჭავარიანმა (6), ო. თაქთაქიშვილმა (2), ს. ცინცაძემ (4), დ. თორაძემ (2), ს. ნასიძემ (8), გ. ყანჩელმა (7), ფ. ღლონტმა (11), ნ. სვანიძემ და სხვ.

სიმფონიეტა (იტალ. Sinfonietta), მცირე ზომის სიმფონია.

სიმფონიური მუსიკა, სიმფ. ორკესტრისათვის განკუთვნილი მუსიკა. ს. მ-ს მიაკუთვნებენ იმ ნაწარმოებებსაც, რომელთაც ასრულებს გუნდი, სოლისტი მომღერლები, თუ მათში ბატონობს საკრავიერი საწყისი. ს. მ-ის ჟანრები მრავალგვარია და შეიცავს როგორც დიდ, მრავალნაწილიან ნაწარმოებებს, ასევე მინიატიურებსაც. უმნიშვნელოვანესი ჟანრებია: სიმფონია, უვერტიურა (დამოუკიდებელი საკონცერტო პიესა ან ოპერის შესავალი), კონცერტი, სიუიტა, სიმფ. პოემა, ფანტაზია. ს. მ-ს მიაკუთვნებენ ოპერის საორკესტრო ეპიზოდებს–სიმფ. სურათებს, ინტერმეცოებს. ს.მ–ის ჟანრების ისტ. განვითარება მიმდინარეობდა საკუთრივ ს–ის ჟანრის ევოლუციის პარალელურად (იხ. სიმფონია).

სიმფონიური პოემა, ერთნაწილიანი სიმფ. ნაწარმოები თხრობითი, ლირიკული ან დრამატული ხასიათის პროგრამით; პროგრამული სიმფ. ნაწარმოების ერთ–ერთი ძირითადი ნაირსახეობა, უპირატესად, თავისუფალი ფორმისაა. წარმოიშვა XIX ს-ში ფ. ლისტის შემოქმედებაში. შემდგომ ს. პ-ს ქმნიდნენ: კ. სენ–სანსი, ს. ფრანკი, ბ. სმეტანა, ა. დვორჟაკი, პ. ჩაიკოვსკი, XX ს-ში რ. შტრაუსი, ა. სკრიაბინი, ი. სიბელიუსი, ა. შონბერგი, ბ. ბარტოკი და სხვ. ქართ. მუსიკაში ყველაზე ცნობილია შ. მშველიძის ს.პ–ები „ზვიადაური“ (1940) და „მინდია“ (1950).

სიმფონიური სურათი, ერთნაწილიანი სიმფონიური ნაწარმოები. ასახვითი ან აღწერითი ხასიათის პროგრამით; პროგრამული მუსიკის ერთ–ერთი ძირითადი ნაირსახეობა. ს.ს. შეიძლება დაიწეროს ერთ–ერთი საყოველთაოდ მიღებული ფორმით (მაგ: სონატური, სამნაწილიანი და ა.შ.), მაგრამ მისთვის უფრო დამახასიათებელია თავისუფალი აგებულება.

სიმღერა, ვოკალური მუსიკის ყველაზე გავრცელებული ფორმა, პოეტური ნაწარმოების სახეობა. არსებობს ხალხური და პროფესიული სიმღერა. ს. სხვადასხვაგვარია ჟანრის, წყობის., შესრულების ფორმის მიხედვით (ლირ. და ჰიმნური, ერთხმიანი და მრავალხმიანი, სოლო და საგუნდო, თანხლებით და თანხლების გარეშე, პროფესიონალი მომღერლისათვის და მასობრივი შესრულებისათვის, ყოფითი და სხვ.). ხალხ. ს. მსოფლიოს ყველა ხალხს აქვს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია შრომით პროცესებთან. შორეულ წარსულში აღმოცენდა საწესჩვეულებო ს–ები. პროფესიულ ს-ს ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. ს. როგორც ლიტ. ჟანრის სახეობა, წარმოიშვა ძვ. წ. VII–V სს. საბერძნეთში

საკულტო–საწესჩვეულებო ცერემონიალთა შესასრულებლად. ანტ. ეპოქაში პოეზია და მუსიკა განუყოფელი იყო. აღსანიშნავია ტრუბადურებისა და ტრუვერების, მინეზინგერებისა და მაისტერზინგერების შემოქმედება, საერო საგუნდო პოლიფონიური ს., ყოფითი სოლო და საანსამბლო ს–ის სხვადასხვა ფორმა, ჰუსიტური ს–ები, ჰუგენოტების ჰიმნები, პროტესტანტების ქორალები–ასეთია ევრ. ქვეყნებში პროფესიული ს-ის განვითარების ძირითადი ეტაპები. XVIII ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა კამერული სიმღერა–რომანსი კლავიშიანი საკრავის თანხლებით. საფრ. რევოლუციის პერიოდში დიდ განვითარებას მიაღწია მასობრივმა რევოლუციურმა სიმღერამ („მარსელიეზა", „სა ირა" და სხვ.). ს-ს მნ. ადგილი უჭირავს XIX ს. კომპ. რომანტიკოსთა შემ–ში (შუბერტი, შუმანი, ბრამსი, ვოლფი და სხვ.). XX ს. 20–იანი წლებიდან დიდ განვითარებას მიაღწია საესტრადო (ჯაზურმა) ს-მ. ს. ქართ. ხალ. მუსიკის ძირითადი ფორმაა (პირველი ცნობები მის შესახებ გვხვდება ძვ. წ. VIII ს–ში). ქართ. ხალხ. ს–ის დამახასიათებელი თვისებაა მრავალხმიანობა. გავრცელებულია ს–ის კუპლეტური ფორმა. ვხვდებით ს–ის ორგუნდოვან და სამგუნდოვან (მესხეთი) შესრულებას. XVII–XIX სს. აღმოსავლური (სპარს., თურქ., აზერ.) და დასავლური (იტალ. ოპერა, რუს. რომანსი) მუს. კულტურის გავლენით შეიქმნა ქალაქური ს. ს–ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართ. კომპ–თა შემ–ში (რ. ლაღიძე, ა. კერესელიძე, გ. ცაბაძე, შ. მილორავა, ვ. აზარაშვილი და სხვ.).

მ. ჩიჯავაძე, გ. ზაუტაშვილი.

სინთეზატორები, სამუსიკო საკრავები, რომლებიც იძლევიან მექანიკური, ოპტიკური ან ელექტრონული მმართველი ხელსაწყოთი არჩეული კომპლექსების სინთეზირებულ ჟღერადობას.

სინკოპა (ბერძნ. Sinkope, სიტყვასიტყვით–ჩამოთლა, შეკუმშვა), მუსიკალური მახვილის გადანაცვლება ტაქტის ძლიერი დროდან სუსტზე.

სიუიტა (ფრანგ. Suite, სიტყვასიტყვით–რიგი, თანამიმდევრობა), 1. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგება ერთი საერთო მხატვრული ჩანაფიქრის მქონე რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწილისაგან. ეს ნაწილები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტემპით, ხასიათით და ა.შ. 2. ერთი თემის მქონე რამდენიმე ცეკვისაგან შემდგარი მუსიკალურ–ქორეოგრაფიული კომპოზიცია.

სიხარულიძე გომარ გიორგის ძე [04.III.1942, ქუთაისი,- 27.I.2020, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1981). თბ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის პროფესორი. საქ. განთალების მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი. საქ. კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა კავშირის მდივანი. თბილისის საპატიო მოქალაქე (2009).

1959 დაამთ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. სამუსიკო სასწავლებელი. 1964 დაამთ. თბ. კონს. საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით (ვ. ფალიავშილის კლ.), 1969 საკომპოზიციო განყოფილება (ა. ბალანჩივაძის კლ.).

სხვადასხვა დროს იყო თბ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სამუსიკო ხელმძღვანელი. 1983-2005 ა.ს. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე.

1961 მეგობარ სტუდენტებთან ერთად თბ. კონსერვატორიაში აყალიბებს ანსამბლ „ვორდელას", რომელიც მრავალი საერთაშ. ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატი გახდა.

1977 აარსებს ახალციხის ბავშვთა ინტერნაციონალურ გუნდს „მღერის 400 გოგონა" (მასთან ერთად გუნდს ხელმძღვანელობდნენ შოთა ალთუნაშვილი, ანზორ თამარაშვილი და სხვები). 1979 აარსებს სოხუმის ბავშვთა ინტერნაციონალურ კაპელას. 2002 სასწავლო სახელოსნოში შექმნა გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „ქალგულო".

1980 შექმნა პირველი ორსერიანი სბავშვო ფილმი -მიუზიკლი „რწყილი და ჭიანჭველას ახალი თავგადასავალები". 1983 გრამფირფიტების ფირმა „მელოდიამ" ფილმის მიხედვით გამოსცა ამღერებული ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა".

ს. არის ავტორი მრავალი ჟანრისა და ფორმის მუს. ნაწარმოებებისა. შექმნილი აქვს მუსიკა არაერთი კინოფილმისა და დრამ- თეატრის სპექტაკლებისათვის. მ. შ. კინოფილმისათვის „მევლუდი", „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში", კინოკომედია „ჩარი რამა", მიუზიკლი „გზა ყარამანს" (მესხეთის სახელმწ. თეატრი), საგუნდო, სბავშვო, საესტრადო სიმღერები და სხვ.

სკარლატი (Scarlatti) ალესანდრო [2. V. 1660, პალერმო,–24. X. 1725, ნეაპოლი], იტალიელი კომპოზიტორი ნეაპოლური საოპერო სკოლის ფუძემდებელი. ცხოვრობდა ნეაპოლსა და რომში. იყო კაპელმაისტერი და პედაგოგი. სიცოცხლის ბოლო წლებში ასწავლიდა ნეაპოლის კონს–ში. მისი მოწაფეები იყვნენ: დ. სკარლატი, ა. ჰასე, ფ. დურანტე და სხვ. ავტორია 125 ოპერისა, 600–ზე მეტი კანტატისა, სასულიერო ნაწარმოებებისა და სხვ. ს-მ საფუძველი ჩაუყარა ოპერა–სერიის ჟანრს, რომელიც ფართოდ გავრცელდა იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

სკარლატი (Scarlatti) დომენიკო [26. X. 1685, ნეაპოლი,–23. VII. 1757, მადრიდი], იტალ. კომპოზიტორი ორგანისტი და კლავესინისტი. ა. სკარლატის შვილი და მოწაფე. მუშაობდა კაპელმაისტერად. უმთავრესი ნაწარმოებებია სონატები კლავესინისათვის („ეკზერსისები"); ს-მ შეიმუშავა კლავესინზე დაკვრის ვირტუოზული სტილი. მან განჭვრიტა შემდგომი ეპოქის სტილისა და საკომპ. ტექნიკის არაერთი ხერხი. ერთხანს თითქმის მთლად მივიწყებული ს–ის საკლ. შემ–ის აღორძინება იწყება XIX ს–ის 30–იანი წლებიდან და დღესაც დიდად არის აღიარებული. მისი სონატები შესულია ყველა თანამედროვე პიანისტის რეპერტუარში.მასვე ეკუთვნის 10-ზე მეტი ოპერა, საეკლესიო მუსიკა და სხვ.

სკერცო (იტალ. Scherzo, სიტყვასიტყვით ხუმრობა), 1. სახუმარო ხასიათის ტექსტზე შექმნილი ერთხმიანი ან მრავალხმიანი ვოკალური პიესის სახელწოდება XVI–XVII სს. იტალიაში. 2. კაპრიჩოს მსგავსი საკრავიერი პიესა. XVIII ს. დასასრულს შევიდა

სონატურ–სიმფ. ციკლში (სიმფონია, სონატა, კვარტეტი და ა.შ.). ს-ს ახასიათებს ჩქარი ტემპი, მუს. აზრის თავისუფალი მონაცვლეობა, მუს. ზომა 3/4 ან 3/8. ბურლესკის მსგავსად იუმორისტული ხასიათისაა (მხიარული ხუმრობიდან–გროტესკამდე). ჩვეულებრივ, ს. იწერება სამნაწილიანი რეპრიზული ფორმით. კლასიკური ტიპი ჩამოაყალიბა ლ. ბეთჰოვენმა. ს-ს საუკეთესო ნიმუშები შექმნეს: ფ. შუბერტმა, ფ. შოპენმა, ფ. მენდელსონმა, ა. ბრუკნერმა, პ. ჩაიკოვსკიმ, ა. ბოროდინმა, ს. პროკოფიევმა, დ. შოსტაკოვიჩმა და სხვ.

სკიპა (Schipa) ტიტო [2. I. 1888,ლეჩე,–16. XII. 1965,ნიუ–იორკი], იტალიელი მომღერალი (ლირ. ტენორი). ა. ჯერუნდასა და ე. პიკოლის მოწაფე. მუსიკალური მოღვაწეობა დაიწყო როგორც საფ. პიესებისა და სიმღერების ავტორმა. ს-ს როგორც მომღერლის, დებიუტი შედგა 1910 ვერჩელიში (ალფრედის პარტია ვერდის „ტრავიატაში“). მღეროდა იტალიასა და სხვა ქვეყნების სცენებზე. მისი შესრულება გამოირჩეოდა უმაღლესი ვოკალური და მხატვ. კულტურით. საუკეთესო პარტიები: ალმავივა (როსინის „სევილიელი დალაქი“), ედგარი, ერნესტი, ნემორინო (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, „დონ პასკუალე“, „სიყვარულის ნექტარი“), ვერთერი (მასნეს „ვერთერი“) და სხვ. საოპერო სცენის დატოვების (1955) შემდეგ გამოდიოდა კონცერტებით (1958–მდე), ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. ს. ავტორია ოპერეტისა „პრინცესა ლიანა“ (1929). გადაღებულია მუს. ფილმებში.

სკომოროხები (რუს. скоморохи),რუსეთში XI–XVII ს–ში მოხეტიალე მუსიკოსები, მსახიობები და მოცეკვავენი, მუშაითები.

სპრიაბინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [25. XII. 1871 (6.I.1872), მოსკოვი,–14. IV. 1915, იქვე], რუსი კომპ. და პიანისტი. დაიბადა დიპლომატის ოჯახში, დედა პიანისტი იყო. 1892 დაამთ. მოსკოვის კონს. (ვ. საფონოვის საფ. კლ.), კომპოზიციას ასწავლიდნენ ს. ტანეევი და ა. არენსკი). 1895–96 კონცერტებს მართავდა რუსეთის ქალაქებსა და ევრ. ქვეყნებში (განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა საკუთარ საფ. ნაწარმოებებს). 1898–1903 მოსკოვის კონს–ის პროფ. იყო (საფ. კლ.), 1904–09 ს. ცხოვრობდა შვეიცარიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. შემოქმედებით მუშაობას უთავსებდა საკონცერტო მოღვაწეობას ევროპასა და ამერიკაში. 1910-იდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მოსკოვში. ს-ის შემოქმედება ორი საუკუნის მიჯნის მსოფლიო მუს. კულტურის მნ. მოვლენაა. რუს კლასიკოს კომპოზიტორთაგან ს. ყველაზე მეტადაა დაკავშირებული დას. ევროპის რომანტიზმის (შოპენი, ლისტი, ნაწილობრივ, ვაგნერი) ტრადიციებთან. მისი საუკეთესო ქმნილებები ღრმად ემოციურია და მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური თვისებებით არის აღბეჭდილი. ს-ის მუს. ენა რთულია, ფილოს. მსოფლმხედველობა-ბუნდოვანი. ნოვატორმა კომპ. შექმნა თავისი ბგერითი სამყარო, მხატვრულ სახეთა და გამომსახველ. ხერხთა სისტემა. ს-ის შემ–თი მოღვაწეობა მთლიანად გაიშალა საფ. და სიმფ. მუსიკის ჟანრებში. განსაკუთრებით მნ. და ორიგინალურია მისი საფ. ნაწ–ბი: პრელუდიები, ეტიუდები, პოემები, 10 სონატა(1892-1913), კონცერტი(1897) და სხვ. ს-ს შექმნილი აქვს 3 სიმფონია (I–1900, II–1902, III– „ღვთაებრივი პოემა“– 1904), ერთნაწილიანი სიმფ. პოემები

(„ექსტაზის პოემა“– 1907 და „ცეცხლის პოემა“ ანუ „პრომეთე“ 1910), დაუმთავრებელი „მისტერია“. ს-ის სიმფ. ქმნილებები გამოირჩევა მონუმენტურობით, ზოგჯერ დეკორაციულობით, ფართო დინამიკური ამპლიტუდით–უფაქიზესი პიანოდან–გრანდიოზულ კულმინაციამდე. ს-მა გაზარდა ორკესტრის შემადგენლობა, შეიყვანა მასში ორგანი, ზარები, „პრომეთეში“ კი გუნდი და სინათლის სპეც. პარტია (მხატვრულ ხერხთა სინთეზის პირველი შემთხვევა). ს-ის სიმფ. მუსიკის შედევრებია „ექსტაზის პოემა“ და „პრომეთე“. ს-ის შემ-მ საგრძნობი გავლენა მოახდინა XX ს. საფ. და სიმფ. მუს-ზე. შემდგომი განვითარება პოვეს მუსიკისა და სინათლის სინთეზის იდეებმა. მოსკოვში (1922–იდან) არსებობს ს-ის სახლ-მუზეუმი.

გ. ტორაძე

სმეტანა (Smetana) ბედრჟიხ [2. III. 1824, ლიტომიშლი,–12. V. 1884, პრაღა], ჩეხი კომპოზიტორი დირიჟორი, პიანისტი, საზ. მოღვაწე. სწავლობდა პრაღაში ი. პროქშთან. 1847–იდან გამოდიოდა როგორც პიანისტი. 1847–56 ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ სამუსიკო სკოლას პრაღაში. 1856–61 ცხოვრობდა გეტებორგში, გამოდიოდა როგორც სიმფ. დირიჟორი და პიანისტი. ამ წლებში შექმნა „6 სახასიათო პიესა“ (2 რვეული, 1848) და „მოგონებები ჩეხეთზე პოლკის ფორმით“ (ფ-ნოსათვის 1860), სიმფ. პოემები „რიჩარდ III“ (შექსპირის მიხედვით, 1858), „ვალენშტაინის ბანაკი“ (შილერის მიხედვით, 1859) და „იარლ ჰაკონი“ (ელენშლეგერის მიხედვით, 1861). 1862 მოღვაწეობდა პრაღაში როგორც სიმფ. და საგუნდო დირიჟორი, პიანისტი, წერდა მუს.– კრიტიკულ სტატიებს, ეწეოდა პედ. მოღვაწეობას; 1863–იდან ხელმძღვანელობდა მამაკაცთა გუნდს „გლაგოლ პრაჟსკის“ და არტისტული კლუბის „უმელეცკა ბესედას“ მუს. სექციას. 1866–74 იყო „დროებითი თეატრის“ საოპერო დირიჟორი. დაწერილი აქვს 9 ოპერა, მ. შ. ისტ. მუს. დრამა „ბრანდენბურგელები ჩეხეთში“ (1866). ძალზე პოპულარულია ს-ს კომიკური ოპერა „გაყიდული საპატარძლო“ (1866, პრაღა), აგრეთვე ოპერა–ტრაგედია „დალიბორი“ (1868). სმენადაკარგულმა კომპ-მა თავი დაანება სადირიჟორო მოღვაწეობას. ამ პერიოდში შეიქმნა ს-ს საუკეთესო საორკესტრო ქმნილებები: პროგრამული სიმფ. პოემების ციკლი „ჩემი სამშობლო“ (1874–79), ოპერები–„საიდუმლო“ (1878), „ეშმაკის კედელი“ (1882), 2 სიმებიანი კვარტეტი (I-1876,–„ჩემი ცხოვრებიდან“, II-1883) და სხვ. კამერულ–საკრავიერი ნაწარმოებები, გუნდები, „ჩეხური სიმღერები“ ფ-ნოსათვის (1879). ს-ს შემოქმედება გამოირჩევა ეროვნული თვითმყოფობით და მაღალი ოსტატობით. ეროვნული საკომპ. სკოლის ფუძემდებელმა განსაზღვრა ჩეხური მუსიკის განვითარების შემდგომი გზები.

სობინოვი ლეონიდ ვიტალის ძე [26. V. 1872, იაროსლავლი,– 14. X. 1934, რიგა, დაკრძალულია მოსკოვში], რუსი მომღერალი (ლირ. ტენორი). 1894 დაამთ. მოსკოვის უნ–ტის იურიდიული ფაკ–ტი. 1892–იდან მეცადინეობდა მოსკოვის ფილარმონიული საზ–ბის მუს. დრამ. სასწავლებელში. მონაწილეობდა იტალ. საოპერო დასის სპექტაკლებში, 1896-იდან „რუსული მუსიკის მოყვარულთა წრის“ კონცერტებში. 1897 შედგა ს-ის დებიუტი მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე (სინოდალის პარტია რუბინშტეინის „დემონში“), სადაც მღეროდა მთელი თავისი შემ. მოღვაწეობის პერიოდში. გამოდიოდა აგრეთვე პეტერბურგის (უმთავრესად, „მარიას“), 1905–11 დას. ევრ. (მილანის „ლა სკალა“, მადრიდი და სხვ.) საოპერო თეატრებში.

1917–18 იყო მოსკოვის „დიდი თეატრის“ დირექტორი. ს. რუსული კლასიკური ვოკალური ხელოვნ. ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. გამოირჩეოდა ძალზე ლამაზი ხმით, არტისტიზმით, დრამ. ტალანტით, მაღალი საშემსრულებლო კულტურით. პარტიებიდან აღსანიშნავია: ბოიანი (გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“), ლევკო, ბერენდეი (რ. კორსაკოვის „მაისის ღამე“, „თოვლია“), ვლადიმირი (ბოროდინის „თავადი იგორი“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), რომეო (გუნოს „რომეო და ჯულიეტა“), ვერთერი, დე გრიე (მასნეს „ვერთერი“, „მანონი“), ჰერცოგი, ალფრედი (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“) და სხვ. ს. კამერულ– ვოკალური ჟანრის დიდი ოსტატი იყო. ს-ის სახელი მიეკუთვნა სარატოვის კონს–ას.



სოინარი, ლარჭემი, მრავალღეროვანი სალამური, ძვ. ბერძნული „პანის ფლეიტის“ ქართული სახესხვაობა. ამზადებენ ლერწმისაგან. გავრცელებულია დას. საქ–ში, გურიაში უწოდებენ სოინარს, სამეგრელოში– ლარჭემს, რაც ქართულად ლერწამს ნიშნავს. წყობა ნებისმიერია. 6 ღერო გადაბმულია ერთმანეთზე ისე, რომ ბანის ღეროები შუაშია მოქცეული; მარჯვნივ მისდევს 2 „დამწყები“ ხმის ღერო, მარცხნივ–2 „პირველი“ ხმისა. ვიღებთ მარცხნივ და მარჯვნივ შემცირებულ და მაჟორულ, მაჟორულ და მინორულ ან ორივე შემცირებულ სამხმოვანებებს.

სოლ, (იტალ. Sol) 1. ერთ–ერთი მუსიკალური ბგერა, ძირითადი (დო-მაჟორული) დიატონური ბგერათრიგის მეხუთე საფეხური. ასოითი აღნიშვნა–ლათ. G(იხ. სოლმიზაცია). 2. გასაღების სახელწოდება.

სოლერტინსკი ივან ივანეს ძე [20. XI. 1902, ვიტებსკი,–11. II. 1944, ნოვოსიბირსკი], რუსი მუსიკისმცოდნე, თეატრმცოდნე, პედაგოგი. დაამთ. პეტროგრადის ხელოვნებათა ისტორიის ინ-ტი. 1924-იდან მუს. კრიტიკოსობას ეწევა. 1929-იდან მუშაობს ლენინგრადის ფილარმონიაში (1940–იდან მისი სამხ. ხე-ლი.). იყო ბრწყინვალე კრიტიკოსი, ორატორი, პოლემისტი, შეასრულა მნ. როლი ლენინგრადის მუს. ცხოვრებაში, მეგობრობდა დ. შოსტაკოვიჩთან. ავტორია პირველი შრომებისა რუსულ ენაზე გლიუკის, მალერის, შონბერგის და სხვ. შესახებ. მნ. წვლილი შეიტანა მუს. რომანტიზმის, საოპერო და სიმფ. დრამატურგიის პრობლემების დამუშავებაში. 1927-იდან ასწავლიდა პეტროგრად–ლენინგრადის სხვადახვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, 1930-იდან კონს–ში (1939 პროფ.), ფლობდა ორ ათეულზე მეტ ენას, დაჯილდოებული იყო ფენომენალური მეხსიერებით, სიცოცხლეში სარგებლობდა დიდი პოპულარობით. ახლო მეგობრობა ჰქონდა ანდრია ბალანჩივაძესთან.

გ. ტორაძე

სოლისტი (იტალ. Solista<ლათ. Solus–ერთი), ერთი ხმის ან ერთი საკრავისათვის დაწერილი ნაწარმოების შემსრულებელი (მუსიკის თანხლებით ან თანხლების გარეშე); ოპ-

ერის ერთ–ერთი პარტიის ან ბალეტის პირველი და მეორე, აგრეთვე სოლო ნომრების შემსრულებელი.

სოლმიზაცია [გვიანდ. ლათ. Solmisazione< იტალ. Sol და mi (მუს. ბგერების სახლწოდება)], სოლფეჯიო 1. ვიწრო მნიშვნელობით–შუა ს. დას. ევროპაში მელოდიის მღერა მარცვლებით ut, re, mi, fa, sol, la, რაც შემოიღო გვიდო დ` არეცომ ჰექსაქორდის საფეხურების აღსანიშნავად. ფართო მნიშვნელობით – მელოდიის მღერა (ნებისმიერი მეთოდით) ბგერათრიგის საფეხურების სახელწოდებების (შეფარდებითი ს.) ან ბგერათა აბსოლ. სიმღერის აღმნიშვნელ სახელწოდებათა წარმოქმნით (აბსოლ. ს.). XVII ს–ში მარცვალი ut შეიცვალა do–თი. 2. ზოგჯერ ტერმინით ს. აღნიშნავენ ნოტების რიტმულ წაკითხვას ინტონაციის გარეშე (სოლფეჯიოსაგან განსხვავებით).

სოლო (იტალ. Solo, ლათ. Solus–ერთი, ერთადერთი), 1. მრავალხმიან ნაწარმოებში ეპიზოდი, რომელიც გამოკვეთილი მელოდიურობით გამოირჩევა. სოლოს ასრულებს ერთი მომღერალი ან ინსტრუმენტალისტი. 2. ერთი შემსრულებლისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტული პიესა.

სოლოვიოვ–სედოი (სოლოვიოვი) ვასილი პავლეს ძე [12. IV. 1907, პეტერბურგი,–2. XII. 1979, ლენინგრადი], რუსი კომპ. სსრკ სახ. არტისტი (1967). 1936 დაამთ. ლენინგრადის კონს. (პ. რიაზანოვის საკომპ. კლ.), ს.-ს რუსული სიმღერის ერთ–ერთი გამოჩენილი ოსტატია. აღსანიშნავია მისი ლირ. სიმღერები („დაუკარ ჩემო ბაიანო“, 1941; „საღამო რეიდზე“, 1941; „ბულბულები“, 1944; ცნობილი „მოსკოვური საღამოები“, 1956; „ბალადა ჯარისკაცზე“, 1960; „სიმღერა რუსეთზე“, (1971) და სხვ. ავტორია ბალეტებისა: „ტარას ბულბა“ (1940, II რედ. 1955). „ნავსადგურს მოადგა „როსია“ (1964); ოპერეტებისა: „ერთგული მეგობარი“ (1945), „ყველაზე სანუკვარი“ (1952); „ოლიმპიური ვარსკვლავები“ (1962); შექმნილი აქვს კფ-სა და დრამ. სპექტაკლების მუსიკა.

სოლფეჯიო (იტალ. Solfegio<მუს. ბგერებიდან სოლ და ფა), 1. სასწავლო საგანი, რომელიც ემსახურება მუსიკალური სმენის სრულყოფას. ერთხმიანი და მრავალხმიანი ნაწარმოებების ნაწყვეტების ან სპეციალურად დაწერილი სავარჯიშოების სიმღერა უსიტყვოდ, ბგერის სახელწოდებების დასახელებით; აგრეთვე მუს. კარნახის მომენტში აჟღერებული მუს. ნაწყვეტის სმენითი ანალიზი. 2. სპეციალური ვოკალური სავარჯიშოები, უპირატესად, ფ-ნოს თანხლებით, რომლებიც ხმოვან ბგერებზე სრულდება (ეწოდება აგრეთვე ვოკალიზი).

სონა (ჩინ.), ჩინური მუსიკალური სასულე საკრავი; ჰობოის ერთ–ერთი წინამორბედი, ჰგავს ზურნას.

სონატა (იტალ. Sonata, sonare–ჟღერა), კამერულ–საკრავიერი მუსიკის ერთ–ერთი ძირითადი ჟანრი. ს. ჩვეულებრივ სამნაწილიანი ციკლური ნაწარმოებია. შედგება ჩქარი

ნაწილებისა და ნელი შუა ნაწილისაგან; ზოგჯერ ციკლში შეტანილია მენუეტი ან სკერცო. ტერმინი „სონატა“ ცნობილია XVI ს–იდან. თავდაპირველად იგი ეწოდებოდა ნებისმიერ საკრავიერ პიესას. XVII ს. დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა ს-ის 2 ტიპი: საეკლესიო და კამერული. საეკლესიო ს–თვის დამახასიათებელია 4–ნაწილიანი ციკლი, რომლის თითოეული ნაწილი ტემპის განსაზღვრული თანამიმდევრობით ხასიათდება (ნელი–ჩქარი–ნელი–ჩქარი ან ჩქარი–ნელი–ჩქარი–ჩქარი). კამერული ს. საცეკვაო ნომრების თავისუფალი თანამიმდევრობაა. ზღვარი ს-ის ამ სახეთა შორის მალე წაიშალა. XVII ს–ში გავრცელდა ტრიო–სონატები 2 ან 3 შემსრულებლისათვის გენერალბასის თანხლებით.

დიდი ადგილი დაიჭირა ს-ის ჟანრმა ე. წ. იტალ. სავიოლინო სკოლის კომპ–ის შემ–ში. განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ი. ჰაიდნის, ვ. მოცარტის და, განსაკუთრებით, ლ. ბეთჰოვენის შემოქმედებაში (32 საფ. სონატა, 10 ვიოლინოსა და ფ–ნოსათვის, 5 ჩელოსა და ფ–ნოსათვის).

რომანტიკოსმა კომპოზიტორებმა კლასიკური ს-ის ჟანრი გაამდიდრეს და ახლებურად გაიაზრეს. დიდი წვლილი შეიტანეს ს-ის განვითარებაში ფ. შუბერტმა, ფ. შოპენმა, რ. შუმანმა, ფ. ლისტმა, ი. ბრამსმა და სხვ.

XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში თავი იჩინა ახ. ტენდენციებმა ფრანგი კომპოზიტორების– გ. ფორეს, პ. დიუკას, მ. რაველის, კ. დებიუსის, რუსი კომპოზიტორების ა. სკრიაბინის, ნ. მეტნერის სონატებში. XX ს–ში რჩება ერთ-ერთ წამყვან მუს. ჟანრად. თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშებია: ს. პროკოფიევის (10 საფ., 2 სავიოლინო), დ. შოსტაკოვიჩის (2 საფ., 2 სავიოლინო, სავიოლონჩელო ს-ბი), პ. ჰინდემითის (30–მდე ს. თითქმის ყველა საკრავისათვის), ბ. ბარტოკის (6 ს. სხვადასხვა შემადგენლობისათვის) ს–ბი.

სონატინა (იტალ. Sonatina<sonata–სონატა), მცირე ზომის სონატა. სონატისაგან განსხვავებით ს-ს ახასიათებს მარტივი შინაარსი, მცირე მასშტაბები, შესრულების უბრალოება.

სონატური ალეგრო–ფორმა, რომლითაც იწერება სონატისა და სიმფონიის პირველი ნაწილები მოცემული ჩქარი (allegro) ტემპით, ს. ა. ფ. შედგება სამი დიდი ნაწილისაგან: ექსპოზიციის, დამუშავებისა და რეპრიზისაგან. ექსპოზიცია არის ორი მთავარი, კონტრასტულად დაპირისპირებული მუს. სახეების ჩვენება, რომლებიც ჩნდება მთავარსა და დამხმარე პარტიებში. დამუშავება არის მთ. და დამხმარე პარტიების თემათა განვითარება, მათი სახეების ურთიერთშეტაკება და „ბრძოლა“. რეპრიზა ექსპოზიციის განვითარებაა მთ. და დამხმარე პარტიების სახეთა ახლებური ურთიერთდამოკიდებულებით, ს. ა. ფ. ყველაზე მოქმედი და დინამიკურია, რომელსაც აქვს ფართო შესაძლებლობა ასახოს ობიექტური სინამდვილის მოვლენები და ადამიანის სულიერი სამყარო, მისთვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობაში და განუწყვეტელ ზრდასა და განვითარებაში.

ს. ა. ფ. ჩამოყალიბდა XVIII ს. შუა პერიოდში და მალე მოიპოვა ფართო გავრცელება არა მხოლოდ სიმფონიების, სონატების, კვარტეტების და ინსტრუმენტული კონცერტების პირველ ნაწილებში, არამედ ერთნაწილიან სიმფ. პოემაშიც, საკონცერტო და საოპერო უვერტიურებშიც და ცალკეულ შემთხვევებში ვრცელ საოპერო არიებშიც.

სონატური ფორმა, საკრავიერი მუსიკის ყველაზე გავრცელებული ფორმა (არაციკლურ ფორმებს შორის). კლასიკურად სრულქმნილი სახით ჩამოყალიბდა

XVIII-ს. ის დასასრულს ი. ჰაიდნის, ვ. მოცარტისა და ლ. ბეთჰოვენის შემოქმედებაში. ს. ფ. შედგება 3 დიდი მონაკვეთისაგან: ექსპოზიცია, დამუშავება და რეპრიზა. ექსპოზიცია შეიცავს 4 პარტიას- მთავარს, დამაკავშირებელს, დამხმარეს და დასკვნითს. მთავარ პარტიაში გადმოცემულია პირველი თემა ძირითად ტონალობაში. დამაკავშირებელი პარტია ამზადებს მეორე, დამხმარე პარტიის თემას, რომელიც მოცემულია დომინანტურ ან პარალელურ ტონალობაში. დასკვნითი პარტია ახალი თემაა დამაბოლოებელი ხასიათისა. ს. ფ.-ის მეორე მონაკვეთია დამუშავება, რომელშიც ინტენსიურად ვითარდება ექსპოზიციის თემატური მასალა, ერთმანეთს ცვლის სხვადასხვა ტონალობა. მესამე მონაკვეთში- რეპრიზაში ხელახლა გაივლის ექსპოზიციის მასალა, მაგრამ მთავარი და დამხმარე პარტიები ერთ (მთავარ) ტონალობაშია. ს. ფ. -ში ხშირად გვხვდება 2 დამხმარე მონაკვეთი: შესავალი და კოდა (დასასრული). ს. ფ.-ის ეს ნორმატიული გეგმა ისტორიული ევოლუციის პერიოდში იცვლებოდა, მაგრამ მის ძირითად ნიშნად მაინც დარჩა 3 დიდი მონაკვეთი და 2 ან მეტი თემის დაპირისპირების პრინციპი.

სონორიკა (ლათ. Sonorus–იდან წკრიალა, მჟღერი, ხმოვანი), XX ს–ის მუსიკაში კომპოზიციის ერთ–ერთი მეთოდი, დამყარებული ფერადოვანი ტემბრული ხმოვანებების–სონორების გამოყენებაზე. მისი თავისებურება გამოიხატება ფონიკური ფერადოვანი ფაქტორის დომინირებაში. განსხვავება ს-სა და ჩვეულებრივ „ტონურ“ მუსიკას შორის გამოიხატება ხმოვანებების შერჩევაში, კერძოდ, ს–ში მთ. მნ-ბა ენიჭება ბგერითი ფერის საერთო შთაბეჭდილებას და არა ცალკეულ ტონებსა და მათ ინტერვალურ შეფარდებებს. როგორც გამონაკლისი, ს-ს გამოვლინებებს ვხვდებით კლასიკურ მუს-ში (შოპენი, დებიუსი, რ- კორსაკოვი, მუსორგსკი, სკრიაბინი, რახმანინოვი), XX ს. I ნახ. მუს. შემ–ში (ბარტოკი, ბერგი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი), ხშირად თანამედროვე მუს-ში (მესიანი, ლიგეტი, პენდერეცკი, სლონიმსკი, შნიტკე, ყანჩელი, გუბაიდულინა, ტერტერიანი, ტამბერგი და სხვ.). განსაკუთრებული ეფექტი მიიღწევა ს-ს ხმოვანებების შეერთებით მუს. მასალის ორგანიზების სხვა ფორმებთან, მაგ. ფერადოვანი სონორული კლასტერებიდან ერთ გაბმულ ტონზე გადასვლისას.

სოპრანო (იტალ. Soprano), ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა. დიაპაზონი დო[1]– დო (რე–ფა)[3]. ს-ს აუცილებელ თვისებას წარმოადგენს კარგად განვითარებული ე.წ. მეთაური რეგისტრი. ს. ჩვეულებრივ ქალებსა და ბავშვებს აქვთ. გუნდში განსაკუთრებით კარგად ჟღერს ბიჭუნათა (ე. წ. დისკანტისტები). ს. XVI–XVIII სს–ში ფართოდ იყო გავრცელებული კასტრატი მომღერლების ხელოვნება (სხვანაირად სოპრანისტებსაც უწოდებდნენ). არსებობს ქალთა ს-ს 3 ნაირსახეობა: დრამატული, ლირიკული და კოლორატურული. განარჩევენ აგრეთვე ლირიკულ–დრამატულსა და ლირიკულ–კოლორატურულ ს-ებს.

სოსტენუტო (იტალ. Sostenuto), ზომიერი ტემპის აღნიშვნა.

სოტკილავა ზურაბ ლავრენტის ძე [12. III. 1937, სოხუმი,–18.IX.2017, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში], ქართველი მომღერალი (ლირ-დრამ. ტენორი). საქ. (1972) და სსრკ (1979) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. (1998), ზ. ფალიაშვილის სახ. (1983) პრემიების, აგრეთვე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშ. ფესტივალის (სოფია, 1968,

მთავარი პრიზი „ოქროს ორფევსი“), ვოკალისტთა პ. ჩაიკოვსკის სახ. IV საერთაშ. კონკურსის (მოსკოვი, 1970) და ვოკალისტთა ფ. ვინიასის სახ. საერთაშ. კონკურსის (ბარსელონა 1970, I პრემია და „გრან–პრი“) ლაურეატი. ბოლონიის ხელოვნ. აკად. საპატიო წევრი (1980). 1960 დაამთ. საქ. პოლიტექნიკური ინ–ტი, 1965 თბ. კონს. (დ. ანდღულაძის კლ.). 1965–74 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. 1966–68 სტაჟირება გაიარა მილანის საოპერო თეატრ „ლა სკალაში“. 1974–იდან მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია. 1975–იდან მოსკ. კონს-ის პედაგოგი (პროფ.). ს-ს აქვს ძალზე ლამაზი ტემბრის ხმა, მისი სიმღერა გამოირჩევა ტემპერამენტით, ლირ. სიფაქიზით და დახვეწილი ოსტატობით. პარტიები: აბესალომი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), არზაყანი (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), მანრიკო, ოტელო, რიჩარდი, რადამესი, ჰერცოგი (ჯ. ვერდის „ტრუბადური“, „ოტელო“, „ბალ-მასკარადი“, „აიდა“, „რიგოლეტო“), ხოზე (ჟ. ბიზეს „კარმენი“), კავარადოსი (ჯ. პუჩინის „ტოსკა“), ტურიდუ (მასკანის „სოფლის ღირსება“), ვოდემონი (ჩაიკოვსკის „იოლანტა“), ინდოელი სტუმარი (რიმსკი-კორსაკოვის „სადკო“) და სხვ. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობასაც. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებს ქართ. ხალხ. (მეგრულ) სიმღერებს („სისატურა“, „ასე ჩონგური“და სხვ.). გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პერიოდულად ჩამოდიოდა თბილისში. იყო ვოკალისტების ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. კონსკურისა და დ. ანდღულაძის სახ. კონსკურსის ჟიურის თავმჯდომარე.

სოფრონიცკი ვლადიმერ ვლადიმერის ძე [25. IV. 1901, პეტერბურგი,– 29. VIII. 1961, მოსკოვი], რუსი პიანისტი, პედაგოგი, რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1942), ლ. ნიკოლაევის მოწაფე. 1919–იდან მართავდა კონცერტებს (1928–29 ვარშავასა და პარიზში). ს-ის საშემსრულებლო ხელოვნებამ რუსული პიანისტური სკოლის რომანტ. მიმართულების საუკეთესო ტრადიციები შეითვისა. მის ფართო რეპერტუარში დიდი ადგილი ეკავა შოპენის, შუმანის, ლისტის, პროკოფიევის ნაწარმოებებს. ს. იყო სკრიაბინის ნაწარმოებთა უბადლო შემსრულებელი. მან სახელი დაიმკვიდრა როგორც შთაგონებულმა, პოეტური სულისკვეთებით გამორჩეულმა ხელოვანმა. 1936–იდან მოსკოვის კონს-ის პროფესორი იყო.

სოხაძე ეკატერინე ტარასის ასული [16. III. 1907, ქუთაისი,–22. V. 1984, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ. სოპრანო). საქ. სახ. არტისტი (1945), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947). 1925–28 სიმღერას ეუფლებოდა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში. 1930 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ო. ბახუტაშვილ–შულგინას კლ.). ამავე წელს შედგა მისი დებიუტი თბ–ის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. (მარგარიტა–გუნოს „ფაუსტში“). ამ დროიდან 1953–მდე ს. თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ორჯერ მიიწვიეს სოლისტად სსრკ დიდ თეატრში (1930–36). ს-ს ჰქონდა ხავერდოვანი ტემბრის ხმა, დახვეწილი ვოკალური ტექნიკა, სცენური მომხიბლაობა. მისი შესრულებული

პარტიებია: ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი“), მიქაელა (ბიზეს „კარმენი“), დეზდემონა (ვერდის „ოტელო“), ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ნედა (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ნესტანი (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), ყივჩაღი ქალიშვილი (ბოროდინის „თავადი იგორი“), ბატერფლაი (პუჩინის „ჩიო–ჩიო–სანი“), ნატალია (ძერჟინსკის „წყნარი დონი“) და სხვ.

სპენდიარიანი (სპენდიაროვი) ალექსანდრე ათანასის ძე [20. X. 1871, კახოვკა,–7. V. 1928, ერევანი], სომეხი კომპოზიტორი, სომხეთის სახ. არტისტი (1926), დირიჟორი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. სომხური მუსიკის კლასიკოსი. ს-მა 1895 დაამთ. მოსკოვის უნ-ტის იურიდიული ფაკულტეტი. კომპოზიციის თეორიას სწავლობდა მოსკოვში ნ. კლენოვსკისთან (1892–94) და პეტერბურგში ნ. რიმსკი–კორსაკოვთან (1896–1900). 1924–იდან ცხოვრობდა ერევანში. ს-ის შემოქმედება ჩამოყალიბდა რუსული და სომხური კულტურის ზეგავლენით. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა პროგრამული მუსიკისადმი. მისი საუკეთესო ქმნილებაა ოპერა „ალმასტი“ (1930, მოსკოვი), ასევე გამორჩეულია სიმფ. სურათი „სამი პალმა“ (1905), „ერევნული ეტიუდები“ ორკესტრისათვის (1925), 2 საორკესტრო სიუიტა „ყირიმული ესკიზები“ (1903, 1912) და სხვ. მისი სახელი მიენიჭა ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრს.

სპიკატო (იტალ. Spiccato, spiccare –მოწყვეტა, გამოყოფა), მოწყვეტილი შტრიხი, სიმებიან–ხემიან საკრავებზე შესრულების ერთ–ერთი ხერხი.

სტაკატო (იტალ. Staccato, staccare– მოწყვეტა, გამოცალკევება), ბგერათა მოკლედ, წყვეტილად შესრულება, მათი მკვეთრად გამოყოფა ერთიმეორისაგან. ლეგატოს საწინააღმდეგო შტრიხი. აღინიშნება სიტყვით staccato, ან წერტილებით ნოტების ზემოთ ან ქვემოთ.

სტასოვი ვლადიმერ ვასილის ძე [2. I. 1824, პეტერბურგი,–10. X. 1906, იქვე], რუსული მხატვრობისა და მუსიკის კრიტიკოსი, ხელოვნების ისტორიკოსი, არქეოლოგი. 1843 დაამთ. მართლმსაჯულების სასწავლებელი. 1847–იდან სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს სახვით ხელოვნებაზე, მუსიკაზე. ს. აქტიურად მონაწილეობდა „ახალი რუსული მუს. სკოლის“ შემოქმედებით ცხოვრებაში, რომელსაც მან „მძლავრი ჯგუფი“ უწოდა. გამოიკვლია და შეისწავლა მ. გლინკას, მ. მუსორგსკის, ა. ბოროდინის შემ–ბა, შექმნა საშემსრულებლო სკოლის ოსტატთა–ო. პეტროვის, ა. რუბინშტეინის შემოქმედებითი პორტრეტები. ს-ის შრომები წარმოადგენს რუსული ესთეტიკური აზროვნების კლასიკურ მემკვიდრეობას.

სტოლერმანი სამუილ ალექსანდრეს ძე [9.XII.1874, –22.XII. 1949, კიევი]. დირიჟორი, უკრაინის სახ. არტისტი (1937), საქართველოს დამს. არტისტი. თბილისის საოპერო თეატრში მუშაობდა 1917-1922 წლებში. დირიჟორობდა ქართული ოპერების: დ. არაყიშვილის „თქმულება

შოთა რუსთაველზე“ (1919), ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ (1919) და „ლეილა“ (1922), მ. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“– პირველ დადგმებს. ასევე რეპერტუარის სხვა ოპერებს. თანამშრომლობდა ა. წუწუნავასთან. სარგებლობდა შემოქმედებითი ავტორიტეტით. ოდესის საოპერო თეატრში განახორციელა უკრაინელი კომპოზიტორების ახალი ოპერების დადგმები.

სტრადივარიუსები (stradivari, stradivarius), ვიოლინოს იტალიელ ოსტატთა გვარი. ანტონიო [1644, კრემონა,–18. XII. 1737, იქვე], ნ. ამატის მოწაფე. 1667 კრემონაში გახსნა საკუთარი სახელოსნო. 1704 შექმნა ვიოლინოს უფრო სრულყოფილი მოდელი, 1704–25 ნათელი ტემბრისა და მაღალი საკონცერტო ღირებულების მქონე ვიოლინოები. ს-ის მიერ დამზადებული ვიოლინოები გამოირჩევა მაღალი მხატვრული გაფორმებით, სინატიფით, ჰარმონიული ფორმით, საგანგებოდ შერჩეული ხის მასალით და მიჩნეულია სწორუპოვარ საეტალონო ნიმუშებად. ამზადებდა აგრეთვე ჩელოებსა და ალტებს. ანტონიოს მოწაფეები იყვნენ მისი შვილები–ფრანჩესკო [1671–1743] და ომობონო [1679–1742].

სტრავინსკი იგორ თედორეს ძე [5. VI. 1882, ორანიენბაუმი, ახლანდ. ქ. ლომონოსოვი,–6. IV. 1971, ნიუ–იორკი; დაკრძალულია ვენეციაში], რუსი კომპოზიტორი და დირიჟორი. მამამისი ცნობილი მომღერალი იყო. 18 წლიდან დამოუკიდებლად დაიწყო კომპოზიციის თეორიის შესწავლა, პარალელურად სწავლობდა პეტერბურგის უნ–ტის იურიდიულ ფაკ–ტზე. 1902–იდან მეცადინეობდა ნ. რიმსკი-კორსაკოვთან. ს-ს პირველი ნაწარმოებებია „ფანტასტიკური სკერცო“ და ფანტაზია ორკესტრისათვის „ფოიერვერკი“ (1908). ძალზე ნაყოფიერი გამოდგა ს-ის შემოქმედებითი თანამშრომლობა ს. დიაგილევთან (პარიზში რუსული ბალეტის სეზონების ორგანიზატორი), რომლის დასის მიერ პარიზში წარმოდგენილმა ბალეტებმა ს-ის მსოფლიო აღიარება მოუპოვა. ეს ბალეტებია: „ფასკუნჯი“ (1910), „პეტრუშკა“ (1911), „საღვთო გაზაფხული“ (1913). 1914–იდან დამკვიდრდა შვეიცარიაში. 1920-იდან საფრანგეთში იყო, ხოლო 1939–იდან აშშ–ში (1945 მიიღო ამერიკის მოქალაქეობა). ს. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას, განსაკუთრებით 1939–45 წლებში. 1962 საავტორო კონცერტი გამართა სსრკ–ში. 20–50–იანი წწ. დასაწყისში მან შექმნა ოპერა–ორატორია „ოიდიპოს მეფე“ (1927),ბალეტი–ალეგორია „ფერიის კოცნა“ (1928),„ფსალმუნების სიმფონია“ (1930), კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1931), კონცერტი 2 სოლო ფ–ნოსათვის (1935), 2 სიმფონია (1940, 1943), ბალეტი „ორფეევსი“ (1948), ოპერა „ქარაფშუტას თავგადასავალი“ (1951). ბოლო პერიოდის მნ. ნაწარმოებებია: კანტატა „საღვთო საგალობლები“ (1956), ბალეტი „აგონი“ (1957), „სულის მოსახსენებელი საგალობლები“ (1966) და სხვ.

ს-ის ნოვატორულმა შემოქმედებამ ძლიერი გავლენა მოახდინა XX ს–ის მუსიკალურ კულტურაზე, რომლის ერთ–ერთ „მეტრადაც“იგი არის აღიარებული. ს-ის შემ–ის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა სტილისტური კონტრასტულობა, მხატვრული ორიენტირების გამუდმებული ცვლა: ე.წ. რუსულ პერიოდში (1908–20–იანი წლ. დასაწყ.) მისთვის დამახასიათებელი იყო გამახვილებული ინტერესი რუს. უძველესი (წარმართული) და თანამედროვე ფოლკლორისადმი, მომდევნო „ნეოკლასიკურ“ პერიოდში (50–იანი წლების დასაწყისამდე)

რუსული თემატიკა ადგილს უთმობს ანტ. მითოლოგიასა და ბიბლიურ ტექსტებს (ოპერა–ორატორია „ოიდიპოს მეფე“, „ფსალმუნების სიმფ.“ და სხვ.), როდესაც ს. მიმართავს ბაროკოს პერიოდის ევრ. მუს. ხერხებს, ძველ პოლიფ. ხელოვნების ტექნიკას, ხოლო ბოლო, გვიანდელ პერიოდში იგი უპირატესად რელიგიურ თემატიკას ამუშავებს, იყენებს დოდეკაფონიურ ტექნიკას თავისუფალი ინტერპრეტაციით. ს-მ ბევრი სიახლე შეიტანა მუს–ის მეტრულ–რიტმულ ორგანიზაციაში, გაორკესტრებაში, ჟანრების გააზრებაში.

გ. ტორაძე

სტურუა რობერტ რობერტის ძე [31.07.1938, თბილისი], ქართველი რეჟისორი. საქ. (1980) და სსრკ (1982) სახ. არტისტი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1996).

1961 დაამთ. თბ. სახელმწ. თეატრ. ინტ-ის სარეჟისორო ფაკ-ტი. ამავე წლიდან შ. რუსთაველის სახ. თეატრის დამდგმელი რეჟისორია, 1975-იდან მთ. რეჟისორი, 1980-დან სამხ. ხელმძღვანელი. 120-ზე მეტი დრამატული და საოპერო სპექტაკლი აქვს დადგმული საქართველოში და საზღვარგარეთ.

საოპერო დადგმები: თბილისის საოპერო თატრში -ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“ (1983), გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“ (1984), ჯ. ვერდის „ოტელო“ (1991), ჟ. ბიზეს „კარმენი“ (1999); პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"(ბოლონიის მუნიციპალური საოპერო თეატრი, 1990), გ. ყანჩელის „და არს მუსიკა" (ვაიმარის საოპერო თეატრი, 1999), პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი"(რომის საოპერო თეატრი, 2002),პ. ჩაიკოვსკის „მაზეპა" (მოსკოვის დიდი თეტარი, 2004) და სხვ.

მინიჭებული აქვს: საქ. სახელმწ. (1996), სსრკ სახელმწ. (1979), ჩაპლინ კლუბის (1998), რუსეთის ფედერაციის სახელმწ. (2000), სტანისლავსკის საერთაშ. (2002), ა. შვაიცერის (1979), შ. რუსთაველის (1981), კ. მარჯანიშვილის 1976), ს. ახმეტელის სახ. და სხვა პრემიები.

მისი ბიოგრაფია შეტანილია ოქსფორდის და გერმანიის თეატრალურ ენციკლოპედიებში.

სუბდომინანტა, ერთ–ერთი ჰარმონიული ფუნქცია, აგრეთვე ტონიკაზე კვინტით დაბლა მდებარე აკორდი (აღინიშნება S–ით). სუბდომინანტური აკორდების საფუძველია კილოს IV საფეხური, რომელსაც აგრეთვე ს. ეწოდება. ს–ურ ფუნქციას ასრულებს II და VI საფეხურის აკორდებიც. ტონალობას, რომლის ძირითად ტონიკას ს. წარმოადგენს, ეწოდება სუბდომინანტური.

სურათი - საოპერო, საბალეტო სპექტაკლებში ს. გამოიყოფა ერთმანეთისაგან მოკლე შესვენებით, რ-ის დროს მაყურებელი რჩება ადგილზე, ხოლო სცენაზე ხდება დეკორაციის სწრაფი შეცვლა ან რჩება იგივე დეკორაცია.

სურდინა (ფრანგ. Sourdine, იტალ. Surdina), მუსიკალური საკრავების ხმის სახშობი მოწყობილობა.

სულხანიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) პაატას ძე [1871, სოფ. აწყური, ახმეტის რ–ნი,–3.

XII. 1919, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი. 1878 შევიდა თელავის სას. სემინარიაში. პირველი საკომპ. ცდები თარიღდება 1886. მოგვიანებით ს. სიმღერას სწავლობდა დ. უსატოვთან. 1890–1900 მუშაობდა თელავის სას. სემინარიაში სიმღერის მასწავლებლად, იქვე შეადგინა ქართული გალობის მოყვარულთა გუნდი. ამ პერიოდში ს-მა შექმნა ცნობილი სიმღერა „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად“ დ. მაჩხანელის ტექსტზე (სიმღერის ნაწილი ი. ჭავჭავაძის ლექსის „გახსოვს ტურფავ“ ტექსტზე სრულდება). 1900–12 ს. კვლავ თბილისშია, 1902 თეორიულ დისციპლინებში მეცადინეობდა თბ–ის სამუსიკო სასწავლებელში; ამავე დროს, კერძო გაკვეთილებს იღებდა კომპოზიციაში გ. ნატრაძესთან. 1912–14 მოიარა კახეთი და ჩაწერა ხალხ. სიმღერები. 1918 ხელმძღვანელობდა ფასიან გუნდს, 1919–ფილარმონიულ საზ–თან არსებულ კაპელას. ს-მა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ საგუნდო მუსიკას და ამ ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები შექმნა. ზ. ფალიაშვილთან ერთად, მან გზა გაუკაფა ქართული საგუნდო ხელოვნების განვითარებას.

ს. 1892 მუშაობდა ოპერაზე „პატარა კახი“ (ა. წერეთლის მიხედვით, შემორჩენილია 2 ნაწყვეტი– ქვაბულიძის არია „დაიგვიანეს“ და პატარა კახის არია „ძლივს მარტო დავრჩი“). ს-ის ყველა გუნდი თანხლების გარეშე (აკაპელა) სრულდება. ძირითადად ოთხხმიანია და შერეული. ახასიათებს დიალოგიური ხერხის გამოყენება–გუნდისა და სოლისტის დაპირისპირება ან შეზავება, ცალკეული სოლო ეპიზოდების გატარება გუნდის ფონზე. საუკეთესო გუნდებია: „გუთნური“ (ი. ჭავჭავაძის ლექსზე „გუთნისდედა“), „სამშობლო ხევსურისა“ (რ. ერისთავის ლექსზე), „მესტვირული“ (ა. წერეთლის ლექსზე „ჩონგურს სიმები გავუბი“), „მაშ გამარჯვება“ (ს. ფაშალიშვილის ლექსზე), „ღმერთო, ღმერთო“ და რომანსი „მო, ზუალო“.

ლ. კაკულია.

სურგულაძე ნინო დავითის ასული [12.X. 1977, თბილისი], ქართველი მომღერალი (მეცო–სოპრანო). დაამთ. ა. ვირსალაძის სახ. ხელოვნების სკოლა საესტრადო-თეატრ. განხრით (1992). 2001 დაამთ. თბ. კონს. გაირა მაგისტრატურა (ხე-ლი დოც. გულნარა კარიაული). იყო საქ. პრეზიდენტის სტიპედიანტი. 2000 გამართა კონცერტი სრული პროგრამით (გერმანული მუსიკა). იმავე წელს გახდა ქ. ტულუზის (საფრ.) საერთაშ. კონკურსის დიპლომანტი, 2001 –ბარსელონის ფ. ვინიასის სახ. კონკურსის ლაურეატი (II პრემია) და 3 სპეც. პრიზის მფლობელი. 2001 გაიარა 3–თვიანი სტაჟირება მილანის „ლა სკალასთან“ არსებულ ჯ. ვერდის სახ. ვოკალის აკადემიაში, რის უფლებაც მოიპოვა შესარჩევ კონკურსში. 2002 გაზაფხულზე მონაწილეობა მიიღო „ლა სკალას“ სპექტაკლებში რ. შტრაუსის „სალომეში“ და მუსორგსკის „ბორის გოდუნოვში“(ეპიზოდურ როლში), სექტემბერში იქვე შეასრულა მთავარი როლი (კუნიძი) ვერდის ოპერა „ობერტოს“ პრემიერაში. 2002 პირველად გამოვიდა ბარსელონის საოპერო თეატრ „ლისეოს“ დიდ სცენაზე –დ. შოსტაკოვიჩის ოპერაში „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტი“(სონეტკას პარტია), მონაწილეობდა იტალიაში გამართულ მთელ რიგ კონცერტებში. ს. ფლობს ლამაზი ტემბრის, სრული

დიაპაზონის ხმას. გამოირჩევა არტისტული მონაცემებით. იტალიის საერთაშ. საოპერო გამოცემამ GB Opera მიანიჭა საუკეთესო მეცო-სოპრანოს ჯილდო „საოპერო ოსკარი“ (2016).

გ.ტორაძე

სუფლიორი (ფრანგ. sovffieur -მოკარნახე),სუფლიორი კარნახობს მსახიობებს ტექსტს ჯიხურიდან, რომელიც მდებარეობს ფარდის ხაზთან.

სუფრული, ქართული (ქართულ-კახური), მაღალმხატვრული საგუნდო სიმღერა, აგრეთვე ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების ცნობილი ჟანრი, რომელსაც განეკუთვნება მდიდარი და მრავალფეროვანი გუნდური სიმღერები „ჩაკრულო", „მრავალჟამიერ", „მო ლხინი ვნახოთ", „ჩვენ მშვიდობა", „მასპინძელსა მხიარულსა", „დალიე ღვინო იქნება", „ყურძენმა სთქვა", „თამარქალო" და სხვ.

სფორცანდო (იტალ. Sforzando<sforzara–ძალების მოკრება; აგრეთვე Sforzato, forzato, შემოკლ. sf, sfz, fz), ცალკეული მუსიკალური ბგერის ან აკორდის უეცარი და მკვეთრი დინამიკური გაძლიერება (აქცენტირება).

სცენა (ლათ. scaena < ბერძ. skene – კარავი, თეატრალური ფიცარნაგი), 1. სათეატრო მოქმედების ადგილი. სცენის სათამაშო ნაწილი შედგება მოედნის, ავანსცენის, არიერსცენისა და კულისებისაგან. 2. მხატვრულ ნაწარმოებებში ეპიზოდი, კერძოდ პიესის ცალკეული სურათი, მოქმედების გარკვეული მონაკვეთი.

სცენარი (იტალ. scenario <ლათ. scaena – სცენა), ოპერას, ბალეტის და ოპერეტის სცენაზე მოქცეული მოქმედების მსვლელობის მეტნაკლებად ვრცელი გადმოცემა, მათი სიუჟეტების სქემატური თხრობა. სცენარის საფუძველზე იქმნება ლიბერტო.

ტ



ტაბლიაშვილი ვახტანგ ვალერიანის ძე [16. V. 1914, ყვარელი, – 23. V. 2002, თბილისი], ქართველი რეჟისორი, საქ. სახ. არტისტი (1969), კ. მარჯანიშვილის (1993) და შ. რუსთაველის (2000), პრემიების ლაურეატი. თბ. საპატიო მოქალაქე (1997). დაამთ. მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნ. სახელმწ. ინ-ტი (1939). 1939-იდან იყო მარჯანიშვილის სახ. თეატრის რეჟისორი და მთ. რეჟისორი. 1956-65 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. რეჟისორი, დადგა ზ. ფალიაშვილის „დაისი", მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", ვერდის „ტრუბადური" და სხვ. მოღვაწეობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში", გადაღებული აქვს ფილმები, მ.შ. მუსიკალური – „ქეთო და კოტე" (რეჟ. შ. გედევანიშვილთან ერთად, 1948).



ტაკიძე რევაზ არონის ძე [29. IV. 1942. ბათუმი], ქართველი დირიჟორი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე, საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1992). დაამთ. თბ. კონს. როგორც პიანისტმა (1966 პროფ. გ. მაჭუტაძის კლ.) და დირიჟორმა (1973 პროფ. ო. დიმიტრიადის კლ.). 1975-იდან მუშაობს თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში, დირიჟორობს საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს, 1972-იდან მუშაობს თბ. კონს-ში საოპერო მომზადების კათედრაზე (2000-იდან კათედრის გამგე), დირიჟორობს კონს-ის საოპერო სტუდიის სპექტაკლებს (2000-იდან მთ. დირიჟორია), საქ. სახელმწ. ორკესტრის კონცერტებს (1972-იდან). 1980-94 იყო გორის მუს. სასწავლებლის საოპერო სტუდიის მუს. ხე-ლი. 1992 თბ. საოპერო თეატრის სპექტაკლის „ქეთო და კოტე" განახლებული დადგმის დირიჟორობისათვის მიენიჭა საქ. სახელმწ. პრემია. მისი შვილია პიანისტი ანი ტაკიძე (1973). დაამთ. თბ. კონს. 1996 (პროფ. ნ. ხუბუტია). ს. რიხტერის სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (მოსკოვი 2005).

ტამბური (არაბ., სპარს.), საქ. ძველად გავრცელებული ჩამოსაკრავი მუს. საკრავი. შედგება მსხვილი ფორმის კორპუსისა და გრძელი ყელისაგან (1100-1300 სმ), რ-ზეც გაჭიმულია 3 სიმი. ხმოვანებს პლექტრის (თხელი ფირფიტა) საშუალებით. გავრცელებულია აგრ. უზბეკეთში, ტაჯიკეთში და მათ მეზობელ ქვეყნებში.

ტამტამი (ფრანგ. tam<tam ინდურიდან), დასარტყმელი საკრავი, სპეციალურ ჩარჩოზე ჩამოკიდებული, სპილენძისა და ბრინჯაოს შენადნობებისაგან (განსაკუთრებით თითბრისაგან)

დამზადებული დიდი დისკო, რომელიც ხმოვანებს განსაკუთრებული ჯოხის დარტყმით, მას თავზე მაუდი და რბილი ტყავი აქვს გადაკრული, ბგერა მოკლებულია სიმაღლის ინტონაციას. იყენებენ სიმფორნიურ ორკესტრში.

ტანგო (ესპ. tango), 1. არგენტინული თანამედროვე სამეჯლისო ცეკვა. ტ. ამერიკასა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამეჯლისო ცეკვაა. არსებობს მისი საესტრადო ნაირსახეობა. ტ-ს რიტმი გამოიყენება საკრავიერ და ვოკალურ მუსიკაში. იგი შედის სამეჯლისო ცეკვების ძირითად პროგრამაში.



ტანეევი სერგეი ივანეს ძე [13. XI. 1856, ვლადიმირი,-6. VI. 1915, დიუდკოვო, მოსკოვის ოლქი; დაკრძალულია მოსკოვში], რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. 1875 დაამთ. მოსკოვის კონს. მისი მასწავლებლები იყვნენ: ნ. რუბინშტეინი და პ. ჩაიკოვსკი. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. 1878-იდან იყო მოსკოვის კონს-ის პედაგოგი (ფ-ნო, მუს. თეორიული საგნები), 1881-იდან პროფესორი, 1885-89 დირექტორი. მის მოწაფეთა შორის გამოირჩეოდნენ: ს. რახმანინოვი, ა. სკრიაბინი, ზ. ფალიაშვილი, ნ. მეტნერი, რ. გლიერი, და სხვ. ტ-მა პირველმა ჩაწერა სვანური სიმღერები (1885). მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: ოპერა „ორესთეა“ (1895, პეტერბ. მარიას თეატრი); კანტატები „იოანე დამასკელი“ (1884) და „ფსალმუნის წაკითხვის შემდეგ“ (1915), 4 სიმფონია (1874-1898), გუნდები, რომანსები, სიმებიანი კვარტეტები. ტ-ის შემოქმედებაში კლასიკის ტრადიციები შერწყმულია რუსულ და უახლეს (XX ს. დასაწყ.) მუს. ტენდენციებთან. მას ეკუთვნის აგრეთვე ფუნდამენტური შრომები პოლიფონიაში.

ტარანტელა (იტალ. tarantella < taranto ტარანტო (ქალაქი სამხრ. იტალიაში), იტალიური ხალხური ცეკვა. მუს. ზომა 6/8, 3/8, ტემპი ჩქარი, სრულდება გიტარის, ტამბურინისა და კასტანიეტების, ზოგჯერ სიმღერის თანხლებით. პროფესიულ მუსიკაში შექმნილია ტ-ს ფორმის ვოკალური და საკრავიერი პიესები (როსინი, ლისტი, შოპენი, გლინკა, ჩაიკოვსკი, პროკოფიევი), მრავალი მათგანი ვირტუოზული ხასიათისაა.

ტარივერდიევი მიქაელ ლეონის ძე [15. VIII. 1931, თბილისი, 25. VII. 1997, მოსკოვი], სომეხი კომპოზიტორი, რსფსრ სახ. არტისტი (1986), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). სწავლობდა თბ. I სამუსიკო სასწავლებელში (შ. მშველიძესთან) და მოსკოვში გნესინების სახ. მუსიკალურ-პედ. ინსტიტუტში. (ა. ხაჩატურიანთან). შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითადი სფეროები: კამერული მუს; მუს. თეატრი, მუსიკა კინო და ტელეფილმებისათვის და სხვ. ფართო აღიარება მოიპოვა ტ-ის მუსიკამ კფ-სათვის „ბედის ირონია ანუ გაამოთ“ და ტელესერიალისათვის „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. სსრკ სახელმწ. პრემია (1977).

ტატიშვილი ცისანა ბეჟანის ასული [30. XI. 1937, თბილისი, – 23.IX.2017, თბილისი],

ქართველი მომღერალი (ლირ. –დრამ. სოპრანო), საქ. (1972) და სსრკ. (1979) სახ. არტისტი. 1963 დაამთ. თბ. კონს. (გ. ქართველიშვილის კლ.). ამავე წლიდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. ჰქონდა სრული დიაპაზონის, ულამაზესი ტემბრის, მოქნილი, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა. შესრულება გამოირჩეოდა მუსიკალობითა და ექსპრესიით. მისი შესრულებული პარტიებია: ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ნესტანი (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), თამარი (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), ლიზა (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“), ლეონორა, აიდა, დეზდემონა (ვერდის „ტრუბადური“, „აიდა“, „ოტელო“), ტოსკა (პუჩინის „ტოსკა“), სალომე (რ. შტრაუსის „სალომე“), დონა ანა (მოცარტის „დონ ჯოვანი“), სანტუცა (მასკანის „სოფლის ღირსება“) და სხვ.

ტ. საკონცერტო მომღერალიც იყო. გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. 1969 ბერლინის „კომიშე ოპერაში“ „აიდას“ პრემიერაზე შეასრულა აიდას პარტია გერმანულ ენაზე. შ. რუსთაველის (1987) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1975) პრემიების ლაურეატია. 2010 თბილისის ოპერის წინ გაიხსნა მისი სახ. ვარსკვლავი.

ნ. სვანიშვილი

ტაქტი (ფრანგ. tact, გერ. Takt <ლათ. tactus –შეხება, შეგრძნება), მეტრული მუსიკალური ერთეული-თითოეული იმ თანაბარ ნაწილთაგანი (ხანგრძლივობის მიხედვით), რის მიხედვითაც იყოფა მუს. ნაწარმოები. ტ-ის ზომა წილადის ან განსაკუთრებული ნიშნის სახით (c=4/4, c=2/2) იწერება სანოტო დგანის წინ და ზომის ყოველი ცვლილების დროს. ტაქტის საზღვრები ნოტებში ვერტიკალური ხაზებით აღინიშნება.

ტაქტის ზომა. ზომა გვიჩვენებს რამდენი თვლაა ტაქტში. არსებობს სამგვარი ზომა; მარტივი, რთული და შერეული. მარტივი ზომებია: ორწილადი და სამწილადი. ორწილადს ეკუთვნის–2/4 და 2/8, სამწილადს–3/4 და 3/8. თითოეულ მათგანს აქვს თითო მახვილი. 2/4-ში პირველ თვლაზეა მახვილი, მეორე სუსტია. 3/4-ში პირველზეა მახვილი, მეორე და მესამე სუსტია. რთული ზომები მიიღება ერთნაირი მარტივი ზომების შერწყმით 2/4+2/4=4/4 ან 3/4+3/4=6/4 ან 3/8+3/8=6/8; ვინაიდან მარტივი ორი ტაქტის შეერთების დროს ორი მახვილი არსებობს (I და III-ზე), მას უწოდებენ რთულ ზომას. თუ შევაერთებთ ერთ ტაქტს ორწილად ზომას და ერთ ტაქტს სამწილად ზომას, მივიღებთ შერეულ ზომას 2/4+3/4=5/4; შესაძლებელია ნაწარმოებში შეიცვალოს ზომა, ასეთ ზომას ცვალებადი ეწოდება.

ტებალდი (Tebaldi) რენატა [1.II.1922, პეზარო–19.XII. 2004, სან-მარინო], იტალიელი მომღერალი (სოპრანო) („ანგელოზის ხმა“. ა. ტოსკანინი). 1944-იდან მღეროდა იტალიის საოპერო სცენებზე (1946-59 „ლა-სკალაში“) და სხვა ქვეყნებში (1955-იდან „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ და ერთდროულად, ჩიკაგოში) მართავდა კონცერტებს. 1977 შეწყვიტა მოღვაწეობა. ტ. XX ს-ის მეორე ნახევრის გამოჩენილი მომღერალია. განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა სოპრანოს პარტიებს ვერდისა და ვერისტი კომპოზიტორების ოპერებში.

ტემბრი (ფრანგ. timbre), ბგერის თვისება, ელფერი, რომლის მიხედვითაც განირჩევა ერთი და იმავე სიმაღლის ტონები და რითაც ერთი საკრავის ან ხმის ჟღერადობა განსხვავდება მეორისაგან.

ტემპერაცია (ლათ. temperatio-სწორი შეფარდება, თანაშეზომილობა), ინტერვალური შეფარდების გაწონასწორება ბგერის სიმაღლებრივი სისტემის საფეხურებს შორის. ტ-ის მიზანია ინტერვალების, განსაკუთრებით, კვინტების, სიდიდის ოდნავი შეცვლა, მათ ზუსტ აკუსტიკურ სიდიდესთან შედარებით (ბუნებრივი ბგერათრიგის მიხედვით). ეს ცვლილებები საშუალებას იძლევა გამოიყენებოდეს სხვადასხვა სტრუქტურის ყველა აკორდი და ტონალობა ინტერვალების აღქმის დადგენილი ნორმების დაურღვევლად, ფიქსირებული სიმაღლის საკრავის კონსტრუქციის გართულების გარეშე. ტ-ის საჭიროებამ XVI-XVIII სს-ში იჩინა თავი. 12-საფეხურიან თანაბრად ტემპერირებულ წყობაში ყველა წმინდა კვინტა შემცირებულია 1/12 პითაგორული კომით, რის გამოც ოქტავა გაიყო 12 ნახევარტონად და ყველა ერთგვაროვანი ინტერვალი გახდა ერთნაირი სიდიდისა. პირველი მხატვრულად სრულყოფილი გამოყენება ამ წყობისა მოხდა ი.ს. ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“ I ტომში (1722).

ტერტერიანი ავეტ (ალფრედ) რუბენის ძე [29. VII. 1929, ბაქო,–11.12.1994, ერევანი], სომეხი კომპოზიტორი, პედაგოგი, სომხეთის სახ. არტისტი (1984), ე. მირზოიანის მოწაფე. 1960-იდან სომხეთის, 1986-იდან სსრკ კომპ. კავშირის მდივანი. 1970-იდან ასწავლიდა ერევნის კონს-ში (1985, პროფ.) ავტორია ოპერებისა: „ცეცხლის რკალი“ (1967), „მიწისძვრა“ (1984), 8 სიმფონიისა (1969-89), ბალეტისა და სხვ. ნაწ-ებისა. ტ-ის მუსიკა მძაფრად დრამატული და ექსპრესიულია. ფართოდ იყენებს ძვ. სომხური მონოდიური მუსიკის (შარაკანები) ტრადიციებს. აღიარებულია XX ს. თვალსაჩინო კომპოზიტორად.

ტემპი (იტალ. tempo <ლათ. tempus-დრო), მეტრულად თვლადი ერთეულების ცვლადობის სიჩქარე (იხ. მეტრი). ტ. მჭიდროდაა დაკავშირებული მუს. ხასიათთან. თავდაპირველად ტ. ნოტებში არ აღინიშნებოდა და შემსრულებელი მუსიკის შინაარსისა და ფაქტურის მიხედვით ირჩევდა მას. XVII ს-იდან ტ. აღინიშნება სპეც. იტალ. ტერმინებით. ძირითადი ტემპებია: ლარგო, ლენტო, ადაჯო (ნელი), ანდანტე, მოდერატო (ზომიერი) და ალეგრო, ვივაჩე, პრესტო (ჩქარი). ტ-ის აღმნიშვნელ ხელსაწყოს მეტრონომი ეწოდება. მეტრონომული აღნიშვნები, რომლებსაც კომპოზიტორი აკეთებს ნოტებში, წარმოადგენს მხოლოდ ორიენტირს შემსრულებლებისათვის. მას შეუძლია გარკვეულ ფარგლებში ამ ტ-იდან გადახრა. ყველა ცალკეულ ფრაზის ტ. შეიძლება რამდენადმე აჩქარდეს ან შენელდეს (იხ. აგოგიკა). გვხვდება უფრო მნ. გადახრები ძირითად ტ-იდან, რაც აღინიშნება ტერმინებით: აჩელერანდო, სტრინჯენდო, პიუ მოსო (აჩქარება), რალენტანდო, რიტენუტო, მენო მოსო (შენელება). თავდაპირველ ტ-ზე დაბრუნება აღინიშნება ტერმინით–ტემპო პრიმო.

ტენორი (იტალ. tenore), 1. მამაკაცის მაღალი ხმა. დიაპაზონი დო[1]-ლა[2]. არსებობს ლირიკული და დრამატული ტ-ები. ლირ. ტ-თვის დამახასიათებელია ხავერდოვანი ტემბრი, მღერადი მელოდიის გადმოცემის უნარი და მოქნილობა. დრამ. ტ. გამოირჩევა ძლიერი

ხმოვანებით ყველა დიაპაზონში. განარჩევენ აგრეთვე ლირიკულ-დრამატულსა და ალტინოს ტ-ს 2. სასულე მუსიკალური საკრავი, სასულე ორკესტრის შემადგენელი ნაწილი.

ტერცდეციმა, ინტერვალი, რომელიც დიატონური ბგერათა რიგის 13 საფეხურს მოიცავს (ოქტავის და სექსტის ჯამი). ტ. ეწოდება აგრეთვე გამის ნებისმიერი საფეხურიდან აღებულ XIII საფეხურს.

ტერცეტი (იტალ. terzetto ლათ. tertius–მესამე), სამი შემსრულებლისაგან შემდგარი მუსიკალური ანსამბლი (ტრიო, უპირატესად ვოკალური), აგრეთვე ამ ანსამბლისათვის განკუთვნილი მუს. პიესა (ვოკალური ტერცეტი საკრავიერი თანხლებით ან თანხლების გარეშე).

ტერცია (ლათ. tercia მესამე), გამის მესამე საფეხური; ინტერვალი პირველსა და მესამე საფეხურს შორის.

ტერცკვარტაკორდი, სეპტაკორდის მეორე შებრუნება, აღინიშნება 4/3, აიგება II საფეხურზე (პ. 3+ დ. 2. + დ. 3).

ტესიტურა (იტალ. tessitura, სიტყვასიტყვით –ქსოვილი< tessere–ქსოვა), მუსიკალურ ნაწარმოებში ბგერათა განლაგება სიმაღლის მიხედვით სასიმღერო ხმის ან მუს. საკრავის დიაპაზონთან მიმართებით.

ტეტრალოგია (ბერძ. tetralogia), ოთხი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომლებსაც ერთი დედააზრი აერთიანებს. ტ-ურ ქმნილებათა ნიმუშები ძვ. ბერძნებთან გვხვდება. ტ. შეიცავდა სამ ტრაგედიას და ერთ სატირულ დრამას. შემდეგ ტ. სხვა ჟანრის ნაწარმოებებშიც გავრცელდა. ასეთია მაგ. რ. ვაგნერის ტ. „ნიბელუნგის ბეჭედი“, რომელიც ოთხი ოპერისაგან (მუს. დრამისგან) შედგება: „რაინის ოქრო“ (1869), „ვალკირია“ (1870), „ზიგფრიდი“ და „ღმერთების აღსასრული“ (ორივე-1876).

ტეტრაქორდი (ბერძ. tetrachordon< tetra – ოთხი და chordë-სიმი), ოთხსაფეხურიანი ბგერათრიგი კვარტის ფარგლებში; ორი ტ. შეადგენს გამას ერთი ოქტავის ფარგლებში.

ტიგრანიანი არმენ ტიგრანის ძე [14. XII. 1879, ალექსანდროპოლი, ახლანდ. გიუმრი, –10. II. 1950, თბილისი], სომეხი კომპოზიტორი, საგუნდო დირიჟორი, პედაგოგი. სომხ. (1935) და საქ. (1936) ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე. 1902 დაამთ. თბ. მუს. სასწავლებელი (ფლეიტის კლ.), კომპოზიციაში მეცადინეობდა მ. ეკმალიანთან, შემდეგ მოღვაწეობდა ალექსანდროპოლში. 1913-იდან ცხოვრობდა თბ-ში. ტ. –პირველი სომხური ხალხურ-ყოფითი ოპერის „ანუშის“ ავტორია (1912), დაწერა აგრეთვე სასიმღერო დრამა „ლეილი და მაჯნუნი“ (1917), ისტ. –პატრ. ოპერა „დავით-ბეგი“ (1950) და სხვ.

ტიმპანი (ბერძ. tympanon–დოლი), უძველესი დასარტყმელი მუსიკალური საკრავი. 1.

სპილენძის თეფშების ნაირსახეობა; 2. მცირე ზომის ლიტავრის ნაირსახეობა.

ტიტა რუფო (Titta Ruffo) (ნამდვ. სახელი და გვარი რუფო კაფიერო ტიტა) [8. VI. 1877, პიზა,–6. VII. 1953, ფლორენცია, დაკრძალულია მილანში], იტალიელი მომღერალი (ბარიტონი). სიმღერის სწავლა დაიწყო 19 წლისამ. მისი დებიუტი შედგა რომში 1898 (მაცნეს პარტია ვაგნერის „ლოენგრინში“). 1920-იან წლებში მღეროდა „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ (ნიუ-იორკი). 1931 შემდეგ დატოვა სცენა. ტ. რ. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი მომღერალია. მას ჰქონდა იშვიათი სილამაზისა და ფართო დიაპაზონის ხმა, დრამატული ნიჭი. მისი შესრულებული პარტიებია: რიგოლეტო, იაგო (ვერდის „რიგოლეტო“, „ოტელო“), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი“), სკარპია (პუჩინის „ტოსკა“), ტონიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), დემონი (რუბინშტეინის „დემონი“) და სხვ.

ტოკატა (იტალ. toccata < toccare-შეხება), კლავიშიანი საკრავისათვის (ფ-ნო, ორგანი) განკუთვნილი ვირტუოზული მუს. პიესა. ახასიათებს ჩქარი ტემპი, მკაფიო რიტმი, ეფექტური პასაჟები და რთული ტექნიკა. ცნობილია ი. ს. ბახის, რ. შუმანის, ს. პროკოფიევის, დ. შოსტაკოვიჩის, რ. ლაღიძის და სხვ. ტ-ბი. ტ-ის სტილითაა დაწერილი ა. მაჭავარიანის საფ. პიესა „ხორუმი“.

ტონალობა, კილოს სიმაღლებრივი მდგომარეობა, აგრეთვე გარკვეული სიმაღლის კილოური სისტემა, ე. წ. კილოტონალობა. ტერმინი იხმარება ფუნქციონალური მაჟორულ-მინორული კილოური სისტემის (იხ. კილო) აღსანიშნავადაც. მაჟორულ-მინორული სისტემის ტ. დამოკიდებულია სიმაღლებრივ მდგომარეობასა (შემდეგი ასოითი სისტემით –c, a, fis, h ან დო, ლა, ფა-დიეზ, სი და სხვ.) და კილოზე (კილოურ გადახრაზე dur, moll, შესაბამისად მაჟორი, მინორი). ტ-ის მონაცვლეობას მოდულაცია ეწოდება, მოდულაციური მოძრაობა ქმნის მთელი მუს. პიესის შემაკავშირებელ ტონალურ გეგმას, ამასთანვე გაბატონებულია ერთი ტ., რომელიც განსაზღვრავს მთელი მუს. ნაწარმოების სახელწოდებას (მაგ. ი. ს. ბახის ფანტაზია და ფუგა სოლ მინორი ორგანისათვის, მოცარტის სიმფონია დო მაჟორი).

ტონი (ბერძ. tonos-ხმის ამაღლება, ტონი, მახვილი; სიტყვასიტყვით–დაჭიმული თოკი, დაჭიმულობა, დაძაბულობა), 1. გარკვეული სიმაღლის მქონე მუს. ბგერა. იგი შეიძლება იყოს მოცემული სიხშირის წმინდა სინუსოიდური რხევის სახით (წმინდა ტონი), ან შეიცავდეს რამდენიმე სიხშირეს (იხ. მუს. ბგერა). 2. ოქტავის 1/6 ინტერვალი (დიდი სეკუნდა; აგრეთვე შემცირებული ტერცია, გაორმაგებული პრიმა). იგივეა, რაც მთელი ტ. 3. საეკლესიო კილოების სისტემაში (იხ. შუა საუკუნეების კილოები), კილოს აღმნიშვნელი ტერმინი (მაგ., I ტონი, VI ტონი, VIII ტონი). 4. ტონალობის მოძველებული აღნიშვნა. 5. გარკვეული სიმაღლის ბგერა, რომლის მეშვეობითაც ხდება ამა თუ იმ ტონალობაზე აწყობა. 6. საკრავის ჟღერის ხასიათი და ხარისხი (სასიამოვნო ტ., ხავერდოვანი ტ., და სხვ.).

ტონიკა (გერმ. Tonik<ბერძ), 1. გამის პირველი ძირითადი ტონი, რომლის მიხედვითაც ერქმევა სახელი მოცემულ წყობას (მაგ. ნოტი „დო“ დო-მაჟორში).

2. წყობის პირველი აკორდი (ჩვეულებრივ, გამის პირველი საფეხურის სამხმოვანება).

ტორაძე გულბათ გრიგოლის ძე [14.X. 1928, თბილისი-17.X. 2018, იქვე], მუსიკისმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967), ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის სახელმწ. კონს-ის პროფესორი 2018-მდე.

1950 დაამთ. თბ. სახელმწ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1952 თბ. სახელმწ. კონს-ის მუსიკისმცოდნეობის ფაკ-ტი. თბ. კონს-ში მოღვაწეობას ეწეოდა 1953 -იდან. 1976-86, 1997-2001 იყო მუსიკის ისტორიის კათედრის გამგე, 1968-73, 1992-96 საქ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანი. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე: „ქართული სიმფ. პოემები" (1969), არის 30-მდე ნაშრომის ავტორი მ.შ. შ. მშველიძის სიმფ. ნაწარმოებები „ზვიადაური" და „მინდია"(1958), „იონა ტუსკია"(1962), „საქართველოს კომპოზიტორები"(1968, 1973), „მუსიკალურ გზაჯვარედინებზე" (1979), „ანასტასია ვირსალაძე" (1981), „ქართული მუსიკა საუკუნის გადასახედიდან" (1998), „ოთარ თაქთაქიშვილი" (2006), „დ. შოსტაკოვიჩი და ქართული მუსიკალური კულტურა" (2006), „ქართული ფეხბურთი" (1997), „მუსიკის სამყაროში" (2010), „ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში" (2013), „მოგონებები“ (2015); მონოგრაფიები: „ს. ცინცაძე"(2012), „ე. ვირსალაძე"(2012) და სხვ. მისი ბიოგრაფია შესულია თბ. და მოსკ. გამოცემულ სხვადასხვა ცნობარებში, ლექსიკონებსა და მუსიკალურ ენციკლოპედიებში. დაჯილდოებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჯილდოთი „ხელოვნების ქურუმი“ (2016).

ტოსკანინი (Toscanini) არტურო [25. III. 1867, პარმა,–16. I. 1957, ნიუ-იორკი], იტალიელი დირიჟორი. 1885 დაამთ. პარმის კონს. (ჩელოს განხრით). როგორც დირიჟორი პირველად 1886 გამოვიდა რიო-დე-ჟანეიროში. 1887-98 საოპერო და სიმფ. დირიჟორია იტალიაში. 1898-1903, 1906-08 და 1921-29 ხელმძღვანელობდა მილანის „ლა სკალას“, 1908-15 ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერის“ დირიჟორია. ტ. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1928-იდან ცხოვრობდა აშშ-ში, ხელმძღვანელობდა „მეტროპოლიტენ-ოპერას“. ნიუ-იორკის ფილარმონიულ (1926-36) და ეროვნ. რადიომაუწყებლობის კომპანიის ორკესტრებს. ტ. სადირიჟორო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. მას ჰქონდა იშვიათი არტისტული ტემპერამენტი და მუს. მეხსიერება. ასრულებდა კლასიკურ და რომანტიკულ მუსიკას, აგრეთვე თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებებს (1942 პირველმა საზღვარგარეთ უდირიჟორა დ. შოსტაკოვიჩის VII „ლენინგრადულ“ სიმფონიას).

ტრაგიკომედია, დრამატული ნაწარმოები რომელშიც შეხამებულია ტრაგედიისა და კომედიის ელემენტები.

ტრანსკრიფცია (ლათ. transcriptio გადაწერა), მუსიკალური ნაწარმოების გადაღება (არანჟირება), ან გადატანა სხვა სახეობის ანსამბლში ან სხვა საკრავზე შესრულებისათვის; აგრეთვე მისი თავისუფალი, ვირტუოზული დამუშავება (საკონცერტო ტ.). მნიშვნელოვანი

როლი ითამაშა საკრავიერი მუსიკის ჩამოყალიბებაში. XVI ს. მუს. ნაწარმოებები კლავიშიანი საკრავებისათვის უმეტესად ვოკალური ნაწარმოებების ტ-ს წარმოადგენდა. ცნობილია ფ. ლისტის, ფ. ბუზონის, ლ. გოდოვსკის, მ. ბალაკირევის, ს. რახმანინოვის და სხვათა საფ. და ფ. კრაისლერის სავიოლინო ტ-ები.

ტრანსპოზიცია (გვიანდ. ლათ. transpositio-გადანაცვლება), მუს. ნაწარმოების ყველა ბგერის გადატანა განსაზღვრული ინტერვალით ქვევით ან ზევით. ნებისმიერი ინტერვალის ტ. გარდა ოქტავისა, ცვლის ტონალობას. ტ-ის მიზანია ნაწარმოების ადაპტირება სხვა, უფრო მაღალი ან დაბალი ხმით შესრულებისათვის (სხვა დიაპაზონის საკრავზე) ან ნოტების კითხვის გაიოლება.

ტრელი (იტალ. trillo < trillare ჟღრიალი), რომელიმე მოცემული ნოტის ჩქარი და მრავალჯერადი შენაცვლება მის მეზობელ საფეხურზე მოთავსებულ ნოტთან. აღინიშნება ნოტის ზემოთ ან ქვემოთ tr, t, T ნიშნით. მელიზმების ნაირსახეობა.

ტრემბიტა, უკრაინული კარპატელი მწყემსების (გუცულების) ჩასაბერი საკრავი, ბუკი (3 მ-მდე სიგრძისა).

ტრემოლო (იტალ. tremolo, სიტყვასიტყვით–მთრთოლვარე), ორი (სულ ცოტა, ტერციის ინტერვალით დაშორებული) ნოტის სწრაფი თანამიმდევრობა ან ერთი და იმავე ბგერის სწრაფად გამეორება.

ტრილოგია (ბერძ. trilogia), ერთი ავტორის სამი დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც გაერთიანებულია ერთი თემით, იდეური შინარსიით, პერსონაჟებითა და მოქმედების განვითარების ძირითადი მიმართულებით.

ტრიო (იტალ. trio<ლათ. tres, tria-სამი), სამი შემსრულებლისაგან შემდგარი მუსიკალური ანსამბლი ან ნაწარმოები ასეთი ანსამბლისათვის.

ტრიოლი (გერმ. Triole), მუსიკაში რიტმული ფიგურა.

ტრიტონი (ბერძ. tritonon<tri,-რთულ სიტყვებში–სამი და tonos-ტონი), სამი ტონისაგან შექმნილი ინტერვალი (აქედან მიიღო სახელწოდებაც; მაგ., დო-ფადიეზი, დო-სოლბემოლი).

ტრიუმფი (ლათ. triumphus), დიდი წარმატება , ბრწყინვალე გამარჯვება, ამით გამოწვეული ზეიმი.

ტრიქორდი (ბერძ. tri- სამი და chorde-სიმი), მუსიკაში, ტერციის ან კვარტის მოცულობის მქონე სამი ბგერისაგან შემდგარი ბგერათრიგი.

ტრომბონი (იტალ. trombone < tromba-საყვირი), სასულე მუსიკალური საკრავი,

მოხსენიებულია XV ს. ლიტერატურაში. წარმოადგენს მოგრძო, ცილინდრულ, ორმაგად გაღუნულ მილს (სიგრძე 3000 მმ-მდე), რომლის დიამეტრი დაახლოებით 15 მმ-ია. ცნობილია გასაშლელი (ე. წ. ცუგტრომბონი) და ვენტილური ტ. (XIX ს-იდან) არსებობს ტ-ის 6 ნაირსახეობა (სოპრანოდან –კონტრაბასამდე). ტ. უპირატესად საორკესტრო საკრავია.

ტროპარი (ბერძ. troparion), ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში სხვადასხვა დანიშნულების მცირე ფორმის საგალობელი, რომელსაც ფსალმუნებთან ან ძველი აღთქმის სხვა ტექსტებთან ერთად ასრულებდნენ. მის უძველეს დადასტურებას ვხვდებით V ს. ბერძ. ძეგლებში. ლიტურგიკული ჰიმნების 30 სახეობაზე მეტს საკუთარი სახელწოდების გარდა, ტ-ც ეწოდება. კონდაკებსა და ჰიმნოგრაფიულ კანონებში ტ. აღნიშნავს ცალკეულ სტროფს. ქართულ ძეგლებში ტერმინი ტ. XVIII ს-მდე არ გვხვდება (მისი შესატყვისი უნდა იყოს დასდებელი), ხმარობენ სამეცნ. ლიტერატურაში.

ლ. ხევსურიანი

ტრუბადური (ფრანგ. troubadour), შუა საუკუნეებში პროვანსში (სამხრეთ საფრანგეთში) მოხეტიალე პოეტი-მომღერალი (იხ. ტრუვერი).

ტრუვერი (ფრანგ. trouvere <trouver- მიგნება, პოვნა, მოფიქრება, ტროპების შეთხზვა), პოეტი მომღერალი XII-XIII ს-ში საფრანგეთში. ფეოდალთა კარზე. ტრუვერები ძირითადად თვითონვე იყვნენ ავტორებიც და შემსრულებლებიც. მათზე დიდი გავლენა მოახდინეს ტრუბადურებმა. ტ-ბი ავითარებდნენ შემდეგ ჟანრებს; ალბა, სირვენტა, პასტორელა, სიმღერა (chanson) და სხვ. ცნობილი ტ-ბი იყვნენ: კრეტიენ დე ტრუა, გოტიე დ` არასი, ჟან ბოდელი, გას ბრიულე, მარია ფრანგი და სხვ.



ტუბა (იტალ. და ლათ. tuba ბუკი, საყვირი), ყველაზე დაბალი ხმოვანების სასულე საორკესტრო მუსიკალური საკრავი. შედგება მოღუნული ცილინდრული და კონუსური მილებისაგან, მილძაბრისაგან, მუნდშტუკისა და სავენტილო მექანიზმისაგან. შეიქმნა 1835 გერმანიაში; სიმფ. ორკესტრში შეიტანა რ. ვაგნერმა (ოპერაში „მფრინავი ჰოლანდიელი“). ტ-ის ნაირსახეობაა ბანი-ჰელიკონი.

ტუსკია იონა ირაკლის ძე [24. XII. 1901, ოზურგეთი,–8. X. 1963, პარიზი. დაკრძალულია თბილისში], ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახ. არტისტი (1962). 1926 დაამთ. თბ. (მ. იპოლიტოვ-ივანოვის საკომპ. და მ. ვასილიევის სავიოლინო კლასები), ხოლო 1931 ლენინგრადის კონს. (ვ. შჩერბაჩოვის საკომპ. კლ.). 1935-37 ტ. იყო საქ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე. 1932-იდან თბ. კონს-ის პედაგოგი (1950-იდან პროფ.), 1952-62 რექტორი. მისი

მოწაფეებია: რ. გაბიჩვაძე, გ. კოკელაძე, ს. ნასიძე. ო. გორდელი, გ. ყანჩელი, და სხვ. ტ. ქართული საკრავიერი (კამერული) და სიმფ. მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი ნაწარმოებებია: ოპერა „სამშობლო“ (1939), სიმფ. სურათები „გველისმჭამელი“ (1927) და „ყვენობა“ (1930). „მარშ-გროტესკი“ (1927), სავიოლინო კონცერტი (1944), სიმებიანი კვარტეტი „ჩელა (1926), თეატრისა („არსენა“, „ოტელო“ რუსთაველის სახ. თეატრში) და კინოს („დარიკო“) მუსიკა, რომანსები, სიმღერები, საგუნდო ნაწარმოებები და სხვ.

გ. ტორაძე



ტულუში ნათელა სევერიანის ასული [31. III. 1931, გორი, –17. V. 1995, თბილისი], ქართველი მომღერალი (კოლორატურული სოპრანო) საქ. სახ. არტისტი (1970). 1954 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. დ. შვედოვის კლ.). 1955-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. მის მიერ შესრულებული პარტიებია: მარო, მარიხი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ქეთო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), მარგარიტა (ო. თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული“), ლიუდმილა (გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“), ლუჩია, ნორინა (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, „დონ პასკუალე“), ჯილდა, ვიოლეტა (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“), როზინა (როსინის „სევილიელი დალაქი“) და სხვ. ტ-ს ბევრჯერ უმღერია სსრკ დიდი თეატრის სცენაზე. გამოდიოდა სოლო კონცერტებით, გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ. 1975-იდან შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის პედაგოგი იყო.

ტუში (გერმ. Tusch), დაფდაფური წყობის მუსიკალური პიესა, რომელსაც ასრულებენ საზეიმო მისალმების, ლენტის გაჭრის, დაჯილდოებისა და სხვა შემთხვევებში. ტ. ჩვეულებრივ წარმოადგენს ერთ მუსიკალურ პერიოდს ან ერთ წინადადებას, რომელიც რამდენჯერმე მეორდება. მუს. ზომა 2/4, ტემპი ჩქარი. ასრულებს სასულე ორკესტრი.

უ

უვერტიურა (ფრანგ. ouverture < ლათ. apertura გახსნა, დასაწყისი), საორკესტრო პიესა, რომელიც წინ უძღვის ოპერას, ორატორიას, ბალეტს, დრამას, კფ-სა და ა. შ. ასევე დამოუკიდებელი სონატური ფორმის საორკესტრო ნაწარმოები. საოპერო უ. ამზადებს მსმენელს მომავალი მოქმედებისათვის. საოპერო უ-ის ყველაზე ადრეული სახეა მონტევერდის ოპერის „ორფევსის“ შესავალი (1607). XVII ს. დასასრულს ჩამოყალიბდა უ-ის 2 ძირითადი ტიპი: ფრანგული უ. ნელი შესავალით, სწრაფი პოლიფონიური ნაწილით და ნელი (მდოვრე) დასკვნით. იტალ. უ. სწრაფი, ნელი და ისევ სწრაფი ნაწილების მონაცვლეობით. უ-ის ორივე ტიპმა მნ. როლი ითამაშა სონატურ-სიმფ. ციკლის განვითარებაში. თავდაპირველად საოპერო უ. თემატურად არ იყო დაკავშირებული თვით ოპერასთან. XVIII ს. II ნახევრიდან მას სიმფ. პროლოგის სახე აქვს და ოპერის შინაარსს განმარტავს. საოპერო უ-ბის სახეებია; კლასიკური უ. და პოპურის ფორმის უ. დრამ. პიესების უ-იდან აღსანიშნავია ბეთჰოვენის უვერტიურები გოეთეს „ეგმონტისა“ და კოლინის „კორიოლანის“ დადგმებისათვის, აგრეთვე შექსპირის „მეფე ლირისა“ და „ზაფხულის ღამის სიზმრის“ უ-ბი (ბალაკირევი, მენდელსონი) და სხვ.

ულტრაბგერა (ელექტრომუსიკაში), იმ მაღალხარისხიანი აკუსტიკური რხევების დიაპაზონი, რომელიც სცილდება ადამიანის სმენითი აღქმის ფარგლებს (15-20 კილოჰერცზე ზემოთ).

უნდეციმა (ლათ. undecima-მეთერთმეტე), 1. გამის XI საფეხური; 2. ინტერვალი პირველ და XI საფეხურს შორის.

უნისონი (იტალ. unisono ლათ. unus ერთი ბგერა), ერთი და იმავე სახელწოდების (ერთი ან სხვადასხვა ოქტავის) ორი ან მეტი ბგერის ერთდროული ჟღერადობა.

ურმული, ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების ჟანრი, ინდივიდუალური ხასიათის შრომის ლექს-სიმღერის ერთ-ერთი უძველესი სახეობა. გავრცელებულია უპირატესად აღმ. საქ-ში. წარმოშობით უ. არქაული მოვლენაა, მოიცავს საკულტო, საფერხისო მოტივებს. მოგვიანებით მასში აისახა კლასობრივი დიფერენციაცია, გლეხკაცის მძიმე ცხოვრება. უ. მეურმის სიმღერაა, ახასიათებს განვითარებული და გამომსახველი მელოდია, შესრულების თავისებური ხერხები და მტკიცე მუს. ფორმა. იწყება მაღალ ფარდებში, ვითარდება დაღმავალი მოძრაობით, გაივლის სხვადასხვა საფეხურს და მთავრდება ტონიკაზე. გვხვდება მოდულაციური

გადახრები და კილოური ან ტონალური მოდულაციები. ინტონირების მხრივ უ-ს ახასიათებს რეჩიტატივის შენაცვლება მდიდრულად მოჩუქურთმებულ მელოდიასთან. რიტმი თავისუფალია, იყოფა უმეტესად არა ტაქტებად, არამედ პოეტური ტექსტის მიხედვით ცალკეულ ფრაზებად და წინადადებებად. უ-ის მრავალი ვარიანტი არსებობს. პოპულარული უ-ებია „აღზევანს წავალ", „კამეჩი ღონიერია", „ურემო, ფერსო მაღალო", „კამეჩმა თქვა" და სხვ. უ. გავრცელებული უნდა ყოფილიყო დას. საქ-შიც ამაზე მეტყველებს მეხრეობასთან დაკავშირებული „ჩელას" ციკლის ლექს-სიმღერები.

გ. ჩხიკვაძე, გ. ჭელიძე.

ფ

ფა, იტალ (fa), ერთ-ერთი მუსიკალური ბგერა. ძირითადი (დო-მაჟორული) დიატონური ბგერათრიგის მეოთხე საფეხური. აღინიშნება ლათ. F ასოთი.



ფაგოტი (იტალ fagotto სიტყვასიტყვით კვანძი, ნასკვი), ყველაზე დაბალი რეგისტრის მუსიკალური საკრავი ხის სასულე საკრავთა ჯგუფიდან. იგი შედის სიმფ. ორკესტრის შემადგენლობაში. ფ. შეიქმნა XVI ს. 20-30-იან წლებში იტალიაში. სიმფ. ორკესტრში დამკვიდრდა XVIII ს-ის შუა წლებში. ფ-ის ნაირსახეობაა კონტრაფაგოტი.

ფალია (Falla) მანუელ დე [23. XI.1876, კადისი,–14.XI.1946, ალტა-გრასია, არგენტინა], ესპანელი კომპოზიტორი და პიანისტი. XX ს-ის მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი. სწავლობდა ფ. პედრელთან (კომპოზიცია). სახელი გაითქვა ოპერით „წამიერი ცხოვრება“ (1905, დაიდგა 1913). 1907-14 ცხოვრობდა პარიზში, ხვდებოდა კ. დებიუსის, მ. რაველს, პ. დიუკას, განიცადა მათი მუსიკის გავლენა („ღამეები ესპანეთის ბაღებში“, ფ-ნოს და ორკესტრისათვის, 1915). აღსანიშავია ფ-ს ბალეტები: „ჯადოსნური სიყვარული“ (1915 მადრიდი), „სამკუთხა ქუდი“ (1919, ლონდონი), 7 ესპანური ხალხ. სიმღერა ხმისა და ფ-ნოსათვის (1914), 4 ესპანური პიესა ფ-ნოსათვის (1909), პიესა გიტარისათვის (დებიუსის ხსოვნისადმი მიძღვნილი 1920). ფ-ს შემ-ში XX ს. დასაწყისის ევროპული მუსიკის სტილისტური თავისებურებები ორგანულადაა შერწყმული ეროვნულ მუს. ტრადიციებთან. ფ. ესპანური მუსიკის კლასიკოსია.

ფალიაშვილი ვახტანგ ლევანის ძე [2. VII. 1919, თბილისი,–7. XII.1980, იქვე], ქართველი დირიჟორი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. საქ. სახ. არტისტი (1965). დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. გაუკის სადირიჟორო კლ., 1943). დირიჟორობდა ჯერ მოსკოვში, საკავშირო რადიოს დიდ სიმფ. ორკესტრში (1941-43), შემდეგ თბ. საოპერო თეატრში (1944-67). 1968-73 იგი მთ. დირიჟორი იყო. მართავდა გასტროლებს უცხოეთის ქვეყნებში. მის რეპერტუარში შედიოდა ქართველ, რუს და უცხოელ კომპოზიტორთა 70-ზე მეტი ოპერა და ბალეტი. მ. შ. ზ. ფალიაშვილის ოპერები: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, რ. გაბიჩვაძის ბალეტები „ჰამლეტი“ და „მედეა“, პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, ჯ. ვერდის „აიდა“ და სხვ. დირიჟორობდა სიმფ. ორკესტრებს. მისი შესრულება გამოირჩეოდა მაღალი პროფეს. კულტურით. 1944-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია, (1961-იდან –პროფ.). ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1971).



ფალიაშვილი ზაქარია პეტრეს ძე [3. VIII. 1871, ქუთაისი,–6. X. 1933, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. საქ. სახ. არტისტი (1925). ქართ. ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი. ზაქარიას მამა პეტრე მნათე იყო ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში. ზაქარიას მშობლებს პეტრესა და მარიამს ყავდათ 18 შვილი. მუსიკოსები იყვნენ აგრეთვე ფ-ის 4 ძმა და და. ფალიაშვილების წინაპრების მშობლიური კერა იყო მესხეთი, მათი ოჯახი ეკუთვნოდა ქართველ კათოლიკეთა იმ ჯგუფს, რომელიც ახალციხიდან გადავიდა და ქუთაისში დასახლდა. თავდაპირველი მუს. განათლება უფროსი ძმის ივანეს ხელმძღვანელობით მიიღო ქუთაისში. სწავლობდა ფ-ნოსა და ორგანზე დაკვრას, ხოლო შემდეგ ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ორწლიან სამრევლო სკოლაში, სადაც შეისწავლა ფისჰარმონიაზე დაკვრა. ფ-ნოზე დაკვრას ზაქარია ივანესთან ერთად ფელიქსს მიზანდართან ეუფლებოდა. 1887 თბ. კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის წინამძღვარმა ალფონსო ხითარიშვილმა ზაქარია და ივანე თბილისში წაიყვანა. ივანე ტაძარში მუშობდა ორგანისტად, ზაქარია კი მისი თანაშემწე იყო და გალობდა. 1887-89 ივანე და ზაქარია ლ. აღნიაშვილის ეთნოგრაფიულ გუნდში მღეროდნენ. სადაც ეზიარნენ ეროვნულ მემკვიდრეობას. 1891-იდან ზაქარია თბ. სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა ვალტორნაზე დაკვრას, 1895-99 თეორიულ დისციპლინებში მეცადინეობდა ნ. კლენოვსკის ხელმძღვანელობით. 1896-იდან დაიწყო ქართ. ხალხ. სიმღერების ჩაწერა და დამუშავება. შექმნა თავისი პირველი ნაწარმოებები. უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო 1900-1903 მოსკოვის კონს-ში ს. ტანეევის ხელმძღვანელობით. მოსკოვში ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა გუნდი და მართავდა ქართული ხალხ. მუსიკის საღამოებს. 1903 ფ. დაბრუნდა საქ-ში. დაიწყო ინტენსიური შემოქმედებითი, პედ. და საშემსრულებლო (ორგანისტი და დირიჟორი) მოღვაწეობა. მუშაობდა სამუსიკო სასწავლებელსა და ქართულ გიმნაზიაში. აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ დაფუძნებაში (1905), დააარსა გუნდი და ორკესტრი. 1908-17 სათავეში ედგა ამ საზოგადოების სამუსიკო სკოლას. 1905 მოსკოვში დაიბეჭდა ფ-ის პირველი რომანსები: „ახალ აღნაგო სულო“, „ნანა, შვილო“ (მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილს). ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე „მრავალჟამიერი“ (სოლისტი, გუნდი და ორკესტრი, 1908), ქართული ლიტურგია (1910). განაგრძობდა ხალხ. სიმღერების შეკრებასა (300-მდე) და დამუშავებას. გამოსცა 2 კრებული –„40 ქართული ხალხური სიმღერა“ (1910) და „8 ქართული ხალხ. სიმღერა“ (დამუშავება; 1910). 1910 ფ-მა დაიწყო მუშაობა ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“, რომლის ნაწყვეტები 1913 შესრულდა. 1919 21 თებერვალს ავტორის დირიჟორობით გაიმართა ამ ოპერის პრემიერა.

მომდევნო პერიოდში ფ-მა განაგრძო აქტიური შემოქმედებითი, პედ. და საზ. მოღვაწეობა. იყო თბ. კონს. პროფ. (1919-იდან) და დირექტორი (1918-1919, 1922-1923, 1929-1932). შექმნა ოპერები –„დაისი“ (პრემიერა 1923, 19 დეკემბერს) და „ლატავრა“ (1927; პრემიერა 1928 16 მარტი), „საზეიმო კანტატა“ (1927) და სხვ.

ფ-ის შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

მან ფუძემდებლური როლი შეასრულა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბებაში. ფ-ის საუკეთესო ქმნილებებით ქართველმა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო მუს. კულტურის საგანძურში. მისი შემოქმედება მაღალი იდეურობისა და ხალხურობის ნიმუშია. ფ. პირველი ქართველი კომპოზიტორი იყო, რომელმაც თავის ნაწარმოებებში განასახიერა ქართველი ხალხის სულიერი ძალა და მუს. გენია. თავისი შემოქმედება ფ-მა ააგო ქართ. ხალხ. მუს. კულტურის მხატვრული განზოგადებისა და მსოფლიო კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებთან მისი სინთეზირების საფუძველზე. ფ. ნოვატორი კომპოზიტორია, რ-მაც გადაწყვიტა იმ დროის ქართ. მუსიკის წინაშე მდგარი უმთავრესი პრობლემები, მოახდინა მისი პროფესიონალიზაცია. იგი პირველი დაეუფლა მონუმ. მუს. ფორმას, შექმნა ეროვნ. სტილის კლასიკური ნიმუშები. კომპოზიტორის მემკვიდრეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოპერებს, რ-ებიც ცოცხლად წარმოგვისახავს ისტ. წარსულის ჰეროიკას, ხალხის ცხოვრების სურათებს, ეროვნ. ეპოსის დიდებულ სახეებს. ფ-მა შექმნა ქართული ოპერის 3 განსხვავებული ტიპი: მონუმენტური ოპერა-ტრაგედია „აბესალომ და ეთერი“, ლირიკულ-დრამატული „დაისი“, გმირულ-პატრიოტული –„ლატავრა“. პირველი ორის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. ფ-ის გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართ. ეროვნ. კულტურის ერთ-ერთი მწვერვალია (ლიბრეტო ხალხ. თქმულების „ეთერიანის“ საფუძველზე შეადგინა პ. მირიანაშვილმა).სიყვარულისა და სიკვდილის ამაღლებული პოემა კომპოზიტორმა მუს. ტრაგედიის სადა და ამავე დროს მონუმ. ფორმებში გადაწყვიტა. ღრმა სოც.-ეთიკურმა იდეამ (სიყვარულის ძალა გადალახავს სოც. უთანასწორობის ზღუდეს და ამარცხებს თვით სიკვდილს) განსაზღვრა ოპერის მუსიკის ამაღლებულობა და მონუმენტურობა, მხატვრული სახეებისა და დრამატურგიის ეპიკური ხასიათი, რაც საგუნდო მასობრივი სცენების სიჭარბისა და მოქმედების დინჯი განვითარებით არის ხაზგასმული. ამავე დროს, ოპერის მუსიკა უდიდესი შინაგანი ექსპრესიითა და დინამიზმითაა გამსჭვალული. თბ. საოპერო თეატრის გარდა იგი დაიდგა ხარკოვში (1931), მოსკოვში სსრკ დიდ თეატრში (1939 და 1946), ლენინგრადში (1972), კიევში (1972), ქუთაისში (1969), ლოძში (1972), საარბრიუკენში (1974). გამოცემულია ოპერის კლავირი და პარტიტურა, ოპერა ჩაწერილია გრამფირფიტებზე, გადაღებულია ფილმი.

მაღალმხატვრული თვისებებით, მკაფიო ეროვნული ნიშნებით არის აღბეჭდილი ფ-ის მეორე შესანიშნავი ქმნილება ოპერა „დაისი“ (ლიბრეტო ვ. გუნიასი), რომელმაც დასაბამი მისცა ლირ-დრამ. ჟანრს ქართულ საოპერო მუსიკაში. მხატვრულ სახეთა სიმდიდრემ და ფერადოვნებამ, მუსიკის იშვიათმა პოეტურობამ და გამომსახველობამ, ნათელმა მელოდიურობამ განაპირობა ოპერის ისტ. მნ-ბა და პოპულარობა. ოპერაში შეხამებულია ლირ. სატრფიალო და გმირულ–პატრიოტული მოტივები. დღემდე დიდი წარმატებით იდგმება თბ. საოპერო თეატრის სცენაზე. დაიდგა აგრეთვე მოსკოვში (1937), კიევში (1938), ალმა-ათაში (1943), ბაქოში (1956), სარატოვში, ოდესაში, ნოვოსიბირსკში, ერევანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, საარბრიუკენში (გფრ), პლზენში (ჩეხ. სრ. 1975). გამოცემულია „დაისის“ კლავირი და პარტიტურა, ოპერა ჩაწერილია გრამფირფიტებზე, გადაღებულია ფილმი.

მნიშვნელოვანი მუს. ღირსებებით გამოირჩევა „ლატავრას“ (ლიბრეტო ს.შანშიაშვილისა) ცალკეული სოლო ნომრები და საგუნდო ეპიზოდები.

ფ-ის ოპერებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა. მის სახელს ატარებს თბ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკადემიური თეატრი (1937), ქუჩები თბილისსა და ქუთაისში,

სადაც აგრეთვე გახსნილია ფ-ის სახ. სახლ-მუზეუმები. 1971 დაწესდა ფ-ის პრემია. ფ. დაკრძალულია თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში.

ლ. დონაძე

ფალიაშვილი ივანე პეტრეს ძე [1. X. 1868, ქუთაისი,–7. III. 1934, თბ.], ქართველი დირიჟორი, პიანისტი, ორგანისტი. საქ. სახ. არტისტი (1924). ერთხანს უკრავდა ორგანზე თბ. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში. 1887-იდან თავის ძმასთან, ზაქარიასთან ერთად მღეროდა ლ. აღნიაშვილის ეთნოგრაფიულ გუნდში. სადირიჟორო მოღვაწეობა დაიწყო ქართული თეატრის საოპერეტო დასში. 1892 მიიწვიეს თბ. „სამუსიკო წრის“ დირიჟორად (აქ მის სპექტაკლებში მონაწილეობდა თ. შალიაპინი). 1893-1922 ფ. მუშაობდა აგრეთვე უკრაინისა და რუსეთის საოპერო თეატრებში დირიჟორად და ქორმაისტერად, 1922-34–თბ. საოპერო თეატრის მთ. დირიჟორად. შექმნა „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ შესრულების მხატვრული ტრადიცია. იყო „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ სიმფ. ორკესტრის ერთ-ერთი დამაარსებელი, დირიჟორი და სამხ. ხე-ლი (1923-28). ფ-ის რეპერტუარში შედიოდა ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა 80-ზე მეტი ოპერა. დირიჟორობდა სიმფ. კონცერტებს. მისი დირიჟორობით თბ-ში პირველად აჟღერდა ბეთჰოვენის IX სიმფონია (1927). ფ-ის შესრულება გამოირჩეოდა მაღალი ოსტატობითა და ემოციურობით.

თ. კვირიკაძე

ფალცეტი (იტალ. falsetto), 1. მომღერლის ხმის განსაკუთრებული მაღალი რეგისტრის ბგერა. 2. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებური ხმა.



ფანდური, ქართული ხალხური სიმებიან-ჩამოსაკრავი საკრავი. ფართოდაა გავრცელებული აღმ. საქ. მთასა და ბარში. ტერმინს „ფანდურს“ ვხვდებით X ს. წერილობით წყაროებში. ფ-ის ტიპის სიმებიანი საკრავი აქვთ სხვა ხალხებსაც (სომხური „ფანდირნი“, სპარსული „თანბური“, არაბული „ტონბური“, უკრაინული „ბანდურა“ და სხვ). ფ. სამსიმიანი საკრავია, ვხვდებით ორსიმიან ფ-საც (ხევსურეთში). ფ-ის წყობა: პატარა ტერცია I და II სიმებს შორის და დიდი სეკუნდა II და III სიმებს შორის. ფ-ზე მიიღება მეტად თავისებური წყობის კილო (ტერცია და სექსტა ნეიტრალურია). ძირითადად ფ. სოლო ან მრავალხმიანი სიმღერის თანმხლებია, თუმცა მასზე შეიძლება დამოუკიდებელი ნაწარმოების (უმთავრესად საცეკვაო მელოდიების) შესრულებაც.

ს. ჟორდანია.

ფანტაზია (ბერძ. phantasia-წარმოსახვა), თავისუფალი ფორმის მუსიკალური პიესა იმპროვიზაციული ხასიათისა.

ფანფარა (იტალ. fanfara < ფრანგ. fanfare), 1. სპილენძის სასულე სასიგნალო მუსიკალური საკრავი. მოგრძო უვენტილო საყვირი. 2. საზეიმო ან საბრძოლო ხასიათის სიგნალი. ჩვეულებრივ შედგება მაჟორული სამხმოვანების ბგერებისაგან. იყენებენ სიმფ. და საოპერო მუსიკაში.

ფაქტურა (ლათ. factura დამუშავება, ავებულება), მუსიკალური გადმოცემის საშუალებათა ერთობლიობა (მელოდია, აკორდები, პოლიფონიური ხმები და სხვ.), რაც ქმნის ნაწარმოების ტექნიკურ წყობას.

ფერმატა (იტალ. fermata), ნიშანი, რომელიც ნოტის ან პაუზის ხანგრძლივობას ზრდის განუსაზღვრელი დროით.

ფერხული, უძველესი ქართული ხალხური (უპირატესად მამაკაცთა) ცეკვა. შინაარსის მიხედვით არსებობს: საბრძოლო (მეომრულ-ლაშქრული), საყოფაცხოვრებო და სხვა. ფ-ბი ფორმის მიხედვით არსებობს: წრიული, წრე წრეში ჩასმული და სართულიანი (ორსართულა ან ზემყრელო). მუს. ზომა 3/4. დღეისათვის საფერხულო რეპერტუარით ყველაზე მდიდარია სვანეთი. აქ შემონახულია უძველესი წარმართული ფ-ბი. ფ. გავრცელებულია აგრეთვე რაჭაში, გურიაში, სამეგრელოსა და მესხეთში. ზოგიერთი ფერხული შედგება ნელი და ჩქარი ნაწილებისაგან. მუს. ზომა 4/4.

ფესტივალი (ფრანგ. festival) ხელოვნების რომელიმე დარგის (მუსიკა, კინო, თეატრი) მიღწევათა ჩვენება, დათვალიერება. ეწყობა პერიოდულად.

ფილარმონია (ბერძ. phileo-მიყვარს და harmonia -ჰარმონია), 1 საკონცერტო ორგანიზაციებისა და საზოგადოებების სახელწოდება ზოგიერთ ქვყანაში. XIX ს-ში ევრ. და ამერ. ქალაქებში შეიქმნა ფილარმონიული საზოგადოებები, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ სიმფონიურ მუსიკას . XX ს-ში ასეთი საზოგადოებები ფართოდ გავრცელდა. საქართველოში ფილარმონიული საზოგადოება ჩამოყალიბდა 1905. 2. საზოგადოება ან დაწესებულება, რომელიც აწყობს კონცერტებს და ეწევა მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდას.

ფინალი (იტალ. finale < ლათ. finis-დასასრული, ბოლო), 1. ციკლური მუსიკალური ნაწარმოების (სონატა, კამერული ანსამბლი, კონცერტი, სიმფ.) დასკვნითი ნაწილი, ჩვეულებრივ –ჩქარი ტემპისა და რონდოს ან სონატური ფორმისა. XVIII ს-ში ჰქონდა უპირატესად ცოცხალი, მხიარული ხასიათი. 2. ოპერის ან ბალეტის აქტის დასკვნითი ნაწილი. როგორც წესი, შეიცავს სოლო, საანსამბლო, საგუნდო ეპიზოდებს. საოპერო ფინალს ჩვეულებრივ ახასიათებს მოქმედების განვითარებისაკენ სწრაფვა, დრამატიზმი, მონუმენტურობა, საზეიმო განწყობილება.

ფიორიტურა (იტალ. fioritura, სიტყვასიტყვით– ყვავილობა), მელოდიური სამკაულების ზოგადი აღნიშვნა (იხ. ორნამენტიკა). ტერმინი იხმარება უპირატესად ვოკალურ მუსიკაში.

ფისჰარმონია, ჰარმონიუმი (გერმ. Fisharmonium< ბერძ. physa-საბერველი და harmonia ჰარმონია), სასულე – კლავიშიანი საკრავი. შეიქმნა XIX ს. 10-იან წლებში. ფ-ის წინამორბედია ე. წ. ორგან-ექსპრესივი, რომელიც გააკეთა ფრანგმა გ. გრენიემ (1810). თანამედროვე ფ. ფორმით მცირე ზომის პიანინოს წაგავს. აქვს ფ-ნოს კლავიატურა, 6-20



რეგისტრი, რომლებიც ირთვება გამოსაწევი ბერკეტებით. კლავიატურა იყოფა მარცხენა (c_1-e^1) და მარჯვენა (f^1-c^4) ნახევრად. ჟღერს ფოლადის მოძრავი ენაკებიანი თითბრის ფირფიტების მეშვეობით, ენაკები ირხევა საბერველიდან მომდინარე ნაჭირხნი ჰაერით. ჰაერი საბერველში იტუმბება ფეხის პედლების მეშვეობით, ფ-ის ხმა წააგავს ორგანისას.

ფიშერ დისკაუ (Fischer-Dieskau) დიტრიხ [28. V. 1925, ბერლინი], გერმანელი მომღერალი (ბარიტონი). 1948-იდან გერმანიის სახელმწ. ოპერის სოლისტი (ბერლინი). პარტიები: დონ ჯოვანი, ალმავივა (მოცარტის „დონ ჯოვანი“, „ფიგაროს ქორწინება“), ვოლფრამი („ტანჰოიზერი“), მხატვარი მატისი (ჰინდემითის „მხატვარი მატისი“), ვოცეკი (ბერგის „ვოცეკი“), ევგენი ონეგინი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“). პირველი შემსრულებელია მთავარი პარტიებისა ბ. ბრიტენისა და ჰ. ჰენცეს ოპერებში, ამავე დროს კამერული მუსიკის გამოჩენილი შემსრულებელია (ფ. შუბერტის, რ. შუმანის, ჰ. ვოლფის სიმღერები). ზოგჯერ გამოდის როგორც დირიჟორი, ავტორია წიგნებისა მუს. შემსრულებლობის შესახებ.

ფლაჟოლეტი (ფრანგ. flageolet < ძვ. ფრანგ. flageol-ფლეიტა), 1. სასულე საკრავი, განივი ფლეიტის ნაირსახეობა. აქვს ცილინდრული არხი. გავრცელებულია ნისკარტისთავიანი, მსტვენი მოწყობილობის მქონე ფ. სარქველიანი ფ. იხმარება სიმფ. და საოპერო ორკესტრებში (გლიუკისა და მოცარტის ოპერებში). 2. მსტვინავი ტემბრის ბგერა, რომელსაც გამოსცემს სიმებიანი საკრავი სიმის პარციალურ დანაყოფზე (მისი სიგრძის 1/2, 1/3, 1/4) თითის შეხებით.



ფლეიტა (გერმ. Flöte), სასულე მუსიკალური საკრავი. არსებობს განივი (დაკვრის დროს იჭერენ ჰორიზონტალურად) და გასწვრივი ანუ სიგრძივი (იჭერენ ვერტიკალურად). ფ-ბი გავრცელებულია უძველესი დროიდან. თანამედროვე ფ. განივი ტიპისაა; აქვს ცალი მხრიდან დახურული ცილინდრული ლულა. ლულის ზედა ნაწილი წარმოადგენს საკრავის თავს, შუა ნაწილში განლაგებულია მოძრავი საცობი (წყობის სარეგულირებლად), ჰაერის ჩასაბერი ხვრელი და ყველა ძირითადი სარქველი; ლულის ქვედა ნაწილში მოთავსებულია 3-4 სარქველი. საკრავი მზადდება სპეციალური ჯიშის ხისგან, ლითონისა და პლასტმასისაგან. დიაპაზონი –მცირე ოქტავის სი, ან პირველი ოქტავის დო –IV ოქტავის დო-მდე. ფ-თვის ნოტები იწერება ვიოლინოს გასაღებში. ფ. საორკესტრო, საანსამბლო და სოლო საკრავია. მისი ნაირსახეობები: მცირე ფ, (ფ. პიკოლო), ალტის ფ. და ბანის ფ.

ფლეიტა პიკოლო (პატარა), ყველაზე მაღალი ჟღერადობის ჩასაბერი საკრავი, დიდ ფლეიტაზე ორჯერ უფრო მოკლე და ვიწრო. ჟღერს ოქტავით ზემოთ დაწერილთან შედარებით. დიაპაზონი I ოქტ. „რე-დან“ IV ოქტ. „დო-მდე“ (ჟღერს II ოქტ. „რე“-დან V ოქტ. „დო“-მდე).

ფოლია (პორტუგ. „ხმაურიანი მხიარულება“), პორტუგალიური წარმოშობის ხალხური ცეკვა-სიმღერა. პირველად მოხსენიებულია XV ს-ში. ადრინდელი ფ-ს მუსიკა სწრაფი და ტემპერამენტულია, უპირატესად მაჟორულია, მოგვიანებით ფ. თავისი ხასიათით დაუახლოვდა სარაბანდას, მაჟორი შეიცვალა მინორით. XVII ს-იდან გავრცელდა მთელ ევროპაში, როგორც სარიტუალო შინაარსის ცეკვა გიტარის თანხლებით. მუს. ზომა 3/4. მას იყენებდნენ როგორც თემას ინსტრუმ. ვარიაციებისათვის ჯ. პერგოლეზი, ა. ვივალდი, ი. ბახი, ფ. ლისტი, ს. რახმანინოვი და სხვ.

ფოლკლორი (ინგლ. folklore-ხალხური სიბრძნე), 1. ხალხური ზეპირი შემოქმედება, ზეპირსიტყვიერება (სიმღერები, ლექსები, შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვ.). 2. იგივეა რაც ფოლკლორისტიკა.

ფოლკლორისტიკა, ფოლკლორის (ხალხური შემოქმედების) შემსწავლელი მეცნიერება ფ. აღმოცენდა ევროპაში XVIII-XIXსს. მიჯნაზე. სწავლობს ხალხურ სიტყვიერ, მუსიკალურ (სასიმღერო, ინსტრუმენტულ), ქორეოგრაფიულ, დრამ. და სხვა დარგებს.

ქართული ფოლკლორის ძირითად ამოცანას შეადგენს ზეპირსიტყვიერი მასალის გეგმაზომიერი შეკრება და მისი მეცნ. კლასიფიკაცია, კვლევის მეთოდების და პრინციპების შემუშავება,ხალხური შემოქმედების წარმოშობისა და მისი განვითარების საფეხურების დადგენა. ფოლკლორული ჟანრების შესწავლა, ფოლკლორის სპეციფიკის განსაზღვრა, ზეპირსიტყვიერების შინაარსობრივი და იდეურ- მხატვრული ანალიზი.

ქართულ ფ.-ს საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ში. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ეროვნ.- განმათ. მოძრაობის ლიდერებმა ი. ჭავჭავაძემ და ა.წერეთელმა, აგრეთვე რ. ერისთავმა, ი. გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, ა. ყაზბეგმა, პ. უმიკაშვილმა, თ. რაზიკაშვილმა, ა. ხახანაშვილმა, ლ. აღნიაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ვ. ბარნოვმა და ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებმა.

ფონოთეკა (ბერძ. theke- საცავი), ხმის ჩანაწერების (ფონოგრამების) საცავი, არქივი.

ფონოგრამა (ბერძ. phone ბგერა და gramma ჩანაწერი), ხმის, ბგერის ჩანაწერი ფირზე, ფირფიტაზე და მისთ.

ფორტე (იტალ forte < ლათ. fortis ხმამაღლა), ბგერის სიძლიერის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი (იხ. დინამიკა მუსიკაში).

ფორტეპიანო (იტალ. fortepiano < forte-ხმამაღლა და piano-ჩუმად), სიმებიან-დასარტყამი კლავიშებიანი მუს. საკრავი. გამოიგონა ბ. კრისტოფორიმ (იტალია, 1709-11). თავისი წინამორბედი კლავესინისაგან განსხვავებით, ფ. ბგერას გამოსცემს სიმებზე პატარა ხის ჩაქუჩების დარტყმით. ფ-მ თავისი დინამიკური და მხატვრული შესაძლებლობებით XVIII სს. დასასრულს სრულიად განდევნა კლავესინი და კლავიკორდი. ფ-ს ნაირსახეობაა პიანინო და როიალი.

ფორტისიმო (იტალ. fortissimo-ძალიან ხმამაღლა), ბგერის სიძლიერის აღნიშვნა (იხ. დინამიკა მუსიკაში).

ფორშლაგი (გერმ. vorschlag < vor წინ და schlag–დარტყმა), ერთ-ერთი მელიზმი (იხ. ორნამენტიკა). იწერება წვრილი ნოტებით. მოკლე (გადაშლილი) ფ. სრულდება წინა მელოდიური ბგერის გრძლიობის, ხოლო გრძელი (გადაუშლელი) ძირითადი ბგერის ხარჯზე.

ფოქსტროტი (ინგლ. foxtrot < fox-ნელა და trot–ჩორთი, ჩქარი ნაბიჯი), სამეჯლისო ცეკვა. აღმოცენდა აშშ-ში 1912 და მალე გავრცელდა ევროპაში. მუს. ზომა 4/4, ფ-თვის დამახასიათებელია მოკლე, სრიალა ნაბიჯი, სინკოპირებული რიტმი, მეტრულად თანაბარი მოძრაობა. ფ. ჯაზური მუსიკის ტიპური ფორმაა.

ფოცხვერაშვილი კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე [31. VIII. (12. IX) 1880, სოფ. სვირი, ახლანდ. ზესტაფონის რ-ნი,–22. III. 1959, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკისმცოდნე. საქ. სახ. არტისტი (1933). ფ. სწავლობდა პეტერბურგის კონს-ში. 1901 მან რუსეთში ჩამოაყალიბა ქართული გუნდი, რომელიც პროპაგანდას უწევდა ქართულ ხალხ. მუსიკას. 1921-35 საქ. სახელმწ. აკადემიური გუნდის ორგანიზატორი და ხელმძღვანელია. ამავე პერიოდში ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი. მისი ნაწარმოებებია: ოპერები „მანანა“ და „არმაზი“, სიმფ. პოემები: „კერპთა დამხობა“, „ამირანი“; 1905 წელს შექმნილი „ამირანი“ უნდა ჩაითვალოს ქართ. სიმფ. მუსიკის პირველ ნიმუშად. საგუნდო სიმღერები–„ძლევის სიმღერა“, „ლაშქრული“, „აჭარული მაყრული“, „ნანინა“ და სხვ; აღსანიშნავია მის მიერ დამუშავებული სიმღერები „ლალე“, „ინდი-მინდი“; 1919 ფ-მა შექმნა საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწ. ჰიმნი „დიდება“, რომელიც თავის ფუნქციას ასრულებდა 1921 თებერვლის ჩათვლით და შემდეგ კვლავ გახდა–1991 -იდან დამოუკიდებელი საქართველოს სახ. ჰიმნი 2004 წლის მაისამდე.

ფრაგმენტი (ლათ. fragmentum-ნატეხი, ნაჭერი), ხელოვნების რომელიმე ნაწარმოების (სიმფონიის და ა. შ.) ნაწილი.

ფრაზა (ბერძ. phrasis-გამოთქმა), 1. თემის, მელოდიის შედარებით დასრულებული ნაწილი. 2. მუსიკალური ფორმის თეორიაში –აგებულება, წყობა, შუალედურ მოტივსა და წინადადებას შორის. შედგება ორი მოტივისაგან და ქმნის წინადადების ნახევარს. შეიძლება წარმოადგენდეს მელოდიებად დაყოფილ მთლიან სტრუქტურას.

ფრანკი (Franck) სეზარ [10. XII. 1822, ლიეჟი, –8. XI. 1890, პარიზი], ფრანგი კომპოზიტორი და ორგანისტი. წარმოშობით ბელგიელი. სწავლობდა პარიზის კონს-ში პ. ციმერმანთან (ფ-ნო), ფ. ბენუასთან (ორგანი), ე. ლებორნთან (კომპოზიცია). 1843-იდან იყო პარიზის ეკლესიების ორგანისტი, 1872-იდან პარიზის კონს-ის პედაგოგი. ეროვნ. მუს. საზ-ბის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1871), 1886-იდან თავმჯდომარე. ფ. მუს. რომანტიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ნაწარმოებები: სიმფონია (1888), სიმფ. პოემები –„ეოლიდები“

(1876), „დაწყევლილი მონადირე“ (1882), „ფსიქე“ (1888); პოემა „ჯინები“ (1884) და „სიმფონიური ვარიაციები“ (1885) ფ-ნოსა და ორკესტრისათვის; ორატორია „მონანიება“ (1874), „ნეტარების მცნებები“ (1869-79); ოპერები „ჰულდა“ (1885), „გიზელი“ (დაასრულეს მისმა მოწაფეებმა ვ. დ'ენდიმ, ე. შოსონმა, დაიდგა 1896) და სხვ. პოპულარულია მისი „პრელუდია, ქორალი და ფუგა“ ფ-ნოსათვის და სონატა ვიოლინოსა და ფ-ნოსათვის.

ფ-ის მუსიკისათვის დამახასიათებელია რომანტ. სახოვანებისა და სტილის კლასიკური მკაფიობა, ი. ს. ბახის პოლიფონიის, ბეთჰოვენის ინსტრუმენტალიზმისა და გვიანდ. რომანტიზმის გამომსახველ ხერხთა სინთეზი. ფ-ის მუსიკაში მზადდება იმპრესიონიზმისა და ნეოკლასიციზმის ცალკეული თვისებები.

ფრიგიული მელოდიური კილო, აგებული შემდეგი ფორმულით, ნახევარი ტონი-ტონი-ტონი-ტონი-ნახევარი ტონი-ტონი. ფ. კილოს ბგერათა რიგი ნატურალური მინორისაგან განსხვავდება უფრო დაბალი II საფეხურით, რომელიც ტონიკასთან ქმნის არა დიდ, არამედ პატარა. ე.წ. „ფრიგიულ სეკუნდას“. ფ. კილოს ტონიკიდან ზემოთ აქვს ყველა წმინდა და პატარა ინტერვალი და ამიტომ მელოდიურ კილოებს შორის იგი ყველაზე მეტად მიისწრაფვის ქვემოთ.

ფსალმოდია (ბერძ. psalmodia < psalmos ფსალმუნი და ðdë-სიმღერა, მღერა), ფსალმუნის გალობის თავისებური ფორმა, მელოდიური დეკლამაცია. ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში შემოვიდა იუდაიზმიდან. ფ-ის რიტმიკას განაპირობებს ტექსტის გრამატიკული და ლოგიკური მახვილები. ფ. ეწოდება აგრეთვე ორი გუნდის ან სოლისტისა და გუნდის გალობას მონაცვლეობით, დიალოგის ფორმით. (იხ. ანტიფონი).

ფსალმუნი (ბერძ. psalmos სახოტბო საგალობელი), რელიგიური საგალობელი; ფსალმუნებისაგან შედგება დავითნი (ბიბლიის ნაწილი).

ფუგა (იტალ. fuga< ლათ. fuga-სირბილი, გაქცევა), მრავალხმიანი მუსიკის უმაღლესი ფორმა. აგებულია კვინტური იმიტაციის პრინციპზე,ერთი თემა სხვადასხვა ხმის საშუალებით მიმდევრობით გადმოიცემა 2 ან მეტ ხმაში (თითქოს ერთი უნდა დაეწიოს მეორეს), შემდეგ კი მუშავდება კონტრაპუნქტულად. ჩვეულებრივი ფუგა 3 ნაწილისაგან შედგება: 1. ექსპოზიცია, რომელშიც თემა თანამიმდევრობით ტარდება ყველა ხმაში; 2. დამუშავება, რომელშიც თემა ან საზოგადოდ ექსპოზიციის მასალა ინვენციურად ვითარდება; 3. უკანასკნელი გატარება (რეპრიზა), რომელშიც კვლავ მოცემულია თემა მთელი მოძრაობის ძირითად ტონალობაში განმტკიცებით. ფ. შეიძლება იყოს მარტივი (აგებული ერთ მარტივ, ერთხმიან თემაზე), ორმაგი (აგებული 2 ერთხმიან თემაზე), სამმაგი (აგებული 3 ერთხმიან თემაზე). ფ. იწერება ცალკე ან პრელუდიასთან ერთად, როგორც ციკლური ფორმის ნაწილი. ფუგის უდიდესი ოსტატები იყვნენ XVIII ს-ში ბახი, ჰენდელი, შემდეგ-მოცარტი, ბეთჰოვენი.

ფუგატო (იტალ. fugato, სიტყვა-სიტყვით—ფუგის მსგავსი), პოლიფონიური მუსიკის

ფორმა (იხ. პოლიფონია), როგორც დამოუკიდებელი თხზულება ფუგისაგან განსხვავებით არ არსებობს, ჩვეულებრივ ახლავს სხვა მუსიკალურ ფორმას, უფრო ხშირად შემსრულებლის სონატური ფორმის მონაკვეთში.

ფუგეტა (იტალ. fughetta < fuga-ფუგა), მცირე ზომის მარტივი აგებულების ფუგა.

ფურტვენგლერი (Furtwängler), ვილჰელმ [25. I. 1886, ბერლინი,–30. XI. 1954, ებერშტაინბურგი], გერმანელი დირიჟორი და კომპოზიტორი. მისი ძირითადი მოღვაწეობა დაკავშირებულია ბერლინის ფილარმონიის ორკ-თან (1922-45, 1947-52) და ვენის ფილარმონიის ორკ-თან (1928-30, 1939-45). გასტროლებს მართავდა როგორც საოპერო და სიმფ. დირიჟორი. ფ. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორია. მისი რეპერტუარის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ბეთჰოვენის, ბრამსის, ბრუკნერის სიმფონიები, მოცარტის, ვაგნერის ოპერები, ჰინდემითის, ბარტოკის, სტრავინსკის, პროკოფიევის ნაწ-ები. ავტორია 3 სიმფონიისა და სხვა ინსტრუმ. ნაწ-ების.

ქ

ქავთარაძე ნანა სიმონის ასული [19.IX.1935, თბილისი], მუსიკისმცოდნე-ისტორიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2013), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1982), კომპოზიტორთა კავშირის წევრი, ასოცირებული პროფესორი (1999).

1961 წელს დაამთ. თბილისის სახელმწოფო კონსერვატორია მუსიკის ისტორიის სპეციალობით (პედ. პ. ხუჭუა). 1964-1984 თბილსიის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, ჟურნალ საბჭოთა ხელოვნების მუსიკალური განყოფილების გამგე. 1984 -იდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, 1984-1989 მუსიკის ისტორიის კათედრის გამგე, მის მიერ გამოცემულია: „დ. არაყიშვილი"(1974), „მ. დავითაშვილი" (1976), „ნ. ხარაძე"(1995), „ე. ისაკაძე"(1999), „ა, ნიჟარაძე"(2000), „თ. მუშკუდიანი" (2008), პუბლიკაციები და სხვ.



ქამანჩა, სიმებიანი მუსიკალური საკრავი. გავრცელებულია ამიერკავკასიასა (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) და აღმ. ქვეყნებში, საქ-ში უპირატესად თბ-ში, თელავსა და გორში. აქვს ბურთისებრი ტანი და გრძელი ტანისაკენ შევიწროვებული ტარი. სიმების დასამაგრებელი 4 მოქლონი გაყრილია ტარის თავში. ტანის ბოლოზე მიმაგრებულია საკრავის საყრდენი ფეხი. უკრავენ ხემით. ჯორაკი სიმებს ირიბად აქვს შედგმული. დაკვრის დროს ქ. ვერტიკალურად უჭირავთ იგი ეყრდნობა შემსრულებლის მუხლს. სიმები აწყობილია კვარტულ-კვინტური შეფარდებით–მცირე ოქტ. ლა-პირველი ოქტ. მი; პირველი ოქტ. ლა–მეორე ოქტ. მი. გამოირჩევა ფართო დიაპაზონითა და მელოდიური შესაძლებლობებით.

„ქართული", ქართული ხალხური ცეკვა წყვილისათვის. ცნობილი იყო ლეკურის სახელწოდებით. ჩაისახა ქართლსა და კახეთში (XI–XII სს.) მუს. ზომა 6/8. ცეკვა ქ. ხალხური ქორეოგრაფიის შედევრთაგანია. ცეკვა „ქ-ში" რომლის შესავალია „დავლური", მკაფიოდ არის ასახული ქართველი მამაკაცის რაინდული ბუნება, სიდარბაისლე და მანდილოსნისადმი პატივისცემა და მოკრძალება. „ქ-ის" ნიმუშები გვხვდება ზ. ფალიაშვილის ოპერებში „აბესალომ და ეთერი" და „დაისი", დ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე", მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში" და სხვ.

ქართული ესტრადა, ქართული საესტრადო ხელოვნება სათავეს იღებს ხალხურ თამაშობებში („ბერიკაობა", „ყეენობა" და სხვ.). რაჭველი მესტვირეების, სასახლის კარისა თუ სოფელ – ქალაქების ხუმართა გამოსვლებში, აგრეთვე კაფია-გაშაირებებში, რომელიც

გავრცელებულია დღემდე, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში. ერეკლე II-ის დროინდელ ქართულ სახიობაში მაჩაბელა, საიათნოვა, შანშიაშვილი საკუთარ სიმღერებს ასრულებდნენ. სკეტჩებით, ვოდევილებით, სახუმარო ცეკვებითა და სიმღერებით ქართულ სცენას ამშვენებდნენ მ. საფაროვა-აბაშიძისა, ნ. გაბუნია, ვ. მესხიშვილი, კ. მესხი, კ. ყიფიანი და სხვ. პროფესიულ ქართული საესტრადო ხელოვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ვ. აბაშიძეს, მან პირველმა შემოიტანა სცენაზე საჭირბოროტო სატირული ჟანრი. ესტრადაზე გამოდიოდნენ სახელმოხვეჭილი მომღერლები: ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, დ. ბადრიძე და სხვ. დიდი წარმატება ჰქონდათ მოსკოვში მოღვაწე ქართულ მომღერლებს თ. წერეთელსა და ქ. ჯაფარიძეს. 1950 –იან წლებში დაიწყო ქართული ესტრადის ახალი აღმავლობის ხანა, იგი გამდიდრდა ხალხური თვითმოქმედების ძალებით. თვითმოქმედებიდან მოვიდნენ ძველებური სიმღერების უბადლო შემსრულემლები: დები იშხნელები, აგრეთვე მ. შილდელი, ლ. გეგელია, მ. გოძიაშვილი; საესტრადო ორკესტრების- „რეროს" (1957), „ორერას"(1961), „დიელოს" (1962), „ივერიის" (1967) შემსრყლებელთა დიდი ნაწილი. პოპულარობა მოიხვეჭეს საესტრადო სიმღერების შემსრულებლებმა ნ. ბრეგვაძემ, გ. დოლიძემ, ვ. კიკაბაძემ, მ. ძიძიგურმა, ე. კაკულიამ, თ. წიკლაურმა, გ. ჩოხელმა, ნ. აბესაძემ, ს. კოროშინაძემ, თ. გვერწითელმა, ა. ჯოხაძემ, თ. ჭოხონელიძემ, მ. სეფაშვილმა, ე. მამალაძემ, ნ. მეტონიძემ, თ. თათარაშვილმა, დ. გომართელმა, ლ. ბაგრატიონმა, ლ. წურწუმიამ, ს. ბედიამ, ბ. ბედიამ, ს. პავლიაშვილმა, ს. ხალვაშმა, ს. ნიჟარაძემ, მ. ჯაბუამ, ი. სოხაძემ, მ. თოდაძემ და სხვ. მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ კომპოზიტორები: გ. ცაბაძე, ნ. ვაწაძე, ს. მირიანაშვილი, შ. მილორავა, დ. თორაძე, ა. კერესელიძე, ა. ბასილაია და სხვ. ამჟამად: გ. ყანჩელი, ვ. აზარაშვილი, ზ. მჟავია, რ. სებისკვერაძე, მ. კვალიაშვილი, ნ. დუღაშვილი, ვ. დურგლიშვილი, ჯ. სეფიაშვილი და სხვ.

ქართული მუსიკა. მატერიალური კულტურის ძეგლებითა და წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ქართული მუსიკის სათავეები 3 ათასი წლის წინაა საძიებელი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არქეოლოგების მიერ მცხეთის რაიონში აღმოჩენილი გედის წვივის ძვლისაგან დამზადებული სამთვლიანი სალამური (ძვ. წ. XV–XIV სს.). სხვა სამუსიკო საკრავთაგან დღემდე მოღწეულია შვიდთვლიანი სალამური, ექვსღეროვანი სოინარი ანუ ლარჭები, ბუკი, გუდასტვირი, ჭიბონი ანუ ჭიმონი, ჩანგი, ფანდური, ჩონგური, ჭიანური, ჭუნირი, დოლი, დაირა, დიპლიპიტო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველთა სასიმღერო შემოქმედება, ჯერ კიდევ VIII და V სს. ძვ. წ. ისტ. საბუთებში გვხვდება ცნობები შრომის, სალაშქრო და საფერხულო სიმღერების შესახებ. ჩვენამდე მოღწეული მრავალი სიმღერის არქაული სამუსიკო აღნაგობა და წარმართული შინაარსის ტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ქართველ ხალხს ამ პერიოდისათვის უნდა ჰქონოდა სხვა ჟანრის სიმღერებიც.

ქართული მუს. ფოლკლორი მრავალ დიალექტს მოიცავს: ხევსურულს, თუშურს, ფშაურს, მოხეურს, მთიულურს, ქართლ-კახურს, მესხურს, რაჭულს, ლეჩხუმურს, სვანურს, იმერულს, გურულს, მეგრულს, აჭარულს, ლაზურს. ქართ. ხალხ. მუსიკის თავისებურებაა მრავალფეროვანი, თავისთავადი 1, 2, 3 და 4-ხმიანობა, რ-იც თავის მხრივ იყოფა 2 ძირითად განშტოებად: აღმ.საქართველოს და დას. საქართველოს მუს. შემოქმედებად. ერთხმიანი სიმღერა ორგვარია- ცალფა (სოლო) და გუნდური (ეს უკანასკნელი განვლილი ეტაპია). ცალფა სიმღერებია „ნანა", ქართლ-კახური „ურმული", „ოროველა" (გვხვდება ორხმიანიც) და თუშ-ფშავ-ხევსურების,

მესხების, ლაზების სასიმღერო შემოქმედების დიდი ნაწილი. ზოგიერთი ცალფა სიმღერა სამუსიკო საკრავების თანხლებით სრულდება. ორხმიანი სიმღერები გვხვდება უმთავრესად აღმ. საქართველოს მთასა და ბარში, აჭარაში, ცნობილია აგრეთვე მეგრული, ლაზური და მესხური ორხმიანობა, ქართ. სამხმიანობისათვის დამახასიათებელია ჰომოფონიური და ჰომოფონიურ-პოლიფონიური აღნაგობა. ერთ შემთხვევაში ორი ზემო ხმა მელოდიას პარალელური მოძრაობით ავითარებს, მეორე შემთხვევაში ან პირველი ხმაა მთქმელი და მეორე - მოძახილი, ან პირუკუ, რაც მათ შორის კონტრაპუნქტულ შეფარდებას ქმნის. ბანი ყველა შემთხვევაში ჰარმონიულ ფუნქციას ასრულებს. თავისი ფორმის, კილოური საფუძვლის, მუს. გამომსახველობის საშუალებათა მრავალფეროვნებით, რიტმულ-ინტონაციური სიმდიდრით, სამოდულაციო ხერხების ორიგინალობით საგრძნობლად გამოირჩევა ქართლ-კახური გრძელი სუფრული სიმღერები - „მრავალჟამიერი“, „ჩაკრულო“, „მო, ლხინი ვნახოთ“, „შემოძახილი“, „ხეურო“, „ჩონგურო“, „ზამთარი“ და სხვა. ესენი ქართ. შემოქმედების კლასიკური ნიმუშებია. ამ სიმღერების ფართოდ გაშლილ - განვითარებული მელოდია ორ მთქმელს მიჰყავს ხან პარალელურად, ხან მორიგეობით. ამათგან თითოეული ამჟღავნებს შემსრულებლობის მაღალ ოსტატობას, დახვეწილ მხატვრულ გემოვნებას, მდიდარ ფანტაზიას, რაც ხმებს შორის იშვიათ ორიგინალურ შეხამებებს ქმნის, თანდათან აძლიერებს დინამიკას და სიმღერა საზეიმო ხასიათს იღებს. ბანი აქაც ჰარმონიული საფუძველია, თუმცა უფრო აქტიური. მუს. აღნაგობისა და ხმების ურთიერთდამოკიდებულების მხრივ გარკვეული მსგავსებაა ქართლ-კახურ და რაჭულ სიმღერებში. ეს უფრო სუფრულ და საწესო სიმღერა „ალილოში“ შეიმჩნევა. აქვე უნდა აღინიშნოს მესტვირეობის ტრადიცია, რ-იც დღემდე შემორჩა და განვითარდა რაჭაში. მესტვირის რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს საგმირო ეპოსს, შაირებს, რომლებშიც ვლინდება იმპროვიზაციის ნიჭი, გონებამახვილობა, რამაც პოპულარობა მოუპოვა ამ საკრავს, სახელი გაუთქვა მესტვირეებს მთელ საქართველოში.

ქართულ მუს. ფოლკლორში განცალკევებით დგას სვანების ხალხ. სასიმღერო შემოქმედება, რ-იც ამჟამად უმთავრესად სამხმიანი სიმღერებითაა წარმოდგენილი. ამ სიმღერების ზვიადი, მედიდური განწყობილება კარგად ერწყმის სვანეთის გოროზ ბუნებას. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს სვანური სიმღერის ორიგინ. კილოური აღნაგობა, მეტრ-რიტმის სიმტკიცე, ხმათა სიმჭიდროვე, მკაცრი, დიადი ხმოვანება, დისონანსური შეხამებანი („ლილე“), რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მის ჟღერადობას. ხშირია სამოდულაციო გადახრები, ვხვდებით ქრომატულ სვლებს, მელოსის დინამიკურ განვითარებას („კვირია“), დამახასიათებელია ძირითადი სამხმოვანებით დაღმავალ-აღმავალი კომპლექსური მოძრაობა, რაც თავისებურ კოლორიტს ანიჭებს სიმღერას („ორდიაშუ“, „თამარ დედფალ“), გავრცელებულია საგმირო-საისტორიო, საწესო, საფერხულო ჟანრები. ლირ. სიმღერა შედარებით იშვიათია („ვოი დი ვო“, „მირანგულა“).

სტილისა და ჟანრების მიხედვით მდიდარ და მრავალფეროვან მეგრულ ფოლკლორში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამხმიან სატრფიალო, საყოფაცხოვრებო, სახუმარო სიმღერებს. ეს სიმღერები გამოირჩევა სინატიფით, ლირიზმით, გამჭვირვალე ფაქტურით („ჩელა“, „სი ქოულ ბატა“, „სისატურა“, „ერეხელი“). მათ უპირისპირდება მოძრავი დრამატიზებული საქორწინო, საცეკვაო, შრომის სიმღერები („კუჩხი ბედინერი“, „ვოი სა“, „ოდოია“, „ოჩეშხვეი“), რომლებიც თვითმყოფი ვოკალური პოლიფონიის ნიმუშებია. იმერული სიმღერებისათვის დამახასიათებელია მხნე, ხალისიანი განწყობილება. სამივე ხმა მდიდარი რიტმულ-ინტონაციური მოძრაობით გამოირჩევა („მხედრული“, „ცხენოსნური“). ფორმა უმეტესად კუპლეტურია. გამონაკლისს შეადგენს შრომის სიმღერა „ნადური“, რ-იც ყურადღებას იქცევს ფორმის

სირთულით, ხმათა ფართო განვითარებით, პოლიფ. საფუძვლის თავისებურებით. მთელი თავისი მრავალფეროვნებით ხალხ. პოლიფონია გურულ და აჭარულ სასიმღერო შემოქმედებაშია წარმოდგენილი. განსაკუთრებით სპეციფიკურია ე. წ. კრიმანჭული (მაღალი ხმა), რ-იც მომღერლისაგან მოითხოვს მამაკაცის ხმისათვის უჩვეულოდ მაღალ რეგისტრს და ხორხისმიერი (უპირატესად ორნამენტულ ხასიათის) ბგერით რთული ფიორიტურების შესრულების უნარს. მესამე ხმა - ფართო დიაპაზონიანი მოქნილი ბანი – აქტიურ მონაწილეობას იღებს სიმღერის მხატვ. სახის შექმნაში. კრიმანჭულიან სიმღერებში სიტყვიერი ტექსტი მიჰყავს უმეტესად მეორე ხმას („ხასანბეგურა“ და სხვა). ამ სიმღერების თავისებურებაა მელოდიური მრავალფეროვნება, რიტმისა და დინამიკის სიმძაფრე, თვითმყოფი ურთულესი პოლიფ. ელემენტების კომპლექსთა ფართო გამოყენება. იმპროვიზაციულობა, ტემპერამენტი, ვოკალური მახვილგონიერება დამახასიათებელია გურული და აჭარული სიმღერებისათვის, განსაკუთრებით ოთხხმიანი ნადურისათვის, რომელსაც მორიგეობით ასრულებს ორი ჯგუფისაგან შემდგარი ანსამბლი (თითოეულში არის არანაკლებ 6-6 კაცისა). ამ მხრივ აღსანიშნავია აჭარული ნადური „ქალი ვიყავ აზნაური“. ორიგინალური ფაქტურით და ფორმით გამოირჩევა აგრეთვე ხალხ. მუს. შემოქმედების მშვენება–გურული „შავი შაშვი“, რომელსაც ახასიათებს მუხლებს შორის უჩვეულო საკადანსო საქცევი კვარტაზე და თითოეული ხმის უკიდურესად ინდივიდუალური რიტმულ-ინტონაციური მოძრაობა.

მთელი ეს შინაარსით მდიდარი და სტილის მხრივ მრავალწახნაგოვანი ქართ. სასიმღერო შემოქმედება ემყარება დიატონიკურ კილოებს (პირობითად, მიქსოლიდიურსა და ეოლიურს, ნაკლებად ფრიგიულს, დორიულს, უფრო იშვიათად იონიურს, უმეტესად დას. საქ. სიმღერებში), გამონაკლისის სახით– ლოკრიულს.

ქართული ხალხ. მუსიკის განუყოფელი ნაწილია ქალაქური მუს. ფოლკლორი, რ-იც 2 სხვადასხვა სტილისტური შტოს სახითაა წარმოდგენილი. პირველი მათგანია ე. წ. მგოსანთა ხალხ.-პროფეს. ცალხმიანი პოეტურ-მუს. შემოქმედება, რომელმაც განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო. XIX ს-ში ორი მუს. კულტურის – ქართ. ქალაქურისა და აღმოსავლურ-აშუღურის ურთიერთგავლენამ ხელი შეუწყო სასიმღერო ფოლკლორის ახ. პლასტის, ე.წ. „ძველი თბილისის სიმღერების“ შექმნას. მისი თემატიკაა სატრფიალო ლირიკა, მეგობრობა, პატრიოტიზმი. დამახასიათებელია ცალხმიანობა, ორნამენტული მელოდიკა. ქალაქური მუს. ფოლკლორის მეორე შტო ჩაისახა დას. ევრ. მუსიკის ზეგავლენით და XIX ს. II ნახევარში დიდი პოპულარობა მოიპოვა ინტელიგენციასა და მოსწავლე ახალგაზრდობაში. მას საფუძვლად უდევს ნეაპოლური რომანსისა და საოპერო მუსიკიდან მომდინარე ჰარმონია და მელოდიკა, რომელსაც ასრულებს ერთი, ორი ან სამი ხმა გიტარის თანხლებით. ქალაქური ფოლკლორის ეს შტო თემატურად ნაირსახოვანია. გარდა აღნიშნულისა, მის რეპერტუარს შეადგენს სუფრული, საგმირო-საისტორიო, ლირიკული და სხვა სიმღერები.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების (IV ს. პირველი ნახ.) შემდეგ წარმოიშვა ქართ. მუსიკის მეტად მნიშვნელოვანი განშტოება– სას. გალობა, დროთა განმავლობაში ბერძ. საეკლესიო ტექსტები ქართულად ითარგმნა და შეიქმნა შესაბამისი ქართული საგალობლები. ამან საფუძველი მოუმზადა ქართ. პროფ. მუსიკას და სამუსიკო განათლებას. სამრევლო სკოლებში ასწავლიდნენ ქართულ გალობას, რ-იც თანდათან ფეხს იკიდებდა ღვთისმსახურების დროს. ხოლო მას შემდეგ, რაც ბიზანტიისა და საქ. ეკლესიებს შორის კავშირი შეწყდა (VII ს.), ქართულმა სას. მუსიკამ დამოუკიდებლივ განაგრძო გზა ეროვნ. ნიადაგზე. გელათისა და იყალთოს აკადემიებში, აგრეთვე საზღვარგარეთულ ქართულ

ცენტრებში–იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონის შავ მთაზე (სირიაში), ქართველთა პეტრიწონის მონასტერში (ბულგარეთი) გაიხსნა სას. სემინარიები, რ-იც ეროვნ. მუს. კულტურის კერებად იქცა. მოხდა ხმათა სისტემატიზაცია, შემუშავდა სამუსიკო დამწერლობა, შედგა სას. საგალობელთა კრებულები. განვითარდა მგალობლების, ჰიმნოგრაფების (მგალობელთუხუცესი), თეორეტიკოსების, კომპოზიტორების (ხელოვანთმთავარი), დირიჟორების (ლოტბარი), ე. და გ. მთაწმინდელების, ი. მინჩხის, გ. ხანძთელის, გ. მერჩულეს, კათალიკოს იოანეს შემოქმედებითი და სამეცნ. მოღვაწეობა. მ. შ. განსაკუთრებით გამოირჩევა მიქაელ მოდრეკილი, რომელმაც თავი მოუყარა IX–X სს. ქართ. ლიტურგიკული ლიტ-ისა და ქართ. ჰიმნოგრაფიის ორსაუკუნოვან მონაპოვარს და უზარმაზარი კრებულის სახით დაგვიტოვა ცნობილი „იადგარი“ (978-988) – ძვ. ქართ. ლიტურგიკული ლიტ-ის განვითარების დიდებული ძეგლი. საკუთარ ნაწარმოებთა გარდა, მიქაელ მოდრეკილმა კრებულში შეიტანა სხვა ავტორთა ჰიმნები, რომელთაც დართული აქვთ, მუს-დამწერლობის ნიშნები. ცნობილია აგრეთვე იორდანეს ძლისპირთა კრებული, „ალავერდის ძლისპირნი“ და სხვა ქართ. ფილოს. სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლის იოანე პეტრიწის XI-XII სს. ცნობით ირკვევა, რომ ამ დროისთვის ქართ. სიმღერა-გალობის ჰარმონიის საფუძველს სამი ხმა შეადგენდა, რომელთაც ქართ. სახელები ერქვა: მზახრ (მაღალი), ჟირ (მეორე), ბამ(ბანი), რაც აშკარად მოწმობს სამხმიანობის ეროვნ. წარმოშობას.

საქართველოში ლიტ-ის, ხუროთმოძღვრების, სახვითი ხელოვნების აყვავებასთან ერთად მაღალ განვითარებას მიაღწია საერო მუსიკამ. რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძისა და სხვათა ოდები და პოემები სრულდებოდა სხვადასხვა საკრავის თანხლებით. ფართოდ გავრცელდა საკრავიერი და ხმიერ-საკრავიერი ანსამბლები, პოპულარობით სარგებლობდნენ პროფესიონალი მუსიკოს–მომღერლები, ე.წ. მუტრიბნი და მგოსნები.

საუკუნოვანი ძნელბედობის შემდეგ XVIII ს-იდან იწყება გამოცოცხლება კულტურასა და ხელოვნებაში. საერო მუსიკის აღორძინებაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი პოეტები და მომღერლები ბესიკი და საიათნოვა, მწერალი და ლექსიკოგრაფი ს. ს. ორბელიანი (მის ცნობილ ლექსიკონში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართ. სამუსიკო ტერმინოლოგიას). საზ. მოღვაწემ, მეცნიერმა და ენციკლოპედისტმა იოანე ბაგრატიონმა, რ-იც პირველი შეეხო ქართ. სიმღერა-გალობის მრავალხმიანობის საკითხს, შეადგინა „ნოტისგვარნი“ (მუსიკალური ანბანი). დიდ ადგილს უთმობდნენ მუს. ხელოვნებას სას. სემინარიებში (თელავი, თბილისი), მეტეხის, სიონის, ქაშვეთის, ანჩისხატის, კალოუბნისა და ნეკრესის ეკლესიებთან არსებულ სამგალობლო სკოლებში. ეკლესიის მეთაურმა ანტონ კათალიკოსმა აღზარდა მრავალი მგალობელი, საეკლესიო გალობის გამავრცელებელი.

საქართველოს რუსეთთან შეერთება (1801), როგორც ცნობილია, არაერთმნიშვნელოვანი იყო თავისი შედეგებით ქართველი ხალხისათვის. ერთი მხრივ, მან ხელი შეუწყო ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. მეორე მხრივ, მეფის რუსეთის რეაქციულმა, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ შეზღუდა ეროვნული თვითმყოფადობის გამოვლინების ყველა ფორმა, კერძოდ, ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვა ქართული მართმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას (1811), სამგალობლო სკოლების დახურვას თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებში და ქართული მონასტრებიდან ქართული საეკლესიო გალობის განდევნას.

ამავე დროს, რუსეთთან შეერთებით ქართული სამუსიკო ხელოვნებისათვის დაისახა

ახალი პერსპექტივები, მუდმივი კავშირები დამყარდა რუს. და ევროპ. მუს. კულტურასთან, თბილისი საქართველოს და ამიერკავკასიის მუს. განათლების ცენტრად იქცა. XIX ს. 20-იან წლებიდან არისტოკრატიულ სალონებში დიდ ადგილს უთმობდნენ მუს. ხელოვნებას. ამავე პერიოდში დაიწყო მუს. მოყვარულთა წრეების საჯარო გამოსვლები, ქართველი საზ-ბა თანდათანობით გაეცნო რუს. და დას. ევრ. მუსიკას. 1851 იტალიური დასის გამოსვლით თბილისში გაიხსნა ოპერის თეატრი, 1880-იდან აქვე დაიწყო მუშაობა რუსულმა დასმა. 1905 ჩამოყალიბდა ქართ. ფილარმონიული საზ-ება, რომლის ინიციატივით დაიდგა რუს. და დას. ევრ. კომპოზიტორთა ოპერები ქართულ ენაზე.

მუს. ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია სწრაფვა მუს. განათლებისადმი. XIX ს. 20-იანი წლებიდან შეიქმნა კერძო სამუსიკო კლასები, მუსიკას ასწავლიდნენ აგრეთვე ზოგ სასწავლო დაწესებულებაში. 1871 თბილისში გაიხსნა „კავკასიის საზოგადოების“ სამუსიკო სკოლა. 1872 -იდან ეროვნული კადრების აღზრდის მთავარ კერად იქცა ხ. სავანელის, ა. მიზანდარისა და კ. ალიხანოვის სამუსიკო კლასები (1874-იდან სკოლა, 1886-იდან სასწავლებელი, 1917-იდან კონსერვატორია). 1883 „რუსული სამუსიკო საზოგადოების“ (რსს) თბილისის განყოფილების გახსნის შემდეგ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რეგულარულად ეწყობა სიმფ. და კამერული კონცერტები.

1860-იან წლებში, „თერგდალეულთა“ მოძრაობასთან დაკავშირებით, გაჩნდა დიდი ინტერესი ეროვნ. მუსიკისადმი. 1860 თბილისში შეიქმნა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“. 70-იანი წლებიდან დაიწყო ქართ. მუს. თანდათანობითი აღორძინება. ტარდებოდა მუშაობა ქართ. ხალხ. მუსიკის შემოქმედების შეკრება-გამოცემის მხრივ. გამოიცა მ. მაჭავარიანის (1878), ა. ბენაშვილის (1886), ზ. ჩხიკვაძის (1896) და ი. კარგარეთელის (1899) კრებულები. 80-იანი წლებიდან სას. საგალობლები ჩაწერეს ფ. ქორიძემ, ძმებმა ვ. და პ. კარბელაშვილებმა, ა. მრევლიშვილმა, ა. ბენაშვილმა, რ. ძამსაშვილმა, დ. ჩიჯავაძემ, ზ. ჩხიკვაძემ, შემდგომ კი ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა და სხვ. ქართ. ხალხ. სიმღერების კრებულთა შედგენაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რუსი მუსიკოსები—ქ. გროზდოვი,მ. იპოლიტოვ-ივანოვი,ნ. კლენოვსკი. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხ. სიმღერის პროპაგანდაში ლ. აღნიაშვილის ქართულმა ეთნოგრაფიულმა გუნდმა (დაარსდა 1885), რომელსაც ჩეხი მუსიკოსი ი. რატილი ხელმძღვანელობდა. გუნდის კონცერტებმა ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია და სტიმული მისცა ნიჭიერ ახალგაზრდობას მუს. მოღვაწეობისათვის. ამ დროს დაიწყეს საშემსრულებლო მოღვაწეობა საქართველოსა და რუსეთში ქართველმა პროფესიულმა მუსიკოსებმა ა. მიზანდარმა (ფორტეპიანო), ა. ყარაშვილმა (ვიოლინო), ი. სარაჯიშვილმა (ჩელო), მომღერლებმა მ. ნანობაშვილმა, პ. კაკაბაძემ, ფ. ქორიძემ, კ. გურამიშვილმა, ე. თარხნიშვილმა, მ. ძნელაძემ; დირიჟორმა ი. ფალიაშვილმა. 1900-იანი წლებიდან დაიწყო დ. არაყიშვილის (1906, 1908, 1916), ი. კარგარეთელისა (1909) და ზ. ფალიაშვილის (1910) მიერ შედგენილი ქართ. ხალხ. სიმღერების კრებულების გამოცემა.

ქართული პროფესიული მუს. ხელოვნების განვითარების ადრინდელ ეტაპზე (XIX-XX სს. მიჯნა) მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს: ხ. სავანელმა, ა. მიზანდარმა, ფ. ქორიძემ, ა. ყარაშვილმა, ი. კარგარეთელმა, ზ. ჩხიკვაძემ.

გ. ჩხიკვაძე

ახ. ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლები არიან მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვლი, ვ. დოლიძე. ქართ. კლასიკური მუსიკა, რ-იც აღმოცენდა ეროვნული ხალხური მუსიკის უმდიდრესი ტრადიციების საფუძველზე, მთლიანად ვოკალურია.

ქართველ კომპოზიტორთა უფროსი თაობა არსებითად შემოიფარგლა ვოკალური ჟანრით. ამ თაობის წარმომადგენელია აგრეთვე რ. გოგნიაშვილი- სცენაზე დადგმული პირველი ქართული ოპერა „ქრისტინეს“ ავტორი (1918).

მ. ბალანჩივაძე ისტორიაში შევიდა როგორც ახ. ქართული პროფ. მუსიკის (კერძოდ, საოპერო და სარომანსო ჟანრების) წამომწყები. მისი რომანსები „ოდესაც გიცქერ“, „შენ გეტრფი მარად“, „ნანა“ დღემდე ინარჩუნებენ მხატვრულ მიმზიდველობას. მ. ბალანჩივაძის მთავარი ნაწარმოებია ოპერა „დარეჯან ცბიერი“ (ნაწყვეტები შესრულდა 1897 პეტერბურგში. თბილისში პირველად დაიდგა, 1926), რომლის მუსიკაც გამოირჩევა მკაფიო ეროვნული ხასიათით, მელოდიური გამომსახველობით.

დ. არაყიშვილმა შექმნა კლასიკური ქართული რომანსი და პირველი ლირ. ოპერა. მისმა საუკეთესო ქმნილებებმა– რომანსებმა „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „მე შენ გელი“, „ივერიის მთებზე“, „ღამეა ბნელი“, ნაწყვეტებმა ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“(1919) ფართო პოპულარობა მოიპოვეს მელოდიური გამომსახველობის წყალობით და დამკვიდრდნენ რეპერტუარში.

ეროვნ. მუს. სკოლის უდიდესი წარმომადგენელია ზ. ფალიაშვილი, რომელმაც პირველად აზიარა ქართ. მუსიკა მსოფლიო კლასიკური მუსიკის მაღალ ტრადიციებს, შექმნა ეროვნ. მუს. კლასიკის სრულყოფილი ნიმუშები. ფალიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილია ოპერები „აბესალომ და ეთერი“ (1919), „დაისი“ (1923), „ლატავრა“ (1927), რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. პირველი მათგანი ორგზის (1939, 1946) დაიდგა მოსკოვში „დიდ თეატრში“, აგრეთვე ხარკოვში (1931), ქუთაისში (1969), ლენინგრადში (1972), კიევში (1972), ლოძში (პოლონეთი, 1972), საარბრიუკენში (გფრ, 1974), ბათუმში (1993). ამაღლებული მუს. ეპიკური თხრობა ოპერაში შეთავსებულია უდიდეს შინაგან ექსპრესიასთან და განვითარების დინამიზმთან. შესანიშნავი ოსტატობით აქვს კომპოზიტორს გამოძერწილი მთავარ გმირთა მუს. პორტრეტები. ოპერის დიდებული გუნდები მისი ორგანული შემადგენელი ნაწილია. „დაისი“, „აბესალომ და ეთერთან“ ერთად, ქართული კლასიკური მუსიკის ცენტრალური ნაწარმოებია, რომლის მუსიკაც იშვიათი მელოდიური სიმდიდრით, ლირიკული გამომსახველობითა და პოეტურობით გამოირჩევა. იგი სხვადასხვა დროს დაიდგა სარატოვში, კიევში, ერევანში, ოდესაში, ალმა-ათაში, ბაქოში, ხარკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ეკატერინბურგში, ქუთაისში, საარბრიუკენსა (გფრ) და ჩეხოსლოვაკიაში.

ვ. დოლიძეს ეკუთვნის პირველი ქართული კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“(1919). ნათელი კომედიური სიუჟეტი, სატირული სიმახვილე, ადვილად აღსაქმელი მელოდიური მუსიკა განაპირობებს ვ. დოლიძის ოპერის წარმატებას. სხვადასხვა დროს იგი დაიდგა სსრკ-ის მრავალი თეატრის სცენაზე, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში.

ქართველ კომპოზიტორთა პირველი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელია ნ. სულხანიშვილი, თვითმყოფი შემოქმედი, საგუნდო ჟანრის კლასიკოსი. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დიდი არ არის, მაგრამ მრავალფეროვანია თავისი შინაარსით, იგი მთლიანად საგუნდოა. საუკეთესო ნიმუშებია: „გუთნური“, „ქორალი“, „მესტვირული“, „სამშობლო ხევსურისა“, „მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ“, ლირ. სიმღერა „სატრფოვ, მოდი“ და სხვ.

პირველი სიმფონიური ნაწარმოებები შექმნეს კ. ფოცხვერაშვილმა (პოემა „ამირანი“, 1905) და დ. არაყიშვილმა (პოემა „ჰიმნი ორმუზდს“, 1911), რამდენიმე საორკესტრო და სხვა ნაწარმოები შექმნა ე. ჯაბადარმა (1891-1937), რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა

საფრანგეთში (მისი ნაწარმოებები საქართველოში ომისშემდგომ პერიოდში გახდა ცნობილი).

საკრავიერი (კამერული და სიმფ.) მუსიკის აქტიურ წამომწყებად გვევლინება ქართველ კომპოზიტორთა თაობა, რ-იც ასპარეზზე 20-იანი წლებში გამოვიდა (გ. კილაძე. ი. ტუსკია, შ. თაქთაქიშვილი, ვ. გოკიელი, ცოტა მოგვიანებით – შ. მშველიძე და ა. ბალანჩივაძე). ამ პერიოდში შეიქმნა გ. კილაძის საორკესტრო „ქართული სიუიტა“ (1925), ი. ტუსკიას საკვარტეტო პიესა „ჩელა“ (1926), შ. თაქთაქიშვილის სიმებიანი კვარტეტი (1931).

1922 დაარსდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება“, რომლის ბაზაზე 1924 ჩამოყალიბდა სიმფ. ორკესტრი და სიმებიანი კვარტეტი. 30-იან წლებში სიმფ. ჟანრმა წამყვანი ადგილი დაიკავა ქართ. მუს. ხელოვნებაში. ამავე პერიოდში შეიქმნა ქართ. ბალეტები (20-იან წლებში პირველი ცდები ეკუთვნის თ. ვახვახიშვილს). ა. ბალანჩივაძის „მთების გული“ (1936) ქართ. საბალეტო ჟანრის ფუძემდებლური ნაწარმოებია. აღსანიშნავია შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“ (1937). ომის წინა წლებში შექმნილ სიმფ. ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა გ. კილაძის პოემა „განდეგილი“ (1937) და შ. მშველიძის პოემა „ზვიადაური“. (1940) (ორივე ნაწარმოებს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია). შ. მშველიძის შემოქმედება ახ. ქართ. მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თვითმყოფი ფურცელია. იგი ქართული ეპიკური სიმფონიზმის ფუძემდებელია, ხოლო „ზვიადაური“ მისი ყველაზე ძლიერი ნაწარმოებია.

40-იანი წლების დასაწყისში თბილისის საოპერო სცენაზე დაიდგა რამდენიმე ახ. ქართ. ოპერა: შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი“, ი. ტუსკიას „სამშობლო“, გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“, ვ. გოკიელის „პატარა კახი“, ა. მაჭავარიანის „დედა და შვილი“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“.

ომის შემდგომ წლებში დაწინაურდა კომპოზიტორთა ახ. თაობა: ა. კერესელიძე, რ. გაბიჩვაძე, ნ. გუდიაშვილი, ა. მაჭავარიანი, ა. ჩიმაკაძე, ა. შავერზაშვილი, რ. ლაღიძე, დ. თორაძე, ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე და სხვ. დიდი მხატვრული რეზონანსი ჰქონდა ა. ბალანჩივაძის I სიმფონიას (1944), რომელსაც სსრკ სახელმწ. პრემია მიენიჭა. სიმფონია გამოირჩევა მუს. შინაარსის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, ფორმის მთლიანობით, დინამიკური განვითარებით.

40-იან წლებში მომწიფდა ა. მაჭავარიანის შემოქმედებითი ნიჭი. ხალხ. სასიმღერო-საცეკვაო სტიქიის შესანიშნავი შეგრძნება, ამაღლებული პოეტურობა გამოვლინდა სავიოლინო (1949) და საფ. (1944) კონცერტებში, I სიმფონიაში (1947), ვოკალურ-სიმფონიურ პოემაში „გმირის სიკვდილზე“ (1949), მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტი ამ ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. იგი შევიდა ცნობილი მევიოლინეების რეპერტუარში (სსრკ სახელმწ. პრემია, 1951). მუსიკა გამსჭვალულია შინაგანი პათოსით, რომანტიკულობით.

სიმფ. მუს. განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ო. თაქთაქიშვილმა. მის I სიმფონიას 1949 სახელმწ. პრემია მიენიჭა. 1953 დაწერა II სიმფონია. მნიშვნელოვანი მიღწევაა მისი საფ. კონცერტი (1951), რ-იც ცნობილი პიანისტების რეპერტუარში შევიდა (სსრკ სახელმწ. პრემია).

50-იანი წლების საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება ა. ბალანჩივაძის II სიმფონია (1959) და, განსაკუთრებით, ფართოდ ცნობილი III („საყმაწვილო“) საფ. კონცერტი, შ. მშველიძის სიმფ. პოემა „მინდია“ (1950) და III სიმფონია („სამგორი“,1953), რ. ლაღიძის ცნობილი საორკესტრო პიესა „საჭიდაო“ (1952), ბ. კვერნაძის „ცეკვა-ფანტაზია“ (1959) და სავიოლინო კონცერტი, ო. გორდელის ფლეიტის კონცერტი, ს. ნასიძის საფ. კონცერტი №1, ო. ბარამიშვილის საორკესტრო სიუიტა „რომეო და ჯულიეტა“ (1955).

40-50-იანი წლების ოპერებს შორის გამოირჩევა შ. მშველიძის გმირულ-ეპიკური „ამბავი ტარიელისა“ (სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), ა. კერესელიძის ლირ.-პატრიოტული „ბაში-აჩუკი“ (1946), დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“ (1958).

საბავშვო ოპერებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“ (1950). ეს ოპერა 1961 დაიდგა ქ. აიზენჰიუტენშტადტში (გდრ). წარმატება ხვდა ვ. გოკიელის „წითელქუდას“ და „ბროლის ქოშს“, რომლებიც დაიდგა სსრკ-ის რამდენიმე ქალაქში, აგრეთვე მ. დავითაშვილის „ქაჯანას“ და „ნაცარქექიას“.

წარმატებით მუშაობდნენ ამ პერიოდში ქართველი კომპოზიტორები საბალეტო ჟანრში. გ. კილაძის „სინათლე“ გამოირჩევა თავისი სახოვანებით, კოლორიტულობით (სსრკ სახელმწ. პრემია, 1948). ყველაზე სარეპერტუარო ქართულ ბალეტად იქცა დ. თორაძის „ვორდა“ (სსრკ სახელმწ. პრემია, 1951). საუკეთესო ქართულ ბალეტად აღიარებულია ა. მაჭავარიანის „ოტელო“ (1957). თბილისის გარდა იგი დაიდგა მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში, კუიბიშევში, ტოკიოში, ჰელსინკში და ბუენოს-აირესში. მის მიხედვით გადაღებულია კინოფილმი (1961).

საკანტატო-ორატორიულ ჟანრში შეიქმნა შ. მშველიძის „კავკასიონი“ (1949), ა. მაჭავარიანის „ჩემი სამშობლოს დღე“ (1954), ა. ჩიმაკიძის კანტანტა „ქართლის გული“ (1952), რ-იც ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშია ქართულ მუსიკაში.

კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრის განვითარება 40-50-იან წლებში მთელი რიგი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებებით აღინიშნა. ნაყოფიერად მუშაობდნენ: ნ. გუდიაშვილი, ა. შავერზაშვილი, ს. ცინცაძე, რომელმაც 4 შესანიშნავი კვარტეტი შექმნა (კვარტეტი №2, სსრკ სახელმწ. პრემია, 1949).

ნ. გუდიაშვილის ნაწარმოებთაგან გამოირჩევა საფ. კვინტეტი (1949), სონატინა, (1950), 24 პრელუდია და ფუგა. სიმებიანი კვარტეტი შექმნა მოსკოვში მცხოვრებმა ნ. ნარიმანიძემ.

ა. შავერზაშვილის კამერულ შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს 8 საფ. ტრიოს (1952-1993) და კვინტეტს (1955). აღსანიშნავია აგრეთვე რ. გაბიჩვაძის 3 კვარტეტი და ა. მაჭავარიანის საფ. პიესები „ხორუმი“, „ბაზალეთის ტბა“ და სავიოლინო „დოლური“, ა. ბალანჩივაძის, რ. ლაღიძის, ს. ცინცაძის, ბ. კვერნაძის, ო. გორდელის, ტ. ბაქრაძის, მ. ფარცხალაძის, ი. გეჯაძის ინსტრუმ. პიესები. ქართული რომანსის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც შეიქმნა ა. მაჭავარიანის ცნობილი რომანსები– „არ დაიდარდო, დედაო“ და „ცისა ფერს“. მოგვიანებით შექმნილ რომანსთან – „სხივო, მზეთამზის სახეო“ – ერთად ისინი მიეკუთვნებიან ქართული ვოკალური ლირიკის საუკეთესო ფურცლებს. მხატვ. გამომსახველობით გამოირჩევიან ა. ჩიმაკაძის ლირიკული რომანსები. დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა „ფიროსმანის სიმღერამ“ (ვოკალური კვარტეტისათვის).

მელოდიური გამომსახველობით გამოირჩევა რ. ლაღიძის და გ. ცაბაძის სიმღერები. რ. ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“ (1958) დედაქალაქის ჰიმნად იქცა. მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ამ ჟანრში ა. კერესელიძეს, ს. ცინცაძეს, ბ. კვერნაძეს, გ. ყანჩელს, მ. დავითაშვილს, რ. გაბიჩვაძეს, ო. თევდორაძეს, ვ. აზარაშვილს, ს. მირიანაშვილს.

ვოკალურ ციკლებს შორის მნიშვნელოვანია ო. თაქთაქიშვილის „არწივი“ და „მთაწმინდის მთვარე“, ს. ნასიძის „ქართული ხალხური პოეზიიდან“, აღსანიშნავია აგრეთვე ლ. შავერზაშვილის „დიალოგი“ და „მთების სიმღერები“, ვ. აზარაშვილის ვოკალური ციკლები ი. გრიშაშვილისა და შ. ნიშნიანიძის ლექსებზე. მასობრივი სიმღერის პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ 20–30-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა. ჟანრის წამომწყებები იყვნენ ი. ტუსკია, გ. კილაძე, ვ. ცაგარეიშვილი, გ. კოკელაძე. ფართოდ გავრცელდა მასობრივი პატრიოტული სიმღერის ჟანრი ომის წლებში.

უფრო გვიანდელი ნიმუშებიდან აღსანიშნავია ო. თაქთაქიშვილის „კომკავშირული მარში“ და რ. გაბიჩვაძის „პიონერული მარში“. ამ ჟანრში წარმატებით მუშაობდნენ: რ. ლაღიძე, შ. მილორავა, ი. ბობოხიძე, ა. შავერზაშვილი.

ქართული მუსიკის ახ. პერიოდი იწყება 60-იანი წლებიდან, როცა ასპარეზზე გამოვიდა კომპოზიტორთა ახ. თაობა (ს. ნასიძე, ფ. ღლონტი, ო. გორდელი, ბ. კვერნაძე, ნ. სვანიძე, ნ. მამისაშვილი, ვ. აზარაშვილი, ნ. ვაწაძე, გ. ყანჩელი, ნ. გაბუნია, ი. კეჭაყმაძე და სხვ.), რომელმაც გაამდიდრა მუსიკა თემატიკურად, სტილისტურად, ტექნოლოგიურად, ეს პერიოდი საინტერესოა ეროვნულობის საკითხისადმი ახლებური მიდგომით, ხალხ. მუსიკის უძველესი პლასტების გამოყენებით. 60-70-იან წლებში ინტენსიურად ვითარდებოდა სიმფ. მუსიკა. მნიშვნელოვანი სიმფონიებია შ. მშველიძის IV (1968), რ. გაბიჩვაძის I (1964), ა. მაჭავარიანის II (1973), ს. ცინცაძის III (1973) და IV (1978), დ. თორაძის II (1968), გ. ყანჩელის ფართოდ აღიარებული II (1970), III (1973), IV (1975), V (1977), VI (1979), ს. ნასიძის III (1969), V (1977), VI (1978), VII (1979), ფ. ღლონტის VI–(1979 „Vita Nova “), ა. ბალანჩივაძის III სიმფონია (1979), ა. შავერზაშვილის კამერული სიმფონია (1977), ნ. სვანიძის I სიმფონია (1967)– პირველი „ავანგარდული“ ნაწარმოები ქართულ მუსიკაში.

რ. გაბიჩვაძის I სიმფონია, ისევე როგორც მისი III („როსტოკის“) სიმფონია (1972) და კამერული სიმფონია–ნონეტი (1966), ყურადღებას იქცევს ქართ. სიმფონიზმისათვის არატრადიციული ხერხების სინთეზით ეროვნ. ინტონაციურ და ჰარმონიულ წყობასთან. აშკარად გამოხატული თანამედროვე ნიშნებითაა აღბეჭდილი დ. თორაძის II სიმფონია („ქებათა ქება ნიკორწმინდას“), რ-იც შთაგონებულია გ. ტაბიძის ცნობილი ლექსით.

1973 წელს III სიმფონიისა და II კვარტეტის შექმნისათვის ს. ნასიძეს შოთა რუსთაველის სახ. პრემია მიენიჭა. აღიარება ხვდათ მის V („ფიროსმანი“), VI („პასიონე“) და მე-7 („დალაი“) სიმფონიებს. ე. ლომდარიძის ნაწარმოებში „კამერული მუსიკა 23 ხემიანი საკრავისათვის“ დრამატულად იმპულსური მუსიკა უპირისპირდება ძველებურ საგალობელს.

ამ პერიოდისათვის საკრავიერ კონცერტებს შორის გამოირჩევა ა. ბალანჩივაძის საფ. კონცერტი № 4 (1967, შოთა რუსთაველის სახ. პრემია), ს. ცინცაძის სავიოლინო კონცერტი (1968), ს. ნასიძის საფ. კონცერტი №2 (1961), ნ. მამისაშვილის „საყმაწვილო კონცერტი“ (1965), ნ. გაბუნიას საფ. კონცერტი (1977), ო. თაქთაქიშვილის საფ. №4 (1983), სავიოლინო და ჩელოს (1978) კონცერტები, ფ. ღლონტის ჩელოს (1978), არფის (1977) და საფ. (1983) კონცერტები. გ. ციციშვილის კონცერტი ჩელოსათვის (1978), ვ. აზარაშვილის ალტისა (1979) და განსაკუთრებით ჩელოს (1969) კონცერტი, რომელიც ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ქართულ მუსიკაში.

აღსანიშნავია აგრეთვე ვ. ცაგარეიშვილის საყმაწვილო საფ. კონცერტინო „ხარობს ვარძია“ (1966), და შ. დავითაშვილის (დავიდოვის) 4 კონცერტი კლარნეტისათვის და 1 ფლეიტისათვის (1981-2001).

რამდენიმე მნიშვენოვანი ნაწარმოები შეიქმნა საკანტატო-ორატორიულ დარგში, მ. შ. საუკეთესოა ო. თაქთაქიშვილის ცნობილი ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1964, სსრკ სახელმწ. პრემია, 1967), რომლის ხაზს აგრძელებს მისივე ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970), აღსანიშნავია აგრეთვე ა. მაჭავარიანის ვოკალურ-სიმფონიური ციკლი „ხუთი მონოლოგი“ (1967, შ. რუსთაველის სახ. პრემია), კანტატები: ო. თაქთაქიშვილის „გურული სიმღერები“ და „ქართლის ჰანგები“, ო. გორდელის „რაზედ ბუტბუტებს მტკვარი“, რ. ლაღიძის „ვარძია“. თავისი ჩანაფიქრითა და წერის თანამედროვე ტექნიკით ორიგინალურია

ნ. სვანიძის კამერული ორატორია „ფიროსმანი“ (1969). წარმატება ხვდათ აგრეთვე დ. თორაძის „ქართულ ხალხურ ჩანამღერებს“(1972), ბ. კვერნაძის ვოკალურ-სიმფონიურ პოემას „ძველი ქართული წარწერები“ (1978) და ი. კეჭაყმაძის „საგუნდო პარაფრაზებს ძველი თბილისის ჰანგებზე“ (1977, ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია), მისსავე სხვა საგუნდო ნაწარმოებებს („ფშაური იდილიები“– 1972, „მთისაი ბარსა“–1978) და სხვა.

60-იანი წლებში შეიქმნა მნიშვნელოვანი საოპერო ნაწარმოებები– ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ (1961) და „სამი ნოველა“ (1967), შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ (1961), „მინდიას“ მუსიკა მელოდიურია, გამსჭვალულია დიდი შინაგანი დინამიკითა და ექსპრესიით. თბილისის გარდა იგი დაიდგა მინსკში, ერევანში, რიგაში, ქუთაისში, ტარტუში, საარბრიუკენში (გფრ), ოლომოუცში (ჩეხოსლ.), ოპერა „სამი ნოველა“ სახ. რედაქციითა და სახელწოდებით „სამი სიცოცხლე“ დაიდგა მოსკოვში სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ–დანჩენკოს სახ. მუს. დრამატულ თეატრში (1972), აგრეთვე ბრატისლავაში (ჩეხოსლ.), შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ ყურადღებას იქცევს სტილის თვითმყოფადობით, დიდებული საგუნდო სცენებით. (სახ. რედაქციით დაიდგა ქუთაისში, 1985).

70-იანი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერებია: ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ (1977, დაიდგა მოსკოვში, სსრკ დიდ თეატრში, და თბილისში), მასშტაბური, დრამატურგიულად მრავალპლანიანი ნაწარმოები, ლირიკულ-კომიკური ოპერა „პირველი სიყვარული“ (1979) და რ. ლაღიძის „ლელა“ (1975, სსრკ სახელმწ. პრემია, დაიდგა თბილისში, ბათუმში, ჩეხოსლ.), რომლის მუსიკა ნათელი მელოდიურობითაა აღბეჭდილი, არატრადიციული „ლექსიკით“ ყურადღება მიიქცია გ. ჩლაიძის კომიკურ-სატირულმა ოპერამ „დარისპანის გასაჭირი“ (1975). 60–70-ან წლებში შექმნილ ბალეტებს შორის აღსანიშნავია ს. ცინცაძის „დემონი“ (1961), რ-იც დაიდგა თბილისსა და ტალინში, ა. ბალანჩივაძის „ცხოვრების ფურცლები“ (1961, დაიდგა სსრკ დიდ თეატრში), მისივე „მწირი“ (1964), ბ. კვერნაძის „ქორეოგრაფიული ნოველები“ (1964) და „ბერიკაობა“ (1971), ფ. ღლონტის „განთიადი“ (1967), რ. გაბიჩვაძის „ჰამლეტი“ (1971) და „მედეა“ (1978), ს. ცინცაძის „დალი და მონადირე“ (1977), საერთაშ. პრემია მიენიჭა დ. თორაძის ტელებალეტ „მწირს“ (1978).

პირველი ქართული ოპერეტა 1939 დაიწერა (ვ. კურტიდი), ძირითადი სარეპერტუარო ფონდი შეიქმნა მომდევნო ათწლეულების მანძილზე. ამ ჟანრში ყველაზე აქტიურად მუშაობდნენ შ. მილორავა და გ. ცაბაძე. აღსანიშნავია აგრეთვე შ. აზმაიფარაშვილის, ნ. გუდიაშვილის, ა. კერესელიძის, რ. ლაღიძის, დ. თორაძის, ვ. ცაგარეიშვილის, ს. ცინცაძის, ა. შავერზაშვილის. ვ. აზარაშვილის, ნუნუ გაბუნიას, ა. ჩიმაკიძის ოპერეტები. იქმნება მიუზიკლის პირველი ნიმუშები. მათ შორის –გ. ცაბაძის ცნობილი კინომიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ (1974) და სხვა.

კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის წარმატებები 60-70-იან წლებში ძირითადად კვლავ ს. ცინცაძის სახელთანაა დაკავშირებული. მან შექმნა ხუთი ახალი კვარტეტი, რომელთა შორის საუკეთესოა V (1963), VI (1966), IX (1970) კვარტეტები.

4 სიმებიანი კვარტეტი შექმნა ს. ნასიძემ (1969, 1971,1981,1985). მაღალი შეფასება ხვდა წილად ნ. გაბუნიას ცნობილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ „იგავს“ (1964). მანვე დაწერა სიმებიანი კვარტეტი (1978) და სონატა ფ-ნოს, საყვირის და დასარტყამი საკრავებისათვის (1979). ინსტრუმენტულ ჟანრში ინტენსიურად მუშაობს ვ. აზარაშვილი (კვინტეტი სასულე საკრავებისათვის, 1979, საფ. სონატინა, 1979 და სხვა). საინტერესო ნაწარმოებია ნ. მამისაშვილის „ლირიკული დღიურის ფურცლები“ ფ-ნოსათვის, თ. ბაკურაძის ფრიად ორიგინალური სიმებიანი

კვარტეტი „ფშაური ნატირლები“ (1973). ამ პერიოდში სიმებიანი კვარტეტის ჟანრს პირველად მიმართეს ა. მაჭავარიანმა (4 კვარტეტი, 1978-1982) და ო. თაქთაქიშვილმა. შეიქმნა გ. ჩლაიძის მხატვრული ღირსებებით გამორჩეული ვოკალური ციკლი „სიყვარულის საგალობლები“ (1972), რ. ლაღიძის, შ. მილორავას, ი. ბობოხიძის მასობრივი სიმღერები.

საბავშვო მუსიკის დარგში სხვადასხვა დროს ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ თ. შავერზაშვილი, შ. თაქთაქიშვილი, ნ. შარაბიძე, ლ. ფალიაშვილი, შ. ჯოჯუა (ოპერა საბავშვო შესრულებისათვის „დათვის წვეულება“, 1985, „დიდება მზეს“, 1989), რ. ქარუხნიშვილი, დ. ჩხეიძე, ლ. ხაფავა, ა. შანიძე და განსაკუთრებით, მ. დავითაშვილი, რომლის საბავშვო სიმღერები გამოირჩევა ფაქიზი გემოვნებითა და სახოვანებით.

ამ წლებში საგრძნობი სიახლე შემოიტანეს ქართულ მუსიკაში კომპოზიტორთა ახალი თაობის წარმომადგენლებმა, როგორებიც არიან: გ. ჩლაიძე, თ. შავლოხაშვილი, ი. ბარდანაშვილი, მ. შუღლიაშვილი, მ. ოძელი, ვ. ჭულუხაძე, ჯ. ბეგლარიშვილი, მ. ცერცვაძე, რ. ჩიტაშვილი, ე. ლომდარიძე, რ. კაჟილოტი, გ. სიხარულიძე. 1971 გაიხსნა საქ. კომპოზიტორთა კავშირის აფხაზეთის განყოფილება (თავმჯდ. ს. ქეცბა).

80-90-იანი წლების ქართული მუსიკის კომპლექსური განხილვა გაძნელებულია იმ ფუნდამენტური ცვლილებების გამო, რომლებიც მოხდა ამ პერიოდში (90-იანი წ. წ.) ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში. მუს. ხელოვნ. განვითარების დინამიკაში, რა თქმა უნდა, აისახა ეს რადიკალური პროცესები. 80-იან წლებში, მართალია, ჯერ კიდევ მოქმედებდა წინა ათწლეულების ცხოვრების წესის „ინერცია“, მაგრამ მუსიკაში სულ უფრო მკვეთრად იჩენდა თავს ახალი ტენდენციები, ისეთები, როგორც ჟანრული „ფონდის“ შემდგომი გაფართოება, ხალხურ-ეროვნული მასალის ჩართვა XX ს-ის მუსიკის სტილისტურ კონტექსტში, რაც მეტ-ნაკლებად ვლინდება ყველა ჟანრში, თვით საოპეროშიც, რომელიც მანამდე ნაკლებად იყო ორიენტირებული ნოვაციებზე, ასეთებია ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“ (1983) და გ. ყანჩელის „და არს მუსიკა“ (1984), რომლებსაც დიდ განსხვავებასთან ერთად, ანათესავებდა არატრადიციული სტილისტიკა, დრამატურგია და ა. შ. საბალეტო ჟანრში ანალოგიურმა ტენდენციამ თავი იჩინა ა. მაჭავარიანის „ვეფხისტყაოსანში“ (1985 დაიდგა ლენინგრადში), ტრადიციულ რაკურსშია გადაწყვეტილი ს. ცინცაძის „რივარესი“ (1982, მოსკოვი), ვ. აზარაშვილის „ხევისბერი“ (1984, ქუთაისი). შ. დავითაშვილის „ვეფხვი და მოყმე“(1978), „ზვიადაური“ (1986, ქუთაისი), 2005 შესრულდა გ. ჩლაიძის მონოოპერა „წიგნი ნესტან დარეჯანისა“ (სოპრანოსათვის). სიმფონიურ მუსიკაში შეიქმნა რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები: გ. ყანჩელის VII სიმფონია (1986) და „ლიტურგია“ (ორკესტრისა და ალტისათვის, 1989), ა. მაჭავარიანის III (1983), ს. ცინცაძის V (1985), ფ. ღლონტის VII-XI (80იანი წლები), ი. ბარდანაშვილის №1 (1980) სიმფონიები. ხსენებული ავტორების გარდა, სიმფ. ნაწარმოებები შექმნეს აგრეთვე გ. ბზვანელმა, ნ. გაბუნიამ, შ. დავითაშვილმა, დ. თორაძემ, რ. თოხაძემ, ვ. კახიძემ, ე. ლომდარიძემ, ო. მინდორაშვილმა, კ. როსებაშვილმა, ნ. სვანიძემ, შ. შილაკაძემ, რ. ჩიტაშვილმა, გ. ჯაფარიძემ, მოსკოვში მცხოვრებმა მ. გაგნიძემ.

კამერულ-ინსტრუმენტულ ჟანრში კვლავ ლიდერობს ს. ცინცაძე შესანიშნავი X კვარტეტითა (1984) და „24 პრელუდიით ვიოლინოსა და კამერული ორკესტრისათვის“ (1987), კვარტეტები შექმნეს: ა. მაჭავარიანმა, ო. თაქთაქიშვილმა, ნ. გუდიაშვილმა, ა. შავერზაშვილმა, ს. ნასიძემ, ნ. გაბუნიამ, ვ. აზარაშვილმა, მ. ოძელმა, ახალგაზრდებმა – ი. ბარდანაშვილმა, ზ. ნადარეიშვილმა, კ. ცაბაძემ, საფ. ტრიოები– ა. შავერზაშვილმა, თ. შავლოხაშვილმა, საფ. კვინტეტები ო. თაქთაქიშვილმა, ს. ნასიძემ. ვოკალურ-სიმფონიურ და საგუნდო ჟანრებში შეიქმნა: ო.

თაქთაქიშვილის „წერეთლის ჩანგით“, „ქართლის ჰანგები“ (ორივე 1983), გ. ყანჩელის „სევდა ნათელი“ (1985), ს. ნასიძის („ვედრება“), ი. კეჭაყმაძის („დავითიანიდან“, 1980), რ. კაჟილოტის, გ. ჩლაიძის, შ. შილაკაძის, ი. ბობოხიძის, ჯ. ბეგლარიშვილის ნაწარმოებები. კამერულ-ვოკალურ ჟანრებში ციკლები შექმნეს: ო. თაქთაქიშვილმა, ვ. აზარაშვილმა, ლ. შავერზაშვილმა, შ. დავითაშვილმა, გ. სიხარულიძემ, გ. ჩლაიძემ, ა. შანიძემ და სხვა. თეატრალური და კინომუსიკის დარგებში გამოირჩევიან კომპოზიტორები: რ. ლაღიძე, გ. ყანჩელი, გ. ცაბაძე, ს. ცინცაძე, დ. თორაძე, ბ. კვერნაძე, ა. კერესელიძე, გ. სიხარულიძე და სხვ.

90-იანი წლები, რომლებმაც დიდხანს ნანატრი დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოუტანა ქართველ ხალხს, როგორც ცნობილია, აღინიშნა მთელი რიგი მძიმე პოლიტიკური, სოციალური და მორალურ-ფსიქოლოგიური კოლიზიებით, რამაც, ცხადია, მუსიკალურ ხელოვნებაშიც გამოიწვია ნეგატიური პროცესები. მკვეთრად შემცირდა თეატრალური და საკონცერტო პრემიერების რიცხვი, ახალი (განსაკუთრებით, დიდი ფორმის) ნაწარმოებების რაოდენობა, საგრძნობლად დაქვეითდა დიდი ტრადიციების მქონე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვრული დონე. მრავალმა ცნობილმა კომპოზიტორმა, შემსრულებელმა და კოლექტივმა საზღვარგარეთ დაიდო ბინა. ამავე ხანებში ქართულ მუსიკას გამოაკლდა გამოჩენილ კომპოზიტორთა ბრწყინვალე კოჰორტა, რამაც შემოქმედებითი კრიზისის საშიშროება შექმნა. ეს მძიმე წლები იმედისმომცემი მოვლენებითაც აღინიშნა: ჩამოყალიბდა მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე „თბილისის სიმფ. ორკესტრი“, ბათუმში გაიხსნა (1993) საოპერო თეატრი, ჩატარდა შემსრულებელთა პრესტიჟული საერთაშ. კონკურსები, ს-ის დასასრულისათვის საგრძნობლად გამოცოცხლდა მუსიკალური ცხოვრება.

შემოქმედებით ტენდენციათაგან აღინიშნება კამერული, როგორც უფრო „პორტატიული“ ჟანრების დომინირება, სასულიერო თემატიკის საგრძნობი ზრდა და, შესაბამისად, ქართული საგალობლების სტილისტური კომპლექსის მოზიდვა, გაიზარდა ე. წ. ავანგარდული საკომპოზიტორო ტექნოლოგიის შემოღწევის შემთხვევები. მეტ-ნაკლებად ეს პროცესი ყველა კომპოზიტორს, მათ შორის უფროსი თაობის წარმომადგენელთა (ა. მაჭავარიანი, რ. გაბიჩვაძე, დ. თორაძე) შემოქმედებას შეეხო. მის წამომწყებ კომპოზიტორთა – ნ. სვანიძის და ნ. მამისაშვილის გარდა მან (პროცესმა) თავი იჩინა ახალგაზრდათა (მ. შუღლიაშვილი, თ. ბაკურაძე, უფრო გვიან – ზ. ნადარეიშვილი და სხვა) ნაწარმოებებში, თუმცა არსებითად იგი მაინც პერიფერიულ მოვლენად დარჩა ქართულ მუს-ში. უჩვეულოდ მოკლედ გამოიყურება შექმნილ და, მით უმეტეს, დადგმულ ოპერათა სია–სულ ორი დასახელება: ბ. კვერნაძის „მედეა“ და თ. შავლოხაშვილის „თეთრი მანდილი“. „მედეა“ დაიდგა ჯერ ქუთაისში (1993), შემდეგ კი ძირეულად განახლებული სახით და „კოლხთა ასულის“ სახელწოდებით თბილისში (1997), მისი მუსიკა ინტონაციურად მკაცრი, სტილისტურად მთლიანი, დრამატურგიულად გამართულია. „თეთრი მანდილი“ (შექმნილია 1972, დაიდგა ქუთაისში 1994) თავისი ჟანრით უახლოვდება ოპერა-ორატორიას, მასში მნიშვნელოვანია გუნდის ფუნქცია, მუსიკა ყურადღებას იქცევს გამომსახველ ხერხთა სიახლით. ნაყოფიერად მუშაობენ მიუზიკლის ჟანრში ვ. აზარაშვილი, ნუნუ გაბუნია, გ. ჩლაიძე. რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა სიმფ. ჟანრში: პირველ რიგში, შავერზაშვილის მე-5 სიმფონია (1994) და ს. ნასიძის „ლიტურგიული სიმფონია“ (1992), აგრეთვე ი. გეჯაძის №3 (1993), შ. დავითაშვილის №2 (1992) სიმფონიები, რ. ქარუხნიშვილის „მუსიკა სიმფონიური ორკესტრისათვის“, მცირე საორკესტრო ჟანრის კარგი ნიმუში- ვ. აზარაშვილის „ნოქტიურნი“, ა. მაჭავარიანის, ფ. ღლონტის, თ. შავლოხაშვილის სავიოლონჩელო კონცერტები, ფ. ღლონტის „სიმფონია-კონჩერტანტე“ ფ-ნოსა და

ორკესტრისათვის (1990), მთელი რიგი ნაწარმოებები დაწერა საზღვარგარეთ გ. ყანჩელმა: „სიცოცხლე შობის გარეშე“ (სიმებიანი ორკესტრის, საქსოფონისა და სოპრანოსათვის, Exil სოპრანოსა და ინსტრუმ. ანსამბლისათვის), ამენტო (ვიოლინოს, სოპრანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის) და სხვა. კამერულ-ინსტრუმენტულ ჟანრში აღსანიშნავია: ს. ცინცაძის უკანასკნელი მე-12 (1990) და ს. ნასიძის მე-5 კვარტეტები, ა. შავერზაშვილის მე-8 („ლიტურგიული“), ს. ნასიძის, ნ. გაბუნიას, თ. შავლოხაშვილის, ზ. ნადარეიშვილის საფ. ტრიოები, გ. შავერზაშვილის საფ. სონატა, ზ. ნადარეიშვილის კვინტეტი (1999), ვ. აზარაშვილის სავიოლინო და სავიოლონჩელო სონატები. მუს. ცხოვრების დასამახსოვრებელ მოვლენად დარჩა „ავანგარდული“ მიმართულების ლიდერის თ. ბაკურაძის ნაწარმოების „2 წიგნი კვინტეტისათვის“ შესრულება (1992, შესრ. 1995). კამერულ-ვოკალურ ჟანრში შეიქმნა ა. მაჭავარიანის, ვ. აზარაშვილის, თ. შავლოხაშვილის, შ. დავითაშვილის, ნუნუ გაბუნიას, ნ. დუღაშვილის ვოკალური ციკლები და რომანსები. საგუნდო ჟანრში კვლავ ნაყოფიერად მუშაობს ი. კეჭაყმაძე, აგრეთვე ჯ. ბეგლარიშვილი, თ. შავლოხაშვილი, შ. დავითაშვილი, რ. ხორავა, ლ. თაქთაქიშვილი, რ. ქარუხნიშვილმა დაწერა ორატორია „გალობანი ვედრებისანი“ სასულიერო ტექსტებზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ათწლეულთან დაკავშირებული სიძნელეები ყველაზე უმტკივნეულოდ საესტრადო ჟანრმა გადაიტანა, რომელსაც იმ დროისათვის საკმაოდ შინაარსიანი გზა ჰქონდა გავლილი, ჯერ კიდევ 30-იან წლებში ფართოდ იყო ცნობილი მომღერლების: ლ. კავსაძის, ა. ვარდიაშვილის, ქ. ჯაფარიძის, თ. წერეთლის. მოგვიანებით ლ. გეგელიას, მ. ძიძიგურის და სხვათა სახელები. ათეული წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა გ. ცაბაძე, რომლის მუსიკამ ფართო გავრცელება პოვა. თავის დროზე საგრძნობი წვლილი შეიტანეს ამ ჟანრის განვითარებაში რ. გაბიჩვაძემ, ნ. გუდიაშვილმა, რ. ლაღიძემ, ო. გორდელმა, შ. მილორავამ, ს. მირიანაშვილმა, კ. პევზნერმა, ო. თევდორაძემ, დ. თორაძემ, გ. ყანჩელმა, ვ. აზარაშვილმა, ნ. გიგაურმა, ნ.დუღაშვილმა, ა. ბასილაიამ. 80-90-იან წლებში მათ რიცხვს მიემატნენ კ. ცაბაძე, ზ. მჟავია. ნ. გაბუნია, რ. სებისკვერაძე, მ. კვალიაშვილი, ო. ტატიშვილი, დ. ტურიაშვილი, ვ. კახიძე, ვ. დურგლიშვილი, ნ. ედილაშვილი, დ. ევგენიძე, ჯ. სეფიაშვილი („ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, 1989), ადრე ცნობილ საესტრადო კოლექტივებს–„რეროს“, „ორერას“, „ივერიას“, „ცისფერ ტრიოს“ დაემატა კიდევ მრავალი, თუმცა მათი „პროდუქცია“ მუდამ როდი იყო მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური თვისებების მატარებელი. ცალკეულ შემსრულებელთაგან კვლავ აქტიურად მოღვაწეობდნენ ნ. ბრეგვაძე, რომელიც ს-ის საუკეთესო მომღერლად აღიარეს, ვ. კიკაბიძე, ე. კაკულია, ს. ებრალიძე, თ. გვერდწითელი, გ. დოლიძე, მ. სეფაშვილი, თ. წიკლაური, თ. ჭოხონელიძე და სხვები.

90-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა კომპოზიტორთა თაობა: ს. ადამაშვილი, ვ. კახიძე, ი. ცინცაძე, ო. ტატიშვილი, გ. დავითაშვილი, დ. ევგენიძე, ზ. ბუცხრიკიძე, ნ. ჯანჯღავა, ნ. გაბაშვილი, ე. ჭაბაშვილი, მ. ალფაიძე, ე. ჭავჭანიძე, მ. ვირსალაძე, ნ. მემანიშვილი და სხვები.

ეროვნ. ვოკალური ხელოვნ. ფუძემდებლები და ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: საქ. სახ. არტისტები ვ. სარაჯიშვილი, ო. ბახუტაშვილი– შულგინა და სსრკ სახ. არტისტი ა. ინაშვილი. გამოჩენილი მომღერლები: სსრკ სახ. არტისტები პ. და მ. ამირანაშვილები, დ. ანდღულაძე, ზ. ანჯაფარიძე, ლ. ჭყონია, ზ. სოტკილავა, მ. ქასრაშვილი, ც. ტატიშვილი, საქ. სახ. არტისტები ნ. ქუმსიაშვილი, ე. სოხაძე, ნ. ცომაია, მ. ნაკაშიძე, ნ. ხარაძე, ლ. გოცირიძე, ნ. ტულუში, დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, მ. ყვარელაშვილი, ბ. კრავეიშვილი, გ. ვენაძე, ლ. ისეცკი,

გ. გოგიჩაძე, გ. გრიგორაშვილი, დ. მჭედლიძე, ნ. ბელაქნელი, ნ. ანდღულაძე, თ. მუშკუდიანი, ი. შუშანია, შ. კიკნაძე, რ. კაკაბაძე, ე. გეწაძე, ა. ხომერიკი, ჯ. მდივანი, თ. გუგუშვილი, პ. ბურჭულაძე.

90-იან წლებში დაწინაურდნენ ბ. მაისურაძე, ნ. გლუნჩაძე, ე. ჭყონია, ი. ალიბეგაშვილი, ნ. გამგებელი, ვლ. ათანელიშვილი, თ. ჯავახიშვილი, ხ. მიქაბერიძე, ნ. სურგულაძე, გ. ონიანი და სხვ. ამჟამად: ა. რაჭველიშვილი, ნ. მაჩაიძე, მ. მჭედლიშვილი, გ. გაგნიძე, ქ. ქვემოკლიძე და სხვ. ქართ. სადირიჟორი სკოლას საფუძველი ჩაუყარეს საქ. სახ. არტისტმა ი. ფალიაშვილმა და საქ. ხელოვნ. დამსახურებულმა მოღვაწემ ე. მიქელაძემ, სადირიჟორო ხელოვნებას დიდი ამაგი დასდეს სსრკ სახ. არტისტებმა ო. დიმიტრიადიმ და ჯ. კახიძემ, საქ. სახ. არტისტებმა; დ. მირცხულავამ, ზ. ხუროძემ, ვ. ფალიაშვილმა, გ. აზმაიფარაშვილმა, ჯ. გოკიელმა, ლ. კილაძემ, ს. სტოლერმანმა, საქ. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა: შ. აზმაიფარაშვილმა, გ. კილაძემ, რ. ტაკიძემ, თ. ჯაფარიძემ, შ. შილაკაძემ, ზ. აზმაიფარაშვილმა, თ. კობახიძემ, ი. ჭიაურელმა, დ. მუქერიამ, ა. მამაცაშვილმა, გ. ჭიჭინაძემ და სხვ. ქართულ პიანისტურ სკოლას საფუძველი ჩაუყარეს: საქ. სახ. არტისტებმა: ა. ვირსალაძემ, ა. თულაშვილმა. თვალსაჩინო პიანისტები არიან: სსრკ სახ. არტისტი ე. ვირსალაძე, საქ. სახ. არტისტები თ. ამირეჯიბი, მ. მდივანი, ე. ანჯაფარიძე, გ. ქავთარაძე, მ. დოიჯაშვილი, თ. მათურელი, ლ. თორაძე, ნ. გაბუნია, ა. ნიჟარაძე, რ. თავაძე, ა. კორსანტია, ე. ბოლქვაძე, ახალგაზრდები: ა. ტაკიძე, ვ. შიუკაშვილი, მ. ნადირაძე, გ. ლაცაბიძე, თ. სანიკიძე, ქ. ბადრიძე, ნ. კასრაძე, ნ. წვერელი, მ. სიმონიშვილი, ნ. გვეტაძე, თ. ლიჩელი, ე. გორდელაძე, გ. ვაჩნაძე, თ. და ნ. ბერაიები, ხ. ბუნიათიშვილი, ვ. კოდანაშვილი, ი. ჭარუაშვილი, თ. კიკნაძე, მ. ბერიძე და სხვ. მევიოლინეები: სსრკ. სახ. არტისტი ლ. ისაკაძე, საქ. სახ. არტისტები: ლ. შიუკაშვილი, ბ. ჭიაურელი, მ. იაშვილი, ნ. იაშვილი, კ. ვარდელი, რ. გვასალია, თ. ბათიაშვილი, ლ. ბათიაშვილი და სხვ. ჩელოზე შემსრულებელები: გ. ბარნაბიშვილი, ა. ჩიჯავაძე, თ. გაბარაშვილი, ე. ისაკაძე, ო. ჩუბინიშვილი და სხვა.

საქართველოში არსებობს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრი, ქუთაისის საოპერო თეატრი (1969), რომელშიც ძირითადად იდგმება ქართული ოპერები, ბათუმის საოპერო თეატრი (1993), რომელიც 2004 გაერთიანდა ბათუმის სახელმწ. მუსიკალურ ცენტრში საოპერო სტუდიის სახით. თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრი (1934, ამჟამად ეწოდება „მუსიკისა და დრამის თეატრი“), სახელმწ. სიმფ. ორკესტრი (1933), საქ. ტელევიზიისა და რადიოს სიმფ. ორკესტრი (არსებობდა 2003 წლამდე). „თბილისის სიმფ. ორკესტრი“(1993), საქ. ფილარმონია, საქ. სახელმწ. მუსიკალური ცენტრი (2005), კაპელა, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი, ხალხ. ცეკვის დამსახურებული ანსამბლი, ანსამბლი „რუსთავი“, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლები, მ. შ. „ორერა“, „ივერია“ და სხვა. თბილისში მუშაობს ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია, თბილისში–სამუსიკო კოლეჯი, სამუსიკო სკოლები საქ. ყველა ქალაქში და რ-ნის ცენტრებში, სამუსიკო განყოფილება არსებობს საქ. სახელმწ. თეატრალურ უნივერისტეტში, კომპოზიტორთა კავშირი (1932-იდან აერთიანებს 120 წევრს), ხელოვნ. მუშაკთა სახლი, საქ. კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალური ფონდი (1940-იდან), საქ. მუს. საზოგადოება (2000).

ლიტერატურა: კარბელაშვილი პ., ქართული სასულიერო და საერო ჰანგები, თბ., 1898; ფალიაშვილი ზ., ქართული ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1910; ჯავახიშვილი ი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები თბ., 1938; კუცია-ღვალაძე თ., ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია, თბ. 1947; ჩხიკვაძე გრ., ქართველი ხალხის

უძველესი მუსიკალური კულტურა, თბ., 1948; არაყიშვილი დ., ქართული მუსიკის მოკლე მიმოხილვა თბ., 1940; ასლანიშვილი შ., ქართლ-კახური საგუნდო სიმღერების ჰარმონია, 1950; წულუკიძე ა., ქართული საბჭოთა მუსიკა, 1971; შილაკაძე მ., ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1971; ორჯონიკიძე გ., აღმავლობის გზის პრობლემები თბ., 1978; მისივე– თანამედროვე ქართ. მუსიკა ესთეტიკის და სოციოლოგიის შუქზე(თბ. 1984); ქართული მუსიკის ისტორია, ტ. I (ავტორთა კოლექტივი, შემდგ. გ. ტორაძე. თბ. „განათლება“, 1990); ტორაძე გ.– ქართული მუსიკა საუკუნის გადასახედიდან (თბ. 1998); XX ს. 20-50-იანი და 60-90-იანი წლების ქართ. მუსიკის ისტორიის ნარკვევები (ავტ. კოლექტივი თბ. 1998; 2004). Корганов В. Д. , Кавказ. муз, библиогр. заметки, Тфл., 1900, Кавк. музыка, сб, ст., Тфл., 1908, Каргаретели И. Г., Груз. муз, Тфл., 1901, Аракишвили Д. И., Обзор народной песни Вост. Грузии, Тб., 1948 , Стешенко - Куфтина В., Древнейшие основы грузинской музыки. 1. Флейта Пана, Тб., 1936, Чхиквадзе Г., Основные типы груз. народ. многоголосия, М., 1957 , История музыки народов СССР. 1-У, М., 1971-74, т. ,У1, 2 ч. М., 1996 Музыковедение и муз. критика в республиках Закавказья, сб. М.,1956. Грузинская музыкальная культура (М-1957). Донадзе В., Очерки по истории грузинской советской музыки, Тб. 1975, Мшвелидзе А... Очерки по истории муз. образования в Грузии, М., 1971, Торадзе Г., Композиторы Грузии, Тб., 1973. Иашвили М. Об истоках грузинского многоголосия (Тб. 1987), Жордания И. Грузинское традиционное многоголосие в международном контексте многоголосных культур (Тб. 1990), История грузинской музыки (авторский коллектив. Сост. Г. Торадзе, Тб., 1998).

ქართული მუსიკისმცოდნეობა–ძვ. საქართველოში მეცნიერული აზრი მუსიკის შესახებ ყალიბდებოდა საკუთრივ პროფესიული (სასულიერო) მუს. ხელოვნ. განვითარების პარალელურად. დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი მიქაელ მოდრეკილი, განთქმული „იადგარის“ (978-988) შემდგენელი, გარკვეული აზრით, პირველ ქართველ მუსიკისმცოდნედ შეიძლება ჩაითვალოს. ქართ. გალობისა და მისი ჰარმონიული სტრუქტურის შესახებ ძვირფას ცნობებს შეიცავს იოანე პეტრიწის შრომა „განმარტებაჲ პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“. ქართ. მუს. ტერმინოლოგიის იმ დროისათვის არსებული ძირითადი ფონდი წარმოდგენილია ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში. თავისი დროის თვალსაჩინო მუსიკისმცოდნეა იოანე ბაგრატიონი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის „კალმასობას“ (1828-29) და მუსიკის მოკლე სახელმძღვანელოს. საგრძნობი წვლილი შეიტანეს თეორ. მუს. განათლების დანერგვისა და ქართ. ხალხური მუსიკისა და სას. გალობის შესწავლაში XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ხ. სავანელმა, ფ. ქორიძემ, პ. კარბელაშვილმა, ზ. ჩხიკვაძემ, ი. კარგარეთელმა, მ. ბალანჩივაძემ, დ. არაყიშვილმა, ზ. ფალიაშვილმა და სხვ.

პირველ პროფესიონალ მუსიკისმცოდნედ უნდა ჩაითვალოს ა. რაზმაძე (მოსკოვის კონს-ის პროფ.), რომელსაც ეკუთვნის „ჰარმონიის ამოცანათა კრებული“ (1880) და დიდტანიანი „მუსიკის ისტორიის ნარკვევები“ (1888).

მუსიკისმცოდნეთა ეროვნ. კადრების მომზადება თბ-ში კონს-ის დაარსების (1917) შემდეგ დაიწყო.

თანამედროვე ქართული მუსიკისმცოდნეობის ძირითადი დარგებია: მუს. ფოლკლორისტიკა, მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, მუს. ესთეტიკა (ბოლო წლებში). ყველაზე ხანგრძლივი ტრადიციები აქვს მუს. ფოლკლორისტიკას. მისი ფუძემდებელია დ. არაყიშვილი, რომელმაც შეკრიბა და 3 ტომად გამოსცა 500-მდე ქართ. ხალხ. სიმღერა (1906-16); მასვე ეკუთვნის პირველი კვლევითი ხასიათის შრომები ქართ. მუსიკის შესახებ. 60-90-იან წლებში გამოიცა გ. ჩხიკვაძის, ვ. ახობაძის, ა. მშველიძის, ა. ანდრიაშვილის, ვ. მახარაძის, კ. როსებაშვილის, ა. ხორავას, ო. ჩიჯავაძის, ბ. გალაევის, ა. ერქომაიშვილის, ნ. კალანდაძის, მ. ერქვანიძის, დ. შუღლიაშვილის, კ. ჭოხონელიძის მიერ შედგენილი კრებულები. ქართ. ხალხურ მუსიკას მიეძღვნა შ. ასლანიშვილისა და გ. ჩხიკვაძის შრომები. ამავე სფეროში მუშაობდნენ: ვ. ახობაძე, ა. ერქომაიშვილი, გ. კოკელაძე, თ. მამალაძე, ვ. მაღრაძე, ვ. ჟღენტი, მ. იაშვილი, მ. და ს. ჟორდანიები („ქართ. ტრადიციული მრავალხმიანობა მრავალხმიან კულტურათა საერთაშორისო კონტექსტში“, 1989). კ. როსებაშვილი, მ. შილაკაძე, ო. ჩიჯავაძე, ვ. გოგოტიშვილი, კ. ჭოხონელიძე, ნ. მაისურაძე, ბ. ბარამიძე, დ. მესხი, ე. გარაყანიძე, ნ. ზუმბაძე, მ. ოსიტაშვილი, ნ. ფირხცალავა, ქ. ნაკაშიძე, მ. სუხიაშვილი, ნ. კალანდაძე, დ. შუღლიაშვილი, მ. ერქვანიძე, თ. გაბისონია, მ. ხაშბა და სხვ. ხალხური მუსიკის პრობლემებს ძირითადად ამუშავებს თბ. კონს-ის ფოლკლორისტიკისა (გამოეყო მუსიკის ისტორიის კათედრას 1970) და მუსიკის თეორიის კათედრები (დაარსდა 1937). 2003 თბ. კონს-ში დაარსდა მრავალხმიანობის შემსწავლელი საერთაშ. სამეცნ. ცენტრი. ჩატარდა მრავალხმიანობის პრობლემებისადმი მიძღვნილი 5 საერთაშ. კონფერენცია (თბილისი, ბორჯომი 1984-1988, 1998, 2000) და ტრადიციული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი ფართო მასშტაბის 3 საერთაშ. სიმპოზიუმი (თბილისი, 2002, 2004, 2006).

თეორიულ მუსიკისმცოდნეობაში აღსანიშნავია შ. ასლანიშვილის გამოკვლევა „ქართლ-კახური ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია“ (პირველი გამოცემა 1950), აგრეთვე მისი წიგნი „ი. ს. ბახის ორ და სამხმიანი ინვენციები“ (1964), მ. ყანჩელის „მსხვილი ერთნაწლიანი ფორმა XIX ს-ის მუსიკაში“ (1973) და „დ. შოსტაკოვიჩის და ს. ცინცაძის სიმებიანი კვარტეტები“, ქ. თუმანიშვილის, ლ. ფალიაშვილის, ქ. არაქელოვის, ვ. ჟღენტის, ბ. გულისაშვილის, დ. არუთინოვ-ჯინჭარაძის, მ. ანდრიაძის („საგალობელთა ჟანრები და ნევმირების ტრადიცია XIX ს. ქართ. ხელნაწერების მიხედვით“, 1998). ლ. მარუაშვილის, ჯ. და ზ. ოიკაშვილების, ლ. გოგოლაძის, დ. რუხაძის, გ. გვარჯალაძის, მ. ჭოღოშვილის, თ. მგალობლიშვილის, თ. ჩხეიძის, ე. ონიანის, მ. ნადარეიშვილის, ლ. პატარიძის, ლ. სამსონაძის და სხვ. შრომები. გამოცემულია კათედრის წევრთა შრომების კრებული (1981).

ისტ. მუს. მეცნიერების ხაზით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დიდი ქართველი მეცნიერის ი. ჯავახიშვილის „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938), რომელშიც განხილულია ქართ. მრავალხმიანობის გენეზისის ძირეული პრობლემები, ხალხ. ვოკალური და საკრავიერი მუსიკის ცალკეული საკითხები, ღრმად და მრავალმხრივად არის გაანალიზებული ქართ. საისტორიო და ლიტ. წყაროებში წარმოდგენილი მუს. ტერმინოლოგიის ძირითადი ფონდი.

სისტემატური მუშაობა მუსიკის ისტორიის დარგში დაიწყო კონს-ში შესაბამისი კათედრის დაარსების შემდეგ (1937). ყურადღების ცენტრშია ქართ. მუსიკის ისტორიის საკითხები. ქართ. მუს. კულტურის განვითარების ძირითადი ეტაპების (უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე)

პირველ მეცნ. განზოგადებას წარმოადგენს კოლექტიური შრომა „ქართული მუსიკალური კულტურა“ (მოსკოვი, 1958).

გამოცემულია აგრეთვე ლ. დონაძის „ქართული საბჭოთა მუსიკის ისტორიის“ I ტ.(რუს. ენაზე, 1975), ა. წულუკიძის „ქართული საბჭოთა მუსიკა“ (1970), გ. ორჯონიკიძის „აღმავლობის გზის პრობლემები“(1978) და „თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკისა და სოციოლოგიის შუქზე“(1984), „ქართული მუსიკის ისტორია“ I. ტ. (ავტორთა კოლექტივი, თბ., 1990), გ. ტორაძის „ქართული მუსიკა საუკუნის გადასახედიდან“ (1998), XX ს-ის 20-50-იანი და 60-70-იანი წლების ქართული მუსიკის ისტორიის ნარკვევები (ავტ. კოლექტივი. თბ. 1998, 2004), რ. წურწუმიას „XX ს. ქართული მუსიკის თვითმყოფადობისა და ღირებულებრივი ორიენტაციის პრობლემები“ (2002), „ქართული მუსიკის ისტორია“ (რუს. ენაზე, 1998).

მონოგრაფიებიდან გამოირჩევა ლ. დონაძის „ზ. ფალიაშვილი“ და „შ. მშველიძე“, ა. ბეგიჯანოვის „დ. არაყიშვილი“, გ. ორჯონიკიძის „ა. ბალანჩივაძე“, ა. წულუკიძის „შ. მშველიძე“, პ. ხუჭუას „ზ. ფალიაშვილი“, „დ. არაყიშვილი“ და „მ. ბალანჩივაძე“, მ. იაშვილის „ა. კერესელიძე“, თ. კვირიკაძის „შ. აზმაიფარაშვილი“, მ. ფიჩხაძის „სულხან ცინცაძე“, გ. ტორაძის „ოთარ თაქთაქიშვილი“, ა. მშველიძის „ნარკვევები მუსიკალური განათლების ისტორიიდან საქართველოში“, შ. კაშმაძის ორტომეული „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, „ზ. ფალიაშვილი“, დ. გოგუას „ქართული კამერული ანსამბლი“, ნ. კილაძის „ქართული ბალეტი“, ე. ლომდარიძის „დავით თორაძე“, „ა. მაჭავარიანის საგუნდო და კამერულ-ვოკალური შემოქმედება“, ნ. ქავთარაძის „მერი დავითაშვილი“, „ა. ნიჟარაძე“, რ. ქუთათელაძის „სულხან ნასიძე“ და სხვ. ძვ. ქართ. მუსიკის ისტორიის საკითხებზე მუშაობენ: გ. ჩხიკვაძე, ვ. გვახარია, ო. ჩიჯავაძე, მ. იაშვილი, მ. ანდრიაძე, მ. ხვთისიაშვილი, ი. ბახტაძე და სხვ. თანამედროვე ქართ. მუსიკისადმი მიძღვნილი შრომებიდან გამოირჩევა ლ. დონაძის, გ. ორჯონიკიძის, ა. წულუკიძის, აგრეთვე მ. ახმეტელის, დ. გოგუას, რ. წურწუმიას, ნ. და მ. ქავთარაძეების, ნ. კილაძის, რ. ქუთათელაძის, მ. ხვთისიაშვილის, ნ. ჟღენტის, ლ. კაკულიას, გ. ტორაძის ნაწერები.

საზღვარგარეთულ მუსიკას მიეძღვნა ლ. დონაძის გამოკვლევები შუბერტის სიმფონიზმის შესახებ და გ. ორჯონიკიძის „ვერდის ოპერები შექსპირის სიუჟეტებზე“, აგრეთვე თ. გელაძის (ნარკვევების ციკლი XX ს. დას. ევროპელ კომპოზიტორების შესახებ), ვ. გვახარიას (მიენიჭა გდრ ქ. ჰალეს „ჰენდელის საზოგადოების“ პრემია), მ. ვაჩნაძის, გ. ტორაძის, მ. ქავთარაძის, რ. ქუთათელაძის, ე. ბალანჩივაძის, ლ. დოლიძის, ქ. ბაქრაძის, ნ. ლორიას, ქ. ბოლაშვილის, ნ. შარიქაძის ნაშრომები. რუს. კლასიკური მუსიკის ცალკეული საკითხები შეისწავლეს თავის შრომებში ე. ძიძაძემ, ლ. პოდზემსკაიამ, ნ. დიმიტრიადიმ, გ. ტორაძემ, ე. ბალანჩივაძემ, ე. ყარანგოზიშვილმა, მ. კირაკოსოვამ. „საბჭოთა“ პერიოდის რუს. მუსიკის (კერძოდ, პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის შემოქმედების) შესწავლის ხაზით ნაყოფიერად მუშაობდა გ. ორჯონიკიძე. აღსანიშნავია აგრეთვე ა. წულუკიძისა და მ. იაშვილის შრომები. არაევროპულ მუს. კულტურებს სწავლობს მ. ქავთარაძე.

მუს. კრიტიკის წამომწყებია მწერალი ილია ზურაბიშვილი (1872-1955). მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (1941). სხვადასხვა წლებში აქტიურად მოღვაწეობდნენ ლ. დონაძე და პ. ხუჭუა (განსაკუთრებით 30-40-იან წლებში), 50-იანი წლებიდან –ა. წულუკიძე, გ. ორჯონიკიძე, გ. ტორაძე, მ. ფიჩხაძე, ქ. თბილელი (არაქელოვი), თ. ხუროშვილი, ლ. კაკაბაძე, 60-იდან–მ. იაშვილი, 70-იდან –მ. ახმეტელი, ნ. ქავთარაძე, ნ. დიმიტრიადი, ე. მაჭავარიანი, რ. ქუთათელაძე, მ კორძაია.

გ. ტორაძე

ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი, მუსიკალური კოლექტივი. ასეთი ორკესტრის დაარსების პირველი ცდა ეკუთვნით კ. ფოცხვერაშვილსა და ვ. თამარაშვილს (1920-იანიწწ.). 1937საკრავთა რეკონსტრუქციის (საორკესტრო ტიპების დამუშავებისას ხალხ. პროტოტიპის შენარჩუნება) შედეგად თბილისის არქიტ. ტექნიკუმთან შეიქმნა ქხსო (ხე-ლი კ. ვაშაკიძე), ორკესტრში იყო შემდეგი საკრავები: ფანდური, ჩონგური, ჩანგი, ჭუნირი, დუდუკი, გუდასტვირი, დაირა, დოლი, დიპლიპიტო. დამოუკიდებელი მხატვრული კოლექტივის სახე ორკესტრმა მიიღო 1973-76 (ამ პერიოდში ერქვა „ქართული ხალხური საკრავების სახელმწიფო ორკესტრი“). ასეთი ორკესტრები არსებობდა რადიოსა და ტელევიზიის სახელმწ. კომიტეტთან, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან და სხვ. კულტურის სამინისტროსთან ერთხანს არსებობდა ქართ. ხალხ. საკრავთა ექსპერ. სახელოსნო.

„ქართული ხმები”, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, საქ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1996), დაარსდა „ჟურნალისტის” სახელწოდებით. საქ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტთან 1985 (გ. დოლიძისა და თ. ჭკუასელის ინიციატივით). „ქ.ხ.” 1991 ეწოდა. 1992-იდან ანსამბლის ხე-ლია ხელოვნ. დამს. მოღვაწე რ. გოგოლაშვილი. ამავე წლიდან ანსამბლი ჩამოყალიბდა ასეთი შემადგენლობით: გ. ჭირაქაძე, დ. აბესაძე (საქ. სახ. არტისტი), გ. დოლიძე, გ. თამაზაშვილი, თ. ჭკუასელი, დ. გოგიაშვილი, ზ. ლოლაძე, ზ. ბოლქვაძე, მ. თალაკვაძე, გ. ჭიჭინაძე, რ. გოგოლაშვილი. „ქ.ხ.” სიმღერა გამოირჩევა ეროვნ. თვითმყოფადობით, მაღალი პროფესიონალიზმით. საქართველოს ყველა კუთხის უძველესი ხალხ. სიმღერების გარდა რეპერტუარშია ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. ანსამბლს გასტროლებით შემოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. გამოშვებული აქვს მრავალი ფირფიტა, კომპაქტდისკი, აუდიო და ვიდეო კასეტები.

ქასრაშვილი მაყვალა ფილიმონის ასული[13.III.1942, ქუთაისი], ქართველი მომღერალი(ლირ.-დრამ. სოპრანო). საქ. (1980) და სსრკ (1986) სახ. არტისტი. ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსის (მონრეალი 1973), ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიების ლაურეატი (1983), რუსეთის „ხალხთა მეგობრობის“ ორდენი (2006), „ღირსების ორდენის “ კავალერი (1997), საერთაშ. კონკურსების ჟიურის წევრი. 1966 დაამთ. თბ. კონს. ვოკალური განყოფილება (პროფ. ვ. დავიდოვის კლ.) 1966-იდან სსრკ დიდი თეატრის წამყვანი სოლისტია. 2002-იდან საოპერო დასის შემოქ. კოლექტივების მმართველი. 2014-იდან მოსკოვის კონს. პროფესორი. ქ. დიდი შინაგანი ექსპრესიის, ვოკალურ-არტისტული დიაპაზონის, უმაღლესი პროფესიული კულტურის მომღერალია. დაჯილდოებულია უმაღლესი ტემბრის თბილი ხმით.

პარტიები: თამარი (ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“), ევრიდიკე (გლუკის „ორფეევსი და ევრიკიდე“), ტატიანა, ლიზა, იოლანტა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“, „იოლანტა“), დონა ანა, გრაფინია (მოცარტის „დონ ჯოვანი“, „ფიგაროს ქორწინება“), ტოსკა, ტურანდოტი (პუჩინის „ტოსკა“, „ტურანდოტი“), ლეონორა, ამელია, დეზდემონა, აიდა (ვერდის „ტრუბადური“, „ბალ-მასკარადი“, „ოტელო“, „აიდა“), ნატაშა როსტოვა, ლიუბკა, პოლინა (პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“,

„სემიონ კოტკო“, „მოთამაშე“), მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი“), სანტუცა (მასკანის „სოფლის ღირსება“), ორტრუდა (ვაგნერის „ლოენგრინი“), ფრანჩესკა (რახმანინოვის „ფრანჩესკა და რიმინი“) და სხვ.

გ. ტორაძე

ქაშაკაშვილი ვალერიან სარდიონის ძე [3.V. 1898, სოფ. ბაღდათი,–17.VII.1954, თბილისი], ქართველი მომღერალი (ბარიტონი). 1923 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. ჯაყელის კლასი). 1920-25 იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. პარტიები: ამონასრო (ვერდის „აიდა“), ტონიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), აბდულ-არაბი (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), კიაზო (ზ. ფალიაშვილის „დაისი“). 1925 ოსტატობას სრულყოფდა მილანის თეატრ „ლა სკალაში“ (მარიო სამარკოსთან). იტალიაში ყოფნის პერიოდში (1925-28) ქ-მა (ქაშელისა და თორელის ფსევდონიმით) რომისა და გენუის საოპერო თეატრებში შეასრულა რიგოლეტოს, ჟერმონის, ამონასროს (ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „აიდა“), სკარპიას (პუჩინის „ტოსკა“), ტორეადორის (ბიზეს „კარმენი“), ტონიოს (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ალფონსოს (დონიცეტის „ფავორიტი ქალი“) პარტიები. 1928-48 მღეროდა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. 1932-38 მღეროდა ტენორის პარტიებს. ქ-ს ჰქონდა ძლიერი, ხავერდოვანი ხმა. შეასრულა 30-მდე პარტია. 1928-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1937-იდან თბ. კონს-ში) მოწაფეები: გ. გრიგორაშვილი, თ. მუშკუდიანი, ლ. ჭყონია და სხვ.

ლ. კაკულია



ქევხიშვილი თემურ ვასილის ძე[19.IV 1940, სოფ. ახალსოფელი, ყვარელის რ-ნი], ქართველი მომღერალი და ლოტბარი. საქ. სახ. არტისტი (1990) საქ. სახელმწ. პრემიის (2012), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX საერთაშ. ფესტივალის (სოფია, 1968) ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1996). 1967 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს-ის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (ხე-ლი ვ. ფალიაშვილი). სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს საქ. სხვადასხვა რ-ნში. 1982-84 იყო მის მიერვე ჩამოყალიბებული ანსამბლის „ოროველას” ხე-ლი, არის საყოველთაოდ ცნობილი ანსამბლების „ვორდელასა“ და „ჟურნალისტის“ (საქ. ტელევიზიის ვაჟთა გუნდი, შემდგომში ცნობილი „ქართული ხმების“ სახელით) ერთ-ერთი დამაარსებელი, ქ. 1988-94 საქ. ტელევიზიით ატარებდა ქართ. ხალხ. სიმღერის ღია გაკვეთილებს. 1986 სათავეში ჩაუდგა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპ. სასახლის ხალხ. სიმღერის ანსამბლს „დარიალს“(1995 ანსამბლმა პოლონეთში გამართულ საეკლესიო მუსიკის საერთაშ. ფესტივალზე ლაურეატის წოდება და გრან-პრი დაიმსახურა). 2013 ფონდმა „ქართული გალობა“, ქ. „საუკუნის ხმად“ აღიარა.

ქვემოკლიძე ქეთევან ერმილეს ასული [7.VII.1981, თბილისი], ქართველი მომღერალი(მეცო-სოპრანო). 2005 დაამთ. თბ. კონს-ის მაგისტრატურა (პროფ. კარიაულის

კლ.). 2002 ჯერ კიდევ კონს. სწავლის დროს შედგა მისი დებიუტი თბ. საოპერო თეატრის სცენაზე ვერდის ოპერაში „რიგოლეტო“, ამავდროულად გახდა საქ. II რესპუბლიკური და ახალგაზრდული კონკურსების ლაურეატი. იმთავითვე მონაწილეობდა თბ. საოპერო სპექტაკლებსა და საკონცერტო პროგრამებში. ქ-ს დიდი წარმატება მოუტანა ბელვედერის საერთაშ. კონკურსმა (ვენა), სადაც დაჯილდოვდა „ლა სკალას“ საოპერო თეატრის სპეციალური პრიზით, რის შედეგადაც უგამოცდოდ ჩაირიცხა ამავე თეატრთან არსებულ აკადემიაში. მნ. ფაქტად იქცა სხვადასხვა დროს ქ-ს მონაწილეობა „ლა სკალას“ თეატრის წარმოდგენებში. ქ-მ გაიმარჯვა ფ. ვინიასის (ბარსელონა), პ. დომინგოს, ე. ობრაზცოვას (სანკტ-პეტერბურგი) და ტულუზის საერთაშ. კონკურსებზე. განსაკუთრებული ვოკალური და სასცენო მონაცემების, მაღალი პროფესიონალიზმის და დახვეწილი ტექნიკის წყალობით ქ. მსოფლიო წამყვანი საოპერო თეატრების სასურველი სტუმარია. ქ. აღიარებულია როსინისა და მოცარტის ნაწარმოებთა შესანიშნავ შემსრულებლად. ესპანელმა რეჟისორმა კარლოს საურამ ქ. გადაიღო ადრიანა ფერარეზეს (დონა ელვირა) როლში ფილმში „მე დონ ჯოვანი“, რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა საერთაშ. კინოფესტივალზე.

ქ-ის დისკოგრაფია: როსინის „სევილიელი დალაქი“, გუნოს „რომეო და ჯულიეტა“, ვერდის „ოტელო“, შტარუსის „სალომე“, მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და სხვ.

ქნარი, ერთ-ერთი უძველესი (ძვ. წ. IV-III ათასწლ.) მრავალსიმიანი მუს. საკრავი. არსებობს ქ-ის მრავალი ნაირსახეობა: ბერძ. ლირა, ქართული ჩანგი და ებანი, თანამედროვე არფა. საკრავთა ამ ჯგუფის სამშობლოა წინა აზიის უძველესი ქვეყნები (ასურეთი, შუმერი). განსაკუთრებული გავრცელება პოვა ბერძ. ლირამ. იგი ხელოვნების სიმბოლო გახდა.

ქორალი [გვიანდ. ლათ. (cantus) choralis–საგუნდო (საგალობელი)], 1. ტრადიციული (კანონიზებული) ცალხმიანი საგალობელი, რომელიც სრულდება დასავლეთ-ქრისტიანულ ეკლესიაში და წარმოადგენს ღვთისმსახურების ნაწილს. რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში ჩამოყალიბებულ ქორალს ეწოდება გრიგოლისეული ქ., გერმანულ-რეფორმატორულ ეკლესიაში –პროტესტანტული ქ., ქ-ის სხვადასხვა დამუშავებები (Cantus firmus-ი, მესა, მოტეტი, და სხვა) იქცა იმ თემატურ და კონსტრუქციულ საფუძვლად, რომელზედაც აღმოცენდა პროფესიული მუს. ხელოვნების ნაწარმოებები კლასიციზმისა და მის წინა ეპოქაში. 2. ქორალური საგალობლის მრავალხმიანი (საგუნდო) დამუშავება, რომელსაც აკორდულ-ჰარმონიული წყობა აქვს. ხშირად წარმოადგენს ჩართულ ნაწილს (ნომერს) ორატორიებში, კანტატებში, „ვნებებში“ (პასიონებში).

ქორიძე ფილიმონ იასეს ძე [1829, სოფ. გამოჩინებული, ახლანდ. ზემო აბაშა, სამტრედიის რ-ნი,–1911, ბახმარო, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, დაკრძალულია ქ. ოზურგეთში], პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი), პედაგოგი, ფოლკლორისტი, ხალხური გუნდების ორგანიზატორი და ლოტბარი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-

ერთი ფუძემდებელი. ვოკალურ ხელოვნებას ქ. დაეუფლა მილანში, ფ. რონკონისთან (1864-72). 1872 გასტროლები ჰქონდა სამხრეთ ამერიკაში (რიო-დე-ჟანეირო). მღეროდა მილანის „ლა სკალაშიც“. 1873-იდან პეტერბურგის მარიას თეატრის სოლისტია. 1874-81 კონცერტებით შემოიარა იტალიის ქალაქები (კორიჯიოს ფსევდონიმით). 1881-იდან ერთხანს მღეროდა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. შეასრულა სუსანინის (გლინკას „სიცოცხლე მეფისთვის“), დემონის (რუბინშტეინის „დემონი“), დონ ბაზილიოს (როსინის „სევილიელი დალაქი“), რუსლანის (გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“) პარტიები.

ქ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ხალხური სიმღერა–გალობის თავმოყრის, ჩაწერისა და გავრცელების საქმეში. 1895–1904 შეკრიბა და გამოსცა საგალობლების 4 კრებული. ქ-ს დაწერილი აქვს ვოკალური და საფ. ნაწარმოებები, აგრეთვე თეორიული ხასიათის შრომა „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის“(1895).

ქორმაისტერი (ქორო და გერმ.Meister ოსტატი, ხელმძღვანელი), საგუნდო დირიჟორი, გუნდის ხელმძღვანელი.

ქორო (ბერძ. choros), მომღერალთა გუნდი, თეატრალური წარმოდგენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ძვ. ბერძ. თეატრში. ძვ. ბერძ. დრამა არსებითად წარმოადგენდა ქოროსა და მოქმედ პირთა გაბაასებას. ქ. გამოხატავდა ხალხის, მაყურებლის დამოკიდებულებას. დროთა განმავლობაში ქ-მ ძირითადი ფუნქცია დაკარგა. იგი შეცვალა პიესის აქტების ანუ მოქმედებებს შორის ჩართულმა ნომრებმა და ცეკვებმა, რომლებსაც პიესის სიუჟეტთან არაფერი საერთო აღარ ჰქონდა.

ქრომატიზმი (ბერძ. chromatismos–შეფერილობა), კილოს დიატონური საფეხურის ნახევარტონით ამაღლება ან დადაბლება, რაც აძლიერებს მეზობელ საფეხურთან მის მიზიდულობას. დიატონურ საფეხურსა და მის ამაღლებულ ან დადაბლებულ ვარიანტს შორის წარმოიქმნება ქრომატული ნახევარტონი, რომლის ბგერები, განსხვავებით დიატონური ნახევარტონისაგან (დო რე-ბემოლი), ერთ საფეხურს განეკუთვნება (მაგ. დო დო-დიეზი). ქ. გამოისახება ალტერაციის ნიშნებით, თუმცა ალტერაცია უფრო ზოგადი ცნებაა.

ქრომატული გამა, ტემპერირებული ბგერათა რიგის ყველა ბგერის თანამიმდევრობა. ქ.გ. შედგება 12 ბგერისაგან, ინტერვალი მეზობელ ბგერებს შორის ნახევარი ტონია. ქრომატული და დიატონური ნახევარი ტონების მონაცვლეობის რიგი დამოკიდებულია კილოებრივ მიხრილობაზე (მაჟორი და მინორი), აგრეთვე მოძრაობის მიმართულებაზე (აღმავალი ან დაღმავალი).

ქსენაკისი იანის [29. V. 1922, ბრაილა რუმინეთი,–4. II. 2001, პარიზი], ბერძენი კომპოზიტორი და არქიტექტორი. ცხოვრობდა საფრანგეთში. ო. მესიანისა (კომპოზიცია) და ლე კორბიუზიეს (არქიტექტ.) მოწაფე. დააარსა (საფრანგეთსა და ინდოეთში) მუს. ცენტრები, რომლებიც სწავლობენ მუსიკისა და მათემატიკის

ურთიერთკავშირს. შექმნა კომპოზიციის საკუთარი ე.წ. სტოქასტიკური სისტემა, რომელიც დამყარებულია მათემატიკური ალბათობის თეორიაზე. მიმართავდა ე.წ. სივრცობრივ მუსიკას. პ. ბულეზთან ერთად ქ. ფრანგული მუს. ავანგარდის ერთ-ერთი ლიდერია. ავტორია ბალეტების, საორკესტრო და საგუნდო ნაწ-ისა, ელექტრონული და ლაზერული მუსიკისა. ხშირად იყენებს საკრავთა უჩვეულო ანსამბლებს, ალეატორიკის ხერხებს.



ქსილოფონი (ბერძ. xylon ხე და phone ბგერა), დასარტყმელი მუს. საკრავი. ევროპაში ცნობილია XV ს-იდან. XIX ს-იდან იყენებენ ანსამბლებში, საოპერო და სიმფ. ორკესტრებში, აგრეთვე სოლო შესრულებისათვის. შედგება 41 ქრომატულად აწყობილი ხის (კაკლის, ნეკერჩხლის, ნაძვის, სოჭის) ფირფიტისაგან, რომლებიც ჩალის კონებზეა მოთავსებული 4 ვერტიკალურ რიგად. ქ. ბგერას გამოსცემს პატარა ხის ჩაქუჩის დარტყმით. საკრავი სხვადასხვა ზომისა შეიძლება იყოს, მისი დიაპაზონი ვრცელდება პირველი ოქტ. დო-დან, მეოთხე ოქტ. დო-მდე. ქ-ის ნაირსახეობანია მარიმბა და ტუბოფონი.

ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრი. დაარსდა 1969 ქუთაისში მანამდე არსებული სახალხო თეატრის ბაზაზე. დაარსების ინიციატორები იყვნენ საქ. კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი დ. მჭედლიძე. თავდაპირველად დაარსდა როგორც თბილისის საოპერო თეატრის ფილიალი, 1971-იდან თეატრს დამოუკიდებელი სტატუსი მიენიჭა ხოლო 1990 მ. ბალლანჩივაძის სახელი. სხვადასხვა დროს თეატრს ხელმძღვანელობდნენ დ. მჭედლიძე, გ. გაჩეჩილაძე, გ. ტორონჯაძე, მ. ამირანაშვილი, ბ. სამადაშვილი, რ. ჯავახიშვილი, გ. ჭიჭინაძე, 2015-იდან თეატრის სამხ. ხე-ლია ი. ლომინაძე. თეატრის ძირითად ამოცანად განისაზღვრა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების დადგმა. თეატრის წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვით დირიჟორებს: თ. კობახიძეს, ო. დიმიტრიადის, რ. ხურცილავას, ი. ჭიაურელს, რ. ტაკიძეს, ა. მამაცაშვილს, გ. ჭიჭინაძეს, თ. ჭუმბურიძეს, მ. კობახიძეს; რეჟისორებს: გ. გაჩეჩილაძეს, დ. ალექსიძეს, ვ. ტაბლიაშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, მ. კიკნაძეს, ვ. ნიკოლაძეს, მ. გაჩეჩილაძეს; ქორმაისტერებს: ა. განუგრავას, ა. მაჭავარიანს, ლ. დავითაშვილს, ტ. თოფურიძეს; მხატვრებს: თ. არსენიძეს, ი. ასკურავას და სხვ. მომღერლებს: ვ. კუბლაშვილს, გ. კუბლაშვილს, რ. კუბლაშვილს, ი. ქუთათელაძეს, ლ. მესხს, ა. ჭურღულიას, ო. ჭურღულიას, გ. ლომთაძეს, ჯ. და

ფ. ჯინჯიხაძეებს, ნ. სულაბერიძეს, ვ. მითაიშვილს, ა. ფხაკაძეს და სხვ. ბოლო ხანებში თეატრი შეივსო ახალგაზრდა მომღერალთა ჯგუფით: თ. ფარცვანია, ნ. სტეფანიშვილი, ნ. ზაქაიძე და სხვ.

თეატრი გაიხსნა ზ. ფალიაშვილის ოპ. „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენით (მთ. როლებს ასრულებდნენ ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა და პეტრე ამირანაშვილები). წლების მანძილზე თეატრმა განახორციელა შემდეგი ქართული ოპერების დადგმა: ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „ლატავრა“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ (ახ. რედ.), ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“ (ახ. რედ.), ბ. კვერნაძის „მედეა“, თ. შავლოხაშვილის „თეთრი მანდილი“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“ ი. გოკიელის „წითელქუდა“, მ. ჩლაიძის „დარისპანის გასაჭირი“, დაიდგა ბალეტები: ვ. აზარაშვილის „ხევისბერი“, შ. დავითაშვილის „ზვიადაური“ და „ვეფხვი და მოყმე“. ქართველი კომპოზიტორების ოპერების გარდა უმთავრესი დადგმებია: ბეთჰოვენის „ფიდელიო“, როსინის „სევილიელი დალაქი“, ვერდის „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“, პუჩინის „ჯანი სკიკი“, „ტოსკა“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“, დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, მასკანის „სოფლის ღირსება“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, რახმანინოვის „ალეკო“, ბიზეს „მარგალიტის მაძიებელნი“ და სხვ..

თეატრის ძალებით განხორციელდა ბეთჰოვენის IX სიმფონიისა და ვერდის „რეკვიემის“ შესრულება.

ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. დაარსდა 1977, რომლის დირექტორი იყო დ. ახვლედიანი, 1979-იდან დღემდე ორკესტრის დირექტორია დ. იამანიძე. პირველი მთ. დირიჟორი იყო რ. ხურცილავა (1977-1988), ორკესტრში მუშაობდნენ: თ. კობახიძე, თ. ჭუმბურიძე, მ. კობახიძე, ტ. დუგლაძე, ი. ჭიაურელი, რ. ჯავახიშვილი. ორკესტრთან სისტემატიურად თანამშრომლობდნენ დირიჟორები: ო. დიმიტრიადი, რ. ტაკიძე, ა. მამაცაშვილი, მ. დოლიძე, დ. მუქერია. 1992-2000 დირიჟორები იყვნენ მხოლოდ მოწვევით. ორკესტრს შესრულებული აქვს მსოფლიოს კლასიკური სიმფონიური მუსიკის მრავალი ნიმუშები: ბეთჰოვენის IX სიმფონია, მოცარტის „რეკვიემი“ (სომხეთის აკად. საგუნდო კაპელის მონაწილეობით), ბახის, ჰაიდნის, ბერლიოზის, შოსტაკოვიჩის, ბალანჩივაძის, ცინცაძის, მაჭავარიანის, კვერნაძის, აზარაშვილის და სხვათა ნაწარმოებები. 1992 ორკესტრი გასტროლებზე იმყოფებოდა ესპანეთში.

ორკესტრთან გამოსულან მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებელები: ლ. ისაკაძე, ალ. თორაძე, ვ. ჟორდანია, ვ. ვიარდო, ე. ვირსალაძე, ი. ოისტრახი, დ. ბაშკიროვი, რ. კერერი და სხვ.

ქუმსიაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე [18. XI. 1892, სოფ. ზემო ორხევი, ახლანდ. თიანეთის რ-ნი,–20. IX. 1942, თბილისი], ქართველი მომღერალი (დრამატული ტენორი). საქ. სახ. არტისტი (1941). ქ. ბავშვობიდან მღეროდა ჯერ სასკოლო, შემდეგ მ. კავსაძის გუნდში. მუს. განათლება მიიღო თბ. სამუსიკო სასწავლებელში (ე. რიადნოვის კლასში). 1923 შედგა ქ-ის დებიუტი თბ. საოპერო თეატრის

სცენაზე (მალხაზი, ზ. ფალიაშვილის „დაისი“). 1924-იდან ამავე თეატრის სოლისტი იყო, გარდა 1932-33 (როცა მიიწვიეს ლენინგრადის საოპერო თეატრში). 1937 წარმატებით გამოვიდა ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში. ჰქონდა ულამაზესი ტემბრის, ფართო დიაპაზონისა და განსაკუთრებული სიძლიერის ხმა. 20 წლის მანძილზე 46 პარტია შეასრულა: განსაკუთრებით აღსანიშნავია: აბესალომი, მალხაზი, რატი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“), ნიკო (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), ოტელო, მანრიკო, რადამესი (ვერდის „ოტელო“, „ტრუბადური“, „აიდა“), რაული (მეიერბერის „ჰუგენოტები“), ელიაზარი (ჰალევის „რაქილი“), გრიგორი (ძერჟინსკის „წყნარი დონი“) და სხვ.

ღ

ღლონტი ფელიქს პეტრეს ძე [8. XI. 1927, ბათუმი,–25. VIII, 2012, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1988), საქ. სახელმწ. პრემიის, ს. პროკოფიევის სახ. საერთაშ. კონკურსის (1999, სანქტ-პეტერბურგი) ლაურეატი (I პრემია). 1949-54 სწავლობდა ლენინგრადის სახელმწ. კონს-ში (პროფ. ქ. კუშნარიოვის კლ.). 1954 დაამთ. თბ. კონს. 1978-იდან კონს-ის პედაგოგია (1991-იდან პროფ.). ღ. თვალსაჩინო თანამედროვე ქართველი კომპოზიტორია, რომლის საუკეთესო ნაწარმოებები გამოირჩევა კონცეფციურობითა და მასშტაბურობით. მისი შემოქმედების ძირითადი სფეროებია სიმფონიური და საოპერო მუსიკა. ნაწარმოებები: ოპერები–„იბერიელები“ (1970, საბოლოო რედაქცია 1998), „კლეოპატრა“ (1976), ბალეტი „განთიადი“ (1967, დაიდგა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში), ორატორია „გალაკტიონი“ (1986), 11 სიმფონია (1961-88), რომელთა შორის საუკეთესოა IV–„რომანტიკული“ და VI-„Vita Nova“ თანამედროვე ქართ. სიმფ. შემ-ის ერთ-ერთი ჩინებული ნიმუში, სიმფ. პოემა „ბედი ქართლისა“ (1957), სიმფ. კონცერტი ფ-ნოსა და ჯაზ-ბენდისათვის (1981), 2 კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (1977, 1987), კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1998, საერთაშ. პრემია. ს-პეტერბურგი 1999), 2 სიმებიანი კვარტეტი, (1954, 1985), მუსიკა დრამ. სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის.

ყ



ყანჩელი გიორგი (გია) ალექსანდრეს ძე [10.VIII. 1935,–02.X.2019, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. (1980) და სსრკ (1988) სახ. არტისტი, სსრკ (1977), შოთა რუსთაველის სახ. (1981) სახელმწ. პრემიების ლაურეატი. რუსეთის დამოუკიდებელი პრემიის „ტრიუმფის“ მფლობელი (1998). 1963 დაამთ. თბ. კონს. (ი. ტუსკიას საკომპ. კლ.), 1971-78 თბ. კონს-ის პედაგოგი, 1972 - იდან განაგებდა თბ. რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუს. ნაწილს. 1979 საქ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, 1984-90 პირველი მდივანი. საერთაშ. აღიარება მოიპოვა სიმფონიებით (I-VII,1967-86),რომელთა მუსიკა გამოირჩევა ამაღლებული ლირიკით, დინამიკურობით და თვითმყოფი დრამატურგიით. სხვა მნ. ნაწარმოებები: ოპერა „და არს მუსიკა“ (1984, თბ. ოპერის თეატრი. 1999 დაიდგა გერმანიაში ქ. ვაიმარში),კონცერტი სიმფ. ორკესტრისათვის (1962),Largo და Allegro სიმებიანი ორკესტრის, ფ-ნოსა და ლიტავრებისათვის (1963), „სევდა ნათელი“ (ბიჭუნათა გუნდის, 2 სოლისტისა და დიდი სიმფ. ორკესტრისათვის, 1985), ლიტურგია („ქარით დატირებული“) სიმფ. ორკესტრისა და სოლო ალტისათვის (1989), სიმფონიური ნაწარმოებები: „სიცოცხლე შობის გარეშე“„Lament“(1995)„Styx“ (1999) და სხვ„მუსიკა სპექტაკლებისათვის „ხანუმა“„კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“ (რუსთაველის სახ. თეატრის დადგმები), კფ-თვის („არ იდარდო“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ქვევრი“ „მიმინო“, „შერეკილები“), საესტრადო სიმღერები და სხვ.

1990-იდან ცხოვრობს საზღვარგარეთ (გერმანიაში, ამჟამად ბელგიაში), პერიოდულად ჩამოდის თბილისში. საზღვარგარეთ დაწერა მთელი რიგი ნაწარმოებები: „სიცოცხლე აღდგომის გარეშე“ (ბიბლიურ ტექსტებზე) 4 ნაწილად (სიმებიანი ორკესტრის, საქსოფონისა და სოპრანოსათვის), „ლამენტო“ (ვიოლინოს, სოპრანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის), „დუდუკის მიბაძვა“ (ჩასაბერ საკრავთა კვინტეტისათვის), სავიოლინო კონცერტი, სავიოლონჩელო კონცერტი და სხვ. ყანჩელი თანამედროვე ქართული მუსიკის გამოჩენილი წარმომადგენელია, რომლის შემოქმედებამ საერთაშორისო აღიარება პოვა.

ყარაევი ყარა აბულფაზ-ოღლუ [5. II. 1918, ბაქო, –13. V. 1982, იქვე], აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1959). 1946 დაამთ. მოსკოვის კონს. (დ. შოსტაკოვიჩის კლასი). მან შექმნა: ბალეტები –„შვიდი მზეთუნახავი“ (1952, ბაქო), „ქუხილის ბილიკით“ (1958 ლენინგრ.), 3 სიმფონია (1944, 1946, 1968), სიმფ. პოემა „ლეილი და მაჯნუნი“ (1947), „ალბანური რაფსოდია“ (1952), სიმფ. გრავიურები „დონ კიხოტი“ (1960); ოპერა–„სამშობლო“ (ჯ. ჰაჯიევთან ერთად, 1945; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), მუსიკა დრამ.

სპექტაკლებისათვის და კინომუსიკა. 1946-იდან ყ. ბაქოს კონს-ის პედაგოგია (1959-იდან პროფესორი, 1950-53 რექტორი). 1953-იდან აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე იყო.

ყარაშვილი ანდრია ნიკოლოზის ძე [30.XI.1857, თბილისი,–12.III.1925, იქვე], ქართველი კომპოზიტორი, მევიოლინე-ვირტუოზი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. ყ. 1878-81 სწავლობდა პეტერბურგის კონს-ში. 1885 დაამთ. ვარშავის კონს. ვიოლინოს განხრით (პედ. ისიდორ ლოტო). 1894-97 ხელმძღვანელობდა ქართულ დრამ. თეატრის გუნდს. ყ-მა დიდი ამაგი დასდო მევიოლინეთა ქართული კადრების აღზრდას თბ. ქართულ გიმნაზიაში (1895-1920), ქართული ფილარმონიის სამუსიკო სასწავლებელში (1905-19), თბ. II კონს-ში (1920-22). 1900-იან წლებში მან თბ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში დააარსა მოწაფეთა პირველი სიმებიანი კვარტეტი, რომელმაც შეასრულა მისი კვარტეტი „ლოთებო“ (ა. ჭავჭავაძის ლექსზე „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“). ყ-ს ეკუთვნის აგრეთვე პოპულარული რომანსები: „ისევ შენ და ისევ შენ“, „დავრდომილი, სნეული“, სავიოლინო პიესები– „ბაიათი“, „პერპეტუუმ მობილე“, „ფუტკარი“; საფ. პიესა „საზანდარი“. იგი გუნდისათვის დაამუშავა ზ. ჩხიკვაძემ, შემდეგ ზ. ფალიაშვილმა. გავრცელდა „სამშობლოს“ სახელწოდებით. ტექსტის საწყის სტრიქონებს საფუძვლად უდევს ი. დავითაშვილის ლექსი „სამშობლო“, სიმღერები „მრავალჟამიერ“, „პატარა მურია“, დაუმთავრებელი ოპერა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები. ყ-მა აღზარდა ქართ. მუს. კულტურის მოღვაწეთა პლეადა: შ. ასლანიშვილი, გ. კილაძე, ლ. იაშვილი, გ. რატიშვილი, ი. ტუსკია, გ. ჩხიკვაძე, მ. ძიძიშვილი.

პ. ხუჭუა



ყვარელაშვილი მიხეილ დავითის ძე [18.III.1906 ს. ხაშმი, – 28.IV.1984, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ. ტენორი). საქ. სახ. არტისტი (1965). 1932 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლ.). ამავე წლიდან 1959-მდე თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ლამაზი ტემბრის ხმის, შესანიშნავი სცენური მონაცემების მეოხებით ყ-მა შექმნა დასამახსოვრებელი სახეები ქართ. და უცხოურ ოპერებში, ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. წარმატება მოუტანა ყ-ს ქართ. ლიტ-რისა და ხელოვნ. დეკადაზე გამოსვლამ მოსკოვში (1937). აქ წარმოდგენილ სამ ოპერაში („დაისი“, „ქეთო და კოტე“, „დარეჯან ცბიერი“) მიიღო მონაწილეობა. 1957-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ. თეატრ. ინ-ტში. გადაღებულია კფ-ში: ვ. პიპინაშვილის „აკაკის აკვანი“, „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“; აგრეთვე ფილმში „ეთერის სიმღერა“ (რეჟ. ს. დოლიძე), დოკუმენტურ ფილმში „აკაკი წერეთელი“. ყველა ამ ფილმში ყ-მა შეასრულა აკაკი წერეთლის როლი.

ყვითელაშვილი თემურ პავლეს ძე [4.VII. 1960, თბილისი], გამოჩენილი გიტარისტი, კომპოზიტორი. თბილისისა და ახალციხის საპატიო მოქალაქე (2013), ღირსების ორდენის კავალერი (1998). თ.ყ პირველი მუსიკოსთაგანია საქართველოში, რომელმაც დაამუშავა ქართული კლასიკური და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები ელექტრო

გიტარისათვის. მის შემოქმედებაში არის აგრეთვე თემები ელექტრო გიტარისათვის დამუშავებული ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან (ბახი, მოცარტი, შოპენი, რიმსკი-კორსაკოვი, პაგანინი და სხვ.). იგი სხვადასხვა დროს იყო ანსამბლების „დიელოს", „ორერას", „თეატრონის", „ნატვრის ხის", „ივერიის", „არსენალის" და სხვა ანსამბლების გიტარისტი. იგი იყო ავტორი და წამყვანი სატელევიზიო ციკლისა „თანამედროვე მსოფლიო საგიტარო ხელოვნება". 1998 პირველმა გამართა გიტარისტებს შორის დიდი სოლო საგიტარო კონცერტი თბილისში. 1994 თ.ყ.-მა მიიღო წლის საუკეთესო ფიუჟენ გიტარისტის წოდება (აშშ). 1996 წლის საუკეთესო ინსტრუმენტალისტი საქართველოში. 2002-დან ყოველწლიურად რეგულარულად იღებს მონაწილეობას, როგორც მსოფლიოში ცნობილ ბრენდების სახე ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაზე როგორიცაა „Namm Show" კალიფორნია, ლოს -ანჯელესი.

თ. ყ. ატარებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მასტერ კლასებს და სემინარებს. 2004 შევიდა გინესის რეკორდების წიგნში 30 საათიანი უწყვეტი დაკვრისათვის. 2007 ინგლისში გამოიცა ალბომი მსოფლიოში საუკეთესო ვირტუოზი გიტარისტები, სადაც ის წარსდგა მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტებთან ერთად. გამოცემულია მისი 8 სოლო ალბომი. იგი მართავს კონცერტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მას აქვს ჩატარებული სოლო კონცერტები ისეთ პრესტიჟულ დარბაზებში, როგორიცაა: „Camrnegie Hall", „Birdlamd", „The Baked Potato", „La Ve Lee" და მრავალი სხვ. აგრეთვე თ. ყ. გამოდიოდა სპეციალური სტუმრის სტატუსით ისეთ ლეგენდარულ გიტარისტებთან როგორებიც არიან: ლეს პოლი, ალენ ჰოლდსფორდი, ტომი ემანუელი, სკოტ ჰენდერსონი, მაიკლ ენჯელო და სხვ.

თ. თამარაშვილი

შ

შავერზაშვილი ალექსანდრე ვასილის ძე [8. VIII. 1919, თბილისი-20. V.2003, იქვე], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1982), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი. 1944 დაამთ. თბ. კონს. (ა. ბალანჩივაძის საკომპ. კლ.). 1952-იდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1968-იდან პროფ.). 1968-79 კომპოზიციის კათედრის გამგე, 1972–1988 კონს-ის პრორექტორი. შ. მრავალმხრივი შემოქმედი, მოღვაწე და თვალსაჩინო პედაგოგია. მისი მოწაფეები იყვნენ: ბ. კვერნაძე, ვ. აზარაშვილი, ვ. ვაწაძე და სხვ. ნაწარმოებები: ოპერები „მარინე“ (1954), „ოიდიპოს მეფე“ (1964), „ახალი ნაპირებისაკენ“(1967); „ცეცხლიანი წლები“ (1973), 2 ოპერეტა, 8 საფ. ტრიო (1952-1993); ვოკალურ-სიმფ. ციკლი „ხმა იდუმალი“ (ბარათაშვილის ლექსებზე, 1977), 5 სიმფონია (1945-1994), სიმფ. სურათი „მტკვარი“ (1958), სიმფ. პოემები, კანტატები, კონცერტები: ვიოლინოს (1964), ტრომბონის (1979), ხმის (სოპრანოსთვის, 1981), საფ. კვინტეტი (1955) და სხვ. კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები და სხვ.

მისი შვილია კომპოზიტორი გიორგი შავერზაშვილი (1950), თბ. კონს-ის პროფესორი.

შავერზაშვილი თამარ ანტონის ასული [4. X. 1901, ქუთაისი,–18. IX. 1955, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946), დაამთ. თბ. კონს. საფ. (1933, პედ. ი. აისბერგი) და საკომპ. (1935 პედაგოგები ა. შჩერბაჩოვი და ი. ტუსკია) განხრით. 1938-იდან იგი თბ. კონს-ის პედაგოგია. შ-მა საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბავშვო საფ. ლიტერატურას. მისი ნაწარმოებებია: საბავშვო ოპერა „იავნანამ რა ჰქმნა“ (1947), საორკესტრო „საბავშვო სიუიტა“ (1946), საფ. პიესების კრებული „საბავშვო ალბომი“ (1947), „ალბომი ახალგაზრდობისათვის“ (1954), ნოქტიურნი (1965), კვარტეტი სიმებიანი საკრავებისათვის სოლ მინორი (1933) და სხვ. ქართველ მომღერალთა რეპერტუარში დამკვიდრდა რომანსი „ლერწამი ხარ“.

შავიშვილი მიხეილ გერმანეს ძე [15.X. 1920, სოფ. ჭანიეთი, ახლანდ. ოზურგეთის რ-ნი, – 17. VI. 1999, იქვე], ხალხური მომღერალი და ლოტბარი, საქ. სახ. არტისტი (1983). სწავლობდა ბათუმის პედ. ინ-ტში, სიმღერასა და ლოტბარის ხელოვნებას ეუფლებოდა ჯერ არტემ ერქომაიშვილთან, შემდეგ ვ. სიმონიშვილთან. 1957 ოზურგეთის კულტურის სახლთან დააარსა ანსამბლი „შვიდკაცა“. ანსამბლთან ერთად კონცერტებს მართავდა სსრკ-ის ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. შ-მა შეკრიბა

და აღადგინა მრავალი ქართ. ხალხ. სიმღერა. 1983-იდან ხელმძღვანელობდა ბავშვთა ანსამბლ „კრიმანჭულს“, რ-იც თავად დააარსა.

„შავი შაშვი“, ქართული (გურული) ხალხური სამხმიანი სიმღერა, ვოკალური მრავალხმიანობის შესანიშნავი ნიმუში. გადმოგვცემს შაშვზე ნადირობის ეპიზოდს. სიმღერაში მონაწილე სამივე ხმის მდიდარი რიტმულ-ინტონაციური განვითარება განაპირობებს სიმღერის სირთულესა და თავისთავადობას. სიმღერას ასრულებს სამი ცალფა ხმა.

შავლეგო, ქართული ხალხური გმირულ-პატრიოტული სიმღერა. მიძღვნილია სახალხო გმირის–შალვა ახალციხელისადმი. სიმღერა სამხმიანია. სრულდება ორი გუნდის მონაცვლეობით, ფინალს ასრულებს ორივე გუნდი ერთად.

შაირი, მხიარული ან ლირიკული განწყობის მოკლე ხალხური სიმღერა აზრობრივად დასრულებული სტროფის (ჩვეულებრივ 4 სტრიქონიანი ან 2 სტრიქონიანი) სახით. სრულდება ერთნაწილიან, იშვიათად ორნაწილიან მელოდიაზე. ზოგჯერ სიმღერა მონაცვლეობს ცეკვასთან. შ-მა ფართო გავრცელება პოვა XIX ს. II ნახევრიდან.

შალიაპინი თედორე ივანეს ძე [1. (13). II. 1873, ყაზანი,–12. IV. 1938, პარიზი], რუსი მომღერალი (ბანი), რუსეთის სახ. არტისტი(1918). შ. სიჭაბუკეში მღეროდა საეკლესიო გუნდში. გატაცებული იყო თეატრით (გამოდიოდა სტატისტად საოპერო და დრამ. სპექტაკლებში). 1890-იდან იგი ქ. უფის საოპერო დასის გუნდის მომღერალი იყო (ასრულებდა პატარ-პატარა სოლო პარტიებსაც). 1891-იდან ოპერეტის დასთან ერთად, მოგზაურობდა რუსეთის ქალაქებში. პროფესიული სასცენო მოღვაწეობა შ-მა თბილისში დაიწყო. აქ 1892-93 მეცადინეობდა მომღერალ დ. უსატოვთან. 1893-94 სეზონში თბ. საოპერო თეატრის სცენაზე შეასრულა მეფისტოფელის (გუნოს „ფაუსტი“), დონ ბაზილიოს (როსინის „სევილიელი დალაქი“), მეწისქვილის (დარგომიჟსკის „ალი“) და სხვა პარტიები („მე ორჯერ დავიბადე. ცხოვრებისათვის ყაზანში, მუსიკისათვის- ტფილისში“. თ. შ.). 1895-იდან შ. პეტერბურგის მარიას თეატრის დასში მიიღეს. 1896 ს. მამონტოვმა მიიწვია მოსკოვის კერძო რუს. ოპერის სცენაზე. აქ შეასრულა თავისი რეპერტუარის თითქმის ყველა ძირითადი პარტია: სუსანინი (გლინკას „სიცოცხლე მეფისთვის“), მეწისქვილე (დარგომიჟსკის „ალი“), ბორის გოდუნოვი, ვარლაამი და დოსიფეი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“, „ხოვანშჩინა“), ივანე მრისხანე, სალიერი (რიმსკი-კორსაკოვის „ფსკოველი ქალი“, „მოცარტი და სალიერი“) და სხვ.

1899-იდან მღეროდა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. პარალელურად გამოდიოდა მარიას თეატრისა და პროვინციული თეატრების სცენებზეც. 1901 მილანის „ლა სკალაში“ ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ დაიწყო შ-ის გასტროლები საზღვარგარეთის ქვეყნებში, რამაც მომღერალს მსოფლიო სახელი მოუტანა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მონაწილეობა „რუსულ სეზონებში“ (1908, 1913 პარიზი, 1913, 1914 ლონდონი). (1899-1914 შ-მა შეასრულა ბანის თითქმის მთელი კლასიკური საოპერო რეპერტუარი), შ. მღეროდა ბარიტონის პარტიებსაც (ევგენი ონეგინი, დემონი). 1918 იყო მარიას თეატრის სამხ. ხე-ლი,

1922-იდან ცხოვრობდა პარიზში.

შ. რუსული ვოკალური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელია. მის პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული ვოკ. და სასცენო მონაცემები. ჰქონდა იშვიათი სილამაზის, ხავერდოვანი ტემბრის ხმა, გარდასახვის არაჩვეულებრივი უნარი. შ. უდიდესი კამერული მომღერალიც იყო. გამოდიოდა როგორც საოპერო რეჟისორიც (დადგა მასნეს ოპერა „დონ კიხოტი“ (1910) და მუსორგსკის „ხოვანშჩინა“ (1911). გადაღებულია კინოში („ივანე მრისხანე“ 1915, რუსეთი), „დონ კიხოტი“ (1932, საფრანგეთი).

შანსონი (ფრანგ. Chahson), 1. ხალხური, უფრო იშვიათად პროფესიული ფრანგული სიმღერა XV-XVI სს-ში, რომელიც ემყარება რამდენიმე დამოუკიდებელი მელოდიის შეერთებას (პოლიფონია). 2. თანამედროვე საესტრადო სიმღერა, რომელიც სრულდება ღია სცენაზე, კაფეშანტანებში და ა.შ. 3. მომღერალი ქალი, რომელიც ასრულებს ასეთ სიმღერებს.

შანსონიე (ფრანგ. chansonniers <chanson- სიმღერა), ფრანგი პოეტი-მომღერალები, რომლებიც ქმნიან სასიმღერო ტექსტებსაც და მუსიკასაც და თვითონვე ასრულებენ თავიანთ სიმღერებს. შ.-ს შემოქმედება გამოირჩევა დემოკრატიზმით, გამოხატავს ხალხის განწყობილებას. პირველ ფრანგ შ.-ებად ითვლებიან მსახიობი შ. კოლე, დრამატურგ- ვოდევილისტი შ. პანარი. დიდმა ფრანგმა შანსონიემ პ.ჟ. ბერანჟემ სიმღერა მაღალ ხელოვნებამდე აიყვანა. შანსონიეს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის რევ. და პარიზის კომუნის პერიოდი. თვალსაჩინო შ.-ები იყვნენ ე. პოტიე, ჟ. ბ. კლემანი, ე. შატლენი და სხვ. XIX ს. დასასრულიდან შ.-ს უწოდებენ აგრეთვე საესტრადო მომღერლებს. საერთაშორისო პოპულარობა მოიპოვეს შანსონებმა: შ. აზნავურმა, მ. შევალიემ, ფ. ლემარკმა, ე. პიაფმა, ჟ. ბრასენსმა, ჟ. ბრელმა, ჟ. ფერამ, ს. ადამომ, ი. მონტანმა, მ. მატიემ და სხვ.

შემცირებული კვინტა 3 ტონის შემცვლელი ინტერვალი, ე.ი. წმინდა კვინტაზე ნახევარი ტონით მცირე; სხვანაირად–„ტრიტონი“.

შესავალი, ნაწარმოების დასაწყისი ნაწილი, რომელსაც შევყავართ უშუალოდ რომელიმე ვოკალურ ან ინსტრუმენულ პიესაში, მუსიკალურ-თეატრალური სპექტაკლის სურათში ან მოქმედებაში.



შვაიცერი (Schweitzer) ალბერტ [14. I. 1875, კაიზერსბერგი,–5. IX. 1965, ლამბარენე, გაბონი], გერმანელ-ფრანგი მოაზროვნე, თეოლოგი, ექიმი, მუსიკისმცოდნე, ორგანისტი, ფილოსოფიის (1899), თეოლოგიის (1900), მედიცინის (1913) დოქტორი. 1902-05 ხელმძღვანელობდა სტრასბურგის უნ-ტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტს, ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, უკრავდა ორგანზე. 1913 ლამბარენეში (გაბონი) საკუთარი სახსრებით დააარსა საავადმყოფო. ი. ს. ბახის შემ-ის უდიდესი მცოდნე და პროპაგანდისტია (1904 პარიზში დააარსა ბახის საზ-

ება). ბახის შესახებ ფუნდამენტური მონოგრაფიის „ი. ს. ბახი, მუსიკოსი, პოეტი“ (1905) ავტორია. ნობელის პრემიის ლაურეატია (1952). ვარშავაში გახსნილია შ-ის მუზეუმი (1984).

„შვიდკაცა“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1957)ჩამოყალიბდა 1956 ჯ. კახიძის ხელმძღვანელობით. სახელწოდება „შვიდკაცა“ მომდინარეობს უძვ. ქართ. ხალხ. სიმღერის სახელიდან. ანსამბლის შემადგენლობაში იყვნენ : ვ. მაჭავარიანი, გ. გუგუშვილი, ჯ. მიქელაშვილი, თ. კახიძე, თ. კორინთელი, მ. ხატელიშვილი და კრიმანჭულის მთქმელი მ. შავიშვილი. ანსამბლის რეპერტუარში იყო სიმღერები: „ხასანბეგურა“, „კეისრული“, „იმერული მგზავრული“, „ჩელა“, „ჩაკრულო“, „მრავალჟამიერი“, „მწვანესა და უქუდოსა“ და სხვ. „შვიდკაცას“ შესრულება გამოირჩეოდა მაღალი ოსტატობით, დახვეწილი გემოვნებით. ანსამბლმა ერთ-ერთმა პირველმა გაიტანა ქართ. ხალხ. სიმღერა საზღვარგარეთ, გასტროლებით შემოიარა მრავალი ქვეყანა და დიდი აღიარება მოუტანა მას. დიდია „შ-ს“ დამსახურება შემდეგ დროინდელი ხალხური კოლექტივების ფორმირებისა და საერთოდ ქართ. ხალხ. სიმღერის აღორძინებაში.

ა. ერქომაიშვილი



შიმანოვსკი (Szymanowski) კაროლ [6. X. 1882, ტიმოშოვკა, ახლანდ. უკრაინის რესპუბლიკა,–29. III. 1937, ლოზანა], პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი და საზ. მოღვაწე. თანამედროვე პოლ. საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი. 1900-10-იან წლებში კონცერტებს მართავდა საზღვარგარეთ; 1911-14 ცხოვრობდა ვენაში. ამ პერიოდის მის ნაწარმოებებში იგრძნობა აღმ. პოეზიისა და ფილოსოფიის გავლენა. ფრანგი იმპრესიონისტების კოლორისტული მიგნებების გამოყენებით შ-მ შექმნა საკუთარი სტილი (მესამე სიმფონია–„სიმღერა ღამეზე“ ხმის, გუნდისა და ორკესტრისათვის, სპარსელი პოეტის ჯალალ ალ-დინ რუმის სიტყვებზე, 1916; „მითები“, 1915 და „ნიღბები“, 1916, ვიოლინოსა და ფ-ნოსათვის; მესამე საფ. სონატა, 1916-17; I კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 1916; I სიმებიანი კვარტეტი, 1917; ოპერა „მეფე როგერი“, 1918-24, დაიდგა 1926 ვარშავაში და სხვ.). 1919 შ. დასახლდა ვარშავაში, 1920-21 გასტროლებით იყო აშშ-სა (მევიოლინე პ. კოხანსკისთან ერთად) და კუბაში. 1992-იდან ცხოვრობდა ზაკოპანეში. ამ პერიოდის ნაწარმოებებია: ვოკ.-ქორეოგრაფიული პოემა „ატამანები“, 20 მაზურკა და სხვ. 1930-33 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1933-36 გასტროლებს მართავდა ევრ. ქვეყნებში.

შიუკაშვილი ვანდა ნიკოლოზის ასული [21. VIII. 1905, ახალციხე,–26. V. 2001, თბილისი], ქართველი პიანისტი და პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1967). 1927 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. თულაშვილის კლ.). წლების განმავლობაში ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას, როგორც სოლისტი და კონცერტმაისტერი (საქართ. რადიოგადაცემები, 1935-52, ძირითადად თავის ძმასთან, მევიოლინე ლ. შიუკაშვილთან ერთად ასრულებდა ბეთჰოვენის, ბრამსის, შუმანის სონატებს და სხვ. ნაწარმოებებს).

1929-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას, 1935-იდან თბ. კონს-ში (1968-იდან პროფ., 1952-59 ფ-ნოს კათედრის გამგე). მისი მოწაფეები არიან: ვ. ჩაჩავა, მ. ხვიტია, ნ. ჭირაქაძე, რ. თავაძე, გ. სიმონიშვილი, გ. ვაჩნაძე და სხვ.

შიუკაშვილი ლევან (ლეო) ნიკოლოზის ძე [25. III. 1908, ქ. ახალციხე,– 5. I. 2000 თბილისი], ქართველი მევიოლინე და პედაგოგი. საქ, სახ. არტისტი (1979). 1925 დაამთ. თბ. (პროფ. ვ. ვილშაუს კლ.), ხოლო 1933–მოსკ. კონს. (პროფ. ა. იამპოლსკის კლ.). ეწეოდა მრავალმხრივ საკონცერტო მოღვაწეობას, როგორც სოლისტი და სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის მუსიკოსი (I ვიოლინო). 1927-იდან პედაგოგია, 1933-იდან თბ. კონს-ში (1950-იდან პროფ.). სხვადასხვა დროს იყო სიმებიანი და სასულე საკრავების კათედრის გამგე (1945-47), საორკესტრო ფაკ-ტის დეკანი (1945-52), ვიოლინოსა და ალტის კათედრის გამგე (1952-76). 1934-იდან პარალელურად მუშაობდა ზ. ფალიაშვილის სახ. სპეც. სამუსიკო ათწლედში. მისი მოწაფეები არიან ლ. ისაკაძე, გ. ხატიაშვილი, რ. გვასალია და სხვ.

შიუცი (Schütz) ჰაინრიხ [14. X. 1585, კოსტრიცი, ტიურინგია,–6. XI. 1672, დრეზდენი], გერმანელი კომპოზიტორი, ორგანისტი და პედაგოგი. კომპ-ში მეცადინეობდა ჰ. ოტოსთან და ჯ. გაბრიელისთან. იყო კარის კაპელმაისტერი კასელში, დრეზდენსა და კოპენჰაგენში. შ. ბახამდელი პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი კომპ-ია, გერმანული ეროვნული საკომპ. სკოლის ფუძემდებელი, კანტატა-ორატორიის ჟანრის ერთ-ერთი შემქმნელია გერმანიაში. პირველი გერმანული ოპერისა („დაფნე“, 1627) და ოპერა-ბალეტის („ორფეოსი და ევრიდიკე“, 1638) და მრავალი სხვა ნაწ-ის ავტორი. პოლიფონიური მუსიკის გამოჩენილი ოსტატი.

შიქასტა, აღმოსავლური სიმღერების სევდიანი კილო.

შნაბელი (Schnabel) არტურ [17. IV. 1882, ლიპნიკი ავსტრია,–15. VIII. 1951, მორშახი, შვეიცარია], ავსტრიელი პიანისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი. 1925-33 ბერლინის უმაღლესი მუს. სკოლის საფ. ოსტატობის კლასის პროფ. 1933-იდან ცხოვრობდა ინგლისში, 1939-იდან აშშ, 1946-იდან შვეიცარიაში. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი პიანისტი, ბეთჰოვენის, შუბერტის, ბრამსის ნაწ-ის გამოჩენილი შემსრ., რამდენიმე სიმფ. და კამერ-ინსტრუმ. ნაწ-ის ავტორია. მისი მოწაფე იყო ცნობილი პიანისტი და დირიჟორი კ. ცეკი.

შნიტკე ალფრედ გარის ძე [24. XI. 1934, ენგელსი, სარატოვის ოლქი,–3. VIII. 1998, გერმანია, დაკრძალულია მოსკოვში], რუსი კომპოზიტორი. რუსეთის სახ. არტისტი. დაამთ. მოსკოვის კონს. (1958) და ასპირანტურა (1961) ე. გოლუბევის ხე-ლით. 1961-72 ასწავლიდა კონს-ში, 90-იანი წლებიდან ცხოვრობდა გერმანიაში. შ. XX ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი კომპოზიტორია, რომლის შემოქმედებამ ფართო აღიარება მოიპოვა. მისი მუსიკა აერთიანებს კლასიკურ ტრადიციებსა და თანამედროვე საკომპ. ტექნიკის ელემენტებს. მიმართავს პოლისტილისტიკას, კოლაჟს და სხვ. მუსიკა აღბეჭდილია კონცეფციურობით, კულტურის

წარსულისა და თანამედროვეობის ერთიანობის შეგნებით. ძირითადი ნაწარმოებები: ბალეტები „ლაბირინთები“ (1971), „ესკიზები“ (1985), „პერ გიუნტი“ (1987), კანტატები–„დოქტორ იოჰან ფაუსტის ისტორია“ (1983), რეკვიემი (1975), 5 სიმფონია (1972-88), კონცერტები ორკესტრთან ერთად -2 ფ-ნოსათვის (1960, 1979), 4 ვიოლინოსათვის (1957-84), 3 სიმებიანი კვარტეტი (1966-84), საფ. კვინტეტი (1976), ტრიო (1975), სეპტეტი (1982), დიდი ფორმის საგუნდო ნაწარმოებები, მუს. სპექტაკლებისა და კფ-თვის და სხვ.



შონბერგი (Schönberg) არნოლდ [13. IX.1874, –13.VII.1951, ლოს-ანჯელესი, აშშ], ავსტრიელი კომპოზიტორი, პედაგოგი, მუს. თეორეტიკოსი, დირიჟორი, მხატვარი, „ვენის ახალი სკოლის“ მამამთავარი. 1901-03 ბერლინში „შტერნის კონს-ის“ პროფესორი (საკომპ. კლ.). 1903-24 ცხოვრობდა ვენაში. 1925-33 ბერლინის პრუსიული ხელოვნების აკადემიის პროფესორი. 1936-44-კალიფორნიის უნ-ტის პროფესორი (ლოს-ანჯელესი). შ. XX ს-ის მუსიკის ერთ-ერთი ცენტრ. ფიგურაა, რომლის შემოქმედება ყალიბდება სიმბოლიზმის ესთეტიკის, ავსტრიულ-გერმანული რომანტიზმისა და ექსპრესიონიზმის ზეგავლენით. ეპოქის წინააღმდეგობრიობამ და სოციალურმა კატაკლიზმებმა განსაზღვრეს კომპ-ის ტრაგიკული მსოფლაღქმა. შ. კომპოზიტორ-ნოვატორია, მან შეიმუშავა მუსიკალური კომპოზიციის ახალი მეთოდი-დოდეკაფონია, რომელიც წარმოადგენს ატონალურობის მოწესრიგების კანონზომიერ შედეგს და მკაცრი სისტემის სახითაა ჩამოყალიბებული. შ-ის ადრინდელი ნაწარმოებებია: სიმებიანი სექსტეტი „გასხივოსნებული ღამე“ (1899), სიმფ. პოემა „პელეასი და მელისანდე“ (1903), მოგვიანებით–კანტატა „გურეს სიმღერები“ (1911), „მთვარის პიერო“ ხმისა და ინსტრუმ. ანსამბლისათვის (1912), რომლებიც ამთავრებენ კომპ-ის შემ-ის „რომანტიკულ“ პერიოდს. ამას მოსდევს „ატონალური“ პერიოდი (1920-მდე), რომლის მაუწყებელიც იყო ჯერ კიდევ 1909 შექმნილი „3 საფ. პიესა“. „5 საორკესტრო პიესა“ და მონოდრამა „მოლოდინი“. დოდეკაფონიური მეთოდი მთლიანად რეალიზებულია „სიუიტაში ფ-ნოსათვის“ (1921-23), რასაც მოჰყვა სხვა ნაწარმოებები: ვარიაციები ორკესტრისათვის (1928), 2 სიმებიანი კვარტეტი (1927, 1936), კონცერტები ვიოლინოსათვის (1936) და ფ-ნოსათვის (1942). ბოლო წლების მნ. ნამუშევრებია: დრამატული შინაარსის „ოდა ნაპოლეონს“ (1942) და ტრაგიკული კანტატა „გადარჩენილი ვარშავიდან“ (1947), აგრეთვე დაუმთავრებელი ორატორია „იაკობის კიბე“ და ოპერა „მოსე და აარონი“. შ-ის შემ-ამ მნ. გავლენა მოახდინა XX ს-ის მუს-ზე. მის მიერ შემუშავებულმა მეთოდმა ბიძგი მისცა მუს. სერიალიზმის განვითარებას. შ-ის მოწაფეები არიან გამოჩენილი კომპ-ები: ა. ბერგი, ა. ვებერნი, ჰ. აისლერი და სხვ.

შოპენი (Chopin) ფრიდერიკ ფრანციშეკ [22. II. (1. III.) 1810, ჟელიაზოვა-ვოლია, ვარშავის მახლობლად, –17. X. 1849, პარიზი], პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი. შ. 1816-იდან სწავლობდა ფ-ნოზე დაკვრას ჩეხ მუსიკოს ვ. ჟივნისთან ვარშავაში. ლიცეუმში სწავლისას (1823- 26) განაგრძობდა ფ-ნოზე მეცადინეობას, მართავდა კონცერტებს; კომპოზიციის თეორია გაიარა ი. ელსნერის ხელმძღვანელობით (1822-იდან), რომელთანაც დაამთ. ვარშავის „მუსიკის მთავარი სკოლა“ (1826-29). პირველი ნაწარმოებები (2 პოლონეზი) 11 წლისამ შექმნა. 1825-29 გაეცნო პოლონეთის სხვადასხვა კუთხის ყოფასა და მუსიკას. იყო საგასტროლოდ ბერლინსა (1828) და ვენაში (1829). 1830 ნოემბერში დამთავრდა შ-ის ცხოვრების ვარშავის

პერიოდი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის შემოქმედებით ფორმირებაში. ამ დროს შექმნა 2 საფ. კონცერტი, სონატა, პირველი მაზურკები, პოლონეზები, ნოქტიურნები, ეტიუდები და სხვ., რომლებშიც მკაფიოდ გამოვლინდა მისი მხატვრული ინდივიდუალობა, მუსიკის ნათელი ეროვნული ხასიათი. შ-ის ცხოვრებაში გარდამტეხი როლი ითამაშა პოლონეთის აჯანყებამ, რომლის დაწყებისას (1830) იგი ვენაში იმყოფებოდა. შ. მიუნხენისა და შტუტგარტის გავლით პარიზს გაემგზავრა. შტუტგარტში დაწერა განთქმული „რევოლუციური ეტიუდი“ (1831), რომელიც შთააგონა ვარშავის დაცემის ტრაგიკულმა ამბავმა. 1831 სექტემბრიდან შ. ცხოვრობდა პარიზში, სადაც შექმნა თავისი უმთავრესი ნაწარმოებები. აქ ხვდებოდა ფ. ლისტს, ე. დელაკრუას, ჰ. ბერლიოზს, ჰ. ჰაინეს, მეგობრობდა ჟ. სანდთან (ერთად ცხოვრობდნენ 1838-47), ვ. ბელინისთან და სხვ. 1832 პარიზში დაიწყო შ-ის ტრიუმფული საკონცერტო გამოსვლები. ძირითადად ასრულებდა საკუთარ ნაწარმოებებს. 1848 გამართა გასტროლები ინგლისში. ბოლო წლებში მძიმედ იყო დაავადებული ტუბერკულიოზით; გარდაიცვალა პარიზში; დაკრძალულია იქვე, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. ხოლო მისი გული, რომელიც მისივე ანდერძით ვარშავაში გადაიტანეს, წმ. ჯვრის ეკლესიის ერთ-ერთ სვეტშია დატანებული. შ-ის შემოქმედება პოლონეთის და მსოფლიო მუს. კულტურის ერთ-ერთი მწვერვალია. ტიპური რომანტიკოსი,იგი თავის ქმნილებებს კლასიკურად სრულყოფილ ფორმებში აყალიბებს. შ. ერთი პირველთაგანია მუსიკის მელოდიური სიმდიდრითა და სტილის სრულყოფილებით. მის მუსიკაში შერწყმულია ნატიფი ლირიკა, დრამ. პათოსი და ტრაგიკული ჰეროიკა, არისტოკრატიული სული და ჭეშმარიტი დემოკრატიზმი.

შ. ნოვატორი კომპოზიტორია, რაც თავს იჩენს მისი მუს. სტილის ყველა კომპონენტში (მელოდიკაში, რიტმიკაში და განსაკუთრებით, ჰარმონიაში), ახ. მუს. ფორმების ძიებაში (მაგ., მან პირველმა დაამკვიდრა საფ. მუსიკაში სკერცოს, ბალადის ფორმები), დამოუკიდებელი მნ. მიანიჭა პრელუდიას, ახლებური მხატვ. გააზრება მისცა ეტიუდს, მაღალი მხატვრული განზოგადების დონეზე აიყვანა საცეკვაო ჟანრები. შ-მა ძლიერი გავლენა მოახდინა მთელ ევრ. მუსიკაზე. შ-ის მუს. შემოქმედებას ღრმა კვალი დაამჩნია კომპოზიტორის ტრაგიკულმა ბიოგრაფიამ. ნოსტალგიის გრძნობით არის გამსჭვალული მისი შემოქმედების დიდი ნაწილი. პატრ.-ეროვნ. იდეები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა მის ოთხნაწილიან სონატაში სი-ბემოლ მინორი (1839), რომელშიც მე-3 ნაწილად შეიტანა თავისი ცნობილი „სამგლოვიარო მარში“ (1837), აგრეთვე პოლონეზებსა და მაზურკებში. შ. თითქმის მთლიანად შემოიფარგლა საფ. ჟანრით. ის თვითონ იყო შესანიშნავი პიანისტი. შექმნა ორიგინალური საშემსრულებლო სტილი, რომელშიც მღერადობა და სინატიფე შერწყმულია სიღრმესთან და ვირტუოზულ ბრწყინვალებასთან. 1927-იდან ვარშავაში იმართება პიანისტთა შ-ის სახ. საერთაშორისო კონკურსები. 1949 თბ. გაიმართა შ-ის სახ. რესპუბლიკური კონკურსი. შ-ის ნაწარმოებების შესანიშნავ შემსრულებლებად არიან აღიარებულნი თ. ამირეჯიბი და ე. ვირსალაძე.

გ. ტორაძე

შოსტაკოვიჩი დიმიტრი დიმიტრის ძე [12. IX. 1906, პეტერბურგი,–9. VIII. 1975, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი, სსრკ სახ. არტისტი (1954), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი. შ-მა დაამთ. ლენინგრადის კონს. საფ. (ლ. ნიკოლაევთან, 1923) და საკომპ. (მ. შტეინბერგთან, 1925) განყოფილებები. 1927 ფ. შოპენის სახ. პიანისტთა



საერთაშ. კონკურსზე ვარშავაში მიიღო საპატიო დიპლომი. გამოდიოდა როგორც საკუთარი ნაწარმოებების შემსრულებელი. 1937-იდან ხელმძღვანელობდა კომპოზიციის კლასს ლენინგრადის, 1943-48 კი მოსკოვის კონს-ში (1939-იდან პროფ.). შ-ის შემოქმედებაში ცენტრ. ადგილი უჭირავს სიმფ. ნაწარმოებებს, რომლებიც გამოირჩევა მაღალი იდეურ-მხატვრული დონით, მასშტაბურობით, ჰუმანისტური პათოსით. მსოფლიო აღიარება მოიპოვა შ-ის I სიმფონიამ (1925), მომდევნო ნაწარმოებებში იგრძნობა ახ. გზების ძიება (II სიმფ. „ოქტომბერს“, 1927; III–„საპირველმაისო“, 1931; ბალეტები „ოქროს საუკუნე“, 1930 და „ჭანჭიკი“ 1931). ნ. გოგოლის მიხედვით შექმნილ ოპერაში „ცხვირი“ (1930) და ზოგ სხვა ნაწარმოებებში თავს იჩენს მიდრეკილება სატირისა და გროტესკისადმი. ნ. ლესკოვის მიხედვით შექმნილ ოპერაში „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეთი“ (1934) ტრაგიკული საწყისი შერწყმულია სოც. სატირასთან. შ-ის სიმფონიზმის პრინციპები საბოლოოდ დამკვიდრდა IV (1936) და განსაკუთრებით V (1937) სიმფ-ში, რომელიც მისი შემ-ის ერთ-ერთი მწვერვალია.

30-იან წლებშივეა შექმნილი VI სიმფონია (1939), I კონცერტი ფ-ნოსა და ორკესტრისათვის (1933), 24 პრელუდია ფ-ნოსათვის (1933), ბალეტი „ანკარა წყარო“ (1935), I სიმებიანი კვარტეტი (1938), საფ. კვინტეტი (1940).

განთქმულ VII სიმფონიაზე (ე. წ. „ლენინგრადული“ 1941) შ. მუშაობდა ლენინგრადის ბლოკადის პირობებში. მასში აღბეჭდილია საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. პირველად შესრულდა კუიბიშევში 1942 წლის მარტში. ბოროტებასთან ბრძოლის თემით არის შთაგონებული აგრეთვე გენიალური VIII სიმფონია (1943) და რიგი სხვა ნაწარმოებები. შ. არაერთგზის გახდა უხეში „პარტიული“ კრიტიკის მსხვერპლი (1936, 1948).

40-60-იანი წლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: IX (1945), X (1953) სიმფ-ბი, I კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1948), ვოკალური ციკლი „ებრაული ხალხური პოეზიიდან“ (1948), 24 პრელუდია და ფუგა ფ-ნოსათვის (1951), 10 საგუნდო პოემა თანხლების გარეშე (1951), XI („1905 წელი“, 1957), XIII (1962), XIV (1969) სიმფონიები; ვოკალურ სიმფ. პოემა „სტენკა რაზინის სიკვდილით დასჯა“ (1964), კამერულ-ვოკალური ციკლები. ბოლო ნაწარმოებებია XV სიმფონია (1971) და სონატა ალტისა და ფ-ნოსათვის (1975); შ-ს დაწერილი აქვს მუსიკა 35-ზე მეტი ფილმისათვის. წერდა მუსიკას დრამ. სპექტაკლებისთვისაც. შ-ის მუსიკის ტრადიციებმა მძლავრი ზეგავლენა იქონია მრავალი (მ. შ. ქართველი) კომპ-ის შემოქმედებაზე. თბ-ში შესრულებულია მისი თითქმის ყველა სიმფონია, საკრავიერი კონცერტი, კვარტეტი და სხვ.

თბილისში გაიმართა მისი საავტორო კონცერტები (1937, 1952). შ-ს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ქართულ კულტურასთან, ქართ. მუსიკოსების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან. შ-ის ნაწარმოებების საუკეთესო ქართველი შემსრულებელები არიან ე. ვირსალაძე, ლ. ისაკაძე, მ. დოიჯაშვილი, დირიჟორები: ო. დიმიტრიადი, ჯ. კახიძე, საქ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტი.

მ. ქავთარაძე

შპილმანი (გერმ. Spielmann<spielen დაკვრა და mann ადამიანი), შუა საუკუნეებში გერმანიასა და ავსტრიაში: მოხეტიალე მსახიობი და მუსიკოსი.

შრომის სიმღერები, კოლექტიური შრომის პროცესში წარმოშობილი სიმღერები. ხალხ. სასიმღერო შემოქმედების უძველესი ჟანრი, რომელიც მოიცავს სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროს (ხვნა, თესვა, მკა, მოსავლის აღება, რთველი, ყურძნის წურვა და სხვ.). რიტმითა და შინაარსით ხელს უწყობენ თვით შრომის პროცესს, ახალისებენ, სამუშოად განაწყობენ მშრომელებს. შს. განეკუთვნება: გუთნური, კალოური, მეტივური, ნადური, ურმული და სხვ.

შ. ასლანიშვილი

შტოკჰაუზენი (Schtockhausen) კარლჰაინც [22. VIII. 1928, კიოლნი], გერმანელი კომპოზიტორი, მუს. თეორეტიკოსი, ო. მესიანისა და ფ. მარტენის მოწაფე. 1963-იდან ხელმძღვანელობს დას. გერმანიის რადიოს ელექტრონული მუს. სტუდიას. 1971-77 კიოლნის უმაღლესი სკოლის პროფესორია. შ. მუს. ავანგარდიზმის ერთ-ერთი ლიდერია. იგი გამოდის როგორც საკუთარი ნაწარმოებების დირიჟორი, პიანისტი და ხმის რეჟისორი (1958-იდან). თავის ნაწ-ში წინ სწევს მუს.–აკუსტიკურ ამოცანებს, ატარებს ექსპერიმენტებს ბგერის მოძრავ წყაროებზე, წამყვან მნ-ბას ანიჭებს მუს. ელემენტების ალეატორიკულ განლაგებას. 1960-იანი წლებიდან შ-ის მუსიკამ აღმოსავლური რელიგიების გავლენით ჭვრეტით-მედიტაციური ხასიათი შეიძინა. შ.–თეორეტიკოსი ინტერესს იჩენს მუსიკალური დროისა და აღქმის ფსიქოლოგიის საკითხებისადმი. მისი ნაწარმოებებია: „გადაჯვარედინებული დაკვრა“ ანსამბლისათვის (1951), „ჭაბუკთა გალობა“ 5 მაგნიტოფონისათვის (1956), „ჯგუფები“ 3 ორკესტრისათვის (1957), საოპერო-საბალეტო ციკლი „სინათლე“ (გრძელდება ერთი კვირა. 1981, „ლა სკალა“).

შტრაუსი (Strauß) იოჰან (მამა) [14. III. 1804, ვენა,–25. IX. 1849, იქვე], ავსტრიელი კომპოზიტორი, მევიოლინე და დირიჟორი. ა. პოლიშანსკისა (ვიოლინო) და ი. ზაიფრიდის (კომპოზიცია) მოწაფე, 1819-იდან ი. ლანერის კვარტეტის წევრი. 1824-იდან ლანერის ორკესტრის დირიჟორის თანაშემწე. 1825 შ-მა დააარსა საკუთარი ორკესტრი, მასთან ერთად (1833-იდან) კონცერტებით შემოიარა ევრ. ქვეყნები. შ. საცეკვაო მუსიკის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატი იყო. შ. 250-ზე მეტი ნაწარმოების ავტორია (მათ შორის 152 ვალსია).

შტრაუსი (Strauß) იოჰან (შვილი) [25. X. 1825, ვენა,–3. VI. 1899, იქვე], ავსტრიელი კომპოზიტორი, დირიჟორი და მევიოლინე. ი. შტრაუსის შვილი. 1844 დააარსა საკუთარი ორკესტრი, რომელთანაც ერთად შემოიარა ევროპის მრავალი ქვეყანა და აშშ. შ-ის მუსიკა მაღალი ესთეტიკური ღირებულებისაა, პოპულარულია მთელ მსოფლიოში. შ-მა შექმნა ვენური ვალსის კლასიკური ტიპი,რისთვისაც თანამედროვეებმა „ვალსის მეფე“ უწოდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია: „მშვენიერ ცისფერ დუნაიზე“, „ხელოვანის ცხოვრება“, „ვენის ტყის ზღაპრები“ და სხვ. მანვე შექმნა კლასიკური ვენური ოპერეტა: „ღამურა“ (1874), „მხიარული ომი“ (1881), „ვენეციის ღამე“, (1883), „ბოშათა ბარონი“ (1885). სულ: 16 ოპერეტა, 500-მდე საორკესტრო საცეკვაო მუსიკა, 477 ვალსი, პოლკა, მარში და სხვ.

შტრაუსი (Strauss) რიხარდ [11. VI. 1864, მიუნხენი,–8. IX. 1949, გარმიშ-პარტენკირხენი], გერმანელი კომპოზიტორი და დირიჟორი. მისი მასწავლებელი იყო ფ. ვ. მაიერი. დირიჟორის ჩვევები შეიძინა სამოყვარულო ორკესტრთან მუშაობისას. 1898-1918 იყო ბერლინის ოპერის, 1919-24 ვენის ოპერის მთ. დირიჟორი. 1924-იდან გასტროლებს მართავდა ევროპასა და აშშ-ში. მონაწილეობდა ბაიროითის ფესტივალებში. სარგებლობდა დიდი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ავტორიტეტით, შ-მა გაიარა გზა გვიანდელი რომანტიზმიდან ექსპრესიონიზმამდე და შემდეგ ნეოკლასიციზმამდე. შ-ის უმთავრესი ნაწარმოებებია: პროგრამული სიმფონიები, სიმფ. პოემები, ოპერები. პოემებით აგრძელებს ბერლიოზისა და ლისტის პროგრამული სიმფონიზმისა და რ. ვაგნერის საორკესტრო სტილის ტრადიციებს („მაკბეთი“, 1886; „დონ-ჟუანი“, 1889; „სიკვდილი და ნათლისფენა“, 1889; „ტილ ულენშპიგელის მხიარული თავგადასავალი“, 1895, „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, 1896, „დონ კიხოტი“, 1897, „გმირის ცხოვრება“, 1898 და სხვ. ცნობილია აგრეთვე მისი „საშინაო“ (1903) და „ალპური“ (1915) სიმფონიები. საუკეთესო ოპერებია: „სალომე“ (1905), „ელექტრა“ (1909), „ვარდის კავალერი“ (1911, სულ 6 ოპერა). შ-ის შემოქმედება აღბეჭდილია ღრმა ფსიქოლოგიზმით, დრამატული სიმძაფრით, ტემბრული მრავალფეროვნებით, გაბედული და მდიდარი ჰარმონიით, სინატიფით, ზოგჯერ-ილუსტრაციულობით. შ-ის საუკეთესო ნაწარმოებები მიეკუთვნება მსოფლიო კლასიკურ საგანძურს. შ-ის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა XX ს. ევრ. მუს. ხელოვნებაზე. თბ-ის საოპერო თეატრის სცენაზე 1983 დაიდგა „სალომე“ (დირიჟორი ჯ. კახიძე, სალომე –ც. ტატიშვილი). შ-ის შემ-ის ღრმა მკვლევარი იყო გ. ორჯონიკიძე.

გ. ტორაძე

შუა საუკუნეების კილოები, საეკლესიო კილოები რვა ძირითადი კილოს (დორიული, ჰიპოდორიული, ფრიგიული, ჰიპოფრიგიული, ლიდიური, ჰიპოლიდიური, მიქსოლიდიური, ჰიპომიქსოლიდიური) სახელწოდება,რომლებიც საფუძვლად დაედო შუა სს-ის ევროპის პროფეს. (უპირატესად საეკლ.) მუსიკას. შ. ს. კ. გამოიყენებოდა აღორძინების პერიოდის მრავალხმიან მუსიკაში. ამ კილოების ძირითადი კატეგორიებია: ფინალისი (კიდურა ტონი), ამბიტუსი (ბგერათრიგის მოცულობა) და, ფსალმოდიასთან დაკავშირებულ მელოდიებში, რეპერკუსი (გამეორების ტონი). თითოეულ კილოს საკუთარი მელოდიური ფორმულა ჰქონდა.

შუბერტი (Schubert) ფრანც პეტერ [31. I. 1797, ლიხტენთალი, ვენის მახლობლად,–19. XI. 1828, ვენა], ავსტრიელი კომპოზიტორი. პირველი გაკვეთილები მიიღო მამის (ვიოლინო) და უფროსი ძმის იგნაციასაგან (ფ-ნო), 1808-იდან სამეფო კარის კაპელაში იყო მგალობლად. აქ მას 1816-მდე კონტრაპუნქტსა და კომპოზიციას ასწავლიდა ა. სალიერი. 1818 და 1824 შ. მოღვაწეობდა უნგრეთში. პირველად მისი ნაწარმოები 1821 გამოიცა. მალე კი შ-ის სიმღერები ფართოდ გავრცელდა. 1828 ვენაში წარმატებით შესრულდა მისი ნაწარმოებები. შ. მუცლის ტიფით გახდა ავად და გარდაიცვალა.

მუსიკის ისტორიაში შ. შევიდა, როგორც პირველი რომანტიკოსი. მისი შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება ვენის კლასიკური სკოლის ტრადიციებს და ამავე დროს პრინციპულად

ახ. და ნოვატორულია. შ. ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ლირიკოსი კომპოზიტორია, მისი მუსიკა მელოდიური სიმდიდრით თითქმის სწორუპოვარია. დიდი მნ-ბა ენიჭება კოლორიტს, ფერადოვნებას (ვლინდება ჰარმონიაში და ორკესტრობაში). შ. არაჩვეულებრივად ნაყოფიერი კომპოზიტორია. მან შექმნა თითქმის ყველა მუს. ჟანრის ნაწარმოებები, მაგრამ განსაკუთრებული მიღწევები აქვს ვოკალური ლირიკისა და სიმფ. მუსიკის დარგში. მას ეკუთვნის რომანტ. სიმღერისა და რომანტ. სიმფონიის პირველი და სრულყოფილი ნიმუშები. შ-ს დაწერილი აქვს 600-მდე სიმღერა თითქმის 100 პოეტის ტექსტებზე. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გოეთეს (70-მდე სიმღერა: „ტყის მეფე", „გრეთხენი ჯარასთან" და სხვ.), შილერის (40-ზე მეტი), ჰაინეს (6, მათ შორის გენიალური „ორეული"), მიულერის (განთქმული ვოკალური ციკლები „მშვენიერი მეწისქვილე ქალი", 1822 და „ზამთრის გზა", 1827) ტექსტებზე შექმნილი სიმღერები, მათი დიდი ნაწილი დაწერილია მარტივი სტროფული ფორმით; ამავე დროს შ-მა შექმნა ახ. რთული ტიპის სიმღერა გამჭოლი, უწყვეტი განვითარებით, რომელშიც ვოკალურ მელოდიას მხატვრულ-განმაზოგადებელი მნ-ბა ენიჭება. უაღრესად პოპულარულია აგრეთვე მისი „ავე მარია", „სერენადა", „კალმახი" და სხვ. სიმღერები, რომელთა საფ. თანხლება უაღრესად გამომსახველია, ზოგჯერ ასახვით-ბგერწერითი ხასიათისაა. ნოვატორული მნიშვნელობა ჰქონდა შ-ის სიმფ. შემოქმედებას, მისი 9 სიმფონიიდან გამოირჩევა მე-7, „დაუმთავრებელი" (1822) და მე-9 ე. წ. დიდი (1828), რომელთა სახით შეიქმნა რომანტ. სიმფონიზმის 2 ნაირსახეობა —ლირ. -დრამ. და გმირულ-ეპიკური. სიმღერებისაგან განსხვავებით შ-ის სიმფ. შემოქმედება მოგვიანებით გახდა ცნობილი (მე-9 სიმფ. პირველად შესრულდა 1839, მე-7 კი 1865). ჭეშმარიტი აღიარება კი მან მხოლოდ XX ს-ში პოვა. მაღალი მხატვ. ღირებულებისაა კამერულ საკრავიერი შემოქმედება, მ. შ. სიმებიანი კვინტეტი (1828) და უკანასკნელი სიმებიანი კვარტეტი (1824-26). შ-ის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა საფ. მუსიკა (22 საფ. სონატა, ფანტაზია „მოხეტიალე", რომელიც ამზადებს ლისტის სიმფ. პოემების სტრუქტურას; 11 „ექსპრომტი", 1827-28; „მუს. მომენტები", 1823-28; ვალსები; ლენდლერები-რომანტ. საფ. მინიატიურები, რომლებიც ამზადებენ შოპენისა და ლისტის საფ. მუსიკის თავისებურებებს. საფ. ნაწარმოებები 4 ხელისათვის, მ. შ. ფანტაზია, 1828; უნგრული დივერტისმენტი, 1824; ვარიაციები; მარშები და სხვ.). შ-ს დაწერილი აქვს აგრეთვე 3 ოპერა, 6 ზინგშპილი, მუსიკა დრამ. პიესებისათვის (მ. შ. „როზამუნდე"), სასულიერო ნაწარმოებები, რომელთა შორის გამოირჩევა 2 მესა (1819, 1828), ვოკ. კვარტეტები, გუნდები, კანტატისა და ორატორიის ჟანრის ნაწარმოებები.

შ-ის სიმფ. შემოქმედების ღრმა მკვლევარი იყო ლ. დონაძე

გ. ტორაძე

შუმანი (Schumann) რობერტ ალექსანდერ [8. VI. 1810, ცვიკაუ,—29. VII. 1856 ენდენიხი, ბონის მახლობლად, დაკრძალულია ბონში], გერმანელი კომპოზიტორი. 13 წლისამ დაიწყო გამოსვლა, როგოც პიანისტმა. 1828-იდან სწავლობდა იურისპრუდენციას ლაიფციგისა და ჰაიდელბერგის უნ-ტებში, ამავე დროს მეცადინეობდა ფ-ნოზე ფ. ვიკთან. მუსიკის თეორიას სწავლობდა ჰ. დორნის ხელმძღვანელობით. 1834 ლაიფციგში დააარსა „ახალი მუსიკალური ჟურნალი" (იყო მისი რედაქტორი და ავტორი 1844-მდე), რომელიც გერმ. მუს-ში პროგრესიული მიმართულების ორგანოდ იქცა. 1844-იდან ცხოვრობდა დრეზდენში, 1850-იდან დიუსელდორფში, სადაც საკომპოზიტორო მოღვაწეობასთან ერთად ხელმძღვანელობდა საგუნდო კოლექტივებს,

დირიჟორობდა სიმფ. ორკესტრს. 40-იანი წლების ბოლოს თანდათანობით გაუმწვავდა ფსიქიური დაავადება და ცხოვრების ბოლო 2 წელი საავადმყოფოში გაატარა. შ. XIX ს. მუს. რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი და ტიპური წარმომადგენელია. შ-ის შემოქმედებაში ცენტრ. ადგილი უკავია საფ. ნაწარმოებებს, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს ამ ჟანრის ისტორიაში. შ-ის უმთავრესი საფ. ნაწარმოებებია: „კარნავალი“ (1835), „სიმფ. ეტიუდები“ („ეტიუდები ვარიაციების ფორმით“, 1837), 3 სონატა (1835-38), „კრაისლერიანა“ (1838), „ტყის სცენები“, ფანტაზია (1836-38), საფ. კონცერტი (1841-45); საფ. ციკლები: „ფანტასტიკური ნაწყვეტები“ (1837), „საბავშვო სცენები“ (1838), „ალბომი ახალგაზრდობისათვის“ (1848) და სხვ. შ-ის ვოკალური ციკლებიდან ყველაზე ცნობილია „პოეტის სიყვარული“ ჰ. ჰაინეს ლექსებზე (1840) და „ქალის სიყვარული და ცხოვრება“ ა. შამისოს სიტყვებზე (1840). სხვადასხვა შინაარსის სიმღერები შედის ციკლებში „მირტები“–ფ. რიუკერტის, გოეთეს, ბერნსის, ჰაინეს, ბაირონის ლექსებზე (1840), „სიმღერათა წრე“ ი. აიხენდორფის ლექსებზე (1840). სამოქალაქო ლირიკის ნათელი ნიმუშია ბალადა „ორი გრენადერი“ (ჰაინეს ლექსზე), მას ეკუთვნის აგრეთვე ორატორია „სამოთხე და პერი“ (1843 ტექსტის ავტორი თ. მური) და „სცენები ფაუსტიდან“ (1844-53, გოეთეს მიხედვით), მუსიკა ჯ. ბაირონის დრამ. პოემა „მანფრედისათვის“ (უვერტიურა და 15 მუს. ნომერი, 1849). შ. 4 სიმფონიის (1841-51) ავტორია, რომელთა ნათელ ცხოველმყოფელი განწყობილებით გამსჭვალულ მუსიკაში ჭარბობს სასიმღერო, საცეკვაო, ლირ.–სურათოვანი ხასიათის ეპიზოდები. შ-ს შექმნილი აქვს აგრეთვე 3 სიმებიანი კვარტეტი (1842), 3 საფ. ტრიო (2-1847, 1851), საფ. კვარტეტი (1842), ფართოდ ცნობილი საფ. კვინტეტი (1842), კამერული ნაწარმოებები სიმებიანი და სასულე საკრავებისათვის, გუნდებისათვის. შ. გამოჩენილი კრიტიკოსიც იყო. თავისი ჟურნალის ფურცლებზე იგი პროპაგანდას უწევდა კლასიკოს კომპოზიტორთა შემოქმედებას, ებრძოდა თავისი დროის ანტიმხატვრულ მოვლენებს, მხურვალედ უჭერდა მხარს ახალ ევრ. რომანტ. სკოლას. მან „აღმოაჩინა“ დას. ევროპისათვის შოპენი, განჭვრიტა ახალგაზრდა ბრამსის მომავალი.

ცვიკაუში პიანისტთა საერთაშ. კონკურსზე 1966 წ. I პრემია მოიპოვა ე. ვირსალაძემ, ხოლო 1982 თამარ სიფრაშვილმა.

გ. ტორაძე

შუშანია ირაკლი ლავრენტის ძე [20. V. 1927, თბილისი,–14. II. 1982, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში], ქართველი მომღერალი (ბანი), საქ. სახ. არტისტი (1972). 1958 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ს. ინაშვილის კლ.). ამავე წლიდან იყო თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. შესანიშნავი ვოკალურ-სცენური მონაცემების წყალობით შექმნა დასამახსოვრებელი სახეები. აღსანიშნავია: ლეპორელო (მოცარტის „დონ ჯოვანი“), ტკაჩენკო (პროკოფიევის „სემიონ კოტკო“). კაც ზვამბაია, ხევისბერი (ო. თაქთაქიშვილის „მთავარის მოტაცება“, „მინდია“).

შჩედრინი როდიონ კონსტანტინეს ძე [16. XII. 1932, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი და პიანისტი, სსრკ. სახ. არტისტი (1981). 1955 დაამთ. მოსკ. კონს. კომპოზიციისა და ფ-ნოს სპეციალობით (ხე-ლი ი. შაპორინი და ი. ფლიერი). ნაწარმოებები: ოპერები–„არა მარტო

სიყვარული“ (1961), „მკვდარი სულები“ (1977), ბალეტები–„კუზიანი კვიცი“ (1960), „კარმენ-სიუიტა“ (1967), „ანა კარენინა“ (1972), „თოლია“ (1980), „მანდილოსანი ძაღლით“ (1985); ორატორია „ლენინი ხალხის გულშია“ (1969), „პოეტორია“ (ვოკალურ-სიმფ. კონცერტი, 1968), 2 სიმფონია (1957, 1965), 3 კონცერტი ორკესტრისათვის: „მხიარული შაირები“ (1963), „ზარები“ (1968), „ავტოპორტრეტი“(1984), 3 საფ. კონცერტი (1954, 1966, 1973), 24 პრელუდია და ფუგა (1970), პოლიფონიური რვეული (1972). 1965-69–მოსკოვის კონს-ის პედაგოგი, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1962-იდან), რსფსრ კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე (1973-იდან). მინიჭებული აქვს სსრკ სახელმწ. (1972) და ლენინური პრემია (1984). ბავარიის ნატიფი ხელოვნ. აკად. საპატიო წევრ-კორ. (1976). შ. თანამედროვე რუსული მუს-ის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ჩ

„ჩაგუნა“, ქართული ხალხური (მეგრული) სახუმარო სიმღერა ცეკვით. ქალ-ვაჟს შორის გაშაირების ხასიათია აქვს. ორნაწილიანია. მუს ზომა 4/4, 2/4. ჩაგუნა გუდამოკიდებული, უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩანჩურა, ზარმაცი კაცია, რ-იც მოშაირეთა გაკენწვლის ობიექტს წარმოადგენს.

ჩაიკოვსკი პეტრე ილიას ძე [25.IV.1840, ახლანდ. ქ. ვოტკინსკი, უდმურტიის არ.,–25. X. 1893, პეტერბურგი], რუსი კომპოზიტორი. დაიბადა სამთო ინჟინრის ოჯახში. 1859-63 მსახურობდა იუსტიციის სამინისტროში პეტერბურგში. 1865 დაამთ. პეტერბურგის კონს. (ა. რუბინშტეინის ხელმძღვანელობით). 1866–78 ჩ. მოსკოვის კონს–ის პროფესორია (მის მოწაფეებს შორის იყო ს. ტანეევი). 1871-76 მუშაობდა მუს. რეცენზენტად მოსკოვის გაზეთებში. მოსკოვის მოღვაწეობის პე-რიოდს მიეკუთვნება ნაწარმოებები: 3 სიმფონია, (მ. შ. I–„ზამთრის ოცნებები“, 1866). სიმფ. უვერტიურა–ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“ (1869), სიმფ. ფანტაზიები „ქარიშხალი“ (1873) და „ფრანჩესკა და რიმინი“ (1876), I საფ. კონცერტი (1875), ვარიაციები „როკოკოს თემაზე“ ჩელოს და ორკესტრისათვის(1976), 3 სიმებიანი კვარტეტი (1871, 1874, 1876), ოპერები „ვოევოდა“ (1869), „უნდინა“ (1869), „ოპრიჩნიკი“ (1874), „მჭედელი ვაკულა“ (1887), ბალეტი „ვედების ტბა“ (1877), მუსიკა ა. ოსტროვსკის პიესისათვის „თოვლია“ (1873). საფ. პიესები (მ. შ. ციკლი „წელიწადის დრონი“ (1876), რომანსები და სხვ. 1877–85 ჩ. ცხოვრობდა საზღვარგარეთ (შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი). აქ დაასრულა მე–4 სიმფონია (1876–77) და ოპერა „ევგენი ონეგინი“(1879), დაწერა ოპერები „ორლეანელი ქალწული“ (1881) და „მაზეპა“ (1884); საზეიმო უვერტიურა (1812), „იტალიური კაპრიჩიო“ (ორივე 1880) და 3 სიუიტა ორკესტრისათვის (1879, 1880, 1883), კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1878), საფ. ტრიო „დიდი ხელოვნის ხსოვნას“ (1882 ნ. რუბინშტეინის სიკვდილზე) და სხვ. უცხოეთში ურთიერთობდა გამოჩენილ მუსიკოსებთან–ჰ. ბიულოვთან, ე. გრიგთან, ა. დვორჟაკთან, ა. ნიკიშთან, კ. სენ-სანსთან. 1885-იდან ჩ. დამკვიდრდა მოსკოვთან ახლოს (1892–იდან კლინში) და განაახლა მუს.–საზ. მოღვაწეობა. ამ წლებში მისმა შემოქმედებამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. 1893 ჩ-ის მიენიჭა კემბრიჯის უნ–ტის მუსიკის დოქტორის საპატიო წოდება. 1886–90 ჩ. 5–ჯერ იყო საქ-ში („ტფილისი იყო პირველი ქალაქი, სადაც ჩ. მიიღეს საზეიმოდ და გულწრფელი ენთუზიაზმით“). საუკეთესო ოპერები მის სიცოცხლეშივე დაიდგა თბ. საოპერო თეატრის სცენაზე. თბილისსა და ბორჯომში დაწერა ჩ-იმ საორკესტრო სიუიტა „მოცარტიანა,“ სექსტეტი „მოგონებები ფლორენციაზე“, აქ მუშაობდა ბალეტზე „მძინარე მზეთუნახავი.“ ქართული „იავნანას“ მელოდია გამოიყენა ბალეტში „მაკნატუნა“,

სიცოცხლის ბოლო წლებში ჩ-იმ შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები: ოპერები „ჯადოქარი ქალი“ (1887), „პიკის ქალი“ (1890) და „იოლანტა“ (1892); პროგრამული სიმფონია „მანფრედი“, მე–5 (1888) და მე–6 („პათეტიკური“, 1893) სიმფონიები, ბალეტები „მძინარე მზეთუნახავი“ (1890) და „მაკნატუნა“ (1892).

ჩ. რუსული კლასიკური მუსიკის ერთ–ერთი უდიდესი წარმომადგენელია, გენიალური ნაწარმოებები აქვს შექმნილი მუს. შემოქმედების ყველა ჟანრში. მისი მუსიკა რუს. ეროვნული და მსოფლიოს კლასიკური მხატვ. ტრადიციების (უპირატესად რომანტიზმის) ორგანული სინთეზია და უნივერსალურია თავისი შინაარსით. მსოფლიო მნ-ბის მხატვრული მოვლენაა ჩ–ის მიერ შექმნილი რუს. ლირ.–დრამ. სიმფონიზმი, ასევე, მსოფლიო საოპერო დრამატურგიის შესანიშნავი ნიმუშებია მისი ლირ.–დრამ ოპერები. ჩ–ის 3 ბალეტი ახალი ეტაპია ამ ჟანრის ისტორიაში. ფართო პოპულარობით სარგებლობს ჩ–ის საკრავიერი (I საფ. კონცერტი, სავიოლინო კონცერტი, „ვარიაციები როკოკოს თემაზე“ ჩელოსათვის) და კამერული ნაწარმოებებიც. ჩ-იმ დიდი გავლენა მოახდინა XIX–XX სს. მსოფლიო (განსაკუთრებით, რუსულ) მუს. კულტურაზე. ჩ-ის სახელობისაა მოსკოვისა და კიევის კონს–ები, საკონცერტო დარბაზი მოსკოვში. ტარდება ჩ-ის სახ. საერთაშ. კონკურსები. თბილისში არის ჩ-ის სახ. ქუჩა.

გ. ტორაძე

ჩაკალიდი ანასტას თევდორეს ძე [16. IV. 1909, სოხუმი,–25. V. 1982, თბილისი], მომღერალი (ლირ. ტენორი). საქ. სახ. არტისტი (1967). 1940 დაამთ. მოსკოვის კონს. (ნ. სპერანსკის კლ). 1940-იდან იყო თბ. ოპერის და ბალეტის თეატრის სოლისტი. შესრულებული აქვს 27 საოპერო პარტია ქართულ, რუს და ევრ. კომპოზიტორთა ოპერებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია: მალხაზი (ფალიაშვილის „დაისი”), ლენსკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი”), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი”) რუდოლფი პუჩინის „ბოჰემა”) და სხვ. 1961-დან ეწოდა პედ. მოღვაწეობას თბ. ზ. ფალიაშვილის სახელობის II სამუსიკო სასწავლებელში.

ლ. კაკულია

ჩაკრულო, ქართული ხალხური (კახური) სუფრული სიმღერა. ბურდონული მრავალხმიანობის (სამხმიანობის) ერთ-ერთი კლასიკური ნიმუში. ფართოდ გაშლილი მელოდია ორ მთქმელს მიჰყავს ხან პარალელურად, ხან მორიგეობით. ჩ-ს შესრულება ვირტუოზულ ვოკალურ ოსტატობას მოითხოვს, დინამიკის თანდათანობით განვითარებით სიმღერა საზეიმო ხასიათს იღებს. გამოირჩევა მოდულაციური მრავალფეროვნებით. ჩ-ს პირველი ჩანაწერი გააკეთა ზ. ფალიაშვილმა სოფ. ვაჩნაძიანში (გურჯაანის რაიონი). აგებულებით ჩ. ემთხვევა სიმღერებს „ძველი სუფრული“ და „სუფრული და მისი დამატება“. ვარიანტების ტექსტები თემატიკურად განსხვავებულია. ვაჩნაძიანის ჩ-ს ტექსტი პროზაულია, ვხვდებით ეპიკურ სუფრულ პოეტურ ტექსტებსაც.

აშშ-ში 1977 გაშვებულ ავტომატურ საპლანეტათაშორისო სადგურებზე „ვოიაჯერ-1-სა“ და „ვოიაჯერ-2-ზე“ მოთავსებულ ორ იდენტურ გრამფირფიტაზე ჩაწერილ პროგრამაში „დედამიწის ხმები“, რ-იც განკუთვნილია დედამიწის გარე ცივილიზაციის წარმომადგენლ-ებისათვის და მიზნად ისახავს წარმოდგენა მისცეს მათ დედამიწასა და კაცობრიობის შესახებ, სხვა ინფორმაციასთან ერთად (წყლის ხმაური, ბავშვის ტირილი, მისალმება 60

ენაზე და სხვ.) შეტანილია ჩაკრულოც.



ჩანგი, უძველესი ქართული მოსაზიდი სიმებიანი საკრავი, შემორჩენილია მხოლოდ სვანეთში. ჩ. უმთავრესად 6– სიმიანია, ვხვდებით 7 და 9 სიმიანსაც. სიმები სხვადასხვა სიმსხოსია. კორპუსი უმეტესად წიწვოვანი ხისაგან, სიმები ცხენის ძუისაგან (იშვიათად აბრეშუმისაგან) მზადდება.

სიმების დასაჭიმად გაყრილია მოქლონები. კორპუსის სიგრძე 440-720 მმ, სიგანე 110-195 მმ. ჩ. სოლო და სიმღერის თანმხლები საკრავია, ხშირად ჭუნირთან ერთად დაკვრისას უჭირავთ მუხლებზე. ხმა აქვს რბილი, სუსტი. 1930-იან წწ. გააუმჯობესეს ნ ქურხულმა (16 ძუის სიმი), ვ თამარაშვილმა (23 ნაწლავის სიმი), კ. ვაშაკიძემ (3 სახის ქრომატ. ჩანგი, 13 კაპრონის სიმი). ქართ. წერილობით ძეგლებში პირველად მოიხსენიება „სიბრძნე ბალაჰვარიანისა“-ში, შემდგომ კი მრავალჯერ („ვეფხისტრაოსანი“, „ვისრამიანი“ და მრ.სხვ.). ჩ. წარმომსგარია უძვ. ასირიული არფიდან. ჩ-ის უძვ. ნიმუშს მიაკვლიეს XX ს. 70 -იან წწ. ყაზბეგის რ-ში არქეოლოგიური გათხრებისას.

ჩარდაში, (უნგრ. csardas), უნგრული ხალხური წყვილთა ცეკვა. შეიქმნა XIX ს. შუა წლებში. ზომა 2/4. შედგება ნელი (პათეტიკური) და სწრაფი ნაწილებისაგან. რიტმი სინკოპირებულია, ახასიათებს იმპროვიზაციულობა. ჩ–ის მუს. დამუშავება გვხდება ფ. ლისტის უნგრულ რაფსოდიებში, ი. ბრამსის „უნგრულ ცეკვებში,“ აგრეთვე ბალეტებში (დელიბის „კოპელია,“ ჩაიკოვსკის „გედების ტბა“), ოპერეტებში (კალმანი და სხვ.).

ჩასაბერი საკრავები, სამუსიკო საკრავები, რომელთა ჟღერადობის წყაროა სხვადასხვა ზომის, ფორმის, წყობისა და მასალის (სპილენძის ან ხის) მილებში შემსრულებლის მიერ ჩაბერილი ჰაერის ნაკადი. ჩ. ს-ის ტემბრი ნაწილობრივ საკრავის მასალაზეა დამოკიდებული. რეგისტრს საკრავის ზომა განსაზღვრავს. ჩ.ს. იყოფა ორ ჯგუფად ხის (ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, კონტრაფაგოტი, ინგლისური ქარახსა, საქსაფონი) და სპილენძის (საყვირი, კორნეტი, ვალტორნა, ტრომბონი, ტუბა, საქსჰორნების ოჯახი) საკრავები. ჩ.ს-ს უწოდებენ აგრეთვე ჩასაბერ-კლავიშიანებს (ორგანი, ფისჰარმონია, აკორდეონი, ბაიანი). აღმ. ქვეყნებიდან არის საქ-ში შემოტანილი ჩ.ს. დუდუკი და ზურნა. ქართ. ეროვნ. ჩ.ს.-ებია ექვსღეროვანი სოინარი, ანუ ლარჭემი, ჭიმონი ანუ ჭიბონი, გუდის ჭიბონი, სალამური (ენიანი და უენო), სტვირი, გუდასტვირი; შემორჩენილია ნაი, ავლი (მესხეთ-ჯავახეთში), სანყვირ(სვანეთში), ბუკი (რაჭაში), პილილი, თულუმი (გუდასტვირის ნაირსახეობა-ლაზეთში).

გ. ჩხიკვაძე

ჩასტუშკა (რუს. частушка),რუსული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის ჟანრი. მცირე ზომის ლექს-სიმღერა, სრულდება ჩქარ ტემპში. ჩ. სრულდება გარმონისა და ბალალაიკის თანხლებით.

ჩაჩავა ვაჟა ნიკოლოზის ძე [20. IV. 1933, თბილისი,–6.X.2011, თბილისი], ქართველი

პიანისტი– კონცერტმაისტერი, პედაგოგი, 1956 დაამთ. თბ. კონს. (ხელ. ვ. შიუკაშვილი). საქ. სახ. არტისტი (1984). კამერულ–ვოკალური მუზიცირების ერთ–ერთი მოთავე საქ–ში (1960–70–იანი). კონცერტებით გამოდიოდა მ. ამირანაშვილთან, ზ. სოტკილავასთან, ც. ტატიშვილთან, ლ. ჭყონიასთან, ნ. ანდღულაძესთან, მ. ქასრაშვილთან და სხვებთან ერთად. 1977–იდან იგი მუდმივად თანამშრომლობს ე. ობრაზცოვასა და ი. არხიპოვასთან. მონაწილეობდა (როგორც აკომპანიატორი) ვოკალისტთა ბარსელონის (ვინიასის სახ.), მონრეალის, მოსკოვის (ჩაიკოვსკის სახ.) საერთაშ. კონკურსებში. არის საზ–ბა „ვერდის მეგობრების“ საპატიო წევრი. მ. გლინკას სახ. საკავშირო კონკურსზე ჩ-მ მიიღო სპეც. დიპლომი „საუკეთესო აკომპანემენტისათვის“. ჩ. ეწეოდა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1977–იდან იყო მოსკოვის კონს–ის პედაგოგი.

ჩელესტა (იტალ. celesta<ლათ. caelestis ზეციური), საორკესტრო კლავიშიანი საკრავი (ფისჰარმონიის ტიპისა); გამოსცემს ნაზ, ზანზალაკისებურ ხმებს.

ჩემბალო (იტალ. chavicembalo), თანამედროვე ფორტეპიანოს წინამორბედის– კლავესინის იტალიური სახელწოდება.

ჩერნი (Czerny) კარლ [20. II. 1791, ვენა,–15.VII. 1857, იქვე], ავსტრიელი პიანისტი, პედაგოგი და კომპოზიტორი. ეროვნებით ჩეხი. ჩ. სწავლობდა ჯერ მამასთან, ვენცელ ჩერნისთან, 1801–03 ლ. ბეთჰოვენთან. ჩ. ვენის პიანისტური სკოლის ფუძემდებელია (XIX ს.I ნახ.). მისი მოწაფეებია: ფ. ლისტი, ტ. ლეშეტიცკი, და სხვ. ჩ. 1000–ზე მეტი ნაწარმოების (სიმფ. საეკლესიო, კამერულ–საკრავიერი, მეტწილად საფ. თხზულებების), მათ შორის ცნობილი „ეტიუდების“ ავტორია. მუს. პედაგოგიკაში ფართოდ გამოიყენება მისი ეტიუდები და სავარჯიშოები.

ჩექეჯიანი ოგანეს არუთუნის ძე [23. XII, 1928, თურქეთი], გუნდის დირიჟორი, პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1978), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975). 1961-იდან ცხოვორბს ერევანში. ამავე წლიდან სომხეთის სახელმწ. კაპელის მთ. დირიჟორია, 1982-იდან ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი და სამხ. ხელმძღვანელი. გამოდიოდა როგორც სიმფ. დირიჟორი. გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ. 1975 -იდან ერევნის კონს-ის პედაგოგია (1982-იდან პროფესორი).

ჩიმაკაძე არჩილ ივანეს ძე [5. III. 1919, ჭიათურა,–3. IX. 1991, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. სახ. არტისტი (1973). 1940 დაამთ. თსუ მათემატიკის ფაკ–ტი, 1946 კი თბ. კონს. (ა. ბალანჩივაძის საკომპ. კლ.), 1951 მოსკ. კონს-ის ასპირანტურა (ხელ. ა. ალექსანდროვი). ჩ. იყო I საშუსიკო სასწავლებლისა (1960–63) და თბ. ოპერისა და ბალეტის

თეატრის (1963–67) დირექტორი. 1968-იდან კონს. პედაგოგი (1979–იდან პროფ.). 1972–76 საქტელერადიოს მუს. მაუწყებლობის სამხ. ხე-ლი. ჩ–ის ძირითადი ნაწარმოებებია: სიმფ. პოემა „დევლეთი“ (ს. კლდიაშვილის ნოველის მიხედვით, 1946); 4–ნაწილიანი კანტატა „ქართლის გული“ (ტექსტი მ. აბულაძისა, გ. ლეონიძის ნაწარმოების მიხედვით, 1952), ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუში ქართ. მუსიკაში, რომელიც არაერთგზის შესრულდა დიდი წარმატებით თბილისში, მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე 2–ჯერ ჩეხოსლოვაკიაში; მუს.–დრამ. კომპოზიცია (2 ნაწილი) „ვეფხისტყაოსანი“ (1962, 1966), ჰეროიკული მუს. კომედია „მაია წყნეთელი“ (1980), გუნდები, რომანსები („იავნანა“, „შენი დალალნი“ და სხვ.), სიმღერები (მ. შ. მაღალი მხატვრული ღირსებებით აღბეჭდილი „ფიროსმანის სიმღერა“ ვოკალური კვარტეტისათვის და სხვ.), მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის („ბახტრიონი“, „ფიროსმანი“, „მედეა“ და სხვ.). ჩ-ს ეკუთვნის პოლიფონიის სახელმძღვანელო (1983).

ჩიმაროზა (Cimarosa) დომენიკო [17. XII. 1749, ავერსა, ნეაპოლის მახლობლად,–11.I.1801,ვენეცია], იტალიელი კომპოზიტორი, ოპერა–ბუფის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. 1787–91 ჩ. კარის კაპელმაისტერი იყო პეტერბურგში. აქ დადგა ოპერები: „მზის ქალწული“ და „კლეოპატრა“, ბალეტი–„მოულოდნელი ბედნიერება“. 1792 ვენაშია, 1793 ნეაპოლში. სახელი გაითქვა ოპერით „საიდუმლო ქორწინება“ (1792), დადგმულია გორის სამუსიკო სასწავლებლის საოპერო სტუდიის სცენაზე (1981), ქუთაისში (1983), თბილისში კონს-ის საოპერო სტუდიის სცენაზე (2004).

ჩიჯავაძე ალექსანდრე ირაკლის ძე [9.VIII.1917, თბილისი,–10.IX. 1971, იქვე], ქართველი ვიოლონჩელისტი და პედაგოგი; საქ. დამს. არტისტი, პირველი ქართველი მუსიკოსი–ლაურეატი, ქართული საშემსრულებლო სკოლის პირველი თაობის წარმომადგენელი. თბილისში სწავლობდა პროფ. კ. მინიართან, 1945 დაამთ. მოსკოვის კონს. (პროფ. ს. კოზოლუპოვის კლ.), ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას, იყო მუსიკოს შემსრულებელთა საკავშირო კონკურსების ლაურეატი (1935, 1937). 1952–იდან ჩ. თბ. კონს. პედაგოგია, 1964–71 მივლინებული იყო კაიროს კონს–ში ეროვნული კადრების მოსამზადებლად (ჩელოს კლასი). მის პატივსაცემად კაიროს კონს–ში გაკრულია მემორიალური დაფა.

ჩლაიძე გიორგი (გოგი) ზაქარიას ძე [2.III.1943, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1987), თბ. საპატიო მოქალაქე (2012).

1967 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. (ე. გურევიჩის საფ. კლ.), 1974 (დ. თორაძის საკომპოზიციო კლ.). 1971-81 საქ. ტელერადიო მუს. გადაც. ახალგაზრდული რედაქციის რედაქტორი. თბ. თეატრ. ინ-ტის პროფ. (2009). 2005-იდან საქ. პანტომიმის თეტრის მუს. ხე-ლი. 1980-90 საქ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი. მნ. ნაწარმოებებია: კომიკ. ოპერა „დარისპანის

გასაჭირი“ (1977); მონო-ოპერა „წერილი ნესტან-დარეჯანისა“ (2007); მიუზიკლ. „ღვთაებრივი კომედია“; „ო. ადონაი, ისმინე“; „შაპიტო“, „პანორამა“; „პატარა კახი“; „ნაცარქექია”. საბავშვო მიუზიკლ.: „ქინქლას ამბავი“; „კალეიდოსკოპი“. ვოკალ-პლასტიკ. დრამა „მზიას დაბრუნება“. კონცერტ.: დიდი სიმფ. ორკ. (1972); საფორტეპიანო (1973); სიმფ. მინიატ. კანტატა: „გაზაფხული“. კამერ. ინსტრ.: საფ. ტრიო „ფიქრნი“, სონატა-ფანტაზია (მაღალი ხმის, ფლეიტის, ვლნჩ., ტამტამისა და ფ-ნოსათვის. საფ-ნო: იუმორესკები, ვალსები, ტანგოები, მენუეტები. ვოკალ. ციკლ.: „სიყვარულის საგალობელი“(1972 8 სიმღერა ხალხ. ლექსებზე), „სიყვარულო, ნიჭო სრულო“, „ლოცულობს გველი“, „საქართველოს მგოსანი ვარ“; საგუნდო ციკლ.: „ხუთი მწუხარე სიმღერა“ (გუნდისა და სოლისტისათვის მ.შ. „ქიტესა“ (2015); „თემები, ვარიაციები და ბოლოთქმა“; „მშობლიური სურათები“; „ავე მარია“, „სალაღობო“, „საგალობელნი“(2015), საბავშვო გუნდები ფ-ნოს თანხლებით, რომანსები, საესტრადო სიმღერები. მუს. დრამ. სპექტ.: (100-ზე მეტი) მ.შ. „სიყვარული თელებ ქვეშ“(2000). „ჰარალეთი, ჰარალეთი“ (2003) ორივე სპექტაკლისათვის ჯილდო: „წლის საუკეთესო თეატრალური მუსიკა“. მუს. მხ. კ/ფ.: „ვარიაგება“(1993), „კუკარაჩა“, „სანამ წვიმა გადივლიდეს“, „მარტოხელა მონადირე“; „დინოზავრის კვერცხი“, „ნათლისღება“, „თედო“ და სხვ.

ჩონგური, დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო, გურია, აჭარა) გავრცელებული ოთხსიმიანი ჩამოსაკრავი სამუსიკო საკრავი. მეოთხე სიმს (ქვემოდან მეორეს, დანარჩენებზე მოკლეს) ზილი ეწოდება. იგი სააკორდო ბგერას იძლევა და ყველა სიმზე მაღლაა აწყობილი. თავში სამი მოქლონი აქვს გაყრილი, ზილისათვის კი შუა ნაწილზე. სიმები სიმაღლის მიხედვით მსხვილდება (დაბალ ბგერებს უფრო მსხვილი სიმები გამოსცემს და პირიქით.). ყველაზე წვრილია ზილი. ჩ–ის წყობა და საკრავის კილო ჰარმონიულ საფუძველზეა აგებული. ჩ. სოლო და საანსამბლო საკრავია. ჩონგურის გაუმჯობესებაზე 30-იან წლებში მუშაობდნენ, ვ. თამარაშვილი, კ. ვაშაკიძე და კ. ცანავა.

ჩუბინიშვილი გიორგი ილიას ძე [13. V. 1889, თბილისი,–11. X. 1945, იქვე], ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი (ლირ. დრამ. ტენორი). ეროვნული ვოკალური ლირიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მუს. განათლებას ეზიარა ზ. ფალიაშვილისა და ა. ყარაშვილის ხელმძღვანელობით თბ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში, მღეროდა ი. რატილის გუნდში. ჩ-ის პირველი რომანსია „რა ტურფა, რა ლამაზია“ (ვაჟა–ფშაველას ლექსის მიხედვით, 1914). მისი საუკეთესო ნაწარმოებია: „ქალო გნახე ფეხშიშველი“, „ხმა გულისა“, „სევდა“, „მუხამბაზი“ (ვაჟა–ფშაველას, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის ლექსებზე), რომლებიც

დღესაც წარმატებით სრულდება. 2001 გამოვიდა გ. ჩუბინიშვილის რომანსებისა და სიმღერების ახალი კრებული.

მ. ახმეტელი

ჩუბინიშვილი ოთარ ნიკოლოზის ძე [16.VI.1941, თბილისი], ვიოლონჩელისტი და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1980). თბ. კონს-ის პროფესორი,შოთა რუსთაველის (1992) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1975) პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (2001). 1965 დაამთ. მოსკოვის კონს. (პროფ. ს. კნუშევიცკის კლ.). იმავე წლიდან თბ. ფილარმონიის სოლისტია. 1972–იდან უკრავს საქ. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში. 1973 ქ. ბუდაპეშტში, ლ. ვაინერის სახ. კვარტეტების საერთაშ. კონკურსზე, კვარტეტის სხვა წევრებთან ერთად, მიენიჭა ლაურეატის წოდება და პრემია უნგრული მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის. 1967–იდან თბ. კონს. პედაგოგია. 1993-98 მოღვაწეობდა გერმანიაში. 2001-2014 იყო თბ. კონს. კამერული ანსამბლის კათედრის გამგე. 1970-იდან კვარტეტთან ერთად გასტროლებს მართავდა ყოფილ სსრკ-ში, ევროპასა და ამერიკაში. დაჯილდოებულია საქ. ეროვნ. პრემიით (2010).

ჩხეიძე თემურ ნოდარის ძე[18.XI.1943, თბილისი], ქართველი რეჟისორი. საქ. (1981) და რუსეთის სახ. არტისტი. 1965 დაამთ. თბ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. 1965-67 რეჟისორად მუშაობდა შ. დადიანის სახ. ზუგდიდის დრამ. თეატრში. 1967-70 თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში. 1970-80 იყო შ. რუსთაველის სახ. თეატრის რეჟისორი. 1980-90 კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამხ. ხე-ლი. კითხულობდა ლექციებს თბ. თატრ. ინ-ტში. 1991-დან სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამ. თეატრის რეჟისორია. არის 80-მდე დრამატული, საოპერო და სატელევიზიო სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორი, მ.შ. სანკტ-პეტერბურგის საოპერო თეატრში: ს. პროკოფიევის „მოთამაშე", რ. ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი", ჯ. ვერდის „დონ კარლოსი", ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მოცარტი და სალიერი", ს. რახმანინოვის „ძუნწი რაინდი"; მოსკოვის დიდ თეატრში დ. შოსტაკოვიჩის „ლედი მაკბეთი"; „ლა სკალას" თეატრში ს. პროკოფიევის „მოთამაშე"; ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში"ს. პროკოფიევის „მოთამაშე"; გენუის საოპერო თეატრში ჯ. ვერდის „დონ კარლოსი" და სხვ.

ჩხიკვაძე გრიგოლ ზაქარიას ძე [14. (27). IV. 1898, თბილისი,–24. XII. 1986, იქვე], ქართველი მუსიკისმცოდნე და პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1944), პროფესორი (1947). საქ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1946). 1927 დაამთ. თბ. კონს. (ს. ბარხუდარიანის საკომპ. კლ.), 1932 ლენინგრადის კონს. (ს. კუშნარიოვის მუს. თეორიისა და კომპოზიციის კლასები), 1935 ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრ. ინ–ტის ასპირანტურა (მუს. ფოლკლორის განხრით). ჩ. იყო თბილისში „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების" შექმნის ერთ–ერთი

ორგანიზატორი, II სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი (1927–30), თბ. კონს-ის ქართ. ხალხ. მუსიკის კაბინეტის დამაარსებელი (1946). საქ. მეცნ. აკად. ისტ. ინ–ტთან ჩ-მ შექმნა და 1953–60 ხელმძღვანელობდა მუს. ფოლკლორის სექციას. იგი იყო საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის სამხ. ხე-ლი (1966–68), თბ. კონს-ში მის მიერვე დაარსებული ხალხ. მუს. შემოქმედების კათედრის გამგე (1970–77). ფოლკლორული მასალების შეკრება ჩ-მ დაიწყო 1916–იდან. ქართ. მუს. ფოლკლორისტიკის ძვირფასი შენაძენია ჩ-ის მიერ შედგენილი დიდტანიანი კრებული–ქართული ხალხური სიმღერა (ტ. I, თბ. 1960). მისი უმთავრესი შრომები ეძღვნება ქართ. ხალხ. მუსიკას და ძვ. ქართ. მუს. კულტურას. ჩ. ავტორია რამდენიმე საბავშვო ოპერის, გუნდებისა და რომანსებისა.

გ. ტორაძე

ცბ

ცაბაძე გიორგი გაბრიელის ძე [24.VIII.1924, თბილისი-30.XI.1986, გორი]. ქართველი კომპოზიტორი, საქ. სახ. არტისტი (1973). თბილისის საპატიო მოქალაქე (1983). 1956 დაამთ. თბ. კონს. (ი. ტუსკიას საკომპ. კლ.). 1956-75 იყო საქ. ფილარმონიის საესტრადო მუს. განყ-ბის გამგე. ც. ნაყოფიერად მუშობდა ოპერეტის, საესტრადო სიმღერისა და რომანსის ჟანრებში. მისი შემოქმედების წყარო ქართული ქალაქური ფოლკლორია. ც-ის მუსიკა გამოირჩევა მელოდიურობით და გამომსახველობით. მისი საუკეთესო ოპერეტებია: „სიმღერა სიყვარულზე“ (1949), „ჩვენი ნაცნობები“ (1953), „შესანისნავი სამეული“(1963), „კურკას ქორწილი“(1969, მ. ჯავახიშვილის მიხედვით), „იეთიმ გურჯი“(1976),„მეტეხის ჩრდილში“ (1984), „თოვლიანი მთების მელოდიები“. ც. ავტორია მიუზიკლებისა. ზოგიერთი მათგანი დაიდგა საბჭოთა კავშირის საოპერეტო თეატრების სცენაზე („ჩემი შეშლილი ძმა“ 1965, „იტალიური რომანი“, 1977 და სხვ., სულ 20). ც-მ შექმნა 200-ზე მეტი სიმღერა მათ შორისაა: „ნიბლია“, „თბილისური სერენადა“, „მუხამბაზი“, „ნეტა მართლა გყვარებოდი“, „ჩვენო თბილის ქალაქო“, „უკანასკნელი მეეტლის სიმღერა“, „სად იყავი“, „ასე თაფლის სანთელივით“, „წეროები“, „მინდა გაკოცო, მაკოცო“, „სიმღერა მთაწმინდაზე“, „სიყვარული დაფრინავს“, „ჩემი თბილისის საღამო“, „გული მღერის“, „გემი“, „როცა შენ ვერ გხედავ“, „საქართველოს ლამაზებო“, „არ მიყვარდა ერთი გოგო“, „ლალე“, „ლალები“, „პაემანზე“, „ოქროს ბიჭებს“, „ბალადა ჯარისკაცის დედაზე“, „თოვლის ფანტელი“, „ყარაჩოღელების სიმღერა“, „კარგო გოგო კარგი რა“, „ძველებური თბილისური“, „პაწაწინა სამოთხე“ და სხვ. ავტორია აგრეთვე კინოს მუსიკისა: „ვერის უბნის მელოდიები“ (კინომიუზიკლი, 1973), „მხიარული რომანი“, „მოიტაცეს თამარ ქალი“, „იყო და არა იყო რა“. „იცოცხლე, გენაცვალე“ აგრეთვე სატელევიზიო სპექტაკლის მუსიკისა „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, საგუნდო სიმღერებისა და სხვ.

ცაბაძე კახა გიორგის ძე [14.IX, 1959, თბილისი] ქართველი კომპოზიტორი. თბილისის საპატიო მოქალაქე (2012). 1982 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. ა. ბალანჩივაძის საკომპ. კლ.). 1982-84 იყო თბ. კონს-ის ასისტენტ-სტაჟორი. 1983-იდან თბ. მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მუს. განყოფილების პედაგოგი. 1997-2000 საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო 2008-2017 თავმჯდომარე. 2011-იდან თბ. ზ. ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი.

ძირითადი ნაწარმოებები: კონცერტები ალტისა და ორკესტრისათვის, კლარნეტისა და ორკესტრისათვის, სამმაგი კონცერტი ვიოლინოს, ჩელოს ფ-ნოსა და სიმფ.

ორკესტრისათვის. კონჩერტო გროსო ორკესტრისათვის. 2 სიმებიანი კვარტეტი, რომანსები ხმისა და ფ-ნოსათვის, საფ. ციკლები, საგუნდო ნაწარმოებები, კამერულ-ინსტრუმენტული პიესები. 5 მიუზიკლი, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის და მოკლემეტრაჟიანი კინოფილმებისათვის. ც-ის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საესტრადო სიმღერებს: „ყვავილების მიწა“, „ალიონზე გამიღიმა თბილისმა“, „ჩემი სიყვარულით შენ არ შეგაწუხებთ“ და სხვ.

ცეზურა (ლათ. caesura–გაპობა), ზღვარი მუსიკალური ნაწარმოების ნაწილებს შორის. სხვა ფაქტორებთან ერთად იგი უზრუნველყოფს მუს. ნაწარმოების სტრუქტურის აღქმას. ც-ის აღსანიშნავად საგანგებო ნიშანი არ არსებობს. ხშირად იგი თანხვდება პაუზას. ც. წარმოიშობა: შესვენების, მელოდიური და ჰარმონიული კადენციისა და ხანგრძლივი ბგერის შემდეგ, რიტმული ფიგურიდან მის გამეორებაზე გადასვლის მომენტში და ა. შ.



ციმბალი (პოლ. cymbaly ბერძ. kymbalon), სიმებიან-დასარტყმელი მუსიკალური საკრავი. შედგება ტრაპეციის ფორმის ხის ბრტყელი კორპუსისაგან, რომელზედაც დეკით სიმებია დაჭიმული. ხმას გამოსცემს 2 ხის ჯოხის ან საცემელას ჩამოკვრით ლითონის სიმებზე. მისი დიაპაზონია დიდი ოქტ. მი-დან მესამე ოქტ. მი-მდე. ც. უძველესი საკრავია (გამოსახულება გვხვდება უძველეს ასურულ ძეგლებზე). იგი დას. ევროპაში ცნობილია XVIII ს-იდან. გავრცელებულია უნგრეთში, სლოვაკიაში. ც-ის მონათესავე საკრავია მოლდავური ციმბალი, სომხური სანთურ, ქართ. სანთური, უზბეკური ჩანგი. XIX ს. დასასრულს შეიქმნა ქრომატული ც-ის ოჯახი (პრიმა, ალტი, ბანი, კონტრაბასი), რუსეთში XVII ს-ში ც-ს კლავესინი ეწოდებოდა.



ცინცაძე სულხან თევდორეს ძე [23. VIII. 1925, გორი, –15. XI. 1995, თბილისი], ქართველი კომპოზიტორი. საქ. (1961) და სსრკ. (1987) სახ. არტისტი. დაამთ. მოსკოვის კონს. ჩელოსა (1950, ხე-ლი ს. კოზოლუპოვი) და კომპოზიციის (1953, ხე-ლი ს. ბოგატირიოვი) სპეციალობებით. 1944-46 იგი საქ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის სოლისტია, 1963-იდან თბ. კონს. პედაგოგი, 1965-84 რექტორი, 1973-იდან –პროფესორი (სპეც. ინსტრუმენტირების კლასი), 1984-91 საქ. კომპ. კავშირის თავმჯდომარე. ც. მუშაობდა მუს. შემოქმედების ყველა უმთავრეს ჟანრში, განსაკუთრებული წარმატება და საერთაშ. აღიარება ხვდა წილად მის 12 სიმებიან კვარტეტს (1947-90) და საკვარტეტო მინიატიურებს, მიღწევები აქვს მუს. თეატრისა და კინომუსიკის („ჭრიჭინა“, „ბაში-აჩუკი“, „თოჯინები იცინიან“, „ჯარისკაცის მამა“, „აბეზარა“, „მაია წყნეთელი“, „ჩრდილი გზაზე“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ.) დარგში. მისი ნაწარმოებებია: 2 ოპერა (მ. შ. „განდეგილი“, 1972), ბალეტები –„ცისფერი მთის საუნჯე“ (1954), „დემონი“ (1961). „ანტიკური ესკიზები“ (1973), „დალი და მონადირე“ (1977, ყველა დაიდგა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში), „რივარესი“ (1982, დაიდგა მოსკოვში კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. თეატრში), 5 სიმფონია (1952–1985), ოპერეტები: „აბლაბუდა“

(1960), „სიმღერა ტყეში“ (1967), „შვეიკი“ (1976, ყველა დაიდგა თბ. მუს. კომედიის თეატრში), ორატორია „უკვდავება“ (1970), 2 საფ. (1949, 1968), 2 სავიოლინო (1968, 1977), 2 ჩელოს (1947, 1964) კონცერტი, 24 პრელუდია ფორტეპიანოს (1971), ჩელოს (1980) და ვიოლინოსათვის (1986). ზ. ფალიაშვილის სახ. (1977), შ. რუსთაველის სახ. (1981), სსრკ სახელმწ. (1950) პრემიების და პრაღის, ვარშავისა და მოსკოვის საერთაშ. ფესტივალების ლაურეატია. ც-ს ხშირად იწვევდნენ შემსრულებელთა საერთაშ. კონკურსების ჟიურის წევრად. ც. თანამედროვე ქართ. მუსიკის კლასიკოსად არის აღიარებული. ავტორია წიგნისა „გაორკესტრების ტექნიკა“ (თბ. 2003).

გ. ტორაძე

„ციისფერი ტრიო“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. ჩამოყალიბდა 1972 თბილისის პოლიტექ. ინ-ტთან, როგორც სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივი დ. აბესაძის, თ. სეფერთელაძისა და მ. თავართქილაძის შემადგენლობით. 1974-იდან გამოდის როგორც საქ. სახელმწ. ფილარმონიის პროფესიული კოლექტივი (ამ წლიდან ეწოდა „ც.ტ.“). მის რეპერტუარში ძირითადად ქართველ კომპოზიტორთა ლირ. სიმღერებია: „ლურჯი აპრილი“, „ღმერთი სიყვარულისა“, „იმერეთის ნიავო“, „მოგონებანი“, „ქუთაისო“, „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს“, „ფუტკარი“, „ქარი გიმღერის ნანასა“ და სხვ. აგრეთვე ქალაქური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები. ტრიოს შესრულებისათვის დამახასიათებელია ემოციურობა, ლირ. განწყობილება, პროფესიული კულტურა, ეროვნ. კოლორიტის გრძნობა. 1988 ანსამბლის სამივე წევრს მიენიჭა საქ. სახ. არტისტის წოდება.

ციტრა (გერმ. zither <ბერძ. kithara-კითარა) სიმებიან-ჩამოსაკრავი მუსიკალური საკრავი. აქვს უსწორო ფორმის ბრტყელი ხის კორპუსი. დეკის ორი გვერდი - გრძელი და მოკლე, ქმნის სწორ კუთხეს. გრძელი გვერდის გასწვრივ მოთავსებულია კილოებიანი გრიფი ზედ დაჭიმული 4-5 ლითონის სიმით, რ-თაც აჟღერებენ მარჯვენა ხელის ცერზე ჩამოცმული პლექტრით. გრიფის გარეთ ც-ს აქვს კიდევ 24-39 სიმი, რ-ებსაც აჟღერებენ მარჯვენა ხელის დანარჩენი თითებით. დას. ევროპაში ც. ცნობილია XVIII ს. ბოლოდან, XIX ს-ში განსაკუთრებით გავრცელდა გერმანიასა და ავსტრალიაში. რუსეთში გამოჩნდა XIX ს. II ნახევარში.

ცომაია ნადეჟდა ათანასეს ასული [18. I. 1904, ქუთაისი, –29. XI. 1973, თბილისი], ქართველი მომღერალი (მეცო-სოპრანო), საქ. სახ. არტისტი (1943). 1929 დაამთ. თბ. კონს. (ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლ.) და ჩაირიცხა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში. 1935-37 იგი ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. 1937-60 კვლავ თბ. საოპერო სცენაზე მღეროდა. ც-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის, სრული დიაპაზონის ხმა. მის მიერ შესრულებული პარტიებია: ნანო (ზ. ფალიაშვილის „დაისი“), დარეჯანი (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), ბარბალე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), მართა (მუსორგსკის „ხოვანშჩინა“), ამნერისი, აზუჩენა (ვერდის „აიდა“ „ტრუბადური“), კარმენი (ბიზეს „კარმენი“) და სხვ. 1960-იდან ც. თბ. კონს-ის პედაგოგი იყო.

წერეთელი თამარ სიმონის ასული [1.VIII.1900, ჭიათურა,–5.VI. 1968, მოსკოვი], საქ. დამს. არტისტი (1958), საესტრადო მომღერალი (კონტრალტო). სწავლობდა თბ. კონს-ში. 1920-იდან იწყებს საკონცერტო მოღვაწეობას მოსკოვის ესტრადაზე, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ძირითადად ასრულებდა ბოშურ და ძვ. რუსულ რომანსებს, ითვლებიოდა ბოშური სიმღერების უბადლო შემსრულებლად, რეპერტუარში ჰქონდა ქართული სიმღერებიც. წ. ჰქონდა ხავერდოვანი ტემბრის ხმა, დახვეწილი მუს. გემოვნება. მან ქ. ჯაფარიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში რომანსის შესრულების ტრადიციებს.

წინადადება, პერიოდის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მისგან გამოყოფილია კადენციით. (იხ. მუს. ფორმა).

წინწილი, უძველესი ქართული სამუსიკო საკრავი. დღეს გვხვდება მხოლოდ წერილობით ძეგლებში. დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, იგი შედგება „ერთი მეორის შემოკვრით საჟღერელი“ ლითონის ორი თეფშისაგან. ს. ს. ორბელიანის მიხედვით, წ. სიმებიანი, სამწყობრო საკრავია. წ. გამოსახულია XIII ს. ქართული ფსალმუნის მინიატიურაზე (მარცხნივ). დამოწმებულია „ვეფხისტყაოსანში“.

„წინწყარო“, ქართული სამხმიანი სიმღერა (კახეთი). მისი ცნობილი ვარიანტი დამუშავებულია ვანო მჭედლიშვილის მიერ. ზოგიერთი მოსაზრებით, ეს სიმღერა მთლიანად მისი შექმნილია. „წ“-ს ცნობილ შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰ. გონაშვილი.

წულუკიძე ანტონ გრიგოლის ძე [17. III. 1921, ტყიბული, -6. IV. 1995, თბილისი], მუსიკისმცოდნე, მუს. კრიტიკოსი და პედაგოგი, საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1995). 1950 დაამთ. თბ. კონს-ის მუსიკის ისტ. განყ-ბა (ხე-ლი პროფ. ლ. დონაძე). 1953-54 და 1978-იდან კონს. პედაგოგი იყო (1988 პროფ.). 1953-61 ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ განყ-ბის გამგე, 1961-65 საქ. კულტურის სამინისტროს მუს. დაწესებულებათა განყ-ბის გამგე, 1965-იდან ამავე სამინისტროს მუს. ხელოვნებისა და დრამ. თეატრების

სარეპერტუარო და სარედაქციო კოლეგიის მთ. რედაქტორი. ავტორია მრავალი კრიტ. წერილისა ქართ. მუსიკის საკითხებზე. განსაკუთრებული მნ-ბა ენიჭება მონოგრაფიას „შალვა მშველიძე“ (თბ. 1996). ამ გამოჩენილი კომპ-ის შემ-ის ღრმა და დაუღალავი მკვლევარი იყო. ასევე მნ-ია მონოგრაფიები ზ. ფალიაშვილის და ე. მიქელაძის შესახებ, წერილების ციკლი თბ. საოპერო თეატრის შესახებ, წიგნი „ქართ. საბჭ. მუს.“. (1971), წერილები დ. შოსტაკოვიჩის და ს. პროკოფიევის შესახებ. მრავალრიცხოვანი წერილების ნაწილი თავმოყრილია წიგნში „თანამედროვეობის მუსიკა“. დიდი საზ. ავტორიტეტის მქონე მუსიკისმცოდნემ ღრმა კვალი დატოვა 50-90-იანი წწ. ქართ. მუს. ცხოვრებაში.

გ. ტორაძე

წურწუმია რუსუდან იპოლიტეს ასული[12.V.1945,ფოთი], მუსიკისმცოდნე-ისტორიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი(2002) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი.

1969 დაამთ. თბილისის სახელმწოფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის ფაკულტეტი (პედ. ლ. დონაძე), 1982 ასპირატურა (პედ. გ. ორჯონიკიძე).

1975-82 იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების განყოფილების უფროსი. 1982-იდან გამომცემლობა „ხელოვნების“ მუსიკისა და ხალხური შემოქმედების რედაქციის გამგე. 1984-იდან თბ. კონს. პედაგოგი, 1986-2007 პრორექტორი. 1986-იდან ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტი(2009). 1998 აღადგინა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო კონფერენცია. 2003-2007 კორდინაციას უწევდა იუნესკოს პროექტს „ქართული პოლიფონიის დაცვა და განვითარება“. პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის სფეროა ქართული პროფესიული და ეთნომუსიკა.

მისი ნაშრომებია: ქართული ხალხური სიმღერა დღეს-ცოცხალი პროცესი თუ სამუზეუმო ექსპონატი“(1997 სოციოლოგიური ანალიზის ცდა), ქართული ხალხური სიმღერა ათასწლეულების მიჯნაზე (1997), XX ს. პირველი ნახევრის ქართული მუსიკის ეროვნულ ტრადიციასთან დამოკიდებულების შესახებ (1998), XX ს. მეორე ნახევრის ქართული მუსიკის ეროვნულ ტრადიციასთან დამოკიდებულების შესახებ (2004), მრავალხმიანობის ქართული ხედვა (2007) და სხვ.

წუწუნავა ალექსანდრე რაჟდენის ძე [16. I. 1881. სოფ. ლიხაური, ოზურგეთის რ-ნი,–26. X. 1955, თბილისი], ქართველი რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე. საქ. სახ. არტისტი (1934). 1910 დაამთ. მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდია როგორც რეჟისორმა. წ-მ მნ. როლი ითამაშა საქ-ში პროფესიული სარეჟისორო ხელოვნების განვითარებაში. მისი დადგმები დრამ. სცენაზე გამოირჩეოდა დიდი პროფეს. კულტურითა და ოსტატობით. იგი ეროვნ. საოპერო რეჟისურის ფუძემდებელია. 1918-55 სათავეში ედგა თბ. საოპერო თეატრს; იყო მისი სამხ. ხე-ლი, რეჟისორი, მთ. რეჟისორი. იგი იყო ეროვნ. ოპერის

შექმნის ერთ-ერთი თაოსანი და პირველი ქართული ოპერების (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, აგრეთვე შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ და სხვ.) პირველი დამდგმელი. დადგმული აქვს უცხოური რეპერტუარის ოპერები. წ. ქართ. ეროვნ. მხატვრული კინემატოგრაფიის ფუძემდებელია. ფილმები: პირველი ქართ. მხატვ. ფილმი „ქრისტინე“ (1916), „ვინ არის დამნაშავე“ (1925), „ჯანყი გურიაში“ (1928) და სხვ.

შ. ცუცქირიძე

წყობა მუსიკაში, მათემატიკური სიდიდეებით გამოსახული ბგერის სიმაღლებრივი შეფარდებები. ევრ. ქვეყნების ერთხმიანი მუსიკისათვის ტიპობრივია პითაგორას წყობა, რომელსაც საფუძვლად უდევს წმინდა კვინტა (სიხშირეთა შეფარდება 3:2). დაახლ. XVI ს. მრავალხმიან მუსიკაში დაინერგა ე. წ. წმინდა წყობა. მას წმინდა კვინტასთან ერთად საფუძვლად უდევს დიდი ტერციაც (სიხშირეთა შეფარდება 5:4), ტონალურ შეფარდებათა ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია XVIII ს-ში თანაზომიერ-ტემპერირებული წყობის შექმნის აუცილებლობა. აქ სუფთა ოქტავა (2:1) დაყოფილია 12 თანატოლ ნახევარტონად (იხ. ტემპერაცია). არაფიქსირებული სიმაღლის ბგერის მქონე საკრავებზე (ვიოლინო, ჩელო) დაკვრისას იხმარება ზონური წყობა.

ჯ



ჯაბუკიანი ვახტანგ მიხეილის ძე [27.II. (12. III). 1910, თბილისი,–6.IV. 1992, თბილისი], ქართველი მოცეკვავე, ბალეტმაისტერი და პედაგოგი, საქ. (1941) და სსრკ (1950) სახ. არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი(1958). ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი. 1922-23 სწავლობდა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ მ. პერინის საბალეტო სტუდიაში. 1924 ჩაირიცხა საბალეტო დასში. 1926-29 ოსტატობას სრულყოფდა ლენინგრადის (პეტერბურგის) ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. 1929-41 იყო მარიას თეატრის სოლისტი, სადაც წამყვანი პარტიები შეასრულა ა. ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულში“ (1938), ა. კრეინის „ლაურენსიაში“ (1939), მინკუსის „დონ კიხოტში“, ადანის „ჟიზელში“, ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ და სხვ. 1941-73 ხელმძღვანელობდა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს. 1968-მდე იყო ამ დასის მოცეკვავეც. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგა ა. ბალანჩივაძის „მთების გული“ (1936), გ. კილაძის „სინათლე“(1947, სსრკ სახელმწ. პრემია), დ. თორაძის „გორდა“ (1949, სსრკ სახელმწ. პრემია) და „მშვიდობისათვის“ (1953), ა. მაჭავარიანის „ოტელო“ (1957), ს. ცინცაძის „დემონი“ (1961), ფ. ღლონტის „განთიადი“ (1967) და მსოფლიო კლასიკური საბალეტო რეპერტუარის მრავალი ნიმუში. 1950-1973 ჯ. ხელმძღვანელობდა თბ. ქორეოგრაფიულ სასწავლებელს, 1965-1970– რუსთაველის სახ. თბ. თეატრ. ინ-ტის საბალეტმაისტერო განყოფილებას. საკუთარი სცენარით დადგა კინოფილმები „ქართული ბალეტის ოსტატები“ (1955) და „ოტელო“ (1961). გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ (აშშ, იტალია, ლათ. ამერიკა და სხვა). სპექტაკლები დადგა საზღვარგარეთულ სცენებზე. ლენინური პრემია მიენიჭა (1958) ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“ დადგმისა და ოტელოს როლის შესრულებისათვის, რაც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალი იყო. ჯ. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი მოცეკვავეა. ჰქონდა იშვიათი ბუნებრივი მონაცემები და ფლობდა სრულყოფილ, ვირტუოზულ საცეკვაო ტექნიკას. საბალეტო ხელოვნებაში დაამკვიდრა მამაკაცური კლასიკური ცეკვის ჰეროიკული სტილი. ჯ-ის საცეკვაო და საბალეტმაისტერო მოღვაწეობა მთელი ეპოქაა ქართული ბალეტის ისტორიაში და მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი.

გ. ტორაძე

ჯიანური, ქართული ხალხური სიმებიან-ხემიანი საკრავი გავრცელებულია დას. საქ-ში და აღმ. საქ. მთიან რაიონებში. რაჭული და თუშური ჯ-ების რეზონატორია ე. წ.

„მუცელი“, რომელსაც ცალი მხრიდან ტყავი აქვს გადაკრული და ხის გათლილი ოთხკუთხა ტარი აქვს გაყრილი. ტარის ზემოთა ნაწილი, სიმების დასაჭიმი მოქლონებითურთ, საკრავის თავია, ქვემო ნაწილი, მცირე ზომის გამონაშვერით, შემსრულებლის მუხლზე საყრდენი. ჭ-ის სიმები ცხენის ძუისაგან მზადდება. საკრავს მოხრილი ხემით (მშვილდაკით) აჟღერებენ.

ჭიაურელი ბორის ივანეს ძე [29.II.1916, სოფ. ავლევი, გორის რ-ნი,-24.VI. 2001,-თბილისი], ქართველი მევიოლინე და პედაგოგი, საქ. სახ. არტისტი (1981). 1943 დამთ. მოსკოვის კონს. (პროფ. ა. იამპოლსკისა და ე. გუზიკოვის კლასები). ამავე წლიდან თბ. კონს-ის პედაგოგია (1954-58-პრორექტორი, 1964-დან პროფ. და კამერული ანსამბლის კათედრის გამგე). 1944-1967 იყო სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის ხე-ლი და წევრი (I ვიოლინო). პრაღის საერთაშ. კონკურსის ლაურეატია (1950 II პრემია). გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთ. სსრკ სახელმწ. პრემია (1952). ჭ-ის ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა თბ. კონ-ში.



ჭიბონი, ჭიმონი–ქართული (აჭარული) ხალხური ჩასაბერი საკრავი. გუდასტვირის სახესხვაობა, გავრცელებულია აგრეთვე ლაზეთში. შედგება ტყავის გუდისა და ჭ-საგან (მას გუდის ჭიბონსაც ეძახიან). აჭარაში არსებობს ერთლულიანი უგუდო ჭ., რომელსაც ზურნასაც უწოდებენ. ჭ. ორხმიანი საკრავია, აქვს ხმის გამომცემი ორი ლულა (დედანი), ერთს მთქმელი ეწოდება, მეორეს-ბანი. აჭარულ ჭ-ს ერთ ლულაზე ხუთი თვალი აქვს ამოჭრილი, მეორეზე-სამი, ლაზურს –ერთზე ხუთი, მეორეზე ერთი. გამოსცემს ძლიერ, ყივანა ხმას.

ჭიმჭიმი–ძვ. ქართული დასარტყამი საკრავი.

ჭიჭინაძე გიორგი (გოგი) რევაზის ძე [8.II.1969, თბილისი], ქართველი დირიჟორი. 1993 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. საფორტეპიანო განყოფილება (პედ. ე. რუსიშვილი). 1994-95 სანკტ.-პეტერბურგის მარიას თეატრის ასპირანტურა-სტაჟირება, პედ. ვ. გერგიევი (დირიჟორობა). 1992-2002 თანამშრომლობდა საქ. ტელერადიოს სიმფ. ორკესტრთან. 1994-95 საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის დირიჟორი-ასისტენტი, 1995-2005 ამავე ორკესტრის დირიჟორი. მისი ხე-ლით გაიმართა ავსტრია-საქართველოს ერთობლივი მუს. ფესტივალი „მუსიკალური ნობათი“. 2000-იდან თბ. კონს. საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგი (20013 სრული პროფესორი). 2003 თბ. კონს. სტუდენტური სიმფ. ორკესტრის ხელმძღვანელი. 2012-14 ქუთაისის საოპერო თეატრის სამხ. ხე-ლი და დირიჟორი.

ჭ. მონაწილეობდა საერთაშ. ფესტივალებში, შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებს ქართველ და უცხოელ შემსრულებლებთან. გამართული აქვს მრავალი კონცერტი სხვადასხვა სიმფ. ორკესტრთან ერთად.

ჯაუასელი ჯემალ შერმადის ძე [18.V.1935, სოფ. შემოქმედი, ოზურგეთის რ-ნი], საქ. სახ. არტისტი (1990). სახელმწ. (2002) და შოთა რუსთაველის სახ. (2003) პრემიების ლაურეატი. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“(2015), ღირსების ორდენის კავალერი. დაამთ. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიის ფაკ-ტი (1970). იყო გარდაბნის რ-ნის მთ. აგრონომი (1971-73), საქ. ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის მომღერალი (1976-79), ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის დამაარსებელი, დირექტორი, სამხ. ხე-ლი და მთ. დირიჟორი (1979-86). 1986-იდან საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი

.

ჭონა, უძველესი ქართული ხალხური საწესო-კალენდარული ლექს-სიმღერა. სრულდება სააღდგომო რიტუალური დღესასწაულის (ჭონაობის)დროს (უმთავრესად მარტსა და აპრილში). ნიღბიანი შემრულებლებისაგან შემდგარი გუნდი კარდაკარ ჩამოივლიდა და თითეულ ოჯახს დღესასწაულს ულოცავდა, ჯამრთელობასა და კარგ მოსავალს უსურვებდა შესაბამისი ლექსით: „სახლი ღმერთმა აგიშენოს“, „მასპინძელო“, „ჩემო ლხინო“, ან „ალათასა, ბალათასა, ჩამოვკიდებ კალათასა, გოგო ერთი კვერცხი ჩადე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა” და საჩუქრად იღებდა სააღდგომოდ წითელ შეღებილ კვერცხებს- ნაყოფიერების სიმბოლოს. ფორმის, ფაქტურისა და სტრუქტურის მხრივ ჭონა საკმაოდ დახვეწილი სამხმიანი სიმღერაა. მის მელოდიას, ქართლ – კახური გრძელი სუფრული სიმღერების მსგავსად, ორი ზემოთა ხმა ავითარებს გაბმული ბინის ფონზე. ვარაუდობენ, რომ წარმოშობით ჭონა წინაქრისტიანული ეპოქის სიმღერაა.

ნ. შანიძე, გ.ჩხიკვაძე



ჭუნირი, ქართული ხალხური ხემიანი საკრავის ჭიანურის სვანეთში გავრცელებული სახეობა. იგი შედგება საცრისებური მრგვალი კორპუსისა (რომელსაც ცალ მხარეს ტყავის მემბრანა აქვს გადაკრული) და ოთხკუთხა ბრტყელი ყელისაგან, რომელსაც თავში სამი ხვრელი აქვს სიმების დამჭერი მოქლონებისათვის. სიმები ცხენის ძუისაგან მზადდება. ჭ-ს მჯდომარე უკრავენ. ბგერათწარმოება ხემის მეშვეობით ხდება, საკრავს ძირითადად წიწვოვანი ხის ჯიშებისაგან ამზადებენ.

ჭყონია ლამარა გრიგოლის ასული [27. XII. 1930, ბათუმი], ქართველი მომღერალი, (ლირ. -კოლორატურული სოპრანო). საქ. (1970) და სსრკ (1976) სახ. არტისტი. ვოკალისტთა პრაღის (1960), სოფიისა (1963) და ტოკიოს (1967) საერთაშ. კონკურსების, აგრეთვე ი. გლინკას სახ. (მოსკ. 1960) კონკურსის ლაურეატი. 1956 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. გ. გოგიჩაძის კლ.). 1956-60 და 1968-იდან თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის, 1960-68 კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ჭ-ს აქვს ლამაზი ტემბრის ხმა, სრულყოფილი ვოკალური ტექნიკა. პარტიები: მარო, ეთერი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“,

„აბესალომ და ეთერი“), ტატიანა, იოლანტა (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“), ჩიო-ჩიო-სანი (ჯ. პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“, ტოკიოს საერთაშ. კონკურსის II პრემია ამ პარტიის შესრულებისათვის, 1967), ვიოლეტა (ჯ. ვერდის „ტრავიატა“). ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობასაც. იყო თბ. კონს-ის პედაგოგი (1987-91). ამჟამად ცხოვრობს ესპანეთში. მოწაფეები არიან მისი ქალიშვილები ეთერ და ნატო ჭყონიები (ორივე სოპრანო), რომლებიც ამჟამად მოღვაწეობენ უცხოეთში. მღერიან ესპანეთისა და ქ. გრაცის (ავსტრია) საოპერო თეატრების სცენაზე.

ხ

ხალხური მუსიკა, მუსიკალური ფოლკლორი (ინგლ. Folk music, გერმ. Volkmusic, ფრანგ. Folklore musical), ხალხური მხატვრული შემოქმედების ნაირსახეობა, რომელშიც ასახულია ხალხის ხასიათი, მისი ცხოვრება, გრძნობები, ყოფა, შრომითი მოღვაწეობა, საზოგადოებრივი ფუნქციონირება. ხ. მ. ბევრი მუსიკალური ნაწარმოების საფუძველია. ხალხთა კულტურული ურთიერთობის პროცესში ხ. მ. ივსება ახალი ელემენტებით, იცვლება საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად.

ხ. მ. წარსულიდან იღებს სათავეს. ვოკალური, საკრავიერი და ვოკალურ-საკრავიერი ხალხური შემოქმედების ტრადიციების უაღრესი სიმყარით გამოირჩევა, თუმცა იგი, როგორც წესი, წერილობითი ფორმით არ ფიქსირდებოდა და ძირითადად საშემსრულებლო მემკვიდრეობით გადმოიცემოდა.

ხ. მ-ს პროფესიულის მსგავსად, ჰყავს თავისი ავტორი, თუმცა ანონიმური. ხალხური ნაწარმოების თანაავტორებად გვევლინებოდნენ შემსრულებლები, რომლებსაც ხშირად გარკვეული კორექტივი შეჰქონდათ ამა თუ იმ სიმღერის, თუ სხვა მუს. ქმნილების შესრულებაში (აქედან მათი ვარიანტულობა). ავტორების ანონიმურობასთან ერთად ხ.მ-ის მთ. თვისებაა იმპროვიზაციულობა, რითაც იგი განსხვავდება ტრადიციული პროფეს. მუსიკისაგან. ხ. მ-ის შექმნა-განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ეროვნების „ხალხური პროფესიონალები“: მესტვირე, აშუღი, აედოსი, ჟონგლიორი, მენესტრელი, შპილმანი, კობზარი, სკომოროხი, აკინი, გუსანი და სხვ. ხ. მ-თვის დამახასიათებელია ჟანრული მრავალფეროვნება, მას საფუძვლად უდევს ადამიანის მდიდარი შრომითი და ყოფითი მოღვაწეობა. ყოველი ხალხის თავისთავადი, განსხვავებული მუს. კულტურა მაინც ერთნაირად ავლენს ამ ზოგადჟანრობრივ კანონზომიერებას. მაგ. მრავალსაუკუნოვანი ქართ. ხ. მ., რომელიც სხვადასხვა სამუსიკო დიალექტებით გამოირჩევა (ხევსურული, თუშური, ფშაური, მოხეური, მთიულური, ქართლურ-კახური, მესხური, იმერული, გურული, მეგრული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, აჭარული, ჭანური ანუ ლაზური), მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან ჟანრს, რომელიც ზოგადსაკაცობრიო კუთვნილებისაა: შრომის, საყოფაცხოვრებო, საწესო, სარიტუალო, საქორწილო, მგზავრული, ლაშქრული, საისტორიო, საგმირო, სატრფიალო, სახუმარო, საფერხულო და საცეკვაო სიმღერებს. ხ. მ-ის განვითარებასთან ერთად ადრინდელი მარტივი სიმღერებისა და საკრავიერი ნიმუშების გვერდით ჩნდებოდა უფრო რთული ვოკალური თუ საკრავიერი მუს. ფორმები. სხვადასხვა ჟანრობრივ წიაღში ყალიბდებოდა მელოსის, მრავალხმიანობისა და რიტმიკის განსხვავებული ტიპები. ეს პროცესიც თვალნათლივაა ასახული ქართ. ხალხ. მუსიკაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეტად ფართო დიაპაზონი, ერთი მხრივ, ვხვდებით უძველესი სასიმღერო შემოქმედებისა და საკრავიერი მუსიკის უმარტივეს ფორმებს (თუშ-ფშავ-ხევსურული ხალხ. მუსიკა), ხოლო მეორე მხრივ-საგუნდო ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშებს (ქართლ-კახური, იმერული, გურული, აჭარული, მეგრული, რაჭული, სვანური), რომლებსაც

განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მსოფლიოს ხალხთა მუსიკაში მრავალფეროვანი და დახვეწილი საგუნდო მრავალხმიანობის ფორმებით („ჩაკრულო“, „გრძელი მრავალჟამიერი“, „სუფრული“, „ხასანბეგურა“, „ცხენოსნური“, „შავი შაშვი“, „მხედრული“, „ვახტანგური“, „შვიდკაცა“, „ქალი ვიყავ აზნაური“, „ელესა“, „ოდოია“, „კუჩხი ბედინერა“, „ჩელა“, „ასლანური მრავალჟამიერი“, „ალილო“, „ლილე“, „კვირია“ და სხვ).

ხალხ. მუსიკა არის ერთხმიანიც (სოლო შესრულება), ანტიფონურიც, ანსამბლურიც, გუნდურიც და საკრავიერიც. გუნდური და საკრავიერი მრავალხმიანობის მრავალი ტიპი არსებობს. ხალხური მრავალხმიანობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ევროპული პროფესიული მრავალხმიანობა (IX-X სს.).

ხ. მ-ის შემოქმედების წიაღში შეიქმნა მრავალი საკრავი, რომელთაგან ზოგიერთი რომელიმე ერის მკაფიოდ გამოხატული კუთვნილებაა (მაგ. ქართ. ჩონგური). ზოგი კი საზიაროა რამდენიმე ეთნიკური ჯგუფისათვის.

ხ. მ. პროფესიული მუსიკის საფუძველია. ასევე ხალხ. მუს. საკრავებიდან იღებს სათავეს თითქმის ყველა პროფესიული საკრავი. ჩაწერა და მეცნიერული შესწავლა დაიწყო XIX ს. შუა წლებიდან. მუს. ფოლკლორისტიკა (ან როგორც მას საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში უწოდებენ -ეთნომუსიკოლოგია) ჩამოყალიბდა XIX ს-ის 80-იან წლებში. ათვლის წერტილად მიღებულია ფონოგრაფის (მუსიკის ჩამწერი აპარატის) გამოგონების წელი-1877.

გ. ჩხიკვაძე, ს. ჟორდანია

ხარაძე ნადეჟდა ვასილის ასული [28. XII. 1912, თბილისი, - 16.VII. -1999, იქვე], ქართველი მომღერალი (ლირ. –კოლორატურული სოპრანო) და პედაგოგი. საქ. სახ. არტისტი (1946). 1937 დაამთ. თბ. კონს. (ე. ვრონსკის კლ.). 1936-62 თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. შესანიშნავი სცენური გარეგნობის, ლამაზი ტემბრის ხმის და სამსახიობო ნიჭის წყალობით ხ-მ შექმნა არაერთი დასამახსოვრებელი ვოკალურ-სცენური სახე კლასიკურ ოპერებში, აგრეთვე ოპერეტებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია: მარო, მარიხი (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), ქეთო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), თინათინი (შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“), ცირა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), იოლანტა (პ. ჩაიკოვსკის „იოლანტა“), ვიოლეტა (ჯ. ვერდის „ტრავიატა“), მიუზეტა (ჯ. პუჩინის „ბოჰემა“), მარგარიტა (ჯ. მეიერბერის „ჰუგენოტები“), პერიკოლა (ჟ. ოფენბახის „პერიკოლა“). 1960-იდან თბ. კონს-ის პედაგოგი იყო (1976-იდან –პროფ.). გადაღებულია მხატვრულ ფილმში „აურზაური სალხინეთში“.

ხასანბეგურა, ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების კლასიკური ნიმუში. საისტორიო-საგმირო ხასიათის საგუნდო სიმღერა, რ-შიც აღბეჭდილია XIX ს. 20-იან წლებში თურქეთთან ბრძოლაში ქართველების გამარჯვება და მოღალატე ხასანბეგ თავდგირიძის სამარცხვინო დაცემა ბრძოლის ველზე. გავრცელებულია აჭარასა და გურიაში. სიმღერაში მონაწილე ხმებს ახასიათებს მდიდარი მელოდიური განვითარება, ურთიერთშორის ურთულესი კონტრაპუნქტული შეხამება. თითოეულ ხმას მნ. როლი აკისრია ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნაში. აღსანიშნავია სიმღერის ორიგინ. აღნაგობა. მას შენაცვლებით ასრულებენ

ტერცეტი (მთქმელი, კრიმანჭული და ბანი) და ორხმიანი გუნდი (მთქმელი და ბანი).

გ. ჩხიკვაძე

ხატიაშვილი გივი ვლადიმერის ძე [3. I. 1927, თბილისი,–21. XII. 2005, იქვე], ქართველი მევიოლინე, საქ, დამს. არტისტი (1965). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). 1951 დაამთ. თბ. კონს. (ლ. შიუკაშვილის კლასი). 1944-67 იყო საქ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის წევრი. კვარტეტთან ერთად გამოდიოდა სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1967-დან ზ. ფალიაშვილის სახ. „სამუსიკო გიმნაზიის“ დირექტორი იყო, 1955-დან თბ-ის კონს-ის პედაგოგი (1985-იდან-პროფ.).

ლ. კაკულია

ხაჩატურიანი არამ ილიას ძე [24. V. (6. 06) 1903, თბილისი, –1. V. 1978,–მოსკოვი. დაკრძალულია ერევანში], სომეხი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. სსრკ. (1954), სომხეთის (1955), საქ. (1973) სახ. არტისტი. გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორი. ხ-მა თავდაპირველი მუს. განათლება მიიღო მოსკოვში, ჯერ გნესინების სახ. მუს. სასწავლებელში (დაამთ. 1929), შემდეგ მოსკოვის კონს-ში (ნ. მიასკოვსკის საკომპ. კლ. 1934). წარმატება ხვდა მის პირველ სიმფონიას (1934), ფართო აღიარება მოუპოვა მას საფ. (1936) და განსაკუთრებით სავიოლინო (1940) კონცერტებმა. ომის წლებში ხ-მა შექმნა ცნობილი ნაწარმოებები: მე-2 სიმფონია (1943), ბალეტი „გაიანე“ (1942), ხოლო შემდგომ წლებში–კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (1946), ბალეტი „სპარტაკი“ (1956). 60-იან წლებში დაწერა კონცერტ-რაფსოდიები ვიოლინოს (1961), ჩელოსა (1963) და ფ-ნოსათვის (1968). ხ-ს დაწერილი აქვს მუსიკა სპექტაკლებისა (ლერმონტოვის „მასკარადი“. აქედან ძალზე ცნობილია „ვალსი“) და კფ-თვის („პეპო“ და სხვ.). ხ-ის ნაწარმოებები გამოირჩევა ფერთა სიუხვით, ემოციურობით, მუსიკალური ენის თვითმყოფობით. სომხურ ხალხურ მუსიკასთან ერთად ხ-ის მუსიკაზე გავლენა იქონია თბილისურმა ქალაქურმა ფოლკლორმა. 1950-იდან ასწავლიდა მოსკოვის კონს-ში და გნესინების სახ. ინტ-ში (1951-იდან პროფ.). მისი აღზრდილებია: ა. ეშპაი, ე. ოგანესიანი, მ. ტარივერდიევი, ნ. გაბუნია, ა. ვიერუ (რუმინეთი) და სხვ. ხ-მა დიდი გავლენა მოახდინა სომეხი და „საბჭოთა აღმოსავლეთის“ კომპოზიტორების შემ-ზე. არაერთგზის აქვს გამართული საავტორო კონცერტები თბილისში.

გ. ტორაძე

ხახანაშვილი გიორგი სიმონის ძე [24. VI. 1906, გორი, – 14. I. 1957, თბილისი], ქართველი ლოტბარი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. 1930 დაამთ. თბ. კონს-ის, 1935 მოსკოვის კონს-ის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება (პროფ. ნ. დანილინის კლ.). 1935 ხ-ის ინიციატივით თბ. კონს-ში გაიხსნა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება (1948-იდან საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგე იყო), ხოლო შემდეგ წლებში–სამუსიკო სასწავლებლებისა და ცენტრალური სამუსიკო სკოლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებები, 1939-43 ხ. იყო საქ. რადიოკომიტეტთან არსებული საგუნდო კაპელის მთ. ლოტბარი, 1947-

52 საქ. სახელმწ. საგუნდო კაპელის მთ. დირიჟორი და სამხ. ხე-ლი. მისი მოწაფეები იყვნენ: ვ. ფალიაშვილი, ა. კავსაძე, გ. ბაქრაძე, ჯ. კახიძე და სხვ.

ხემი, ხის მშვილდაკი, მასზე დაჭიმული ცხენის ძუის კონით; გამოიყენება ხემიან-სიმებიან საკრავებზე ბგერის მისაღებად.

ხმა 1. ცალკეული მელოდიური ხაზი, როგორც მრავლხმიანი ნაწარმოების შემადგენელი ნაწილი (მაგ. ფუგაში) 2. ხმები საგუნდო, საანსამბლო ან საორკესტრო. ნაწარმოების ცალკეული სანოტო პარტიები. 3. სახმო სიმების ჟღერადობა, როგორც ვოკალური ხელოვნების მასალა, სიმღერის ორგანო, სიმღერის უნარი.

ხომერიკი ალექსანდრე ავთანდილის ძე [13. VIII. 1948, ბათუმი], ქართველი მომღერალი (ლირ.–დრამ. ტენორი). საქ. სახ. არტისტი (1985), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიისა (1995) და პ. ჩაიკოვსკის სახ. VII საერთაშ. კონკურსის (მოსკოვი, 1982) ლაურეატი. 1971-74 სწავლობდა ბათუმში, მღეროდა ანსამბლ „ადილაში“ (I პრემია საკავშ. კონკურსზე „ახალგაზრდული ხმები“) და „ივერიაში“. 1980 დაამთ. თბ. კონს. (პროფ. გ. გოგიჩაძის კლ.). 1977-იდან (ჯერ კიდევ სტუდენტი) ჩაირიცხა თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. 1981-82 სტაჟირება გაიარა მილანის „ლა სკალაში“, გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებში და საზღვარგარეთ. ხ-ის მიერ შესრულებულ პარტიებს შორის აღსანიშნავია: აბესალომი, მალხაზი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ბერდო (რ. ლაღიძის „ლელა“), ლენსკი, ვოდემონი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“), ხოზე (ჟ. ბიზეს „კარმენი“), კავარადოსი (ჯ. პუჩინის „ტოსკა“), მანრიკო, რადამესი, ალფრედი, ჰერცოგი, ოტელო (ჯ. ვერდის „ტრუბადური“, „აიდა“, „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „ოტელო“) და სხვ. ხ-ს აქვს ძლიერი, ლამაზი ტემბრის ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი ხმა. 1992-2001 ბათუმშია. დღიდან ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის დაარსებისა (1993) ხ. მისი სამხ. ხე-ლი და სოლისტი იყო. ოტელოს პარტია წარმატებით შეასრულა ანკარის საოპერო თეატრის სპექტაკლში პრემიერაზე (1995) და ასპენდოსში (თურქეთი) 1998 ბათუმის თეატრის გასტროლების დროს. საქ. თეატრალური ინსტიტუტის ვოკალური კათედრის პროფესორი (2004).

ლ. საყვარელიძე

ხორავა რუსუდან არჩილის ასული [6. III, 1954, ფოთი], ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი. კომპოზიტორთა კავშირის წევრი. ფოთის საპატიო მოქალაქე (2014). 1978 დაამთ. თბ. სახელმწ. კონს. (ა. მაჭავარიანის საკომპოზიციო კლ.).1982 იმავე პედაგოგთან ასპირანტურა (კომპოზიცია). ნაწარმოებები: საბავშვო ოპერეტა „რწყილი და ჭიანჭველა“, ბალეტი „სინათლის ძალა“ (1982), რომანტიკული სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი, საავიოლინო კონცერტი, საფ. ფანტაზია,

გუნდები ინსტ. თანხლებით და A. Cappela, მათ შორის: „ო, ენავ ჩემო“, „ვოკალიზი“, „ნანა“, „გმირების ხსოვნას“, „საგაზაფხულო პასტორალი“, „მონატრება“, „რონდო“, „ჩემო მარტოხელა სულო“, „მიყვარხარ“, „გულო დაობლებულო“, „ბუხართან“, „ზამთრის სერენადა“, „სახუმარო“, და სხვ. საბავშვო სიმღერები და გუნდები; „საბავშვო პიესები“, სიმებიანი კვარტეტი, სიუიტა ორი ფ-ნოსატვის, 2 ცეკვა, პიესები, ელეგია და სხვ.

ხორუმი, საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის უძველესი ქართული ხალხური ცეკვა. შედგება 4 ნაწილისაგან: 1. მეომართა დაბანაკება. 2. მტრის დაზვერვა. 3. იერიში. 4. გამარჯვება და ზეიმი. მუს. ზომა 5/8, ტემპი ზომიერი, ასრულებს კენტი რაოდენობით მამაკაცთა ჯგუფი (იგულისხმება ერთი წინამძღოლი). ხ-ის რიტმი არაერთგზის აქვთ გამოყენებული თავიანთ ნაწ-ში ქართველ კომპოზიტორებს.

ხოტა, ცოცხალი, ტემპერამენტული ესპანური ხალხური ცეკვა სწრაფი მოძრაობით, სამწილადიანი ზომით. ხ. სრულდება კასტანიეტების ტკაცუნით სიმღერის ან გიტარის და მანდოლინის თანხლებით. ხ-ს მელოდია გამოყენებული აქვს მრავალ კომპოზიტორს (ფ. ლისტი, მ. გლინკა და სხვ.).

ხრენიკოვი ტიხონ ნიკოლოზის ძე [28. V. 1913, ქ. ელეცი–14. VIII, 2007, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე. სსრკ. სახ. არტისტი (1963). ხ. 1948-იდან შეუცვლელად სათავეში ედგა სსრკ კომპოზიტორთა კავშირს. 1936 დაამთ. მოსკოვის კონს. (ვ. შებალინის საკომპ. კლ.). 1961-იდან მოსკოვის კონს. პედაგოგია (1966-იდან პროფ). მისი ნაწარმოებებია: ოპერები „ქარიშხალში“ (1939, II რედ. 1952), „ფროლ სკობეევი“ (1950, II რედ. 1966), „დედა“ (გორკის მიხედვით, 1957) და სხვ. ოპერეტები, ბალეტები, 3 სიმფონია (1935, 1943, 1973), 3 საფ. (1933, 1972, 1982), 3 სავიოლინო (1959, 1975, 1983) და ჩელოს (1964) კონცერტები, მუსიკა თეატრისა და კინოსათვის.

ხუროძე ზაქარია ზაქარიას ძე [26. IV. 1925, ქუთაისი,–18.I. 2005, თბილისი], ქართველი დირიჟორი, საქ. სახ. არტისტი (1984). 1948 დაამთ. თბ. კონს. (კლარნეტისა და მუსიკის თეორიის განხრით), 1952 მოსკოვის კონს-ის ასპირანტურა (ნ. ანოსოვის სადირიჟორო კლასი). ხ. 1946-48 მუშაობდა სიმფ. ორკესტრში როგორც კლარნეტისტი. 1952-54 იყო საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის დირიჟორ-ასისტენტი, 1959-73 მთ. დირიჟორი. 1952-58 და 1978-იდან იგი თბ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორია. პარალელურად 1954-59 ხ. საქ. რადიოსა და ტელევიზიის სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი იყო, ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბ. კონს-ში (1976-იდან პროფ.). ხ-ის რეპერტუარი შეიცავდა მსოფლიო მუს. კლასიკის მრავალ ნიმუშს. იგი ქართველი კოპოზიტორების ახ. ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია. ავტორია წიგნების: „შ. მშველიძის „ზვიადაურის“ საშემსრულებლო ექსპოზიცია“ (1978) და „სიმფონიურ სამყაროში“ (1999).

ხურცია ნოკო (მოსე) ალექსანდრეს ძე [15. II. 1905, სოფ. მენჯი, სენაკის რ-ნი,–26. X. 1949, თბილისი], ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი (ტენორი) და ლოტბარი

საქ. დამს. არტისტი. 1932 ხ-მ დაამთ. თბ. სას.–სამ. ინ-ტი. ერთხანს მუშაობდა სპეციალობის მიხედვით. 1936-48 მღეროდა საქ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლში. ფლობდა ლამაზ და ძლიერ ხმას, გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით. პარალელურად, როგორც კონსულტანტი და ლოტბარი, მუშაობდა საქ. სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში, აყალიბებდა და ხელმძღვანელობდა საგუნდო კოლექტივებს. ხ. რამდენიმე სიმღერის ავტორია. მან აღადგინა და დაამუშავა არაერთი ძველი ხალხ. სიმღერა (მ. შ. „უტუს ლაშქრული“, „ოდოია“, „ჰარირა“, „აბა დარეჯან“ და სხვ.).



ხუჯუა პავლე ვასილის ძე [16. VII. 1905, ბაქო,–9. XII. 1986, თბილისი], მუსიკისმცოდნე, მუს. კრიტიკოსი. საქ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1959), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1949). 1937 დაამთ. ლენინგრ. კონს. ისტ.-თეორ. ფაკ-ტი. ამავე წლიდან თბ. კონს-ის პედაგოგია(1980-იდან –პროფ.). 1941-45 საქ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის დირექტორი. 1937-იდან აქტიურად მოღვაწეობდა მუს. კრიტიკის დარგში. ხ-ს ეკუთვნის გამოკვლევები ქართ. მუსიკის დარგში, მონოგრაფიები: „ანდრია ყარაშვილი“ (1946), „მელიტონ ბალანჩივაძე“ (1950), ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ (1958), „შალვა თაქთაქიშვილი“ (1962), „მარო თარხნიშვილი“ (1962), „ზაქარია ფალიაშვილი“ (1974), „დიმიტრი არაყიშვილი“ (1979). 1937-76 ატარებდა საჯარო ლექცია-საუბრებს (ჩაატარა 3000-ზე მეტი). აშუქებდა საქართველოს მუს. ცხოვრებას, ეწეოდა მის პროპაგანდას. შეადგინა წიგნები და სანოტო კრებულები, მ. შ. „ქართული მუსიკის კლასიკოსები“ (1961), „ია კარგარეთელი. რომანსები“ (1960); გრამფირფიტების ანთოლოგია „საქართველო ხალხურ სიმღერებში“ (1970) და სხვ. 1961-68 იყო უცხოეთთან ურთიერთობის საქ. საზ-ბის მუსიკის სექციის თავ-რე.

ჯ



ჯაბადარი ერეკლე ალექსანდრეს ძე [17. X. 1891, თბილისი-18. VIII, 1937, ნიცა. 1982, გადმოსვენებულია თბილისში, დიდუბის პანთეონში], ევროპაში მოღვაწე ქართველი კომპოზიტორი და პიანისტი. დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწის და მეცენატის ა. ჯაბადარის ოჯახში. 1902-იდან სწავლობდა ბრიუსელის, ხოლო სამი წლის შემდეგ ვენის კონს-ში (პედაგოგები- რ. ჰოიბერგერი და ი. ვოლფმანი). საბოლოდ დამკვიდრდა საფრანგეთში. 1907 ლოზანაში (შვეიცარია) გამოიცა ჯ-ის რომანსების პირველი კრებული „სიჭაბუკე“ (ქართული პოეტური ტექსტებით). აღიარება მოიპოვა „ქართულმა რაფსოდიამ“ ფ-ნოსა და ორკესტრისათვის (1913), რომელიც ამ ჟანრის პირველი ნიმუშია ქართულ მუსიკაში, შესრულდა იმავე წელს ვენაში (სოლისტი-ავტორი). ჯ-ს ეკუთვნის აგრეთვე ოპერა „გულნარა“ (ა. ყაზბეგის მოთხრობა „ელეონორას“ მიხედვით 1921). საფ. და სავიოლონჩელო კონცერტები, ვარიაციები ჩელოსათვის, სიმფ. სურათები „გველის პერანგი“ და „ინდაურები“, მონოლოგი ტენორისა და ორკესტრისათვის „სულო ბოროტო“ (ნ. ბარათაშვილის ლექსზე). ჯ-ის ნაწარმოებები საქ-ში ცნობილი გახდა XX ს-ის 40-იანი წლების ბოლოს.

ჯ. ოიკაშვილი

ჯავახიშვილი თამარ ავთანდილის ასული (ფსევდ. **თამარ ივერი**) [8. IX. 1971, თბილისი], ქართველი მომღერალი (ლირ. სოპრანო), „ვერდის ხმებისა“ (ბუსეტო, 1998, II პრემია) და მოცარტის სახ. (ზალცბურგი, „ვრან პრი“, I პრემია) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. ჰელპმანის პრესტიჟული პრემია (ავსტრალია); მემედ აბაშიძის სახ. პრემია; „შტაატსოპერა“ ებერჰარდ ვეხტერის ჯილდო (ვენა). 1996 დაამთ. თბ. კონს. (გ. ბეჟუაშვილის კლ.). 1995-2000 იყო ბათუმის საოპერო თეატრის სოლისტი. დებიუტი –მარიხის პარტია (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“). განსაკუთრებით მოწონება დაიმსახურა 1998 ჯ-ის მიერ შესრულებულმა დეზდემონამ (ვერდის „ოტელო“);2000 იყო ბონის (გერმანია), 2001-იდან გრაცის (ავსტრია) საოპერო თეატრების სოლისტი. 2001-იდან კონტრაქტით მუშაობს აგრეთვე ვენეციის თეატრ „ლა ფენიჩეში“. შესრულებული აქვს შემდეგი პარტიები: ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ქეთო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ელისაბედი, დეზდემონა (ვერდის „დონ კარლოსი“, „ოტელო“) ტატიანა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), მიმი (პუჩინის „ბოჰემა“), ნედა (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), დონა ანა (მოცარტის „დონ ჯოვანი“) და სხვ.

ვენის საოპერო თეატრის სცენაზე შეასრულა მრავალი პარტია, თანამშრომლობს დირიჟორებთან : ლორინ მააზელი, რიკარდო მუტი, ჯეიმს ლივაინი, ანტონიო პაპანო, დანიელ ორენი, ფაბიო ლუისი და სხვ. 2014 საქ-ში დაარსა ფონდი „უსახსრო საზოგადოება“ რ-მაც პირველი საქველმოქმედო კონცერტი გამართა თბილისში(11.12.2014). 2016 თბ. განახლებულ საოპერო თეატრში პრეამიერაზე შეასრულა ეთერის პარტია(ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“).

გ. ტორაძე



ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე [11 (23). IV. 1876, თბილისი, – 18. XI. 1940, იქვე], ქართველი ისტორიკოსი, საზ. მოღვაწე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელმაც უმაგალითოდ ღრმა კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში, ჰუმანიტარული მეცნიერების ფაქტობრივად ყველა დარგში შექმნა ფუძემდებლური ნაშრომები. მათ შორის ცენტრალური ადგილი უკავია ფუნდამენტურ შრომას „ქართველი ერის ისტორია“ (5 წიგნად), რომელიც მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს საქმეს შეადგენდა. ჯ-ის თხზულებათა სრულ კორპუსში (თხზულებანი 12 ტომად. თბ. „მეცნიერება“ 1977-2000), მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მიჩენილი მონოგრაფიას „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (თბ. 1938, მე-2 ფაქსიმილური გამოცემა –1990, მე-3-მეცნიერული გამოცემა ჯ-ის თხზულებათა XI ტომში. თბ. „მეცნიერება“ 1998). იგი უნიკალურია თავისი მნიშვნელობით ქართული მუსიკის, კერძოდ, ძველი ქართული მუსიკის ისტორიოგრაფიისათვის, რომლის განვითარებაც მთელი მომდევნო პერიოდის მანძილზე ამ ფუძემდებლური ნაშრომიდან ამოიზარდა.

წიგნში განხილულია ქართული მრავალხმიანობის გენეზისის პრობლემები, ხალხური, ვოკალური და საკრავიერი მუსიკის ცალკეული საკითხები, ღრმად და მრავალმხრივად არის გაანალიზებული ქართული საისტორიო და ლიტ. წყაროებში წარმოდგენილი მუს. ტერმინოლოგიის ძირითადი ფონდი.

გ. ტორაძე

ჯაზი (ინგ. jazz), პროფესიული სამუსიკო ხელოვნების სახე. ჩამოყალიბდა XIX-XX სს. მიჯნაზე ევრ. და აფრ. მუს. კულტურათა ელემენტების სინთეზის შედეგად, რომელიც განახორციელეს ამერიკელმა ზანგებმა. სიტყვა „ჯაზი“ თავდაპირველად იხმარეს XX ს. 20-იან წლებში სამხრეთ შტატებში იმ მუსიკის აღსანიშნავად, რომლებსაც ნიუ-ორლეანის პატარა-პატარა ანსამბლები (საყვირის, კლარნეტის, ტრომბონის, ბანჯოს, ტუბისა ან კონტრაბასის, დასარტყამი საკრავებისა და ფ-ნოს შემადგენლობით) კოლექტიური იმპროვიზაციის პროცესში ქმნიდნენ ბლიუზების, რეგტაიმებისა და ევრ. პოპულარული სიმღერებისა და ცეკვების თემებზე. ჯ-ის ფუძემდებლები არიან შავკანიანი მუსიკოსები, მომღერალი და საყვირზე შემსრულებელი ლ. არმსტრონგი, ინსტრუმენტალისტები: კინგ ოლივერი, ჯ. დოდსი, კ. ორი, ჯ. რ. მორტონი და სხვ. შემდგომ შეიქმნა თეთრკანიან მუსიკოსთა ანსამბლები, ე. წ. დიქსილენდები. 20-იან წლებში ჯ. ფართოდ გავრცელდა აშშ-ში (ჯაზის ცენტრმა ჩიკაგოში გადაინაცვლა), შემდეგ კი ევროპაში. 30-იან წლებში აღმოცენდა ახ. სტილი-სვინგი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალწევრიანი ორკესტრები (15-17 მუსიკოსი). კოლექტიური

იმპროვიზაციის სრული უარყოფა, სოლო იმპროვიზაციისა და კომპოზიტორის როლის გაზრდა. სვინგის სტილის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: დიუკ ელინგტონი, ფ. ჰენდერსონი, უფრო გვიან –ბ. გუდმენი, გ. მილერი და სხვ. ამავე პერიოდში ტ. უილსონმა, ლ. ჰემპტონმა, კ. ჰოკინზმა და ლ. იანგმა განავითარეს კამერული ჯაზის ჟანრი. 40-იანი წლების დასაწყისში ჩ. პარკერმა, ჯ. გილესპიმ, ტ. მანკმა, კ. კლარკმა და მ. როუჩმა რადიკალურად შეცვალეს ჯაზის კონცეფცია, უარი თქვეს სვინგის საცეკვაო ხასიათზე, მელოდიურ სიმეტრიულობაზე და შექმნეს ახ. სტილი – „ბი-ბოპი“, რომლისთვისაც დამახასიათებელია დისონანსურობა, მშრალი ხმოვანება, საწყის მელოდიასთან ნაკლებად დაკავშირებული რთული იმპროვიზაციები. 50-იან წლებში ჯ-ის ბლიუზისა და „თეთრი ამერიკელების“ სოფლური ფოლკლორის ცალკეული ელემენტების სინთეზმა ე. წ. „როკ-ნ-როლმა“, ხოლო შემდეგ „ბიგ-ბიტმა“ წარმოშვეს ე. წ. პოპ-მუსიკის მიმდინარეობა (საუკეთესო ანსამბლები –„ბითლზი“ და „ჩიკაგო“). აშშ-ს ფარგლებს გარეთ ჯ-ის გავრცელება დაიწყო 20-იანი წწ. სსრკ-ში ჯაზური მუსიკის სფეროში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ლ. უტიოსოვი, მ. ბლანტერი, ა. ცფასმანი, ე. როზნერი, ო. ლუნდსტრემი, რ. პაულსი. ჯ-ის მუსიკამ საგრძნობი გავლენა მოახდინა XX ს. მუს. ხელოვნების განვითარებაზე, რამაც თავი იჩინა დებიუსის, რაველის, გერშვინის (განსაკუთრებით), სტრავინსკის, მიიოს, ვაილის, ჰინდემითის, ბერნსტაინის, დუნაევსკის, ეშპაის, შჩედრინის და სხვ. ცალკეულ ნაწარმოებებში.

საქ-ში პირველი ჯაზური (საესტრადო) ორკესტრი შეიქმნა 1941 რ. გაბიჩვაძის ხელმძღვანელობით. შემდგომში საესტრადო ორკესტრებს ხელმძღვანელობდნენ: დ. თორაძე, ჯ. ბაგრატიონი, გ. გაბისკირია, პ. ნალბანდიშვილი, კ. პევზნერი. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით ფართო აღიარება მოიპოვა საესტრადო ორკესტრმა „რერომ“ (60-იანი წლებიდან). 40-50-იან წლებში წარმატებით გამოდიოდა საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის ჯაზ-ორკესტრი (ხე-ლი ი. ტუღუში). 60-80-იან წლებში ცნობილი ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლებია „ორერა“ (ხელ-ლი რ. ბარძიმაშვილი), „დიელო“, „ივერია“, „75“ და სხვ. ქართული ჯაზურ-საესტრადო მუს. განვითარებაში წვლილი შეიტანეს კომპოზიტორებმა: დ. თორაძემ, გ. ცაბაძემ, გ. ყანჩელმა, ო. თევდორაძემ, კ. პევზნერმა, ვ. აზარაშვილმა, ა. ბასილაიამ, გ. გაჩეჩილაძემ, დ. ევგენიძემ და სხვ.

ჯაზ-ბენდი (ინგლ. jazz-band), ორკესტრი, რომლის შემადგენლობაშიც უპირატესად სასულე, დასარტყამი ინსტრუმენტები, კონტრაბასი და როიალი შედის; დიდ ჯაზურ ორკესტრში შედის აგრეთვე ვიოლინოები, გიტარები, აკორდეონები და ა.შ.

ჯაფარიძე ქეთევან კონსტანტინეს ასული [11 (24). II. 1901, სოფ. ქვიშხეთი ახლანდ. ხაშურის რ-ნი,–20. IX. 1968, თბილისი], საქ. სახ. არტისტი (1956), ესტრადის მომღერალი. 1919-21 სწავლობდა თბ. კონს-ში. მომღერლის დებიუტი შედგა 1935 თბილისში. 1937-იდან ლენინგრადის სახელმწ. ესტრადის მსახიობი იყო. 1942-50 მოსკოვის საკონცერტო გაერთიანების, 1950-57 საქ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი. ერთ-ერთი პოპულარული საესტრადო მომღერალი იყო. ასრულებდა ქართ., რუს. და ბოშურ რომანსებს. ქართ. კომპ-თა ლირიკულ სიმღერებს. ესტრადის მსახიობთა I საკავშირო კონკურსის ლაურეატია (I პრემია, 1939, ლენინგრადი).

ჯილი (Gigli) ბენიამინო [20. III. 1890, რეკანატი, -30. XI. 1957, რომი], იტალიელი მომღერალი (ტენორი). სიმღერას სწავლობდა რომის სანტა-ჩეჩილიას აკადემიაში (ა. კოტონისა და ე. როზატისთან). 1914 შედგა ჯ-ის დებიუტი როვიგოს (ვენეციის მახლობლად) საოპერო სცენაზე. შემდეგ დიდი წარმატებით გამოდიოდა იტალიის მრავალ ქალაქში. 1918 ა. ტოსკანინიმ მიიწვია მილანის „ლა სკალას“ სცენაზე (ფაუსტის პარტია ბოიტოს ოპერაში „მეფისტოფელი“). 1920-32 ჯ. ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერის“ სოლისტი იყო. გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. 1954-იდან საოპერო სცენა მიატოვა და საკონცერტო მოღვაწეობა განაგრძო. ჯ. XX ს. ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მომღერალია, ბელკანტოს უდიდესი წარმომადგენელი. ჰქონდა იშვიათად ლამაზი ტემბრის, ყველა რეგისტრში თანაბრად და სავსედ მჟღერი ხმა, ნატიფი მუსიკალობა, ბრწყინვალე ვოკალური ოსტატობა. მისი პარტიებია: ნემორინო (დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“), დე გრიე (მასნეს „მანონი“ და პუჩინის „მანონ ლესკო“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), რადამესი (ვერდის „აიდა“), კავარადოსი (პუჩინის „ტოსკა“), კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ტურიდუ (მასკანის „სოფლის ღირსება“) და სხვ. გადაღებულია მრავალ ფილმში.

ჯორა, სიმებიანი მუსიკალური საკრავების ხის დეტალი, რომელიც ზღუდავს სიმის მჟღერი ნაწილის სიგრძეს და სიმების რხევას გადასცემს დეკას.

ჯორდანო (Giordano) უმბერტო [17. VIII. 1867, ფოჯა,–12. XI. 1948, მილანი], იტალიელი კომპოზიტორი, იტალიური ვერიზმის წარმომადგენელი. ჯ. ავტორია ოპერებისა („ანდრე შენიე“ 1896, მილანი და სხვ.), ბალეტისა, სიმფ. და კამერული პიესებისა, მუსიკისა დრამ. თეატრებისათვის და სხვ.

ჰ

ჰაბანერა (ესპ. habanera<Habana –ქ. ჰავანადან), კუბური ცეკვა და სიმღერა. ცნობილია აგრეთვე „დანსას“ სახელწოდებით. წარმოშობილია ევრ. კონტრდანსიდან. გავრცელებულია ლათ. ამერიკაში,დიდი პოპულარობა მოიპოვა ესპანეთში. სრულდება ორწილადი ზომით,ნელ ტემპში. ახასიათებს მწყობრი, დახვეწილი, შეკავებული რიტმი. ჰ-ს რიტმი გამოირჩევა პუნქტირული მახვილებით უკანასკნელ მერვედზე. ჰ-ს მუს. ფორმა გამოყენებული აქვს ჟ. ბიზეს (ოპერა „კარმენში“), კ. დებიუსის („საღამო გრანადაში“ ფ-ნოსათვის), მ. რაველს (ხმისა და ფ-ნოსათვის) და სხვა კომპოზიტორებს.

ჰაზირა (აბრამ აბრამოვი) [1845, შულავერი, – 12. I. 1922, თბილისი], თბილისელი მგოსანი, დაირის დაკვრის ოსტატი, აშუღი, საიათნოვას ტრადიციების გამგრძელებელი. ჰ-ს პოეზიისათვის დამახასიათებელია პატრიოტული და სოციალური თემატიკა. როგორც ამქრის უსტაბაშს, ჰ-ს არაერთი შეგირდი დაულოცავს ოსტატად. ისინი დადიოდნენ საქ. დაბა-სოფლებში და ავრცელებდნენ თავისი მასწავლებლის სიმღერებს, რომელთაგან აღსანიშნავია „აღსდექ, თამარ დედოფალო, შენთვის ტირის საქართველო“, „სადაც არის გათენდება, აღსდექ, მუშავ, შენ“ და სხვ. ქართულ თეატრში წარმოდგენის აქტებს შორის ჰაზირას „დასტა“ უკრავდა და მღეროდა პიესის შესაბამის ლექსებს, რითაც აძლიერდება წარმოდგენის ემოციურ ზეგავლენას.

გ. ჩხიკვაძე

ჰაიდნი (Haydn) ფრანც იოზეფ [(ვარაუდით, 31. III. მოინათლა I. IV), 1732, სოფ. რორაუ, ქვემო ავსტრია,– 31. V. 1809, ვენა], ავსტრიელი კომპოზიტორი, ვენის კლასიკური სკოლის პირველი წარმომადგენელი. 1740-49 ვენაში მღეროდა წმ. სტეფანეს ტაძრის გუნდში. აქვე სწავლობდა სხვადასხვა საკრავზე დაკვრას. ერთხანს იტალ. კომპოზიტორისა და სიმღერის მასწავლებლის ნ. პორპორას აკომპანიატორი იყო. XVIII ს. 50-იან წლებში ჰ-მა დაწერა ზინგშპილი „კოჭლი ეშმაკი“ (დაიდგა 1752 ვენაში) და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებები, რომლებმაც პირველად მოუპოვეს მას სახელი. 1759-61 ჰ. გრაფ მორცინის კარის კაპელმაისტერი იყო. აქ შექმნა თავისი პირველი სიმფონიები. 1761-90 მსახურობდა უნგრელი თავადების ესტერჰაზების კარზე, რომელთა ორკესტრისა და საშინაო თეატრისათვის დაწერა მრავალი სიმფონია (მ.შ. ცნობილი „გამოსათხოვარი“, 1772) და ოპერა. ჰ-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა აღმავლობას განიცდის XVIII ს. 80-90-იან წლებში, როდესაც შექმნა საუკეთესო კვარტეტები

(დაწყებული ოპუს 33-ით), 6 პარიზული (1785-86) და 12 ლონდონური (1791-92, 1794-95) სიმფონია, ორატორიები, მესები და ა.შ. ინგლისში მოგზაურობამ გააფართოვა ჰ-ის შემოქმედებითი თვალსაწიერი. 1791 მას მიანიჭეს ოქსფორდის უნ-ტის საპატიო დოქტორის წოდება. ჰ-ის უაღრესად დემოკრ. ხელოვნება დაკავშირებულია ხალხ. შემოქმედებასთან. მისი მუსიკა გამსჭვალულია ავსტრიული, სლავური, უნგრული ფოლკლორის რიტმებითა და ინტონაციებით, ხალხ. იუმორით, ცხოველმყოფლობით. ცენტრალური ადგილი ჰ-ის შემოქმედებაში უკავია სიმფონიებსა (100-ზე მეტი) და სიმებიან კვარტეტებს (83); ორივე ამ ჟანრში ჰ-ის მოღვაწეობას დიდი ისტ. მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგიერთი თავისი მხატვრული თვისებით, ფილოს. გააზრებითა და კომპოზიციური ხერხებით (მოტივურ-თემატიკური დამუშავება) ჰ-მა შეამზადა ბეთჰოვენის შემოქმედება. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორატორიებს „სამყაროს შექმნა“ (1798) და „წელიწადის დრონი“ (1801). მას ეკუთვნის აგრეთვე მრავალი საკრავიერი კონცერტი და ანსამბლი (200-მდე), 52 საფ. სონატა, საკრავიერი პიესები და სხვ., რომელთა დიდი ნაწილი შესულია საკონცერტო და პედაგოგიურ რეპერტუარში 24 ოპერა.

ჰანგი, ვოკალური (ზოგჯერ საკრავიერი) 1. შესრულებისათვის განკუთვნილი მელოდია. ჩვეულებრივ, ტერმინი „ჰანგი“ იხმარება ხალხური სიმღერების მელოდიების აღსანიშნავად. 2. მომღერლის მიერ შესრულებული მელოდია.



ჰანსლიკი (Hanslick) ედუარდ [11.IX.1825, პრაღა,-6. VIII. 1904, ბადენი, ვენის მახლობლად], ავსტრიელი მუსიკისმცოდნე. 1846-დან გამოდიოდა, როგორც მუსიკისმცოდნე. 1856-დან ასწავლიდა მუსიკის თეორიას, ისტორიას და ესთეტიკას ვენის უნივერსიტეტში. მისი ცნობილი ტრაქტატი „მუსიკალური მშვენიერების შესახებ“ (1854)-ცხარე კამათის საგანი გახდა თავისი ძალზე თამამი, სადისკუსიო აზრებითა და საერთო კონცეფციით, რომლის მიხედვით: მუსიკალური შინაარსი არის ბგერითი ფორმების მოძრაობა და „მუსიკა არაფერს გამოხატავს და არც ისწრაფვის ამისკენ“. აქედან მომდინარეობდა ჰ-ის უარყოფითი დამოკიდებულება პროგრამული მუსიკისა და ოპერისადმი (პირველ რიგში, ლისტისა და ვაგნერის მიმართ) და მუსიკის განსაზღვრა, როგორც თავისებური „თამაშისა” (ი. კანტის ესთეტიკური პოსტულატის გამოძახილი). ყოველივე ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჰ-ის ესთეტიკურმა შეხედულებებმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს დას. ევროპული მუს. მეცნიერების განვითარებაზე. ისინი ამოსავალ პუნქტებად იქცნენ ჰ. რიმანის და გ. ადლერის მუსიკალური სტილის თეორიისათვის. დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჰ-ის მომდევნო წლების შრომებს მუს. შემოქმედების მრავალ საკითხზე. მისი საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ ბახი, ვენის კლასიკოსები (განსაკ-ით, ბეთჰოვენი), ბრამსი; ერთ-ერთმა პირველმა დას. ევროპაში მან დააფასა ჩაიკოვსკისა და რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედება.

ჰარმონია (ბერძ. harmonie – სიმწყობრე, თანაზომიერება, თანახმოვანება), 1. თეორიული მოძღვრება აკორდებისა და ტონალობების თანამიმდევრობათა კანონზომიერების შესახებ. 2. მუსიკალური მეტყველების ერთ-ერთი გამომსახველი საშუალება, რომლის დროსაც ხდება ბგერების კანონზომიერი შეერთება მელოდიურ განვითარებასთან შეფარდებით. ჰ. მჭიდროდაა დაკავშირებული მელოდიასთან (მათი შეთავსების ყველაზე უბრალო მაგალითია სიმღერა აკომპანემენტით), ტონალობასთან, მის იდეურ-ემოციურ შინაარსთან. სასწავლო პრაქტიკაში

ჰ. იყოფა ორ ნაწილად ე.წ. პირველი ჰ. (მოდულაციამდე) და მეორე ჰ. (მოდულაცია და მელოდიური ფიგურაცია).

ჰარმონიზაცია, ამა თუ იმ მელოდიისათვის შესაფერისი ჰარმონიული თანხლების მიწერა. ერთი და იგივე მელოდია შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს ჰარმონიზებული (ჰარმონიზაციის ვარირება). ბუნებრივი ჰ-ის მნ. ელემენტები (საერთო სტილი, ჰარმონიული ფუნქციები, მოდულაციები და ა.შ.) განპირობებულია მელოდიით, მელოდიის ჰ-ის საკითხების გადაწყვეტა ჰარმონიის სწავლების ძირითადი მეთოდია. მელოდიის ჰ. ზოგჯერ მხატვრულ ამოცანასაც ისახავს მიზნად (განსაკუთრებით ხალხური სიმღერების ჰარმონიზაცია).

ჰარმონიული მაჟორი, მაჟორის გავრცელებული სახესხვაობა; კილო აგებული ფორმულით: ტონი-ტონი–ნახევარი ტონი ტონი ნახევარი ტონი–ერთნახევარი ტონი ტონი ნახევარი ტონი.

ჰარმონიული მინორი, მინორის ძირითადი სახესხვაობა, კილო აგებული ფორმულით: ტონი-ნახევარი ტონი-ტონი–ტონი-ნახევარი ტონი-ერთნახევარი ტონი-ნახევარი ტონი.

ჰარმონიული ფუნქცია აკორდის როლი, მისი კილოებრივი მნიშვნელობა ჰარმონიულ მოძრაობაში. ძირითადი ჰ.ფ. „ტონიკური“, „სუბდომინანტური“ და „დომინანტური“.

ჰაჯიბეკოვი უზეირ აბდულ ჰუსეინოღლუ [5. IX. 1885, სოფ. ალჯაბადი, შუშის მახლობლად,–23. XI. 1948, ბაქო], აზერბაიჯანელი კომპოზიტორი და საზ. მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1938). აზერბ. პროფეს. მუსიკის ფუძემდებელი. თავდაპირველი სამუსიკო განათლება მიიღო გორის სამასწავლებლო სემინარიაში (დაამთ. 1904). სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზ-ბის სამუსიკო კურსებზე და პეტერბურგის კონს-ში(1914). ჰ-ის პირველმა ოპერამ „ლეილი და მაჯნუნი“ (1908) საფუძველი ჩაუყარა მულამური ოპერის ჟანრს აზერბ. მუსიკაში (სულ 6 ოპერა). მისი შემოქმედების მწვერვალია ოპერა „ქოროღლი“ (1937); მას ეკუთვნის აგრეთვე ოპერეტები: „ცოლი და ქმარი“ (1910), „ეს თუ არა, ის“ (1910), „არშინ მალ ალან“ (1913). ჰ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1938-48 იყო აზერბ. კონს-ის (ჰ. სახ. 1949-იდან) პროფ. და დირექტორი. 1931 ჩამოაყალიბა ხალხ. საკრავთა ორკესტრი, 1936 სახელმწ. გუნდი. 1945-იდან ხელმძღვანელობდა აზერბ. მეცნ. აკად. ხელოვნების სამეცნ. კვლევით ინსტიტუტს.

ჰეიფეცი (Heifetz) იაშა (იოსებ) რობერტის ძე [20. I. (2.II) 1901, ვილნიუსი,– 10. XII. 1987, ლოს-ანჯელესი], ამერიკელი მევიოლინე, პედაგოგი. იყო ვუნდერკინდი, 6 წლისამ შეასრულა მენდელსონის კონცერტი. 1910-იდან სწავლობდა პეტერბურგის კონს-ში ლ. აუერთან. 1917-იდან ცხოვრობდა ამერიკაში. გასტროლებს მართავდა მთელ მსოფლიოში. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი მევიოლინეა. მისი შესრულებისათვის დამახასიათებელი იყო მრავალფეროვანი ჟღერადობა,

ვირტუოზული ტექნიკა, მხატვრული ინტერპრეტაციის ყველა ელემენტის ჰარმონიული გაწონასწორებულობა. 1959-იდან სამხრეთ კალიფორნიის (ლოს ანჯელესი) უნ-ტის პროფესორი, ჰ. მრავალი ტრანსკრიფციის ავტორია.

ჰენდელი (Händel) გეორგ ფრიდრიხ [23. II. 1685, ჰალე,–14. IV. 1759, ლონდონი], გერმანელი კომპოზიტორი. მისი პირველი მასწავლებელი იყო ფ. ცახაუ. 17 წლის ჰ. ორგანისტი გახდა ჰალეში. 1703-იდან ჰამბურგში იყო, სადაც დაიდგა მისი პირველი ოპერები: „ალმირა“ და „ნერონი“. 1706-იდან ცხოვრობდა იტალიაში. აქ შექმნა ოპერები „როდრიგო“ (1707), „აგრიპინა“ (1709) და სხვ. ჰ-მა იტალიაში გამოჩენილი კლავესინისტის სახელი მოიპოვა. 1710-16 პერიოდულად მოღვაწეობდა ჰანოვერსა და ლონდონში. დიდი წარმატება ხვდა ლონდონში მის ოპერას „რინალდოს“ (1711). 1720 სათავეში ჩაუდგა ლონდონის საოპერო თეატრს, შექმნა ოპერები „რადამისტი“ ძველ ქართულ (იბერიულ) სიუჟეტზე (1720), „იულიუს კეისარი“ (1724), „როდელინდა“ (1725) და სხვ. დიდი დარტყმა მიაყენა ჰ-ის მოღვაწეობას ლონდონში 1728 წელს დადგმულმა „ღატაკთა ოპერამ“ (ტექსტი ჯ. გეისა, მუსიკა ჯ. პეპუშისა), რომელიც წარმოადგენდა პაროდიას იტალიურ ოპერაზე. ჰ-ის თეატრი დაიხურა, თვითონ კომპოზიტორი მძიმედ დაავადდა. გამოჯანმრთელების შემდეგ დაუბრუნდა შემ-ით მოღვაწეობას, მიმართა ინგლისში პოპულარულ ბიბლიურ თემატიკას. მის მთავარ ჟანრად იქცა მონუმენტური ორატორია („ისრაელი ეგვიპტეში“,1739,„მესია“ 1742,„სამსონი“ 1743). საყოველთაო აღიარება მოიპოვეს გმირულ-პატრიოტულ თემატიკაზე აგებულმა ორატორიებმა– „იუდა მაკაბელი“, „შემთხვევის გამო“. ჰ. დიდი წარმატებით გამოდიოდა როგორც ორგანისტი. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში დაბრმავდა. გარდაიცვალა დიდების მწვერვალზე მყოფი. მთავარი ადგილი ჰ-ის შემოქმედებაში უჭირავს ოპერებსა (40-ზე მეტი) და ორატორიებს (30-ზე მეტი), რომლებშიც გამოიხატა მისი სწრაფვა დრამატიზმისა და მონუმენტურობისაკენ. ჰ. ცდილობდა ოპერა-სერიის დრამატიზაციას, გააძლიერა ორკესტრისა და გუნდის როლი. მან შექმნა ახალი ტიპის ორატორია,გრანდიოზული თავისი მასშტაბებით. ყველა ამ თვისებით იგი ბეთჰოვენის წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ. ი.ს. ბახთან ერთად ჰ. პოლიფონიური მუსიკის უდიდესი ოსტატია.

ოპერებისა და ორატორიების გარდა ცნობილია ჰენდელის 12 კონჩერტო გროსო, 12 საორგანო კონცერტი, მრავალი საკრავიერი და სხვ ჟანრის ნაწარმოებები.

ჰეპენინგი მუსიკალური (ინგლ. happening, პირდ. მნ. ის, რაც ხდება, წარმოებს), თეატრალიზებული მუზიცირება ავანგარდიზმის ფარგლებში. ჰ-ის დამახასიათებელია მუსიკის შემსრულებელთა სათამაშო აქციები, რომლებიც უახლოვდება ე. წ. აბსურდის დრამას და საერთო ფორმით განსაზღვრულია კომპოზიტორის მითითებებით. მუსიკალური ჰ-ის პირველი ნიმუშები (უ. ბიორდი, გ. ბრეხტი, ჯ. კაიჯი) პატარ-პატარა სცენებში ასახავდნენ „ხელოვნების სიკვდილის“ იდეას. მოგვიანებით ჰ-ები იქმნებოდა როგორც მასშტაბური თეატრალური კონცეფციები (კ. შტოკჰაუზენის „ორიგინალები“ 1961).

ჰექსაქორდი (ბერძ. hex ექვსი და chorde სიმი), ექვსსაფეხურიანი ბგერათრიგი.

ჰიმნი (ბერძ. hymnos საზეიმო სადიდებელი სიმღერა), 1. საზეიმო სიმღერა, რომელიც სახელმწიფოს მუსიკალურ სიმბოლოს წარმოადგენს. 2. სახოტბო გალობა; ღვთაების სადიდებელი სიმღერა. ჰიმნი არსებობს: სახელმწიფო, რელიგიური, რევოლუციური, სამხედრო და სხვ.

ჰიმნოგრაფია (ბერძ. hymnos - ჰიმნი და გრაფია), სასულიერო პოეზიის დარგი, რომელიც მოიცავს სარიტუალო და ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელ საგალობელს, ჰიმნებს. ჰ-ის უძველესი ნიმუშები გვხვდება ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ძვ. საბერძნეთში. V-VI სს-იდან კი გაჩნდა ცალკეული ჰ-ბის მიერ შექმნილი საგალობლები (იხ. საგალობელი). ქართულ ჰ-ს საფუძველი ჩაეყარა დაახლ. VII ს-იდან პალესტინის ქართ. კულტ. კერაში. თავდაპირველად ჰიმნები ბერძნულიდან ითარგმნებოდა. ქართული ჰ-ის განვითარების შემდგომ ეტაპს ქმნის X ს-ის ე.წ. დიდი იადგარები, რომელთა განვითარების უმაღლესი საფეხურია მიქაელ მოდრეკილის უნიკალური ჰიმნოგრაფიული კრებული(978-988). მასში თარგმნილ მასალასთან ერთად შემონახულია ქართველ ჰიმნოგრაფთა ორიგინალური საგალობლებიც. X. ს. ბოლოს ათონის სალიტერატურო კერაში შეიმუშავეს ჰიმნოგრაფიული თარგმანების ახალი პრინციპები,რაც ექვთიმე მთაწმინდელისა და განსაკუთრებით,გიორგი მთაწმინდელის სახელებთან არის დაკავშირებული. მათი მცდელობით შეიქმნა მთელი წლის ჰიმნოგრაფიული კრებული –„თუენი“. ჰ-ში იღვწოდნენ: ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე შავთელი და სხვ. XIV-XVI სს-ში ქართული ჰ-ის განვითარება თითქმის მთლიანად შეწყდა. XVII-XVIII სს-ში კი კვლავ აღორძინდა. ამ ხნის მოღვაწეთა ჰ-ულ მემკვიდრეობაში იმძლავრა ეროვნ. ელემენტებმა. ნ. მაღალაშვილის, ანტონ I კათალიკოსის, ს. ს. ორბელიანის, იესე ერისთავის და სხვ. ქართველ ჰიმნოგრაფათა შემოქმედების ობიექტი მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მოწამეთა მოღვაწეობა იყო.



ჰინდემითი (Hindemith) პაულ [16.XI.1895, ჰანაუ,- 28. XII. 1963, მაინის ფრანკფურტი], გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, მევიოლინე, ალტისტი, მუსიკის თეორეტიკოსი. 1927-37 ბერლინის უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორი. 1938-დან ემიგრაციაშია, ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი (1940) აშშ-ში, სადაც პედ. მოღვაწეობას ეწევა იელის უნ-ტში. 1953 ბრუნდება შვეიცარიაში. როგორც დირიჟორი, კონცერტებს მართავს ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში. ჰ. ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურაა XX ს. პირველი ნახევრის ევროპულ მუსიკაში. შემ. მოღვაწეობის დასაწყისში განიცადა ექსპრესიონიზმის გავლენა (ოპერა „მკვლელი-ქალების იმედი” 1921), მაგრამ მალე სათავეში ჩაუდგა ნეოკლასიკურ მიმართულებას გერმანულ მუსიკაში. იგი ნეოკლასიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა გაწონასწორებულობით, ჰარმონიულობით. კომპ-ის სტილი ვითარდებოდა მუსიკალური ენის სიცხადისა და სისადავის ხაზით. ნეოკლასიციზმიდან 30-იანი წლების დასაწყისში იგი მივიდა ლინეარულ-პოლიფონიურ სტილთან, გაფართოებულ ქრომატულ ტონალობასთან. თავისი ნაწარმოებებით ჰ. ეხმაურებოდა თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს. გამოდიოდა დოდეკაფონიისა და ავანგარდიზმის კრიტიკით. ემყარებოდა ტონალურ პრინციპს. ჰ-ის ძირითადი ნაწ-ია ოპერები: „კარდილიაკი” (ჰოფმანის მიხედვით, 1926), „მხატვარი მატისი“ (1938), „სამყაროს ჰარმონია” (1957) და სხვ. ჰ-ს ეკუთვნის აგრეთვე ბალეტები „დემონი”

(1923), „მოჩვენება" (1938) და სხვ. კონცერტები ფ-ნოს, ვიოლინოს, ალტისა და ჩელოსათვის ორკესტრთან ერთად, ორატორიები, თეატრისა და კინოს მუსიკა. აქვს რამდენიმე თეორიული შრომა (წიგნები, სახელმძღვანელოები).

ჰობოი (გერმ. Oboe ფრანგ. hautbois, სიტყვასიტყვით – მაღალი ხე), ხის სასულე ენაკიანი მუსიკალური საკრავი. შეიქმნა საფრანგეთში XVII ს. II ნახევარში. თანამედროვე ჰ. წარმოადგენს ხის სწორ მილს, რომელიც შედგება ზედა და შუა მუხლებისა და სარქველისაგან. აქვს 25 ხვრელი, აქედან 24 დახშულია სარქვლებით. არსებობს ორგვარი სისტემის ჰ., გერმანული და ფრანგული, განსაკუთრებით გავრცელებულია ფრანგული. ჰ-ს მნ. ადგილი უჭირავს სიმფ. და საოპერო ორკესტრებში. იგი სოლო და საანსამბლო საკრავიცაა. ჰ-ის ნაირსახეობებია: ტენორის ჰ. და ალტის ჰ. ანუ ჰ. დ'ამური და სხვ.

ჰომოფონია (ბერძ. homos–თანაბარი და phone–ბგერა, ხმა), მრავალხმიანობის ნაირსახეობა, რომელშიც პოლიფონიისაგან განსხვავებით, ერთ-ერთ (უმთავრესად მაღალ) ხმას წამყვანი მნიშვნელობა აქვს. დანარჩენი ხმები კი ექვემდებარება და თან ახლავს მას. ჰ. ჩამოყალიბდა და გავრცელდა აღორძინების ეპოქაში მუსიკის ახ. ჟანრებში–ოპერაში, ორატორიაში, კანტატაში, საკრავიერ მუსიკაში. ჰ-ის განვითარების ისტორიაში გამოყოფენ 2 პერიოდს; გენერალ-ბასისა (1600–1750; ამავე პერიოდში მოღვაწობდნენ უდიდესი პოლიფონისტები ი. ბახი და გ. ჰენდელი) და ვენის კლასიკური სკოლისა და მათი გამგრძელებლების (1750-1900) მოღვაწეობის პერიოდს. ჰ-ის განვითარებას მოჰყვა კლასიკური ჰარმონიის პრინციპების ჩამოყალიბება.

ჰოროვიცი (Horowitz) ვლადიმერ (სამოილის ძე) [18. IX. 1904, ბერდიჩევი,–5. XI.-1989, ნიუ-იორკი], ამერიკელი პიანისტი. ვ, პუხალსკისა და ფ. ბლუმენფელდის მოწაფე. დაამთ. კიევის კონს. (1921). ბავშვობიდან ბევრს უკრავდა რუსეთის ქალაქებში. 1924 შემოდგომით კონცერტები გამართა თბილისში, 11. XI დაუკრა ვ. სარაჯიშვილის პანაშვიდზე. 1928-იდან ცხოვრობდა აშშ-ში. ჰ. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი ვირტუოზი პიანისტია, რომლის შესრულება გამოირჩეოდა დიდი ტემპერამენტით, დინამიკით. ჰ-ის რეპერტუარში მთ. ადგილი ეკავათ ლისტის, შოპენის, ჩაიკოვსკის, მოცარტის, სკრიაბინის, რახმანინოვის, სკარლატის ნაწარმოებებს. ავტორია ვირტუოზული დამუშავებებისა ფ-ნოსათვის. მისი მოწაფე იყო ბ. ჯაინისი. 1986 გასტროლები გამართა სსრკ-ში.

ჰოფმანი (Hoffmann) ერნსტ თეოდორ ამადეუს [24. I. 1776, კენიგსბერგი,– 25.VI.1822, ბერლინი], გერმანელი მწერალი და კომპოზიტორი. იყო აგრეთვე რეჟისორი, დირიჟორი, მხატვარ-დეკორატორი. 1814-იდან ცხოვრობდა ბერლინში. ჰ. გერმანული რომანტ. ლიტ-ის, მუს. ესთეტიკისა და კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია (ნოველები „კავალერი გლიუკი", „იოჰან კრაისლერის, კაპელმაისტერის მუსიკალური ვნებანი", რომანი „კატა მურის

ცხოვრებისეული შეხედულებები“ და სხვ.). ჰ. ერთ-ერთი პირველი რომანტ. ოპერის „უნდინეს“ (1813), აგრეთვე სხვა ნაწ-ის ავტორია (ოპერა „ავრორა“ 1812, სიმფონიები, კამერ.-ინსტრ. ნაწ-ები და სხვ.). გავლენა მოახდინა კ. ვებერის, რ. შუმანის, რ. ვაგნერის შემ-ზე. მისი პოეტური სახეები აღბეჭდილია შუმანის „კრაისლერიანაში“, ვაგნერის „მფრინავ ჰოლანდიელში“, ბალეტებში: „მაკნატუნა“ (ჩაიკოვსკი), „კოპელია“ (დელიბი), „ჟიზელი“ (ადანი), ოპერაში „კარდილიაკი“ (ჰინდემითი). ჰ. გახდა ჟ. ოფენბახის ოპერის –„ჰოფმანის ზღაპრების“ გმირი.

ჰოფმანი (Hoffmann) იოსებ (იუზეფ) [20. I. 1876, პოდგუაჟე, კრაკოვის მახლობლად, – 16. II. 1957, ლოს-ანჯელესი], პოლონელი პიანისტი და პედაგოგი. მ. მოშკოვსკისა და ანტონ რუბინშტეინის მოწაფე. 1883-იდან ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას (არაერთგზის–რუსეთში, თბილისსა და ქუთაისში). 1899-იდან ცხოვრობდა აშშ-ში. 1924-38 ფილადელფიის კიორტისის მუს. ინ-ტის პროფ. და დირექტორი. სახელი გაითქვა როგორც ფ. შოპენის ნაწ-ის შესანიშნავმა შემსრულებელმა. ავტორია წიგნისა „ფორტეპიანოზე დაკვრა. კითხვებზე პასუხები“.

ჰუსიტური სიმღერები, ჩეხური ხალხური სიმღერა–ჰიმნები, შეიქმნა ი. ჰუსის მოღვაწეობისა და ჰუსიტური ომების (1419-37) პერიოდში. ჰ. ს. წარმოადგენდა ხალხ. სიმღერების მელოდიურ ინტონაციებზე აგებულ სას. საგალობლებს, რომლებშიც გამოხატული იყო ხალხთა მასების სოციალური პროტესტი, პატრიოტული გრძნობები და საბრძოლო განწყობილებანი.

რეკომენდაცია

ქართულ ენაზე მუსიკის სფეროში ენციკლოპედიური ლიტერატურის დიდ ნაკლებობას რომ განვიცდით, ეს ყველასატვის ცხადია. ამიტომ მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის აუცილებლობას მტკიცებაც არ სჭირდება. ენციკლოპედიური ნაშრომის შექმნას კი, რომელიც სამეცნიერო გამოცემაა, გარდა საინფორმაციო –შემკრებლური უნარისა, ფართო განათლება და ერუდიცია ესაჭიროება. ამ თვალსაზრისით, უთუოდ მისასალმებელია ამ უაღრესად სასარგებლო წიგნის შემდგენელის ბ-ნ ანზორ თამარაშვილის ინიციატივა, მის მიერ გაწეული უზარმაზარი შორმა დასაფასებელია.

რ. წურწუმია

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფ.ესორი

რეკომენდაცია

ანზორ თამარაშვილსა და გულბათ ტორაძის მიერ მომზადებული სამუსიკო ენციკლოპედია დიდი შენაძენია ქართული მუსიკალური (და არა მხოლოდ) საზოგადოებრიობისათვის. იოგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი სამუსიკო სასწავლებლების პედაგოგებს და მოსწავლეებს. საზოგადოდ ყველა მუსიკის მოყვარულებს.

ასეთი წიგნი პირველად გამოდის ჩვენში და მისი შემეცნებითი ღირებულების გადაფასება შეუძლებელია, მხარის ვუჭერ მის გამოცემას.

ვაჟა აზარაშვილი

კომპოზიტორი, პროფესორი, საქ. სახალხო არტისტი

რეკომენდაცია

ანზორ თამარაშვილის მიერ მომზადებული სამუსიკო ენციკლოპედია დიდი შენაძენია ქართული მუსიკალური (და არა მხოლოდ) საზოგადოებისათვის. იგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი სამუსიკო სასწავლებლების პედაგოგებს, მასწავლებლებს და ყველა მუსიკის მოყვარულებს.

მისასალმებელია ამ უაღრესად სასარგებლო წიგნის გამოცემა და ა. თამარაშვილის მიერ გაწეული შრომა დასაფასებელია.

ანზორ ერქომაიშვილი

რეკომენდაცია

გამოსაცემად მომზადდა ბ-ნ ანზორ თამარაშვილის მიერ შედგენილი ,,მუსიკის

ენციკლოპედიური ლექსიკონის“ მესამე გამოცემა, რომელიც განახლებული, შევსებული და გამდიდრებულია. თავის დროზე ამ წიგნმა დადებითი შეფასება დაიმსახურა და გავრცელდა კიდეც მკითხველთა წრეებში.

აღნიშნული ლექსიკონის მიმართ დაინტერესებას იჩენენ როგორც თბილისის , ისე რეგიონების სამუსიკო სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები, მუსიკისმოყვარულები და მკითხველები.

ამ მრავალწლიანი ნაშრომის ღირსებას წარმოადგენს მასალის სიზუსტე, ლაკონურობა, წიგნის ფორმატი, რაც მის მოხმარებას ხელს უწყობს და აადვილებს.

,,მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ხელახალი გამოცემა მიზაშეწონილად მიგვაჩნია.

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე
მანანა ახმეტელი

გამოხმაურება

სამუსიკო ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც შეადგინა ბ-ნმა ანზორ თამარაშვილმა და რომლის შედგენაშიც მონაწილეობდა ბ-ნი გულბათ ტორაძე (მთავარი რედაქტორი) სასურველი შენაძენია ჩვენი კულტურული დღევანდელობისათვის.

იგი შეიძლება იქცეს დამხმარე ბაზად საინტერნეტო მასალების მოძიებისათვის. ინფორმაციული დონით ძირითადად ეყრდნობა არსებულ ლიტერატურას. ვფიქრობ იგი დააინტერესებს, როგორც მუსიკოს-პროფესიონალებს, ასევე მუსიკის მოყვარულებსაც.

ნოდარ მამისაშვილი
კომპოზიტორი-თეორიტიკოსი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის
კონსერვატორიის პროფესორი, ეროვნული აკადემიის ვიცე პრეზიდენტი

გამოხმაურება

ყოველი წიგნი შეიცავს განსაკუთრებულ შინაარსს, სულიერი და სამეცნიერო სივრცე არამც თუ მიჯნავენ ერთმანეთს, არამედ ავსებენ კიდეც. სამწუხაროდ ქართველები არ ვართ განებივრებული უხვი, მდიდარი მუსიკალური ლიტერატურებით.

მისასალმებელია ხელოვნებათმცოდნე ანზორ თამარაშვილის მცდელობა, რომ შეავსოს ეს სიცარიელე, რომელიც ჩვენს სინამდვილეში გაჩნდა.

ყოველი მომღერლის, კომპოზიტორის, მუსიკისმცოდნის ბიოგრაფიას თან სდევს სათანადო ინფორმაცია მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. ყოველ ტექსტს ახლავს

ქვეტექსტი. რა რთული გზა განვლო კაცობრიობამ, რომ თანამედროვე მუსიკის ასეთი სახე მიეღო. შენ როგორც ადამიანმა, შენს შინაგან არსში უნდა განიცადო ის, რაც ამ წიგნშია თავმოყრილი. მკითხველს შეუძლია გაეცნოს დიდი იტალიელი მომღერლის ენრიკო კარუზოს ბიოგრაფიას და პარალელურად შეუძლია ინფორმაცია მიიღოს ,,საქართველოს ბულბულად" წოდებული ვანო სარაჯიშვილზე. ისინი მართალია გასულ საუკუნეში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ხმა დღესაც მსჭვალავს ჩვენს სმენას, ჩვენს სულსა და გულს. არ შეიძლება არ გამოიყოს ამ წიგნის უმთავრესი ღირსება. ის შენ არ გტოვებს გულგრილს. საკმარისია დაიწყო მისი წაკითხვა, რომ ვერ წყდები მას, თანდათან გითრევს სიღრმეში და ახდენს შენზე კეთილისმყოფელ გავლენას.

ანზორ თამარაშვილის უმთავრესი დევიზი არის ის, რომ ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ მოიცვას მთელი მსოფლიო. მუსიკალური კულტურის პრობლემატიკა, მას უნდა ჰქონდეს ორიგინალური კონტაქტი მნიშვნელოვან მოვლენებთან. კრებულში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუსიკის განვითარების თაობაზე.

დიდი მადლობა ბატონ ანზორს ასეთი ფასდაუდებელი ნაშრომისათვის.

გუნდის დირიჟორი, თეატრალური უნივერისტეტის პროფესორი

მაია მიქაბერიძე

ქართველი მომღერალი და ლოტბარი, საქართველოს სახალხო არტისტი

რამინ მიქაბერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:	*მარინე მურჯიკნელი*
დიზაინერი:	*ნუგზარ თამარაშვილი*
ფოტოუზრუნველყოფა:	*სერმან მურჯიკნელი*
	მარინე მურჯიკნელი
	მარინე ჩიხლაძე
	ვალერი მერაბიშვილი

თბილისი 2020

თამარაშვილი ანზორ პეტრეს ძე (1947)

ხელოვნებათმცოდნე; მუსიკოსი;
რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი;
საქართველოს პარლამენტის წევრი (1999–2004);
„მოკლე სამუსიკო ლექსიკონის“ (1999);
„მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ (2005, 2007);
შემდგენელი და სხვადასხვა პუბლიკაციების ავტორი;
„ღირსების ორდენის“ კავალერი (1999).